1966/3

# მნათობი

1966 4

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 43-ე — № 4 — აპრილი 1966 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

1023

## შ ი ნ ა ა რ ს ი

პარტია შთაგვაგონებს . . . 3
გიორგი ლეონიძე — ახლოს მოიწი, სამშობლოს გულო! ლექსი. . . . 5
ოთარ ჩიჯავაძე — თვითმკვლელები. რომანი . . . 7
ალ. ქუთათელი — ზღვასთან. ლექსი . . . 29
შალვა აფხაიძე — ციკლიდან „მცხეთის ხილვანი". ლექსები . . . 30
თამაზ ჭილაძე — აჰა, მიიწურა ზამთარი. რომანი. დასასრული . . . 32
ზურაბ ლორთქიფანიძე — სიმღერა ლენინის დღეებზე. ლექსი . . . 94

### ნარკვევი

ვიქტორ კერნბახი — ყინვარებისა და ნარინჯების ქვეყანა. თარგმანი რევაზ ჯაფარიძისა . . . 96

### ორი დიდი თარიღის წინ

ოთარ ბაკურაძე — ლენინი, როგორც ფილოსოფოსი . . . 128

### კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

გურამ გვერდწითელი — შენიშვნები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე . . . 141
ნიკო ყიასაშვილი — „ცნობიერების ნაკადის" ლიტერატურა ინგლისში . . . 160

### წარსულიდან

სერგო ქავთარაძე — დღეები პარიზში . . . 168

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება"

## წიგნების მიმოხილვა

თამაზ ჩხენკელი — ლია სტურუას ლექსები . . . . . . . . . . . 184
სოლომონ ხუციშვილი — ქართული კულტურის ისტორიის მასალები . 186
ვ. გოგოლაძე — „ქართული წიგნი“ . . . . . . . . . . . 188
იოსებ ბოცვაძე — „თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე“ . . . . . . 190

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მაღრაძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი, ს. შანშიაშვილი, ვ. წულუკიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ჯიბლაძე.

ტექნიკური ხელმძღვანელი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/IV-66 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12^1/_2$. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
უე 02997. ტირაჟი 6500. შეკვეთა № 743.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პარტია შთაგვაგონებს

სრულ ათ დღეს — 29 მარტიდან 7 აპრილამდე კრემლში მიმდინარეობდა კომუნიზმის მშენებელი ხალხის ავანგარდის, კომუნისტთა 12 მილიონიანი არმიის წარმომადგენელთა XXIII ყრილობა. ჩვენი ქვეყნის და დედამიწის ყველა კონტინენტის მილიონობით ადამიანები უდიდესი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ყრილობის მუშაობას.

ყველა, მტერი და მოყვარე, კარგად ითვალისწინებდა, რომ XXIII ყრილობა იქნებოდა მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი მოვლენა, რომელიც ახალ ბიძგს მისცემდა საბჭოთა ქვეყნის შემდგომ განვითარებას, ამასთან უდიდეს გავლენას მოახდენდა მთელ საერთაშორისო ცხოვრებაზე. ეს მოლოდინი გამართლდა. ეჭვს გარეშეა, საბჭოთა კავშირის კომუნისტთა XXIII ყრილობა თავისი შედეგებით დაიჭერს ღირსეულ ადგილს პარტიისა და ხალხის ისტორიაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისათვის ბრძოლის ისტორიაში.

პარტიის XXIII ყრილობამ განიხილა სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენება და დირექტივები ახალი ხუთწლედისათვის. ყრილობის მუშაობის ცენტრში იდგა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკით აღძრული უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ამხ. ლ. ბრეჟნევის და ამხ. ა. კოსიგინის ძირითად მოხსენებებში, ყრილობის დელეგატთა გამოსვლებში მკვეთრად აისახა ის ღრმა ცვლილებები, რაც პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში მოხდა სკკპ ცკ—ოქტომბრის (1964 წ) და შემდგომი პლენუმების შემდეგ. უფრო მეტი: XXIII ყრილობამ განავითარა და გააღრმავა ის კურსი, რომელიც ზემოხსენებულ პლენუმებზე დამუშავდა და დამტკიცდა.

ყრილობის მუშაობამ და მისმა გადაწყვეტილებებმა ცხადყო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მიღწევები სოციალისტური ეკონომიკის და კულტურის მშენებლობაში. გასული შვიდი წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა სახალხო მეურნეობა. საბჭოთა კავშირი ეკონომიურად, პოლიტიკურად, აგრეთვე, თავდაცვის თვალსაზრისით გახდა კიდევ უფრო ძლევამოსილი სახელმწიფო, უფრო გამტკიცდა სოციალისტური წყობილების პოლიტიკური საფუძვლები —მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხობის კავშირი, ხალხთა ლენინური მეგობრობა, ყველა მშრომელის იდეურ-პოლიტიკური და მორალური მთლიანობა.

წარმატებები, დიაღაც, დიდია, მაგრამ პერსპექტივები, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე გადაიშალა, კიდევ უფრო გრანდიოზული, დიდებული და წარმტაცია. XXIII ყრილობის მიერ მიღებული დირექტივების რეალიზაცია ბევრად უფრო მეტ გაქანებას აძლევს კომუნიზმის მშენებლობას. მიღებული ხუთწლიანი გეგმის მთავარ ამოცანად ყრილობამ სცნო: მეცნიერების და ტექნიკის სრული გამოყენებით, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ინდუსტრიული განვითარებით, შრომის ნაყოფიერების გადიდებით უზრუნველყოფილი იქნას სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა, სოფლის მეურნეობის განვითარების მყარი, მაღალი ტემპი და ყოველივე ამის შედეგად ხალხის ცხოვრების დონის მკვეთრი ამაღლება, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალურ და კულტურულ საჭიროებათა სრული დაკმაყოფილება.

XXIII ყრილობის მნიშვნელობა შორს სცილდება ჩვენი ქვეყნის შინაური ცხოვ-

რების ფარგლებს. საერთაშორისო მდგომარეობის ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე ყრილობამ მკაფიოდ და ნათლად განსაზღვრა და გაარკვია სსრკ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსი. ეს კურსი კვლავაც მიმართული იქნება იქით, რომ შეიქმნას უფრო ხელსაყრელი პირობები კომუნიზმის მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში, მთელი სოციალისტური სისტემის განმტკიცებისათვის, კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ ხალხთა ნაციონალური და სოციალური განთავისუფლებისათვის, სხვა და სხვა საზოგადოებრივი წყობის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

XXIII ყრილობის მუშაობა გამსჭვალული იყო ჭეშმარიტი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. მთელი მსოფლიოს რევოლუციურ ძალთა მზარდი ერთიანობის და სოლიდარობის დემონსტრაცია იყო 86 კომუნისტური და მუშათა პარტიის მონაწილეობა XXIII ყრილობის მუშაობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იდეოლოგიის, კერძოდ, ლიტერატურის და ხელოვნების საკითხებს.

კატეგორიულად უკუაგდო რა შემოქმედებით ცხოვრებაში ადმინისტრაციული ჩარევის ერთხელ და სამუდამოდ დაგმობილი მეთოდები, XXIII ყრილობამ კვლავ დაადასტურა და დაამკვიდრა საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების განვითარების ლენინური პრინციპები. პარტია, როგორც ყოველთვის, შემდეგშიაც ხელს შეუწყობს და დაეხმარება ხელოვნებას და ლიტერატურას, რომელიც ამკვიდრებს კომუნისტური იდეალების რწმენას, შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს ჩვენთვის უცხო იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებას. ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამჟამად შექმნილია ყველა პირობა ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა შემდგომი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის. საბჭოთა სულიერი კულტურის წარმატების საწინდარს პარტია ხედავს იმაში, რომ საბჭოთა მხატვრული ინტელიგენცია ხელმძღვანელობს იმავე მიზნებით და ამოცანებით, რითაც ხელმძღვანელობს პარტია და მთელი ხალხი. მთელ საბჭოთა მხატვრულ ინტელიგენციას შთააგონებს და აღაფრთოვანებს ის მაღალი შეფასება, რომელიც XXIII ყრილობამ მისცა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა მუშაობას. ყრილობაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა მწერლების და ხელოვანთა საუკეთესო ნაწარმოებები ამდიდრებენ არა მარტო საბჭოთა კლასიკური ლიტერატურის და ხელოვნების, არამედ მთელი მსოფლიო კულტურის საგანძურს.

ყრილობამ თავის რეზოლუციაში აღნიშნა, რომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის და ხელოვნების განვითარებას. პარტია მოელის შემოქმედი მუშაკებისაგან ახალ მნიშვნელოვან ნაწარმოებს, რომელნიც მკითხველს მიიზიდავენ და გაიტაცებენ ცხოვრების გამოსახვის სიმართლით, იდეური პათოსით, მაღალი მხატვრული ოსტატობით, რომლებიც აქტიურად ხელს შეუწყობენ კომუნიზმის მშენებელი ადამიანის სულიერი სამყაროს ფორმირებას, საბჭოთა ადამიანებში დანერგავენ მაღალ მორალურ თვისებებს, კომუნისტური იდეალებისადმი თავდადებას, მაღალ მოქალაქეობრიობას, პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებას. პარტიის ეს შთაგონებული მოწოდება გახდება გზის მანათობელ ვარსკვლავად სოციალისტური კულტურის შემოქმედთა მოღვაწეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გიორგი ლეონიძე

## ახლოს მოიწი, სამშობლოს გულო!

1.

ვაზდაბურულო,
გაზაფხულურო,
სიკვდილისათვის გზადახურულო,
გთხოვ, ერთი სიტყვა მეც დამანებო...
ადგილის ფუძევ,
ჭყონდიდის მუხავ,
ბაზალეთურო ლერწმოვანებო!
მომძახის ზეცა მარაგიანი,
მტევანელვარე ვაზი ურიცხვი.
მიყვარს სიმღერა არაგვიანი,
არ ვიგვიანებ სიყვარულისთვის.
როგორც ზღვის წყალით ძღება
ღრუბელი,
მეც მშობელ მიწის ორთქლით
ვიზრდები.
გვალვა რას მიზამს გადამბუგველი.
მბანენ ჭოროხის
და მტკვრის ზვირთები.
ახლოს მოიწი, სამშობლოს გულო.
სითბო მსურს შენი...
მცივა უშენოდ.
ეგების მარგო რამ სავარგულო,
ადგილის დედას რითმე ვუშველო!

2.

ფრესკათ ღიმილნო,
ცეცხლის თვალებო,
მე რომ ვერ ვთბები
თქვენს უალებოდ:
თბილისო,
მსხვრეულ ნარიყალათი,
რომ არ იცოდა,
ერის ღალატი!
დედას თონეო,
რუსთავის ბრძმედო
და მოდანდგარე
ნავთსადგურებო,
თმოგვის,
ვარძიის
ჩაბდღვნილო მკერდო,
დიდოსტატების
ნასადგურალნო!
ქვებო, თამარის
სუნთქვით მსუნთქველნო,
მთებო, რომ ვერა ვმღერი
უთქვენოდ...
ფიჭვის ძუძუვ და
ცაცხვის სურნელო,
მთაწმინდის იავ,
გმირთა მზრუნველო!
და, გორის ციხევ, გაუტეხელო,
არმაზო, დავლავ სალამანდრების,
სისხლო სულისა გულის მერხევო,
ბროლნო,
ზურმუხტნო, წვიმა-ავდრების,
ჩონგურის ყელო,
აკვნის ფიცრებო,
ქალიშვილების ნაზნო მზერანო,
რუსხმულთ ჩქერანო,
ქართლის მერანო, —
მომეშველენით!
მას გეხვეწებით,
მინდა ვთქვა ლექსი
თქვენი შეწევნით!

3.

წარსულის ცრემლო,
მომავლის ცეცხლო,
მამათმთავრებო, —
შუქის კაცებო,
წამით მაჩუქეთ
სიცოცხლე თქვენი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ ვერ ვიტყვი
სიტყვას აწეულს, —
მომეცით ნება,
მომეცით ნება,
თქვენი გულისხმა
ვაქვეყნიერო...
თქვენი მკლავები
ჩემს გულზე დნება,
რომ ჩემი სიტყვა
გააფხვიერონ!
რომ იერიშით
ლექსი ავიღო,
აღტეხილებით,
გულახურებით:
სადაც გინდ ვიყო,
სადაც არ ვიყო,
მარად ჩემს მამულს
ვემსახურები!

დე, ჩემი სიტყვა
კრთოდეს უკუნში,
დე, ელვარებდეს
ქართლის მახვილში;
დე, მთებმა ჩართონ
თავის გუგუნში,
მინდვრებმა —
თავის გამოძახილში!
მეც ვაზის რქა ვარ
ხომ ნართვლევარი!
ლექსებზე ღამეგანათევარი!
თუკი ვიტყოდე
სამშობლოს სათქმელს,
მეც ავენთები
მცირე ცვილადო.
მზე ჩემი წილი
ნაფრთქვევი სარკმელს —
ისიც სამშობლოს მივუწილადო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთარ ჩიჯავაძე

# თვითმკვლელები

**რომანი**

დღეს სადილობისას სტუმარი არ გვყავდა. უმცროსებმა ამით ვისარგებლეთ და საუბარი გავაბით.

მამა ბატკნის ნეკნს დინჯად უტრიალებდა დანა-ჩანგალს, მაგრამ მე დარწმუნებული ვიყავი, რომ გულდასმით გვისმენდა.

— ეს ღლაპიც რომ მე მასწავლის...— შოთა ოთხი წლით იყო ჩემზე უფროსი, — რა არის ვაჟკაცობა და რა როგორაა საჭირო...

—რასაკვირველია, დიდი ვაჟკაცობაა, საკუთარი ცხვირი სთხლიშო მოწინააღმდეგის მუშტს! — აღარ დავაცადე მე.

რუსუდანმა ჩაიფრუტუნა და ფარისევლური გულშემატკივრობით მიაჩერდა შოთას ჭორფლიან სახეს. უბედურს ორივე თვალი ჩალილავებულ-ჩალურჯებული ჰქონდა.

— მთავარია, რომ ორივე სიმეტრიულია! — თქვა რუსუდანმა.

— ორნი დამესხნენ; როცა მე ერთს გავუსწორდი, მაშინ მეორემ... სულის ამოთქმა ხომ მინდოდა! — შოთამ მამას გახედა, თანაგრძნობას ელოდა მისგან.

— შენც გეთხოვა, რომ მოეცადა! — ვუთხარი მე.

— რაო?! — აღშფოთდა შოთა.

— ნუ უსმენ მაგის იდიოტურ რჩევებს! — უეცრად გადავიდა რუსუდანი შოთას მხარეზე. — ჯეკ ლონდონს აქვს, რომ დაჟეჟილზე შემწვარი ბიფშტექსი უნდა დაიდოო.

— უმი! — მე მუდამ მაშფოთებდა, როცა გოგოები იმოწმებდნენ ისეთ ვაჟკაცურ მწერალს, როგორიც ჯეკ ლონდონია.

ამან ჩემი ძმაც აღაშფოთა.

— შენ არაფერი გესმის! — თქვა მან.

დედა, როგორც ყოველთვის, ზედმეტად ფუსფუსებდა და მხოლოდ ხელს უშლიდა მუნჯ მზარეულს კომპოტის ჩამორიგებაში.

— მერე და, რითი დამთავრდა? — იკითხა ბოლოს მამამ.

— ორივენი მივჟეჟე! — შიშით, რომ არ დაუჯერებდნენ, შოთამ ხმას აუწია.

— თექვსმეტი წლის ბიჭმა მუშტის გარდა სხვა საშუალება ვერ გამონახე? — მამას არც შეუხედავს შოთასათვის. მივხვდი, მისი უკმაყოფილო იყო.

— მაგრამ... ხომ არ შემიძლია გულხელი დავიკრიფო, როცა ჩემს გვერდით დას შეურაცხყოფენ?

— მე არავინაც არ შეურაცხმყო! მან მხოლოდ მითხრა, ლამაზი თვალები გაქვსო.

დას ავი და გესლიანი გამოხედვა ჰქონდა. გუმანით მივხვდი, რომ მას უკვე მოსწონდა ბიჭები.

შოთამ გაკვირვებით შეხედა დას. რუსუდანმა ურცხვად გაუსწორა თვალი. ახლა შემეძლო ორივენი გამეკენწლა:

— ნეტავ რომელ სულელს მოეწონა შენი თვალები. სარკეში მაინც ჩაიხედე, დაულილავებლადაც ისეთი იდიოტური გამოხედვა გაქვს, როგორც ამ ვაჟბატონს!...

რუსუდანი კომპოტს მიუბრუნდა. შოთა გაჩუმდა, იგი დანანებით ფიქრობდა,

ეროვნული

რომ ერთი კვირა მაინც მოუწევდა შინ ჯდომა.

ვიგრძენი, რომ მამას ჩემი საქციელი არ მოეწონა. მართლაც, გადავამლაშე, მაგრამ იმასაც მივხვდი, რომ არც რუსუდანს უნდა ელაპარაკნა მამის თანდასწრებით ვიღაც ბიჭ-ბუჭებზე. ძმა კი... ხომ ყველა მამისათვის სასიამოვნოა, რომ მისმა ვაჟმა „შეულამაზოს“ სახე სხვას და არა პირიქით...

როცა მამა ადგა და გაემართა თავის კაბინეტისაკენ, რუსუდანი აწრიალდა. მამასთან ვერაფერი გაბედა და ახლა უნდოდა სამაგიეროს გადახდა. მათ საჩქაროდ უნდა გავცლოდი. დედა, სულერთია, ვერ ამჩნევს, როგორ მიბრიყვებს უფროსი და-ძმა. თუმცა ნაბოლარა ვარ, დედის გამოქომაგების იმედი არა მაქვს — იგი უფროს ვაჟს აღმერთებს — შოთა დედას ჰგავს... რუსუდანი მეორე შვილია, თანაც გოგო. ოთახიდან გაპარვა დავაპირე.

— დაიცა, გავიდეს მამა სახლიდან, ცხვირს მიგილეწავ! — კარში გასვლისას მომაძახა შოთამ.

— ჩემთან რას იქაჩები, იმათ მიულეწე, ვისაც სჭირდება!

ელვისებური სისწრაფით მომიხდა კარის გამოხურვა. მთელი ძალით გამოქანებული ხის ტაბაკი წარწერით: „პური ჩვენი არსობისა, მომეც ჩუენ დღეს“. კარს შეეხეთქა. მერე სასადილოდან დედაჩემის ხმა გავიგონე:

— შოთა, შვილო, აბა, რას ჩადიხარ, როგორ იქნება!

დედა შოთას მუდამ ასე თბილად მიმართავს, რაც არ უნდა დააშავოს. არასოდეს არ გაუწყრება და არც მამასთან დააბეზღებს. მამამ რომ შოთას თავგასულობის ამბავი შეიტყოს, კარგი დღე არ დაადგება.

სამზარეულოში გავედი. ყრუმუნჯი მზარეული, რომელსაც ყველა მუნჯს ვეძახდით, მათლაფაზე კოვზის რაკუნით ამთავრებდა თავის კერძს. როცა დამინახა, გაიღიმა. რაღაც წაიბუტბუტა, პირქვედამხობილი ქვაბის ქვემოდან გამოიღო კომბოსტოს გული და მომაწოდა.

მე და მუნჯი დიდი მეგობრები ვართ. ყველაფერს, რაც ამ ქვეყანაზე ხდება, მას ვუამბობ. ისიც თავის გულისნადებს მე მიზიარებს. მისი ხელის ნიშნები და მიმიკა ყველაზე უკეთ ჩვენს სახლში მე მესმის. იქნებ იმიტომაც, რომ მუნჯი ჩემი დაბადების დღეს მოიყვანეს და თავიდანვე ბევრს მელოლიავებოდა.

მხოლოდ ერთი რამ ვერ გავაგებინე მუნჯს და ეს ძალიან მადარდებს: ჯერ კიდევ ბოლშევიკების გამარჯვებამდე ვუჩვენებდი ხოლმე ჟურნალ „ოგონიოკსა“ და „ნივა“-ში გერმანელ ჯარისკაცებს თავზე წოპიანი ზუჩებით. ათასნაირი მინიშნებით შევაძულე მას ეს პირსისხლიანი მტარვალები. თვითონ სურათების შინაარსიც კი ნათელჰყოფდა გერმანელების ვერაგობას. მერე, როცა ბოლშევიკები მოვიდნენ წოპიანი „ბუდიონოვკებით“, მუნჯმა, სრულიად გულუბრყვილოდ, ისინი გერმანელებად მიიჩნია და ვერავითარი ძალით ვერ შევაგნებინეთ ეს შეცდომა.

მაგრამ მთავარი ეს არ იყო; შეიძულა რა პირველ დღიდანვე წითელარმიელები, მუნჯმა სამ თვეში სავსებით შეიცვალა თავისი აზრი. მე ამაში დავრწმუნდი, როცა ერთ-ერთ ძველ „ნივა“-ში წავაწყდი გერმანელთა მხეცობის სურათს.

დიდხანს დასცქეროდა მუნჯი ამ სურათს, მერე გაბრაზებით გააქნია თავი, გამწარებულმა წაიღმუვლა, დააფურთხა ზედ და სურათიანად გამაგდო სამზარეულოდან.

ამის შემდეგ მუნჯს კარგახანს ჩემი აღარაფერი სჯეროდა.

ეს დიდი უსამართლობა იყო, რომლის გამოსწორება მე არ შემეძლო. ჩემთვის ეს უფრო საწყენია იმიტომაც, რომ მამაჩემის შემდეგ, რომელსაც მუნჯი აღმერთებს, ყველაზე ძალიან მე ვუყვარვარ.

მამაჩემისადმი მუნჯის ერთგულების მიზეზზე უკვე მერამდენედ გვიამბობდა ხოლმე მამიდა ელენე.

მამაჩემი უმცროსი ძმა იყო. მამიდა ელენემ მას დედობაც კი გაუწია, ადრე დაობლების შემდეგ. ალბათ, იმიტომაც არის, რომ დედას ვერ შეჰგუებია მამიდა და ავი დედამთილივით ეჭვიანობს.

— მაშინ ჯერ კიდევ ნავთლუღში ვცხოვრობდით, პაპისეულ სახლში. — დაიწყებდა ხოლმე მამიდა და მოხერხებულად მოიკალათებდა სავარძელში. — ვანომ ოჯახი ფასანაურში გაგზავნა. „მარკიზა“ კი აი, ამ თავბერაზე იყო ფეხმძიმედ,—ხელს გამოიშვერდა ხოლმე მამიდა ჩემსკენ, თითქოს ზეპირად არ გვცოდნოდეს ეს ამბავი. ჩვენ, ცოტა არ იყოს, გვწყინდა, რომ მამიდა დედას ირონიით „მარკიზას“ ეძახდა. ჩვენ ირონიის გარეშე მიგვაჩნდა, რომ დედა ყველა მარკიზაზე ნარნარი და ლამაზი იყო. — უეცრად მივიღეთ დეპეშა გუვერნანტკისაგან, — განაგრძობდა მამიდა, — „თქვენი ცოლი ძალიან ცუდი არის ერთბაშად მოდი კარგი დოქტორი მოიტანე გერტრუდა“. — მე მაშინვე მივხვდი, რომ „მარკიზამ“, რომელსაც ადამიანურად არაფრის გაკეთება არ შეუძლია, რაღაც აურია.

— მერე დედა რა შუაშია? კინაღამ მუცელს გადაჰყვა! შენ გადაკიდება იცი, მამიდა! — თქვა რუსუდანმა.

— ბავშვი ფეხებით წამოვიდა, — დაუმატა შოთამ.

— აი, ნახავთ, განთქმული ფეხბურთელი ვიქნები! — ვუპასუხე მე.

— ხმა ჩაიწყვიტე, ყეყეჩო! — მეცნენ შოთა და რუსუდანი.

— თუ შემაწყვეტინებთ, აღარაფერსაც აღარ გიამბობთ. — დაგვემუქრა მამიდა.

— ჩუმად ვართ, ჩუმად!

— წარმოგიდგენიათ, როგორ ვღელავდი, სანამ ვანო დაბრუნდებოდა. ერთი სიტყვით, ვანომ ფასანაურიდან ჩამოიყვანა ავადმყოფი ცოლი, ახალშობილი მოქალაქე და მუნჯი, რომელიც მაშინ თექვსმეტიოდე წლისა იქნებოდა.

მუნჯი მზარეულს ეხმარებოდა და მათქვენის ცხენს უვლიდა. მუყაითი და საზრიანი ბიჭი გამოდგა.

ერთ დღეს, როცა ონკანში წყალი შეწყდა, მუნჯმა ცხენი მტკვარზე წაიყვანა დასარწყულებლად. ტრამვაის ლიანდაგებშუა მიმავალ მუნჯს, რასაკვირველია, არ ესმოდა უკანიდან მოახლოებული ტრამვაის საგანგაშო ზარი, ხოლო როცა ვატმანი ხელის მუხრუჭს ეცა, უკვე გვიან იყო... მიწაზე ფართხალებდა უკანაფეხებდამსხვრეული ცხენი და ამაოდ ლამობდა წამოდგომას. ხალხი მოგროვდა. ვიღაც სათვალიანმა სამხედრო პირმა უხერხულად დაიწყო რევოლვერის ბუდის გახსნა. ჩახმახი შეაყენა ფეხზე, დიდხანს უმიზნებდა ცხენს ყურის ძირში, მაგრამ ვერა და ვერ ესროლა. ბოლოს, სროლის ბათქთან ერთად გაისმა მუნჯის არაადამიანური ღრიალი, იგი სამხედროს ეცა, მაგრამ მაშინვე განზე გააგდეს.

როცა სამსახურიდან დაბრუნებულ ვანოს ყველაფერი უამბეს, მან პირველად ის იკითხა, მუნჯს ხომ არაფერი დაემართა და სად არის ახლაო.

მუნჯი გაქრა, მეორე დღესაც, რომ არ გამოჩნდა, ძებნა დაუწყეს ნავთლუღში. მესამე დღეს კი მთელ ქალაქში დაეძებდნენ.

ვანო ძალზე წუხდა და გადაწყვიტა ფასანაურში წასულიყო.

მეოთხე დღეს, დილით, როცა ვანო ამზადებდა თავის „მერტინის“, ერთ-ერთ პირველ ავტომობილს თბილისში, თვლებზე შეყენებულ დიდ სამოვარს რომ წააგავდა, ზევიდან ყრუ კვნესა მოესმა.

— ჩუ! — გააჩუმა ვანომ გამცილებლები. — საიდანღაც კვნესა მომესმა.

— ჩვენ ჩერტაკში დამავოი არის!— წამოკარკლა თვალები გერტრუდამ, ყველა გერმანელივით ზებუნებრივში შეყვარებულმა.

ვანო ჩაფიქრდა, შემდეგ მზარეულის დახმარებით დიდი კიბე მიადგა სახურავს.

დიდხანს იდგა ვანო სხვენზე, სანამ თვალს მიაჩვევდა სიბნელეს და თან და-

ძაბული უსმენდა. ბოლოს შორი, ბნელი კუნჭულიდან ვიღაცის აჩქარებული სუნთქვა მოესმა. ვანო წელში მოიხარა, რომ ნივნივებისათვის თავი არ მიეხალა და წინ წავიდა. სიბნელეს შეჩვეული უკვე კარგად ამჩნევდა ყველაფერს. კვამლსადენ მილთან მოსხეპილივით ეგდო მტვერში ამოგანგლული მუნჯი. ამოსუნთქვას ზოგჯერ კვნესაც ამოჰყვებოდა ხოლმე. ვანომ კიდევ ორი ნაბიჯი წადგა წინ. ალბათ, ვანოს სიმძიმემ ჩადრიკა კოჭი, შეაქანავა და მუნჯი გამოერკვა. მან თვალები გაახილა და დაინახა მისკენ მიმავალი ბატონი. მუნჯი წამოხტა, შიშისაგან სახედამანჭული და ჩაცუცქული, ადგილზე გაშეშდა. ოთხი დღის ნაშიმშილევი, ჩაცვინული თვალებით გაფაციცებით ეძებდა გასაქცევ გზას. უცებ მოსწყდა ადგილიდან და თავით წინ წავიდა, მაგრამ ვანოს უკვე მაგრად ეჭირა მუნჯის მკლავი. როცა მუნჯმა სულ ახლოს დაინახა ვანოს უზარმაზარი, მარჯვენა ხელი, იგი მთლად მოდუნდა, მოეშვა და აღარ ეწინააღმდეგებოდა. შემდეგ მუნჯისათვის ყოვლად დაუჯერებელი ამბავი მოხდა: ალერსით გადაუსვეს თავზე ხელი, ნიკაპზე მოჰკიდეს და ჩაღუნული თავი მაღლა ააწევინეს. მუნჯმა დაინახა კეთილი, მაგრამ ამავე დროს საყვედურიანი ღიმილი. ვანო მობრუნდა და წავიდა...

ამით ამთავრებდა ხოლმე მამიდა ელენე ამბის მოყოლას და მოჭუტული თვალებით დაჟინებით მოგვჩერებოდა: — აქაო და, ნახეთ, რა ძმა მყავსო. ის კი ავიწყდებოდა, რომ მისი ძმა ჩვენი მამა იყო.

ახლა მუნჯი უკვე ჯმუხი ვაჟკაცია და სამზარეულოს განაგებს.

მუნჯთან მასლაათი მსუროდა, მაგრამ არ ეცალა, ჰურჭელს რეცხავდა. ეზოში გავედი, სახურავზე აფოფხება დავიწყე. ჩვენი სახლი დიდია, ორსართულიანი. აივნის ბოძებზე უსურვაზია გასული და სახურავამდის ასდევს. ყველაზე ძნელია, როცა სახურავის კიდის ქვეშა ხარ. ფეხებით უნდა მოეჭიდო ბოძს, მერე უკან გადმოიხარო, სახურავის ღარს სტაცო ხელები, შემდეგ ფეხებს გაითავისუფლებ და ჰაერში დაკიდებული აიზიდები სახურავზე. ეს ყველაფერი საკმაოდ სახიფათოა, მაგრამ მე არაფერში არ მინდა ჩამოვრჩე შოთას, რომელიც ამ ხერხით პირველი ავიდა სახურავზე.

სახურავზე ავედი და ეზოში შოთაც გამოჩნდა. მიყურებდა და, ალბათ, უკვე ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა.

— დეგენერატო!... — ჩამოვძახე ზემოდან. მე ძალიან მიყვარს ეს სიტყვა და, ვფიქრობ, სავსებით შეეფერება ჩემს ყველა მოწინააღმდეგეს. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ძვირად დამჯდომია, მე მაინც დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობით ვხმარობ მას.

ახლა, რასაკვირველია, ძმა შეეცდება ჩემს მიბერტყვას, მაგრამ სახურავზე ვერ ამოვა. მე სტრატეგიული პუნქტი მიკავია და სახურავის ღარისთვის ხელის ჩავლების საშუალებას არ მივცემ. რამდენიმე წუთის შემდეგ, შოთამ თუთის ქვეშ მდგარ „ბრიჩკაზე“ გაფინა ნაბადი, წამოწვა ზედ და დაიწყო რაღაც წიგნის კითხვა, მივხვდი, — ჩამისაფრდა.

ჩალილავებული თვალების გამო შინ უნდა იჯდეს, მაგრამ ის არ იცის, რომ ზუბალაშვილის ბიბლიოთეკიდან გამოტანილი მაქვს „მოძღვრება იოგებისა“ და ნებისყოფას ვივითარებ. მართალია ჯერ არ მივსულვარ იქამდე, რომ ცოცხლად დავიმარხო მიწაში, როგორც ამას სჩადიან დიპლომირებული იოგები, მაგრამ სახურავზე ჯდომაში ვაჯობებ, ვინც არ უნდა იყოს.

გავიდა ერთი საათი, ორი... შოთა კი სულ კითხულობდა. მე საკვამლე მილის ჩრდილში ვიწექი და ჩრდილთან ერთად უკვე რამდენიმეჯერ მოვინაცვლე ადგილი, ვფიქრობდი ადამიანების უსამართლობაზე და ძალზე მებრალებოდა ჩემი თავი.

უცნაურია — რამდენადაც მე პრინციპული ვიყავი და წაკითხული წიგნე-

ბის გმირებს ვბაძავდი, იმდენად უფრო მეტად ვიმდურებდი ყველას.

მეტწილად ნათესავებთან წამიხდა დამოკიდებულება. ნათესავი კი უამრავი მყავს... თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, თვალთაგანაც შორს არიან და... ნათესაური გრძნობების გამოხატვითაც არ იწუხებდნენ თავს, მაინც, როცა შემთხვევით გამოჩნდებიან, მე უეჭველად ვახერხებ ჩემს წინააღმდეგ ავამხედრო ისინი.

აი, მაგალითად, გუშინ, ოლღა ფეოდოროვნა მოვიდა ჩვენთან. იგი ძია სოსოს მესამე ცოლის უმცროსი დაა (თუმცა ძია სოსოს, როგორც მღვდელს, მხოლოდ ერთი ქორწინების უფლება ჰქონდა). სახლში არავინ იყო და... ზრდილობის საკითხია, ვიდრე დედა მოვიდოდა, მე უნდა გამერთო სტუმარი. ძალიან ცხელოდა. გამჭვირვალე კაბითა და მწვანე ბუმბულით გაწყობილი უშველებელი შლიაპით მორთული სტუმარი ჩემს პირდაპირ იჯდა. მიბნედილი თვალები ჭერისაკენ მიეპყრო. უკეთესი შემთხვევა ჰიპნოზური სეანსისათვის აღარ მომეცემოდა და გადავწყვიტე, ხელიდან არ გამეშვა. ამოვიღე ჰიპნოზიორის მინის ბურთულა და მის წინ „პასი" გავაკეთე, ზუსტად ისე, როგორც წიგნშია აღწერილი. სტუმარი მაშინვე ბურთულას მიაჩერდა.

— ეს „ლორიგან კოტის" ფლაკონის საცობია? — მკითხა მან.

მე არაფერი ვუპასუხე, ჯიქურ ჩავაცქერდი თვალებში.

— ეგრე რად მიყურებ?...—ჩაიხითხითა ოლღა ფეოდოროვნამ და თანაც მიბნედილ თვალებს არ მაშორებდა. მგონი, ყველაფერი რიგზე იყო.

— რაზე ვფიქრობ მე ახლა?.. — ვკითხე მას არაამქვეყნიური ხმით.

ოლღა ფეოდოროვნამ ერთ წამს მომაშორა თვალები, ვნებიანად გაიღიმა და ახალგაზრდული ხმით მიპასუხა:

— არა, ამისათვის, ჩემი აზრით, ჯერ კიდევ ნორჩი ხარ!—და ისევ მიბნედილი მზერა მომაპყრო.

— თქვენ პირველი როდი მეუბნებით ამას! — რაც შეიძლება მეტი დამაჯერებლობით ვუპასუხე მე, ამა, რადგა ჰიპნოზიორია, თუ მის შესაძლებლობას ეჭვით უყურებენ.

— ოჰო! — წარმოსთქვა ოლღა ფეოდოროვნამ და ხელი ხელზე დამადო.

— რაზე ვფიქრობ ახლა მე? — გავუმეორე კითხვა და მშვიდად, მაგრამ მტკიცე მოძრაობით მოვიშორე ხელი.

— ოჰ, რა სისულელეა! — რატომღაც თავისთვის თქვა ოლღა ფეოდოროვნამ, შლიაპის ბუმბული შეარხია და ჩემს წინ ისევ წინანდელი ოლღა ფეოდოროვნა იჯდა.

— შენა ფიქრობ, — მიპასუხა მან,— მოგცემ თუ არა ფულს პროჟექტორისათვის!...

ასეთი შეუგნებლობისაგან შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. თურმე საკუთარი გამოცდილებით და დაკვირვებით შეიძლება გაიგო, რა შეუგნებლები არიან ქალები.

მოწყალედ გავუღიმე, რათა მეგრძნობინებინა ჩემი გულგატეხილობის მთელი სიღრმე.

— თითქმის უკვე მთლიანად ჩემს ხელთ იყავით! დასანანია... თქვენი ფული კი არა მჭირდება!

ოლღა ფეოდოროვნა წამოხტა და სასწრაფოდ წავიდა. დედაჩემს აღარ დაუცადა.

ასე მემართება ყველასთან, ჩემს ირგვლივ სრული უთანხმოება და გაუგებრობა სუფევს.

აი, თუნდაც ძია ალექსანდრე. იგი მამიდაჩემის ქმარია, გენერალი და იძევსკის საიარაღო ქარხნის ყოფილი დირექტორი. როცა ის მამიდა დაროსთან და თავის ვაჟთან, ფანიკოსთან ერთად მოვიდა, წამსვე გავიყვანე განზე და კონფიდენციალურად წავჩურჩულე:

— ძია, მე ვიცი რა გიყვართ თქვენ!

— აბა, რა? — და თავზე ხელი გადამისვა.

— მე შემიძლია გიშოვნოთ!

— რაზე მელაპარაკები?

— აი, რაზე! — ჯიბიდან ამოვიღე

ჟურნალ „ნივა“-ში ამოხეული სარეკლამო ფურცელი და ჩურჩულით წავუკითხე:

— „36. გალანტური ფოტოგრაფია, ფასდებული, დახურული ამანათით“.

— ჩუმად, გაიგონებენ!.. — მითხრა მან და ცოლისაკენ გაიხედა, მერე აიღო ფურცელი და ყურადღებით შეუდგა კითხვას. ამ განცხადების გარდა იქ ჩამოთვლილი იყო, თუ როგორ შევინარჩუნოთ ახალგაზრდობა, როგორ ვუმკურნალოთ ბუასილს, სუსუნატს და სხვა.

— ეჰ,.. ეს იყო წინათ, მეფის დროს... კარგი დრო იყო! — ღრმა ამოოხვრით წარმოსთქვა მან და ოცნებებს მიეცა. მერე, უცებ გამოერკვა, ქაღალდი ხელში მომაჩეჩა და მკვახედ მკითხა:

— მერე შენ ვინ გითხრა, რომ ასეთი რამეები მიყვარს?

— არავინ.

— ტყუილები არ იყოს!

— მე?! მე და ტყუილები?! არასოდეს!

— მითხარი, ვინ გითხრა და ფულს მოგცემ! — მან ჯიბიდან ამოიღო ფულის მთელი დასტა, სამი ქაღალდი გამომიწოდა, თან ცალი თვალი ცოლისაკენ ეჭირა.

საკვირველია, ყველაფერს ფულს უფარდებენ! მაგრამ ვერავითარი მილიონებით ვერ მომისყიდიან! თანაც ამ სამი მილიონით ნახევარ გირვანქა თხილსაც ვერ იყიდი!

— ხომ გეუბნებით, რომ არავისაც არ უთქვამს.

— რომელმა გარეწარმა გაბედა და ასე... ასე... ასე დამახასიათა?! — როგორც იქნა, მონახა მან შესაფერი სიტყვა და შემოთავაზებულ თანხას კიდევ ორი მილიონი დაუმატა.

რადაც არ უნდა დამჯდომოდა, უნდა დამემტკიცებინა ჩემი გულგრილობა ფულისადმი. ხომ არ შემეძლო მეთქვა, რომ მისი ცოლი, მამიდაჩემი, შესჩიოდა მამაჩემს და... შემთხვევით მოვკარი ყური.

— ძია მიტომ თქვა! — ვუთხარი მე. ძია მიტო ენაკვიმატია, ამავე დროს, მამიდაჩემისა და მამაჩემის ძმა.

ფული, რასაკვირველია, არ აიღეს.

მას შემდეგ ძია ალექსანდრე არ ელაპარაკება ძია მიტოს და მამიდა დაროც, ქმრის ხათრით, დაეუბრა ძმას.

არც დედის ნათესაობასთან მქონდა საქმე კარგად. დედაჩემს ექვსი და ჰყავს და თავის დროზე მათ, შესაფერისი რაოდენობით, ქმრებიც ჰყავდათ. დეიდაშვილებიც საკმაო მყავს. ხოლო ჩემი გაჩენის დღიდან მათი რიცხვი არ შეცვლილა.

ერთხელ, როცა მე და დედა სტუმრად ვიყავით დეიდასთან, სადილის დროს ჩხუბი მომივიდა მის ვაჟთან, მიშასთან. დეიდას ხათრით არ გამილახავს, სამაგიეროდ, ვთქვი: — დეგენერატია! ლოთი კაცის შვილი სხვანაირი წარმოუდგენელიცაა!..—დეიდამ ერთი კი გახედა კედელზე ჩამოკიდებულ ქმრის სურათს და... მარწყვის ნაყინი, ყველაზე ნაკლები მე გადმომიღო. ეს იყო სამი წლის წინ, როცა სულ რაღაც ცხრა წლის ვიყავი, მაგრამ დღემდე არ დამვიწყებია დეიდაჩემის გულნამცეცობა.

მეორე დეიდას, რომელსაც ბრტყელი გულმკერდი აქვს, ნაზი გრძნობებით ასავსემ, რადგან დანის ჩუქებას მპირდებოდა, ვუთხარი: — არ არის-მეთქი, მართალი, შენ რომ საუთოებელ ფიცარს გეძახიან. ამოზნექილი ლავიწების გამო შენზე არაფრის გაუთოება არ შეიძლება-მეთქი.

დეიდამ მაინც მიყიდა დანა, გამილამაკიდეც, როცა მაძლევდა, თუმცა მშვენივრად ვგრძნობდი, სიამოვნებით დამკლავდა სწორედ ამ დანით. ესეც ხომ დიდი ხნის ამბავია, მაგრამ მას აქამდე ის დღე არ დავიწყებია და მუდამ ზედმეტად თავაზიანია ჩემს მიმართ.

საერთოდ, შემჩნეული მაქვს, რომ უფროსები ფიქრობენ ერთს, ამბობენ მეორეს და აკეთებენ მესამეს!

რასაკვირველია, ახლა ვხვდები, რომ ცხოვრება როგორც მე მეგონა, ისე არ იყო აგებული წინააღმდეგობებისაგან: კარგისა და ცუდისაგან, პატიოსანისა და

უპატიოსნობისაგან, გმირულისა და მუხანათობისაგან... და, რომ ადამიანების შეფასებისათვის არსებობდა კიდევ სხვა რაღაც ფაქტორები.

მე აღარ მეეჭვება, რომ ცხოვრებას ალღო უნდა ავუღო, მაგრამ რაც უფრო ღრმად ვეცნობი მას, მით უფრო არაფერი გამეგება მისი.

ჩვენი სახლის სადარბაზო შესასვლელის საფეხურზე ვისხედით. სავსე მთვარე ნახშირგორისაკენ გადახრილიყო, მისი შუქი ნათელს ჰფენდა მთაწმინდის შიშველ ფერდობებს და უფრო ამუქებდა შუქმიუწვდომ ხევხუვებს, რომელთა ღრმულები მოჩანდა, როგორც ბუმბერაზი, ნეკნებშუა სიცარიელენი უზარმაზარი ურჩხულის ჩონჩხზე.

დროგამოშვებით, როცა ღრუბელი წაეფარებოდა მთვარეს, გამოჩნდებოდა ხოლმე ურჩხულის თავი—ფუნიკულიორის მახინჯი შენობა, რომლის გვირაბი დაღებულ ხახას, ხოლო ერთადერთი ელნათურა კი თვალს გვაგონებდა.

შუაღამე გადასული იყო.

ჩვენ სიყვარულზე ვლაპარაკობდით.

სიყვარული აქ ყველგან გამეფებულიყო: ბნელ ჭიშკრებში, დაუკეტავ სადარბაზო შესასვლელებში და უშენ ადგილზე, რომელსაც სანაპირო ქუჩის თითქმის მთელი მარცხენა მხარე ეჭირა. ჩვენ თვალს გავაყოლებდით ხოლმე ხელგადახვეულ წყვილებს, რომლებიც სადღაც მიემართებოდნენ და გაუჩინარდებოდნენ ხოლმე უბადრუკი ხეებსა და ნაგვის გროვათა შორის.

მთვარე თავის ვერცხლის ნათელით ცდილობდა გაექეთილშობილებინა ყველაფერი.

ჩვენი სიყვარულიც ლამაზია იმიტომ, რომ ეს პირველი სიყვარულია... წმინდაა იმიტომ, რომ ჯერ შეურყვნელები ვართ, მიუხედავად იმისა, ბევრი უმსგავსოების დანახვა გვიწევს.

ჩვენ, ოთხნი, თამარზე შეყვარებულები ვართ, მეხუთე, ლადო, ჩვენზე ორი წლით უმცროსია და უფლებაც არა აქვს ამაზე იფიქროს. ამიტომ კიბეზე ჩვენზე ერთი საფეხურით დაბლაც კი ზის.

— იცი... ძალიან ჰგავს თამარს! — ღრმააზროვნად წარმოსთქვა ნიკომ.

ლადოს გაეცინა, ნიკომ ფეხი წაჰკრა და კიდევ ერთი საფეხურით დაბლა ჩააჩოჩა.

— რას იცემები!.. მაშ ვის უნდა ჰგავდეს, თუ არა თავის თავს?

— ეს ამბობს თამარ მეფეს ჰგავსო!... იმასაც ისეთი სახე აქვს, როგორც... თამარ მეფეს... — ღრმა ამოოხვრით განმარტა ანტონმა.

— მერე რა შავი თვალები აქვს! — თქვა სანდრომ. — დღეს „კლასობანას“ რომ თამაშობდა, სულ მე მიყურებდა.

დავდუმდით, თვითეული ჩვენთაგანი დარწმუნებული იყო, რომ თამარი მხოლოდ მას უყურებდა.

მე მიმაჩნდა, რომ მის თხელ, კეხიან კოხტა ცხვირს, სადაფისებურ კბილებს და მქრქალ ვარდისფერ სახეს ჩემსავით ვერავინ შეაფასებდა.

— მის სილამაზეს ყველა ვერ შეაფასებს. — ვთქვი მე გადაკრულად და ამით აშკარად გამოვხატე ჩემი უპირატესობა ამგვარ საკითხებში.

— შენც ბევრი რამ გაგეგება!.. თქვა სანდრომ. იგი ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა დედმამამასთან და ცოლიან ძმასთან ერთად და, ხშირად უთქვამს, რომ ბევრი რამ ისეთი იცის, რაზედაც ჩვენ წარმოდგენაც არა გვაქვს.

ყველანი მივუხვდით, რაზედაც გადაგვიკრა სანდრომ.

— შენ თვითონ გაფუჭებული ხარ და ყველაფერში ცუდსა ხედავ! — აღშფოთდა ნიკო.

— მაშ, რა იღონოს, როცა ყველანი ერთ ოთახში არიან?.. — მიემხრო სანდროს ანტონი. — უნებურად უთვალთვალებ!

— რასაკვირველია... აბა, სცადე უცებ დაიძინო მშიერ კუჭზე! — თავი იმართლა სანდრომ.

— მე კი, — თქვა ლადომ, — იმ დღეს მინდოდა მეთვალთვალებინა ჩვენ სა-

დარბაზში, მაგრამ სამხედრომ მაგარი ჰიტლაყი მითავაზა.

— აი, სახლს რომ ხანძარი გაუჩნდეს, მე მას გადავარჩენდი!..

ხმამაღლა ოცნებას მიეცა ნიკო.

— თვითონ გადმოხტებოდა ფანჯრიდან... პირველ სართულზე ცხოვრობენ. თქვა ანტონმა.

— მე კი... — თქვა სანდრომ, — დაჭრილი რომ ვნახო, ჩემს სისხლს მივცემდი.

სანდროს ოჯახს ძალიან უჭირდა. მამამისი ნახველში სისხლს ატანდა და ყველანი ძმის ხელფასით ირჩენდნენ თავს.

მინდოდა მეთქვა, რომ სხვადასხვა ჯგუფის სისხლი არსებობს, მაგრამ ბევრი ახსნა-განმარტების თავი არ მქონდა. არ მინდოდა გამეფანტა ის მღელვარე და დამატყვევებელი განცდა, ასე სასიამოვნოდ რომ აგვიძგერა გული.

როგორც ყოველთვის, ერთბაშად გადავწყვიტე ჩამედინა გმირობა. რა უნდა გამეკეთებინა, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, მაგრამ გადაწყვეტილება ურყევი იყო.

— ნამდვილი, წმინდა სიყვარული... მთელ სიცოცხლეს უნდა გრძელდებოდეს! — ნიკოს ფართოდ გახელილ თვალებში მთვარის ანარეკლი ჩანდა.

— სწორია! — დაუდასტურა ანტონმა. — ცოლს ხელმკლავი შეიძლება გაუკეთო მხოლოდ ციცაბო აღმართში, ანდა მოყინულზე.

— კოცნა კი, მხოლოდ აღდგომასა და ახალ წელიწადს! — დაურთო ლადომ.

— ცინგლიანო! — თქვა ნიკომ. — არის კიდევ დაბადებისა და სახელწოდების დღეები!

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად გადაკითხული მქონდა მოპასანი, ზოლა, არციბაშევი, ზნედაცემული ქალებისა და გუვერნანტკების დღიურები, მაინც ბიჭებს ვეთანხმებოდი. ამ წიგნების გმირებიც ისეთივენი იყვნენ, როგორც აი, ისინი, ამ უშენ ადგილზე მოსეირნენი... სიყვარული კი სულ სხვა იყო, ათასჯერ უკეთესი.

სანდრო იჯდა და დუმდა. მივხვდი, რომ რცხვენოდა ძმისა... ნანობდა, რომ გვიამბო თავის ახალცოლშერთულ ძმაზე, რომელიც დღენიადაგ ცოლის ხვევნა-ალერსში ყოფილა გართული.

ჩვენ მდუმარედ ვუყურებდით ოსმალეთის მხრიდან წამოცურებულ ღრუბელს, რომელიც ამაოდ ცდილობდა მთლიანად დაეფარა მთვარე. ღრუბელი ბამბის დაძონძილ საბანს ჰგავდა, ვერასგზით კარგად რომ ვერ წაიხურავდი.

უცელი კამეჩი ხიდის ფიცარნაგზე ზანტი, თანაბარი ბაკუნით მიაჭრიალებდა ურემს. შემდეგ მხოლოდ მტკვრის ყრუ ხმაური-ღა ისმოდა.

უეცრად მოვისაზრე, რაც უნდა ჩამედინა... მაგრამ მაშინვე უკუვაგდე: ძალიან სახიფათო იყო.

მაინც დავიწყე მოქმედების გეგმის შემუშავება, დამატებითი საინტერესო დეტალების გამონახვა და... იქვე, სულმოკლედ უარვყოფდი ყოველივეს.

გაღმიდან მოისმა ვიღაცას დადევნებული, გააფთრებული ნაგაზის ხრიწიანი ღავღავი. შემდეგ წამომწყებს უფრო წვრილ ხმაზე მყეფარი ძაღლები აჰყვნენ... მერე ყველაფერი შთანთქა შეშინებული სახედრის ყროყინმა.

უეცრად სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ჩვენს წინ აჩქარებულად გაიარა მამაკაცმა. მას ქალი მისდევდა:

— მოიცადე!... მოიცა, შე წყეულო!

მამაკაცმა უკანმოუხედავად შეუხვია და კუთხეს მიეფარა. ქალი კი რატომღაც მეორე მხარეს, ხიდისკენ წავიდა.

— მეძინება! — მთქნარებით წაილუღლუღა ლადომ.

— მოასწრებ! — შევუტიე მე და გადავწყვიტე გამემხილა მეგობრებისათვის ჩემი ჩანაფიქრი. რაკი ვიტყოდი, მერე უკან დახევა აღარ შეიძლებოდა.

ბოლოს, ეს დღეც დადგა. მივდიოდი ხიდზე და თან მომდევდნენ ნიკო, ანტონი, სანდრო და ლადო, რომელსაც ქაღალდში შეხვეული პაკეტი მოჰქონდა.

ბურჯებზე ტალღების ცემისაგან ხიდი ყრუდ გუგუნებდა, რატომღაც დღეს უფრო ირყეოდნენ ფეხქვეშ ტროტუარის ფიცრები. ალაგ-ალაგ, ფიცარნა-

გის პირდაღებულ დიდ ხვრელებში ჩანდა ხიდის ლითონის არმატურა... და გეგონებოდა, ხიდი ალმა მიცურავსო, შეჩერებულ წიბოვან ტალღებზე.

ჩვენდა უნებურად, გავჩერდით და მოაჯირზე დაყრდნობილი დავცქეროდით მდინარეს. გაცოფებული მტკვარი მოაგორებდა თავის მღვრიე ტალღებს და თითქმის მიეღწია სანაპიროზე განლაგებულ სამხერხაოებამდე, რომლებიც იქვე, ცირკის გასწვრივ ჩამწკრივებულიყვნენ. მუდამ შეკრული და სამხერხაოების წინ მიბმული ტივები ახლა მშრალზე ამოეტანათ და გაფანტულად, მორებად ეყარნენ გზაზე.

სამხერხაოების ზევით, მდინარე ვერასთან, მტკვარს გზაზე გადაევლო და განიერ ნოლად ექცია. ვერის პარკის ნაპირზე ტირიფების წარაფი და მის წინ მდებარე პატარა კუნძული დაეფარა.

ფოლადის ორი მსხვილი ბაგირი თითქმის წყლის ზედაპირს ეხებოდა, ხოლო ბორანი და მისი მისადგომი ბოგირები აღარსად ჩანდა.

— როგორ იცურავებ? — მკითხა ნიკომ და თვალებში ჩამხედა. — როგორ შეიძლება!

— არა, სჯობია, ნუ იზამ! — გულითადად მირჩია ანტონმა.

სანდრო ისე მიყურებდა, თითქოს პირველად მხედავდა. ახლა კი ლადომაც ამოიღო ხმა... ჩემმა საყვარელმა ლადომ, რომელსაც მე მუდამ ვმფარველობდი.

— არ დაიღრჩობა!.. — ისე უდარდელად წამოროშა მან, თითქოს ბრმა კატის კნუტზე ლაპარაკობდა. — ხომ ყველამ უნდა გიყუროს!.. — თან თვალიც მიყო, სიტყვა თამარზე გადამიკრა.

მე უხეშად ვუბიძგე ლადოს და გზა განვაგრძე. ყველანი უკან გამომყვნენ.

სიმხდალე უნდა დამეძლია, მაგრამ როგორ, როცა შიშის ზარი მდინარის გუგუნთან ერთად იჭრებოდა ჩემს არსებაში! ამას დაერთო სამხერხაოებიდან ხერხის შემზარავი წივილი, განწირულის კივილს რომ ჰგავდა:

ბედი არ მწყალობდა. წუხელ მტკვარი რაღაც არაჩვეულებრივად ადიდდა. უკან დახევაც აღარ შეიძლებოდა.

— წავიდეთ ახლავე სახლში... და ჩემს ნაგანს გაჩუქებ! — სანდრო იმეტებდა ყველაზე ძვირფასს, რაც კი გააჩნდა.

— რა თავში იხილის შენს ჟანგიან რევოლვერს, თანაც უბარაბნოს! — ჩაერია ლადო, რომელიც, რატომღაც, ჩემს საიქიოში გამგზავრებას ჩქარობდა.

საჭირო იყო მხოლოდ მობრუნება, სახლში წასვლა... და ძრწოლა, რომელზე უფრო საზარელი განცდა ამ ქვეყნად არა არის რა, უმალ გაქრებოდა, მაგრამ არც ამის ჩადენა შემეძლო.

მოქამულ გუნებაზე ვიყავი. თითქოს ჩემს გამოსაჯავრებლად, მზე კაშკაშებდა, ბელურები მხიარულად ჟივჟივებდნენ, სანაპიროზე მოსეირნეთა სიცილკისკისი ისმოდა.

ის იყო, გავედით ხიდზე, გავცდით ტირს და მოვუხვიეთ მარჯვნივ, რომ ამ დროს, მანდურში, ცირკის შესასვლელის თავზე რომ არის, ორკესტრი ახმიანდა. ორკესტრი ხალისიანი მგზნებარებით უკრავდა რომელიღაც ომახიან მარშს.

ერთბაშად ყველაფერი იოლი და უბრალო მეჩვენა...

აი, თურმე რად სჭირდებათ სამხედროებს ორკესტრი...

როცა ნაპირ-ნაპირ ზევით აყოლა აღარ შეიძლებოდა, გავიხადე და გავხსენი პაკეტი, ვალოდიას რომ მოჰქონდა. შიგ იდო მამაჩემის საკეცი ცილინდრი და დიდი შავი ქოლგა.

თავზე ცილინდრი ჩამოვიფხატე, გაშლილი ქოლგა ხელში დავიკავე და შევედი წყალში, რომელმაც მაშინვე წამაფორხილა და გამიტაცა. გაафთრებული ვიქნევდი წყალქვეშ ფეხებსა და მარჯვენა ხელს, მარცხენაში კი ქოლგა მეჭირა და ვცდილობდი ვერტიკალურ მდგომარეობაში მეცურა. ხანდახან ჩამაყურყუმალავებდა ხოლმე თითქმის ცილინდრამდე, მაგრამ ისევ ამოვდიოდი წყალზემოთ, მხრებამდე. გამოვაპურჭ-

ყებდი ნაყლაპ წყალს და აქეთ-იქით ცქერასაც ვასწრებდი.

ჩემი მეგობრები და აღევნებული ბიჭები ერთი გნიასითა და ყვირილით მომდევდნენ ნაპირ-ნაპირ.

ორ ჯარისკაცს ნიდაყვებით აეტაცათ აკივლებული ქალი, ტივის მორებზე გადახტომაში შველოდნენ და თან ცდილობდნენ ბიჭებს არ ჩამორჩენოდნენ. ნაპირთან ხალხი შეგროვდა, ხმამაღლა ხარხარებდნენ.

მე უკვე ხიდს ვუახლოვდებოდი, ხიდს იქით ბეტონის ჯებირი იყო. ჯებირის ბოლოში მორევივით ყურეა. სწორედ იქ უნდა გამომეცურა ნაპირზე. შემდეგ იწყებოდა ფრიალო, წყლისაგან ძირგამოთხრილი ფერდობი, რომელზეც ხელიც კი ვერაფერს მოეკიდებოდა. ჯებირთან რომ არ გამომეცურა, უეჭველად დავიღრჩობოდი. ხიდთან მიახლოებისას ვხედავდი, როგორ მორბოდა ხალხი მოაჯირთან და ჯაჯგურით ცდილობდა წინა ადგილი დაეკავებინათ.

ჯებირის მორევს რომ არ გავცილებოდი, საჭირო იყო გეზი მარჯვენა ნაპირისაკენ დამეჭირა და თან ხელიდან ეს წყეული ქოლგა არ უნდა გამეშვა, რომლის წყალობით უკვე ბევრი წყალი ვყლაპე.

სწორედ ხიდთან ავწიე თავი, გავაქნიე ქოლგა და, რაც შემეძლო სამარი ყიჟინით დავიძახე:

— ა... ო... ე!

მინდოდა კიდევ გამემეორებინა ძახილი, მაგრამ ტალღამ დამკრა და ქვევით წავედი.

ფილტვებში ცოტა ჰაერი მქონდა, ვიდრე წყლის ზედაპირზე ამოვიდოდი საშინლად გაიჭიმა დრო. მერე დავინახე, ჩემგან ცოტა მოშორებით, ტალღებზე ცუღლუტად ქანაობდა ცილინდრი, ქოლგა კი აღარსად ჩანდა.

გავიხედე ნაპირისაკენ და შევწუხდი: ჯებირი თითქმის ჩემს გასწვრივ იყო. მთელი ძალღონით მოვუსვი იქითკენ. დაღუპვის შიშმა ძალღონე გამიათკეცა. ჩანს, წყალქვეშ ყოფნისას მდინარებამ ისე შორს წამიღო, რომ ვარაუდი დავკარგე. სასოწარკვეთილის მთელი ენერგიით მივიწევდი ჯებირის მორევისაკენ. ძალა მელეოდა. მორევი კი სულ რაღაც ოთხიოდე მეტრზე იყო.

ფეხები უკვე ქვევით მიიწევდა, ხელები, თითქოს ტყვიისაო, დამძიმდა და აღარ მემორჩილებოდა.

ახლოს კი ნარიყი და ნაფოტები ტრიალებდნენ ყურე-მორევში, ქმნიდნენ სულ უფრო დიდსა და დიდ წრეს, სანამ ძლიერ დინებაში არ მოჰყვებოდნენ და წყალს არ გაჰყვებოდნენ.

არა. მე არ შემეძლო დავღუპულიყავ!

უკანასკნელად გავიბრძოლე, ხელფეხი დავიმორჩილე და მორევში მოვხვდი. ახლა წყალმა დამატრიალა... და მორევს იქით ისევ ჩქარ დინებაში გამისროლა. შებრძოლების უნარი კი აღარ შემწევდა და ისევ მღვრიე უკუნში ჩავიყურყუმალე. ჰაერის ნაცვლად ფილტვები წყალს ისრუტავდა... შიში და ტკივილი სრული განურჩევლობით შეიცვალა... გრძნობა დავკარგე...

ალბათ, წყალქვეშ ჯებირს მივეხეთქე, რადგან მახსოვს, რაღაცას წავეპოტინე. დაბრუნებული გრძნობის ნაპერწკალმა მაიძულა ფეხით დავბჯენოდი ჯებირის ნაწიბურს და ზემოთ ავსხლეტოდი.

ფილტვებში ერთბაშად ჰაერი შეიჭრა და ამღვრეული წყალქვეშა უკუნი გაქრა. ანაზდად მოვასწარი ისევ მეტაცა ხელი ჯებირის წყალზევითა ნაწილისათვის.. მაგრამ ამოსვლისათვის ძალა აღარ შემწევდა.

ვიღაცამ თმებში წამავლო ხელი, ამომიყვანა წყლიდან და ასე, ლეკვივით დაკიდებული, ამწია ზევით.

ოჰ, რა კარგია სიცოცხლე... მხოლოდ შიში, რომ ისევ წყალში არ ჩავვარდნილიყავ, მიშლიდა ხელს ნამდვილად შემეგრძნო გადარჩენის მთელი ბედნიერება.

ჯებირზე ამიყვანეს და ფეხზე დამაყენეს. ამ ხნის განმავლობაში უდიდესი სიამოვნებით ვყლაპავდი ჰაერს.

როცა თვალებზე ბინდი გადამეცალა, დავინახე, რომ ჩემს ცხვირწინ უშველებელი მუშტი ქანაობდა.

— მოგცხებ მაგრა მაგ ოინებისთვის.

ჩემი გადამრჩენის ცნობა ძნელი არ იყო, მაშინვე შევიცანი მოჭიდავე სანდრო კანდელაკი.

ჩემს ცხვირწინ მოქანავე მუშტს ორივე ხელი მოვკიდე და ისე დავუწყე ყნოსვა, თითქოს ნესვსა ვყიდულობდი.

ხიდსა და სანაპიროზე მოგროვილ ხალხიდან მომესმა სიცილ-ხარხარი, წამოძახილები და აღტაცებული გინება.

გოლიათმა მაღლა ასწია დიდი, ქერა, გრუზათმიანი თავი და ხალხს გაუღიმა.

წარმატებამ გამათამამა. ორიოდე ნაბიჯით გადავხტი უკან, ჩავდექი მოჭიდავის პოზაში და გადაჭარბებულად წაღუნული და მხრებში თავჩარგული, სანდროდ ვიწვევდი.

უცებ, ვაი, უბედურებავ!.. ვიგრძენი, რომ ტრუსი არ მეცვა. წყალთან ჭიდილში ვერც კი შევნიშნე, როგორ დავკარგე. ახლა მაყურებელთა სიცილ-ხარხარი საშინელ დაცინვად მეჩვენებოდა. ხმებში თამარის წკრიალა კისკისიც კი მეცნაურა.

ბედად, ბიჭებმა უკვე მომირბენინეს ტანსაცმელი და ჩამომეფარნენ. ყველაზე ბედნიერი ლადო იყო. იგი სულმოუთქმელად იმეორებდა:

— მე მჯეროდა, რომ არ დაიღრჩობოდი!

როცა ფერდობზე ავცოცდი, განთქმულ ფალავანს ჩამოვძახე:

— გმადლობთ, ძია სანდრო!

მან კი თავისი კეთილი ბოხი ხმით დაჰფარა მდინარის ხმაური:

— ჰაი, შე ლლაპო, შენა!

ხიდზე თვალებს ვაცეცებდი, თამარს ვეძებდი, მაგრამ, საბედნიეროდ, არსად ჩანდა.

— შეხედე!

ბიჭებმა მამაჩემი დამანახეს. მოდიოდა ახოვანი, სხვებზე მთელი თავით მაღალი. გვერდზე ძია ილია მოსდევდა, მამას მისი ხელი ჩაებღუჯა.

— მამას სახლში უნდა დავხვდე. — ვუთხარი ბიჭებს.

2. „მნათობი", № 4.

მეგობრებმა ჩემს ირგვლივ კედელი შეჰკრეს და წინ გავედით.

მამა მიდიოდა, როგორც ყოველთვის, მდუმარე, თავშეკავებული და ყურადღებით უსმენდა აღელვებულ ილიას.

— კინაღამ ხელი მომტეხე, ვანო!

— მაპატიე, ჩემო ილია!

— მაგ ბიჭის მშობლებს, — აი, ვის დავსჯიდი მე!

ჩვენ წინ გავვარდით. ხიდზე, ხარკის ამკრეფთა აფიცრულ ხუხულასთან დავტოვე ბიჭები, სახლამდე სირბილით მივედი და ჩარაზულ ჭიშკარს გადავევლე.

როცა მამამ შემოსასვლელი კარი გააღო, მისი უმცროსი ვაჟი ტახტზე იჯდა და გატაცებით კითხულობდა...

ჩემსკენ არც კი მოუხედავს, ისე წაიყვანა მამამ კაბინეტისაკენ ილია.

ძალიან მიჭირდა ერთ ადგილას ჯდომა. ეს-ეს იყო, ჩემ ცხოვრებაში უდიდესი ამბები მოხდა. აქ კი არაფერ არაფერი იცოდა.

შეიძლება, უკვე გვამიც ვყოფილიყავი, მტკვრის მღვრიე ტალღებზე მოტივტივე... აქ კი ყველაფერი ასე მშვიდად იყო...

მე მწყინდებოდა რაღაც... უბრალო სიტყვა... ყურადღება, ალერსი...

სამზარეულოში მუნჯი და დედა დაბობდნენ, გაცხარებით იქნევდნენ ხელებს.

მივედი და დედას მხრებზე მოვეხვიე.

— აჰ, დამეხსენი! — ნერვიულად მოიშორა მან. — მუნჯმა სადილი დაამგვიანა!

ეზოში გავედი. „ბრიჩკას" რყევაზე ეტყობოდა, რომ შოთა შიგ იწვა. ვერც კი მოვასწარ „ბრიჩკას" მივკარებოდი, რომ იქიდან მომესმა:

— წაეთრიე აქედან!...

აივანზე ასვლისას შევიხედე რუსუდანის ოთახის წვრილბადეგადაკრულ ფანჯარაში.

საწოლი ულაზათოდ იყო ალაგებული, ტახტზე კი რუსუდანი იწვა პირქვე, მუთაქას დაყრდნობოდა და რაღაც ყდაგაცვეთილ წიგნს კითხულობდა.

-- ჩამოეცალე სინათლეს! — თავაუღებლივ წაილუღლუღა მან.

ჯიბრით იმდენხანს ვიდექი, სანამ თვითონ არ მომეწყინა. შემდეგ ისევ ეზოში დავბრუნდი და იასამნის ბუჩქებში გაშოტილ პოინტერს — მარსს მივუახლოვდი.

მარსმა ქუთუთოები ასწია. თვალის თეთრი გარსი გააელვა, მოსალმების ნიშნად ერთი-ორჯერ დაჰკრა კუდი მიწაზე, მერე ისევ დახუჭა თვალები და ძილი განაგრძო.

მარსი ვებერთელაა და სიბერის გამო ერთთავად თვლემს.

იასამანს ფოთოლი ჩამოვწყვიტე და ძაღლს ცხვირში შევუღიტინე. მარსი შეიჭმუხნა, თვალები გაახილა და ისეთი საყვედურით შემომხედა, იძულებული გავხდი ავმდგარიყავი და გავშორებოდი.

დღეს თითქოს ჯიბრზე არავის ვეპიტნავებოდი. წელანდელი განცდებისა და, ალბათ, ნაყლაპი წყლისაგანაც, ტანში მამტვრევდა. წავედი და მზის გულზე, კედელთან ჩავჯექი. რა ბედნიერებაა გრძნობდე, როგორ იჭრება შენში მზის მაცოცხლებელი სითბო! მეჩვენებოდა, რომ უკვე სხვა ადამიანი ვიყავი, რადგან ახლოს ვიგრძენი სიკვდილი და უკანასკნელ წამს სასოწარკვეთილის შეუპოვრობით დავძლიე იგი. თავი გამობრძმედილ ვაჟკაცად მიმაჩნდა.

— ტუტუცი!.. შტერი... კრეტინი!.. რა არის, ხიდზე ხალხი გავაცინოთ, ცილინდრიან-ქოლგიანად მოცურავდა! — მამაჩემის კაბინეტში ვიღაც ახალმოსულს უამბობდა ილია.

— რამდენი იხრჩობა მტკვარში ყოველწლიურად. პირდაპირ შემაძრწუნებელია! —ვიცანი მარკოვის ხმა. შემდეგ კაბინეტის კარი მიიხურა.

რას იტყვის მამა, რომ შეიტყოს? ნუთუ გამლახავს?.. მე ხომ პატარა აღარა ვარ!.. მამამ სულ ერთხელ გამლახა... მაშინ პირველ კლასში ვიყავი. მე და ნიკომ. იმის მაგივრად, რომ სკოლიდან პირდაპირ სახლში წამოვსულიყავით, ქუჩებში დავიწყეთ ყიალი ზურგზე ჩანთაჩამოკიდებულებმა. ძალიან გვაინტერესებდა გამოგვეცადა თავი, თუ როგორ ვიცოდით კითხვა. აქ კი, პორტრეტებისა და აბრების გარდა, კედლებზე სხვადასხვა ნომრებიანი აფიშებიც გაეკრათ, თვითეულზე ეწერა, ხმა უნდა მისცეთ მხოლოდ ამა და ამ ნომერსო. ახლადმოწყობილ ტრიბუნასთან გავჩერდით და გატაცებით ვუსმენდით ორატორებს, თავიანთ მოწინააღმდეგეებს რომ ლანძღავდნენ. განსაკუთრებით მომეწონა გამოსვლები სათვალიანი მოკლეწვერიანი სტუდენტისა. იმიტომ, რომ ბორძიკით ლაპარაკობდა. მეზღვაურისა, მკერდზე მუშტს რომ იბრაგუნებდა და ერთი მეტად მსუქანი ქალისა. რომელიც ამბობდა „თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ სიცოცხლეც უაზრობაა!.. და თუ პატრონები არ იქნებიან, აბა სამუშაოსვიღა მოგვცემს?!“ ძალიან საინტერესო საყურებელი იყო, როგორ იცავდა თავს, როცა ტრიბუნიდან ძირს მიათრევდნენ. მერე გამოვიდა ერთი მოხუცი, გაკნაჭული ქალი და თვალცრემლიანი აწუწუნდა, თუ როგორ სტანჯავენ მეპატრონეები და აიძულებენ იმუშაოს განთიადიდან გვიან ღამემდე, თვითონ ვარიებს მიირთმევენ, მე კი არაფერს მაძლევენო. ბოლოს თქვა: — „ბურჟუები ჩვენს სისხლსა სვამენ!“ გული დამწყდა, რომ არ თქვა, როგორ სვამენ მის სისხლს.

იმავე დღეს. სადილობისას, ჩხუბი ავუტეხე რუსუდანს: მან ცხვირწინ ამაცალა ქათმის კურტუმო. სადილზე უწესო საქციელისათვის ისევ მე დამსაჯეს და სულაც აღარ მარგუნეს ქათმის ხორცი. გული მეტკინა — ხელად შევადარე ჩემი თავი იმ გამხდარ მოხუც ქალს.

— თქვენ ბურჟუები ხართ და ჩემს სისხლსა სვამთ! — განვუცხადე მამაჩემს.

მახსოვს, რამდენიმეჯერ ავვარდი ჰაერში, მერე ჩემი თავი მოემწყვდა მამას მუხლებს შორის და ლაზათიანად მიმბერტყეს.

რასაკვირველია, დამნაშავე ვიყავი, რომ მამასთან პოლიტიკურ კამათში ჩავები, ალბათ, მე და ნიკომ რაღაც ავურიეთ. ამიტომ ხელად მომიბრუნდა გუ-

ლი მამაზე... რუსუდანმა ქლესა მიწოდა და ამისათვის ალიყურიც მიიღო, თვითონ კი, როგორც მახსოვს, ცხვირი დამაკაწრა.

მახურვებდა. ალბათ ამიტომ იყო, დიდი ხნის ამბები რომ მაგონდებოდა.

აივანზე დედა გამოვიდა. დღეს იგი უფრო ნარნარა და ლამაზი მეჩვენა.

— ბავშვებო!.. შოთა, რუსუდან!.. მოდით, ვისადილოთ!.. — და რადგან არავინ უპასუხა, დაუმატა:

— მამა გელოდებათ!

„ბრიჩკა“ შეინძრა, რუსუდანის ოთახიდან კი გაისმა რიხიანი პასუხი (ტყუილად კი არ დაარქვეს რუსუდანს „იერიქონის საყვირი“):

— მოვდივარ!..

დღეს, როგორც არასდროს, მინდოდა, რომ დედას ჩემთვისაც დაეძახნა, მაგრამ მან მხოლოდ შოთასა და რუსუდანს მიმართა.

სულ სხვა იყო მამა... ის არასოდეს გამომარჩევდა და-ძმაში! ვერასდროს ვერ ეპატიებინა მათთვის ის, რასაც ხშირად ვერ ამჩნევდა დედა; ისინი ჩემზე გაცილებით ცუდად სწავლობდნენ, მე კი მუყაითობითაც მამას ვგავდი. თავის ზომაც კი ერთნაირი გვქონდა — ძალიან დიდი. აი, ის ცილინდრი, რომელიც მტკვარში ჩაიძირა. თითქოს საგანგებოდ ჩემთვის იყო ნაყიდი.

ღმერთო, ნეტავი კი ვერ შენიშნავდნენ ცილინდრისა და ქოლგის გაქრობას!

მეზობელი შეშის საწყობიდან ბიჭები მისტვენდნენ. მაგრამ ძალიან მიბრუოდა თავი, მაჟრჟოლებდა და არ ვუპასუხე.

საჭმელზე უარი ვთქვი, წავედი და საწოლში ჩავწექი. თვალწინ მიმოდიოდნენ მწვანე და იისფერი რგოლები, მეც ამ რგოლებს დავყვებოდი, ხან პაწაწინა, ქინძისთავისოდენა ხან კი ვეებერთელა, მთის ტოლა...

მე ვიცოდი, დედა კინაღამ გადაჰყვა ჩემზე მშობიარობას, მაგრამ ეს ხომ განზრახ არ მიქნია...

— კარგი, კმარა!.. დამშვიდდი!.. — საწოლზე მამა იჯდა და ჩემი ხელები თავის დიდ ხელებში მოექცია.

ფანჯრიდან, თითქო ზედ შავი ქოლოლდი აუკრავთო, ღამე იცქირებოდა.
ბიბლიოთეკა

— მამა, შენ არ იცი!

— ჰო, ჰო... შენ ცურავდი მტკვარზე და... მაგრამ მე მხოლოდ ჯებირზე გიცანი!... დამშვიდდი, ყველაფერმა კარგად ჩაიარა!

— არა, შენ არაფერი არ იცი! ეს იყო შავ არაგვზე. მე სულ პაწაწინა ვიყავი... დედა ჩვენთან დასეირნობდა... სხვებიც იყვნენ... მე და შოთა ხელიხელჩაკიდებული გადავდიოდით შავ არაგვზე... წყალი მუხლამდეც არ გვწვდებოდა... გალიპულ ქვაზე ფეხი დაგვისხლტა და დავეცით... დედამ იკივლა — „ვაი შოთა იხრჩობაო“, მეც ხომ იქ ვიყავი?.. როცა ჩვენ, გალუმპულები, ნაპირზე გამოვედით, დედა შოთას ჰკოცნიდა... გახადა კიდეც, რომ არ გაციებულიყო... ხელი მოჰკიდა და სწრაფად გაიქცნენ მე კი უკან მივდევდი, სველი... მარტო! მე ხომ სულ უმცროსი ვიყავი!.. ახლა დიდი ვარ! მოზრდილი... ამიტომ ვისწავლე ასე კარგი ცურვა... ჩვენ რომ ვიღრჩობოდეთ... მე ჯიბრით არ დავიღრჩობი!.. ეს არ არის სწორი, რასაკვირველია... მაგრამ, შარშან მე ხომ გადავარჩინე შოთა... ვერის პარკთან რომ იღრჩობოდა... შენ შეგიძლია ჰკითხო... გეტყვის, როგორ მომხვია ხელები უკანიდან, და როგორ ჩავიძირენით ორივენი... ის ამბობს, რომ კრუნჩხვა დამემართაო, მაგრამ მე ვიცი, რომ შეშინდა... ჰკითხე საუკეთესო მცურავებს... როცა შეშინდები, კრუნჩხვაზე უარესია... რატომ არ ვუყვარვარ დედას?

სიტყვა-სიტყვით მახსოვს ყველაფერი, რასაც ვამბობდი და კიდევ ბევრს ვიტყოდი. მაგრამ მამამ გამაჩუმა და რაღაც წამალი მომცა. მე მაგრად მეჭირა მამის ხელი. ასე დავიძინე.

თამარმა მითხრა, დაგინახე როცა ხიდქვეშ მიცურავდი, მერე დედამ დამიძახაო.

მესმის მისი მოკრძალება და დიდი მადლობელიცა ვარ ამისთვის. ჩემთან თა-

ვისი დამოკიდებულება არ შეუცვლია. ჩვენი უბნის ყველა ბიჭს გმირად მივაჩნივარ, ხოლო საუკეთესო მოცურავედ დიდებიც კი მთვლიან.

მე და მამა ახლა ხშირად ვსეირნობთ ერთად და ბევრსაც ვსაუბრობთ, განსაკუთრებით ნამდვილ და მოჩვენებით გამბედაობაზე. საუბარი ნაკლებ საინტერესოა, როცა ჩვენთან ვინმეა, თუმცა. დღეს საინტერესო იყო... ვერის დაღმართზე ძია ილია უცებ მობრუნდა მამაჩემისკენ და აღელვებისაგან სულშეხუთულმა თქვა:

— შეხედე!..

წყვილიორლა შებმული, შავი ლაქით გალაპლაპებული ეტლი წამოგვეწია. თვალი შევასწარი მედიდურად მჯდომ, ჩათქვირებულ. ულვაშგაფუებულ სამხედრო პირს. მერე მხოლოდ ქარქაშის ვერცხლის ზარნიში-ღა ბრჭყვიალებდა ეტლის მარცხენა საფეხურთან, კოფოზე მჯდომ ახმახ მეეტლეს თეძოზე ხისბუდიანი მაუზერი ეკიდა.

— მილიციის ახალი უფროსია! — ღვარძლიანად თქვა ილიამ, თავი ასწია და გადმოკარკლული დიდი თვალები მამას მიაშტერა. იმდენად სასაცილო იყო, რომ ვეღარ მოვითმინე და ჩავიფრუტუნე.

მამამ მკაცრად გადმომხედა, მერე კი ილიას მიუბრუნდა:

— ილია!... თავს ძალა დაატანე და ნუ მიაქცევ ყურადღებას.

— არ შემიძლია!.. გუშინ ჩემმა მეეზოვემ ორი საუკეთესო ოთახი წამართვა!

— ვიცი... ოთახები კი არა, საბაზანო და სამოახლო, — რაც შეიძლება რბილად თქვა მამამ, ილია რომ დაეშოშმინებინა.

საკვირველია, როგორ ვერ ამჩნევდა ძია ილია. რომ მამა პატარა ბავშვივით ელაპარაკებოდა. ძია ილია კი განაგრძობდა:

— ყველაფერს გამიბინძურებენ!.. რვანი არიან!.. აბაზანაში თივა ჩაყარეს და შიგ ბავშვებს აწვენენ დასაძინებლად!.. მე ვიყავი ამასთან...

— ვისთან?

— აი. ამასთან, ეტლში რომ იჯდა... მილიციის უფროსთან. სასაცილოდ ამიგდო... „თქვენა და თქვენს შინაბერა დას ოთხი ოთახიც გეყოფათო", შენ წარმოგიდგენია? და მე იძულებული ვარ, გავჩუმდე!..

მამას შევხედე. სახეზე არაფერი ეტყობოდა, მაგრამ მომეჩვენა, რომ გულში ეცინებოდა.

— არა, შენ წარმოგიდგენია?! — თანაგრძნობის მოლოდინში ისევ მიმართა ილიამ მამას.

ჩვენ ცირკთან გავიარეთ. მის ჩამოქერცნილ კედლებზე ჭრელა-ჭრულა აფიშები ეკიდა. მამა შეეცადა ილიასთვის დაევიწყებინა საბაზანო და სამოახლო ოთახები.

— როგორ მოგწონს ეს შებრაწული გოჭის ფერი მოჭიდავე?

აფიშაზე დახატული იყო ორი, ერთმანეთზე შუბლმიბჯენილი ფალავანი.

— ჰმ! — წაიბუზღუნა ილიამ.

— ან ეს ჰიბრიდი ადამიანისა და მასტოდონტისა?

— „მსოფლიო ჩემპიონი", — წაიკითხა ილიამ აფიშის ქვეშ. — საინტერესოა, რომელი მსოფლიოსი?! რომელიც ინგრევა?! — ძია ილიას ხმაში მსოფლიო სევდა ისმოდა.

დიდი ხნის მოუკირწყლავ ქუჩაზე ტროტუარი უცებ წყდებოდა. ილია რომ არ დაცემულიყო, მამამ იდაყვზე წაავლო ხელი.

ხიდისყურზე მიშენებულ ტირის კარებში ჩამდგარიყო წითური, ლოთობისაგან სახეგატეხილი კაცი. როცა გავუსწორდით. გულგრილად მოგვესალმა.

— ხედავ, როგორ გაამაყდა ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ?! მანამ კი, როცა ჩემთან მეეტლედ მუშაობდა... — ილიას ხიდის ფიცარნაგზე დიდ ნახვრეტში კინაღამ ფეხი ჩაუცდა და უცებ დადუმდა. თუმცა, ხიდს რომ გავცდით. მაინც წაიბუზღუნა:

— უნიფხოები! მსოფლიო რევოლუციაზე ქადაგებენ და ხიდიც კი ვერ შეუკეთებიათ!

— უკვე ათი წელიწადია, ხიდი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუკეთებიათ. — თქვა მამამ. — და მაინც, ჩვენ პირველ რიგში სხვა ხიდების შეკეთება მოგვიხდება.

— ჩვენ?! — შეეკითხა ილია.

— დიახ! გუშინ საქართველოს სამხედრო გზის მთავარ ინჟინრად დამნიშნეს.

— ბოლშევიკებმა?! და შენ დათანხმდი?

— მენშევიკებს არც შემოუთავაზებიათ!

სახლამდე ისე მივედით, ხმაც არ ამოუღიათ. თავთავის ფიქრებში იყვნენ გართულნი.

ვახშმობისას მარკოვი და ლუკომსკი მოვიდნენ.

ჩვენ მაგიდის კუთხეში ვისხედით და ინტერესით ვუსმენდით ნადირობის ამბებს, სადაც, უეჭველად, რომელიმე „კაი მონადირეს" გაჰკილავდნენ ხოლმე. კარგა ხანია, მამა „საქართველოს მონადირეთა კავშირის" თავმჯდომარეა და ჩვენი დღევანდელი სტუმრებიც განთქმული მონადირეები არიან.

მარკოვი ზოოლოგია, ლუკომსკი — ნოტარიუსი. ძია ილია კი ოთხიოდე თვის წინ მემამულე იყო, ახლა აღარ ვიცი, ვინ არის... ილიამ „მანლიხერზე" ჩამოაგდო სიტყვა, რომლითაც მამაჩემი ტახზე ნადირობდა ხოლმე.

— ნუთუ საიარაღო ტექნიკის ეს საწყაული გინდა მთავრობას ჩააბარო?

ეტყობოდა, მამას არ სიამოვნებდა ამ ამბის გახსენება.

შევნიშნე, მარკოვმა და ლუკომსკიმ უკმაყოფილოდ გადახედეს ერთმანეთს.

— იქნებ, მოგვცენ ნებართვა?!—მარკოვს უნდოდა მამა დაემშვიდებინა.

— იურიდიული თვალსაზრისით... — დაიწყო ლუკომსკიმ, მაგრამ ილიამ შეაწყვეტინა:

— ვანო, მე შენ ადგილზე არ ჩავაბარებდი! არა, არავითარ შემთხვევაში...

— სამოახლო და სააბაზანო ხომ ჩააბარე! — გაცხარდა ლუკომსკი და უზარმაზარი მუცელი აუთახთახდა.

— მძარცველებმა რომ საფულე წაგართვან, განა იტყვი, რომ ჩააბარე?! ძალად წამართვეს!... — მთლად დაიღმიჭა ილია. — მე ხომ არ გახსენებ, შენ რა წაგართვეს!

— არც არის საჭირო! მშვენივრად მახსოვს, რაც საკუთარი შრომით შემიძენია! — ჩამარცვლით უპასუხა წამოჭარხლებულმა ლუკომსკიმ.

— კარგია, კმარა ამაზე ლაპარაკი! — თქვა მამამ.

მაგრამ გაცეცხლებული ილიას დაწყნარება უკვე შეუძლებელი იყო.

— რა გინდა თქვა, ვითომ მე... ჩემი შრომით კი არა... მემკვიდრეობით მიღებული ქონებით ვცხოვრობდი?!

ლუკომსკიმ მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— და შენ ამას ახლა მეუბნები, როცა უსახსროდ დავრჩი!.. არა უშავს, ერთი ტყვიისათვის, შუბლში რომ დავიხალო, სახსრები მეყოფა.

აქ მარკოვიც აღელდა. უცებ შეუტოკდა წვერი.

— რა სისულელეა!.. შენის აზრით, ეს ერთადერთი გამოსავალია?

— მაშ რაღა დამრჩენია? — ნაღვლიანად წარმოსთქვა ილიამ და განზე გაიხედა.

სიბრალულით გული ამომიჯდა და თვალებზე ცრემლი მომადგა.

მამას შევხედე. ჩემდა გასაკვირად, მამას ილია არ ებრალებოდა, დამცინავი ზიზღით უყურებდა.

ერთბაშად გაქრა ილიასადმი ჩემი სიბრალული. მეც გადმომედო მამაჩემის განწყობილება.

— შენი და დაგავიწყდა? — ნართაული გულითადობით ჰკითხა ილიას ლუკომსკიმ. — იმისათვისაც ხომ საჭიროა ერთი ტყვიის შოვნა!

— ეს კიდევ მასხარად მიგდებს! — ძლივს ამოთქვა ილიამ, რომელსაც ჰაერი, მართლაც, აღარ ჰყოფნიდა.

მე, შოთა და რუსუდანი თავს ძლივს ვიკავებდით, რომ სიცილი არ წაგვსკდომოდა. ალბათ დიდხანს ვერ გავძლებდით ასე მამას რომ არ ეთქვა:

— მართალი თქვი, ედმუნდ... ბოლშევიკებზე გაბრაზებული, ახლა ილიაზე ანთხევ მთელ ბოღმას.

— დიახ!.. — უცებ გულახდილად თქვა ლუკომსკიმ. — მაგაზე ნაკლები არ დამიკარგავს! და არც თანაგრძნობას ვთხოვ ვინმეს! ვუძლებ!

რატომღაც ეს უკანასკნელი „ვუძლებ“ ისეთი ფალცეტით გამოუვიდა, რომ ჩვენ სიცილი დავაყარეთ.

დაუყოვნებლივ გაგვაძევეს სასადილოდან.

* * *

რიგში დგომა არც ისე საინტერესოა, როგორც ეს პირველად მოგეჩვენება. ორი-სამი საათის შემდეგ ხალხს აღარაფერი აქვს სალაპარაკო და, ან ჩუმად არიან, ან ისეთ რამეებს ამბობენ, რაც თვითონაც არ აინტერესებთ.

ყველას ეშინია სიბნელეში თავისი რიგის დაკარგვისა და ურთიერთობა აქვთ მხოლოდ მასთან, ვინც მის წინ, ან უკან დგას. პურს მხოლოდ უფროსებს აძლევენ, ჩვენ კი, ბავშვები, ვშველით მათ.

რამდენიმე ხნის შემდეგ სიბნელიდან გამოჩნდა სანდრო, მერე ისევ გაუჩინარდა და ხელახლა მოგვევლინა ნიკოსთან და ანტონთან ერთად. სანდროს დედა და რძალი რიგის დასაწყისში დგანან, პურის დუქნის ახლო. ნიკოს დედა ქუჩის აქეთა მხარესაა, ანტონისა კი თურმე აქვე, დედაჩემთან ახლოს ყოფილა.

ჩვენ ოთხივენი შეიარაღებული ვართ. გუშინ მთელი დღე ვადნობდით საპირფარეშოს ტყვიის მილს და გადამდნარ ტყვიას ვასხამდით თიხის ყალიბებში. საჯიგავები კარგა მძიმე გამოვიდა და ჯიბეები ჩამოქაჩული გვაქვს.

სანდროს სახლის პატრონმა თავისი აივნიდან გასძახა მეზობლებს, რომ ჩვენს ქუჩაზე დახელოვნებული ქურდების ჯგუფი მოქმედებს. საპირფარეშოდან ტყვიის მილებს იპარავენ და ფხიზლად იყავითო.

ჩვენ ხელად ჩავფალით მიწაში მილის მონარჩენი ნაჭერი და სრულიად არხეინად ვუყურებდით სანდროს დიასახლისის განცდებს.

თანდათან თენდებოდა და გვეჩვენებოდა, რომ ირგვლივ ყველაფერი დიდდებოდა და მრავლდებოდა. ჩვენი ქუჩის ყველა მცხოვრები ბევრად უბადრუკი მეჩვენა, განსაკუთრებით კი, ქალები.

ხალხი გვემატებოდა. ვიღაც სქელი, ასე, ოცდაათი წლის ქალი, რომელსაც ნაგანი ჩამოეკიდა და თავზე „ბუდიონოვკა“ ეხურა, წესრიგს ამყარებდა: რიგიდან ჰყრიდა, ვიზედაც ამბობდნენ, რიგში არ დგასო. ცოტა მოშორებით, კირკის ქუჩის კუთხეში, თოფიანი მილიციელი იდგა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, უწვერული, მისი წვრილი კანჭები ისე ლაყლაყებდა ჩექმის განიერ ყელებში, როგორც კოვზი ჩაის ჭიქაში.

ჩვენ ოთხნი, ჯიბეებში ჩაბღუჯული საჯიგავებით, დედების სიახლოვეს ვტრიალებდით, მზად ვიყავით დაგვეცვა ისინი, თუნდაც სიცოცხლის ფასად.

რიგში ბევრი ლტოლვილი ვოლგისპირელი იდგა. ისინი საზარელ ამბებს ყვებოდნენ. ვუსმენდით მათ საშინელ ნაამბობს და რაღაც არა გვჯეროდა, რომ შეიძლებოდა ხალხი შიმშილით დახოცილიყო.

შევამჩნიე, როგორც კი პურზე დაიწყებოდა საუბარი, უეჭველად მკვდრებზეც მოჰყვებოდნენ ლაპარაკს. რა აქვთ საერთო პურსა და სიკვდილს?

როგორც იქნა, დაიწყო ხალხმა ფურნიდან გამოსვლა. თითქმის ყველას გულში ჩაკრული მოჰქონდა პური და როგორღაც უხერხულად იგერიებდნენ მათხოვრის გამოწვდილ ხელებს.

მე და დედა სულ ვშიშობდით, გვერგებოდა თუ არა პური, თუმცა ჩვენს უკან ორჯერ მეტი ხალხი იდგა, ვიდრე წინ.

ყველაზე საინტერესო ფურნესთან ყოფნა იყო, და ჩვენ, ბიჭები, იქითკენ წავედით.

ერთმა ძალზე გამხდარმა, გაუპარსავმა, გუდალა-თვალებიანმა კაცმა რამდენიმეჯერ უხერხულად გაიშვირა ხელი სამოწყალოდ, მერე კი იდგა მხოლოდ და ხარბად ისუნთქავდა ახალგამომცხვარ პურის სურნელს.

მან ბევრჯერ აარიდა თვალი ჩვენს

დაყინებულ მზერას. შემდეგ კი განზე გავიდა და გაჩერდა.

ჯერ ვერ გავიგეთ, რატომ გაიქცა. მერე, როცა ტროტუარზე წაქცეული ქალის კივილი მოგვესმა, მივხვდით, რომ ქალს პური მოსტაცა.

ძალიან სწრაფად გარბოდა. თუმცა ცალი ფეხით კოჭლობდა და ალბათ ამიტომაც სასაცილოდ იქნევდა თავისუფალ ხელს.

— დაიჭი!.. დაიჭირეთ! ქურდია!.. დაიჭირეთ!.. — იხუვლა ხალხმა, ის კი გარბოდა გრძელ, უკაცრიელ ქუჩაში.

— გაჩერდი!.. გაჩერდი, თორემ გესვრი!

ახალგაზრდა მილიციელი შედგა, რაკი დადევნება უნაყოფოდ მიიჩნია, და თოფი მოიმარჯვა.

— ესროლე რაღა, ესროლე! — ყვიროდა ჩვენი მეზობელი „ანგლიჩანკა“.

გაისმა სროლის ხმა და გაქცეულმა თითქოს მიწაში ჩაყვინთა.

— ოჰ! — შესძახა მილიციელმა და მისკენ გაიქცა. ჩვენც უკან დავედევნეთ. მოკლული პირქვე იწვა ქვაფენილზე. კეფიდან სისხლი სდიოდა.

— მე ფეხებში ვუმიზნებდი! — თქვა ცარცივით გაფითრებულმა მილიციელმა და ატირდა.

ვიღაცამ გადააბრუნა მოკლული. მას მარცხენა ხელით ისევ მიკრული ჰქონდა გულზე პური, მოკრუნჩხული თითებით მაგრად ჩაებღუჯა პურის ყუა.

უკან მაგდებდნენ. ხელსა მკრავდნენ, მაგრამ მოკლულს მაინც ვერ ვშორდებოდი. — ეს როგორ?.. ეს-ეს არის ცოცხალი იყო!

ვიღაცამ ხელი ჩამავლო და გამწია. დედა იყო. ბიჭები უკან გამომყვნენ და კინაღამ გავლახეთ ვიღაც ჩია მოხუცი, რომელსაც დედაჩემის რიგი დაეჭირა.

* * *

უბედური კოჭლის სიკვდილმა ძალზე შეგვაშფოთა.

— მილიციელს, რასაკვირველია, უნდა ესროლა. — თქვა სანდრომ. იმიტომ მისცეს თოფი, რომ ისროლოს!

— და ხალხი ხოცოს?! — გაბრაზდა ანტონი.

— რასაკვირველია, — სხვანაირად ვერც გაეგო სანდროს.

— ეგ „ანგლიჩანკა“ რომ არა, არც ესროდა! — ვთქვი მე.

— არა, არ ესროდა! — დამეთანხმა ანტონი.

თუმცა მაშინ ლადო არ შესწრებია ამ ამბავს, მაგრამ იმანაც ჩვენსავით შეიძულა „ანგლიჩანკა“. ერთხმად დავასკვენით, რომ კაცი მისი წაქეზებით მოჰკლეს.

ეს ქალი ჩვენს ქუჩაზე „ანგლიჩანკად“ იმიტომ მონათლეს, რომ ინგლისელების ოკუპაციის დროს ინგლისელ ოფიცერს გაჰყვა. უფრო სწორი იქნებოდა, რომ სიტყვა „გაჰყვას“ შემდეგ დაგვემატებინა „ცოლად“, მაგრამ არავინ იცოდა, იყვნენ თუ არა ისინი ეკლესიაში. ყოველ შემთხვევაში, „ანგლიჩანკა“ უნდა წაჰყოლოდა ქმარს ინგლისში და თან დედაც წაეყვანა. რასაკვირველია, ამის შემდეგ მას თავი ამაყად და ამპარტავნულად ეჭირა, ვითომც ნამდვილად ინგლისელი ლედი ყოფილიყოს. ძალიან ბევრი შოკოლადი და სხვა სურსათი ჰქონდა.

ადრე „ანგლიჩანკა“ მაღალი და უფრო ლამაზი იყო, ვიდრე ახლაა, მისი ქმარი კი პატარა ტანის, სახედაზღმურდლული და ძალზე ულაზათო გახლდათ. სამაგიეროდ, ჩამომავლობით წმინდა სისხლის ინგლისელი იყო. მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. სიდედრმაც კი სიძის სიყვარულით თმები უქროსფრად შეიღება და ერთთავად ამბობდა ხოლმე: „ჩვენთან, ლონდონში“. „ჩვენებური ინგლისური წესების მიხედვით“, ან „ჩვენ ისე გვენატრება ლონდონის ნისლი“, თუმცა არასოდეს არ ყოფილა იქ. დედაც და შვილიც იმდენად „გაინგლისელდნენ“, რომ, როცა ერთმა ქართველმა ოჯახში ქალიშვილის გასაუპატიურებლად შევარდნილი ინგლისელი ჯარისკაცი მოჰკლა, ასე ამბობდნენ:

— ეს რა აზიური ჩვეულებაა!

როცა ინგლისელების წასვლის დღეც

დადგა, მათი „ცოლების“ გასაცილებლად სადგურზე უამრავი ხალხი შეიკრიბა. სანდროს ძმა „ანგლიჩანკას“ ბარგის ზიდვაში შველოდა. მე და სანდრო კი მას მივეტმასნეთ. ეს იყო დიდი ხნის წინათ, მაგრამ ისე მახსოვს, თითქოს გუშინ მომხდარიყოს.

ყველაზე ბოლოს ცოლიანი ინგლისელების მატარებელი გადიოდა.

ოფიცრებმა ჯენტლმენური თავაზიანობით რბილ ვაგონებში ჩასხეს თავიანთი „ცოლები“, მათ შორის ბევრნი უკვე ფეხმძიმენი. თვითონ კი, გენერლის ბრძანების თანახმად, ჯერ ბაქანზე დაეწყვნენ. შემდეგ კი მატარებლის შემადგენლობის თავში მდგარ ვაგონებში ავიდნენ. რაც არ უნდა იყოს, ისინი სამხედროები იყვნენ...

გულისამაჩუყებელი სცენის მოწმე გავხდი მიმავალი ქალების მშობლებთან და მეგობრებთან გამოთხოვებისას.

ჩვენი „ანგლიჩანკა“ ფანჯარასთან იჯდა და ლაიკის ხელთათმანიან ხელს აქნევდა, ხანდახან კი თვალებთან ცხვირსახოცი მიჰქონდა. იგი განიცდიდა „ინგლისურად“, თავდაჭერილად. სამაგიეროდ, ძალზე ხმაურობდა დედამისი. ფანჯარასთან მჯდარ თავის ქალიშვილს ზევიდან გადმოჰყურებოდა და მეზობლებს ინგლისიდან საკოსტუმე ქსოვილების გადმოგზავნას ჰპირდებოდა, ხოლო დანარჩენ გამცილებლებს — წინდებსა და პარფიუმერიას. კიდევ ბევრ სხვა რამესაც დაჰპირდებოდა. მაგრამ განრისხებულმა ქალიშვილმა ხელისკვრით მოაშორა ფანჯარას, თვითონ კი ნაღვლიანად, მაგრამ ძალიან „არისტოკრატულად“ ისევ განაგრძობდა ღიმილს.

მესამე ზარი რომ დაჰკრეს. ატყდა ბაქანზე ხელსახოცების, ხოლო ვაგონის ფანჯრებიდან მირთმეული ყვავილების თაიგულების ქნევა. მიმავალნი და გამცილებელნი იცრემლებოდნენ.

გაისმა საყვირის ხმა. ლოკომოტივი ორთქლში გაეხვია. ორთქლმავალმა. როგორც იქნა, დასძრა მატარებელი.

მაგრამ ეს რა უცნაურობაა? ორთქლმავალმა გაიყოლა მხოლოდ ის ვაგონები. რომლებშიც ინგლისელები ისხდნენ... მათი „ცოლების“ ვაგონები კი იქვე დარჩნენ.

ბიბლიოთეკა

ვილაცას გადაეხსნა ინგლისელთა „ცოლების“ ვაგონები. ადგილიდან დაძრული „ქმრებიანი“ შემადგენლობა კი უმატებდა სიჩქარეს და მალე თვალსაც მიეფარა. გალიებში გამომწყვდეული მაიმუნებივით აწრიალდნენ ვაგონებში დატოვებული „ცოლები“, მაგრამ გარეთ არ გამოდიოდნენ, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ეს რაღაც შეცდომა იყო და მატარებლის დაძრული ნახევარი უკანვე დაბრუნდებოდა!..

აი, რატომ შეარქვეს ჩვენს მეზობელს „ანგლიჩანკა“.

გაზაფხული გავიდა და მეცადინეობა დაგვეწყო.

კლასში გამოგვერივნენ წვერულვაშიანი და შეიარაღებული მოწაფეები. ისინი მერხზე ვერ ეტეოდნენ და ძალიან ცუდად სწავლობდნენ. მერე როგორც გამოჩნდნენ, ისევე გაქრნენ.

ასევე გაქრა მღვდელიც, საღმრთო სჯულის მასწავლებელი.

— ძალიან კარგი! — თქვა სკოლის დამლაგებელმა. ვასილისამ, — მხოლოდ მჯენარებს ამრავლებდა და ყველგან იფურთხებოდა.

მღვდელი ალერსიანი იყო და უმცროსკლასელებს ძალიან უყვარდათ მისი ტილიანი ანაფორის სახელოებში თავის შეყოფა.

სკოლის შემდეგ მთელ დროს გიმნასტიკას და ფეხბურთს ვანდომებ. გაკვეთილებს შესვენების დროს ვსწავლობ, ან სანიშნარით ვსარგებლობ ხოლმე.

თითქმის ყოველდღე ვჩხუბობ თანაკლასელებთან. უფროსკლასელები ესწრებიან ჩვენს შერკინებას, რათა ყველა წესი იყოს დაცული. კრივის შემდეგ გვაიძულებენ ერთმანეთი გადავკოცნოთ. ხშირად ამას ძალით გვაკეთებინებენ. რადგან დამარცხებული, უმეტეს შემთხვევაში, უარზეა. ისევ საჩხუბრად იწევს. ჯერ არც ერთხელ არ წამიგია და, ალ-

ბათ ამიტომ, დამპირდნენ, რომ მეც წამიყვანდნენ. როცა ჩვენი სკოლა სხვა სკოლასთან საჩხუბრად წავიდოდა.

გულისფანცქალით ველი ამ დღეს... მინდა როგორმე თავი გამოვიჩინო.. მაგრამ როგორ, ისინი ხომ ყველანი ჩემზე უფროსები არიან!

გიმნაზიელებს, რომლებსაც ჩვენ უნდა ვეჩხუბოთ, ჰყავთ თავიანთი სახელოვანი „დამრტყმელები“, ჩვენს სკოლას კი — თავისი.

თუ იმათი ფალავანი თავის დარტყმით წყალსადინარ მილს მისჭყლეტავს ხოლმე, სამაგიეროდ ჩვენც გვყავს ისეთი. რომელიც თავის დარტყმით საპირფარეშოს კარებს ამტვრევს.

მაგრამ ეს მხოლოდ „სახელგანთქმულებია“. ისე კი ბევრნი ჩხუბობენ. უკეთეს „დამრტყმელთა“ შორის ჩემი ძმაცაა, თუმცა პირველი შეხედვით უცოდველი კრავი გეგონებათ.

გაზაფხულამდე ჩხუბის სამზადისში ვიყავით. მინდორზე, რომელიც ჩვენს სასწავლებელსა და იმათ გიმნაზიას ესაზღვრებოდა, ორი ჯგუფი იდგა, ასე, ორმოც-ორმოცი კაცი თითოში, და ისე ეჭირათ თავი. თითქოს ვერც ამჩნევდნენ ერთმანეთს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჩხუბი არავის უნდოდა და, შეიძლება, მართლაც ასე იყო.

კარგად ვიცოდი. რაც უნდა გამეკეთებინა და შოთას ნიშანს ველოდი, მაგრამ ის რატომღაც აჭიანურებდა.

სანდრო და ნიკო ჩემთან იყვნენ. ანტონი და ლადო მოშორებით იდგნენ და ჩვენი ჩანთები ეჭირათ.

როგორც იქნა, შოთამ ნიშანი მომცა და მე, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. სტვენა-სტვენით წაველი მოწინააღმდეგის ბანაკისაკენ.

ყველაფერი დაწესებული ტრადიციების თანახმად მიდიოდა. ჯერ ფეხი დავადგი იმათ წამომწყებს. მეც კარგი თაქი მივიღე კეფაში, მერე ჩხავილითა და ქვითინით გავიწიე საჩხუბრად.

ახლა ჩემი ძმა უნდა მოსულიყო და ეთქვა: „რაო, მოერიე პატარას?!“

მაგრამ შოთამ მღელვარებისაგან ცოტა აურია, ჯერ ალიყური გააწნა მოწინააღმდეგეს და მხოლოდ შემდეგ თქვა ეს სავალდებულო ფრაზა.

ერთ წუთში ჩხუბი გაჩაღდა.

მე. სანდროს და ნიკოს არაქათი გამოგვეცლია, გაჭირვებაში ჩავარდნილ ჩვენიანებს ვეხმარებოდით, წაბორძიკებულ მოწინააღმდეგეებს ძირს ვანარცხებდით, ფეხზე წამოდგომის საშუალებას არ ვაძლევდით. სამივენი ხელით, ფეხით, თავით ვიბრძოდით და უეჭველად სახელს გავითქვამდით. თუ არა მოულოდნელი შემთხვევა:

სანდრომ და ნიკომ, ალბათ, ერთდროულად გადაწყვიტეს თავის დარტყმით მოეღოთ ბოლო გიმნაზიელისათვის, რომელიც ფეხზე წამოდგომას ლამობდა. მე თვალი შევასწარი, რომ გიმნაზიელი ისევ წაწვა, სანდრომ და ნიკომ კი თავი ველარ შეიკავეს, ერთმანეთს შეასკდნენ და წაიქცნენ. ამ ორომტრიალიდან მათი სათითაოდ გამოთრევა მოვინდომე. რომ ფეხქვეშ არ გაეთელათ და, როცა ერთ-ერთი მათგანისაკენ დავიხარე, ვიღაცამ ისე მთხლიშა ცხვირში, რომ წაქცეული სანდრო და ნიკო ჩემ თვალთაგან წამოყრილ ნაპერწკლების შარავანდედში გაეხვივნენ. მე მაინც მოვკარი თვალი გაქცეულ გიმნაზიელს. ეს გახლდათ ჩემი დეიდაშვილი, რომელსაც ოდესღაც დეგენერატი ვუწოდე. მესმოდა. რომ მიშას არ შეეძლო თავის სკოლისათვის ეღალატნა რაღაც ნათესაური გრძნობების გამო... მაგრამ გული მაინც მეტკინა. რადაც არ უნდა დამჯდომოდა. უნდა მეპოვნა მიშა ამ არეულობაში და სამაგიერო მეზღო... მაგრამ ამასობაში გამოჩნდნენ აღელვებული მასწავლებლები მილიციელების თანხლებით. იძულებულები გავხდით. დავფანტულიყავით.

ჩხუბის შემდეგ შევამჩნიე, რომ ცხვირი მეზრდება. ცხვირი რომ მტკიოდა, ეს არ გამკვირვებია; საერთოდ ყველაფერი მტკიოდა, ოღონდ ცხვირი პირდაპირ თვალდათვალ მატულობდა, თანაც ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს საფანტით ყოფილიყოს გატენილი... და თავის

ყოველ მობრუნებაზე მაგონებდა, რომ საფანტი ძალიან მძიმეა! არანაკლებ მამძიმებდა იმის გაფიქრება, რომ ახლა ანტონი თამარს კუდში დევნას დაუწყებდა.

შოთას ტუჩი ჰქონდა გახეთქილი და თითქმის ნახევრამდე ახლეჩოდა ყური. მიუხედავად ამისა, თავს ძალიან მხნედ ვგრძნობდით. ბრძოლის ველმა დაგვაახლოვა და დაგვამეგობრა.

საღამოთი. ვახშმობისას, შოთა უყვებოდა დედას დღევანდელ ამბავს. მამა მივლინებაში იყო.

— სკოლა სკოლის წინააღმდეგ მიდიოდა. მხდალი ხომ არა ვარ, უარი მეთქვა!

დედას თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

— წამოდი, ექიმთან წაგიყვან! — მოწიწებით სთხოვა მან შოთას.

მე ჩემი ცხვირი შევაქანე, რომელიც უკვე იმოდენა იყო, თითქოს თავი ება ცხვირს და არა ცხვირი თავს. მაგრამ დედამ ვერაფერი შემნიშნა. სამაგიეროდ, რუსუდანი მიყურებდა ამრეზილად.

— ბიჭების დასახმარებლად დავიხარე. მან კი წიხლი ჩამცხო, — დავიწყე თავის მართლება და გადამავიწყდა კიდეც დედის უყურადღებობა.

— ამისთანა ცხვირის პატრონი არ უნდა დაიხარო, ვაი, თუ მერე ველარ გასწორდე! — გამკილა რუსუდანმა.

— კიდევ ერთი სიტყვა!... და შენი ცხვირიც ამის ცხვირს დაემგვანება! — მკაცრად შეაწყვეტინა შოთამ.

რა გასაოცარი ძალაა ძმურ კავშირში!

* * *

მამამ ტახზე სანადიროდ წამიყვანა. შოთას ცუდი ნიშნები ჰქონდა და სახლში დატოვა. ჩემის აზრით. შოთას ეს ამბავი მაინც და მაინც არ უნაღვლია.

ლუკომსკის, მარკოვისა და ილიას გარდა. მატარებელში კიდევ რვა მონადირე იყო. მამაჩემს ყველა პატივსცემს, ამიტომ მეც მელოლიავებოდნენ და სახლიდან წამოღებულ ტკბილეულს უხვად მთავაზობდნენ. ასე მხიარული მამა არასოდეს მენახა.

სადგურზე ღამით ჩავედით. ბარგი ურემზე დავტვირთეთ და გავემართეთ შავად ჩაბნელებულ ყარაიის ტყით.

მე ვცდილობდი, მამისათვის ამეწყო ფეხი და ერთთავად ვისწორებდი მხრიდან ჩამოცურებულ თოფის თასმას. დიდხანს ვიარეთ და, როცა ტყიდან კარგა მანძილზე გავედით, ღამის გასათევი კარვები გავშალეთ.

განთიადისას გამომეღვიძა. ყველანი უკვე ფეხზე იყვნენ. მამა ელაპარაკებოდა სამ თათარს, რომლებიც ყაჩაღებს ჩამოგავდნენ; მათ მარეკები უნდა მოეყვანათ.

სანადირო სკამზე ჩამომჯდარი ლუკომსკი უკვე რაღაცას შეექცეოდა. ზოგი პირს იბანდა. სხვანი ბუდეებიდან თოფებს იღებდნენ და სავაზნე ფალასკებს ამოწმებდნენ.

კოცონზე რამდენიმე ჩაიდანი ეკიდა. პატარა ქედზე ავედი. ველზე სქელი ნისლი გაწოლილიყო. ნელნელა იწევდა ზევით, ფთილებად იძენძებოდა და დნებოდა. შორს. ლელიანებში მტკვრის ტყვიისფერი, მორუხო ზოლი ჩანდა. ფართოდ გაშლილი ველი მაღალი ჯაგნარით იყო დაფენილი, რომელთა შორის. აქა-იქ, როგორც ცხვრის ფარაში აქლემები, განმარტოებული ხეები აწოწილიყვნენ. ტყე, საიდანაც ჩვენ წუხელ გამოვედით, ნისლში შავად მოჩანდა. მტკვრის გაღმა ნაპირი შიშველი იყო და იმის იქით, თითქოს ცას ებჯინებიანო. ძლივს ჩანდა მტრედისფერი მთები.

უეცრად ყველაზე მაღალი მთის თხემი ოქროსფერი გახდა... მერე ოქროსფერი დაეფინა მეორე, მესამე მწვერვალს. მზის სხივებით დაფერილები, თითქოს გვიახლოვდებოდნენ და თანდათან დიდდებოდნენ. ვერცხლისფრად აბრჭყვიალდა მტკვარი და, წეღან რომ ველი მთლიანად ჯაგნარით დაფარული მეჩვენა, ახლა თვალი არჩევდა ალაგ-ალაგ მიტოვებულ კორდებს. ყველაფე-

რი გაცოცხლდა და ახმაურდა. ჭიკჭიკი, კუტკუტი, ქივქივი და სტვენა ისმოდა ირგვლივ.

ბანაკიდან ჯერ ხმამაღალი ლაპარაკი, მერე ყვირილი მომესმა. ილია მარეკებს ედავებოდა. მამაჩემთან შეთანხმებული სამი თათარი წასულა. მაგრამ მერე გადაუწყვეტიათ, გასამრჯელო მეტი მოვთხოვოთო და ახლა უკვე ექვსნი დაბრუნებულან. საქმეში მამაჩემი ჩაერია და ყველაფერი მოგვარდა.

ტახზე ნადირობისას თვითეული მონადირე განკუთვნილ ნომერზე ზის. მარეკები კი მათკენ ერეკებიან ნადირს.

გრძელ მწკრივად ვისხედით დიდ ველზე და მივჩერებოდით გაშლილ ჯაგნარს. ჩვენგან მარჯვნივ მტკვარი დიოდა.

მე ილიასა და მარკოვს შუა მიმიჩინეს ადგილი. მარკოვის მარცხნივ იჯდა უზარმაზარი ლუკომსკი: მამა შორს, მარცხნივ იყო, მაგრამ მაინც შევამჩნიე, რომ რამდენიმეჯერ მოიხედა ჩემკენ. მამაჩემის სახეს ვერ ვარჩევდი.

ილიამ მკაცრად ამიხსნა, რა უნდა მეკეთებინა და საითკენ მქონოდა სროლის უფლება. მე მზად მეჭირა „კაჟიანი" გატენილი ოცყალიბიანი თოფი. დრო ძალზე ნელა გადიოდა, ცოტა ვღელავდი კიდეც. კარგად ვისროდი, მაგრამ გარეული ღორი ხომ მწყერი არაა!

ხანდახან მელანდებოდა, რომ ბედის წყალობით მე ყველაზე დიდ ტახს მოვკლავდი. მერე მომცროზედაც ყაბულს ვიყავი.

თვალი შევასწარი, რომ ჩემი თოფის ლულა ჰაერში მრუდეებს ხაზავდა. თურმე ხელი მიკანკალებდა. თოფი მაგრად ჩავბღუჯე და ისე მოვიმარჯვე, როგორც მარკოვს ჰქონდა მომარჯვებული: კონდახი მუხლებს შორის დავიკავე, ლულა ზემოთ იყო აშვერილი, ხელი ჩახმახზე მედო.

შორიდან უკვე მოისმოდა სარეკელას ხმაური, ყვირილი და შეძახილები. ხმაური ძლიერდებოდა, მარეკები გვიახლოვდებოდნენ.

მარცხნიდან სროლა მოისმა: ერთი, მეორე, მესამე. შემდეგ მარკოვმა ესროლა ტახს, რომელსაც ლუკომსკიმ ააცდინა. ტახი დაეცა, წამოხტა, მაგრამ იქვე დასცა მეორე გასროლამ.

უეცრად ჯაგნარიდან ლაწუნით გამოვარდა ტახი, პირდაპირ ჩემკენ გამოეშურა. უზარმაზარი და საშინელი იყო. თოფი არც კი მომიმარჯვნია, ისევე გამოვკარი ჩახმახს და ერთი-მეორეზე გავგზავნე ტყვიები ზემოთ. ტახმა მარცხნივ გაუხვია და მტკვრისკენ გაქანდა. საწყენიც კი იყო. ისე დიდხანს უმიზნებდა ილია, როგორც იქნა. ესროლა. ტახი დაბორიალდა და დაეცა. მარცხნიდან კიდევ ისმოდა სროლა. მერე უცებ, მარჯვნივ, ორი ტახი ერთად გამოვარდა. ორივეს ესროლეს. მომცრო დაეცა, დიდი კი დგაფუნით შევარდა მტკვარში. მე თოფის გატენა დამავიწყდა და შევცქეროდი, როგორ მიცურავდა ტახი წყალუხვ მტკვარზე. წყლიდან მხოლოდ მისი ჯაგრიანი ზურგი მოჩანდა. ტახმა მტკვარი გადასცურა, ნელნელა აფორთხდა ბექზე და მიიმალა.

ნადირობა დასრულდა. ძალიან მინდოდა შემეტყო, შენიშნეს თუ არა მარკოვმა და ილიამ ჩემი დაბნეულობა.

სულ ცხრა ღორი მოვინადირეთ. სამი მამაჩემის მოკლული იყო. ამან კიდევ უფრო განმიმტკიცა აზრი, რომ მამაჩემს ბადალი არ ჰყავდა.

შინ დიდი ზეიმით დავბრუნდით. ნადავლიდან მეც მერგო წილი.

თვალებდაჭყეტილები და სულგაკმენდილები მისმენდნენ ჩემი მეგობრები. ვუამბე, რა გულგრილად მოვუშვი ორი მეტრის მანძილზე ტახი და მარჯვე სროლით როგორ მოვუღე ბოლო, როგორ გადატრიალდა ჰაერში, როგორ გადმომისხაპუნა უკანა ფეხები მუხლებზე... და რომ ეს იყო ყველაზე დიდი და საშინელი ტახი. ამის დასტურად მთელი ჩემი წილი ნანადირევი მათ მოვუკითხე.

— მაგრამ ეს ხომ... მამაშენზე ეწერა შარშან. ჟურნალ „მონადირეში?!"—მორიდებით წამჩურჩულა ანტონმა. ძალიან ეუხერხულებოდა ტყუილში ჩემი დაჭე-

რა. რადგან უნდოდა სახლში წაეღო სამწვადე.

ანტონი გვერდზე გავიყვანე.

— მერე რა?! მამაჩემზე ეწერა! მამაჩემზე და არა მამაშენზე!

— კი მაგრამ...

— როგორც გინდა... იქნებ თქვენებს არ უყვართ ღორის მწვადები?..

— რა ამბავია? — შორიდან იკითხა ნიკომ.

— არაფერი!.. მე ვეუბნები, რომ შემდეგში უფრო ფრთხილად იყავი-მეთქი! — უპასუხა ანტონმა.

ამ სიტყვებით მან პატიოსნად დაიმსახურა სამწვადე, თუმცა ძალიან მეჯავრება, როცა ცრუობენ

* * *

ეროვნული

მოხდა ის, რისაც მეშინოდა! მერაბმა და რუსუდანმა ჩემი დღიური წაიკითხეს. ახლა დამცინიან. განსაკუთრებით ხშირად მიხსენებენ ნადირობასა და თამარისადმი სიყვარულს. თავიანთ თავზე კარგი არაფერი ამოუკითხავთ და ამიტომ არის, რომ ასე გაათრებით მომცვივდნენ.

მამას რომ შეეტყო, ყველაფერს ბოლო მოეღებოდა, მაგრამ არ მიყვარს ჩივილი.

იმდენად საწყენია, რომ...

მორჩა. მეტს აღარ დავწერ. არასოდეს!...

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ალ. ქუთათელი

# ზ ღ ვ ა ს თ ა ნ

### I

ღელავს, ღრიალებს ლაღი სტიქია
შმაგი ტალღებით ფაფარაყრილი.
ზღვა ნაპირს უტევს. ის სასტიკია,
უნდო, გულგრილი და გასაკვირი.
სიტყვაც ზღვა არის, მსურს
                    დავიურვო,
ვით ბედაური დაუდალავი
და იგი რომ არ გავატყიურო,
უნდა ამოვდო რკინის ლაგამი.
ვერ დავიურვე სიტყვა ქართული,
სიტყვა ზღვასავით დაუშრეტელი,
ყალყზე შემდგარი და შემართული,
ჟამით უძლევი, რკინის მკვნეტელი.
ვერ დავიურვე ლექსში მგოსანმა
ათას ქვემეხის გრგვინვა გაბმული,
განა მიმღერის ხმატკბილ ოსანას
უშველებელი ტალღის დგაფუნი!
გუგუნებს, გმინავს, ქვაბი ვეება,
შიგ ჩაკუპრული ტორტმანებს ფისი,
ზღვა ბობოქარი ხმელეთს შეება,
რათა შემუსროს კარიბჭე მისი.
გადავცქეროდი, ცეცხლის მოდებით,
ბრძოლის ასპარეზს ლამენათევი,
ზღვაში ეყარნენ კლდეთა ლოდები,
ვით განგმირული გოლიათები.
მაგონდებოდა ძველი ქალაქი —
ან ჩაძირული დიოსკურია,
მშობელი ქვეყნის ტურფა ალაგი,
რომლის დიდების ხილვა მწყურია.
დანგრეულიყო მტკიცე ქვითკირი.
გულს მიღონებდა შავ ზღვის
                    კვარჩხალი,
ყრუ-მუნჯ ქვიშაზე ტალღის ქვითინი
და ყვავ-ყორნების ხმა დანაჩხავლი.
მაინც არ დარჩა ჩამოქცეული
ციხე-ქალაქი, დამბა, კაშხალი
და მყის განიბნა უკუქცეული,
დამარცხებული ტალღის ლაშქარი.

### II

გამოიდარა, დღეა მზიანი.
ცის და ზღვის ფერიც თანატოლია.
მხიბლავს ცისფერი მთები ტყიანი,
გემი, მეგზური მისი თოლია.
გემია ჩვენი ცხოვრების ხატი,
მგოსნის ხატი კი ლაღი თოლია,
მასაც აშინებს უდაბნოს ხვატი,
ზღვის ქვენა ქარი, შმაგი ბორია.
მორჩა შავი ზღვის ორომტრიალი,
ლურჯად ლივლივებს ზღვა
                    მოსარკული
და მხიბლავს მწვანე მთები ტყიანი,
ლაღი თოლია ტალღას გაკრული.
ზღვა უხილავის ხელით შობილი,
ჩანს დახატული ჯადოსნურ ფუნჯით,
თეთრი მაქმანით შემოქობილი,
ქოლგა გაშლილი, ვეება, ლურჯი.
ზღვაზე განიბნა ნავზიკაიას
ნაზი კისკისი, წყალში ჭყუმპალი
და ტანზე აზის წვეთი დაიას,
ვით შეთვალული ყურძნის კუმპალი.
ოდისეოსის ნავით ნატარი
მოველ და მხიბლავს ვარდის უბანი.
მსურს ჭეშმარიტი ვიყო მხატვარი
და ამ მშვენების ჭირისუფალი.
ვთქვი და მომესმა ხმა „დიელოდა“,
ლურჯაც ჭიხვინებს თან შეკაზმული.
თამარ დედოფალს თუ მიელოდა
ზღვა, გემი, ჯარი ფარხმალასხმული!
აღარ მასვენებს ფიქრი ფარული,
ძველი, ნაცნობი ხილვა, გუმანი.
მინდა ედემის მსგავსი მამული
იყოს მარადის თავისუფალი.
მორჩა ძველ ჟამის ორომტრიალი,
ლურჯად ლივლივებს ზღვა
                    მოსარკული
და მეც მშობელი ქვეყნის ტრფიალი
მომაქვს ვაზივით გულში ჩაკრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შალვა აფხაიძე

## ციკლიდან „მცხეთის ხილვანი"

### ფიქრი სვეტიცხოვლის ეზოში

საღამოა და მზე დიდებული
არმაზის მთებში წვება,
შენს კედლებისკენ მოვეშურები,
მწვანე მუხლამდე მწვდება.
შენ შემოგყურებ, და ძველ წარწერებს
შემატებიათ ძალა,
ძველი ფრესკები გადაღლაბნილნი
გულზე მედება ალად.
ნეტავ ვინ იდგა ხარაჩოებზე
და შენს მშვენებას ქმნიდა,
არ აღუნუსხავს მემატიანეს
მათი სახელი წმინდა.
მტერს ვინ შეაკვდა, ვინ დაიღუპა
შენთვის, — არავინ იცის,
მათ ხსოვნას ფარავს მარადიული
მტვერი მშობლიურ მიწის.
რაც წარმავალი იყო შენს ახლოს,
დამარხულია შენთან,
შენსა დიდებას კი უკვდავება
მტკიცედ ინახავს გულში.
შენი გუმბათი არის მაღალი,
და სამყოფელი ღმერთთა.
ვინც ავედრებდა ზენარს შენ შუქურს,
მათ არაფერი დარჩათ,
მათი ძვლებისაც, ნათელ ძვლებისაც
ფერფლის ნასახიც არ ჩანს.
ვინ ამღერებდა მცხეთას გამოთლილს
ძვალის სალამურს ნეტა,
ვინ ჩაატანა მას სამარეში
ის სალამური ბედად.
არავინ იცის, არავინ იცის
წმინდა სახელთა მადლი.
თვითონ მათ ერგოთ განათლულ მიწის
სულ თითო თითო ადლი.
იყვნენ, იტანჯეს თავის ქვეყნისთვის,
მტკიცე პასუხი აგეს,
ოღონდ ესუნთქათ ქვებს აქ
გათლილებს,
სიკვდილის შიში დაგმეს.
მათი სახელი სახელოვანი
არ ჩაწერილა არსად,
თავისუფლების დაცვა დაუჯდათ
თავის სიცოცხლის ფასად.
სხვაც რომ არ გვქონდეს —
სვეტიცხოველიც,
წარსულს გაწვდება ფარად,
ვინც შენ გაშენა — უსახელოებს
ჩვენი მუხლმოყრა მარად.

### არსაკიძის მონოლოგი

ახლა აქ ვდგავარ ხელმოკვეთილი,
ჩემი სიცოცხლის სრულდება ჟამი,
გზას მინათებდა გული კეთილი,
მაინც შემასვეს ფიალით შხამი.
ვის რა წავართვი,
რა ცოდვა მქონდა,
ჩემი ოცნება სხვა ფრთებით ქროდა.
მე მწამდა მხოლოდ ერთი სიმართლე,
მე მწამდა აზრი თავისუფალი,
და არა ძალით თავსმოხვეული,
ის იყო ჩემი მფარველი ფარი, —
სულის ხსნისათვის ბრძოლას ჩვეული.
არა იმიტომ მიხურდა გული,
ჩემი ოსტატი მედიდებინა,
მე ვიყავ ჩემი ზრახვის ერთგული;
ვაგე ტაძარი, როგორც მე მწამდა,
რომ მეტ შუქისთვის მიმეცა ბინა,
არ მდომებია,

არც მიხმარია,
თუ არა ჩემივ სილა და წყალი,
შევღაღადებდი
ჩემს დღეს მზით სავსეს
და ლბილღაწვება ღამეს მთვარიანს.
მწვავდა ბოლნისის ქვის ნაპერწკალი,
ვინ შემეცილა!
რას შემეცილა!

რად მდევდა ყველგან ჯალათი აზრის,
ჯალათი ავი და უხილავი,
როცა მიყვარდა და თვალს მტაცებდა
მშვენების თმებით შეკრული ვაზი.
მე თან დავსდევდი მარადისობას,
მის კვალს ვეძებდი აქა თუ ცაში,
სხვა რამ ოცნება მე არ მქონია,
არ მასვენებდა სულის განგაში
და აქ ვიპოვე ქვის ჰარმონია.
მსურდა ამ ტაძრით ხალხი შემექო,
შემემკო იგი შარავანდედით...
მე ჩემი დროის, მშფოთვარე ჟამის,
ქვეყნის გუგუნის მესმოდა ექო.
არ მომიხრია ბედის წინ ქედი.

ვინ დათვლის, რამდენ ლამაზ
ღვთისმშობელს
მივეც თაღებქვეშ თავშესაფარი,
მოვწმინდე ცრემლი ჩემს
წუთისოფელს,
ახლა მას ფარავს შუქი მარადი
და არა ღრუბლის შავი ფაფარი.
თუ მქონდა ნიჭი,
ჩემს დროს მივეცი,
ამით დასრულდა ოცნების ლხენა,
ეჭვმა დამლახვრა და წავიქეცი,
ძირში მომკვეთა შურმა მარჯვენა.
ახლა აქ ვდგავარ...
გთხოვ, რომ შემინდო
თუ რამ შეგცოდე უფალთ-უფალო.
ჩემი ვარსკვლავი ისევ შენა ხარ,
კაცის გონებავ თავისუფალო.
ჩემი სიცოცხლის სრულდება ჟამი,
აწ მზე დარჩება ჩემთვის დახშული.
მაინც არ ვგოდებ: გულს დამეყრება
მიწა ჩემს სისხლში
გამოხარშული.

## მინაწერი

შენ ჩვენი ქვეყნის იყავ მხედარი,
შენ ხეკორძულას შეგისვამს წყალი,
მე სვეტიცხოვლის ჩამესმის ზარი,
მისი კედლების მწვავს ნაპერწკალი,
გუგუნებს ზარი,
უფრო ძლიერად გუგუნებს ზარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თამაზ ჭილაძე

# აჰა, მიიწურა ზამთარი

**რომანი**

ნაწილი მეორე

### 10. გიორგი უგრეხელიძის თხუთმეტი წუთი

გიორგი უგრეხელიძე აბაზანის ოთახში, სარკის წინ პირს იპარსავდა. ელენეს, თორნიკესა და ლიზიკოს ჯერ კიდევ ეძინათ.

გიორგი დარწმუნებული იყო, რომ არავინ უსმენდა, ამიტომ მხიარულად ღიღინებდა. ეს ღიღინი მისი ოჯახის რომელიმე წევრს შემთხვევით რომ მოესმინა, ალბათ, ძალიან გაუკვირდებოდა.

გიორგი ახლა მარტო იყო. სიმარტოვე მისთვის თავისუფლებას უდრიდა. თავისუფალი კი ის მხოლოდ დილით, აბაზანის ოთახში იყო. აქ მას ვერავინ ხედავდა.

გიორგი უგრეხელიძე სახეს უცნაურად, ათასნაირად მანჭავდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, თავისთავს სარკეში ენასაც კი უყოფდა. თავისუფლების ეს თხუთმეტი წუთი გიორგის ყველაფერზე მეტად უყვარდა. შეიძლება ამიტომაც კი დგებოდა ასე ადრე. მას პირი უკვე გაეპარსა. ახლა კანს ორი თითით ჰიმავდა და ზედ სამართებელს ფრთხილად უსვამდა. სიამოვნებდა, მოქნილსა და რეზინასავით დაჭიმულ კანზე ცივი ფოლადის შეხებას რომ გრძნობდა. უხაროდა, რომ ასეთი მოქნილი პირის კანი ჰქონდა, თუმცა აგერ ოცდაათ წელზე მეტია, გრიმს იკეთებდა.

გიორგი უგრეხელიძე ორმოცდათვრამეტი წლისა იყო!

ორი წელიც და მას, ალბათ, იუბილეს გადაუხდიდნენ. გარეთ, თანამშრომლებთან თუ სხვა ნაცნობებთან ამ იუბილესთვის ყოველთვის მზად იყო. შეფერებული ჰქონდა. „თუ შენი თავი შენ თვითონვე არ დააფასე, სხვა უფრო არ დაგაფასებს, — ამბობდა გულში გიორგი, — რაც არ უნდა მაღალი ჯილდო მოგცენ, არ გაგიკვირდეს. იცოდე, მისი ღირსი ხარ! თავმდაბლებს პატივს არ სცემენ. თავმდაბლობა გენიოსების თვისებაა, გენიოსები კი აღარ იბადებიან!“

ოღონდ შინ, როცა ასე მარტო რჩებოდა, უკვირდა, რომ მალე სამოცი წლისა უნდა .გამხდარიყო. ჭაბუკივით ენერგიითა და სურვილებით იყო სავსე. არც დაღლილობას გრძნობდა, არც ავადმყოფობას უჩიოდა. გული არც კი იცოდა, ჰქონდა თუ არა. შეეძლო კიბეზე სირბილით ასულიყო. ბიჭივით ეცურავა, ეცეკვა, ღამეები გაეტეხა. მაგრამ ეს მხოლოდ მან ერთმა იცოდა!

სხვებთან ის ოდნავ მოტეხილი, უამრავი საქმით დატვირთული კაცის იერს ატარებდა. სწორედ ისეთს, მის ასაკს რომ შეეფერებოდა.

გიორგი ახლა წელზევით შიშველი იყო. დაუფარავი სიამოვნებით უყურებდა თავის სხეულს, დაძარღვულ,

* დასასრული. იხ. „მნათობი“, № 3.

კუნთებიან მკლავებს, განიერ მკერდს, ჭადარაგარეულ ბალანს რომ დაეფარა. თეთრსა და მაღალ ყელს საიმედოდ და მტკიცედ ეჭირა მისი მრგვალი, პატარა თავი. თმა ისეთი ჯიუტი და ხშირი ჰქონდა, შიგ სავარცხელი ტკაცუნობდა.

„ჰა-ჰა-ჰა-ჰა, — იცინოდა გიორგი თავისთვის, — მე ხომ სრულიად ახალგაზრდა ვარ! თორნიკეზეც უფრო ახალგაზრდა!"

ღიღინიდან სიმღერაზე გადავიდა. ხმას ნელ-ნელა უწევდა, თითქოს ხედავდა, როგორ ამოდიოდა ყელიდან ბგერა, როგორ იზრდებოდა და ბზინავდა საპნის ბუშტივით. ეს მბზინავი ბუშტები დაფარფატებდნენ ირგვლივ. თითქოს ეძახდნენ, თავისკენ ეწეოდნენ თავისივე მსგავს სხვა უამრავ ბგერას, ფილტვების კრიალა დარბაზებში რომ იბადებოდნენ და ამ ძახილით გათამამებულები, ზევითა და ზევით მიილტვოდნენ.

გიორგი პაპიროსს არ სწევდა! არც ღვინოს სვამდა!

„აჰ, — მღეროდა ის თითქოს, — აჰ, როგორი ახალგაზრდა ვარ!"

მერე სამართებელი დაკეცა და თაროზე დადო. ონკანი მოუშვა. წყლის ნაკადს ორივე პეშვი შეუშვირა და წყალი სახეზე შეისხა. მერე სველი ხელები კისერსა და მხრებზეც მოისვა.

„ოჰ, ოჰ, ოჰ, — ნეტარებისაგან ფრუტუნებდა გიორგი, — იუბილე... იუბილე..."

მერე ხმას მოუწვრილა და თითქმის კრინით წაიმღერა:

— იუბი-ლე-ე-ე-ე!

თითქოს ვიღაცეებს დასცინოდა, იმიტომ, რომ ატყუებდა და ვერ კი ამჩნევდნენ. განა შეიძლებოდა ასეთი ახალგაზრდა კაცისთვის იუბილეს გადახდა? თუმცა, ვინ რა იცის, რომ მე ახალგაზრდა ვარ? არც არის საჭირო! ესეც წაიმღერა:

— სა-ჭი-რო-ო-ო-ო!

ასეთი მხიარული იყო ყოველ დილით. ასევე იქნებოდა, ალბათ, მუდამ... დიდხანს... ძალიან დიდხანს...

მას წესით ჰამლეტის როლი უნდა ეთამაშა. თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, ითამაშებდა კიდეც. მაგრამ სხვებს მოერიდა. იმათ ხომ ის უკვე მოხუცებული ჰგონიათ? მოხუცებული...

არა, ჰამლეტის როლს ხელმწიფისა ერჩივნა. ასარჩევად რომ ყოფილიყო, მაინც ხელმწიფის როლს აირჩევდა. იმიტომ, რომ უფრო სოლიდური იყო. მას ჰამლეტი არ უყვარდა. ალბათ, ისევე, როგორც პიესაში ხელმწიფეს — თავისი ძმისწული. გიორგი ჰამლეტს მეტიჩარა, თავქარიან ყმაწვილს ეძახდა, რომლის მსგავსი დღესაც უამრავი დაძრწოდა ქუჩაში. ისინი აღიზიანებდნენ თავიანთი ზედმეტი სითამამითა და ცნობისმოყვარეობით.

„არა, თორნიკე სულ სხვანაირია, — ფიქრობდა გიორგი, — თორნიკე მე მგავს. თუმცა მე მასზე ახალგაზრდა ვარ. ნამდვილი ახალგაზრდა მე გახლავართ. რა გგონიათ თქვენ ახალგაზრდობა? ეჭვი? ჰა-ჰა-ჰა-ჰა! სიყვარული? ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ოცნება? არა, თორნიკე მე მგავს..."

მერე თავისი მეუღლე ელენე გაახსენდა. ის ჯერ კიდევ ლოგინში იწვა. პირაღმა, გაჭიმული.

დაბერდა! რა უცებ, მოულოდნელად, შეუმჩნევლად დაბერდა ელენე! გიორგის ამის გაფიქრება სინანულთან ერთად უნებურ სიხარულსაც ანიჭებდა: აი, ელენე დაბერდა, თვითონ კი...

რა თქმა უნდა, ელენე ჯერ ვერ გრძნობდა, რომ დაბერდა. ის ქალები, რომელთაც შვილების გაზრდაზე ჯაფა არ დადგომიათ, სიბერეს ადვილად ვერ ურიგდებიან. თუმცა გამუდმებით სარკის წინ სხედან, მაინც ვერაფერს ხედავენ. არც ნაოჭი, არც უცაბედად მომრავლებული ჭაღარა მათ არაფერსეუბნება. სიბერე თითქოს მხოლოდ სხვებისთვისაა მოგონილი. ქათინაურები, ისინი რომ ხშირად ისმენენ, მათთვის პირდაპირი მნიშვნელობით ჟღერს. სიტყვის უკან არ იხედებიან, არც ცდილობენ, გადაიხედონ. რისი დაჯერებაც უნდათ, იმას იჯერებენ.

დრო კი გარბის. აი, თორნიკე ოცდაათი წლის გახდა. რა იყო გიორგი ოცდაათი წლისა? არაფერი. ერთი საწყალი მსახიობი.

მსახიობი!

ეს სიტყვა მას უცნაურად შეაძრწუნებდა ხოლმე.

„წარმოგიდგენია, უბრალო მსახიობად რომ დავრჩენილიყავი!“

უბრალო მსახიობი...

ნელ-ნელა, ჯიუტად, დაჯერებულად მიიწევდა წინ:

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი!

რესპუბლიკის სახალხო არტისტი!

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი!

თეატრის დირექტორი! —ეს მაინც ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად ისმოდა:

დირექტორი!

დირექტორი!

დირექტორი!

სადღაც, ცნობიერების რომელიღაც კუნჭულში, დოლებისა და საყვირების ხმაურში ვიღაც განუწყვეტლივ აღტაცებული იძახდა:

— სახალხო არტისტი! თეატრის დირექტორი!

იმის წარმოდგენა, რომ შეიძლება უბრალო მსახიობად დარჩენილიყო, შიშით ავსებდა ხოლმე.

მან იცოდა, რომ ადმინისტრაციული თანამდებობისათვის იყო გაჩენილი და არა ხელოვნებისთვის.

მაგრამ ეს მხოლოდ მან იცოდა!

ოცდაათი წლის თორნიკე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა. თქმა არ უნდა, ის კიდევ წინ წავა. წარმოგიდგენიათ, თორნიკე უბრალო ექიმი რომ ყოფილიყო, უბრალო უბნის ექიმი. არა, თორნიკე უბნის ექიმად არ იმუშავებდა.

„მე მგავს, — ფიქრობდა გიორგი, — წინ წავა. უსათუოდ მინისტრი გახდება! ჯერ ყველაფერი წინ არის“.

ელენე კი დაბერდა. ელენე კი არა, თორნიკესაც თმა თითქმის გაუთეთრდა.

თორნიკე ცდილობს, თავის თანატოლებს არ ჰგავდეს, არაფრით არ ჰგავდეს. ისე ცდილობს, რომ გარეგნულად ორმოც წელზე ნაკლებს არ მისცემ. ორმოცი წელი კი ყველაზე უფრო ხელსაყრელი ასაკია კარგი თანამდებობის მისაღებად.

თორნიკეს ხელს ის უშლის, რომ კოლი არა ჰყავს. ცოლ-შვილი უსათუოდ საჭიროა. უცოლ-შვილო კაცი უნდობლობას იწვევს. თანამდებობა რომ მიილო, არც ერთი ნაკლი არ უნდა გქონდეს.

„ელენემ მითხრა, თორნიკეს ნინიკო მოსწონსო. უცნაურია, რაღა მაინც და მაინც ნინიკო მოეწონა? გოგოების მეტი რა არის?.. თუმცა რა უშავს... ეს შეიძლება უკეთესიც კი იყოს. ოღონდ ნინიკო მამას უნდა შეურიგდეს... უპატრონო რძალი არ მჭირდება! შეიძლება თეატრსაც დავანებებინოთ თავი... შეიძლება... ვნახოთ, როგორ იქნება... სიხარულით დაანებებს თავს. იყოს ნინიკო! ნინიკო! ციალა, მზია, ნანა, სულერთია, მთავარია, თორნიკეს ცოლი ჰყავდეს! გადადება კი აღარ შეიძლება. დღესვე ვკითხავ, რას აპირებს.“

ელენე... ელენე... ელენეც ხომ მსახიობი იყო, მომღერალი. კარგადაც მღეროდა. გიორგიმ რატომღაც გაიცინა და ისევ წაიმღერა:

— ელენ-ე-ე-ე!

ელენემ დაიჯერა, რომ კარგი დიასახლისი იყო. ამის დაჯერება ყველაზე ადვილია ქალისთვის. დაიჯერა, რომ ვალდებული იყო, შვილებისთვის შეეწირა თავისი ცხოვრება. დაიჯერა, თუმცა ეს გიორგის ძვირად დაუჯდა, რადგან თეატრს ჩამოშორებული ელენე ახლა შინ მართავდა კონცერტების მსგავს საღამოებს. გიორგის, რა თქმა უნდა, შეეძლო ესეც დაეშალა ელენესთვის, ელენეს დაყოლიება ძალიან ადვილი იყო, მაგრამ არ უშლიდა. ამ საღამოებზე ისეთი ხალხი იყრიდა თავს, რომლებზედაც ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

ლიზაც ელენეს დაემსგავსება. მასა-

ვით მორჩილი და დამყოლი გახდება. სხვანაირად არ შეიძლება! უკვე ძალიან გამოიცვალა კიდეც. მამამ თუ არა, ვინ უნდა შეამჩნიოს ეს? ჩვენ წესიერი ოჯახი გვაქვს, ხალხი გვიცნობს.

აი, ნინიკოზე ამბობენ, უცნაური გოგოაო. არა უშავს, ასაკის ბრალი იქნება. იმასაც გაუვლის. უცნაური... ჰმ... უცნაური...

ელენეც უცნაური იყო.

გახსოვს, ელენე, ვიღაც თაყვანისმცემელი რომ გყავდა? გახსოვს? ჰო, თაყვანისმცემელი. ასე არ ამბობდი, ჩემი თაყვანისმცემელიაო? ერთი თმაგაჩეჩილი ბიჭი იყო. მგონი, ლექსებსაც წერდა. ჰა-ჰა-ჰა-ჰა, ლექსებს! მე ვითომ ვერაფერს ვხედავდი, ვითომ ბრმა ვიყავი. გახსოვს? შენ კი წერილები მოგდიოდა, ღამით კითხულობდი და ტიროდი. მე კი ვითომ არ მაინტერესებდა, არც თაიგულები მაინტერესებდა, რამდენი თაიგული იყო, გახსოვს? ხომ არ გკითხავდი, ვისი წერილია-მეთქი, ეს წესიერ საზოგადოებაში მიღებული არ არის. ვითომ არ ვეჭვიანობდი. ხომ კარგია, ახლა თვალებში რომ მიყურებ? ხომ კარგია? შენთვისაც ასე სჯობია.

გიორგიმ პირი შეიმშრალა, საწოლ ოთახში გამოვიდა და ჩაცმა დაიწყო. ოთახში ნახევრად ბნელოდა, ფანჯრებზე მუქი ფარდები იყო ჩამოფარებული.

„ყანჩაველსაც ახლა მოუნდა ავად გახდომა, — ფიქრობდა გიორგი,— ინფარქტი! მაშ, ზაზამ უნდა გააგრძელოს მუშაობა! საბჭომ ასე დაადგინა. ახალგაზრდებს ვენდოთო... ახალგაზრდებს... თუმცა გააგრძელოს, რაღა დარჩა, თითქმის ყველაფერი გაკეთებულია“.

გიორგი ტანსაცმლის კარადასთან მივიდა. ყელსახვევი გაიკეთა, მერე თავისი თავი შეათვალიერა სარკეში. მუცელზე ხელი ჩამოისვა, კარგად გაუთოვებული, გახამებული პერანგის სიგრილე ესიამოვნა. ღიპი სრულებით არ ემჩნეოდა. გამობრუნდა, სკამზე გადაკიდებული პიჯაკი აიღო და ისევ სარკესთან მივიდა, იქ ჩაიცვა. ღილებს იკრავდა და თან სარკეს თვალს არ აშორებდა. კარგ გუნებაზე იყო, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში ეს ფრაზა ინსტინქტურად უნდა დაეფარა. არავის არ უნდა შეემჩნია, რომ რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თეატრის დირექტორი გიორგი უგრეხელიძე გულში ღიღინებდა:

— ახალგაზრდა ვარ! ახალგაზრდა-ა-ა-ა-ა! ა-ხ-ა-ლ-გ-ა-ზ-რ-დ-ა!

ქალბატონმა ელენემ თვალი გაახილა. მერე თავი ოდნავ მოაბრუნა და კარადისკენ გაიხედა. ის ასე იღვიძებდა ხოლმე და ყოველ დილას ერთსა და იმავე სურათს ხედავდა: მისი ქმარი სარკის წინ ყელსახვევს ისწორებდა.

ქალბატონ ელენეს ჯერ კიდევ მთლიანად ვერ დაეთმო ის თბილი სამყარო, საიდანაც ეს წუთია ამოყურყუმალავდა. თვალები ისევ ებლანდებოდა, ძილი თავისკენ ეზიდებოდა. მხოლოდ ამ დროს — გაღვიძების ჟამს — გრძნობდა, ოჯახში ყველაფერი თავისი წესით წავიდოდა, თუნდაც საღამომდე რომ წოლილიყო ლოგინში. ეს ძილის მაცდუნებელ საბუთს ჰგავდა. შეიძლება, მას ხელი შეეშალა ყველასთვის, თორემ გაკეთებით ვერაფერს გააკეთებდა. ამიტომ ჯობდა, ისევ დაეძინა. მაგრამ რომ დაეძინა, მაშინ იმ სიამოვნებას ვეღარ განიცდიდა, რომელსაც იმის შეგრძნება ანიჭებდა, რომ მას შეეძლო რამდენიც უნდოდა, იმდენი ეძინა. ეს კი ძილზე უფრო დიდი განცხრომა იყო. ამიტომ ჯობდა ძილის ნებას არ დაჰყოლოდა. ეს წუთი როცა გაქრებოდა, როცა ქალბატონი ელენე საბოლოოდ გამოიღვიძებდა, მაშინ თითქოს სხვა ვინმედ გარდაიქმნებოდა. იმ სხვას სჯეროდა, რომ უიმისობა ოჯახს დაანგრევდა. რაც უფრო მეტ ხანს იქნებოდა ლოგინში, მით უფრო მეტი უბედურება შეიძლება მოჰყოლოდა ამას. ალბათ, კატოს (ასე ერქვა მათ შინამოსამსახურეს) რძის ალება დაავიწყდა, ან თუ აიღო, აუდუღდა და გადმოუვიდა. კატო, რა თქმა უნდა, ახლა სამზარეულოში კარტსა შლის,

თუ ჯვრის ვალეტი ამოუვიდა, სიხარულისგან ტიროს.

ქალბატონი ელენე შეწუხდა, ქმარმა ადგომა რომ დაასწრო. ასე წუხდა ის ყოველ დილით. ეს წუხილი სასიამოვნოც კი იყო, რადგან მისი მოჩვენებითი ფუსფუსისა და მზრუნველობის ნაწილს წარმოადგენდა.

ქალბატონ ელენეს სიამოვნებდა, რომ წუხდა!

ასე წუხდა ის თორნიკეს ჭუჭყიან პერანგებზე, მერე კატო რომ რეცხდა. სადილის გაკეთებაზე, ბოლოს მაინც კატო რომ აკეთებდა. ეს წუხილი მისთვის მთელი საქმიანობის შემცვლელი იყო.

„ოჰ, ოჰ, ოჰ, — გაიფიქრა შიშით ელენემ, — საუზმეც გასაკეთებელია!"

ამ შიშმა ტანში სასიამოვნოდ გაიელვა, გაიელვა და უკვალოდ გაქრა.

მერე ქალბატონი ელენე ქმარს დააკვირდა:

„ახალი პერანგი თუ ჰქონდა?"

ესეც უცებ დაავიწყდა, რადგან ქმრის ახალგაზრდულმა იერმა თვალი მოსტაცა. გული სიხარულით აევსო. იფიქრა, მეც, ალბათ, ასე გამოვიყურებით.

— გიორგი! — დაუძახა ჩუმად ქმარს და ახლა უკვე საბოლოოდ გამოიღვიძა.

— ჰო? — შეესიტყვა გიორგი ისე, რომ არც კი მობრუნებულა.

რატომღაც არ შეეძლო ახალგამოღვიძებული ცოლის სახისათვის შეეხედა.

— ადექი უკვე? — ჰკითხა ელენემ, რადგან არ იცოდა, სხვა რა ეთქვა.

— ჰო...

— იცი რა?

ელენე გაჩუმდა. გიორგიც მოთმინებით უცდიდა, როდის მოიფიქრებდა ცოლი სათქმელს.

— თუ გინდა, ავდგები? — თქვა, როგორც იქნა, ქალბატონმა ელენემ.

— იწექი.

— საუზმე?

— კატო გააკეთებს.

— ოჰ, არა, არა! — ისე შეიცხადა ელენემ, თითქოს საუზმე ყოველ დილით მას გაემზადებინოს.

— იწექი, — გაიმეორა გიორგიმ და ყელსახვევის ნასკვი კიდევ უფრო დაავიწროვა. ამისთვის სარკესთან ერთი ნაბიჯით ახლოს მისვლა დასჭირდა.

ელენე მაინც წამოდგა. პერანგზე ხალათი შემოიცვა და ფეხები თბილ ფლოსტებში წაჰყო. გიორგიმ სარკეში დაინახა, როგორ წამოვიდა მისკენ ცოლი. გრძელი ღამის პერანგი იატაკზე მოსთრევდა.

ელენემ თითქოს ქმართან მისვლა გადაიფიქრაო, სკამზე ჩამოჯდა, ორივე ხელით თმა გაისწორა და იკითხა:

— თოვს?

— კი...

— იცი რა?..

გიორგი სარკეს მოშორდა. საწოლთან მიდგმულ, დაბალ მაგიდასთან მივიდა, გასაღები და საფულე აიღო და ჯიბეში ჩაიდო.

ელენეს უცებ თვალები გაუბრწყინდა. ეტყობოდა, სათქმელი მოიფიქრა, თანაც ისეთი, რაც გიორგის აშკარად დააინტერესებდა.

— იცი რა?

— ჰო? — ახლა კი მოუთმენლად შეეკითხა გიორგი.

— ლიზიკო! — თქვა ელენემ და გაჩუმდა, რადგან იმას დაუცადა, ქმარი როდის შემოხედავდა. ქმარმა რომ მობრუნება დააყოვნა, უთხრა:

— მოიხედე აქეთ!

გიორგიმ ცოლს შეხედა. ცოლი უსიტყვოდ უღიმოდა, თითქოს სათქმელი სახეზე ეწერა და გიორგის წაკითხვაღა აკლდა.

— რა იყო? — ჰკითხა გიორგიმ და თვალი აარიდა.

— ხვალ ლიზიკოს დაბადების დღეა, — უთხრა ელენემ.

— ვიცი.

— გავაკეთო რამე?

— კატოს უკვე ვუთხარი.

— კატომ რა იცის?

— ყველაფერი უკვე ვუთხარი.

— გიორგი!

— ჰო?

— ზაზაც დავპატიჟოთ.

— რა-ა?

— ზაზაც დაპატიჟე-მეთქი.

— რატომ? ახალი ამბავი!

— წუხელ ლიზიკომ მთხოვა...

ელენე გაჩუმდა. გიორგი ახლოს მივიდა. ელენეს გაუხარდა, გიორგი ასე რომ დაინტერესდა. ახლა განგებ აღარ იღებდა ხმას.

— რა თქვი?

ელენემ თავი დაუქნია, რადგან ხმის ამოღება საჭიროდ აღარ ჩათვალა.

კარგა ხანს იყვნენ ასე ჩუმად. გიორგი რაღაცას ფიქრობდა. ელენე თვალმოუშორებლად შესცქეროდა.

— არავითარ შემთხვევაში! — თქვა ბოლოს გიორგიმ.

— რა?

— მეორეჯერ აღარ გავიგო! გესმის?

— მესმის, — უპასუხა შეშინებულმა ელენემ. — მესმის...

## 11. ბატონი სპირიდონი ადამთან მოდის. უჩას წერილი. ადამი უჩას საცოლეს სადგურში ხვდება. ბეჟანი. ლავრენტი. ვახო.

წვიმდა. ადამს ხელები გაეყინა. ცოტა ხანს კიდევ უყურა, როგორ ყრიდნენ მორებს მანქანიდან, მერე გამოტრიალდა და წამოვიდა. ხიდის თავთან დარაჯის ფიცრული ქოხი იდგა, სახელდახელოდ შეკოწიწებული, ტოლით დახურული. ერთი ფანჯარა ჰქონდა, ფანჯრიდან მილს გამოეყო თავი, იქიდან ისე სასიამოვნოდ გამოდიოდა კვამლი, თითქოს ხელს უქნევდა, შინ შემოდიო. ადამი ახლა სწორედ იქით მიდიოდა, უნდოდა ცოტა გამთბარიყო, რომ მერე ისევ სამუშაოს დაბრუნებოდა.

კარი შეაღო და ქოხში შევიდა. იქ არავინ დახვდა. ღუმელში ცეცხლი გუზგუზებდა. თუნუქი გაწითლებულიყო. ქოხში ერთი რკინის საწოლი იდგა, ერთიც დაბალი, ფეხებმოღრეცილი სკამი. საწოლთან ბოთლების ჩასაწყობი ყუთი გადმოეპირქვავებინათ, ეტყობოდა, მაგიდად ხმარობდნენ. ზედ ნივრის თავები და პურის ნატეხები ეყარა. საწოლზე ცხვრის ქურქი ეგდო, სახელოებგაშლილი. იფიქრებდი, უგრძნობლად მთვრალი კაცი გადამხობილა ლოგინზეო.

ქოხში თბილოდა. თუმცა ფარღალალა იყო და იატაკიც მიწისა ჰქონდა, ცეცხლს მაინც ემძლავრა და გაეთბო. ადამმა სკამი აიღო, ღუმელთან ახლოს დაიდგა და ჩამოჯდა. ცოტა ხნის მერე პალტო შეიხსნა, მერე სულ გაიხადა კიდეც. სკამი უკან, კედლისკენ გააჩოჩა, თვითონ კედელს მიეყრდნო ზურგით. ფეხები გაჭიმა. ფეხსაცმელმა, ღუმელთან ახლოს რომ მიეტანა, შიშინი დაიწყო, ორთქლი აუვიდა, ადამმა ფეხი გასწია.

— ძლივს არ გავთბი! — თქვა მან ხმამაღლა.

სითბომ თვლემა მოჰგვარა. სითბოში ყოველთვის ასე ემართებოდა, რადგან გამუდმებით აკლდა ძილი. რომ არ დასძინებოდა, სიგარეტი ამოიღო. მერე მაშით ღუმელიდან ნაკვერჩხალი დაითრია და სიგარეტს ცეცხლი მოუკიდა. ნაკვერჩხალი კარგა ხანს ეჭირა მაშით, შესცქეროდა.

„გულსა ჰგავს, — ფიქრობდა ადამი, — ღმერთმანი, გულსა ჰგავს. პატარა გულს, გაბრაზებულსა და გაბერილს".

ნაკვერჩხალი თითქოს მართლაც ფეთქავდა. ამ შთაბეჭდილებას ის ქმნიდა, რომ მისი სიწითლე ხან მინელდებოდა და ხან კიდევ ისევ მატულობდა.

ადამმა სული შეუბერა, მთლიანად გააწითლა:

— გასკდი ბარემ!

მერე ნაკვერჩხალი ღუმელში შეაგდო.

მისი წასვლის დროც მოვიდა. მორები, ალბათ, უკვე გადმოყარეს. ახლა

მათ დალაგება უნდა. თუ თვითონ არ მიხედავდა, ეგონა, სხვა ვერავინ გააკეთებდა ამას.

„პატივცემულო ადამ, — ეტყოდა ხოლმე სიმონი, — ავტორიტეტს გაფრთხილება უნდა!“

„რა არის ავტორიტეტი, პატივცემულო სიმონ, — რას ეძახით თქვენ ავტორიტეტს?“

„ო, ავტორიტეტი დიდი რამ არის, დიდი!“

წამოდგომა სცადა. ვერ კი წამოდგა, თითქო ცეცხლი არ უშვებდა.

„ცოტა ხანს კიდევ ვიქნები, — გაიფიქრა ადამმა, — სულ ცოტა ხანს... ხუთ წუთს“.

ამ დროს კარი გაიღო და ქოხში ვიღაც შემოვიდა. ადამს მიხედვაც არ უნდოდა, რადგან დარწმუნებული იყო, დარაჯი იქნებოდა. შემოსულის ნაბიჯის ხმა ეუცხოვა, მიიხედა და კბილის ექიმი დაინახა. ექიმს, ეტყობოდა, ადამი ჩაძინებული ეგონა, რადგან ერთ ადგილას გაშეშებულიყო, მძინარე არ დავაფრთხოო. ის აქ საკითხავად შემოვიდა, ადამს ეძებდა და პირდაპირ ადამს კი შეეფეთა.

— ბატონო სპირიდონ? — ადამს ექიმის დანახვა ძალიან გაუკვირდა. წამოდგა და მიეგება, — მობრძანდით!

მოხუცს რატინის გაცრეცილი, მძიმე პალტო ეცვა, კაშნე ყელზე მაგრად შემოეხვია, გახუნებული შლიაპა ეხურა. მან ნაბიჯი გადმოდგა, მაგრამ მაშინვე გაჩერდა და ადამს შეაცქერდა, თითქოს არ სჯეროდა, ეს მართლა ადამი რომ იყო.

— მობრძანდით, ბატონო, — უთხრა ადამმა, — მობრძანდით!

მერე სკამს ხელი დაავლო, ადგილი შეუცვალა, ამით ანიშნა, დაბრძანდითო

ექიმი სკამზე ჩამოჯდა. რკინის წვერიანი ყავარჯენი მიწაში მაგრად ჩაარჭო და თქვა:

— ცივა!

ადამმა თავი დაუქნია. ის ფეხზე იდგა. უკვირდა, აქ რამ მოიყვანაო.

მოხუცმა ისევ გაიმეორა:

— ცივა.

ადამს მოეჩვენა, მოხუცი მისკენ კი არა, ცეცხლს მიმართავდა.

მერე მოხუცმა ჯიბიდან ორი თითით სიგარეტი ამოაძვრინა.

— ასანთი თუ გაქვთ, ყმაწვილო?

ადამმა მოხუცს ნაკვერჩხლიდან მოკიდება ვერ ჰკადრა, ასანთი აანთო და ახლოს მიუტანა, რადგან მოხუცი ოდნავადაც კი არ გამოწეულა მისკენ. მოხუცმა სიგარეტს მოუკიდა, კვამლი ღრმად ჩაისუნთქა და როდის როდის თქვა:

— ასეა!

— ჰო-ო! — დაეთანხმა ადამი უაზროდ, მოერიდა მისი სიტყვა უპასუხოდ დაეტოვებინა.

ადამს მოხუცი გამოცვლილი მოეჩვენა. თითქოს კიდევ უფრო დაბერებულიყო, მოტეხილიყო.

„ავად ხომ არ არის?“ — გაიფიქრა ადამმა.

მოხუცი ნამდვილად ავადმყოფს ჰგავდა, ან ისეთი სადარდელი გაჩნდოდა, სანთელივით ჩამოედნო.

„ავად თუა, აქ რამ მოიყვანა?“

— ამ წვიმასაც აღარ დაადგა საშველი!

— რა ბრძანეთ?

ადამი დარწმუნებული არ იყო, მოხუცი მას რომ ელაპარაკებოდა, იქნებ თავისთვის ლაპარაკობსო.

— წვიმა! — თქვა მოხუცმა.

ადამმა სიგარეტი ღუმელში შეაგდო, მაშინვე ახალი ამოიღო და მოუკიდა.

— თოვლი კი ჯობია ამას, — თქვა მან უფრო იმის შესამოწმებლად, ნამდვილად მე მელაპარაკება თუ არაო.

— აქ კი თბილა, — თქვა მოხუცმა. თან ის ხელი, სიგარეტი რომ ეჭირა, ჰაერში გაიქნია.

ამ დროს კარებში ვიღაცამ შემოჰყო თავი:

— ადამ! სადა ხარ, კაცო?!

— ჰო, რა იყო?

— მორები ასე ეყაროს?

— მოვალ ახლავე!

კაცი წავიდა.

— მიდიხართ? — ჰკითხა მოხუცმა ადამს.

მოხუცის ასე დატოვება არ შეიძლებოდა.

— დაიცდიან, — თქვა ადამმა და საწოლზე ჩამოჯდა.

მოხუცი კარგა ხანს ხმას არ იღებდა. ადამი მოთმინებით უცდიდა. შეატყო, მოხუცს მისი გაშვება არ უნდოდა.

მოხუცს უცებ ხველა აუტყდა. სიგარეტი სასწრაფოდ გადააგდო. ჯიბიდან აფიშის ნაგლეჯივით დიდი, მწვანე ცხვირსახოცი ამოიღო და პირზე მიიფარა. სახე დაუწითლდა, საფეთქლებსა და შუბლზე ძარღვები ლურჯად დაებერა. ადამი უნებურად წამოიწია, მოხუცმა ხელით რაღაც ანიშნა, ადამი ვერ მიხვდა, მოხუცმა სული მოიბრუნა და უთხრა:

— წყალი დამალევინეთ!

ადამმა წყალი დოქით მიაწოდა, რადგან ჭიქა ვერ იპოვა. მოხუცმა ძლივს მოიყუდა დოქი, ერთი წამით მიაკარა ტუჩი, მაშინვე მოიშორა. დოქის სიმძიმისგან ხელი უკანკალებდა. ადამმა დოქი ჩამოართვა. მოხუცმა ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო.

— შეგეშინდათ? — ღიმილით ამოხედა ადამს.

— არა...

— პაპიროსის ბრალია, — თქვა მოხუცმა.

— დიახ...

— თქვენ ბევრს ეწევით?

— ბევრს!

— არ ვარგა...

მისი ხმა სრულებით არ შეეფერებოდა მის გარეგნობას, ხალისიანი და გაუბზარავი იყო. თითქოს მოხუცს, სანამ რამეს იტყოდა, უხილავი მიკროფონი მიჰქონდა პირთან, რომელიც ხმას უცვლიდა.

—მეც ბევრს ვეწევი, — თქვა მოხუცმა, — ძალიან ბევრს... ღამითაც... მთელი ღამე... მე ხომ არ მძინავს...

— არ გძინავთ?

— მე არასოდეს არ მძინავს! — უპასუხა ცივად მოხუცმა, თითქოს ეწყინა, ეს აქამდე არ იცოდიო.

ეროვნული

— განა შეიძლება? — ადამმა ხმარით გაიკვირვა, თორემ გულში უყოყმანოდ დაუჯერა მოხუცს.

— შეიძლება! — თქვა მოხუცმა კმაყოფილი სახით, — დამერწმუნეთ... მე არასოდეს არ მძინავს.

მოხუცს ღრმად შევარდნილი საფეთქლები და დიდი შუბლი ჰქონდა. ღუმელთან ძალიან ახლოს იჯდა, თითქმის მუხლებს ადებდა ზედ, მაინც თითქოს ვერ გრძნობდა ცეცხლის სიმხურვალეს.

ადამს რატომღაც ერთი მოხუცი გაახსენდა, თბილისში მის მეზობლად რომ ცხოვრობდა. მოხუცი რამდენიმე წლის წინათ ჩამოიყვანა შვილმა სოფლიდან და მერე მთელი დღე დილიდან საღამომდე სულ ფანჯარასთან იჯდა. ადამი მას რატომღაც თვალს არიდებდა, ეცოდებოდა, არც კი იცოდა, რატომ. იმ მოხუცს შესაცოდი არაფერი სჭირდა, არც უპატრონობა ეტყობოდა (მოხუცებს და ბავშვებს მაშინვე შეატყობ უპატრონობას), გაქათქათებული თეთრი პერანგი ეცვა, მსხვილად გაქვანძული წითელი ყელსახვევიც ეკეთა, პირიც ყოველთვის გაპარსული ჰქონდა. უცნაურია, იქნებ, მხოლოდ იმიტომ ეცოდებოდა, რომ მთელი დღე ფანჯარასთან იჯდა?

„ნუთუ სიბერე სიმარტოვეს ნიშნავს?“

ადამი წამოდგა, კედელთან მიყრილი, წვრილად დაპობილი შეშა აიღო და ღუმელში შეუკეთა. ისევ თავის ადგილას დაჯდა.

მოხუცს ადამი თითქოს სულ დაავიწყდა. სკამზე საცოდავად, წელში ოდნავ მოხრილი იჯდა. მიწაში ჯოხი ჩაერჭო. ჯოხის თავს ორივე ხელით მაგრად ჩაფრენოდა, ხელებზე კი ნიკაპი ჩამოებჯინებინა.

ადამი მოხუცს შესცქეროდა, თითქოს ელოდებოდა, რაღაცას უცნაურს იტყვის, ან გააკეთებსო.

მოხუცი უცებ წელში გასწორდა, ქუდი მოიხადა და მიმოიხედა, სად დავ-

დოო. მერე ყუთზე დაყრილი ნივრის თავები და პური გვერდზე გასწია და ქუდი იქ დადო.

ამ დროს ქოხში ვახო შემოვიდა, გაწუწული და მხრებში მოხრილი. ხელის მტევნები იღლიებში ამოეწყო. თავიდან ფეხებამდე ტალახში იყო ამოსვრილი, თუმცა ყელსახვევი მაინც ეკეთა. შემოვიდა, არავისთვის არ შეუხედავს, ღუმელს მიაშურა და მის ახლოს ჩაცუცქდა.

მოხუცმა ვახოს შეხედა:

— გამარჯობა!

ვახომ თავი დაუქნია.

— იცნობთ? — ჰკითხა ადამმა მოხუცს.

ვახომ ახლა ადამს დაუქნია თავი. მიცნობსო.

— ბილიარდს აღარ თამაშობ? — ჰკითხა მოხუცმა ვახოს.

— ეხ, — ამოიოხრა ვახომ.

— აქ რას აკეთებ?

— უნდა გამოვსწორდე, — ვახომ ჩუმად ჩაიხითხითა, — გამოვსწორდე!

მერე სასწრაფოდ წამოდგა და ქოხიდან გავიდა. ცოტა ხანში ისევ შემოაღო კარი:

— სულ დამავიწყდა, — მიმართა ადამს, — თქვენ გეძახიან!

— უთხარი, მალე მოვა-თქო.

ვახომ გულზე ხელი მიიდო და კარი მოწიწებით გაიხურა.

— მე მალე წავალ, — თქვა მოხუცმა ჩუმად.

— უჩემოდაც მოუვლიან საქმეს, არა უშავს...

ადამმა ასანთი ამოიღო, რადგან მოხუცს ხელში ახალი სიგარეტი დაუნახა. მოხუცმა ხელი გაუწოდა და ასანთის კოლოფი გამოართვა. ღერები პეშვში გადმოიყარა, კოლოფი კი ადამს დაუბრუნა. მერე ქუდი აიღო და დაიხურა, ასანთის ღერები კი იმ ადგილას დაყარა, სადაც ადრე ქუდი ედო. ადამი გაკვირვებული უყურებდა, რას აკეთებსო. მოხუცი ასანთის ღერებს დიდი გულმოდგინებით აწყობდა, ერთმანეთზე გადაბმული სამკუთხედები გამოჰყავდა, მერე ხელის ერთი მოსმით შლიდა, ისევ თავიდან აწყობდა. ადამს [illegible] კი ინედდებოდა. „რაღაც უნდა [illegible] და ვერ ბედავს!“ — ფიქრობდა ადამი.

ზრდილობის გულისთვის დაინტერესდა, წინ გადმოიხარა და ყუთზე დაყრილ ასანთის ღერებს დააცქერდა. მოხუცმა ამოხედა:

— აბა, თქვენც სცადეთ!

ადამმა ასანთის ღერი აიღო, ცოტა ხანს ხელში გააჩერა, თითქოს ყუთზე ადგილს ურჩევდა. ამით იმის ჩვენება უნდოდა, რომ მოხუცის მიერ წამოწყებული თამაში ნამდვილად აინტერესებდა.

— აი, აქ დადეთ! — უთხრა მოხუცმა და ყუთზე თითით დააკაკუნა, თითქოს ზუსტად იმ ადგილას თუ არ დადებდა, ისე არაფერი გამოვიდოდა.

ასანთის იმ ღერს ადამმა სხვებიც შეუწყო გარშემო. ეს უფრო რთული კომბინაცია გამოვიდა, თუმცა ადამს არც კი უფიქრია მოხუცს შეჯიბრებოდა.

— ოჰო?! — გაიკვირვა მოხუცმა.

— ჩემდაუნებურად, — თქვა ადამმა, — მეორედ ვერც კი გავაკეთებ.

— შუაში ერთ ღერს ვდებთ, არა? — ჰკითხა მოხუცმა.

— დიახ.

— მერე?

— არ მახსოვს, — ადამს გაეღიმა, — ნამდვილად არ მახსოვს... მგონი, ასე!

ახლა ორივემ ერთად დაიწყო ასანთის ღერების დალაგება.

— არაფერი გამოდის, — თქვა ადამმა.

— გამოვა!

მაინც არაფერი გამოვიდა.

— ახლა მოვწიოთ, — თქვა მოხუცმა.

ასანთის ღერები ფრთხილად მოაგროვა და ადამს გაუწოდა:

— კოლოფში ჩაყარეთ!

ადამმა ღერები კოლოფში ჩაყარა. მერე მოხუცს სიგარეტი შესთავაზა.

— გმადლობთ, — თქვა მან, — მაქვს!

ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, ადამმა ასანთი აუნთო.

რაც დრო გადიოდა, ადამი მოხუცის მიმართ უფრო და უფრო მეტ მორიდებას გრძნობდა. ასე გვემართება ხოლმე იმათთან, ვისაც თავი მეტად დამოუკიდებლად უჭირავს.

„ნამდვილად რაღაც უნდა მითხრას“, —ფიქრობდა ადამი.

არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რომ მოხუცს თამამად ეთქვა, რაც უნდოდა. ამის გაფიქრება ვერც კი მოასწრო, რომ მოხუცმა თქვა:

— ალბათ, გიკვირთ, რატომ მოვედი თქვენთან, არა?

ადამი ასე ჯიქურად დასმულ შეკითხვას არ მოელოდა, ამიტომ დაიბნა:

— მიკვირს! თუმცა...

— დღეს ჩემი შვილის დაბადების დღეა, — თქვა მოხუცმა.

— შვილის? —ადამს ძალიან გაუკვირდა, რადგან პირველად ესმოდა, ამ მოხუცს შვილი რომ ჰყავდა.

— შვილის... დღეს ის ორმოცდაორი წლისა გახდა...

ადამს უნდოდა ეკითხა, თქვენი შვილი სად არისო, მაგრამ მოხუცმა არ დააცალა:

— უჩა ერქვა, —მერე რამდენჯერმე გაიმეორა, —უჩა... უჩა... უჩა...

— ბატონო სპირიდონ, —დაიწყო ადამმა, მაგრამ მოხუცმა სიტყვა შეაწყვეტინა:

— აი, ამიტომ მოვედი აქ!

— ჰო-ო, —თქვა ადამმა, ვითომ მისთვის ყველაფერი გასაგები ყოფილიყოს.

— შეიძლება ეს სიბერის ბრალია,— განაგრძობდა მოხუცი, —ომი დიდიხანია გათავდა.

— დიახ, დიდიხანია, გათავდა, — ადამი თითქოს რაღაცას მიხვდა, — დიდიხანია...

— არა, —უცებ ძალიან მტკიცედ თქვა მოხუცმა, —ომი ასე ჩქარა არ თავდება!

— ოცი წელია, —თქვა ადამმა, — ოცი წლის წინ დამთავრდა...

— არა, ომი ასე ჩქარა არ თავდება! აი, ამიტომ მოვედი აქ, ნუ გაგიკვირდებათ... მერე სადგურში უნდა გავიდე, უჩას საცოლე ჩამოდის... რომელი საათია?

ბიბლიოთეკა

— ოთხის ნახევარია, —უპასუხა ადამმა.

— ხუთ საათზე სადგურში უნდა ვიყო... ყოველთვის ჩამოდის ხოლმე...

მერე თითქოს გაახსენდაო, აქ მოსვლის მიზეზი რომ არ უთქვამს და ძლივს გასაგონად დაუმატა:

— თქვენ ჩემს შვილს მაგონებთ.

— რა?

— ჩემი შვილიც თქვენისთანა იყო... მაღალი... გაბედული... მასაც თქვენსავით... რას ვამბობ? რა საჭიროა...

— სთქვით! —სთხოვა ადამმა.

— აი, იმ ღამეს, კბილი რომ გტკიოდათ, გახსოვთ?

— როგორ არა.

— რომ მიდიოდით, კინაღამ არ გაგიშვით. თავი შევიკავე, ძლივს შევიკავე თავი, გიჟი არ ვეგონო-მეთქი... როგორი ბნელი ღამე იყო...

— ბნელი ღამე, —ადამს გაეღიმა.— ბავშვი ხომ არა ვარ?

— რა თქმა უნდა, ოღონდ... ასე მეშინოდა ხოლმე, ჩემი შვილიც სადმე რომ მიდიოდა... უცნაურია, ვუყურებდი და არ მჯეროდა, ნამდვილად თუ არსებობდა... თქვენც ასეთი ხართ... ნუ გეცინებათ! ეს ბებერი კაცის ფშუტუნი არ არის. აი, ის ხომ გაქრა?

ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე გაიმეორა:

— გაქრა!

სიჩუმე ჩამოვარდა. იმდენი მწუხარება იყო ჩაქსოვილი ამ სიტყვაში, იმოდენა ტკივილი და სინანული, რომ სხვა სიტყვისთვის ადგილი აღარ დარჩა.

თითქოს ვიღაც ხმამაღლა აქვითინდა, უმწეოდ და გულდათუთქულად, როგორც კაცები ტირიან ხოლმე. ადამისგან განსხვავებით მას ხმამაღლა ტირილი შეეძლო, ეტყობოდა, უფრო გულჩვილი იყო. მან ბევრი რამ ისეთი იცოდა, რაზედაც ადამს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. ყველაფერთან ერთად მას სიკვდილისაც ეშინოდა, რაზე-

დაც ადამს ჯერ არასოდეს უფიქრია. სიკვდილი ისე უაზრობად წარმოედგინა, რომ აუცილებლობად სრულიად არა თვლიდა. ის კი თითქოს ერთხელ მომკვდარიყო, ამიტომაც იცოდა ასე კარგად, თუ რა იყო სიკვდილი.

— ჩემი შვილი ბავშვივით ტიროდა ხოლმე. მესმოდა, თავის ოთახში ლოგინზე დამხობილი რომ ქვითინებდა, თუ ამხანაგი უღალატებდა, თუ კაცის საცოდაობას ნახავდა... სანთელივით იყო და ვიცოდი, რომ გამიქრებოდა. კედელზე მინდოდა დამებრახუნებინა, დამეძახა, უჩა, ნუ ტირი, ასეა ქვეყანა მოწყობილი, შენი ცრემლი ვერ უშველის-მეთქი! ხმას კი ვერ ვიღებდი, ვიცოდი, უფრო დიდ ტკივილს მივაყენებდი... აკი გამიქრა კიდეც... გაქრა... გაქრა... გაქრა..

მერე მთრთოლვარე ხელით უბიდან ოთხადგაკეცილი, გაყვითლებული ქაღალდი ამოიღო და ადამს გაუწოდა:

— წაიკითხეთ... მისი დღიურის ფურცელია... მერე გამომიგზავნეს...

ადამმა ქაღალდი გაშალა. ქიმიური ფანქრით იყო ნაწერი. წვრილად, მაგრამ ძალიან გარკვევით.

შუადღის სიცხეში, დანგრეული სადგურის ცარიელ ბაქანზე ჩვენი ასეული მიყრილა და სძინავს. უკვე მეორე დღეა, მატარებელს ველოდებით, რომელმაც აქედან უნდა გაგვიყვანოს, ამ ჯოჯოხეთიდან. მეორე დღეა, არაფერი გვიჭამია, წყალიც გაგვითავდა.

ეს პატარა სადგურია ტრიალ მინდორში, ქვეყანას მოწყვეტილი. მეზობელ სოფლამდე ასოცი კილომეტრია. არც ის ვიცით, იქ ნამდვილად ჩვენები არიან თუ არა. ირგვლივ სულ მზესუმზირის ყანებია. ყანა ჭუჭყიან, ყვითელ ზღვასავით მოჩანს. მზე აცხუნებს.

ლიანდაგები ლაპლაპებენ.

ლიანდაგებზე მაზუთის ცისტერნაა გაჩერებული.

ეს ცარიელი, ტყვიებით დაჩვრეტილი ცისტერნა თითქოს იმედს გვაძლევს, რომ მატარებელი მოვა, რომ ამ გარინდებულ, ცარიელ ლიანდაგებზე მატარებელი დადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს გარდა ყველას სძინავს, ცისტერნის ჩრდილში ვდგავარ გამურული. პირმოუპარსავი, საკინძეჩამოგლეჯილი. მიკვირს, რომ არ მეძინება. ჩემი თვალები მზემ გაახუნა, გააქვავა, ტუჩები დამისკდა და მტკივა. რატომღაც ვფიქრობ, რომ მეც ამ ცისტერნასავით ვარ, ცარიელი, ტყვიით დაჩვრეტილი, გამურული. ცისტერნასავით ტრიალ მინდორში ვდგავარ და, ალბათ, არავინ მომაკითხავს. არასოდეს მიფიქრია ასე. შეიძლება, ახლა იმიტომ ვფიქრობ, რომ ყური ჭრიჭინების ხმითა მაქვს გაჭედილი და... მზესუმზირების ყვითელი სიჩუმით. ხანდახან ისიც გამიელვებს, რომ ომი გათავდა, ყველანი შინ წავიდ-წამოვიდნენ და ჩვენ კი აქ დავავიწყდით... ტრიალ მინდორში... ცისტერნასავით...

იმ დღეს მატარებელი არ მოსულა, ღამით ბიჭებმა გაიღვიძეს, გვშია, გვწყურია და ჭრიჭინები დაგვჭრიჭინებენ თავს, თითქოს მთელი ქვეყნის ჭრიჭინები აქ მოფრენილან.

მერე მიწაზე დავწექი და დაძინება ვცადე.

„დილით უსათუოდ მოვა მატარებელი, —ვფიქრობდი, —მატარებელს თუ არა, მანქანებს მაინც გამოგზავნიან... არც სროლის ხმა ისმის... დილით უსათუოდ მოვა. თუ დამეძინა, გავიღვიძებ და მატარებელს დავინახავ... თუ დამეძინა...“

მერე რაღაც ჩოჩქოლი მომესმა. ყანის პირას ვიწექი, ხმა ყანიდან მოდიოდა. წამოვდექი და ყანაში შევედი. მზესუმზირების ხაოიან, დრეკად ღეროებს აქეთ-იქით ვწევდი. მერე პატარა მინდორზე გავედი. იქ ბნელში შეჯგუფული ხალხი დავინახე, ვიღაცას სცემდნენ. სცემდნენ თუ კლავდნენ?... ვიღაცას თოფის კონდახებით სცემდნენ. მერე კვნესაც გავიგონე. მივარდი, ხალხი ვერაფრით ვერ გავარღვიე. განზე გავდექი, დამბაჩა ამოვიღე და ჰაერში გავისროლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ წამსვე გაჩერდნენ, ნელა მომობრუნდნენ, შეშლილი სახეები ჰქონდათ, ვიცანი, ჩემი ოცეულის ბიჭები იყვნენ. მთვარე, რომელიც ახლა ზედ ყანის თავზე ჩამომჯდარიყო, მათ სახეებს კარგად ანათებდა.

მერე გაიწ-გამოიწიეს და მიწაზე გართხმული კაცი დავინახე.

— ვინ არის? —დამბაჩით ვანიშნე ბიჭებს წაქცეულზე.

არაფერი უთქვამთ. ერთი მომიახლოვდა და ბრეზენტში შეხვეული რაღაც გამომიწოდა. ბრეზენტი გადავაცალე და ხელში პურის გორგალი შემრჩა. უცებ ყველაფერს მივხვდი. წაქცეულს მივუახლოვდი და დავაკვირდი. ისიც ჩვენი ოცეულიდან იყო, სიმღერის დამწყები და პირველი ხუმარა. ახლა სახეზე ხელები აეფარებინა და პირაღმა იწვა.

არ ვიცი, რა დამემართა. აღარ მახსოვს, როგორ ჩავჯექი მიწაზე, როგორ დავიდე პურის გორგალი მუხლებზე და... ავტირდი. ხმამაღლა ვტიროდი, ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამომდიოდა და პურზე დაფარებულ ხელებს მითუთქავდა.

ჯარისკაცები ცოტახანს უხმოდ იდგნენ, მერე მივიდნენ და წაქცეული წამოაყენეს. ის ფეხზე ვერ გაჩერდა, დაეცა და ოთხით გაფოფხდა. მივიდნენ, კიდევ წამოაყენეს, მერე აქეთ-იქით მხარში ამოუდგნენ და წაიყვანეს.

მე კი ვიჯექი და ვტიროდი, თითქოს ტრიალი მინდვრების ვეება მთვარეს რაღაცას შევჩიოდი...

ადამმა კითხვა დაამთავრა, მაგრამ თავი არ აუწევია, ისევ ქაღალდს ჩასცქეროდა.

— ადამ! — მოესმა მოხუცის ხმა.

— ბატონო...

— ადამ...

მოხუცი წამომდგარიყო, ფანჯრის გაღებას ცდილობდა.

— რა დაგემართათ? —ადამი მოხუცთან მივიდა.

— ცუდადა ვარ, — თქვა მოხუცმა.

ადამმა რომ ხელი მოჰკიდა, მოეშვა. კინაღამ წაიქცა.

— ბატონო სპირიდონ?!

ადამმა მოხუცი ფრთხილად მიიყვანა საწოლთან, დააწვინა და საკინძე გაუხსნა. მოხუცს მიტკლისფერი ედო.

— არა უშავს, —ჩიფჩიფებდა ის, — გაივლის... ასე იცის... გაივლის...

ადამი ქოხიდან გამოვარდა; მანქანას ეძებდა, რომ მოხუცი ექიმთან წაეყვანა.

მათი მანქანები ხიდთან აღარ იდგნენ, აქეთ კი სხვა მანქანა იშვიათად გამოივლიდა ხოლმე, რადგან ძველი გზა აქედან კარგა მოშორებით იყო. მერე შორს მოტოციკლი დაინახა, რომელიც ძველ ხის ხიდზე ნელა მოდიოდა. მოტოციკლზე მილიციელი იჯდა. ადამმა მას ხელი დაუქნია.

— რა მოხდა? —იკითხა მილიციელმა, როცა ადამს მიუახლოვდა და მოტოციკლი გააჩერა.

ადამმა იცნო, ეს ის მილიციელი იყო, ვაგონში რომ მიუვარდა. მილიციელი ახლა ადამს ისეთი სახით შესცქეროდა, თითქოს ეუბნებოდა, ის უსიამოვნო ამბავი სრულებითაც აღარ მახსოვსო. მზად იყო, ადამის ყველა თხოვნა შეესრულებინა.

— ბატონი სპირიდონია ცუდად! — უთხრა ადამმა, —ექიმთან უნდა წავიყვანოთ, საავადმყოფოში.

— რომელი სპირიდონი? —იკითხა მილიციელმა.

— კბილის ექიმი.

— სად არის?

— ქოხშია.

— მერე რაღას ვუცდით?

ისინი ქოხში შევიდნენ. სპირიდონი საწოლზე წამომჯდარიყო, შემოსულებს გაუღიმა:

— გამიარა!

— ბატონო სპირიდონ, —მიმართა კბილის ექიმს მილიციელმა, თან ხელი აუღო და ქუსლი ქუსლს მიარტყა, თითქოს მეთაურს გაეჭიმაო, —თქვენ ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი მაგრამ, რა დავაშავე? —გაეღიმა ისევ სპირიდონს.

მილიციელი შეცბა და ადამს მოხედა..

-— საავადმყოფოში უნდა წაგიყვანოთ, — უთხრა ადამმა, — მოტოციკლი კართან დგას.

— არა, —სპირიდონმა ხელები გაასავსავა, —მილიციის მოტოციკლი არ მინდა, ხალხი გადაირევა, —მერე იატაკზე ფეხი ჩამოდგა, —ჩემითაც წავალ,—მაგრამ მაშინვე საშინლად დაიმანჭა და ხელი გულზე მიიდო.

— მომეხმარეთ, —უთხრა ადამმა მილიციელს.

მათ სპირიდონს ხელი მოჰკიდეს და გარეთ გამოიყვანეს.

— სადგურში უნდა წავიდე, —თქვა სპირიდონმა და ადამს შეხედა, — ხომ იცით, სადგურში რომ ვარ წასასვლელი?

— სადგურში მე წავალ. —უთხრა ადამმა, — მე დავხვდები!

— საავადმყოფოში არ წამოგყვებით, — თქვა სპირიდონმა, — შინ მიმიყვანეთ. დამიჯერეთ, ასე სჯობია.

— კარგი, ბატონო.

მილიციელმა ადამს ხელი აუღო, მერე მოტრიალდა და მოტოციკლზე დაჯდა.

— უკვე კარგად ვარ, —თქვა სპირიდონმა და მოტოციკლიდან გადმოსვლა დააპირა.

მილიციელმა მას მხარზე ხელი დაადო და ადამს შემოხედა. ადამმა ანიშნა, წაიყვანეო.

მოტოციკლი დაიძრა.

ხუთი საათისთვის ადამი სადგურში იყო. ბაქანზე სეირნობდა და მატარებელს ელოდებოდა. ყურშა მესერთან გაწოლილიყო, პურის ფარდულის ახლოს.

— ინჟინერო, ვის ელოდებით? — ჰკითხა ვანომ.

— ერთი ნაცნობი უნდა ჩამოვიდეს...

— ხიდის საქმე როგორაა?

— კარგად.

— გააჭირა ამ წვიმამ საქმე...

— ჰო...

— საცაა ჩამოდგება მატარებელი.

—დიდხანს ჩერდება?

— სამ წუთს.

— კარგია, —თქვა ადამმა, —ძალიან კარგია.

— მამია იყო აქ, —უთხრა ვანომ.

— ჰო?

— ყოველდღე სადგურზეა, დგას და მატარებელს უყურებს. რაშია საქმე, ვერ გავიგე!

— რა უნდა იყოს, დგას და მატარებელს უყურებს!

— კი, დგას და მატარებლებს უყურებს...

— დიდი ამბავი?

— კარგი, ბატონო, შევცდი.

ამ დროს მატარებელიც ჩამოდგა. მატარებლიდან ერთი ქალის მეტი არავინ ჩამოსულა. ვიდრე მატარებელი არ დაიძრა, ადამი იმ ქალთან ვერ მივიდა; უცდიდა, იქნებ, კიდევ ჩამოვიდეს ვინმეო. ქალი იმას არ ჰგავდა, მას რომ წარმოედგინა. რატომღაც ახალგაზრდას ელოდებოდა, ეს ქალი კი ორმოცი წლისა იქნებოდა. მაღალი იყო, სიმსუქნე შეპარული. განაწამები სახე ჰქონდა, ალბათ, მატარებელში ვერ დაიძინა, კალთებდაჭმუჭნული, შავი პალტო ეცვა, გაქუცული ბეწვის საყელოთი. ვაგონიდან რომ ჩამოვიდა, ჩემოდანი დაბლა არ დაუდგამს, აქეთ-იქით იხედებოდა.

„რა სულელი ვარ, —გაიფიქრა ადამმა, —უჩას საცოლე ახლა ახალგაზრდა როგორ იქნება?“

მატარებელი რომ დაიძრა, ადამი ქალისკენ გაემართა.

— თქვენ ბატონო სპირიდონთან ჩამოხვედით, არა?

— დიახ, —ქალმა გაკვირვებით შეხედა.

სახეზე ღრმა ნაოჭები ჰქონდა. ვაგონიდან ჩამოსვლის წინ, ეტყობოდა, პუდრი წაესვა, სიჩქარეში ცხვირის წვერზე სქლად შერჩენოდა. ადამმა თვალი აარიდა. მაინც ისეთი გრძნობა ჰქონდა,

რომ სხვას დახვდა; ეს ქალი ის არ იყო, ვისაც ელოდებოდა.

— მომეცით ჩემოდანი, —უთხრა ადამმა, —მე წამოვიღებ.

— სპირიდონი სად არის? —იკითხა ქალმა და ჩემოდანს ხელი არ გაუშვა.

— ბატონი სპირიდონი შინ გელოდებათ, მომეცით ჩემოდანი!

ქალმა ჩემოდანი უნდობლად გაუწოდა, ადამმა ჩამოართვა.

— წავიდეთ, —უთხრა ადამმა ქალს, რადგან ის ისევ უძრავად იდგა და ისევ აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს კიდევ იმედი ჰქონდა, სპირიდონი გამოჩნდებაო.

— წავიდეთ? —ქალმა ადამს შეხედა,— რამე ხომ არ დაემართა?

— არა...

— მაშ? —ქალმა გაღიმება სცადა.

— სწვეულდებით, —უთხრა ადამმა და წამოსასვლელად ნაბიჯი გადადგა.

— თუ ავად არის, მითხარით, —ქალმა სახელოზე ხელი მოჰკიდა, თითქოს მისი შეჩერება უნდაო.

ადამი უკვე ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. ქალიც უკან მოჰყვებოდა. ძაღლი წამოდგა და ძუნძულით აედევნა. ქალს შეეშინდა, რამდენჯერმე მოხედა ძაღლს.

— ჩემი ძაღლია, —უთხრა ადამმა ისე, რომ უკან არ მოუხედავს.

— ყოველთვის სპირიდონი მხვდებოდა, —ქალი მძიმედ სუნთქავდა, ეტყობოდა, ასე ჩქარი სიარული არ შეეძლო.

ადამმა ნაბიჯი შეანელა. სადგურის გამოსასვლელთან ვანო შემოხვდა. ვანოს ვიღაც დაბალი კაცი მოჰყვებოდა. იმ კაცს თავზე ტომარა ჰქონდა წამოფარებული.

მათ ადამსა და ქალს გზა დაუთმეს. ადამმა გაიგონა, ვანომ როგორ გადაულაპარაკა ტომრიანს:

— სპირიდონის რძალი ჩამოსულა, კაცო?

— მაგ ყოველ წელიწადს ჩამოდის,— უპასუხა კაცმა.

— ფეხით უნდა წავიდეთ, —მიუბრუნდა ადამი ქალს, —აქვეა!

— ვიცი, —უპასუხა ქალმა, —თქვენ რატომ შეგაწუხეს!

ამით იმ უნდობლობის მიჩქმალვა სცადა, ადამის მიმართ რომ გამოიჩინა.

— ეს რა შეწუხებაა! —უპასუხა ადამმა.

„ბატონი სპირიდონისათვის ეს ქალი, შეიძლება, ისევ ახალგაზრდაა, — ფიქრობდა ადამი, —იმიტომ, რომ ბატონი სპირიდონი მოგონებებით ცხოვრობს. თუ შეიძლება მარტო მოგონებებით ცხოვრება? ალბათ, შეიძლება. კაცი, როგორც უნდა, ისე გააჩერებს დროს. მაგრამ ამასაც შეჩვევა უნდა. ალბათ, ძნელია! სულ მარტო უნდა იყო, რომ ასე ცხოვრება შესძლო. სულ მარტო. ეს კი საშინელებაა. თუმცა სრულებით არ არის აუცილებელი, რომ კაცი უსათუოდ ბედნიერი იყოს... რა არ მოიგონა კაცმა, თავისთავს კი ვერაფერი უშველა. იქნებ, არც არაფერია საშველი, ჩვენ სხვა რამე გვგონია, ცხოვრება კი სულ სხვა რაღაც არის. აი, ეს ქალიც. ის, ალბათ, გათხოვილია, ქმარშვილი ჰყავს. მაშ, აქ რისთვის ჩამოდის? იმიტომ ჩამოდის, რომ ისიც მოგონებებით ცხოვრობს. გამოდის, რომ ორი ცხოვრება ჰქონია, რა თქმა უნდა, თუ მოგონებებსაც ცხოვრებას დავარქმევთ. იქნებ, ამ ქალისთვის მოგონებები უფრო ნამდვილი ცხოვრებაა, ვიდრე ქმარ-შვილთან ყოფნა? ეს ხიდივითაა. ვინც არ იცის, მას ჰგონია, რომ ხიდი მხოლოდ ბურჯებს ეყრდნობა. ნამდვილად კი უამრავ სხვა რამესაც ეყრდნობა, თავის საკუთარ სიმძიმესაც კი.“

ბატონი სპირიდონის სახლში, ეტყობოდა, მათ ელოდებოდნენ, რადგან კარი ღია იყო. ადამმა მაინც დააკაკუნა, მაგრამ არავინ გამოხედა. ქალმა ვეღარ მოითმინა და დერეფანში შევიდა. ადამი ქალს შეჰყვა. ძაღლს კარი მიუკეტა, შინ არ შემოუშვა. ოთახში რომ შევიდნენ მილიციელი დაინახეს, რომელიც კედელთან მიდგმულ სკამზე იჯდა.

მილიციელი წამოდგა და ქუსლი ქუსლს მიარტყა.

— კარგად არის! —მიახარა ადამს და გაუღიმა.

ქალმა მილიციელი რომ დაინახა, შეკრთა და შეჩერდა, მერე უცებ ადგილს მოსწყდა და ექიმის ოთახში შევარდა.

მილიციელი და ადამი ოთახში მარტონი დარჩნენ. ადამმა ჩემოდანი იატაკზე დადო. მილიციელი მივიდა, ჩემოდანი აიღო და ოთახის კუთხეში მიიტანა. მას, ეტყობოდა, ადამის გულის მოგება უნდოდა.

— გზაში უკვე კარგად გახდა.—თქვა მან, მერე თავი გადააქნ-გადმოაქნია, რადგან ადამს ხელში სიგარეტი დაუნახა. ადამმა რომ სიგარეტის კოლოფში ჩაბრუნება დააპირა, ხელი დაუჭირა და უთხრა: —თუმცა მოწიეთ, თვითონაც ეწეოდა...

ადამმა სიგარეტს მოუკიდა, მილიციელსაც შესთავაზა, მაგრამ მან უარი უთხრა:

— არ ვეწევი! —თან ამაყად გაიღიმა.

ადამი სკამზე ჩამოჯდა, მილიციელიც მის გვერდით მოკალათდა.

— თქვენ ჩემი სახელი თუ იცით?— ჰკითხა მან ადამს.

— რა? — ადამი ფიქრისგან გამოერკვა.

— მე ბექანი მქვია! —უთხრა მილიციელმა, მაშინვე ხელი ასწია, თითქოს აფრთხილებდა, არ დამასწროო.—თქვენი სახელი კი ვიცი, ადამი!

— ჰო, ადამი!

— ბაბუაჩემსაც ადამი ერქვა, —გაიცინა მილიციელმა.

— რას მეუბნებით? — გაიკვირვა ადამმა განგებ. მას მთელი გულისყური იმ ოთახისკენ ჰქონდა, სადაც ახლა ქალი შევიდა.

— თქვენ წარმოიდგინეთ, მართლა ადამი ერქვა! —იცინოდა მილიციელი, —მებორნე იყო..

— მებორნე?..

— ერთხელ თურმე ბოშები გადაჰყავდა ბორნით. ერთი გოგო მოსწონებია და ის შეურთავს ცოლად.

— ვის?

— ვის და ბაბუაჩემს, ბებიაჩემი ბოშა იყო. ახლაც მახსოვს, [illegible] რომ დაამღერებდა...

ბიბლიოთეკა

„ეს კაცი გადამრევს, —გაიფიქრა ადამმა, —ახლა ბოშური სიმღერა რომ წამოიწყოს, რა უნდა ვქნა?..“

— ჰოდა, ბაბუაჩემსაც ადამი ერქვა.

— ბებიას რა ერქვა? —ჰკითხა ადამმა.

მილიციელმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რადგან კარი გაიღო და ექიმის ოთახიდან დედაბერი გამოვიდა. კარი მოღებული დარჩა. მილიციელი წამოდგა და დედაბერთან მივიდა ამბის საკითხავად. დედაბერმა მილიციელს რაღაც უთხრა, თან ადამს გამოხედა, რომელიც ამასობაში წამომდგარიყო და კართან მისულიყო. მოღებული კარიდან ექიმის საწოლი მოჩანდა. ექიმი იწვა. უფრო სწორად, ლოგინში წამომჯდარიყო, რადგან ზურგს უკან სამი დიდი ბალიში ედო. ახლა ის ისევე მხნედ გამოიყურებოდა, როგორც იმ ღამეს, ადამს კბილი რომ ტკიოდა. ხელში ანთებული სიგარეტი ეჭირა, მეორე ხელი კი ქალისთვის დაედო მუხლზე. ქალი საწოლთან ახლოს, სკამზე ჩამომჯდარიყო. თეთრი, ხელში მაგრად მოჭმუჭნული ცხვირსახოცი პირზე აეფარებინა და სლუკუნებდა. საწოლთან დიდი სურათი ეკიდა, რომელიც ადამს იმ ღამეს არ შეუმჩნევია. სურათზე ასე თვრამეტ-ცხრამეტი წლის ბიჭი იღიმებოდა. ბიჭს თეთრი, საყელოგადმოშლილი პერანგი ეცვა.

ადამმა ყური მიუგდო, ქალი რაღაცას ლაპარაკობდა, ძლივს გაარჩია:

— ავთანდილი მემრის დაამთავრებს სკოლას... უმცროსი ქარხანაში გვინდა მივიყვანოთ, მაინც არ სწავლობს... სტეფანეც... მთელი დღე მატარებლის ბორბლებს უკაკუნებს... მეცოდება საწყალი... მუხლებს იტკივებს... კარგი იყო, წყალტუბოში წასულიყო... სად გვაქვს მაგის საშუალება? მაგ კი არა, ერთ ოთახში ვიხრჩობით აგერ რამდენი ხანია, არ მოგვიწია რიგმა არაფრით,

გვპირდებიან, მაგრამ არ დაადგა საშველი... რა ვქნათ, ბატონო...

— ხომ გითხარი, გადმოდით, აქ იცხოვრეთ-მეთქი, — თქვა სპირიდონმა ჩუმად,—ამოდენა სახლი ცარიელია მთლად...

— არ შვრება სტეფანე... ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ბატონო.

— აქ რომ ჩამოდიხარ, იმაზე ხომ არაფერს ამბობს?

— არა, ამაზე როგორ იტყვის რამეს? ისეთი გული აქვს! უჩას სურათი შინ დამაკიდებინა მე უბედურს.

— კარგი კაცია სტეფანე...

— რა ქნას, ახალი პაპიროსი გამოსულა რაღაც, უყიდია და თქვენთან გამომატანა, იქნებ, ესიამოვნოსო...

— დიდი მადლობელი ვარ, ჩემო მარო!

— რას ბრძანებთ, ბატონო!

ადამი გამოტრიალდა, დედაბერთან და მილიციელთან მივიდა.

— ბექან, არ წავიდეთ?

— წავიდეთ, აბა რა!

— რას ბრძანებთ, დედა? სპირიდონმა თქვა, არ გაუშვაო. ხომ იცით, დღეს რა დღეა?

— არა, ქალბატონო, ისეთი საქმე მაქვს, ვერაფრით ვერ დავრჩები. გმადლობთ.

არც ბექანი ჩამორჩა ადამს:

— ჩემი ამბავი ხომ იცი, დედი, ერთი წუთით თუ სადმე შევედი, გაიხარებს ქურდი და ოხერი.

— კარგი, შვილო, —დედაბერმა საქმეებით დატვირთული კაცების წინაშე ქედი მოიხარა, —რა ვქნა, სპირიდონს კი ეწყინება, მაგრამ...

ქუჩაში რომ გამოვიდნენ, ბექანმა, მოტოციკლით წაგიყვანო, შესთავაზა.

— არა, ფეხით წავალ, —უპასუხა ადამმა, —ხიდზე მაინც ალარავინ იქნება.

— აბა, კარგად იყავით! —ხელი დაუქნია ბექანმა.

ადამი წვიმაში მიდიოდა. „ომი არც ისე ჩქარა თავდება... ომი არც ისე ჩქარა თავდება... არც ისე ჩქარა თავდება ომი...“

დღევანდელ ამბებს შეეძრწუნებინა. ძალიან ეცოდებოდა მოხუცი კბილის ექიმი, მისი სარძლოც, დედაბერიც, რომელიც შეშინებული ყველას თვალებში შესციცინებდა, ჩემს შვილს ხომ არაფერი დაემართებაო.

„რამდენი ასეთი ამბავი ხდება ჩვენს გარშემო და ვერ კი ვამჩნევთ. თუ კაცის ყვირილს არ გავიგონებთ, მიშველეო, ისე, ალბათ, ახლოსაც არ გავეკარებით. კაცი კი ამაყია. რა უნდა მოხდეს, რომ დაგიძახოს. კი, მაგრამ თუ არ დამიძახა, როგორ უნდა გავიგო, რომ უჭირს? სახეზე ხომ არ აწერია ბედი თუ უბედურება? აი, მე რანაირადაც არ უნდა გამიჭირდეს, არ ვიყვირებ. განა ბატონო სპირიდონის მწუხარებას რამე ეშველება? არა და არც მისი მარტო დატოვება შეიძლება.

აი, მეც ხომ ვიცი, რომ ვერავინ დამეხმარება, ვერც ვერავის მოვთხოვ, რომ დამეხმაროს, იმიტომ რომ ჩემი სიყვარული სიგიჟეა. მაინც მინდა, რომ ვინმეს ესმოდეს ჩემი, ხმამაღლა ვუყვებოდე ჩემი გაჭირვების ამბავს. მას კი არ ეცინებოდეს, გულში არ ეცინებოდეს, თორემ ჩემს დასანახად არც სხვები იცინიან. ხომ შეიძლება ვინმე იყოს ამ ქვეყნად, ვისთანაც ისევე თამამად გავიმეორებ თინას სახელს, ჩემთვის, გულში რომ ვამბობ ხოლმე. გულში ნათქვამი ქვებივით ერთმანეთზე ლაგდება, მძიმდება და ლამისაა გული გამიხეთქოს. ვინმე რომ გისმენს, თითქოს ამ ქვებს გულიდან იღებ, იშორებ. შორს ისვრი, თამამად სუნთქავ. იქნებ. ასეც უნდა იყოს. იქნებ, ყველამ თავის დარდს მარტო თვითონ უნდა მოუაროს, იქნებ, ადამიანს უფრო მეტსა ვთხოვ, ვიდრე მას ნამდვილად შეუძლია? კი მაგრამ, მაშინ რატომ მოვიდა დღეს ჩემთან ბატონი სპირიდონი? რატომ... რატომ... რატომ....“

უკან მოიხედა, ძაღლი არ მოჰყვებოდა, გაჩერდა, სად დაიკარგაო? მერე იფიქრა, ალბათ, იქ დარჩა, ბატონი

სპირიდონის სახლშიო. რატომღაც ესიამოვნა, რომ ძაღლი სწორედ იქ დარჩა.

წვიმდა...

უკვე ბნელოდა. ქუჩაში ნათურები აენთოთ, ზამთრის მღვრიე ბინდში ყვითელი ლაქებივით რომ მოჩანდა.

სადგურისკენ პატარა, ვიწრო ქუჩა მიდიოდა. ქუჩის ერთ მხარეს დაბალი, ერთსართულიანი სახლები იდგნენ მწკრივად. მეორე მხარეს კი ქუჩას პატარა ბაღის თეთრად შეღებილი მესერი მიჰყვებოდა.

ზოგიერთ სახლს ბოქლომი ედო. ზოგში კი ისევ ენთო სინათლე. სახლების წინ ფანჯრებიდან გამოსული შუქი ტროტუარზე ყვითელი მუშამბის პრიალა ნაჭრებივით ეფინა. იმ მწკრივზე სულ სახელოსნოები იყო. თერძს, ხარაზს, დურგალს, ოქრომჭედელს, მეკუბოვესა და დალაქს გვერდი-გვერდ გაეშალათ თავიანთი საქმიანობა. ახლა მხოლოდ მეკუბოვესა და დალაქს ენთო სინათლე. კიდევ ერთ სახლში მოჩანდა შუქი, ეს სახლი ქუჩის ბოლოში იდგა, სახელოსნოების მწკრივს ამთავრებდა. უზარმაზარი აბრა ჰქონდა, რომელზედაც ყურძნის მტევანი ეხატა და უსწორმასწორო ასოებით „სასადილო“ ეწერა.

სადალაქოს წინ მოტოციკლი იდგა. იქვე ბექანი გაჩერებულიყო და თეთრხალათიან დალაქს ელაპარაკებოდა. დალაქი თითქოს ვერ გრძნობდა, წვიმა რომ მოდიოდა, ხელებს იქნევდა და ძალიან ხმამაღლა იცინოდა.

ადამი მათ რომ გაუსწორდა, ბექანმა სწორედ მაშინ მოიხედა მისკენ, თითქოს შორიდან შენიშნული ჰყავდა და უცდიდა, როდის მომიახლოვდებაო.

— ადამ! —დაუძახა მან, დალაქი მიატოვა და ქუჩა გადმოჭრა.

ადამი შეჩერდა. ბექანი მასთან მივიდა და უთხრა:

— თქვენ გელოდებოდით. ვიცოდი, აქეთ გამოივლიდით.

— ჰო, შინ მივდივარ, —უპასუხა ადამმა.

— თუ ძალიან არ გეჩქარებათ...

ბექანმა სათქმელი ვერ დაამთავრა და ჟესტი მოიშველია, ხელი სასადილოსკენ გაიქნია. ადამმა ბექანს უარი ვერ უთხრა.

დალაქი ცოტა ხანს კიდევ იდგა ქუჩაში, თითქოს იმედს არ კარგავდა, ბექანი დაბრუნდებაო, მაგრამ ბექანმა ადამს მკლავში ხელი რომ გაუყარა და წაიყვანა, ხელი ჩაიქნია და სადალაქოში შებრუნდა.

— ეს წვიმა გადამრევს, —თქვა ბექანმა.

სასადილო ცარიელი იყო. მხოლოდ ოთახის კუთხეში მიდგმულ მაგიდასთან ფოსტალიონი ლავრენტი იჯდა. ფოსტალიონს იდაყვები მაგიდაზე დაეყრდნო და ფართოდ გახელილი, ფხიზელი თვალებით იხედებოდა. იფიქრებდი, ორი ცარიელი ბოთლი, რომელიც მის მაგიდაზე იდგა, სხვამ გამოცალა და წავიდაო.

ისინი რომ სასადილოში შემოვიდნენ და ლავრენტიმ ბექანი დაინახა, წამოდგა და წელში გასწორდა, რადგან გულში თავისთავს ფოსტის კი არა, მილიციის თანამშრომლად თვლიდა. ერთხელ ბექანს წითელი სამხრეების ტარების უფლებაც კი თხოვა, ძალიან გაუკვირდა, ბექანმა უარით რომ გამოისტუმრა.

— მარტო ერთი დღით თეძოზე რევოლვერი დამკიდონ, წითელი სამხრეები დამაკერონ და რაიკომის წინ დამაყენონ, მეტი არაფერი არ მინდაო, — ამბობდა ლავრენტი. ფოსტალიონობას ის ბედის დაცინვად თვლიდა და ისე უგულოდ ეკიდებოდა საქმეს, რომ, ალბათ, დღე დღეზე დაითხოვდნენ.

ბექანი მასთან შეხვედრას ყოველთვის გაურბოდა. გიჟიაო, — ამბობდა.

ლავრენტი მარტოხელა იყო. ერთადერთი, ვინც მისი ასავალ-დასავალი იცოდა, მეხანძრის ქვრივი იყო. ლავრენტი მას შუაღამისას მიადგებოდა ხოლმე, ქალი კარს გაუღებდა და მთვრალ ლავრენტის, როგორც პატარა ბავშვს, ტანისამოსს ხდიდა. იმასაც ამბობდნენ, ტანსაც ბანსო. ამ დროს

ლავრენტი თურმე იძახდა: შემომხედეთ, ქრისტე ვარ, ქრისტეო! ამბობდნენ, ქალი ლავრენტის იმიტომ წყალობს, მილიციელი ჰგონიაო. ლავრენტი რომ ყვირილს მორთავდა, ქრისტე ვარო, ქალი თავში ჩაარტყამდა, მილიციელი ქრისტე არ გამიგონიაო. დილით ერთი წიოკობა ატყდებოდა თურმე იმ ქალის სახლში. მერე ჩაჩუმდებოდნენ და ჩხუბისგან არაქათგამოცლილები ერთმანეთს სახეში აფურთხებდნენ თურმე.

ბექანი და ადამი მაგიდას რომ მოუსხდნენ, ლავრენტიმ ხელები გაშალა და მათკენ სახეგაბადრული წამოვიდა. ბექანმა დროზე შეასწრო თვალი და გამყინავი ხმით შეუყვირა:

— გაჩერდი, ლავრენტი, ადგილზე, თორემ!

ლავრენტის სახე შეეცვალა, ცოტა ხანს გაშეშებული იდგა, მერე მწარედ, ირონიულად ჩაიცინა და გატრიალდა, ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა. ბოთლს ჩანგალი შემოჰკრა, სამზარეულოს ფანჯრიდან ოფიციანტმა გამოხედა. ლავრენტიმ შემოსულებზე ხელით ანიშნა, მიხედეო, ოფიციანტმა ბექანი და ადამი რომ დაინახა, სასწრაფოდ გამოვიდა და მათთან მოვიდა.

— გამარჯობა შენი! —უთხრა ბექანმა.

— სალამი! —უპასუხა ოფიციანტმა.

გაწრიპული ბიჭი იყო. გრძელი თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი, თითქოს თავზე სახაზავით თეთრი, პრიალა ხაზი გაუსვესო. მოცეკვავეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ოფიციანტს.

— რა გაქვთ? —ჰკითხა ბექანმა.

— ასე გვიან რაღა უნდა გვქონდეს?

— მაინც?

— ლობიო.

— ლობიოს მეტი არაფერი გაქვთ?

— არა, ბატონო, სამაგიეროდ კარგი ლობიოა.

— მოგვიტანე, რას იზამ, — ბექანმა ადამს შემოხედა, თითქოს მოუბოდიშაო, —ღვინო?—მიმართა ისევ ოფიციანტს.

—„ადესა"[1]!

— სხვა ღვინო არა გაქვთ?

— სამაგიეროდ კარგი „ადესაა"!

ოფიციანტი, რა თქმა უნდა, ბექანს იცნობდა. მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს პირველად ხედავსო. იცოდა, ასე უფრო ასიამოვნებდა ბექანს, რომელიც უცხოს თანდასწრებით მლიქვნელობას ვერ იტანდა.

— არაყიც მოიტანე, —უთხრა ბექანმა ოფიციანტს, —შენი „ადესა" რას გვიზამს!

ოფიციანტმა ღვინო, ლობიო, ცხელი ჭადი და პრასის წნილი მოიტანა.

— არაყი? —შეახსენა ბექანმა.

— არაყი, ჭაჭისაა, ბატონო, ძალიან მაგარია! —გაუფრთხილდა ოფიციანტი.

— აბა, წყლის დალევა რომ გვდომებოდა, —ბექანმა გაიცინა, თან ადამს შესცქეროდა, —შე კაი კაცო, აქ კი არ შემოვიდოდით!

—კი, ბატონო, ახლავე მოვიტან.

ადამს შიოდა. ნივგზითა და ძმრით შენელებული ლობიო მოეწონა. მერე თითო არაყი გადაჰკრეს. ბექანმა კიდევ რომ დააპირა არყის დასხმა, ადამმა თავის ჭიქას ხელი დააფარა, ვეღარ დავლევო. ბექანმა ახლა ღვინო დაასხა ჩაის ჭიქებში.

— დიდი ხანია მინდოდა თქვენთან ასე ლაპარაკი, —უთხრა მან ადამს, — ჩვენ გაგვიმარჯოს.

— ხანდახან, როცა ასე წვიმს, — ამბობდა მერე ბექანი, —აღარ ვიცი, სად წავიდე... დავგლიჯინებ ჩემი მოტოციკლით აღმა და დაღმა, ამ ტალახში...

ადამი ხმას არ იღებდა, ბექანს უსმენდა.

„არასოდეს პირველ შთაბეჭდილებას არ უნდა ენდო, —ფიქრობდა ის, — ბექანი სულ სხვანაირი მეგონა..."

ბექანი მალიმალ ავსებდა ჭიქებს. თვითონ ბოლომდე ცლიდა, თუმცა ადამს არ აძალებდა, მაინც ყოველნაირად ცდილობდა, ენიშნებინა, ჭიქა შენც ბოლომდე დაცალეო.

— შინ ბებიაჩემის დაირა მაქვს, — ხმადაბლა ლაპარაკობდა, ცდილობდა

[1] „მნათობი", № 4.

სიმთვრალე არ შეტყობოდა, რომელიც ნაადრევად მოჰკიდებოდა, ყოველ სიტყვას თითქოს ყურს უგდებდა, კარგად რომ დარწმუნდებოდა, ამის თქმა ღირდა, მომდევნოს მხოლოდ ამის შემდეგ იტყოდა. სკამი ადამის ახლოს მიეჩოჩებინა, თვითონაც ადამისკენ გადახრილი იჯდა, თითქოს ცდილობდა ყურში ეთქვა სათქმელი, —ჩამოვიღებ და ზედ ხელებს ვაპარტყუნებ ხოლმე.. იცი, რატომ? აბა, საიდან უნდა იცოდე? ცოლი მყავს ლოგინად ჩავარდნილი; დამბლა დაცემული. მშობიარობამ უყო... არც შვილი შემრჩა.. ვზივარ და ქაირას ვუკრავ... აბა, რა ვქნა? მითხარი, რა ვქნა?

ლავრენტიმ ისევ სცადა მათთან მოსვლა, ბეჟანმა ისევ დროზე შეაჩერა. მერე ლავრენტიმ შორიდან დაუძახა:

— ეს თქვენი სადღეგრძელო იყოს!

ბეჟანს იქით არ მოუხედავს, ადამმა კი თავი დაუქნია, რადგან ფოსტალიონს არ იცნობდა.

მერე სასადილოში ვახო შემოვიდა. კარებში გაჩერდა, რადგან ადამს აქ არ მოელოდა. მთვრალი იყო.

— ჩემი მილიცია მე მიცავს!—თქვა მან და ღიმილი სცადა, მერე მათკენ ფეხარეული წამოვიდა, თან ამბობდა, —საკვირველია, მილიცია იმას იცავს, ვისაც სულ არ უნდა დაცვა. დაცვა, აი მე საცოდავს მჭირდება... არავინ კი არ მიყურებს...

ბეჟანი ადამს შეაცქერდა, რადგან მიხვდა, რომ ვახოს ირონია ადამისკენ იყო მიმართული. ადამმა მძიმედ ასწია თავი და ახლოს მოსულ ვახოს ჰკითხა:

— როდის მოასწარი?

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა —გადაიხარხარა ვახომ, —ამას რა მოსწრება უნდა, ხიდი ხომ არ არის? შეიძლება ჩამოვჯდე, უფროსო?

— არა, —უთხრა ადამმა,—შინ წადი!

— ვაგონში, არა? ამას ეძახი სახლს, არა? შენ არ იცი, რომ მე სახლი არა მაქვს? იქნებ, არც ის იცი, რომ მძულხარ! ჰო, მძულხარ! მეზიზღები!

თუმცა ვახო მთვრალი იყო, ადამს მაინც გულში მტკივნეულად მოხვდა მისი სიტყვები.

— რატომ, ვახტანგ, რატომ უნდა გძულდე მე? —შეეკითხა გულწრფელად გაკვირვებული ადამი.

— რატომ? —ვახო წელში მოწიწებით მოიხარა და ბეჟანს მიმართა, — შეიძლება, ვუპასუხო?

ბეჟანი უაზროდ შეაშტერდა. ამ კაცის მოურიდებელმა დაცინვამ თავგზა აუბნია, ვახოს მისი პასუხისთვის აღარ დაუცდია, ადამს მიუბრუნდა:

— რატომ? იმიტომ რომ, დანავარდობ! იმიტომ რომ, არაფრისა გეშინია... იმიტომ რომ, ჩემი გამოსწორება გინდა. გამოსწორება! თითქოს მაიმუნი ვიყო! აბა, ახტი, ვახო! აბა, ეს გააკეთე, ვახო! ყოჩაღ, ვახტანგ, არა, გენაცვალე. მე არ მჭირდება შენი გამოსწორება! დამაცადე ცხოვრება, რა გინდა?

მერე ბეჟანის ჭიქა აიღო და სულმოუთქმელად გამოსცალა, თან ღვინო მკერდზე ჩამოეღვარა.

— არ მესმის, —თქვა ადამმა, —არ მესმის, რას ამბობ!

ვახომ პირი სახელოთი მოიწმინდა, თან ადამს თვალს არ აშორებდა.

— მე რომ მთვრალი მნახოს, პატივცემული ბეჟანი ერთ ღამეს მილიციაში მაყურყუტებს. შენ კი.. ჰმ... შენთან ერთად კი პურ-მარილს მიირთმევს. არ გესმის?..

— არა, ღმერთმანი არ მესმის!

— არც ის გესმის?..

ვახო გაჩერდა, ადამმაც იგრძნო, ვახო ახლა ისეთ რამეს იტყოდა, რომ წონასწორობას დააკარგვინებდა, ამიტომ გაფრთხილების ნიშნად ხელი ასწია:

— ვახტანგ!

— არც ის გესმის? —ვახოს თვალები გაუბრწყინდა, მერე სწრაფად წამოისროლა, —თინა როგორ არის, ჰა?

ამის თქმა და ადამის წამოვარდნა ერთი იყო. ბეჟანმა მოასწრო და ადამს გასარტყმელად აწეული ხელი დაუჭირა ადამი ვახოს უყურებდა. იმ ერთმა წამმა გაიარა, როცა ის გარტყმას აპირე-

ბდა, ახლა გული ზიზღით აევსო. ასე უხმოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს, მერე ვახომ ნელ-ნელა უკან დაიხია, სახეზე ხელი ჩამოისვა, თითქოს გამოფხიზლდაო.

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა! —გადაიხარხარა ლავრენტიმ კუთხეში. მას, ეტყობოდა, ვახოს ნათქვამი არ გაუგონია. უაზროდ, თავისთვის გაიცინა, შეიძლება, თავისი არსებობა შეახსენა.

ოფიციანტი მივიდა და ვახოს კარისკენ უბიძგა.

— დაიცადე, —თქვა ადამმა ჩუმად.

— დაიცადეთ! —გაიმეორა ბექანმაც.

— მე არაფერი დამიშავებია, —თქვა ვახომ, თან ბექანს უყურებდა.

— კი, მაგრამ მე... მე რა დაგიშავე? —ჰკითხა ადამმა ხმის ცახცახით.

— შენ? არაფერი! — ვახომ მხრები აიჩეჩა, ისე გაიღიმა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

— არაფერი ხომ? —ადამი თითქოს რაღაცას ფიქრობდა, —არაფერი ხომ?

— არაფერი...

— კარგი, —ადამმა ვახოსკენ ნაბიჯი გადადგა.

— ადამ? —ბექანმა სახელოზე ჩაავლო ხელი.

ვახომ უკან დაიხია და კედელს მიაწყდა, თვალები გაუფართოვდა, მერე თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკაო, წაიჩურჩულა, —მიშველეთ..

მერე ხმას აუწია, ისტერიული ყვირილი მორთო:

— მიშველეთ! მიშველეთ! მკლავს!

ადამი გაჩერდა:

— რა გაყვირებს?

ვახო კედელ-კედელ წავიდა, თან ხელს აფათურებდა, კარს ეძებდა, ადამს თვალს არ აშორებდა.

— მოიცადე! —უთხრა ადამმა.

ვახომ კარი იპოვა, მოტრიალდა და გავარდა, თან ყვიროდა:

— მიშველეთ! მიშველეთ!

## 12. ზაირას მამის აგარაკი. ერთი, ორი, სამი, ოთხი... ჰა.

ზღვის პირას, ერთმანეთის მიყოლებით ბეტონის ორი მაღალი კედელი იყო აღმართული. შეიძლება ამიტომაც ჰქონდა ზღვას შეცვლილი ხმა: ყრუდ გმინავდა.

წყალი ჭუჭყიანი იყო, თიხისფერი. პატარა მდინარეს, ზღვას აქედან ასიოდე ნაბიჯის დაშორებით რომ ერთვოდა, შლამი ჩამოჰქონდა. თანაც გადაუღებლად წვიმდა.

მომაბეზრებელია წვიმა ზღვაზე!

ღრუბელი ზღვაზეა ჩამოსული —ცის ოკეანის უზარმაზარი მედუზა —და ბოლოები ზღვის ზედაპირზე ეთრევა. ხანდახან, წამით თუ მზემ გამოიჭყიტა, ათასფრად ელავს.

წვიმის ხმა ნელ-ნელა იზრდება. ეს ხმა უფრო შემაწუხებელია, ვიდრე თვითონ წვიმა. ის მოურიდებელია, როგორც ალიონზე მენავთის ზარი, დილის ყველაზე კარგ სიზმარს უკვალოდ რომ კარგავს. წვიმის ხმა თითქოს წვიმისაგან დამოუკიდებლად არსებობს, წვიმა თავისთვის მოდის, ხმას კი თითქოს თავისი საქმე აქვს —შური იძიოს შენს წამიერ სიმშვიდეზე, შუაღამისას შეგანჯღრიოს და უამრავი, გაყინული წვრილი ხელით გამოგათრიოს იმ პატარა, თბილი გამოქვაბულიდან, ძილი რომ ჰქვია.

— ნუ ეწევი! ღამით მაინც ნუ ეწევი!

— დამანებე თავი!

— დაიძინე!

— ჰო, დავიძინებ... აი, უკვე მძინავს... მძინავს...

მერე უცებ იყვირა:

— მძინავს!

ზაირა გაინაბა. კარგა ხანს ხმა აღარ ამოუღია.

ზღვა გმინავს. ღამით ზღვა სრულებით არ სჩანს. ხანდახან შორს, ძალიან შორს, თუ ზღვაზე ნისლი არ არის ჩამოწოლილი, ბნელში სოხუმის შუქურა გაიკიაფებს ხოლმე.

„ის კედელი რომ არ იყოს, —ვფიქრობ მე, —აი, ის ბეტონის ორი კედელი, იქნებ მაშინ ზღვას წვიმისთვის ეჯობნა...“

— საჩხუბრად ხომ არ ჩამოვედით აქ, —დაიწყო ჩუმად ზაირამ.

— ჰო...

— ჩვენებს სოხუმში, დეიდასთან ვგონივარ...

— რომ გკითხონ?

— ეტყვის, რომ სოხუმში ვარ. შენ დეიდაჩემს არ იცნობ...

— ეტყვის?

— ჰო, მე დავურეკე.

ჩვენ ახლა ჩურჩულით ვლაპარაკობთ იმიტომ, რომ ახლა თვითონ წვიმაც ჩურჩულებს. ყვება უამრავ საიდუმლო ამბავს, რომელიც ჩვენთვის გაუგებარია. ჩვენამდე აღწევს მხოლოდ ხმა, ცარიელი, აბსტრაქტული ბგერები.

— კი, მაგრამ... მოატყუებს?

ზაირამ გადაიკისკისა:

— სულელო!

გარკვევით დავინახე ტყუილის ერთმანეთზე გადაბმული ფოლადის რგოლები, მერე ეს ჯაჭვი ყელზე შემომახვიეს და კინაღამ დავიღრჩე.

— დაიძინე, სულელო, —მომესმა ზაირას ხმა.

— დამანებე —მეთქი თავი!

— რა გაყვირებს?

—წვიმს! —ვიმართლე თავი უმწეოდ, უაზროდ, ბავშვივით.

— ჰო, წვიმს... დიდი ამბავი!

— შენ რატომ არ გძინავს?

ოთახში ბნელა. კუთხეში მაცივარი დგას, პერანგისამარა, ორსულ ქალივით.

მე და ზაირა მესამე დღეა აქა ვართ, მესამე დღეა ასე წვიმს.

ყველა თავისებურად ცხოვრობს, თავისებურად ისვენებს. ადამიანები ერთმანეთს არ ჰგავნან, მაგრამ ერთი კია: ბედნიერების წყაროდან ყველა იმ წყალსა სვამს, რომელიც მას ეკუთვნის, უფრო სწორად, რომლის ღირსიც არის.

— რომელი საათია? —შეკითხება ზაირა.

ხელი გადავყავი, სკამიდან საათი ავიღე და თვალთან ახლოს მივიტანე:

— თერთმეტის ნახევარია.

— რა გაათენებს!

„რა გაათენებს.. .რა გაათენებს, —ვიმეორებ მე გულში, —რა გაათენებს...“

— რაზე ფიქრობ?

რატომღაც არ მინდა, რომ ვუპასუხო, რადგან ვიცი, რასაც ვეტყვი, სისულელედ მოეჩვენება. იქნებ, მართლაც სისულელეა, რასაც ვფიქრობ...

— რაზე ფიქრობ-მეთქი? — ზაირას ეშინია, რამე არ გამოვაპარო, ცნობისმოყვარეა და ჯიუტი.

მაინც ვამბობ, თითქოს ხმამაღლა ვფიქრობდე:

— რომელიღაც ძველ ხალხს ამისთანა თქმულება ჰქონია: მიცვალებულის სული თურმე რომელიმე ცოცხალ არსებას ირჩევს თავის სამყოფელად..

— მერე? —დაინტერესდა ზაირა.

ვიგრძენი, ზაირა გაინაბა. ასე იცის ხოლმე, როდესაც ელოდება, რას ეტყვიან. თვალები დაუწვრილდება, ტუჩის კუთხეებში ღიმილის მსგავსი რაღაც გაუჩნდება, თითქოს წინასწარ მზადაა, რომ რაღაცას ბავშვურსა და სულელურს გაიგებს...

მე რომ თქმა დავაგვიანე, ვეღარ მოითმინა:

— მერე?

— არაფერი...

გავჩუმდი, აღარაფერი მითქვამს, რადგან, რასაც ახლა ვფიქრობდი და განვიცდიდი, ჩემთვისაც უცხო და მოულოდნელი იყო.

— ხმამაღლა დათვალე და დაგეძინება, — მითხრა ზაირამ.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი...

ცოტა ხანს გავჩუმდი, ალბათ, ასე ხმამაღლა თვლის უაზრობამ შემაყოყმანა.

— შეიდი! — მიკარნახა ზაირამ, თითქოს იმიტომ გავჩუმდი, რომ მეტი თვლა აღარ ვიცოდი.

— შვიდი, რვა, ცხრა, ათი. ერთი, ორი...

— ასე არა, კარგად დათვალე: თერთმეტ, თორმეტ...

— თერთმეტ, თორმეტ, ცამეტ, თოთხმეტ...

იქნებ, ის სულები წვიმასთან ერთად ჩამოდიან ციდან? ციდან... ციდან...

— თვრამეტი, ცხრამეტი, ოცი, ოცდაერთი, არქიმედი, ფსკოვი, გარიბალდი, ველოსიპედი, რამზესი...

— ეს რაღაა? — მკითხა ზაირამ, — ველოსიპედი, რამზესი?

— ეს კროსვორდია! — ვუპასუხე მე, — კროსვორდი! არქიმედი... ფსკოვი... გარიბალდი... ველოსიპედი... რამზესი... ზაირა... ზაირა... ზაზა...

ზაირამ გაიცინა.

— ზაირა პლუს ზაზა! — თქვა მან.

მე კი იმ ფოლადის რგოლებში ქიმიური ფანქრით ჩაწერილ ჩვენს სახელებს ვხედავდი: ზაირა! ზაირა! ზაზა! ზაზა!

„შენ სულელი ხარ, — მითხრა ზაირამ, როცა აქ ჩამოვედით, — ჩვენ თუ მოვინდომებთ, ამ აგარაკს მამაჩემი გვაჩუქებს. მანქანასაც გვიყიდის... კარგი, კარგი, ხმას აღარ ამოვიღებ...“

ზაირა! ზაირა! ზაზა! ზაზა!

რანაირი კროსვორდი არ არის ამ ქვეყნად მოგონილი? ფოლადის რგოლებისგან შემდგარი კროსვორდიც ყოფილა. სიცრუის ფოლადის რგოლების დახვეული ჯაჭვი. ის ლამაზია და ნებიერი, როგორც მზის გულზე მძინარე, დაგრაგნილი გველი. განა რაიმე სხვა განცხრომა შეედრება გველის მზეში თვლემას?

არქიმედი, ფსკოვი, გარიბალდი, ველოსიპედი, რამზესი, ზაირა, ზაზა...

— იცი, რა მგონია? — ვთქვი ხმამაღლა.

— რა? — გამომეპასუხა მაშინვე ზაირა.

— რომ მე ბატონი ვალერიანი ვარ!

— ვი-ი-ნ?

— დამწყები ბატონი ვალერიანი.

— შენ სულელი ხარ, მეტი არაფერი, — გაიცინა ზაირამ და გამომაჯავრა, — დამწყები ვალერიანი! ვინ არის ეს ვალერიანი, პირველად მესმის.

— ოცდარვა, ოცდაცხრა, ოცდაათი, — გავაგრძელე მე ხმამაღლა თვლა.

იმის შეგძნებამ, რომ ჩემს არსებაში ვიღაც უცხო იყო ჩასახლებული, შემზარა. ის ჯერ უსახო და ლორწოვანი იყო, როგორც კვერცხში წიწილის ჩანასახი, მაგრამ თავის საკუთარ განწყობილებას უკვე ასხივებდა და კიბოს მეტასტაზებივით, ედებოდა მთელ სხეულს, მკერდს, ხელებს, მუცელს.

„ოცდაათი წელი გავიდა, — ვფიქრობდი მე, — და ჯერ არაფერი გამიკეთებია. ვზივარ რეჟისორის თანაშემწის სკამზე და მაინც და მაინც არ მაღელვებს, რომ უკვე ოცდაათი წლისა ვარ. მალე, ალბათ, სკამზედაც ჩამომეძინება, როგორც ფარიკაობის მასწავლებელ ალექსანდრეს. ვზივარ და რაღაცას ველოდები. შეიძლება აღარც კი ველოდებოდე, თავს ვატყუებ, რომ ველოდები. და თანდათან ყველაფერი მავიწყდება, რაზედაც ვფიქრობდი, რისი გაკეთებაც მინდოდა. აი, მაგდაც... განა ისიც თანდათან არ მავიწყდება? თითქოს თოვლი ფარავს... თოვლი... თოვლი...

ჩვენ თუ მოვინდომებთ, — ამბობს ზაირა, — ეს აგარაკი ჩვენი იქნება. მამა მანქანასაც გვიყიდის. განა ჩემი ამხანაგები ამაზე არ ოცნებობდნენ? ნუთუ ყველაფერი ამით თავდება? მერე ჩაიცვი თბილი ხალათი, ფეხები თბილ ფლოსტებში წაჰყავი, ხელში ჟურნალი დაიჭირე და იკითხე, ნურაფერზე ნუღარ იფიქრებ, ან რაღა გექნება საფიქრალი? ყველაფერი თავისით მოვიდა, თავისი ფეხით, თეფშზე დაწყობილი მოგართვეს, რაც თვითონ უნდა მოგეპოვებინა. ნუთუ მართლა ამაზე ოცნებობდი? რა იქნა ის ოცნება, რომელიც გიყვარდა და, რადგან გიყვარდა, ამიტომ შენს თავსაც პატივს სცემდი? იქნებ, მართლაც ჯობია თვალი დახუჭო და ცხოვრების დინებას მიჰყვე? მდინარე თავისით წაგიყვანს და სანამ ხარ, სულ მზეზე იქნები ნებივრად გაშო-

ტილი, გამძლარ გველივით. და შენი ცხოვრებაც კროსვორდივით იქნება თავიდან ბოლომდე ამოხსნილი და შევსებული. არც ერთი პატარა ხვრელი ეჭვისა და სინანულისათვის... და შენც შიგ, ამოხსნილი ცნებების ერთფეროვნებაში იქნები შემძვრალი და შეკეტილი. და იქნება საჭმლის მონელების ხანგრძლივი, ნეტარი პროცესი, განცხრომისა და უდარდელობის ჟამი... იქ ვერაფერი ვერ შეაღწევს, ვერც ხმა, ვერც ფერი, რასაც შეუძლია წამით მაინც დააფრთხოს შენი მყუდროება..."

მოედანზე ფორანი გაჩერდა. ეს იყო გრძელი, ოროღერძიანი ფორანი. უფრო სწორად, თვლებზე შემდგარი სახლი, რომლის სახურავიდანაც ლუმელის მილს ამოეყო თავი. დაქანცულ ცხენებს ორთქლი ასდიოდათ.

მაღალი, გრძელწვერა კაცი კოფოდან გადმოხტა. ისე მსუბუქად შეეხო მიწას, თითქოს ძირს ნახერხით გატენილი ლეიბი აფენიაო. კაცმა ხელები გაშალა, მერე ორივე ხელი კეფაზე შემოიჭდო და მადიანად გაიზმორა.

ფორანის კედლებზე ნიღბიანი ქალები და კაცები ეხატა. ზოგი მწუხარე იყო, ზოგიც მხიარული. დაღვრემილსა და მომცინარე სახეებში კლოუნის ღიმილიც მოჩანდა, რომელიღაც ტროპიკული ჩიტის ფრთასავით წითელი. ეს ხასხასა წითელი ფერი ისეთივე მონდომებითა და სიჯიუტით ეძახდა ხალხს, როგორც მწყემსის საყვირი მოუხმობს გაფანტულ ნახირს.

კაცს შიოდა. გზებზე და უგზოობაში ხეტიალმა დაქანცა და გააწამა, მაგრამ იცოდა, რომ მხიარული და ძალღონით სავსე უნდა მოჩვენებოდა ხალხს, რა თქმა უნდა, თუ კი ვინმე მოვიდოდა მისი ოსტატობის სანახავად; ამიტომ იგი წინასწარ იღიმებოდა, რადგან ღიმილს ეჩვეოდა... ამ ყველაზე უფრო ძნელადმოსარგებ ნიღაბს. წელში იკეცებოდა და მიწას ეხებოდა. ცდილობდა შიმშილისაგან არაქათწართმეული სხეულისთვის ძველი მოქნილობა დაებრუნებინა.

„ეს ადვილია, — ფიქრობდა ის. — ოღონდ ვინმე გამოჩნდებოდეს..."

მაგრამ მოედანზე არავინ ჩანდა. რაც დრო გადიოდა, შიმშილი მით უფრო აუტანელი ხდებოდა. კაცს ლამისაა ეყვირა, მოდით, მომხედეთო, მაგრამ ეს ხომ თითქმის მათხოვრობას უდრიდა! ის კი ხელოვანი იყო. მოითხოვდა თავის ხელოვნების საფასურს. თუმცა არავის შეეძლო მიეცა იმდენი, რაც ნამდვილად ფასობდა ეს ხელოვნება. აძლევდნენ მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს, გროშს, პურის ნატეხს, რათა შიმშილით არ მომკვდარიყო. იცოდა, იმიტომ კი არ აძლევდნენ გროშებს, რომ მეტი არ ეკუთვნოდა, არამედ იმიტომ, რომ არ იცოდნენ, თუ რა ღირდა მისი ოსტატობა. არც თვითონ იცოდა, რადგან ის ბედნიერებას ანიჭებდა მაყურებელს. ბედნიერების ფასი კი ამ ქვეყნად არავინ იცის...

მერე რომელიღაც სახლის კარი ჭრიალით გაიღო და ქალი გამოვიდა. ქალს თავშალი ჰქონდა მოხვეული და წინსაფრის ქვეშ, ეტყობოდა, რაღაცას მალავდა. ქალმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეშინოდა, არავინ დამინახოსო. გაუბედავად გადმოდგა ნაბიჯი ფორანისკენ, გზაში კიდევ შეყოყმანდა, მაგრამ მერე სწრაფად მოაშურა მის მოლოდინში გაქვავებულ კაცს.

კაცმა გაიღიმა, ამ ღიმილით ქალის გათამამება უნდოდა. ქალი რომ მოუახლოვდა, ხმამაღლა შესძახა რაღაც გაურკვეველი, მაგრამ სწორედ ამ გაურკვევლობის გამო, საიდუმლო და ბრჭყვიალა სიტყვა. მერე ჰაერში სალტო გააკეთა, მერე ისევ გააკეთა სალტო, ოღონდ ახლა გაჭიმულ ხელებით დაეშვა მიწაზე, სხეული აღმართა, აჭიმა, ფეხები ერთმანეთს მჭიდროდ მიაკრა. ასე ყირაზე იდგა კარგახანს უძრავად, მერე ხელებზე დაყრდნობილი დაიძრა, ქალის ირგვლივ წრე დაარტყა.

— კარგი, გეყოფა! — წაიჩურჩულა ქალმა და ტილოში შეხვეული პური წინ დაუდო.

ახალგამომცხვარ პურის სუნმა კაცს

კინაღამ თავბრუ დაახვია, კინაღამ მოწყდა, მაგრამ თავი შეიკავა და ისევ დაარტყა წრე.

„ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა“ — ითვლიდა გულში.

— კარგი, გეყოფა, — მოესმა ისევ.

ამ ქალმა მისი ოსტატობის ფასი რომ არ იცოდა, ეს აშკარა იყო, მაგრამ თურმე არც პურის ფასი სცოდნია. კაცს რამდენი რამე უნდა გაეკეთებინა, რომ ეს პური მოეპოვებინა! გლეხივით უნდა დაეთესა, მოემკა, დაეფქვა და გამოეცხო პური. ჯერ ის ყანას მკიდა მხოლოდ:

„ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი...“

— გეყოფა! გეყოფა!

ახლა მას ხორბალი წისქვილში მიჰქონდა, დათვის ლეშივით მძიმე ტომარა მხრებზე ეკიდა, აღმართზე ადიოდა. გორაკზე ქარის წისქვილი იდგა. კაცი მას ვერ ხედავდა, რადგან თავს მაღლა ვერ სწევდა.

„თექვსმეტი, ჩვიდმეტი, თვრამეტი, ცხრამეტი, ოცი, ოცდაერთი...

— გეყოფა, კარგი, — ქალი უკვე ეხვეწებოდა.

კაცს ახლა დაფქვილი ხორბალი უკან თავდაღმართში ჩამოჰქონდა. ზურგს უკან ქარის ვეება წისქვილი ნელ-ნელა დაბლდებოდა. ის ფრთებს ღონეწართმეული იქნევდა და, როგორც ჩამქრალი მზე, მთის იქით მძიმედ ჩადიოდა.

„ოცდასამი, ოცდაოთხი, ოცდახუთი...“

— გეყოფა, აღარ მინდა! — ეხვეწებოდა ქალი, მაგრამ ეტყობოდა, რომ უნდოდა, რადგან კაცის ხელოვნება მამის, ძმებისა და ქმრის შრომას აგონებდა, ეს შრომა კი მშვენიერი იყო!

ახლა კაცი თონეში ეყუდებოდა, თმაშეტრუსული, სახედამწვარი. თონეს ფსკერზე ნაკვერჩხლები ეყარა და, როგორც ჯოჯოხეთის იატაკი, წითლად ღუოდა.

„ოცდაექვსი, ოცდაშვიდი, ოცდარვა, ოცდაცხრა...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— გეყოფა!

ახლა კი კაცმა პურის გორგალი თითქოს პირველად დაინახა, მოწითალო და თბილი, როგორც მიწა ალიონზე.

ეს პური უკვე მისი იყო!

ჰაერში გადატრიალდა და მიწას ფეხებით შეეხო. ქალს თავი დაუქნია, მადლობის ნიშნად. ქალს თვალები ცრემლით ავსებოდა. კაცმა ამისთვისაც გადაუხადა მადლობა, თუმცა ქალი ამას უკვე ველარ მიხვდა. უკან-უკან წავიდა, გატრიალდა და გაიქცა. კარს რომ აღებდა, კიდევ ერთხელ მოხედა კაცს, რომელიც მადიანად ილუკმებოდა.

— მოდი, ღვინო დალიე და დაგეძინება! — უთხრა ზაირამ ზაზას.

წამოდგა, პერანგისამარა გაიქცა მაცივრისკენ, იქიდან ბოთლი გადმოიღო:

— აი, ეს გახსნილია!

გამოიქცა და ლონგინში ჩაწვა:

— ცივა!

მერე ბოთლს დახედა:

— „მუკუზანი“! შენ რომ გიყვარს!

ზაზას უნდოდა ეყვირა, მე არაფერი არ მიყვარს, არაფერი, თავი დამანებე. ისედაც ყელამდე ვარ სავსეო, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

ზაირამ ბოთლს საცობი კბილებით ამოაძრო, ერთი ყლუპი მოსვა და ბოთლი ზაზას გაუწოდა:

— დალიე!

— არ მინდა, — უთხრა ზაზამ.

— არ გინდა? — გაუკვირდა ზაირას. ეს მთელი კინომატოგრაფიული კადრის ჩაშლას უდრიდა, რომელსაც გულში სათაურიც კი მოუძებნა: ქალაქიდან გაქცეული შეყვარებულები ლოგინში ღვინოს სვამენ.

— ჰო, არ მინდა.

— განა შენ არ მითხარი, ეს ღვინო ვიყიდოთო?

— გითხარი... მე გითხარი...

— რატომ არ სვამ?

— არ მინდა.

— დალიე და დაგეძინება.

„მამაჩემი თერთმეტ საათზე იძინებს, — ამბობდა ზაირა, — სამაგიეროდ შვიდ საათზე ფეხზეა. შენც უნდა შეეჩვიო ადრე დაძინებას. რეჟიმი უნდა დაიცვა..."

„რეჟიმი... რეჟიმი, — ფიქრობდა ზაზა, — რეჟიმი უნდა დავიცვა".

— პაპუნასაც უყვარს ეს ღვინო, — თქვა ზაირამ, — გახსოვს, სახელოსნოში ერთი ბოთლი გაუხსნელი რომ დარჩენოდა?

— მახსოვს...

— ჩუმად სვამს... ლეილასი ეშინია!

— რატომ უნდა ეშინოდეს?

— იმპოტენტია! — თქვა ზაირამ.

—რა-ა? ვინ არის იმპოტენტი?

— ვინ და შენი პაპუნა! ქუჩაში რომ მხვდება, ვითომ ვერ მცნობს.

ზაზას გაახსენდა, ზაირა ამ სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობით რომ არ ხმარობდა. თუ ვინმეს გინება უნდოდა, იმპოტენტიაო, იტყოდა უსათუოდ.

— ყინულივითაა, — თქვა ზაირამ,— აბა, მოსვი!

— ამ ყინვაში მაცივარი რაღად გინდა?

— ო-ო-ო! შენ რა იცი? — მერე ბოთლი იატაკზე დადგა, გადმოიხარა, ლოყა ლოყაზე მიადო და ჩუმად ჰკითხა:

— მე მართლა ხომ მოგწონვარ?

ფოლადის ჯაჭვს კიდევ ერთი რგოლი მოემატა, კიდევ უფრო გამაგრდა. ზედ ყელთან აჩხრიალდა.

—არა! — თქვა ზაზამ და ზაირას ხელი მოიშორა.

ზაირამ ჩუმად ჩაიცინა. ხელი ისევ მკერდზე დაადო:

-— არა, ხომ?

— არა!

ზაზამ ისევ მოიშორა ზაირას ხელი, მერე ლოგინში წამოჯდა და გაიმეორა:

— არა! — ჯაჭვი გაწყდა, ფოლადის მბრწყინავი რგოლები იატაკზე გაიფანტა.

ზაზა წამოდგა, სკამზე გადაკიდებული შარვალი აიღო და ჩაიცვა. ახლა წინდებისა და ფეხსაცმლის ჩაცმა დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზაზა? — მოესმა ზაირას გაკვირვებული ხმა.

ზაზამ პასუხი არ გასცა. პერანგი და სვიტრი ჩაიცვა, სკამზე დაყრილი სიგარეტები და ასანთი ჯიბეში ჩაიდო.

— ზაზა?

ზაზა კარისკენ წავიდა, კარის ახლოს კედელზე ჩამოკიდებული პალტო ჩამოიღო.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა ზაირამ.

— მივდივარ...

— სად? — ზაირაც წამოდგა, შუქი აანთო.

— თბილისში! — უპასუხა ზაზამ.

— თბილისში?

— ჰო, თბილისში.

— რამ გადაგრია?

— არ ვიცი...

რატომღაც ძალიან კარგ გუნებაზე დადგა. გრძნობდა, არავითარ ძალას არ შეეძლო მისთვის წასვლა გადაეფიქრებინა. ზაირა კისერზე ჩამოეკიდა:

— ზაზა!

ზაზა მოთმინებით უცდიდა, როდის ჩამოიღებდა ხელებს ზაირა.

— მითხარი, რა მოხდა?

— რა უნდა მომხდარიყო? — ზაზა მშვიდად იღიმებოდა.

— მეხუმრები, არა?

— არა.

— კი, მაგრამ...

ზაზამ თავი გაინთავისუფლა, გატრიალდა, კარი გამოაღო და თქვა:

— ნახვამდის!

ზაირა ახლა ხელზე ჩამოეკიდა:

— რას შვრები? არ გაგიშვებ!

— მივდივარ.

გარეთ გამოვიდა, ზაირაც გამოჰყვა. აივანი სულ სველი, დამჭკნარი ფოთლებით იყო მოფენილი. კარი რომ გამოაღო, ზღვამ ისეთი ხმით შემოხლავლა, თითქოს გვირაბში მატარებლის ფანჯარა გაეღოს.

— შედი, გაცივდები! — მოუბრუნდა ზაირას.

— როგორ წვიმს? — ზაზა რომ გა-

უფრთხილდა, ზაირამ იფიქრა, აღარ წავაო.

ზაირამ გაიცინა ყალბად, ნაძალადევად, თან სიცივისგან ძაგძაგებდა.

— შემოდი შინ, გავიყინე.

— ნახვამდის! — თქვა ზაზამ და კიბე ჩაირბინა.

— რა-ა? მარტო მტოვებ? მეშინია! ზაზა! ზაზა! მეშინია!

ზაზა რომ არ მოტრიალდა, ზაირა აივნის მოაჯირს მოაწყდა:

— ზაზა, დაბრუნდი! ზაზა!

ზაზას ვითომ არ ესმოდა.

— უსინდისო! უსინდისო! დაბრუნდი! მეშინია!

ზაზა ბილიკს მიჰყვებოდა. ბილიკზე თითქოს ნოხი ფენიაო, ისე რბილად ეფლობოდა ფეხი სველ ფოთლებში.

კოკისპირულად წვიმდა.

მერე ბნელში ჭა დაინახა. ოწინარს მიწვდა და ვედრო ჭაში ჩაუშვა, აავსო და ნელა ამოსწია, პირამდე სავსე ვედრო ორივე ხელით ასწია და პირზე მოიყუდა. წყალი ყელში ჩაეღვარა, მაგრამ არც კი უგრძვნია, წვიმას მოესწრო და თავიდან ფეხებამდე დაესველებინა. წყალი რომ დალია, ვედროს ხელები უცებ გაუშვა და თვითონ ჭაზე გადაიხარა, თვალის ჩადევნება თუ უნდოდა. ვედრო წყალში ისე ჩავარდა, თითქოს ცომში მუშტი ჩაჰკრესო, და ოწინარი კინაღამ თან ჩაიყოლია.

ზაზას რატომღაც ისე გაუხარდა, თითქოს ამ უძირო ჭაში ვედროს ნაცვლად თვითონ უნდა ჩავარდნილიყო და გადარჩა. უნდა ჩავარდნილიყო ყელზე ფოლადის ჯაჭვშებმული, ჯაჭვზე ჩამოკიდებული მანქანითა და აგარაკით...

— ბაც! — დაიძახა ხმამაღლა ზაზამ, — აი, ასე!

— ზაზა! — მოესმა ზაირას ხმა.

— აი, ასე! — გაიმეორა ზაზამ და ეზოს ჭიშკარი გამოაღო. გზაზე რომ გამოვიდა, ზღვა დაინახა, თითქოს ბეტონის კედლის იქით იმალებოდა და ქოჩორი კი მოუჩანდა.

დიდხანს იარა წვიმაში, სანამ შარაგზაზე გამოვიდოდა. სოფელს ეძინა. ორღობეში ისეთი სიბნელე იდგა, ვერაფერს გაარჩევდი. ხრეშმოყრილი გზა პატარ-პატარა გუბეებით იყო სავსე. ახლოს რომ მიხვიდოდი, მხოლოდ მაშინ შეამჩნევდი გუბეს, ბნელში გომბეშოს ზურგივით ელავდა. შიგ ფეხს რომ ჩადგამდი, გომბეშოსავით ტყაპანით გაქრებოდა სადღაც, მერე ისევ წინ დაგიხვდებოდა, თითქოს გუბეები დახტიანო.

მოასფალტებულ შარაგზაზე გავიდა. აქედან სოხუმამდე ცხრა კილომეტრი იყო, მანქანასაც რომ არ გამოევლო, ფეხით ჩავიდოდა. წვიმაში სიარული რატომღაც ეხალისებოდა კიდეც. ოღონდ ციოდა და ეს აწუხებდა.

„სიარულში ვერც სიცივეს გავიგებ".

გზას დაადგა, მაგრამ ფეხით დიდხანს არ უვლია. საბარგო მანქანამ გამოიარა, ზაზამ უიმედოდ აუწია ხელი. მანქანას სვლა არ შეუნელებია. ზაზას რომ ეგონა, აღარ გააჩერებსო, სწორედ მაშინ დაამუხრუჭა. ეტყობოდა, შოფერს ჯერ გაჩერება არ უნდოდა, მერე გადაიფიქრა.

მანქანა უკან დაბრუნდა, ზაზას გაუსწორდა და გაჩერდა. შოფერმა კაბინის კარი გააღო:

— შემოდი!

ზაზა კაბინაში ავიდა, კარი მოიჯახუნა. ახლა, როგორც კი წვიმას შეეფარა, ესიამოვნა, რომ არ სველდებოდა.

— ვიფიქრე, ცოდოა-მეთქი, — უთხრა შოფერმა ზაზას.

ზაზამ სიგარეტების კოლოფი ამოიღო და შოფერს გაუწოდა, შოფერმა უარი უთხრა, ახლა მოვწიეო. ზაზას სიგარეტი ისე დაუსველდა, რომ ფანჯრის მინა ჩამოსწია და გადააგდო. მერე ხელები ცხვირსახოცზე შეიმშრალა და ახალი სიგარეტი ამოიღო. მოუკიდა და კვამლს ამოაყოლა:

— რა წვიმაა მაინც!

— ჰო, — შოფერმა თავი დაუქნია, — სოხუმში მიდიხარ?

— მატარებელს უნდა მივუსწრო.

— რომელ მატარებელს?

— სულერთია. დილით თბილისში უნდა ვიყო.

შოფერმა სადგურამდე მიიყვანა. კარგი ბიჭი იყო, სულ სიმღერ-სიმღერით მიჰყავდა მანქანა.

ზაზა ბაქანზე გავარდა. ბედად, მატარებელი დაინახა. ზაზა მატარებლისაკენ გაიქცა. ერთი ვაგონის კარებში გამყოლი იდგა, ხელში ანთებული ფარანი ეჭირა.

— სად მიდიხართ? — ასძახა ზაზამ.

— ერევანში!

— თბილისამდე წამიყვან?

— რატომაც არ წაგიყვან, ოღონდ ბილეთი თუ გაქვს? — მერე სასწრაფოდ დაუმატა, — ამოდი, ბილეთს აქ იყიდი.

„კარგად იწყება!" — გაიფიქრა ზაზამ, თუმცა არ კი იცოდა, რა იწყებოდა კარგად.

## 13. თეატრი

თბილისში დიდი თოვლი იყო.

შინ თეატრიდან გამოგზავნილი წერილი დახვდა, სასწრაფოდ იბარებდნენ. წერილს გუშინდელი რიცხვი ეწერა. მაშინვე თეატრისკენ გაეშურა.

თეატრის შესასვლელში, მინის კედლის იქით დარაჯი იჯდა, მოწყენილი, როგორც ჰიპოკრატეს ბიუსტი აფთიაქში.

— ვაჰ, ზაზა! — ის უცებ ფეხზე წამოხტა, — მთელი თეატრი შენ გეძებს. სადა ხარ?

— რა მოხდა?

— მე რა ვიცი. შედი და გაიგებ, — მერე უცებ გატრიალდა, — წავიდე, მოვახსენო!

ისე უშნოდ და მძიმედ გაიქცა, თითქოს ჰურჭელი მიჰქონდა. ზაზას გაეღიმა. ეტყობოდა, მართლაც სერიოზული ამბავი იყო, თორემ დარაჯი ისე არ გაიქცეოდა. ზაზამ გარდერობში პალტო ჩამოჰკიდა, წავიდა და დირექტორის კაბინეტის კარი შეაღო. კარში დარაჯი შეეფეთა:

— შედი, შედი, — უთხრა მან, — შედი, რაღა!

გიორგი უგრეხელიძე მარტო იყო. პირველად თითქოს ვერც კი შეამჩნია, ზაზა ოთახში რომ შემოვიდა, თავი არ აუწევია. მერე შემოხედა და ჰკითხა:

— მოხვედით?

ისევ ქაღალდებს დაუბრუნდა, ხელით ანიშნა, დაჯექიო. ზაზა სკამზე ჩამოჯდა.

გიორგი უგრეხელიძემ ქაღალდები გვერდზე გადააწყო, სათვალე მოიხსნა და ზაზას შეხედა:

— გაიგებდით, ალბათ, — დაიწყო მან, — სანდრო ყანჩაველი ავად რომ გახდა...

ეს, რა თქმა უნდა, ზაზამ იცოდა. ამიტომაც აიღო შვებულება, თორემ ისე პირველი შემთხვევა იყო, შუა სეზონში შვებულებით ვინმე წასულიყოს.

— დიახ, — უპასუხა ზაზამ.

— მდა, — გიორგი გაჩერდა, თითქოს არ მოელოდა, ზაზამ ეს ამბავი რომ იცოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვენ ახლა შვებულება გაქვთ, არა? — ჰკითხა გიორგიმ.

— დიახ...

— გადავწყვიტეთ, თქვენ გააგრძელოთ სპექტაკლზე მუშაობა.

-- მე?

— იმედი გვაქვს, სერიოზულად მოეკიდებით ამ საქმეს.

ზაზა ამას არ ელოდა. მოულოდნელობისგან გაშრა, არ იცოდა, რა ეთქვა.

— დიახ, — თქვა ბატონმა გიორგიმ, თითქოს საუბარს წერტილი დაუსვაო.

ზაზა წამოდგა:

— კი, მაგრამ...

— აბა, ვნახოთ, რა შეგიძლიათ ახალგაზრდებს. თუმცა გასაკეთებელი ბევრი აღარ დარჩა. იმედი მაქვს, არაფერს შეცვლით.

— მაშინ მე რაღა საჭირო ვარ? — ჰკითხა ზაზამ.

— არა, საჭირო როგორ არა ხართ, კარგად ვერ გამიგეთ...

— გავიგე...

— მანქანა დაძრულია, — თქვა ბატონმა გიორგიმ, — ახლა თვლებს ხომ არ გამოუცვლით? — გაიცინა, — თქვენ ცოტა უნდა ხელი წაჰკრათ!

— შვებულება რომ მაქვს?

— უნდა დაბრუნდეთ. თეატრს ასე სჭირდება. მერე ისარგებლებთ თქვენი შვებულებით. სხვათაშორის, უნდა გითხრათ, რომ ამ სპექტაკლზე თქვენი დანიშვნა ჩემი წინადადებით მოხდა.

— გმადლობთ.

— იმედი მაქვს, ნდობას გაამართლებთ.

ბატონი გიორგიც წამოდგა:

— თქვენ შეგიძლიათ ახლავე შეუდგეთ საქმეს, მსახიობები გაფრთხილებულნი არიან.

ზაზამ ვერაფრის თქმა ველარ მოახერხა.

პოლონიუსი: ერთი საათის მერე თუ არ წავედი...

ჰორაციო: ვინ გელოდება?

პოლონიუსი: ცირკის ბილეთები უნდა ავიღო ბავშვებისათვის...

ჰორაციო: ნეტავი შენ!

ოფელია: ამ გოგონას აქ რა უნდა?

კუთხეში ნინიკო იჯდა მობუზული.

დედოფალი: რა ვიცი, ეთერი ნახე?

ოფელია: ვნახე.

დედოფალი: რაო?

ოფელია: იმ საკაბეს უკან აბრუნებს, ჩუმად!

ოთახში ზაზა შემოვიდა, მაგიდას მიუჯდა.

ხელმწიფე: დავიწყოთ?

ზაზამ თავი დაუქნია.

ხელმწიფე: როგორ იმყოფები, საყვარელო ძმისწულო ჩემო?

ჰამლეტი: ძალიან კარგად გახლავართ. ვიკვებები ქამელეონის საზრდოთი, — გეახლებით პურს, იმედებით შეზავებულს; ამ საჭმლით თქვენ ვარიებს ვერ დაასუქებთ.

ხელმწიფე: შენი პასუხი ვერ გავიგე, ჰამლეტ. ეგ სიტყვები მე არ მეკუთვნის...

ჰამლეტი: ეხლა აღარც მე მეკუთვნის...

ზაზა: რატომ ეუბნება ასე?

ჰამლეტი: ბატონო?

ზაზა: რატომ პასუხობს ასე-მეთქი?

ჰამლეტი: მე მგონი...

ზაზა: კარგით, გააგრძელეთ!

ჰამლეტი: ეხლა აღარც მე მეკუთვნის (მიუბრუნდება პოლონიუსს) შენ, მგონია, მითხარი, უნივერსიტეტში ყოფნის დროს სცენაზე გითამაშნია?

პოლონიუსი: დიახ, ხელმწიფის შვილო, მითამაშნია და კარგი აქტიორის სახელიც მქონდა გავარდნილი...

ჰამლეტი: რასა თამაშობდი?

ზაზა: ცოცხლად!

ჰამლეტი: ბატონო!

ზაზა: ცოცხლად-მეთქი!

ჰამლეტი: გასაგებია.

ზაზა: გააგრძელეთ!

ზაზას ხანდახან ეგონა, რომ ეს სახელგანთქმული მსახიობები, რომლებსაც ლომების ზარმაცი მოძრაობები ჰქონდათ, ამ თავიანთ ახალბედა რეჟისორს იმ მწვრთვნელივით გადაყლაპავდნენ, რომელმაც ლომებს თავი მოაბეზრათ. პირველად მათი ისე ეშინოდა, როგორც მუსიკოს ბავშვს ქუჩის ბიჭებისა. მაგრამ იცოდა, რომ ეს შიში მსახიობებს არ უნდა შეეტყოთ. ამიტომ საკუთარ შიშსა და მორიდებას ებრძოდა და ამის გამო ზედმეტად მკაცრი ხდებოდა.

ზაზა: გააგრძელეთ-მეთქი!

ოფელია: ამ გოგონას აქ რა უნდა?

ზაზა: გვიყურებს, სწავლობს.

ოფელია: აჰა, სწავლობს! მე არ მინდა უცხო რომ მიყურებდეს!

ზაზა: ეგ უცხო არ არის!

ოფელია: არ ვიცი, ვისთვის როგორ...

ზაზა: გააგრძელეთ!

ოფელია: მე ასე მუშაობა არ შემიძლია!

ნინიკო უცნაური გოგო იყო. როცა იცინოდა, იფიქრებდი, ნამდვილად ბედნიერიაო. მაგრამ თუ კარგად დააკვირდებოდი, შეამჩნევდი, რომ გამუდმებით რაღაცაზე ფიქრობდა, თითქოს რაღაც აწუხებდა. ამ დროს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს დაძაბული და გარინდებული ვიღაცას უჩინარს უსმენდა და ვერ კი გაეგო, რას ეუბნებოდნენ. თორნიკემ მას რამდენჯერმე მოაკითხა თეატრში. ნინიკოსა და მის ამხანაგებს მანქანით ასეირნებდა ხოლმე. ხანდახან შინ მარტო მიმავალ ნინიკოს ვითომ შემთხვევით შეხვდებოდა. თუმცა წამდაუწუმ საათზე იხედებოდა, მაინც გამოტრიალდებოდა და შინამდე მიაცილებდა.

ნინიკო: რა დღეა კარგი!

თორნიკე: რა კარგი დღეა!

ნინიკო: რა თოვლია თეთრი!

თორნიკე: რა თეთრი თოვლია!

ნინიკო: ასე არ შეიძლება არა, თორნიკე?

თორნიკე: არა!

ნინიკო: მე კი რატომღაც ასე მინდა

ვილაპარაკო. შენ თუ გწყინს, გავჩუმდები.

ნინიკო გრძნობდა, რომ უცბად გამოიცვალნენ მსახიობები. აქამდე, სანამ ის კულისებში თავის ერთსიტყვიან გამოსვლას უცდიდა, ყველა ნინიკო, ნინიკოს! —დასძახოდა, და რა საყვარელი გოგოა, ამბობდა. ახლა კი ზურგი შეაქციეს. შეიძლება იმიტომ, რომ თეატრში ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესი დაირღვა: წინ გამოვიდა ის, ვინც უკან უნდა მდგარიყო. რაც მთავარია, მას არც პრეტენზია ჰქონდა. სულ სხვაა, როცა პრეტენზია გაქვს, როცა შენ თვითონ ამბობ, ნიჭიერი ვარო, მაშინ ყველა მორიდებით გიყურებს. საოცარია, მაგრამ ასეა.

როზენკრანცი: გოგონა!

თითქოს ნინიკოს აქამდე არც კი იცნობდა, თითქოს პირველად ხედავსო.

— მორიდებულ ნაბიჯებზე გატყობთ, დამწყები მსახიობი უნდა იყოთ. ააა. თქვენ ხომ მომავალი ოფელია ხართ! გიცანით, გიცანით!

ნინიკო: გამარჯობათ!

როზენკრანცი: ლამაზი კარიერისტი!

ნინიკო: რა თქვით?

როზენკრანცი: კარიერისტი! გიკვირთ? არ გაგიკვირდეთ! აბა, შემომხედეთ! სკუპ, სკუპ, სკუპ! ჯერ უბრალო მსახიობი, მერე დამსახურებული, მერე სახალხო, მერე... იცი, ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ, რაც არ უნდა ცუდად ითამაშო, მაინც ყველა შენი როლი მიღწევა იქნება. ეს კი სიმშვიდეა, განცხრომაა, ბედნიერებაა. ჩემო პატარა, ლამაზო ბავშვო, შენი გონება და სული ახლა კარიერისტული ზრახვებითაა სავსე, შენ გსურს ოფელიას როლი ითამაშო! არა, არა! დამაცადე! მერე და განა ეს ცუდია? არა ოღონდ მებრალები, რადგან გულუბრყვილო ყოფილხარ! სად არის შენი ფოლადის ბრჭყალები, რატომ ვერ ვხედავ?

ნინიკო: რა ბრჭყალები? არ მესმის...

როზენკრანცი: ოი, საბრალო, დამწყებო ოფელია! მე შენ მებრალები! რატომ მიყურებ ასე, გეზიზღები? გეზიზღები იმიტომ, რომ სიმართლეს გეუბნები. მე თეატრის ვირთხა [illegible], მისი ყველა კუნჭული ვიცი, ყველა ბნელი ხვრელი. აბა, მომისმინე და დაიხსომე: ვიდრე შენს ოცნებას მიაღწევდე, უნდა გათელო გზები რადიოს, ტელეცენტრსა და კინოსტუდიას შორის, უნდა გაახმიანო ფილმები, წაიკითხო ლექსი ან ნარკვევი, ითამაშო მაჩვის ან ბეკეკას როლი რომელიმე რადიოსპექტაკლში და მერე, თუ ჰონორარის რიგში დგომით დაღლილი, ამ კიბეზე ამოხვალ, შენ ისეთივე ცარიელი იქნები, როგორც მე. აბა, შემომხედე, განა მე მსახიობი ვარ? მე ვირთხა ვარ, ორმოცდაშვიდი წლის ვირთხა! სანამ დროა, უშველე თავს, თავს უშველე. რა სჯობია სარეცხის ორთქლს, ბავშვების ტირილს, კარგად ნასადილევი ქმრის ხვრინვას. დამიჯერე, საბრალო ბავშვო, დამიჯერე...

„ნუთუ გათავდა, — ფიქრობდა ნინიკო, — ნუთუ გათავდა ჩემი სიმარტოვე? ნუთუ ოცნება ამისრულდა? ხომ ვგრძნობდი, რომ რაღაც მოხდებოდა, გული მეუბნებოდა. და აი, მეც მზადა ვარ! მაგრამ ხომ შეიძლება ყველაფერი მეჩვენებოდეს, ანდა... მატყუებდნენ? კი, მაგრამ რატომ უნდა მატყუებდნენ? განა შეიძლება ასე მწარედ მოტყუება? არა, არ შეიძლება. აი, იმ კუთხემდე თუ თხუთმეტი ნაბიჯი იქნება, ოცნება ამისრულდება... რა სულელი ვარ! როგორ შეიძლება ბედის ასე გამოცდა.

ოღონდ არ დავიკარგო, არ დავიკარგო ბნელში, სადაც ვირთხები ფაჩუნობენ სინათლე... სინათლე და.. რა გინდა კიდევ, რა? მეშინია... აი კამა შენთვის და ღიღილოები. აი შენთვისვე მარიამ-საკმელა, ცოტა მეც დამრჩა... შეიძლება ამას ღვთიშობლის ყვავილი დავუძახოთ... შენც გაგახარებს ამის ტარება და მე კი... მე საკმელად უნდა ვუკმიო... აგერ გულისაბა... მინდოდა იაც მომეცა, მაგრამ სულერთიანად დაჭკნა...“

ზაზა, ხელმწიფე და დედოფალი.

ხელმწიფე: პოლონიუსმა, დედოფალო, შემატყობინა, ვითომც ეპოვოს შენი შვილის სენის მიზეზი.

დედოფალი: მიზეზი, ვგონებ, არის მხოლოდ მამის სიკვდილი და სიკვდილს შემდეგ ჩვენი მსწრაფლი დაქორწინება.

ხელმწიფე: მაგას შევიტყობთ.

ზაზა: რა საჭიროა აქ ასეთი ზვიადი და ამაყი ტონი?

ხელმწიფე: მე ხელმწიფე ვარ, ეს კი — დედოფალი!

ზაზა: არა!

ხელმწიფე: როგორ?

ზაზა: თქვენ ძმის მკვლელი ხართ, ეს კი — კახპა!

ხელმწიფე: ჩვენ ახლა გვირგვინოსნები ვართ!

ზაზა: თქვენ გგონიათ, გვირგვინი დანაშაულს ფარავს?

ხელმწიფე: მაინც როგორ უნდა ვილაპარაკოთ.

ზაზა: ჩურჩულით, თვალების ცეცებით, შიშით. ერთიანად დაძაბულები უნდა იყოთ, როგორც ჯუნგლებში, ღამით.

ხელმწიფე: აქ ისინი მარტონი არიან!

ზაზა: მითუმეტეს! ახლა ისინი უნიღბოდ არიან!

ხელმწიფე: მე ასე არ მესმის!

ზაზა: მე კი ასე მინდა რომ იყოს!

ხელმწიფე: აჰა! ასე გინდათ? თუ გახსოვთ, მე თქვენ გაგაფრთხილეთ, მანქანა დაძრულია, ახლა თვლების გამოცვლის დრო არ არის — მეთქი.

ზაზა: მახსოვს.

ხელმწიფე: ძალიან კარგი...

უცებ დაინახავს ნინიკოს:

— თქვენ აქ რა გინდათ?

— ნინიკო მე დავიბარე, — თქვა ზაზამ, — თქვენ კი უმჯობესია ილაპარაკოთ სისინით, გველებივით.

— ფორმალიზმი! — თქვა ბატონმა გიორგიმ და ზაზას თვალი აარიდა. — განა გველები ლაპარაკობენ? — გაიცინა დედოფალმა.

ზაზა ნინიკოს უყურებდა. ის მხრებმოწურული და თავჩაღუნული იდგა, შეშინებული და ფერდაკარგული. უცებ გაბრაზდა, ნინიკოს რომ ასე ეშინოდა, რომ თვითონაც ხმას ვერ იღებდა, იძულებული იყო ის გაეკეთებინა, რაც არ მოსწონდა „მანქანა დაძრულია!“ — ესმოდა მას ბატონი გიორგის გამაფრთხილებელი შეძახილი. ყველაფერი, მართლაც, მანქანას გავდა. ოქროთი დაფერილ, თუჯის უზარმაზარ მანქანას, რომელიც მუხლუხოებით მიხოხავდა და სცენაზე მძიმე და ღრმა კვალს სტოვებდა. ზაზა გრძნობდა, ამ მანქანას ვერ გააჩერებდა. ხმა არ ეყოფოდა, რომ ეს გუგუნი და ხრიალი დაეფარა, ღონე არ ეყოფოდა, მანქანა წინ არ გაეშვა. ეს მანქანა რობოტივით იყო აწყობილი, შეეძლო ელაპარაკა, ემღერა, ეცეკვა კიდეც, მაგრამ მისი ლაპარაკი, სიმღერა და ცეკვა თუჯივით მძიმე იყო... თუჯივით... თუჯივით...

ნინიკოს კი ეშინოდა...

„რატომ გეშინია, რატომ კანკალებ? — უნდოდა დაეძახა ნინიკოსთვის, — ჩვენ რატომ უნდა გვეშინოდეს? რატომ ვდგავართ ღარიბი ნათესავებივით აწურულები, რატომ ვისმენთ შენიშვნებს ასე მორჩილად, თითქოს გვეშინია, რომ კერძს არ დაგვისხამენ! ამათ რატომ არ ეშინიათ, ამათ — თუჯის მსახიობებს, თუჯის დირექტორებს, ყოველ წამს ფორმალიზმი რომ აკერიათ პირზე. განა ეს მათი თუჯის მანქანა ნამდვილი ფორმალიზმი არ არის? ჩვენ კი გვეშინია...“

. თავისთავზე გაბრაზებულმა, ნინიკოს დაუყვირა:

— რატომ დააგვიანეთ?!

ნინიკო მთლად ჩაქრა, კიდევ უფრო მოიბუზა.

ზაზა კი ბატონ გიორგის მოუბრუნდა და უთხრა:

— ისე, რომ იცოდეთ, გველები ლაპარაკობენ!

გიორგის სახე არ შესცვლია, მან ჩუმად, მაგრამ ძალიან მკაფიოდ თქვა:

— თქვენ გავიწყდებათ, რომ მე თეატრის დირექტორი ვარ!

— არა, არ მავიწყდება. პირიქით,

სულ მახსოვს, ხშირად მახსენებთ ხოლმე.

მერე ნინიკოს მიუბრუნდა და ისევ უყვირა:

— დაჯექი!

ფეხზე რომ იდგა, კიდევ უფრო უმწეო და საცოდავი ჩანდა. ზაზას კი უნდოდა, რომ ნინიკო თამამი ყოფილიყო, ისეთივე თამამი, როგორიც გარეთ, ამხანაგებში. აქ რა ემართებოდა? ნუთუ ვერ გრძნობდა, რომ ნიჭიერი იყო. ოფელიას როლის შესრულება ამ თეატრში მხოლოდ მას შეეძლო. ამ რწმენას მისთვის ძალა უნდა მიეცა. მაშინ ზაზაც უფრო ჩაჰკიდებდა ხელს, გაბედულად გამოიყვანდა წინ და ყველას პირში მიახლიდა: აი, შეხედეთ, შეხედეთ, შეხედეთ, განა ეს ნამდვილი ოფელია არ არის?!

ნინიკო სკამზე გაუბედავად ჩამოჯდა. ხელები მუხლებზე დაიწყო. ტუჩები უთრთოდა, თითქოს საცაა ტირილს დაიწყებდა.

— აი, ეს ფაქტიც! — თქვა ბატონმა გიორგიმ, — ჩემთვის არ უნდა გეკითხათ?

— რა?

— როგორც ვატყობ, ნინიკოს ოფელიას როლისთვის ამზადებთ.

— დიახ...

— მე კი წინააღმდეგი ვარ!

ბატონ გიორგის ეს სიბრაზემ ათქმევინა. სულ არ აპირებდა, ნინიკოს გასაგონად ეთქვა, წინააღმდეგი ვარო. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მისმა ფხიზელმა და გამოწრთობილმა გონებამ ისევ უშეცდომოდ იმუშავა: ეს მაინც უნდა ეთქვა როდისმე, ყველას გასაგონად, რადგან თეატრში ხმა დადიოდა, ოფელიას როლს ნინიკოს იმიტომ აძლევენ, დირექტორის სარძლოაო.

— რატომ? — ჰკითხა ზაზამ, — რატომ ხართ წინააღმდეგი?

— ცალკე გეტყვით, აქ ამის ადგილი არ არის!

— თქვენ მართლა ხელმწიფე ხომ არ გგონიათ თქვენი თავი? — მიახალა პირში ზაზამ და იგრძნო, რომ ყველაზე უფრო მტკივნეულ ადგილას მოარტყა.

გიორგი გაწითლდა, [illegible]ჯი გადმოდგა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და ძალიან მშვიდად უპასუხა:

— არა, მე მხოლოდ თეატრის დირექტორი ვარ!

ეს იმ კაცის მიერ იყო ნათქვამი, რომელიც არაფრის წინ უკან არ დაიხევდა. ტიტულები, რომლებიც მის გვარს წინ უძღოდა, ისეთივე მოსარიდებელ ძალას აძლევდა, როგორც მახვილი კარგად გაწრთვნილ მეომარს. საერთოდ, სჯობდა მასთან ფრთხილად ყოფილიყავი. ეს მისი მედიდური გარეგნობიდანაც გამოსჭვიოდა, თითქოს თვითონ გაფრთხილებდა, რამე შეცდომა არ ჩაგედინა, თორემ არაფრით არ გაპატიებდა, მერე ყველაფერი საკუთარი თავისთვის უნდა დაგებრალებინა. ოღონდ ამ ბოლო დროს ცოტათი შემცბარი კი იყო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რაიონულ პარტკონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა. სხდომა რომ დამთავრდა, რაიკომის მდივანმა უთხრა: დროა, ძველ მეთოდებს თავი დაანებოთ, ამხანაგო გიორგი, დროა! ეს ისე უთხრა, ღიმილის მსგავსი რამ სახეზე არ გასჩენია. „ძველი მეთოდები, — ფიქრობდა მერე გიორგი, — რა იცის ამ ახალგამოჩეკილმა ბარტყმა... ძველი მეთოდები...“

ამ დროს მათ მსახიობი ამირან ბაღდავაძე მიუახლოვდა. ამირანი ამ სპექტაკლში ლაერტის როლს ასრულებდა. თეატრის ადგილკომის თავმჯდომარე იყო და ვალდებულად თვლიდა თავს ყველა სადაო საკითხის გადაჭრაში მონაწილეობა მიეღო. მას შორიდან მოესმინა გიორგისა და ზაზას ლაპარაკი. ახლა, როცა ისინი ცოტა ხანს გაჩუმდნენ, გადაწყვიტა თავისი სიტყვაც ეთქვა:

— რაც არ უნდა იყოს, კლასიკაა! — თქვა მან.

— როგორ თუ რაც არ უნდა იყოს? რას ნიშნავს ეს? — მიუბრუნდა მას ზაზა.

— პიესაზე ვამბობ, — ამირანი გა-

ჩუმდა, ხელები ზურგზე დაიწყო და გიორგის შეხედა. გაკვირვებულმა ზაზამ მხრები აიჩეჩა:

— არ მესმის...

ამირანმა ჩაიცინა:

— აი, მე თვითონ ახალგაზრდა ვარ, — თქვა მან ისეთი სახით, თითქოს თავის თავმდაბლობას ამჟღავნებდა, — მაგრამ კლასიკას მაინც ფრთხილად უნდა მოვექცეთ.

— მართალია! — დაეთანხმა ზაზა. მას სხვა არაფერი დარჩენოდა, რადგან არ იცოდა, ამირანი საით უმიზნებდა.

— აი, ნინიკოს საკითხი, — თქვა ამირანმა და ისევ გიორგის შეხედა, — რა თქმა უნდა, თვითონ ნინიკოს საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს, მაგრამ... ია სიხარულიძე გამოცდილი მსახიობია, ექსპერიმენტების დრო კი, მგონი, აღარ დაგვრჩა.

— მართალია, სამწუხაროდ, დრო აღარ გვრჩება, — უპასუხა ზაზამ, — თორემ თქვენ უსათუოდ გამოგცვლიდით!

ამირანი შეცბა, ამას სრულებით არ მოელოდა. რიხი წაერთვა, გაღიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

— ეს თქვენი საქმე არ არის!

ამირანმა ისევ გიორგის შეხედა, თითქოს შველას სთხოვსო. ბატონმა გიორგიმ გვერდზე გაიხედა. მას არ უყვარდა წვრილფეხა კარიერისტები. ისინი სულ სხვა ჯიშისანი იყვნენ. მათ თავიანთი დამოუკიდებელი ხმა არ ჰქონდათ. პირადი ცხოვრების მოსაგვარებლად სხვა ვინმე — გეზის მომცემი სჭირდებოდათ. თავს მაშინ გრძნობდნენ კარგად, როცა სხვას მიჰყვებოდნენ კუდში, სხვას შესციცინებდნენ თვალებში, თუმცა ყველაფერ ამას ისეთი სახით აკეთებდნენ, თითქოს მეტად პრინციპულები არიანო. მათ მრავალგზის შემოწმებული, ძველისძველი ხერხი ჰქონდათ კარგად შეთვისებული, ამხანაგს პირში ეუბნებოდნენ ნაკლს და შენიშვნებს მოურიდებლად აძლევდნენ (რა თქმა უნდა, თუ სხვა რამეზე თვალს დავხუჭავთ, ეს არც ისე ცუდი საქმეა, მაგრამ აქ იმას აქვს მნიშვნელობა, — თუ ვინ გაძლევს შენიშვნას) და რადგან შენიშვნის მიცემა ძალზე ძნელი და უხერხული საქმეა, და ამავე დროს ყველას არ შეუძლია, ყველა არ აძლევს თავს ამის უფლებას, მათი თანდათან უფრო და უფრო ეშინოდათ. შეიძლება ვინმესთვის კრებაზე ისეთი რამ წამოეძახებინათ, რომ საქვეყნოდ თავი მოეჭრათ, რაიმე ეთქვათ ან საცვალზე, ან წამალზე, რომელსაც სხვებისგან მალავენ ხოლმე.

და ყველაფერი ეს მაღალი პრინციპულობის სიმაღლიდან იქნებოდა წამოსროლილი.

— აი, თქვენ ცოლი არა გყავთ! — უთხრა ამირანმა ზაზას.

— მერე? რა გინდათ მაგით თქვათ?

— არაფერი, — ამირანმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს რაღაცას საშინელს მალავსო.

— მაინც? — ჩააცივდა ზაზა.

— არაფერი... არაფერი, — და ამირანმა ჩაიცინა. მერე გატრიალდა და წავიდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ბინძური, შემაძრწუნებელი რაღაც ითქვა. ამირანს კი არაფერი უთქვამს.

ნინიკო წამოდგა და ზაზასთან მივიდა:

— ზაზა... მე წავალ...

— სად? — გამოერკვა ზაზა. თითქოს ორმოში იყო ჩაძირული, ბნელსა და აშმორებულ ორმოში, — სად წახვალ?

— წავალ — თქვა ნინიკომ ჩუმად, — წავალ!

— დაჯექი მანდ! — იყვირა უცებ ზაზამ. მერე უცებ იგრძნო, რომ მარტო ნინიკოს უყვიროდა, ნინიკოს, რომელიც ყველაზე ნაკლებად იყო ყვირილის ღირსი. უცებ საოცრად შეეცოდა ნინიკო, ხელი მოხვია და სკამისკენ წამოიყვანა, — არსადაც არ წახვალ, გენაცვალე, სად უნდა წახვიდე?

სად უნდა წახვიდე, ნინიკო? ერთადერთი ადგილი, სადაც ჩვენ შეგვიძ-

ლია ვთქვათ, რაზედაც ვოცნებობდით, აქ არის. განა სადმე სხვაგანაც არსებობს ასეთი ადგილი? არა, არსად არ არსებობს. აქ არის მხოლოდ ის ფიცრის გაყინული სასახლე, რომელსაც ათასნაირი ფერითა და ხმით ვავსებდით სიზმარსა თუ ფიქრში. ეს შუქი, ეს ხავერდი, ეს ძველისძველი, ჭრიალა დეკორაციებით გავსებული კულისები, ეს ჭაღი, თოკზე ჩამოკიდებული მთვარესავით ცივი და მძიმე, ეს პროჟექტორები ქანდარის მოაჯირზე ქიმერებივით რომ სხედან, ეს კედელზე გაკრული მეხანძრის ბრჭყვიალა ცული და კეტი — ამ ქვეყნად ერთადერთი ყველაზე ძვირფასი ნივთებია. აი, აქ მხოლოდ ამ კედლებში შეგვიძლია ვიგრძნოთ, რომ მარტონი არა ვართ, რომ ჩვენთან არის ყველაფერი ის, რაც ადამიანის გულსა და გონებას შეუქმნია. სად უნდა წავიდე, ნინიკო, სად? განა ჩვენ არ ვიცოდით, რომ სცენაზე ბოთლის ნამტვრევები ეყარა? შუშით გადახსნილი ფეხისგული ნაკლებად მტკივნეულია, ვიდრე სათქმელით გაპერილი გული. ჩვენ აქ დავრჩებით, ვიდრე გული ბოლომდე არ დაიცლება... ბოლომდე... ბოლომდე...

— ბოლომდე! — თქვა ზაზამ, — სანამ ბოლომდე არ დაიცლება.

ნინიკომ გაკვირვებით ამოხედა. ახლა ისინი ოთახში მარტონი იყვნენ. ზაზას ნინიკოს მხარზე ედო ხელი.

— რას ფიქრობდი? — ჰკითხა ნინიკომ, — არაფერი გესმოდა...

— სიტყვას ვამბობდი, — ზაზამ გაიღიმა, — მოედანზე ვიდექი და ზღვასავით ხალხს სიტყვას ვეუბნებოდი.

— რა სიტყვას?

— ხმამაღლა იმის თქმა არ შემიძლია.

— ზაზა, — დაიწყო ნინიკომ გაუბედავად, თითქოს ეშინოდა, კიდევ არ მიყვირონსო.

ზაზა მაგიდასთან მივიდა, სიგარეტი აიღო და მოუკიდა.

— ზაზა...

— რა?

— იქნებ, ჩემგან არაფერი არ გამოვა... იქნებ...

ეროვნული

— შეიძლება, — თქვა ზაზამ, — შეიძლება არაფერი გამოვიდეს...

— ხომ შეიძლება, ის ხალხი მართალი იყოს?

— შეიძლება...

— მერე რატომ ჯიუტობ?

— შენ როგორ გგონია? მთავარია, შენ რას ფიქრობ.

— არ ვიცი... შეიძლება ის ხალხი მართალი იყოს...

— შეიძლება...

— მაშინ ყველაფერი უნდა გათავდეს...

— როგორ თუ ყველაფერი?

— მაშინ აღარაფერი აღარ დამრჩება.

— კარგი ერთი!

— ჰო, ყველაფერი გათავდება.

— ნუ სულელობ.

— მე შინიდან გამოვიქეცი, იმიტომ რომ ვფიქრობდი, სულ სხვა ვარ-მეთქი. სულ სხვა. ვარსკვლავბიჭუნასავით ჩემი მშობელი მძულდა... მეგონა, იქ ცხოვრება არ შემეძლო. თუ ეს ხალხი მართალია, მაშინ მე ვტყუოდი... სხვასაც ვატყუებდი. და ყველაფერი გამოგონილი და ყალბი მქონია: ქსოვაც, კულისებში ტირილიც... ყველაფერი.

— მე კი მჯერა, რომ გამოვა!

— შენ გგონია, მტკვარში გადავვარდები? არა, არაფერიც არ მოხდება. ოღონდ ჩემი თავი შემძულდება, ამდენს რომ ტყუოდა და სხვასაც ატყუებდა...

— გეყოფა ამაზე ლაპარაკი!

— სად უნდა წავიდე, — დაიწყო ისევ ნინიკომ, — არსად წასასვლელი არა მაქვს. იცი, მე ახლა თეატრში ყველას ვძულვარ, განსაკუთრებით, ჩემს ტოლებს. აქამდე ყველასთვის საყვარელი ნინიკო ვიყავი, უსიტყვო როლებს ვასრულებდი. ახლა კი ოფელიას ვთამაშობ. ყველას ჰგონია, რომ თორნიკეს წყალობით მოხდა ეს. წარმოგიდგენია? თუმცა... იქნებ, მართლაც ასეა, იქნებ შენც თორნიკეს ხათრით აკეთებ

ამას? მითხარი, მითხარი, ნუ დამიმალავ?

— გაგიჟდი?

— თუმცა თორნიკე მეხვეწება, თეატრს თავი დაანებეო, შენც ელეონორა დუზე არ გამოხვიდეო, — აი, ასე მითხრა. ხომ არ ვიყვირებ, სათითაოდ ყველას ხომ არ დავუწყებ მტკიცებას, რომ მე ამ როლის თამაში შემიძლია, რომ მე... მე...

ნინიკოს გული ამოუჯდა, ვეღარ გააგრძელა. ზაზას მისდაუნებურად წამოცდა:

— რომ შენ ოფელიას გავხარ, არა?

— რა?

— ოფელიას გავხარ-მეთქი.

— აი, ხომ ხედავ, შენც დამცინი.

— არა, მართლა ასე მგონია... ოფელია, ალბათ, შენისთანა იყო.

— ჩემსავით უშნო? — ჰკითხა ნინიკომ სევდიანი ღიმილით, თუმცა მის ხმაში იმედიც გამოსჭვიოდა, რადგან მან გულის სიღრმეში უცებ დაუჯერა ზაზას.

— ჰო, შენისთანა უშნო! — უპასუხა ზაზამ.

ახლა მან სიმართლე თქვა. ოფელია მას გამხდარ და უშნო გოგოდ ჰყავდა წარმოდგენილი. არც იმას მოერიდა, ნინიკოსთვის დაუფარავად ეთქვა, უშნო ხარო, რადგან გრძნობდა, ოფელიასთან მსგავსება ნინიკოს გაცილებით უფრო გაახარებდა, ვიდრე ის, რომ გეთქვა, ყველაზე ლამაზი გოგო თეატრში შენა ხარო.

— ჰო, ოფელია, ალბათ, უშნო გოგო იყო, — დაიწყო ზაზამ, — გამხდარი, ჭორფლიანი. ალბათ, დიდი თვალები ჰქონდა, მუდამ გაოცებული და სევდიანი. წარმოიდგინე ანგელოსი კარიერისტი და მლიქვნელი მამის ხელში, ანდა მკვლელებით სავსე საკანში — უსინათლო! წარმოიდგინე გოგო, რომელსაც სიყვარულის ეშინია, რადგან, ვისაც ის უყვარს, თავისივე სიყვარულს დასცინის.

წარმოიდგინე ელსინორის სასახლე. ალბათ, როგორი ბნელი იყო. წარმოიდგინე ღარიბი მეფის კარი, ისინი აშკარად მდიდრები არ არიან, დედოფალი, ალბათ, ხელმწიფის [illegible]რებს. აქ მე ვერ ვხედავ გაქსუებულ მოსამსახურეთა და გაბლენძილი ლაქიების გუნდს; ვერც მასხარას ვხედავ, შექსპირის ერთ-ერთ საყვარელ პერსონაჟს. იორიკი ოცი წლის წინ გარდაიცვალა, მის მერე სხვა ხუმარა არ აუყვანიათ, მაინც და მაინც სამხიარულოდ არ ჰქონდათ საქმე. მოხეტიალე მსახიობების მოსვლა ამ სასახლეში თითქმის ერთადერთი გასართობია. მათ წარმოდგენას მთელი სასახლე ესწრება.

წარმოიდგინე ბნელი ტალანები, ქვის დახვეული კიბეები, მაშხალები და მათ შუქზე ლამურები — უამრავი შავი სტალაქტიტი. ღამით ცარიელ ტალანებში ვირთხები დარბიან და წრიპინებენ. ოფელია ვიწრო, ბადეაკრულ სარკმელთან ზის, შემკრთალი და დაძაბული... და პაწაწინა სანთელი ბჟუტავს და ცივა... ელსინორის სასახლე ესკიმოსის ქოხსა ჰგავს — თოვლის კედლები აქვს! და ეს თოვლი შავია. გაქვავებული და კიდევ უფრო ცივი, ვიდრე ყინული.

ხედავ, ისიც შენსავით ქსოვს და თან შეშინებული ყურს უგდებს ნაბიჯების ხმას. ეს ცარიელ დერეფანში ძილგატეხილი, შავებში ჩაცმული ჰამლეტი დადის. როგორც მომავალი შურისძიება, თითქმის უაზროდ, მთვარეულივით დაფრატუნობს.

ოფელიას გამუდმებით ყვავილები ენატრება! ამიტომ იყო, ალბათ, რომ სიკვდილის წინ ყვავილებით აივსო ხელები, მდინარესთან მივიდა და ყვავილივით მოკვდა, ბედნიერი! არა, ერთი წუთითაც არ იფიქრო, რომ ის ჭკუაზე შეიშალა! არა... ჰამლეტის მსგავსად, მისი სიგიჟეც მოგონილი იყო, რადგან სიბნელესა და სიმარტოვეში გაზრდილს, იმის გამხელა შეეშინდა, რომ სინათლე დაინახა. მას რამდენიმე საუკუნით ადრე შეეფრქვია ის შუქი, თავისუფლება რომ ჰქვია და, როგორც ნაადრევი ენძელა, თოვლის ქვეშ მოკვდა.

ოფელია იგივე ჰამლეტია, ჰამლეტის სულის ლირიკული ნაწილია, რომელსაც ჰამლეტი ფილოსოფიური სკეპსისით თრგუნავდა, მალავდა, დასცინოდა კიდეც. თუმცა საშინელი ტკივილით გრძნობდა, რომ ეს მისი სულის ნაწილი იყო, რომ უიმისოდ სიცოცხლე არ შეეძლო.

საინტერესოა კიდევ ის, რომ ჰამლეტი და ოფელია უფრო და-ძმას მოგვაგონებენ, ვიდრე მიჯნურებს. ეს ელექტრასა და ორესტის ახალი ვარიანტია. დამნაშავე მშობელთა დასასჯელად კაცობრიობის მიერ შექმნილი კლასიკური წყვილი.

— საკვირველია, — ნინიკომ გაიცინა. — მე შენ ჩემი ძმა მგონიხარ!

ზაზას თითქოს არ გაუგონია, გააგრძელა:

— ჰამლეტის აჩრდილთან ერთად ოფელიაც მეორდება ხოლმე, თავისი თეთრი ყვავილებით, სინაზითა და სითბოთი.

— რომ მერე ისევ მდინარეს დაუბრუნდეს? — თქვა ნინიკომ ჩუმად.

— მდინარეს?

— რომ მერე ისევ მდინარეს დაუბრუნდეს! — გაიმეორა ნინიკომ.

დიდხანს ლაპარაკობდნენ ასე. მერე ნინიკო შინ წავიდა. ზაზას შინ წასვლა არ უნდოდა. მეორე სართულზე საკონცერტო დარბაზში შევიდა. იქ ელისო ვირსალაძე უკრავდა. დარაჯმა ქალმა იცნო და შეუშვა.

დარბაზი გაჭედილი იყო. ზაზა კედელთან გაჩერდა. სცადა მთელი ყურადღება დაეძაბა, მაგრამ მუშაობით დაღლილს გონება გაფანტული ჰქონდა, ადვილად არ ნებდებოდა ორგანიზებულ ემოციას, მოცარტის მუსიკის ნათელ, ბროლის სურებივით მკვრივსა და ელვარე ბგერებს, რომლებიც გასაოცარი ფერადოვნებით იმსხვრეოდნენ როიალის შავ ზედაპირსა და დარბაზის კედლებზე.

მერე ზაზამ ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო. თავი ნელა მოაბრუნა და ლიზიკო დაინახა. ლიზიკო იქვე იჯდა, რიგის ბოლო სკამზე, ზაზას ხელით ანიშნებდა, აქ მოდიო, ლიზიკოს გვერდით სკამი ცარიელი იყო. ზაზა მივიდა და დაჯდა.

— გამარჯობა! — გადაუჩურჩულა ლიზიკომ, — სად დაიკარგე?

— ვმუშაობ... კარგად უკრავს?

— ძალიან! იცი, მაგდა ჩამოვიდა!

— რა?

— სულ ჩამოვიდა. აქ უნდა წამოსულიყო, მაგრამ თავი ასტკივდა.

„მაგდა ჩამოვიდა! მაგდა ჩამოვიდა! მაგდა! მაგდა!“

კინაღამ წამოდგა და დარბაზიდან გავიდა. აქ ჯდომა აღარ შეეძლო, აწრიალდა, დასცხა კიდეც. ლიზიკომ სათვალე გაიკეთა. ზაზამ იფიქრა, სათვალე იმიტომ გაიკეთა, უფრო კარგად რომ დამაკვირდესო. ლიზიკო მას არ უყურებდა, ვიღაც სხვებს უცქერდა, მათ რიგში რომ ისხდნენ. უნებურად ზაზამაც იქით გაიხედა.

— მაგდას მშობლები! — წასჩურჩულა ლიზიკომ, — ხედავ?

კაცი უკვე ჭაღარა იყო. ის ზაზას ქუჩაში ბევრჯერ შეხვედრია. დაუნახავს გამვლელებს აღტაცებული და ოდნავ გაოცებული მზერა რომ გაუყოლებიათ მისთვის. ეს იყო ცნობილი ფიზიკოსი, რომლის სახელიც ამ ბოლოს დროს ყველას პირზე ეკერა. რუსთაველის პროსპექტზე გამოივლიდა ხოლმე, ხელში სპორტული ჩანთა ეჭირა, ეტყობოდა, ჩოგბურთის კორდებიდან მოდიოდა.

— ეს მაგდას მამაა? — გაიკვირვა ზაზამ.

— ჰო, — ლიზიკო ზაზასკენ გადმოიხარა, — ის ქალი კი მაგდას დედაა!

კაცის გვერდით ლამაზი ქალი იჯდა. შავი მბზინავი თმა ჰქონდა, გადატკეცილი და უკან ალმასებიანი პატარა ბაბთით შეკრული. მუქი მწვანე, უმკლავებო კაბა ეცვა, ხელი, ზედ რომ ვერცხლის ფართო სამაჯური ეკეთა, სკამის სახელურზე ჰქონდა დასვენებული, მტევანი მოწყვეტილად ჩამოვარდნოდა. თეთრი, გრძელი თითები ჰქონ-

და, ფრჩხილები ალისფრად შეეღება. კაცი იმ ხელს მალიმალ ეფერებოდა ხოლმე. თითქოს უნებურად, ჰაერში ჩამოკიდებულ მტევანს მოსძებნიდა, თითებს დაუჭერდა და აღარ უშვებდა. მერე უცებ გასწევდა ხელს, თითქოს ქალი აშვებინებსო, მტევანი კი ოდნავაც არ შეირხეოდა, ეკიდა ისევ ჰაერში, როგორც მანეკენის ხელი საპარიკმახეროს ვიტრინაში.

ზაზამ ლიზიკოს შემოხედა, ხომ არ მატყუებ, ასეთი ახალგაზრდა ქალი მაგდას დედა როგორ იქნებაო, მაგრამ ლიზიკოს ისეთი ცნობისმოყვარე სახე ჰქონდა, ისე ირონიულად მოეკუმა ტუჩები, რომ ზაზას აღარ უკითხავს. ლიზიკო იმ ხელების მორიდებულსა და მაინც აშკარა ტრფობას შესცქეროდა. მერე თითქოს ზაზას მიუხვდაო, წაიჩურჩულა:

— ჰო, მაგდას დედაა! — და გაიღიმა, თითქოს რაღაც უნდოდა კიდევ ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა.

— რა ლამაზი დედა ჰყოლია!

— ჰო, — ლიზიკომ სათვალე მოიხსნა და ზაზას შემოხედა, — ლამაზია...

მერე რამდენჯერმე გაიმეორა:

— ლამაზია... ლამაზია... ლამაზია...

ეს რამდენჯერმე გამეორებული სიტყვა თითქოს საიდუმლო შიფრი იყო. ზაზა უნდა მიხვედრილიყო, ამოეხსნა, თუ რა იგულისხმებოდა შიგ.

— მაგდა კი სულელია, — თქვა ლიზიკომ, ის, ალბათ, უკვე დარწმუნდა, რომ ზაზამ საიდუმლო ნიშნები არ იცოდა, —თბილისში არ ჩამოდიოდა...

— რატომ?

— სულელია...

ლიზიკოს, ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, სანამ ზაზას ყველაფერს გააგებინებდა. მას მხოლოდ ის უშლიდა ხელს, რომ ზაზა მეტად მიუხვედრელი აღმოჩნდა, არ იყო მიჩვეული მხოლოდ მინიშნებებითა და ინტონაციის ცვლით ლაპარაკს. მისთვის ყველაფერი უნდა გეთქვა, ჩვეულებრივი ფრაზებით. ზაზა რომ ლიზიკოს წრიდან ყოფილიყო, ლიზიკო მას დაახლოებით ასე მოუყვებოდა:

— ლამაზია...

და ორივე წარბს ერთად აწევდა. ცოტა ხანს გაჩუმდებოდა, მერე წარბებს დაუშვებდა და უფრო მხიარულად გაიმეორებდა:

— ლამაზია...

მერე ისევ გაჩუმდებოდა და ძალიან სერიოზულად დაუმატებდა:

— ლამაზია...

და ზაზასთვის ყველაფერი ნათელი გახდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ზაზას ეს ენა არ ესმოდა. ამიტომ ლიზიკო კიდევ უფრო გადმოიხარა მისკენ, ტუჩები ზედ ყურთან მიუტანა და უთხრა:

— სულელია მაგდა, განიცდის, დედამისი ქმარს რომ ღალატობს. სულელი არ არის?

— მაგდამ არ იცის, რა უნდა, — ამბობდა ლიზიკო, — ვითომ თვითონ...

მერე გაჩუმდა და ღიმილით დაუმატა:

— მეტიჩარა მეგობარი მყავს!

ზაზამ უცებ, მოულოდნელად იგრძნო, ლიზიკოს მაგდა სძულდა...

ნინიკო დიდმის მასივში ცხოვრობდა, ერთოთახიან ბინაში. ახლა ის სარკის წინ იჯდა. იქვე, მაგიდაზე პაწაწინა ნაძვის ხე იდგა, უფრო სწორად, ნაძვის ტოტი, რომელიც ნინიკოს ფერადი სათამაშოებით მოერთო. ნაძვის ხე სარკეშიც მოჩანდა. ნინიკოს შიოდა, მაგრამ ისეთი მოთენთილი და დაღლილი იყო, რომ ადგომა და საჭმლის გაკეთება ეზარებოდა.

„ასე დავიძინებ, — ფიქრობდა ნინიკო, — აი, აქ სარკის წინ...“

სარკე მას ძალიან უყვარდა. სარკე მისი მეგობარი იყო, მისი ფიქრის მესაიდუმლე. ნინიკომ ხელები მაგიდაზე დააწყო და ზედ თავი დადო. ახლა ნაძვის ხე უფრო მაღალი მოჩანდა. ფიქრობდა, ნაძვის ხის ძირას ვწევარო.

— ისეთი სიჩუმეა ნაძვის ტყეში, — ჩაესმოდა ვიღაცის ჩურჩული, — ისეთი თეთრი და ფაფუკი თოვლი დევს...

და ნინიკო თოვლში მიდიოდა, რა უც-

ნაური თოვლია, — ფიქრობდა ის, — როგორ ბრწყინავს...

მერე თოვლზე დაყრილი ყვავილები დაინახა, არ გაკვირვებია. პირიქით, — ელოდებოდა, რომ ყვავილებს დაინახავდა. თოვლი სულ ყვავილებით იყო მოფენილი. ნინიკომ ყვავილების მოგროვება დაიწყო: „აი, საკმელას ბალახი, ეს ნიშნავს არ დამივიწყოო. გთხოვ, ჩემო საყვარელო, არ დამივიწყო. აგერ კიდევ ქვეყნის-გულა, გულიდან არ ამომიღოო..."

უეცრად ბრახუნმა შეაკრთო. თვალი გაახილა, კარზე ვიღაც გამწარებული აბრახუნებდა. ნინიკო ძლივს წამოდგა, თავი ისე დამძიმებოდა, თითქოს შიგ ტყვია ჩაასხესო. მაინც ბურანში იყო. მაინც ეგონა, თოვლში მიდიოდა, მაგრამ ახლა ყვავილებს ვეღარ ხედავდა. კართან მივიდა და გააღო. კარის წინ მაღალი კაცი იდგა. მწვანე, გახუნებული კიტელი ეცვა, ფეხები კალოშებში ქონდა წაყრილი და „გალიფე" შარვალი წინდებში ჩაეტანებინა. ეტყობოდა, ამ სახლში ცხოვრობდა, თორემ ასე ჩაცმული შორიდან ვერ მოვიდოდა.

კაცს თავი მაღლა აეწია და თითქოს რაღაცას უხილავს ყნოსავდა.

ნინიკომ რომ კარი გააღო, კაცმა თითი კინაღამ თვალში ატაკა:

— აი, აქ! — თქვა მან.

ნინიკო მოულოდნელად გვერდზე გასწია და ბინაში შევიდა. გაკვირვებული ნინიკო უკან გაჰყვა. კაცმა სამზარეულოს მიაშურა, გაზის ქურა ჩაკეტა, მერე ფანჯარასთან მივიდა და ფართოდ გამოაღო. ისევ გაზის ქურას მიუბრუნდა, იქ რაღაცეები გასინჯა და ნინიკოს უთხრა:

— როგორ შეიძლება, ქალიშვილო, ეს ხომ დაუშვებელია!

ნინიკო მიხვდა, გაზი დარჩენოდა. შინ რომ დაბრუნდა, ალბათ, ამიტომაც ეუცხოვა, ისეთი მძიმე ჰაერი იდგა, მაგრამ მაშინ არაფრის თავი არ ჰქონდა, სარკესთან დაჯდა და, ეტყობა, დაეძინა.

კაცი სამზარეულოდან გამოვიდა:

— ფანჯარა ღია იყოს! სარდაფიდან ამოვდიოდი და სუნი [illegible] როგორ შეიძლება!

ნინიკოს შერცხვა ამ უცხო კაცის, ხომ იფიქრებდა, დაუდევარი ყოფილაო.

კაცი ახლა ოთახში შევიდა:

— აქაც გააღე ფანჯარა!

ნინიკომ ფანჯარა გააღო. უცებ ისე შესცივდა, რომ საწოლზე დაგდებული შალი აიღო და მხრებზე მოიხურა.

— დაბრძანდით! — უთხრა მან კაცს გაუბედავად.

კაცი გაჭიმული იდგა, თითქოს რაღაცას ფიქრობსო. ნინიკოს ხმა რომ გაიგო, იკითხა:

— ჰა?

— დაბრძანდით-მეთქი.

კაცი ოთახს ათვალიერებდა, არ დაჯდა.

— მე თქვენი მეზობელი ვარ, ზემო სართულზე ვცხოვრობ.

— სასიამოვნოა, — ნინიკოს კიდევ უფრო შესცივდა, — შეიძლება, ფანჯარა დავხურო?

— დახურეთ!

კაცს მბრძანებლური კილო ჰქონდა.

ნინიკომ ფანჯარა მიხურა. კაცი ისევ ისე იდგა, არც ჯდებოდა, არც წასვლას აპირებდა.

— ეს ვისი სურათია? — იკითხა მან და კედელზე ჩამოკიდებულ, ჩარჩოში ჩასმულ სურათს თითი მიადო.

— ეს სარა ბერნარია!

— ვინ?

— სარა ბერნარი... ფრანგი მსახიობი.

— გასაგებია... მე პლატონ ქურდიანი ვარ! — გაეცნო კაცი, თითქოს ნინიკოს სარა ბერნარის კი არა, თავისი სახელი და გვარი ეთქვას.

მერე გაიმეორა:

— გასაგებია...

— რა ბრძანეთ?

— არაფერი, ტახტი, წიგნები, სურათები, მაგნიტოფონი, — კაცი ისე ნელა თვლიდა საგნებს, თითქოს დურბინდით ისედებოდა და რასაც ხედავდა, იქვე მყოფთ მოახსენებდა, — ეს კარი სად გადის?

— აივანზე... კი, მაგრამ? — ნინიკოს უკვირდა, რატომ აინტერესებდა ამ კაცს ასე დაწვრილებით მისი ბინის მოწყობილობა.

— აივანზე... ამ ტახტზე გძინავთ?

— დიახ...

— რამდენი წლისა ხართ?

— ოცდაოთხის.

— მუშაობთ სადმე?

— თეატრში.

— სასიამოვნოა, მე თეატრი ძალიან მიყვარს. მერე, შვილო, თავს არ უნდა გაუფრთხილდე?

ნინიკოს დააკვირდა:

— შეგეშინდა, ბიძიკო?

მერე გატრიალდა:

— ახლა წავალ და აწი ფრთხილად იყავი! — თან თითი დაუქნია.

— გმადლობთ, — ნინიკოს ახლა კი ნამდვილად შეეშინდა, ერთი სული ჰქონდა, სანამ ეს კაცი აქედან წავიდოდა.

ნინიკომ კარი მაგრად გადაკეტა, კარს ზურგით მიეყრდნო და შვებით ამოისუნთქა. უცებ იმის გაფიქრებამ შეაძრწუნა, რომ შეიძლებოდა ძილში მომკვდარიყო...

კონცერტი რომ გათავდა, ლიზიკოს თორნიკემ მოაკითხა მანქანით. ზაზა მანქანაში არ ჩაჯდა. ფეხით წამოვიდა შინ.

რუსთაველის პროსპექტი თოვლში ისე იყო ჩაფლული, თითქოს საიდანღაც ახლახან ჩამოეტანათ და ბამბაში შეფუთვნილი ჯერ არ გაეხსნათ. ქუჩა მოყინული იყო და ალაგ-ალაგ სარკესავით ბრწყინავდა.

ოპერასთან მოხუცი ცოლ-ქმარი შეხვდა. ისინი მის სახლში ცხოვრობდნენ. ყოველთვის ასე სეირნობდნენ, არაფერს აკლდებოდნენ. არც თეატრს, არც კინოს. ქმარს მოწიწებით გაეყარა ცოლისათვის მკლავში ხელი. ფრთხილად მოჰყავდა, ყინულზე ფეხი არ დაუსხლტესო. ჩუმად მოდიოდნენ. რაღაც გაურკვეველი, ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე ორივეს. თითქოს ისეთი რამ იცოდნენ, რასაც სხვები ვერასოდეს გაიგებდნენ. ზაზა ერთხელ ავიდა მათთან. არ ახსოვს, რატომ. მგონი, ფოსტალიონის მიერ შეცდომით მასთან მოტანილი გაზეთები აუტანა.

მოხუცი ცოლ-ქმარი ერთმანეთს დედიკოსა და მამიკოს ეძახდნენ. ერთ ოთახში ცხოვრობდნენ და ეს, ეტყობოდა, ძალიან აწუხებდათ, თუმცა სხვის გასაგონად კიდევაც ამაყობდნენ, რომ ერთი ოთახი ჰქონდათ და ბინის სივიწროვეს თავიანთი პატიოსნების დამადასტურებელ ფაქტად ასაღებდნენ.

„ჩვენც რომ სხვებივით ტყუილები გვეთქვა, ამ ერთ ოთახში კი არ დავრჩებოდით!" „მამიკო რომ კარიერისტი ყოფილიყო, სხვებივით სასახლეში იქნებოდა გამოჭიმული!"

„მობრძანდით, მობრძანდით, ჩვენი ბინის სივიწროვე ნუ შეგაშინებთ!"

„შემოდით! მამიკო ახალგაზრდების ქომაგი იყო, იმიტომაც დარჩა ამ ერთ ოთახში!"

„დედიკო, შენ დაწექი, გაცივდები, ჩვენთან არ ათბობენ!"

ზაზა ცოტა ხანს დარჩა მათთან. იქიდან ისეთი გრძნობა გამოჰყვა, თითქოს მისი ბრალიც ყოფილიყოს, ისინი რომ ერთ ოთახში ცხოვრობდნენ.

ისინი აშკარად ნანობდნენ, რომ დროზე არ თქვეს ტყუილი, დროზე არ იზრუნეს კარიერისთვის, თუმცა ამას, რა თქმა უნდა, მალავდნენ. ახლა ორივეს სჯეროდა, რომ სიმართლისთვის წამებულები იყვნენ. მათი ლაპარაკიდან ისიც გამოდიოდა, რომ ყველა ტყუოდა, ექიმიც, რეჟისორიც, ინჟინერიც, ფოსტალიონიც, მილიციელიც.

იქ ხომ არ დაუწყებდა კამათს? ვერც გაუგებდნენ...

მათ ზაზა ვერ შეამჩნიეს. ზაზას გაუხარდა, გადარჩა:

„მე და დედიკო კინოში ვიყავით. ო, როგორ ტყუიან ეს კინორეჟისორები?"

პატარა კაფეს მინის კედლები ისე იყო შეორთქლილი, რომ შიგ მსხდომნი არ მოჩანდნენ. მინის კედელი მოყვითალო. ხაოიან ფარდას გავდა, რომლის იქითაც უჩინარი ფუსფუსი იგრძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობოდა, როგორც თეატრში, სპექტაკლის დაწყების წინ. კაფეს კარს ვიღაც ბიჭები მოსდგომოდნენ და გარეთ იხედებოდნენ. კარის მინა შეორთქლილი არ იყო. ბიჭებს პალტოები ეცვათ, ეტყობოდათ, წამოსვლას აპირებდნენ და ვიღაცას ელოდებოდნენ. ისეთი მოწყენილი სახეები ჰქონდათ, თითქოს გარედან არიან ჩაკეტილებიო.

ზაზამ „მეტროს" წინ მოედანი გადაჭრა. საოცარი იყო, სრულებით არ ფიქრობდა მაგდაზე. პირველმა სიხარულმა უცებ გაუარა და ჩაქრა. თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ის აქამდე შიშით ელოდებოდა მაგდას თბილისში ჩამოსვლას. ეგონა, რაღაცას ისეთს გააკეთებდა, რაც მის ცხოვრებას არევ-დარევდა. თურმე თავს ატყუებდა.

აი, მაგდა ჩამოვიდა! შეეძლო ხვალვე ენახა ის. კი, მაგრამ — რა უნდა ეთქვა? ისინი ისე დაშორდნენ, რომ ზაზას მასთან შეხვედრაზე აღარ უნდა ეფიქრა. მაინც ფიქრობდა. ღამით, ძილის წინ, ყველაფერი ადვილად ხელმისაწვდომი რომ გეჩვენება, როცა ოცნება გიახლოვებს შორეულსა და მიუწვდომელს, — ის თბილისის ქუჩებში მაგდასთან ერთად დასეირნობდა, გაბრუებული და ბედნიერი, რადგან მაგდას უყვარდა. დილით ყველაფერი ისევ თავის ნამდვილ სახეს იღებდა: მაგდა შორს იყო და, ალბათ, აღარასოდეს შეხვდებოდა...

ზაზა ფორანზე აფოფხდა და კოფოზე, წვერიანი კაცის გვერდით დაჯდა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა კაცმა.

— არსად, — უპასუხა ზაზამ, — ისე..

— კარგი...

კაცმა ზაზას მოხედა. ზაზა გრძნობდა, კაცი როგორ ათვალიერებდა მას, მაგრამ მისკენ არ მოუხედავს.

— შორიდან მოდიხარ? — ჰკითხა კაცს.

— მე სულ ასე დავდივარ, რაც გავჩნდი.

— რაც გაჩნდი?

— ჰო, სულ ასე დავდივარ.

— მარტო?

— მარტო.

— ცოლი გყავს...

— არა.

მერე ზაზამ გაბედა და ის ჰკითხა, რისი გულისთვისაც ამ კაცს გზაზე ელოდებოდა:

— არც ვინმე გიყვარს?

კაცი უცებ გამოცოცხლდა, თვალები გაუბრწყინდა.

— ბევრი! — თქვა მან ხმამაღლა და ცხენებს მათრახი გაუქნია, — ბევრი!

— ბევრი?

კაცმა ისევ ზაზას შემოხედა, — ახლა ზაზა პირდაპირ თვალებში უყურებდა მას, კაცმა თვალი ვერ გაუსწორა, გვერდზე გაიხედა და ჩუმად, ძლივს გასაგონად თქვა:

— ერთი...

— მერე?

— სულ ასე მიყვარს, რაც გავჩნდი... ერთი... ერთი... ერთი...

— რატომ არის, რომ იმას არ ხვდები, ვინც გიყვარს? — ჰკითხა ზაზამ.

კაცი უცებ მისკენ მობრუნდა:

— შენ რა იცი?

— მეც მიყვარს, — უპასუხა ზაზამ.

— ჰო-ო, — გააგრძელა კაცმა, — შენც თუ გიყვარს... თუმცა ყველას ვიღაც უყვარს, ასეა!

— რატომ არის, რომ იმას ვერ ხვდები, სხვებს კი...

— სხვებს კი ბევრს, ბევრს, ბევრს.

— მაგრამ იმას არა, ვინც გიყვარს. რატომ არის, რომ სულ სხვადასხვანაირი ხალხი ხვდება ერთმანეთს... უცხო...

— ასეა.

— ვინც გიყვარს ის კი შორს არის.

— ასეა, — გაიმეორა კაცმა.

— აქვე რომ იყოს, მაინც გგონია, რომ შორს არის.

— მართლა გყვარებია, — უთხრა კაცმა.

— შენ... შენ როგორ გგონია?

ზაზას იმ კაცის პასუხი აღარ გაუგონია, რადგან პაპუნა დაინახა. პაპუნა გასტრონომიდან გამოვიდა. პალტო გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღელვოდა. ორივე ხელში შამპანურის ბოთლები ეჭირა. ქუჩის პირას გაჩერებულ მანქანას მიაშურა, რომელიც, ეტყობოდა, მას უცდიდა.

— პაპუნა! — დაუძახა ზაზამ.

— ოჰ, ზაზა, წამოდი ჩემთან! — პაპუნას სახე უცინოდა.

შოფერმა კარი გაუღო, პაპუნამ ბოთლები მანქანის სკამზე დაყარა და ზაზას მოუბრუნდა:

— წამოდი ჩემთან!

— რა მოხდა, რა გიხარია?

— ზაზა ბედნიერი ვარ, ბედნიერი!

— ჰო?

— გახსოვს ის ბიჭი?

— რომელი ბიჭი?

— წამოდი, გზაში მოგიყვები.

— ვერ წამოვალ, რომელი ბიჭი?

— გახსოვს, რომ გითხარი, ლეილას აცილებს-მეთქი.

— ჰო?

— ახლა ჩვენთან არის!

— რა-ა?

— ჩვენთან არის. წამოდი. ზაზა, რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ!

ზაზამ ვერაფერი გაიგო.

— მოიცა, — უთხრა მან, — მერე?

— ტაქსი მიცდის, — უთხრა პაპუნამ, — წამოდი, მანქანაში მოგიყვები.

— კარგი, მოედნამდე წამოგყვები, — ზაზას ძალიან უნდოდა გაეგო რა მოხდა.

— ჯანდაბას შენი თავი, წამო!

ისინი მანქანაში ჩასხდნენ. პაპუნამ ზაზას მუხლზე ხელი დაჰკრა:

— გახსოვს? ხომ მოგიყევი?

— მახსოვს...

— ჰოდა, დღეს შინ ვბრუნდებოდი... დერეფანში შევდივარ, ოთახის კარი მიხურულია. ლაპარაკი შემომესმა, ბიჭის ხმა იყო. კინაღამ წავიქეცი... ხომ იცი?

რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ თქვა, ეტყობოდა, საჭირო სიტყვა ვერ იპოვა.

— ვიცი, — უთხრა ზაზამ, ამბის გაგება ეჩქარებოდა.

— ჰოდა, ფრთხილად მივედი კართან. ვიცი, ვიცი ეს რომ უსინდისობაა!

პაპუნამ ორივე ხელი ასწია:

— რა ვქნა!

მორცხვად გაიღიმა:

— დამნაშავე ვარ...

— მერე? — ჰკითხა ზაზამ მოუთმენლად.

— მერე... ვერ წარმოიდგენ. აბა, თქვი, რას გაიგებდი?

— მე რა ვიცი, რას გაიგებდი?

— ჰოდა არ იცი.. მერე ლეილას ხმა შემომესმა, ლეილას ხმა! — ისეთი სიხარულით შესძახა პაპუნამ, თითქოს ლეილა აქამდე მუნჯი ყოფილიყოს.

— მერე?

— რა მერე? ჰო... ლეილას ხმა შემომესმა-მეთქი...

— ეგ უკვე თქვი.

— იცი , რაზე ელაპარაკებოდა იმ ბიჭს?

პაპუნა ღიმილით შეაცქერდა ზაზას, აბა თუ გამოიცნობო.

— არა!

— ჩემზე! ჩემზე! წარმოგიდგენია, ჩემს ნახატებზე! აქებდა და ცამდე აჰყავდა. არ ვიცოდი, ჩემი ნახატები ასე თუ მოსწონდა. მე კი, ველური, კინაღამ შევვარდი და მოვკალი. ვიფიქრე, შევალ, მუხლებში ჩავუვარდები, პატიებას ვთხოვ. ღორი ვარ, ღორი, უკულტურო ღორი-მეთქი! ხომ ვარ ღორი? სთქვი, ხომ ვარ ღორი?

ისეთი თვალებით უყურებდა ზაზას, რომ ის იძულებული გახდა ეთქვა, ნამდვილად ღორი ხარო.

— მე კი მოკვლა მინდოდა! — თქვა პაპუნამ და ხმამაღლა გაიცინა, ბედნიერი კაცივით ლაღად და უდარდელად.

— ახლა რას აპირებ? — ჰკითხა ზაზამ.

— გამოვვარდი, შამპანური ვიყიდე, სტუმარია, ხომ იცი...

— გააჩერეთ! — უთხრა ზაზამ შოფერს.

— წამოდი რა, ზაზა, შენც წამოდი!

— არა. ნახვამდის, პაპუნა!

— ნუ დაგვივიწყებ, — დაუძახა პაპუნამ, — მოდი, ლეილას გაუხარდება!

— ეს რაღაა? — ჰკითხა ზაზამ კაცს, როცა ფორანი ისევ დაიძრა, — ესეც სიყვარულია?

— სიყვარულია! — უპასუხა კაცმა.

— ასეთი ბრმა?

— შეიძლება, ამიტომაცაა სიყვარული. — გაიცინა კაცმა.

— რატომ?

— ბრმა რომ არის.

— არა, — არ დაეთანხმა ზაზა, — არა ხარ მართალი!

— შეიძლება, — კაციც არ გაუძალიანდა, — ეს არავინ იცის...

— არავინ იცის, — გაიმეორა თავისთვის ზაზამ, — არავინ იცის... არავინ...

ცოტა ხანს უხმოდ მიდიოდნენ. კაცს თითქოს ჩაეძინაო, თავჩაქინდრული იჯდა. აქეთ-იქით ქანაობდა, თითქოს ვიღაცის უხილავი ხელი ანჯღრევსო. ირგვლივ ტრიალი მინდორი იყო გადაშლილი. ზაზას უკვირდა, რომ აქ თოვლი არ იდო.

## 14. თორნიკე ანდროსთან სტუმრად ჩამოდის. თორნიკე და ადამი. წვეულება ანდროს სახლში. თინა.

პატარა ქალაქის გასართობი ადგილი — სადგურია. თუ სხვაგან ბაღებსა და ქუჩებში სეირნობენ, აქ მათ მაგივრობას სადგური სწევს.

საქმეს რომ მორჩება, ახალგაზრდობა სადგურს მოაშურებს ხოლმე. და არა მარტო ახალგაზრდები, სხვებიც მოდიან აქ. თუ ახალგაზრდობა ბაქანზე აქეთ-იქით დასეირნობს, ხანშიშესულები სადგურის შენობის წინ მწვანედ შეღებილ სკამებზე სხედან, ან ლუდის ფარდულის წინ პატარა ჯგუფს შეჰკრავენ და იქ საუბრობენ. აქ ყოველთვის ახალი ლუდია. ლუდის კასრს მატარებლიდან ჩამოაგორებენ, და გამყიდველიც მაშინვე გახსნის. ტუმბოს გაუქეთებს და მზად არის: მობრძანდით, მიირთვით ახალი ლუდი. ეს წუთია, გავხსენი, ბატონო!

ხელიხელგადახვეული გოგონები ცალკე დასეირნობენ. ბიჭები ცალკე. ბიჭები გოგონებს გადაულაპარაკებენ ხოლმე, მაშინ, როცა მათი მწკრივები ერთმანეთს გაუსწორდება. ბიჭები სიცილით ეუბნებიან რაღაცას, გოგონებს კი სახეზე საოცარი გულგრილობა ახატიათ. ისინი ბიჭებისკენ არ იხედებიან. ხანდახან მოულოდნელად გადაიკისკისებენ, თითქოს ჩიტების გუნდმა შეიფრთქიალაო. ეს კისკისი ბიჭებს ერთ ადგილზე აშეშებს: რა მოხდა, მე ხომ არ დამცინიან, ნეტავ?

გოგონები შეთქმულებს გვანან. ბიჭები ყოველნაირად ცდილობენ გოგონების ყურადღება მიიქციონ. გოგონებს ხელში ყვავილები უჭირავთ, მატარებელი რომ ჩამოდგება, არც მაშინ ჩერდებიან, მატარებლისკენ თითქმის არც კი იხედებიან. ვერ გაიგებ, მაშ, რისთვის გამოვიდნენ სადგურზე?

ბიჭები კი დგანან და მატარებელს შესცქერიან. მატარებელი ყოველთვის საიდუმლოებითაა მოცული. მას შეუძლია წაგიყვანოს შორს, სხვა ქალაქში ამოგაყოფინოს თავი, მატარებლიდან მგზავრები ჩამოდიან. ისინი ან ლუდის ფარდულისკენ გარბიან, ან კიდევ ბაქანზე სეირნობენ, მუხლის გასამართავად. თუ ვინმე ლამაზი ბიჭი წამოვიდა, გოგონები ისევე უცებ და ერთბაშად მოტრიალდებიან, როგორც წეროების მწკრივი ცაში.

აჰა, აი, რისთვის გამოსულან თურმე!

მაგრამ არა, გოგონები იმ ბიჭსაც გულგრილად უვლიან გვერდს. თუმცა ის უცაბედი შემოტრიალება აქაურ ბიჭებს შეუმჩნეველი მაინც არ რჩებათ. ახლა დროა ის ბიჭი ვაგონში აბრუნდეს, დაანებოს ამ უშნო ღრეჭვას თავი. მაგას ისიც ეყოფა...

რა?

რა და, მატარებელში რომ ზის!

სადგურის ამ პატარა ბაქნიდან შემოდის ქალაქში ახალი ამბავი, ჭორი.

მთელმა ქალაქმა იცის, თუ ვინ წავიდა დღეს, ვის ჩამოუვიდა სტუმარი.

სადგურის ბაქანი ყოველთვის სავსეა. ოღონდ კარგ ამინდში. თუმცა ჩვეულებას ზოგიერთი ავდარშიც მოჰყავს აქ. გაზეთს იყიდიან, მოსაცდელ დარბაზში შეჩერდებიან. თუ ვისმე ჩამოსულს თვალი მოჰკრეს, უსათუოდ იქვე სადგურში გაიგებენ, ვინ არის, რა საქმეზეა ჩამოსული.

მამია სადგურში თითქმის ყოველ დღე გამოდის. გაკვეთილები რომ დამთავრდება, აქეთ გამოსწევს ხოლმე. უჭირავს გაშლილი ქოლგა და დგას.

ამ სადგურზე ხშირად ჩერდებიან მატარებლები, მაგრამ იშვიათად ჩამოდის ვინმე.

უცებ მამიამ თორნიკე დაინახა. პირველად ვერ იცნო. შეიძლება იმიტომ, რომ აქ არ მოელოდა.

თორნიკე ეს წუთია მატარებლიდან ჩამოვიდა. შავი ძვირფასი პალტო ეცვა, ხელში პორტფელი ეჭირა. ცოტა ხნის მერე, პალტოს ჯიბიდან ბერეტი ამოიღო, დაიხურა, პალტოს საყელო აიწია და აქეთ მამიასკენ წამოვიდა, რადგან მამია კართან იდგა. ახლოს რომ მივიდა, მამია დარწმუნდა, ნამდვილად თორნიკეაო! მას თბილისში ხშირად შეხვედრია. ზაზა და თორნიკე ხომ ერთ კლასში სწავლობდნენ! მერეც მოდიოდა მათთან. სანამ დაუძახებდა, წინასწარ ქოლგა დაკეცა, რატომღაც შერცხვა. ქოლგიანი დანახვებოდა.

— თორნიკე!

თორნიკე შეჩერდა. მამიას შეხედა, გაიღიმა, თუმცა შეეტყო, რომ ვერ იცნო.

— გამარჯობა, თორნიკე!

თორნიკე არ დაიბნა, ახლოს მივიდა, ხელი ჩამოართვა:

— გამარჯობათ, როგორ ხართ? კარგად ხომ? უკაცრავად, მეჩქარება!

გამობრუნდა და კარისკენ წამოვიდა, თან ერთხელ მოხედა კიდევ ღიმილით.

მამია გაშრა:

— თორნიკე?

თორნიკე გაჩერდა, მერე დაბრუნდა და მამიასთან მივიდა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— უკაცრავად...

თან ღიმილი სახიდან არ შორდებოდა.

— ვერ მიცანი? — ჰკითხა მამიამ.

— როგორ არა, როგორ არა!

— მე მამია ვარ, ზაზას ძმა!

— რას მეუბნები? მამია! — თორნიკემ პორტფელი მამიას მიაჩეჩა, ორივე ხელით მხრებში ჩააფრინდა და შეანჯღრია, — მამია!

მერე პორტფელი გამოართვა.

მამია ზაზას ამხანაგისაგან არ მოელოდა, რომ ასე დაადებდა მხრებზე ხელებს, ასე მაგრად შეანჯღრევდა. ზაზას ამხანაგები მას ყოველთვის მორიდებულად ელაპარაკებოდნენ, რადგან მამია მათზე უფროსი იყო, თუმცა ახლა ისინი უკვე კაცები არიან. ტყუილად გეწყინა, მამია!

მამიამ გაუღიმა:

— ჰო, მამია ვარ.

ის უსიამოვნო გრძნობა მაინც ვერ მოიშორა, თორნიკემ რომ პირველად ვეთომ იცნო.

— რას მეუბნები? — თქვა თორნიკემ. — შევიდეთ შენობაში. გვაწვიმს.

— აქ სულ ასე წვიმს.

— რას მეუბნები?

— ჰო, სულ ასე წვიმს.

— თბილისში კი თოვლია.

— ზაზა ხომ არ გინახავს? — ჰკითხა მამიამ.

— როგორ არა, როგორ არა! კარგად არის, კარგად.

— რაღაცას დგამს, მგონი...

— რაღაცას? რაღაცას კი არა „ჰამლეტს“ დგამს, „ჰამლეტს!“ პრემიერა მალე იქნება.

— შეიძლება ჩამოვიდე კიდეც.

— უსათუოდ, უსათუოდ უნდა ჩამოხვიდე! — მამიას თორნიკესთვის თითქოს რჩევა ეკითხოს.

მოსაცდელ დარბაზში თორნიკემ პორტფელი სკამზე დადო, თვითონ ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში გაიხედა.

— კარგი ქალაქი ყოფილა! — მიუბრუნდა მამიას.

— რა უშავს.

— ჩემი ოცნება ასეთ ქალაქში მუშაობა იყო, — თქვა თორნიკემ, — ასეთ ქალაქში უნდა მემუშავნა ექიმად.

თან მამიას თვალებში შესცქეროდა, თითქოს ამოწმებდა, სჯერა თუ არა ჩემი ნათქვამიო.

მამიას, რა თქმა უნდა, სჯეროდა.

— მაგრამ ვინ გაგიშვებს, — თორნიკემ სევდიანად გაიღიმა, — ხელს ჩაგავლებენ და, სადაც არ გინდა, იქ გიკრავენ თავს. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეობა სულ არ მინდოდა, რომელი ადმინისტრატორი მე ვარ? გამიშვან სადმე პოლიკლინიკაში, აი, ჩემი მოწოდება! — ამით მამიას გააგებინა, რომ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იყო.

— დიდი კაცი ყოფილხარ! — მამიას გულწრფელად გაუხარდა.

— დიდი კაცი კი არა... შენ რას აკეთებ?

— რა უნდა გავაკეთო, მასწავლებელი ვარ.

— კარგია, კარგი. აი, ყველაზე უფრო კეთილშობილური საქმე!

— რა ვიცი...

— ნეტავ მეც მასწავლებელი ვყოფილიყავი! — თქვა თორნიკემ, ისევ მხრებზე დაადო ხელები, — არა, არა, — შესძახა მან, — ჩემი მოწოდება ნამდვილად მასწავლებლობა იყო!

მამიამ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ჯიბიდან სიგარეტს იღებდა, მხრებიდან ხელები აალებინა, არ მოსწონდა მხრებზე ხელების პარტყუნი.

— აქ რაზე ჩამოხვედი? — ჰკითხა მამიამ, — ალბათ, მივლინება გაქვს?

— აქ? — თორნიკემ ჩაიცინა, — პირადი საქმე უნდა მოვაგვარო.

— კი, მაგრამ...

— ჰო, პირადი საქმე.

მამიას მოერიდა და აღარაფერი ჰკითხა.

— ანდრო ბარდაველიძეს თუ იცნობ? — ჰკითხა თორნიკემ.

— ანდროს? ანდროს როგორ არ ვიცნობ?!

— ჰოდა, იმასთანა ვარ ჩამოსული.

— შენ ანდროსთან ხარ ჩამოსული?— გაუკვირდა მამიას.

— ჰო, ანდროსთან. რა იყო, რატომ გიკვირს?

— ანდროს საიდან იცნობ?

— არ ვიცნობ... როგორი კაცია?

— არ იცნობ?

— არა.

თორნიკე წამოვიდა და სკამზე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო:

— მამია, შენთან რა მაქვს დასამალავი...

მამიაც თორნიკეს გვერდით ჩამოჯდა.

— ცოლს ვთხოულობ! — თქვა თორნიკემ.

— მერე?

— ჰოდა, სასიმამროსთან ჩამოვედი.

— ნინიკოს თხოულობ?

— ჰო. იცნობ თუ?

— ვიცნობ.

— ნინიკოს ვთხოულობ. საქმე გათავებულია. ახლა მის მშობლებს უნდა მოველაპარაკო, ხომ იცი, ისე არ ივარგებს.

— მართალი ხარ...

თორნიკე ტყუოდა. ისე მოხდა, რომ ნინიკომ ახლოსაც არ გაიკარა თორნიკე. სწორედ ამიტომ ჩამოვიდა აქ, იქნებ, მამამისი დაეხმაროსო. თორნიკემ იცოდა, ნინიკო შინიდან წამოსული რომ იყო, სწორედ ამიტომაც ფიქრობდა, მამამისი ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს საქმე მოაგვაროსო. ამით ანდრო ორ კურდღელს დაიჭერდა, შვილსაც შეურიგდებოდა და კარგ სიძესაც იშოვიდა.

— ჰო, როგორი კაცია? — ჰკითხა მან მამიას.

— რა უშავს...

— დედა?

— ნინიკოს დედა მკვდარია.

— აბა, ანდროს ცოლი არ ჰყავს? მე კი გავიგე, რომ...

— ცოლი კი ჰყავს, თინა...

— თინა... აჰა!

— მესამე წელია, რაც შეირთო. მე-

ზობლად უპატრონო გოგო ცხოვრობდა და ის მოიყვანა. ქალს ლოგინად ჩავარდნილი დედა ჰყავდა, ანდრო ქვეყნის რამეს უზიდავდა...

— ოჰო?

— მერე ის გოგო ცოლად მოიყვანა. ის ავადმყოფი ქალი კი მოკვდა საწყალი...

— კარგი კაცი ყოფილა, — თქვა თორნიკემ, — კეთილშობილი!

— თინა ნინიკოზე ძალიან უფროსი კი არ არის...

— ვერ უყურებ ანდროს?

— მართლა, ადამია აქ!

— ვინ?

— ადამი, თქვენთან ერთად რომ სწავლობდა!

— რას მეუბნები? რას აკეთებს?

— ხიდს აშენებს.

— ყოჩაღ! უსათუოდ ვნახავ, თუ მოვასწარი.

— ადამის ნახვას რა უნდა, აქვე ცხოვრობს.

— არა, ჯერ საქმე! — თორნიკემ გაიღიმა.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! ადამს კი გაუხარდებოდა.

— ხვალ თბილისში უნდა გავბრუნდე. ვინ გაგიშვებს შენ ნებაზე. ჩემზე რომ იყოს, აქ დარჩენას რა სჯობია?

მამიას ვერ გაეგო, თორნიკეს აქ რა მოსწონდა. ჯერ სადგურის მოსაცდელი ოთახის მეტი არაფერი ენახა.

— სასტუმრო შორს არის? — მიუბრუნდა თორნიკე მამიას.

— სასტუმრო რად გინდა?

— აბა, ამაღამ.. .ამაღამ ხომ აქ უნდა ვიყო?

— მერე მე სახლი არა მაქვს თუ?

— რას ამბობ, მამია, როგორ შეგაწუხებ?

— რას ჰქვია, შემაწუხებ? წავიდეთ, დედაჩემსაც გაუხარდება!

— დედა აქ არის? როგორ ბრძანდება ქალბატონი, — თორნიკე წამით შეჩერდა, მამიამ იგრძნო, სახელი არ ახსოვდა, ამიტომ შეეშველა:

— თამარი...

— ქალბატონი თამარი! ო, რა დიდებული ქალია! ის ყველას [illegible] ყველასი. უსათუოდ მოიკითხე [illegible]

— თვითონ მოიკითხავ, წავიდეთ!

— არა, მამია, არ გეწყინოს და ვერაფრით ვერ წამოვალ. სასტუმროში უნდა გავჩერდე უსათუოდ.

— ვითომ რა არის ასეთი აუცილებელი?

— არის... არის, დამერწმუნე! მე კიდევ ჩამოვალ აქ, მაშინ უსათუოდ თქვენთან გავჩერდები. აბა, სხვასთან ვისთან წავალ?

თუ თორნიკე აქ კიდევ ჩამოვიდოდა, მაშინ ანდროსთან გაჩერდებოდა, ალბათ.

„რატომ მატყუებს? — გაიფიქრა მამიამ, — ტყუილი რად სჭირდება!“

— სასტუმროში რომ გაჩერდე, ადამსაც ეწყინება, — თქვა მამიამ.

— ადამი სად ცხოვრობს?

— აქვე... ვაგონები უდგათ.

— ვაგონები! — თორნიკე წამოდგა და გაიმეორა, — ვაგონები! ღმერთო, ეს ხომ რომანტიკაა! მე კი ყველაფერ ამას მოკლებული ვარ!

— მაშ, არ წამოხვალ? — ჰკითხა მამიამ. მას უკვე აღიზიანებდა თორნიკეს ასეთი ლაპარაკი.

— არა, ჩემო მამია, ხომ გითხარი, მომავალში უსათუოდ შენთან გავჩერდებიმეთქი!

— შენი ნებაა, — უთხრა მამიამ, — შენ უკეთესად იცი.

თორნიკეს მამიასთან წასვლა იმიტომ არ უნდოდა, რომ ეს უბედური მასწავლებელი, ალბათ, გალოთებულიაო, ფიქრობდა. გაგონილი ჰქონდა, რაიონებში ღვინოს ულმერთოდ სვამენო, მერე ანდროსთან იყო მისასვლელი. იქაც, ალბათ, სუფრას გაშლიდნენ. ის კი თავს უფრთხილდებოდა. ღვინის ასაცილებლად ვალიდოლის კოლოფი ედო ჯიბეში, რათა ამოეღო და ყველასათვის ეჩვენებინა, გული მტკივაო. ნამდვილად კი გული რომელ მხარეს ჰქონდა, არ იცოდა.

არც ადამის აქ დახვედრა ესიამოვნა. გარდა იმისა, რომ ადამი თავიდანვე არ

უყვარდა, არ უნდოდა ისეთი მოწმე ყოლოდა, რომელიც მას კარგად იცნობდა. ადამს ის მეგობრულად უნდა შეხვედროდა, ეს კი სხვების თვალში ჩვეულებრივ ადამიანად აქცევდა. თუ ვინმე გიცნობს, შენობით გელაპარაკება და მხარზე ხელს გირტყამს, — არც ისეთი მოსარიდებელი ყოფილხარ.

მთავარია, არავინ გიცნობდეს, მაშინ ყველა ფიქრობს, რომ შენი თავმდაბლური სიცილის უკან დიდი საიდუმლო ძალა იმალება, მაგიდაზე დადგმული რამდენიმე ტელეფონითა და მიუკარებელი მდივანი ქალით განმტკიცებული.

— შორს არის სასტუმრო? — იკითხა ისევ თორნიკემ.

— აქვეა, სადგურის პირდაპირ.

— წავიდეთ.

— რადგან არ იშლი...

ისინი სადგურის შენობიდან გამოვიდნენ და ქუჩა გადაჭრეს. სასტუმრო, მართლაც, იქვე იყო, ორმოცდაათი მეტრის დაშორებით. მამიას ქოლგა არ გაუშლია, ისე წამოვიდა, რატომღაც მოერიდა, თორნიკეს დასანახად ქოლგა გაეშალა. პატარა ,ორსართულიანი შენობა, ეტყობოდა, ახალი აშენებული იყო. თორნიკემ კარი შეაღო და სასტუმროში შევიდა; მამიაც შეჰყვა. ისინი დიდ, ნათელ ოთახში შევიდნენ. ამ ოთახის კედლების შეღებვა ჯერ არ დაემთავრებინათ. შუა ოთახში მღებავის კიბე იდგა. კუთხეში — მაღალი რკინის კასრი და კირით სავსე ვედროები. იატაკიც კირით იყო მოთხვრილი. ერთი კედელი წითლად იყო შეღებილი, დანარჩენებისთვის ჯერ ხელი არ ეხლოთ. ერთ-ერთ შეუღებავ კედელზე წითელი ასოებით „კოტიკო“ ეწერა.

— ესეც შენი სასტუმრო! — თქვა მამიამ.

— ადმინისტრატორი არ ჰყავს?

— როგორ არა...

— კოტიკო! — დაიძახა თორნიკემ ხმამაღლა, — კოტიკო!

ოთახში მეორე კარიდან მხრებზე პალტომოხურული კაცი შემოვიდა.

— თქვენა ხართ კოტიკო? — შეეკითხა თორნიკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ბატონო, [illegible] თორნიკე ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— აქ მუშაობთ?

— დიახ, ბატონო, ადმინისტრატორი გახლავართ.

— აჰა! გასაგებია! — თორნიკემ ოთახში გაიარ-გამოიარა.

ადმინისტრატორი უნებურად აედევნა.

— გასაგებია, — გაიმეორა თორნიკემ.

ადმინისტრატორმა მამიას შიშით გამოხედა, თითქოს ეკითხებოდა, რევიზორი ხომ არ არისო? მას ყველა, ვინც კი თბილისიდან ჩამოვიდოდა, რევიზორი ეგონა.

მამია გაკვირვებული შესცქეროდა თორნიკეს, თორნიკემ პორტფელი ადმინისტრატორს მიაჩეჩა, ბერეტი მოიხადა და დაბერტყა:

— გასაგებია, — მერე შეღებილ კედელს შეხედა, — წითლად ღებავთ ხომ?

— დიახ, — უპასუხა ადმინისტრატორმა და ისევ მამიას გამოხედა.

მამიამ მხრები აიჩეჩა.

— გასაგებია! — თქვა თორნიკემ, — მდა... თავისუფალი ნომერი გაქვთ?

— დიახ, ბატონო, გვაქვს!

— ლუქსი?

— ლუქსი!

— მდა...

ადმინისტრატორს მოუბრუნდა:

— მეორე სართულზე ხომ?

— დიახ, მეორე სართულზეა.

— წავედით!

— წამობრძანდით, ბატონო!

ადმინისტრატორი თორნიკეს წინ გაუძღვა, მამიაც მათ გაჰყვა.

კიბით საკმაოდ ბნელ დერეფანში ავიდნენ. ადმინისტრატორმა ფეხი აუჩქარა და შუქი აანთო. დერეფანში რამდენიმე კარი გამოდიოდა. ისინი ბოლო კარს მიადგნენ. ადმინისტრატორმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო და კარი გააღო. თორნიკეს გზა დაუთმო:

— მიბრძანდით, ბატონო.

თორნიკე ოთახში შევიდა, ადმინისტრატორი და მამია შეჰყვნენ.

ადმინისტრატორმა აქაც აანთო შუქი, თუმცა აქ არ ბნელოდა.

თორნიკემ მიიხედ-მოიხედა:

— ერთი ოთახია?

— არა, ბატონო, — გაიღიმა ადმინისტრატორმა, — როგორ გეკადრებათ?

წავიდა, კედელზე ჩამოშვებული ხავერდის მძიმე ფარდა გადასწია და ისევ ღიმილით თქვა:

— აქ საწოლია!

თორნიკემ საწოლ ოთახში შეიხედა:

— მდა...

მერე ადმინისტრატორს ხელით ანიშნა, პორტფელი სკამზე დადეო. ადმინისტრატორმა ბრძანება შეასრულა.

საკმაოდ დიდი ოთახი იყო, მაგრამ ნივთებით ისე გაევსოთ, რომ ადვილად ვერ მოტრიალდებოდი. რა არ იდგა აქ: ორი კარადა, ორი მაგიდა, ექვსი მძიმე სკამი, პიანინო, ორი დაბალი, ტყავის სავარძელი, ტელევიზორი, უზარმაზარი რადიოლა. საწერ მაგიდაზე ტელეფონი იდგა. მაგიდის შუაში ვეებერთელა ბრინჯაოს სამელნე მოჩანდა, სამელნესთან ბრინჯაოს ლომები გაწოლილიყვნენ. ეტყობოდა, ეს ნომერი სასტუმროს სიამაყე იყო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ამ ოთახის გასავსებად ადმინისტრატორს შინიდან მოეტანოს ნივთები. თორნიკემ პალტო გაიხადა და სავარძელზე დააგდო. ადმინისტრატორმა კარადა გამოაღო, საკიდი გადმოიღო და პალტოს მხრებში გაუყარა, მერე პალტო დიდი მოწიწებით კარადაში შეჰკიდა. თორნიკემ ნივთების დათვალიერება დაიწყო, რადიოლასთან რომ მივიდა, ადმინისტრატორმა შეაჩერა:

— არ მუშაობს!

— აჰა!

მერე თორნიკემ სამელნეს თავი ახადა, სამელნეში მკვდარი პეპელა ეგდო.

— ეს ჩვენი ძველი ალმასკომის თავმჯდომარის სამელნეა, — თქვა ადმინისტრატორმა, — ახალმა თავმჯდომარემ სასტუმროს აჩუქა.

— რამდენი კილოა ნეტავ? — თორნიკემ სამელნეს ხელი მოჰკიდა.

— ოთხია! აწონილი მაქვს!

— ჰოჰოჰ! — უთხრა თორნიკემ ადმინისტრატორს. ადმინისტრატორმა თავი მორცხვად ჩაღუნა.

— ამოდენა სამელნე არავის არ აქვს! — თქვა მან, — მთელ რაიონში!

— აი, ჩემი პასპორტი! — თორნიკემ უბის ჯიბიდან პასპორტი ამოიღო და ადმინისტრატორს გაუწოდა, — ხვალ მივდივარ!

— კარგი, ბატონო! — ადმინისტრატორმა პასპორტი მოწიწებით ჩამოართვა და ოთახიდან გავიდა. ცოტა ხნის მერე კარი შემოაღო და მამიას თითით დაუძახა. მამია დერეფანში გავიდა.

— მამია, — უთხრა ადმინისტრატორმა და ნერწყვი გადაყლაპა.

— ჰო?

— ვინ არის ეს კაცი?

მამიას გაეღიმა და პასუხის ნაცვლად თქვა:

— ო-ო-ო!

ადმინისტრატორი თვალებში შეაცქერდა:

— მაშინებ?

მამიამ ისევ გაიმეორა:

— ო-ო-ო!

ადმინისტრატორი გატრიალდა. მიდიოდა და თავისთვის ლაპარაკობდა:

— რა ვქნა ახლა მე? რა ვქნა ახლა?

მამია ოთახში შევიდა.

— რატომ შეაშინე? — უთხრა ღიმილით თორნიკეს.

— ვინ?

— ადმინისტრატორი. მკვდარია საწყალი!

თორნიკემ კმაყოფილმა გაიღიმა. თვითონ ბუნებით მშიშარა იყო, თუ სხვას შეაშინებდა, ეს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა.

„რა ადვილია ადამიანის შეშინება, — ფიქრობდა ის, — მთავარია, იცოდე, როგორ შეაშინო“.

— ვინ არისო, მკითხა, — გაიცინა მამიამ, რადგან ეგონა, თორნიკე ხუმრობსო.

— რა უთხარი? — თორნიკე მამიას ახლა ისე აჩვენებდა, თითქოს მართლაც ეხუმროს. რა საჭიროა, ყველა მიხვდეს, რას ფიქრობ.

— არაფერი...

თორნიკეს ეწყინა:

„რას ჰქვია — არაფერი?!“

მამიას დასანახად კი გაიცინა მხოლოდ.

— ანდრო სად ცხოვრობს? — ჰკითხა ცოტა ხნის მერე მამიას.

— მე წაგყვები, — უპასუხა მამიამ.— რომელ საათზე წახვალ?

— ასე, შვიდისთვის რომ წავიდე? — შეეკითხა თორნიკე, თითქოს მამია როგორც ეტყოდა, ისე მოიქცეოდა.

— რა ვიცი, — მამია უხერხულად შეიშმუშნა, — შვიდზე მოვიდე?

— რას ამბობ, მამია, შენ როგორ შეგაწუხებ?

— როგორც გინდოდეს...

— არ გეწყინოს, შენი ჭირიმე, მამია! მოდი, უსათუოდ მოდი! — თორნიკე მშვენიერ მეგზურს კარგავდა, ამიტომ დაიხია უცებ უკან, მაგრამ ისე გააკეთა, თითქოს მამია ეხვეწებოდა და ამიტომ დათანხმდა. — აბა, გელოდები!

— კარგი, — უთხრა მამიამ.

სასტუმროდან რომ გამოვიდა, რატომღაც გაბითურებულად იგრძნო თავი, თითქოს მთელი ერთი საათის განმავლობაში დასცინოდნენ, მაგრამ ეს უსიამოვნო გრძნობა მალე გადაიგდო გულიდან.

თორნიკემ პირველად თითქოს ხუმრობით დაიწყო ნინიკოსთან სიარული, რადგან თვითონვე უკვირდა, ამ გოგოსი რა მომწონსო. თორნიკეს სხვა ყველაფერი წინასწარ გამიზნული და დალაგებული ჰქონდა, სიყვარულში კი ნამდვილად შესცდა. გრძნობდა, ნინიკო ის არ იყო, ვინც მას ცოლად უნდა შეერთო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნინიკო არც გარეგნობით გამოირჩეოდა. თორნიკემ კი იცოდა, ლამაზი ცოლი ტრამპლინს რომ ჰგავს, ტრამპლინივით ისიც შორს გადაგახტუნებს. ჯერ ფიქრობდა, ვერთობიო, მაგრამ ამავე დროს დიდი მონდომებით ცდილობდა ნინიკოსთვის თავის მოეწონებინა. უკვირდა, ნინიკო მასთან შეხვედრას თვითონ რომ არ ცდილობდა, თითქოს გაურბოდა კიდეც. თორნიკეს არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ნინიკოს ის არ მოსწონდა. ერთი წამითაც კი არ ფიქრობდა, რომ ნინიკოს შეიძლება, მართლაც, არ მოსწონებოდა იგი. მერე ნინიკომ უთხრა, სხვა მიყვარსო. თორნიკემ, რა თქმა უნდა, არ დაიჯერა. ვინც თორნიკეს კარგად იცნობდა, ყველას უკვირდა, მისი ასეთი გატაცება. თვითონაც უკვირდა. მერე ვილაცამ უთხრა, ნინიკოს ზაზა უყვარსო, მაგრამ თორნიკემ გაიცინა მხოლოდ, რადგან ლიზიკოსგან ჰქონდა გაგებული, ზაზას მაგდა რომ უყვარდა, ამას ნინიკოსთან ხშირად ამბობდა, უყვებოდა მაგდასა და ზაზას სიყვარულის ამბებს. ამ ამბებს კი თვითონვე თხზავდა. ნინიკო ჩუმად უსმენდა, არაფერს ამბობდა. თორნიკეს უნდოდა, ნინიკოს თეატრისთვის თავი გაენებებინა, ერთი-ორჯერ უთხრა კიდეც. ნინიკო პასუხად იცინოდა. ეს სიცილი თორნიკეს ჭკუაზე შლიდა, რატომღაც ეგონა დამცინისო. ეს გრძნობა ნინიკოსთან საუბრის დროს არ შორდებოდა. მარტო რომ რჩებოდა, ფიქრში ლამის გაეგლიჯა ნინიკო. რა სჭირდა მას ამ სულელი გოგოს დასაცინი? ვინ მისცა ამ საცოდავ მსახიობს უფლება დასცინოს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, დიდი მომავლის მქონე კაცს! ეს ბრაზი რატომღაც ისევ ნინიკოს ნახვის სურვილად გარდაიქმნებოდა ხოლმე. უნდოდა დაემტკიცებინა ნინიკოსთვის, რომ უსათუოდ დიდი კაცი გახდებოდა, თითქოს ამიტომ ნინიკო ვალდებული იყო, შეეყვარებინა იგი. უკვირდა, ნინიკოზე სრულებით რომ არ მოქმედებდა მისი თავბრუდამხვევი კარიერის ბრჭყვიალება. მე სხვა მიყვარს, — იმეორებდა, ნინიკო, — სხვა! თორნიკე ნინიკოს ასეთ ახირებას თეატრისა და საერთოდ ხელოვნების გავლენას

აბრალებდა. ამიტომ ის თეატრზეც ბრაზობდა და ხელოვნებაზეც. ნინიკოს გრძნობა მოგონილი და ყალბი ეგონა, რადგან ვერ წარმოიდგინა, რომ ნინიკოს, მართლაც, შეეძლო სხვისი შეყვარება, როდესაც თვითონ აქვე, მის გვერდით იყო.

თორნიკემ იცოდა, მისი გატაცება შეცდომა რომ იყო. ეს იყო ერთადერთი რამ, საიდანაც ის არავითარ სარგებლობას არ მოელოდა. და რადგან ასეთ მსხვერპლს იღებდა, ნინიკოს სიჯიუტე თავ-გზას უბნევდა. ეგონა, არა მარტო ნინიკო, ყველა დასცინოდა. განსაკუთრებით მამამისის რცხვენოდა, რომელიც არაფერს ეუბნებოდა, თუმცა, ეტყობოდა, თორნიკეს გატაცება ძალიან არ მოსწონდა. თორნიკე ყველაფერში მამას ბაძავდა, ეჯიბრებოდა კიდეც, მისი ფარული, დიდი სურვილი იყო, მამაზე ცნობილი კაცი გამხდარიყო. მამა არ უყვარდა, არ უყვარდა იმიტომ, რომ მისი შემხედვარე გამუდმებით შიშს განიცდიდა, გიორგი თრგუნავდა მის ნებისყოფას, რომელიც ისედაც სუსტი ჰქონდა. თორნიკე რომ წამოიზარდა, მამისადმი შიში კიდევ უფრო გაუდიდდა, თითქოს მასთან ერთად გაიზარდაო. თუმცა შინ თავი ისე ეჭირა, შიში დავიწყებას ჩაბარდაო, მაინც ხვდებოდა, რომ მამას ვერ ატყუებდა, ის ყველაფერს ხედავდა. თორნიკეს ბრაზი ახრჩობდა, მაგრამ მამის გავლენას მაინც ვერაფრით ამსხვრევდა, მამის წინ თითქოს შიშველი იდგა, თავისი ნამდვილი სახით: მშიშარა და უნებისყოფო.

თუმცა მამა-შვილი ნინიკოზე არ ლაპარაკობდნენ, თორნიკეს ეგონა, მამა გულში დასცინოდა, თითქოს იცოდა, ნინიკო რომ ახლოს არ იკარებდა.

— რა იყო, რატომ მიყურებ ასე? — — უთხრა ერთხელ მამას. ასეთი მოულოდნელი სითამამე ისევ შიშით იყო გამოწვეული.

— ჰმ, — ჩაიცინა ბატონმა გიორგიმ.

— თორნიკე? — ქალბატონ ელენეს თვალები გაუდიდდა, — თორნიკე?

— ჰო, თორნიკე, თორნიკე! ბავშვი აღარა ვარ, აღარ!

— ჰმ, — ჩაიცინა ისევ ბატონმა გიორგიმ.

— აღარ! — გაიმეორა თორნიკემ მტკიცედ.

— ოჰო, — გაისმა ლიზიკოს ხმა.

— ჩემი პატარა ბიჭუნა ხარ, — უთხრა თორნიკეს დედამ, — ლამაზი ბიჭუნა!

— რა გაცინებს? — მიუბრუნდა თორნიკე მამას.

ბატონმა გიორგიმ ხელსახოცი მაგიდაზე დააგდო, წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა, ქალბატონი ელენეც წამოდგა:

— კატო!

ლიზიკომ ვაშლი აიღო და ჩაკბიჩა, თორნიკეს დაანახვა:

— გინდა?

თორნიკე იჯდა, არ იცოდა, რა ექნა.

— თორნიკე, გაზეთი მომიტანე, — უთხრა მამამ, — ჩემს მაგიდაზე დევს!

„არ მოვუტან, — გაიფიქრა თორნიკემ, — არ ავდგები!“

ამის გაფიქრებაც კი ვერ მოასწრო, რომ მისდაუნებურად წამოდგა: „უზრდელი ხომ არა ვარ!“

წავიდა და გაზეთი გამოუტანა.

— სათვალე? — გიორგიმ გაზეთი ჩამოართვა.

თორნიკე გაბრუნდა და ახლა სათვალე გამოუტანა.

— თორნიკე, დაიჭირე! — დაუძახა ლიზიკომ და ვაშლი ესროლა.

ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ თორნიკემ ინსტინქტურად დაიჭირა ვაშლი, თორემ რომ მოესწრო, ალბათ, არ დაიჭერდა, რადგან ამით თავის სიმტკიცესა და სითამამეს წყალში ჰყრიდა; ლიზიკომ ვაშლი ესროლა და ისიც გაეთამაშა — დაიჭირა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მას აღარც კი ახსოვდა, მამას ასე მოურიდებლად რომ დაელაპარაკა. თითქოს ეს შემთხვევით მოსვლოდეს. თორნიკეს ხელში ვაშლი ეჭირა და სულელურად უყურებდა ლიზიკოს.

— რას ჰგავს ეს? — დაუყვირა — ლიზიკოს, — როგორ იქცევი?!

გაკვირვებულმა ლიზიკომ თორნიკეს შეხედა. თორნიკე კი უყვიროდა:

— არ უნდა იცოდე უფროს-უმცროსი? არ უნდა იცოდე, ვის როგორ უნდა მოექცე? თხა! თხა! თხა! — მეტი ვერაფერი მოახერხა, სიამოვნებით სცემდა, მაგრამ ეს უკვე მეტის-მეტი იქნებოდა.

— თორნიკე? — ქალბატონი ელენე თორნიკესთან მივიდა და ვაშლს, თორნიკეს რომ ორივე ხელით ეჭირა, თითი შეახო, — რა არის ეს?

— ვაშლია.

— ლიზიკომ გესროლა?

— ჰო.

— აი, რა კარგი გოგოა ლიზიკო. აბა, მიდი, აკოცე, მიდი, მიდი! — თან ხელით ოდნავ უბიძგა.

— თხა! — თქვა თორნიკემ.

— რა? — ვერ გაიგო ქალბატონმა ელენემ.

— არაფერი.

— ლიზიკო, მოდი აქ! — დაუძახა ქალბატონმა ელენემ ლიზიკოს, — მოდი და ძმას აკოცე!

ლიზიკო გამოიქცა, თორნიკეს ყელზე ჩამოეკიდა და ლოყაზე აკოცა.

— გიორგი, გიორგი, შეხედე! — დაუძახა ახლა ქმარს ელენემ.

გიორგიმ სათვალე მოიხსნა და აქეთ გამოიხედა. თორნიკემ თვალი აარიდა, რადგან საშინლად შერცხვა. ლიზიკო კი არ ეშვებოდა, კოცნიდა და კოცნიდა. სწორედ ასეთი სურათი ჰქონდათ მათ გადაღებული ბორჯომში. თორნიკე მაშინ თხუთმეტი წლისა იყო. სურათზეც ასე ეკიდა კისერზე ლიზიკო და ასევე კოცნიდა. თორნიკეს ეგონა, რომ ახლაც ამ წუთას თხუთმეტი წლისა იყო, რომ სულ ასე დარჩებოდა, თხუთმეტი წლის. გარეთ ყოველნაირად ცდილობდა ეს უსიამოვნო გრძნობა მოეშორებინა. ამიტომ ამხანაგებს ქედმაღლურად უცქერდა. ეს თუმცა შინაგანი დაძაბულობის ფასად უჯდებოდა. სამაგიეროდ კმაყოფილი იყო. თვითონ ეგონა, მტკიცე ხასიათი მაქვსო, ნამდვილად კი ყველას ეფერებოდა, და რადგან ბირფეროობით უფრო კარგ შედეგებს აღწევდა, ვიდრე ხასიათის სიმტკიცით. ახლა ის დაიჯერა, რომ ყველას ვატყუებ და ვერც კი ხვდებიანო.

მაგრამ აი, ნინიკოს კი ვერ ატყუებდა! ატყუებდა კი არა, გამწარებული დასდევდა და მზად იყო, ყველა მისი ნება-სურვილი შეესრულებინა.. თეატრშიც ხშირად მიდიოდა და თუმცა იცოდა, მამამისს არ სიამოვნებდა, როცა ის რეპეტიციას ესწრებოდა, მაინც იდგა და შორიდან უცქერდა.

ნინიკო არ ჰგავდა ოფელიას როლის სხვა შემსრულებლებს, რომელთა დატკბილული და მიბნედილი თამაში თოჯინების ტიკტიკს მოგაგონებდა. ნინიკო თითქოს რაღაცას ებრძოდა, რაღაცას ეფერებოდა, ეალერსებოდა, ძალას აძლევდა. როცა ნინიკო ლაპარაკს იწყებდა, სხვები ხმაგაკმენდილნი, თვალმოუშორებლად შესცქეროდნენ, დაძაბული და ფიქრიანი გამომეტყველება ჰქონდათ. გიორგი მათ სახეებს უყურებდა. ნელ-ნელა შიში იპყრობდა, თითქოს ეს მსახიობები უცებ წამოიშლებოდნენ და მას განრისხებულნი მიესეოდნენ, მაინცდამაინც მას, სხვას არავის. თუმცა ხვდებოდა, რომ ეს სულელურად აკვიატებული ფიქრი იყო, მაგრამ ნინიკოს თეატრიდან დათხოვნა კი გულში უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი.

თორნიკეს კი ეგონა, ნინიკო სადღაც მაღლა ადიოდა. ზემოდან გადმოსცქეროდა მას, მიუღწეველი ხდებოდა, თვითონ დაბლა ჩრდილში იდგა, პატარა და შეუმჩნეველი. სიამოვნებით ჩამოფხრეწდა ამ ხავერდის ფარდებს, დაამსხვრევდა პროჟექტორებს, რომლებიც ნინიკოს კიდევ უფრო მიუწვდომელსა ხდიდა, სიამოვნებით. მაგრამ...

შვიდი საათი იყო, მამიამ რომ მოაკითხა. თორნიკე, ეტყობოდა ლოგინიდან ახალი წამომდგარი იყო, პირი დაებანა, ახლა პირსახოცი ეჭირა ხელში.

— ძილიც მოვასწარი, —თქვა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადამი მოვიყვანე, — უთხრა მამიამ.

— რას მეუბნები? — თორნიკეს ვითომ ძალიან გაუხარდა, — სად არის?

— ამოვა ახლავე.

— რას ვიფიქრებდი, აქ ამდენი ნაცნობი თუ დამხვდებოდა, — თქვა თორნიკემ და საწოლ ოთახში შევიდა.

— დაჯექი! — გამოსძახა იქიდან მამიას.

მამია სკამზე ჩამოჯდა. ამ დროს ოთახში ადამი შემოვიდა. გაჩერდა, რადგან მეორე ოთახიდან თორნიკეს ხმა შემოესმა:

— ადამი შვიდი წელია არ მინახავს, — ამბობდა თორნიკე, — უკანასკნელად ქუჩაში შემხვდა, მითხრა, სადღაც მივდივარო, აღარ მახსოვს... მე და ადამს სკოლაში ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. ზაზა, მე და ადამი — სამნი ვიყავით, მეგობრები. დღე და ღამე ერთად რომ ვყოფილიყავით, ის გვინდოდა, ადამი ჩხუბისთავი იყო, — თორნიკემ გაიცინა, — თუმცა არც ზაზა აკლებდა. მეც კარგი მოჩხუბარი ვიყავი, — უცებ შეჩერდა, თითქოს გულმა უგრძნო, მამია რომ მარტო არ იყო, — მამია! — დაუძახა.

— რა?

— არაფერი... ჰო, რას ვამბობდი? აკლებული გვქონდა-მეთქი სკოლა. მერე სამივე სხვადასხვა ინსტიტუტში შევედით. მართალი გითხრა, სრულებით არ მიტაცებდა მედიცინა... რას იზამ... მამია! — ისევ დაუძახა, თითქოს მისმენს თუ არაო.

— ჰო?

— სრულებით არ მიტაცებდა მედიცინა-მეთქი... ადამი სად არის ამდენხანს?

— აგერ არის, მოვიდა.

— ადამ! — თორნიკე საწოლი ოთახიდან ხელებგაშლილი გამოვარდა. მას უკვე მოესწრო ჩაცმა. — ადამ!

ადამმა ხელი გაუწოდა.

— გამარჯობა, თორნიკე!

თორნიკე მოეხვია და აკოცა, მერე ნაბიჯი უკან გადადგა და ადამს შეხედა:

— კიდევ გაიზარდე?

მხარზე უნდოდა ხელი დაედო, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო, ამიტომ მუცელში წაჰკრა თითი:

— რა ამბავია?

— რა ვქნა?—ადამმა ხელები გაშალა, — შენ სულ არ გამოცვლილხარ! — ის ცოტათი დააბნია თორნიკეს ასეთმა გულითადმა შეხვედრამ, რადგან სკოლაში ისინი ერთმანეთს თითქმის არც კი ელაპარაკებოდნენ.

— დაჯექი! რატომ დგახარ? — უთხრა თორნიკემ, თვითონ სავარძელში ჩაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, — შენი ამბავი კი ვიცოდი, ხშირად ვლაპარაკობთ ხოლმე შენზე. ისიც ვიცოდი, აქ ხიდს რომ აშენებდი...

მამია უხერხულად შეიშმუშნა. თორნიკემ ხომ მისგან გაიგო, ადამის ამბავი?

— ინჟინრობა დიდი კეთილშობილური საქმეა, — თქვა თორნიკემ,— აი, მე ინჟინერი უნდა გამოვსულიყავი. ჩემი ნამდვილი მოწოდება ეს იყო, — თან გაკვირვებულ მამიას თვალი აარიდა, — ჭკვიანი ბიჭი ხარ, ჭკვიანი. რას შვრები, ცოლი არ შეგირთავს?

— არა, — უპასუხა ადამმა, მერე ჰკითხა, — მართლა, ცოლის შესართავად ჩამოხვედი?

— მამიამ გითხრა? — გაიღიმა თორნიკემ, — ჰო, დროა უკვე, ძმაო, დროა! შენ ნინიკოს თუ იცნობ?

— არა, — უპასუხა ადამმა.

— არ იცნობ? — გაუკვირდა თორნიკეს.

— არ ვიცნობ.

— არც მამამისს იცნობ?

— კი.

— კარგი კაციაო, მამიამ მითხრა.

— კარგი კაცია...

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაშ, ხიდს აშენებ? — თქვა მერე თორნიკემ.

— ჰო, ხიდს ვაშენებ.

— მაშ, ცოლი არ შეგირთავს?

— ჰო, არ შემირთავს.

— მდა, — თორნიკემ სავარძლის სახელურს ხელი დაჰკრა და წამოდგა:

— წავიდეთ?

— წავიდეთ, — უპასუხა მამიამ, დროა, — ისიც წამოდგა.

— თქვენ ჩემი მაყრები იქნებით. ადამ, ხომ წამოხვალთ?

მამიამ ადამს შეხედა, მერე მის მაგივრად უპასუხა თორნიკეს:

— ადამს საქმე აქვს, ვერ წამოვა.

— რა საქმე აქვს ასეთი? ახლა არ მიღალატო, — უთხრა თორნიკემ ადამს, მერე ორივეს ხელი მოხვია, — ჩემი მაყრები თქვენა ხართ! — და გაიცინა.

— რა ვქნა, — თქვა ადამმა, — ვერაფრით ვერ წამოვალ!

— უარი არ გამაგონო! — თორნიკეს თუ თავიდან არ უნდოდა ანდროსთან ვინმე მიჰყოლოდა, ახლა უცებ შეკრთა, მარტო იქ მისვლა წარმოუდგენლად მოეჩვენა.

დიდხანს ეხვეწა თორნიკე ადამს. მამია ხმას აღარ იღებდა, რადგან დარწმუნებული იყო, თორნიკე ადამს ვერ დაიყოლიებდა.

— კარგი, წამოვალ! — თქვა უცებ ადამმა.

მამიამ ყურს არ დაუჯერა:

— რა სთქვი?

— წავალ, რა მოხდა? — მიუბრუნდა ადამი მამიას.

— ძალიან კარგი! — შესძახა თორნიკემ.

— ადამ, — დაიწყო მამიამ, მაგრამ ადამმა არ დაამთავრებინა:

— ჰო, წამოვალ! წავიდეთ!

მამიამ მხრები აიჩეჩა:

— შენი ნებაა...

ადამმა თვითონ არ იცოდა, როგორ მოუვიდა, როგორ გადაწყვიტა ასე უცებ წასვლა. მაგრამ რადგან გადაწყვიტა, უკვე ვეღარ გადაათქმევინებდი.

ისინი ქუჩაში გამოვიდნენ და ანდროს სახლისკენ გასწიეს. თორნიკე გზაში ხუმრობდა, იცინოდა, თავისთავს სიძეს ეძახდა, ადამი და მამია კი ჩუმად მიაბიჯებდნენ.

ანდროს ჭიშკარს მიადგნენ. მამიამ მავთული ჩამოჰკრა. ეზოს სიღრმეში ზარმა გაიწკრიალა.

ბიბლიოთეკა

ადამმა სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. მამია ადამს შესცქეროდა.

— იქნებ, უკან გავბრუნებულიყავი, ჰა? — გაიცინა თორნიკემ.

კარი გაიღო და ბიჭმა გამოიხედა.

— ბატონი ანდრო თუ შინ?—თორნიკემ ბიჭს ლოყაზე ხელი მოუთათუნა და ეზოში შეაბიჯა. მამია და ადამი შეჰყვნენ.

— ძია ადამ? — წაიჩურჩულა ბიჭმა, მერე უცებ ყვირილი მორთო:

— დეიდა თინა, ძია ადამი მოვიდა! ძია ადამი! ძია ადამი!

ადამი შეკრთა, უკან დაიხია, მამიამ ხელი მოჰკიდა, თორნიკემ უაზრო ღიმილით შემოხედა.

— ძია ადამი! — ყვიროდა ბავშვი, — ძია ადამი!

კიბის თავში ანდრო გამოჩნდა. შემოსულები რომ დაინახა, ერთ ადგილას გაქვავდა და სახე შეეცვალა.

— გამარჯობა, ანდრო! — დაუძახა მამიამ, — თქვენთანა ვართ სტუმრად!

— მობრძანდით! — თქვა ანდრომ, ადგილიდან კი ფეხი არ მოუცვლია.

— თბილისიდან არის სტუმარი, — ამბობდა მამია, თან კიბეზე ადიოდა, — შენი ნახვა უნდა. — მამია ცდილობდა ანდროსათვის თავიდანვე გაეგებინებინა, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, გზა მოვასწავლეთო.

— მობრძანდეს! — თქვა ანდრომ. ის კიბეზე ამომავალ ადამს უყურებდა.

მამია კიბეზე დაწინაურდა და სანამ თორნიკე და ადამი კიბეს აივლიდნენ, ანდროს რაღაც უთხრა. ანდრო თორნიკეს შეეგება:

— მობრძანდით, ბატონო!

ადამსაც დაუქნია თავი. ადამს ბავშვისთვის ხელი ჩაევლო და კიბეზე ამოჰყავდა. უცებ ბავშვი დაუსხლტა და შინ შევარდა:

— დეიდა თინა, ძია ადამი მოვიდა!

ადამი წამით შეჩერდა. მერე გატრი-

ალდა და კიბეზე ჩასვლა დააპირა, მაგრამ მამიამ თვალი შეასწრო:

— ადამ! — დაუძახა და დააბრუნა.

მამიამ თორნიკე ანდროს გააცნო, ანდრო შინ შეუძღვა:

— შემობრძანდით! შემობრძანდით!

თორნიკემ რაღაც თქვა, ანდრომ ხმამაღლა გაიცინა.

ადამს არაფერი ესმოდა, გაბრუებულივით იყო. მერე თორნიკემ მისი სახელი ახსენა, ამან გამოაფხიზლა:

— ადამს ხომ იცნობთ? — ეკითხებოდა თორნიკე ანდროს.

— როგორ არა...

— ჩვენ ერთად ვსწავლობდით სკოლაში.

— რას მეუბნებით?

ადამმა ირგვლივ მიმოიხედა. ყველანი მაგიდასთან ისხდნენ. არ ახსოვდა, როგორ შემოვიდნენ ოთახში, როგორ მიუსხდნენ მაგიდას, თითქოს ჩაძინებული მოეყვანოთ და აქ გაღვიძებოდეს.

ანდრო წამოდგა:

— ერთი წუთით დაგტოვებთ.

— თუ შეიძლება, მეც თქვენთან ერთად წამოვალ, — უთხრა თორნიკემ.

— კი, ბატონო, წამობრძანდით.

ისინი მეორე ოთახში გავიდნენ, მამიამ დაინახა, კარი თორნიკემ მოხურა მაგრად, აშკარად არ უნდოდა მისი ლაპარაკი ამათ რომ გაეგონათ.

— ადამ! — დაუძახა მამიამ.

— რა?

— ჩვენ ხომ არ წავსულიყავით?

—ჰო, წავიდეთ, — მაგრამ ოდნავადაც კი არ წამოწეულა, იჯდა და ოთახს ათვალიერებდა.

ერთ კედელზე ხალიჩა გაეკრათ, ხალიჩის კალთა ტახტზე იყო გადმოფარებული. ტახტზე ორი დიდი მუთაქა და რამდენიმე მოქარგული ბალიში ეგდო. კედელზე, ხალიჩის შუაგულში, ორი სურათი ეკიდა: ერთი ანდროსი, მეორე კი შუახნის ქალისა. ტახტის გვერდით პიანინო იდგა. პიანინოზე მარმარილოს სპილოების ქარავანი გაემწკრივებინათ. მერე კედელთან წიგნების კარადა აყუდებულიყო. კარადის გვერდით შოთა რუსთაველის დიდი სურათი მოჩანდა. იატაკი წითლად კრიალებდა. აქ ეტყობოდა, ქეჩის ნაჭრებზე შემდგარნი დადიოდნენ, რომლებიც ახლა კართან ეყარა.

კარი გაიღო და გაგა შემოვიდა. კარის სახელურისთვის ხელი არ გაუშვია, ასე ნახევრად მოღებულ კარებში გაჩერდა, მეორე ხელით თვალებს ისრესდა, ეტყობოდა, ნამტირალევი იყო.

— გაგა! — დაუძახა ადამმა.

ბიჭს მისკენ არ გამოუხედავს, იდგა და კარს აჭრიალებდა.

— გაგა, მოდი ჩემთან!

— არა, — უპასუხა ბიჭმა.

— რა გატირებს?

— დეიდა თინა, — ბიჭი უცებ აზლუქუნდა, მაგრამ თავი მაინც შეიკავა.

— რა მოგივიდა, სთქვი!

— დეიდა თინა გამიჯავრდა.

— მოდი ჩემთან!

— არა, — ბიჭი გატრიალდა და კარი გაიხურა.

— ნარდი მაინც ვითამაშოთ, — უთხრა მამიამ ადამს, წამოდგა, ფანჯრის რაფიდან ნარდი აიღო და მაგიდაზე გაშალა, — ვითამაშოთ?

— ვითამაშოთ! — მაშინვე დაეთანხმა ადამი.

ცოტა ხნის შემდეგ, ოთახში ვიღაც შემოვიდა. ადამს თავი არ აუწევია, რადგან გულმა უგრძნო, თინა რომ იყო. მამიას ხმაც შემოესმა:

— როგორ ხართ, თინა?

— კარგად, ბატონო, — უპასუხა თინამ.

ადამს ხელში კამათელი ეჭირა, ისე დასცქეროდა, თითქოს მოულოდნელად ეპოვოს. თინამ მაგიდიდან რაღაც აიღო. სიჩუმე ჩამოვარდა. ადამი გრძნობდა, თინა ისევ ოთახში იყო, არც კარის გაღების ხმა გაუგონია.

— გააგორე! — შემოესმა მამიას ხმა.

— ჰა? — შეეკითხა ადამი და თავი ასწია. მერე უცებ მიხვდა, რომ თინა ოთახში აღარ იყო.

— გააგორე-მეთქი!

მერე ოთახში თორნიკე შემოვიდა, რადგან ადამმა წააგო, ახლა ის დაჯდა მამიასთან სათამაშოდ. ადამი წიგნების კარადასთან მივიდა, გამოაღო და პირველივე წიგნი, რომელიც ხელში მოხვდა გადმოიღო. წამოვიდა და ოთახის კუთხეში დაჯდა. წიგნი მუხლზე დაიდო და სათაურს დახედა, „საიდუმლო კუნძული“ იყო. ადამმა წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო. თუმცა, რასაც კითხულობდა, არ ესმოდა, მაინც კითხულობდა. რატომღაც ეგონა, სანამ ასე იკითხავდა, ვერავინ დაინახავდა, ყველას შეუმჩნეველი დარჩებოდა მისი აქ ყოფნა.

აღარ ახსოვს, რამდენმა ხანმა გაიარა. ოთახში ვიღაცეები შემოდიოდნენ და გადიოდნენ. ხანდახან თორნიკეს ხმამაღალი სიცილი ესმოდა. მერე ნარდის ქვებმა ერთად გაიჩხრიალეს, ეტყობოდა, ნარდი მაგიდიდან აიღეს. მერე მახთან მამია მოვიდა და რაღაც უთხრა. ადამმა თავი დაუქნია, თუმცა არ კი გაუგია, რა უთხრეს. მამიამ მხარზე ხელი დაადო, შეიძლება რაღაც უნდოდა ენიშნებინა, ადამი თავს მაღლა არ სწევდა. ახლა თორნიკეს ხმა შემოესმა:

— ადამ, რას კითხულობ?

ადამმა თავი ასწია და ბურუსში (მას ეგონა, რომ ოთახში ბურუსი იდგა) თორნიკეს სახე მოსძებნა და გაუღიმა, ამ ღიმილით მისი მოშორება უნდოდა, თორნიკე კი არ მოეშვა:

— კითხვა თავიდანვე გიყვარდა! ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

ადამმა ისევ გაუღიმა და წიგნს მიუბრუნდა. თორნიკე იმით სარგებლობდა, რომ ისინი სკოლაში ერთად სწავლობდნენ და დასცინოდა. შეიძლება, ოთახში ახლა თინაც კი იყო, თუმცა ადამს ერჩივნა, ანდრო არ ყოფილიყო აქ, მას არ მოესმინა თორნიკეს სიტყვები.

მის გარშემო ბურუსში დაცურავდნენ, დაწკრიალებდნენ, დაფრატუნობდნენ ნივთები და ადამიანები. ხმები ძალიან შორიდან ისმოდა, ნელ-ნელა იზრდებოდა და ზედ ადამის ყურთან სკდებოდა. ყველაფერზე უფრო ხმამაღლა მაინც თორნიკეს სიცილი ესმოდა: უდარდელი, ლაღი, შეუბრალებელი, თამამი, დამცინავი...

— „საიდუმლო კუნძული“? ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — იცინოდა თორნიკე, — ყოჩაღ, ადამ, ყოჩაღ!

უცებ ამ ბურუსში მკაფიოდ და ნათლად საკლასო ოთახი დაინახა, თვითონ ბოლო მერხზე ზის, ბიძის გამონაცვალი ფარაჯა აცვია. მერხზე ძლივს ეტევა, რადგან ძალიან მაღალია, ტოლები მხრებამდე წვდებიან. ოთახში ნახევრად ბნელა, გარეთ წვიმს, შემოდგომის დღეა. მასწავლებელი, გამხდარი, ჩია კაცი დაფაზე ფორმულებს წერს, თითის წვერებზე დგას, ამიტომ პიჯაკის კალთა მაღლა ასწევია და შარვლის ჩამორღვეული უკანა ჯიბე მოუჩანს. ადამი წიგნს კითხულობს, „საიდუმლო კუნძულს“, სწორედ „საიდუმლო კუნძულს“, ძალიან კარგად ახსოვს. წიგნი ძველია და დაფლეთილი. ადამი გვერდშექცევით ზის, წიგნი მუხლებზე უდევს.

— პატივცემულო მასწავლებელო! — ისმის თორნიკეს ხმა, — ადამი წიგნს კითხულობს, სხვა წიგნს!

ამის გულისთვის შეიძლება ადამმა სცემოს, მაინც ბედავს დაბეზღებას!

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — იცინის თორნიკე, — დათვმა კითხვა ისწავლაო, თუ გაგიგონიათ!

თორნიკეს ახლა აღარაფერი უშლიდა ხელს, აღარც ეშინოდა. საიდან გაიგო, ადამი ხელებშეკრული და თვალახვეული რომ იჯდა? რატომღაც ადამი ამოიჩემა. შეიძლება იმიტომ, რომ მის დაცინვას გულადობაში ჩაუთვლიდნენ. ადამი კი იძულებული იყო დაცინვა უხმოდ აეტანა. თორნიკემ ეს იცოდა!

გარეშეთათვის კლასის ამხანაგები ყოველთვის მეგობრები არიან. ასეა მიღებული!

ვიღაცეები იცინიან, ადამი მათ ვერ ხედავს, ან როდის მოგროვდა ამდენი ხალხი?

— ადამი სხვა წიგნს კითხულობს!

მასწავლებელი უხერხულად იშმუშ-

ნება, ადამი წიგნს კეცავს და მერხის უჯრაში დებს.

— სხვა წიგნს კითხულობს! სხვას! სხვას! სხვას!

ეს სიტყვა რაღაც საიდუმლო და შემაძრწუნებელი მნიშვნელობით ჟღერს. მოწაფეები შეშკრთალები შესცქერიან თორნიკეს, ადამისკენ გახედვას ვერ ბედავენ. რატომღაც ახსენდებათ, რომ ადამის მშობლები შორს არიან, ძალიან შორს. შიში ეუფლებათ, არ კი იციან, რისი ეშინიათ.

— ადამ, გადი გარეთ! — ყვირის მასწავლებელი.

ადამი ხედავს, როგორ უკანკალებს მას ხელი, რომელშიც ცარცი უჭირავს.

— მობრძანდით! — ამბობს ანდრო.

— ადამ, გამოფხიზლდი! — წასჩურჩულა მამიამ ადამს.

ადამმა თავი ასწია.

სუფრა გაეწყოთ. ოთახში ყაყანი იდგა. ადამმა ვახო დაინახა. ის ღვინით სავსე ბოთლებს დგამდა მაგიდაზე. გაუკვირდა, აქ რა უნდაო. ვახომ მისი მზერა იგრძნო და გამოხედა, თავი დაუკრა. ვახო გამოცვლილი მოეჩვენა ადამს, პირი გაეპარსა, ახალი, თეთრი პერანგი ჩაეცვა, ახალი ყელსახვევი ეკეთა. დიდი ხანია, აღარ ენახა, რადგან ვახო იმ დღის მერე, ადამმა რომ კინაღამ სცემა, მშენებლობას აღარ გაჰკარებია. ადამს წასულიც ეგონა.

ვახო მხიარულად ფუსფუსებდა. ეტყობოდა ამ ოჯახში პირველად არ იყო. ბოთლები შემოჰქონდა, ალბათ, ღვინის ჩამოსხმის დროს ცოტა გადაეკრა კიდეც, სახე აწითლებოდა, მაგრამ მთვრალი არ იყო.

ოთახის ერთ კუთხეში ჯგუფად მთელი აქაური ინტელიგენცია იდგა. ბანკის მთავარი ბუღალტერი რაღაცას ყვებოდა, სხვები ნაძალადევი ყურადღებით უსმენდნენ, თან თვალი სუფრისკენ გაურბოდათ.

კართან ბექანი იდგა და თორნიკეს ელაპარაკებოდა. ადამმა რომ მისკენ გამოიხედა, ხელი დაუქნია, მერე ისევ თორნიკეს მიუბრუნდა:

— დიახ, ზამთარი ისე წავიდა, თოვლი არ მოსულა!

ეროვნული

— თბილისში კი დიდ[illegible]

მერე ანდრომ სტუმრები სუფრასთან მიიწვია. თვითონ სუფრის თავში დაჯდა, გვერდით თორნიკე მოისვა. წამოდგა, თორნიკეს მხარზე ხელი დაადო და თქვა:

— მინდა გაგაცნოთ ჩემი სასიქადულო სტუმარი...

და თანამესუფრეებს თორნიკე გააცნო.

თორნიკე წამოხტა, ყველას თავი დაუკრა, ხელები გაშალა და ღიმილით თქვა:

— სასიამოვნოა, სასიამოვნოა...

— მიირთვით, ბატონო, — მიმართა ანდრომ სტუმრებს, — მიირთვით!

ყველა საჭმელს მიეძალა, ამიტომ სუფრაზე ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, დანა-ჩანგლის წკრიალი ისმოდა მხოლოდ.

ვახომ ისევ შემოიტანა ბოთლები, სუფრას თვალი მოავლო, მათი დასადგმელი ადგილი ვეღარ იპოვა. ანდრომ დაუძახა:

— დაჯექი, ვახო!

ვახომ ბოთლები აჩვენა, ამათ რა ვუყოო.

— აგერ, ტახტთან დადგი, შენ დაჯექი!

გაიწ-გამოიწიეს და ვახო ჩასვეს. ვახომ გაქათქათებული ხელსახოცი აიღო, ხელის ერთი დაქნევით გაშალა და მუხლებზე დაიფინა, ბოთლი აიღო და გვერდით მსხდომთ ჭიქები გაუვსო.

ოთახში თინა შემოვიდა. ის წამდაუწუმ შემოდიოდა და გადიოდა, რადგან მომხმარე თითქმის არავინ ჰყავდა. მას ერთხელაც კი არ გამოუხედავს ადამისკენ. არც ადამი უცქერდა, მაგრამ საოცარი ის იყო, მაინც ხედავდა. არც ერთი მისი მოძრაობა შეუმჩნეველი არ დარჩენია. თინამ ანდროს ყურში რაღაც უთხრა, ანდრომ თავი დაუქნია, თინა ოთახიდან გავიდა, კარი რომ გამოაღო, ბექანმა დაუძახა:

— ასე როგორ შეიძლება, ქალბატო-

ნო თინა! ჩვენთან არ დაბრძანდებით?

თინამ მორცხვად რაღაც უპასუხა, არავის გაუგია.

— მოვა ახლავე, — თქვა ანდრომ.

თამადად, რა თქმა უნდა, ანდრო აირჩიეს. ანდრომ ჯერ პატარა ჭიქებით დაიწყო სმა, მერე დიდი ჭიქები შეაპარა. ადამმა ნელ-ნელა თვალში გამოიხედა, გათამამდა. ღვინოს სიამოვნებით სვამდა, არაფერს კი არ ატანდა, მისი თეფში ცარიელი იყო.

— ჩემი დაწურულია, — ამბობდა ანდრო, — ამ დღისთვის მქონდა გადანახული!

სტუმრები თორნიკეს დიდი პატივისცემით ექცეოდნენ. როცა ანდრომ მისი სადღეგრძელო დალია და სიძე უწოდა, ყველანი ფეხზე ადგნენ და გრძელ-გრძელი სიტყვები უთხრეს.

თორნიკე თავჩაღუნული იდგა, ვითომ რცხვენოდა. ანდრომ სიტყვა რომ დაამთავრა, ხელები გაშალა და გადაეხვია. თორნიკემ აკოცა:

— გმადლობთ, მამიკო, გმადლობთ!

მერე სიმღერა წამოიწყეს, სიმღერის წამომწყები ვახო იყო. ის მაგიდიდან კარგა დაშორებით იჯდა, ხელს არაფერს აკარებდა, ისე იქცეოდა, თითქოს სუფრაზე არც კი ზისო. სხვებმაც ხმები შეუწყვეს და „მრავალჟამიერი" დააგუგუნეს. თინა შემოვიდა და კართან გაჩერდა. მომღერლებს შეაცქერდა. ხელში წნილით სავსე თეფში ეჭირა. იდგა და იღიმებოდა, თითქოს სიმღერის დროს სუფრასთან მოსვლას ვერ ბედავსო.

ბექანი წამოდგა, სიმღერა არ შეუწყვეტია, თინასთან მივიდა, მკლავში ხელი მოჰკიდა და მაგიდასთან მოიყვანა. თინა ღიმილით დაჯდა.

ანდრომ ყანწი გამოსცალა და თორნიკეს გაუწოდა, შეუვსო. თორნიკემ ყანწი კი შეავსებინა, მაგრამ დალევაზე უარი უთხრა და სავსე ყანწი ადამს გადმოაწოდა:

— ჩემს ადამს!

ადამი წამოდგა, ყანწის ჩამორთმევა არ უნდოდა:

— შენ რომ არ დაგილევია?

უცებ თორნიკეს უამრავი დამცველი გამოუჩნდა: მაგისთვის ეს არ შეიძლება, მაგას ვაპატიოთ! ვახომაც [illegible] დაუქნია თავი: არა, არა, ნუ დავაძალებთ!

ადამმა ყანწი ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით გამოსცალა. შეეძლო სულმოუთქმელად დაელია, მაგრამ მოერიდა, რადგან ანდრომ ძლივს-ძლივობით გამოსცალა. ადამმა ყანწი ბექანს გადააწოდა. რომ დაჯდა, მამიას გადაუჩურჩულა:

— სრულებით არ მეკიდება ღვინო!

— მიატანე რამე, — ურჩია მამიამ.

„როგორი ფხიზელი ვარ, — ფიქრობდა ადამი, — სიმღერა კი მინდა. ნეტავ ვინმემ წამოიწყოს სიმღერა..."

უეცრად მოეშვა, მოღუნდა და თავი ბედნიერად იგრძნო. თინასკენაც გაიხედა, თინა თეფშს დასცქეროდა და იღიმებოდა.

— „ნეტავ ვინმემ სიმღერა წამოიწყოს!"

კინაღამ ვახოს თხოვა, იმღერეო, მაგრამ ვახოს ყანწი ეჭირა და ფეხზე იდგა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს იმას უცდიდა, სამარისებური სიჩუმე როდის ჩამოვარდებოდა.

— ვახოს აცალეთ, ვახოს! — დაიძახა ანდრომ.

ბექანმა ადამს თვალი ჩაუკრა, ადამს გაეღიმა.

— პატივცემულო საზოგადოებავ, — დაიწყო ვახომ და ისევ გაჩუმდა, რადგან სკოლის დირექტორმა სწორედ ახლა მოინდომა საცივის გადმოღება ის უკვე სუფრაზე გადახრილი იდგა, ერთ ხელში თეფში ეჭირა, მეორეში კი — კოვზი. სიჩუმე რომ ჩამოვარდა, ვახოს ახედა.

— მიირთვით, ბატონო, მიირთვით! — უთხრა ვახომ, — როგორ გეკადრებათ!

სკოლის დირექტორმა საცივი გადმოიღო, უხერხულად გაიღიმა და დაჯდა.

— პატივცემულო საზოგადოებავ, — გაიმეორა ვახომ, — მე ბედნიერი ვარ, რომ დღეს თქვენს შორის ვიმყოფები, — თან თორნიკეს შესცქეროდა, — განსაკუთრებით მოხარული ვარ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს აქ ერთი გამოჩენილი ადამიანი გვესწრება. ეს არის სახელოვანი მამის შვილი და თვითონაც სახელოვანი პიროვნება. ნება მომეცით ამ ადამიანის სადღეგრძელო დავლიო.

— ეგ უკვე დავლიეთ, — შეახსენა ბექანმა.

— მაძლევთ თუ არა ნებას? — მიუბრუნდა ვახო ანდროს.

— მიირთვი, ბატონო, — უპასუხა ანდრომ, — დალიე.

თორნიკემ ჩაიცინა:

— რა საჭიროა?

ვახო წამოდგა და თორნიკესთან მივიდა:

— დიდი პატივისცემით გადღეგრძელებთ!

ყანწს დაეწაფა.

— რატომ წუხდებით, რატომ წუხდებით, — თქვა თორნიკემ.

ვახომ, როგორც იქნა, გამოსცალა ყანწი, სუფრიდან ბოლოკი აიღო და ტუჩებზე მოისვა:

— მეც ხომ მსახიობი ვარ. — უცებ დაასლოკინა. — უკაცრავად! მე ხომ ნამდვილი მსახიობი ვარ!

ყველამ რატომღაც აქაური სახალხო თეატრის დირექტორს შეხედა. მან თავი მძიმედ დააქნია, ნამდვილად მსახიობიაო.

— თუ გნებავთ ლექსს წაგიკითხავთ. — თქვა ვახომ და მკერდზე ხელი მიიდო. უცებ შებარბაცდა,—თუ ნებას დამრთავთ, გეამბორებით,—უთხრა მან თორნიკეს და საკოცნელად მიიწია.

— რატომ სწუხდებით,—თორნიკემ სკამი უკან გასწია,—მე ლექსები მიყვარს,—თქვა მან.

— შემომეყარა ყივჩაღი, — დაიწყო ვახომ.

— ვახო, დაჯექი!—უბრძანა ანდრომ.

— თქვენ იდეალური ადამიანი ბრძანდებით!—უთხრა ვახომ თორნიკეს.

— გმადლობთ, — გაიცინა თორნიკემ და ხალხს გადახედა.

ვახო თავის ადგილას დასვეს. მერე ანდრომ ბექანის სადღეგრძელო დალია. ანდროს მერე თორნიკემ მოინდომა სიტყვის თქმა:

— აი, ყველაზე უფრო [illegible]ლური საქმე,—თქვა მან,—პატარა რომ ვიყავი, მილიციელად გახდომაზე ვოცნებობდი,—სუფრაზე თავშეკავებულმა სიცილმა გადაირბინა,—იყო წესრიგის ფხიზელი გუშაგი — ეს დიდი საქმეა!

— ეს ვინ ყოფილა? — უთხრა ჩუმად მამიამ ადამს,—ყველას ასე ელაპარაკება!

— ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა, ოუ რანუნი,—იყვირა უცებ ვახომ.

— ვახო, ღვინოს მიხედე! — დაუძახა ანდრომ.

— მე შრომანი მეგონაო,—გააგრძელა ბექანმა.

ანდრომ ვახოს ხელით ანიშნა, არ ადგე, იმღერეო.

ადამიც მღეროდა. მერე უცებ იგრძნო, რომ მარტო ის მღეროდა. საშინლად შერცხვა. მამიამ როგორ არ გამაჩერაო, იფიქრა. მაგრამ ამ დროს მამიას ხმა მოესმა:

— ძველ სირაკუზში თურმე ასე სცოდნიათ,—ამბობდა მამია,—ძველ სირაკუზში...

მერე ფეხზე წამოდგა:—ვიცი ყველას გაგეცინებათ, ვიცი...

„დამთვრალა“—იფიქრა ადამმა.

— საყრდენი წერტილი რომ მომცა! — თქვა მამიამ.

—მამია, — ადამმა სახელოზე ჩამოქაჩა.

— ხელი გამიშვი!

მაგრამ მამიას არავინ უსმენდა. სუფრაზე უკვე რამდენიმე ჯგუფი გაჩენილიყო, თავისთვის ლაპარაკობდნენ, მღეროდნენ. სხვებს აღარ უსმენდნენ, არც თამადას უგდებდნენ ყურს. თამადას ეს მაინც და მაინც არ აწუხებდა, მას თორნიკესთვის გადაეხვია ხელი და რაღაცას ელაპარაკებოდა. თორნიკე ცდილობდა ანდროს ხელი როგორმე მოეშორებია. მას უკვე მობეზრდა ყველაფერი და სასტუმროში წასვლა უნდოდა, რადგან ძალიან ეძინებოდა.

— ვიცი, რომ დამცინით,—ამბობდა

ეროვნული

მამია, უცებ იყვირა,—არქიმედი ბარბაროსმა მოკლა! ბარბაროსმა!

თორნიკემ მამიას ხელი დაუქნია, თუმცა მისი ნათქვამი არ გაუგონია.

— შენც,—მამიამ თორნიკესკენ ხელი გაიშვირა,—შენც დამცინი!

თორნიკემ ხელი მაღლა ასწია. ისე, რომ ანდროს არ დაენახა, და მამიას ანიშნა, ხომ არ წავიდეთო. ის ვერ გაიგო, მამიამ რაც უთხრა.

ახლა სკოლის დირექტორი წამოდგა:

—მამია, მე შენ ძმასავით მიყვარხარ, ხომ იცი!

— არა!—უპასუხა მამიამ, — არა!

— ბოშური სიმღერა უნდა ვთქვა,— იმეორებდა ბექანი წარა-მარა, მაგრამ არ კი მღეროდა.

ფოსტის გამგეს ეძინა, ლოყა მაგიდაზე ჰქონდა დადებული, სახეზე ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა. თუმცა ეძინა, თითს თეფშზე მაინც აკაკუნებდა. იფიქრებდი, მორზეს აპარატთან ზისო.

„აი ყველა დათვრა,—ფიქრობდა ადამი,—მე კი მთლად ფხიზელი ვარ!"

მაგრამ თვითონაც მთვრალი იყო, ისეთი მთვრალი, რომ უცებ სადღეგრძელოს თქმა მოუნდა. ამ სურვილმა ფეხზე წამოაყენა. დიდი ჭიქა გაავსო და სუფრას გადახედა.

— ოჰო!—შესძახა თორნიკემ, თან გასამხნევებლად თავი დაუქნია, იფიქრა, ადამი თამადის სადღეგრძელოს დალევსო.

ადამი ისეთ გუნებაზე იყო, რომ ყველა აქ მსხდომი უყვარდა. უნდოდა ისეთი რამ ეთქვა, ყველას გახარებოდა. გული აუჩვილდა და აცახცახებული ხმით დაიწყო:

— მე მინდა, რომ ძალიან დიდხანს ვიცოცხლოთ. დიდხანს იყოს ეს ცა, პური, სიმღერა... მთავარია, რომ კაცს უხაროდეს...

— ოჰო? — შესძახა ისევ თორნიკემ, როცა მისი სიტყვები გაიგონა,—დათვმა ენა ამოიდგა!

ვახომ გადაიხარხარა:

— დათვმა! დათვმა! მოვკვდი! ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

ადამს თითქოს არც კი გაუგონია, გააგრძელა:

— რა კარგია, რომ მარტო არა ხარ, გაუთავებლად რომ წვიმს, იწვიმოს, რა მოხდა? რა კარგია, როცა ხმა გესმის, თუნდაც წვიმის ხმა...

უცებ თვითონაც იგრძნო, მთვრალი რომ იყო, რადგან თავისივე სიტყვები ეუცხოვა. ასე არასოდეს არ ულაპარაკია.

— დათვი აჭიკჭიკდა!—დაიძახა თორნიკემ. ის თითქოს ხუმრობდა, ნამდვილად კი ადამზე ბრაზობდა, რაღა ახლა მოუნდა ამ სიგრძე სიტყვის თქმაო.

ვახოს გარდა, სხვებმაც გაიცინეს. ანდრომაც ჩაიხითხითა, ოღონდ ისე, რომ ადამს არ დაენახა.

მამია თავისთვის რაღაცას ლაპარაკობდა, ბექანი სიმღერას აპირებდა. სკოლის დირექტორი შუბლშეკრული შესცქეროდა მამიას, ფოსტის გამგეს ეძინა, ვახო თორნიკეს უყურებდა, ის როგორც კი რამეს იტყოდა, მაშინვე გადაიხარხარებდა.

— დაამთავრე?—ჰკითხა საბჭოს მდივანმა ადამს.

— აი, ახლა მე მიხარია,—თქვა ადამმა,—არ კი ვიცი, რა მიხარია...

— უხარია!—ჩაიცინა თორნიკემ.

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა, მოვკვდი!—გადაიხარხარა ვახომ.

— რა არის, ბატონო, აქ სასაცილო? — ძალიან ჩუმად, თითქოს თავისთვის, ჩაილაპარაკა თინამ.

მაგრამ ეს ჩურჩულით ნათქვამი ყველამ გაიგო.

უცებ სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა. ფოსტის გამგესაც გაეღვიძა, ალბათ, სიჩუმემ თუ გამოაღვიძა.

ადამმა თინას შეხედა, თინა თავჩაღუნული იჯდა. ყველა ცდილობდა, მათთვის არ შეეხედა, თვალს არიდებდნენ. თითქოს ყველას ერთად მოშივდაო: საჭმელს დაუწყეს ციცქნა.

— თინა!—იყვირა ადამმა,—თინა! მიყვარხარ, თინა!

უცებ ადგილს მოწყდა და ოთახიდან გავარდა.

ცოტა ხნის მერე, ქუჩაში მას თორნიკე დაეწია. ისიც უპალტოოთ გამოვარდნილიყო.

— რა მიყავი ეს, რა მიყავი?!—დაუძახა შორიდან.

ადამი არ გაჩერებულა, არც კი მოუხედავს.

— ადამ!—დაუძახა თორნიკემ

— რა გინდა? — მოუბრუნდა ადამი.

— რა მიყავი ეს?

— რა გიყავი?

— წესიერ საზოგადოებაში განა ასე იქცევიან?

— დამანებე თავი!

— მე კი მეგობარი მეგონე.

— დამანებე-მეთქი თავი. მომშორდი!

— შენ გგონია, შენ გგონია,—გაცხარდა უცებ თორნიკე, მერე უყვირა,—შენისთანებსაც მოუვლიან!

ამის თქმა მოასწრო და სახეში ადამის მუშტი მოხვდა. აიწია და პირდაპირ გუბეში გაიშოტა.

ადამი ჩქარი ნაბიჯით გაშორდა.

ცოტა ხნის მერე, გუბეში გაწოლილ თორნიკეს ვახო მიუახლოვდა:

— პატივცემულო თორნიკე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორნიკემ თვალი გაახილა. ვახო დაიხარა, წამოყენება სცადა, მაგრამ ფეხი გაუსხლტა და თვითონაც მის გვერდით გუბეში წაიქცა.

— ძალიან მოხარული ვარ, რომ გაგიცანით,—ეუბნებოდა ცოტა ხნის მერე ვახო გუბეში წამომჯდარ თორნიკეს, თან პირი-სახიდან ხელით ტალახს იშორებდა, — ძალიან მოხარული ვარ...

თორნიკე წამოდგა.

— პატივცემულო თორნიკე,—უთხრა ვახომ,—ხელი მომეცით, ვერ ვდგები!— და თვითონ ხელი გაუწოდა.

— მაწანწალა, — კბილებში გამოსცრა თორნიკემ და გაეცალა.

ვახო ცოტა ხანს გაკვირვებული უყურებდა მიმავალ თორნიკეს, მერე ხმამაღლა დაიწყო:

— ჩიტი გვრიტი მოფრინავდა, ოუ, რანუნი...

## 15. დასასრული

სანამ ოთახში შევიდოდა, ზაზა მედიცინის დამ შეაჩერა:

— იცოდეთ, დიდხანს დარჩენა არ შეიძლება!

— კარგი.

ზაზამ კარი შეაღო და შევიდა. პატარა ოთახში ნახევრად ბნელოდა, რადგან შუქი მხოლოდ მინებჩასმულ კარიდან შემოდიოდა. ოთახში ერთი საწოლი იდგა, საწოლთან—სკამი და თეთრად შეღებილი დაბალი კარადა.

ნინიკო თვალდახუჭული იწვა. ზაზამ იფიქრა, სძინავსო. სკამთან მივიდა და ჩამოჯდა. ყვავილები კარადაზე დადო.

ნინიკომ თვალი გაახილა, მაგრამ ზაზასკენ არ გამოუხედავს.

— გამარჯობა, ნინიკო,—უთხრა ზაზამ ჩუმად.

ნინიკოს ხმა არ ამოუღია.

— ყვავილები მოგიტანე...

— ვიცი, — თქვა ნინიკომ.

— რომ არ დაგინახავს?—ზაზამ გაიღიმა. ცდილობდა ხუმრობის კილო ჰქონოდა:

— ყველას ყვავილები მოაქვს...

— ნინიკო...

— ნუ, ზაზა, ნუ... რა შენი ბრალია? ალბათ, ასე იყო საჭირო. რა სულელი ვიყავი...

— რა გატირებს?

— არ ვტირი...

— ყველაფერი კარგად იქნება, აი ნახავ! ჩვენ კიდევ ბევრ სპექტაკლს დავდგამთ ერთად! მთავარი როლი სულ შენ უნდა გათამაშო! აი, ნახავ, როგორ კარგად იქნება ყველაფერი!

— ვიცი...

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ.

—აღარასოდეს აღარ ვიტირებ,—თქვა მერე ნინიკომ,—ზაზა!

— ვისმენ.

— თბილისში კრემატორიუმი თუა?

— მგონი, არა, არ ვიცი. რატომ გაგახსენდა?

— სულ თორნიკე მესიზმრება, ყვირის, კრემატორიუმში წავიყვანოთო.

— შენ უკვე კარგადა ხარ, ექიმმა მითხრა... სისულელეს თავი დაანებე.

— თორნიკე არ მოვიდეს აქ, ზაზა, ყველა გააფრთხილე... მოვკვდები...

— არ მოვა.

ნინიკოს ხმა აღარ ამოუღია, მერე თვალები დახუჭა. ზაზამ იფიქრა, დაეძინაო. ამ დროს მედიცინის დამ კარი შემოაღო და ზაზას ხელით ანიშნა, გეყოფა, გამოდიო.

ზაზა წამოდგა და ფეხაკრებით გამოვიდა.

— დღეს როგორ იყო? — ჰკითხა ზაზამ.

— უკეთესად. გადარჩა, — მედიცინის დას ზაზასთან ლაპარაკი აშკარად ეხალისებოდა, — კიდევ კარგი, მიუსწრეს, გაზი ძალიან საშიშია. როგორ დარჩა მაინც?

— ხდება,—თქვა ზაზამ, — რჩებათ ხოლმე...

— რა თქმა უნდა,—მედიცინის და ზაზას თვალებში შეაცქერდა, — თქვენ მას კარგად იცნობთ?

—ჩემი ამხანაგია.

— იქნებ, ვინმე უყვარდა?—ჰკითხა მედიცინის დამ და გაიხედა-გამოიხედა, თითქოს ეშინოდა, სხვას არავის გაეგო მისი შეკითხვა.

— უყვარდა, — ზაზამ იცოდა, ამ გოგონას ადვილად ვერ დაუსხლტებოდა ხელიდან, ამიტომ ჯობდა მისი ცნობისმოყვარეობის ნაწილი მაინც დაეკმაყოფილებინა.

— უყვარდა? ღმერთო! — მედიცინის დამ ხელები გულზე მიიდო,—მერე?

— რა მერე?

— იმას, იმას თუ უყვარდა?

— არა.

— სხვა უყვარდა, არა?

— ჰო,—ძლივს უპასუხა ზაზამ, რადგან იგრძნო, ამ გოგონას სიმართლეს რომ ეუბნებოდა.

— ეს კაცი კი ნინიკოს მამაა, — უთხრა მედიცინის დამ.

ზაზამ მიიხედა და იქვე სკამზე ჩამომჯდარი კაცი დაინახა. კაცს თეთრი ხალათი ეცვა, გულ-ხელი დაეკრიფა და კეფა კედლისთვის მიებჯინა. ზაზა მას შორიდან იცნობდა.

— სულ ასე ზის და ტირის,—თქვა მედიცინის დამ, — შვილთან ვერ შედის!

ზაზა გამოემშვიდობა და ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა.

ქუჩაში ბნელოდა. საავადმყოფოს კართან ტელეფონის ჯიხური იდგა. ზაზა ჯიხურთან გაჩერდა, მაგრამ შიგ არ შესულა, ცოტა ხანს იდგა, მერე გზა განაგრძო. ოცი ნაბიჯიც კი არ ჰქონდა გავლილი, რომ დაბრუნდა და ტელეფონის ჯიხურს მიაშურა.

— ცეკვა! ცეკვა! ვიცეკვოთ!—გოგო სკამზე შეხტა და ხელები ჰაერში გააქნია: — ვიცეკვოთ!

მაგნიტოფონი ჩართეს.

მაღალმა, გამხდარმა ბიჭმა ცეკვა დაიწყო. მის გარშემო წრე შეჰკრეს. ეტყობოდა, ეს ბიჭი ყველაზე უკეთესად ცეკვავდა. აღტაცებულები შესცქეროდნენ. ზოგი იმიტომ, რომ მართლაც მოსწონდა, ზოგს კი ეშინოდა, არ შემატყონ, რომ არ მომწონსო.

— ვიცეკვოთ! ვიცეკვოთ! — ყვიროდა სკამზე შემდგარი გოგო. ის ფეხშიშველი იყო. თეთრი, ლურჯზოლებიანი კაბა ეცვა და მკერდზე ლუზა ჰქონდა ამოქარგული. გოგო სკამიდან ჩამოხტა, წრე გაარღვია და თვითონაც ცეკვა დაიწყო. არაფრისმხედველი თვალებით შესცქეროდა ყველას, ტუჩები უთრთოდა, თითქოს თავისთვის რაღაცას ჩურჩულებსო.

კუთხეში ორნი ისხდნენ. ხელში ცარიელი ჭიქები ეჭირათ, იფიქრებდი, წამოდგომა ეზარებათ, რომ ჭიქები მაგიდაზე დადგანო. ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ, შემთხვევით გვერდი-გვერდ აღმოჩნდნენ. ერთი პოეტი იყო, მეორე კი—ფეხბურთელი. ფეხბურთელს ძვირ-

ფასი კოსტუმი ეცვა, გახსნილ პიჯაკიდან ჭრელი, ნაქსოვი პერანგი მოუჩანდა. მის გამოჩენას ყიჟინით შეხვდნენ, მაშინვე შეკითხვები დააყარეს, რომლებზედაც თავის ქნევით პასუხობდა. მას ასეთი ჩვეულება ჰქონდა, სანამ რამეს იტყოდა, უსათუოდ თავი უნდა დაექნია, სათქმელი ამის მერე უნდა ეთქვა. აქ კი მხოლოდ თავის დაქნევას ასწრებდა. მისი პასუხი თითქოს არც კი აინტერესებდათ, მაშინვე ახალ შეკითხვას აძლევდნენ. შეიძლება იმიტომ, რომ მათ გაცილებით მეტი იცოდნენ ფეხბურთზე, ვიდრე ამ სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა.

მერე მოულოდნელად დაანებეს თავი. პირველად არ დაიჯერა, მერე გაუკვირდა. ახლა თვითონ მიდიოდა სხვებთან, ღიმილით მიუახლოვდებოდა, თავს დაიქნევდა და დაიწყებდა:

— აი, გარინჩა... ორი სანტიმეტრით...

— რა?—შეეკითხებოდნენ ზრდილობისათვის.

— ორი სანტიმეტრით ჩემზე დაბალია.

— მართლა?—და ისევ გაწყვეტილ საუბარს გააგრძელებდნენ.

ფეხბურთელი ახლა მეორესთან მივიდოდა. თავს დააქნევდა, რადგან კეთილი ბიჭი იყო, უნდოდა ისიც გაეხარებია. ის კი ცოტათი გაკვირვებულიც შემოხედავდა, ჭიქას მიუჯახუნებდა, თითქოს ფეხბურთელი ამიტომ მოსულიყო მასთან. ასე ნელ-ნელა ჩამოუარა ყველას ჭიქა მიუჯახუნა, მერე სკამზე ჩამოჯდა გაკვირვებული და დაბნეული.

პოეტი არავის უცვნია. თუმცა თვითონ კი დარწმუნებული იყო, აქ ყველა მიცნობსო. მან ყველაფერს უცებ აუღო ალღო და კუთხეში მიჯდა, თავისთვის. ასე სჯობდა. თუ ვინმე იცნობდა, იფიქრებდა, რა თავმდაბალი ყოფილაო, თუ არა და. მაშინაც ასე ერჩია, მარტო იქნებოდა. ისხდნენ ახლა ერთმანეთის გვერდით, ხელში ცარიელი ჭიქები ეჭირათ და მოცეკვავე წყვილს შესცქეროდნენ.

ფეხბურთელმა ცეკვა იცოდა. მეგობრების წრეში ხალისით ცეკვავდა ხოლმე. აქ კი ამის გამომჟღავნებას ვერ ბედავდა. გამომჟღავნებას კი სხვა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ცეკვას პირველად ხედავსო.

„საოცარია, — ფიქრობდა პოეტი,— რა ბებერი ვყოფილვარ, როგორ დავბერებულვარ, ბიჭო?“

მერე პოეტმა ტელევიზორი დაინახა, კუთხეში, იატაკზე იდგა. ჩართული იყო. ოღონდ ხმა ბოლომდე დაეწიათ, არაფერი ისმოდა. ტელევიზორის ეკრანზე ნაცნობი სახე შენიშნა, ერთი საკმაოდ ცნობილი პოეტი, ეტყობოდა, ლექსს კითხულობდა, ხელებს იქნევდა, მაგრამ ხმა კი არ ისმოდა, ამიტომ ძალიან სასაცილო იყო. „აჰა!—გაუხარდა პოეტს, —მიდი, იკითხე, იკითხე!“

უფრო იმიტომ გაუხარდა, თითქოს ისიც მის მდგომარეობაში ყოფილიყოს.

ფეხბურთელს ხელით ტელევიზორზე ანიშნა. ფეხბურთელი ვერ მიხვდა, რისი თქმა უნდოდა პოეტს, უაზროდ გაიღიმა.

ამ დროს ოთახის კარი ქალმა შემოაღო:

— მაგდა, მაგდა, ვიღაც გირეკავს!

ფეხშიშველი გოგო დერეფანში გავარდა. ყურმილი აიღო:

— გისმენთ, — მძიმედ სუნთქავდა, რადგან ცეკვით დაღლილიყო,—გისმენთ—დიახ, მაგდა ვარ, ვინ ლაპარაკობს? ზაზა? რომელი ზაზა? ა-ა-ა, მახსოვს, როგორ არა, მახსოვს, მე კარგადა ვარ. ალო! ალო! არ ისმის! ალო! ჰო, დამირეკეთ ხოლმე... კარგად იყავით.

მაგდამ ყურმილი დადო, ცოტა ხანს ხელი არ გაუშვია, იდგა და რაღაცას ფიქრობდა. მერე ოთახში შემოვიდა. კუთხეში მიყრილი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა, მას მაღალი ბიჭი მიუახლოვდა. ბიჭი ესტრადის ცნობილი მომღერალი იყო.

— მაგდა, — უთხრა მან, — ვინ გირეკავდა?

მაგდას პასუხი არ გაუცია, წამოვიდა. ფეხბურთელსა და პოეტს რომ გაუსწორდა, ბიჭი დაეწია და მკლავში ხელი ჩაავლო;

— მაგდა!

— რა?

— ასე აღარ შემიძლია!

— იდიოტი ხარ!—უთხრა მაგდამ.

მაგდა პოეტთან მივიდა და ჰკითხა:

— თქვენ ზაზა ყიფიანს თუ იცნობთ?

პოეტმა გაუღიმა:

— ზაზა ყიფიანს?... გამიგონია...

მაგდამ ახლა ფეხბურთელს ჰკითხა:

— იქნებ, თქვენ იცნობთ?

— არა,—უპასუხა ფეხბურთელმა.

მაგდა მაღალ ბიჭს მიუბრუნდა:

— არც შენ, ჩემო მაღალო იდიოტო?

— მაგდა, მე მიყვარხარ! — უთხრა ბიჭმა,—ასე არ შეიძლება!

ფეხბურთელმა და პოეტმა ერთმანეთს გადახედეს.

მაგდამ მაღალ ბიჭს ყელსახვევი ჩამოქაჩა:

— Что тебе на память оставить, тень мою? На что тебе тень?

— მაგდა! — თქვა ბიჭმა.

— На что тебе тень? — გაიმეორა მაგდამ.

— ნუ დამცინი!—ბიჭს ხმა აუცახცახდა.

— На что тебе тень? — თქვა მაგდამ და წავიდა.

— მაგდა! — დაუძახა ბიჭმა.

მაგდა მოტრიალდა, ტუჩებზე თითი მიიდო:

— ჩუ!

ხუთი წელიწადი მისი ფიქრი მაგდათი იყო სავსე, და ახლა ყველაფერი გათავდა. თითქოს გული უგრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან ასე უნდა მომხდარიყო. ხუთი წელიწადი უყვარდა და, ალბათ, მუდამ ეყვარებოდა. ყურმილს რომ კიდებდა, მიხვდა, თუმცა ყველაფერი გათავდა, მაინც არაფერს არ შეეძლო ამ სიყვარულის ადგილი დაეჭირა. ეს სიყვარული უცებ მოგონებად იქცა, ამ მოგონებით კი ცხოვრება შეიძლებოდა.

თოვლი სახურავებს-ღა შერჩენოდა. ისიც აქა-იქ შავ ჩრდილებივით მოჩანდა. ქუჩაში სრულებით აღარ იყო თოვლი. ცასაც თითქოს აქამდე თოვლის ბადე ეფარა, ახლა უცებ უამრავი ვარსკვლავით გამოიჭყიტა. მაგრამ შეცვლილიყო, ის ჯიუტი სუსხი აღარ ჰქონდა.

ცარიელ ქალაქში მთვარე ჩრდილებით თამაშობდა, სახეს უცვლიდა ქუჩებს, მოედნებს, სახლებს. მთვარის შუქზე ფანჯრები ისე ბრმად ელავდნენ, თითქოს მინების ნაცვლად თუნუქი ჩაუსვამთო.

მთაწმინდაზე ტელევიზორის ანძა ვარსკვლავებში იდგა. ღრუბლის ნაფლეთები, ქარი რომ სწრაფად მიაქროლებდა, თითქოს ანძას ეჯახებოდნენ, ეს გეგონებოდა, ქანაობსო. აგურის ორსართულიანი სახლის წვიმის მილს პირზე ლოლუები ეკიდა. ზაზამ დაინახა ყინულის ლოლუებიდან წყალი როგორ წვეთავდა. აი თურმე რა ყოფილა ის ხმა, უკვე დიდიხანია რომ ესმოდა, მაშინაც—როცა ტელეფონის ჯიხურში შედიოდა. მაშინაც—როცა მაგდას ელაპარაკებოდა.

მივიდა და ყინულის ლოლუას პეშვი შეუშვირა. წვეთები ტყაპანით ეცემოდნენ ერთმანეთს და პეშვი ნელა ივსებოდა.

— აი, — თქვა ხმამაღლა ზაზამ,—აი! —და პეშვი წინ გაიშვირა, თითქოს ვიღაცას სასწაული დაანახვაო.

— გიხარია?—მოესმა დედის ხმა.

ზაზას ეგონა, ამ ქვეყანაზე მარტო დედას ეღვიძა, სანთელი ენთო და თითქოს ჯადოსნური სანთელი ყოფილიყოს, —მისი შუქი ზაზასაც წვდებოდა.

ზაზამ სინათლის წრეში შეაბიჯა და გაჩერდა.

— რა იყო, რა დაგემართა?—შეეკითხა დედა.

— არაფერი...

— ნინიკოს გაუფრთხილდი, შვილო.

— აჰა, მიიწურა ზამთარი, — თქვა ზაზამ.—აჰა, მიიწურა ზამთარი... აჰა. ზამთარი მიიწურა...

— რა სთქვი?—მოესმა დედის ხმა. ახლა უფრო შორიდან,—რას ჩურჩულებ?

— ჩააქრე სანთელი!—დაუძახა აქედან ზაზამ.—ჩააქრე!

— თინა წავიდა, — უთხრა მამიამ ადამს.

— ვიცი...

— ბავშვი წაიყვანა და წავიდა...

— ჰო...

— იქნებ, იცი, სად წავიდა?

— არა...

— ცოდოა,—თქვა მამიამ და ხმა აუცახცახდა.

ისინი ქუჩაში მიდიოდნენ, ბნელოდა. მამიამ ქოლგის გაშლა დააპირა, ვერ გაშალა, ცოტა ხანს იწვალა, მერე უცებ მოიქნია, კედელს მიანარცხა.

— რა დაგემართა? — ჰკითხა ადამმა.

— არ მინდა! აღარ მინდა... აღარ!— იყვირა მამიამ.

— ბარემ ჩემთვის ჩაგერტყა თავში, —თქვა ადამმა ჩუმად,—ხომ ასე გინდოდა მაინც.

— აღარ მინდა, აღარ, აღარ მინდა, გესმის?

— მესმის... არც ისე დიდია ქვეყანა, შენ რომ გგონია...

— რა გინდა მაგით თქვა

— მოვძებნი...

— არა!

— რა სთქვი?

— თავი დაანებე... ცოდოა.

— მე?

— შენ რა გჭირს შესაცოდი?—გაბრაზებული იყო, თორემ ადამი როგორ არ ეცოდებოდა.

— კარგი, — თქვა ადამმა, მერე ორივე ხელი პირთან მიიდო და დაიყვირა: ეჰე-ჰეი!

მამია შეკრთა:

— ადამ?

—გესმის? — მოუბრუნდა ადამი.

— რა? — უაზროდ შეეკითხა მამია.

— მელოდება! — უთხრა ადამმა და ჩქარი ნაბიჯით გაშორდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ზურაბ ლორთქიფანიძე

## სიმღერა ლენინის დღეებზე

ამ ქვეყანაზე
ლენინი რომ არ ყოფილიყო,
არ ვიქნებოდი
ცოცხალი არც მე.
ძალმომრეობის
მქუხარე ექო
გადამჩეხავდა
აკვნიდან სადმე.
ყოფნას-არყოფნას,
ჩემსას, მარტო
ვინ, რად ინატრის,
აბა, ვის რაში
ეპიტნავება:
მაგრამ ცხოვრება ჩემი პირადი
მილიონების
გზას ეთანხმება.
ამიტომ ვბედავ
ვწერო ჩემზე,
ჩემს პირადულზე,
იმ ნაცნობ გზაზე,
იმ ნადურზე,
იმავ ჰალაზე; —
სადაც კორტოხზე
დავბადებულვარ,
წესი დამიცავს;
მეც მიტირია,
მითამაშნია ბავშვისებურად,
ფეხშიშველს ველი დამითელია.
ეზო, ილოცხლე,
კარგი რამ გვქონდა,
იდგნენ ხეები დარდიმანდები.
სიო მოჰქროდა,
სიო მოჰქროდა,
ნასათუთარი,
ნახავერდები.
დაბურულ ტევრში
ჩაფრენილი ყვავივით ჩანდა,
ჩვენი ქოხმახი.
ავდარში ქარი
ჩაგვიქრობდა
ჭრაქსა თუ სანთელს,
არავინ ჩანდა,
არავინ ჩანდა
მკითხავ-ქომაგი.
სერზე ამგვარად
შეყუჟულნი,
უსუსურები,
ვთრთოდით,
არავის ჰქონდა ქვრივ-ობლების
დარდი სრულებით.
სოფელში ამ დროს
იყო დიდი გაწა-მაწია.
რევოლუცია
მოდიოდა მძიმე ჩექმებით.
ბევრი მშიშარა შორს გაიქცია,
ბევრი შემოხვდა შესხმა-შექებით.
ამ დროს
ბევრი რამ სწყდებოდა კიდევ,
უსაზღვრო ქვეყნის
კიდითი კიდე:
დროთა სასწორის თეფშებზე იდო
ქოხმახები და
სასახლეები:
ლენინი იდგა სასწორთან თვითონ,
სწონიდა მართლად,
მართალ ხელებით.
რევოლუცია შეამზადა
საუკუნეთა;
ცრემლმა,
სიშიშვლემ,
შიმშილმა და სულ დამცირებამ.
ლენინმა
ხალხთა გულის ფეთქვას
მიაყურადა,
ერთ დღეს იფეთქა შურისძიებამ.
რევოლუციის რიყრაყის ზვავში

ვჩანდი უმწეო ბალახის გვარად.
ხელი მომკიდა ლენინმა მაშინ
და დიდ ქალაქში ჩამომიყვანა.
გარიჟრაჟზე ხმა საყვირის
ქალაქს სძრავს და აღვიძებს.
ვშფოთავ საბანგადახდილი
დედის შემკრთალ ნაბიჯზე.
არ ვიცოდი ბავშვმა შიში,
მივყვებოდი სინათლეს.
ყოველივე გასაჭირში
მე ლენინი ვინატრე.
მარიგებდა და მშველოდა
ცხოვრებაში ყოველ წამს.
წვიმიანი დღის ჩეროდან
მზეში გასვლას მოვესწარ,
ნათდებოდა ჩემი სახე,
მაღლა-მაღლა ვფრინავდი.
სწორდებოდა ქვეყნის საქმე,
ჩემი საქმეც პირადი.
სრულდებოდა დაპირება
ლენინური გზნებითა.
მზეზე ქვეყნის გაბრწყინებამ
ქვეყნის მტრები შებინდა,
ყიჟინა და გატაცება
გვახლდა ახალგაზრდობას,
იმ ოცნების ვარდთა წყებამ
არასოდეს დაგვტოვა.
ჩემი ბედიც ქვეყნისაზე
გადაწნული ყოფილა,
ყოველ წამში ყოველ გზაზე,
მკვეთრად, კეთილშობილად.
ჩემს ქვეყანას მოვსდევ მტკიცედ,
მხედრულ შემართებითა,
მინდვრებზე და მაღალ მთებზე
დაღმართ-შეღმართებითა.
მოვსდევ, განა დამიწუნებს,
სათაყვანო ქვეყანა.
ერთ დღეს გავჩნდით ორთავენი,
ერთად ფეხი ავიდგით.
მოთავენი, მოთავენი
ცისარტყლური ამინდის.
ის ბავშვობა მშფოთვარ ხიდთან
სადღაც დამრჩა გადაღმით.
მინდვრებიდან,
ოთახიდან
ცხოვრებაში გადავხტი.
ო, ამნაირად დაიბადა დედამიწაზე
თავისუფალი ეს დედამიწა.
რევოლუციის პირველ სისხამზე
შეგვადუღაბა ერების ფიცმა.
ახალ პლანეტის გამოჩენას უდრიდა
მაშინ
ჩვენი ქვეყანა, მართლაც, ვარსკვლავს
დანატოლები.
ვარაუდობდნენ კატასტროფას
უახლოესში
პოლიტიკური ასტრონომები.
თუ ცოტა ვარგხარ, მიდი, ივარგე.
უფლება არ აქვს
დღეს კაციშვილს
დაგხიოს უკან;
თუ ხარ მართალი,
სახელმწიფო კანონი გიცავს.
გაიფართოვე თვალების გუგა,
ყოველდღიური წვრილმანები
გაჩხრიკე,
იცან.
აღმოაჩინე
შენი თავი უპირველესად,
რაც შეგიძლია,
გაერკვიე უფრო ყველაზე!
მე ვმღერი, ვმღერი
ჩუმი ალერსით
მაღალ ლენინურ უფლებაზე,
ჩემს უფლებაზე.
მე, როგორც ზემოთ მოგახსენებდი,
ბავშვობა განვვლე მშობელის
მადლით.
ღია ფანჯრიდან ფერთა მშვენებით
შუა ცხოვრების ზღვაში გადავხტი.
რა ელვა კრთოდა, რა გაქანება,
ერთი ცხადია,
სიცხადის ზარი
რეკავს და რეკავს, ვილი და ვუცდი.
ცხოვრება უფრო აღმოჩნდა
მძლავრი,
ჩემი სიტყვა კი ათასჯერ სუსტი.
ვერა, ვერ გავსჭერ,
სიტყვას ბრმად ვენდე.
მე ამ სატკივარს არ ვტოვებ ღიად.
მსურს ლენინურად,
აზრიანად სტრიქონებს ვწერდე,
მიზანში
სიტყვა
მოვახვედრო ატომურ ტყვიად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნარკვევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ვიქტორ კერნბახი

# ყინვარებისა და ნარინჯების ქვეყანა

„მნათობის“ ამ ნომრიდან ვიწყებთ ვიქტორ კერნბახის მხატვრული ნარკვევის — „ყინვარების და ნარინჯების ქვეყანა“ — ბეჭდვას.

ამ ნაწარმოებში ავტორი თავის თანამემამულეთ აცნობს საქართველოს — მის ბუნებას, ისტორიულ წარსულს, მიმდინარე სოციალისტურ მშენებლობას, ქართულ ლიტერატურას და ხელოვნებას.

ეს ვრცელი ნარკვევი რამდენიმე წლის წინათ ცალკე წიგნად გამოვიდა რუმინულ ენაზე.

ვიქტორ კერნბახი საკმაოდ ცნობილია ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის, როგორც ქართული მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელი, ქართული ხელოვნების, კულტურის მცოდნე და პროპაგანდისტი.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ვიქტორ კერნბახმა რუმინულ ენაზე თარგმნა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და მის მეორე გამოცემას წაუმძღვარა ვრცელი წინასიტყვაობა, სადაც ავტორმა, სხვათა შორის, მოგვცა რუსთაველის პოემის მხატვრული ანალიზის და მისი გმირების მორალურ-ფსიქოლოგიური დახასიათების ფრიად ნაყოფიერი ცდა. „ვეფხისტყაოსნის“ რუმინული თარგმნისათვის წამძღვარებული ამ წინასიტყვაობის ქართული თარგმანი გამოქვეყნებული იყო „მნათობის“ 1962 წლის მე-5 ნომერში სათაურით „როცა რუსთაველს კითხულობ“. გარდა „ვეფხისტყაოსნისა“ ვ. კერნბახს თარგმნილი აქვს დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის და სხვა ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების ნიმუშები, აგრეთვე, გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტების — გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ირ. აბაშიძის, გრ. აბაშიძის და სხვათა ლექსები. ვ. კერნბახს შედგენილი და რუმინულ ენაზე გამოსაცემად მომზადებული აქვს ქართული პოეზიის ანთოლოგია უძველესი დროიდან დღემდე. ვ. კერნბახმა თარგმნა და გამოაქვეყნა ქართული ხალხური ზღაპრების კრებული. რუმინულ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდება ვ. კერნბახის სტატიები და ნარკვევები ქართულ ხელოვნებაზე—მხატვრობაზე, მუსიკაზე, პოეზიაზე, ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენებზე.

ვ. კერნბახი ქართველი ხალხის და საქართველოს გულწრფელად მოყვარული მრავალმხრივი მწერალია, რომელიც იშვიათი გულმოდგინებით და ენთუზიაზმით ემსახურება ჩვენი კულტურის პოპულარიზაციას, ქართველი და რუმინელი ხალხების სულიერი დაახლოვების კეთილშობილურ საქმეს.

ნარკვევი „ყინვარებისა და ნარინჯების ქვეყანა“ — თარგმნა მწერალმა **რევაზ ჯაფარიძემ.**

## ოქროს საწმისის საძიებლად

სიყმაწვილეში ვის არ უნატრია იდუმალებით მოცული უცხო მხარეების მონახულება. ვიდრე განვლილი წლები ისევე აირეკლებოდნენ ჩემს თმაში, როგორც ცაში გამოკიდებული მთვარე იჭვრიტება ტბის ფსკერიდან, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ მინატრია აუხდენელი ოცნების განხორციელება. ხანდახან რუკებისა და ატლასების საშუალებით ვმოგზაურობდი, ხან მხოლოდ ოცნებით შემოვივლიდი ხოლმე დედამიწის ზურგს. პრერიებისა და ციური სივრცეების ხილვის ჟინი მოსვენებას მიკარგავდა, ზღვის თვალის შევლება მწყუროდა და მერე როგორ!

ერთხელ ბუქარესტში ანთიმოზის ეკ-

ლესიის წინ გავჩერდი. სასწავლებელში გაგონილი ამბები, როგორც წესი და რიგია, არ დამიმახსოვრებია, მაგრამ ანთიმოზ ივერიელის ნახარატევი კარის ნახვამ ჩემი ყურადღება მიიქცია. შემდეგ შევიტყვე, რომ კარი თვით მიტროპოლიტის ნახელავი იყო. ძალიან მომინდა იმის შეტყობა, თუ ვინ იყო ეს სასულიერო პირი, ძალზე შორეულ წარსულში მცხოვრები, კაცი პატივდებული და ფრიად გაწაფული ამგვარ საკვირველ ხელოვნებაში.

აქამდე გამეგონა, რომ მიტროპოლიტებს თვალი და ყური სულ სხვა მხარეს გაურბოდათ. ერთ მშვენიერ დღეს ხელში ჩამივარდა ქადაგებანი, სადაც, როგორც კი შეიძლებოდა, გულმოდგინედ, მოთხრობილი იყო ივერიელის საიდუმლო ცხოვრების ამბავი. პირველად ამ ამბავმა ჩამინერგა გულში შორეული საქართველოს ნახვის სურვილი და ეს სურვილი დაუოკებელ ოცნებადაც მექცა. გაგებით ბევრი ვერაფერი გავიგე. თურმე პრომეთეოსი საქართველოში იყო კლდეზე მიჯაჭვული. საქართველოშივე იმოგზაურა იაზონმა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. საწმისი მან საბერძნეთში ჩამოიტანა, თან მოიყვანა მშვენიერი მედეაც...

ოცნების რაშზე ამხედრებას მეტი არც არაფერი სჭირდება. საქართველო გამოუცნობ ქვეყანად დამესახა.

მაგრამ შემდეგ, როცა შოთა რუსთაველი წავიკითხე და მის ქმნილებას საუკუნეების სიღრმეში მივუბრუნდი, როდესაც ენციკლოპედიებს ვაამბობინე, რა შეემთხვა საქართველოს არგონავტების ლაშქრობის შემდეგ, რა მოუტანა მას ოქტომბრის რევოლუციამ, ოცნება კიდევ უფრო ცხოველი გახდა. „ვეფხისტყაოსნის“ რუმინულად აქლერებას ხუთი წელიწადი მოვანდომე. მთელი ამ ხნის მანძილზე თავს საქართველოში ვგრძნობდი, მაგრამ შემდეგ, როდესაც ეს საოცნებო ქვეყანა საკუთარი თვალით ვიხილე, მივხვდი, რომ ადრე მხოლოდ მის ახლომახლო ვყოფილვარ...

სიყრმის სანუკვარ ოცნებას ფრთები ყოველთვის როდი შეესხმის ხოლმე. შესაძლოა, ცხოვრება ისე უკუღმართად წაგივიდეს, რომ სულ თავბედი იწყევლო. მაგრამ ზოგი ოცნება მაინც ახდება ხოლმე. ადრე იქნებ გულუბრყვილოდ გწამდა, რომ ცხოვრება თვითონ მოვიდოდა შენს წასაყვანად, ხელს ხელში ჩაგკიდებდა, მაგრამ შემდეგ, როცა ბავშვობა და ყრმობა უკან დარჩენილა, შენ თვითონ ჩაგიკიდია ხელი საკუთარი ბედისათვის და იქით წაგიყვანია, საით წასვლაც მას აზრად არ დაებადებოდა...

მოკრძალებული ოცნება ნელა და თანდათანობით იზრდება, აღწევს მოწიფულობის ასაკს და ბიოლოგიური კანონების ძლევამოსილებას თითქმის ისევე განიცდის, როგორც თვით მეოცნებე ადამიანი. ამგვარი ოცნება უცებ ახდება ხოლმე. ოცნების განხორციელებას წინათგრძნობა გკარნახობს, მაგრამ იგი. ოცნება, მაინც უსწრებს წინათგრძნობას...

სწორედ ასე ვოცნებობდი მეც ყინვარებისა და ნარინჯების ქვეყანაზე, საქართველოზე, ასე მოთმინებით და გულდინჯად ველოდი მის ხილვას და ამ კურთხეული ქვეყნის მიწაზე მაინც მოულოდნელად დავადგი ფეხი.

აი, როგორ მოხდა ეს: 1957 წლის ზაფხული იყო. მე პასპორტი და ბილეთი ავილე. ერთხელ კიდევ გადავათვალიერე საგზაო ნივთების სია. გზაზე დამდგარი გაკეთებით უკვე აღარაფერს ვაკეთებდი და მოუსვენრობა მიპყრობდა. ამ მოუსვენრობას იქნებ პაპანაქება სიცხეც აძლიერებდა, მაგრამ ვგრძნობდი: ის სხვა მღელვარებით იყო გამოწვეული. ძველისძველი ოცნება მიცხადდებოდა და გაურკვეველი, ძარღვებში ჩაღვრილი სიხარული თანდათან მთელ ჩემს არსებას იპყრობდა.

რასაკვირველია, ბავშვივით გახარე-

ბული ვიყავი, რომ ბოლოსდაბოლოს გამგზავრების ჟამმა დაჰკრა. ამისთანა მოგზაურობაზე ხომ სიყრმიდანვე ვოცნებობდი, მაგრამ ეს მოგზაურობა მაინც განსაკუთრებული იყო. იქნებ იმიტომაც, რომ პირველად მივეშურებოდი საზღვარგარეთ? ან იქნებ იმიტომ, რომ ახალგაზრდობაში, როდესაც ოცდაათი წლისა გავხდებოდი, მეგობართან ერთად ვაპირებდი მოგზაურობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ახლა ამ ასაკს გადაბიჯებული, მარტოდმარტო დავადექი უცხოეთის გზას? ან შესაძლოა იმიტომაც, რომ ჩემიანებს, მშობლიურ მიწა-წყალს ვშორდებოდი?

არა , რასაკვირველია, სინანული როდი მიპყრობდა. სინანული აბა აქ რა მოსატანი იყო! მაგრამ ცოდვა გატეხილი ჯობს: უკან მაინც რაღაც მეწეოდა, ეს იმ დროს, როდესაც სხვა, უცნობი ძალა წინ, იდუმალი ქვეყნისაკენ მეზიდებოდა.

მე ხომ გზა იმ ქვეყნისაკენ მედო, რომელზედაც თვით ბერძნები ოცნებობდნენ თავიანთ ყველაზე უფრო წარმტაც ლეგენდებში. მას უმღერეს და ქებათაქება შეასხეს უდიდესმა ელინელმა პოეტებმა. შესაძლოა, ჩემს მიერ წაკითხულმა გეოგრაფიულმა ინფორმაციამ კიდევაც დააჩქარა გამოცანის სრბოლა ოცნების გარშემო?

კიდევ ცოტაც და, ვაგზალს მივაშურებ. ამისთანა დროს კაცი, რასაკვირველია, ემზადება სამგზავროდ, დაკვირვებით სინჯავს ჩემოდნებს, ნაცნობ-მეგობრებს და ნათესავებს ურეკავს, შვილებს გულში იხუტებს... მე კი რა ვქენი? თაროდან გადმოვიღე პინდარის ოდა არკესილაოსისადმი და სულმოუთქმელად გადავფურცლე იმ ადგილის მოსაძებნად, რომელიც ახლა გაცილებით უფრო მაინტერესებდა, ვიდრე რომელიმე სხვა წიგნი ამ ათასობით სხვა წიგნთაგან, კედლებზე გადებულ ნაძვის ფიცრებს რომ ღუნავდნენ.

ვიპოვნე! მე კარგად ვიცოდი, რას ამბობს პინდარი მეოთხე პითიურ ოდაში. ვიცოდი, რომ იაზონს, როცა მან კოლხეთის ნაპირებს მიაღწია, შეუყვარდა მედეა, კოლხეთის მეფის აიეტის უმშვენიერესი ასული. ტროფებით აღჭურვილ ვაჟკაცს აფროდიტემ აღუთქვა, სატრფოს მოგიჯადოებ, რათა მან თავისიანების წინაშე სირცხვილს სძლიოს და გულს ელადის ნაღველი წაეკიდოსო. ცოტა უფრო გვიან მედეა და იაზონი გულებს შეაერთებენ სულზე უტკბესი ქორწინებით...

და აი, უცებ ბოლო მოეღო ჩემს უსაგნო წრიალს. უკვე დადგა წამი მატარებლის დაძვრისა.

რუმინული მატარებლის ფანჯრიდან, უნგენამდე, მშვიდად გავყურებდი მწვანე და სიყვითლეშეპარულ მინდვრებს, ხოლო მას შემდეგ, რაც საბჭოთა მატარებელში გადავჯექი, ოდესისა და დონის როსტოვის მიდამოებში თვალწინ გადამიშალა ტრამალების განუმეორებელი სანახაობა და უმალვე გამახსენდა გოგოლი.

მოგზაურობის მეხუთე დღეს (თითო დღე ოდესასა და როსტოვში მოგვიხდა შეჩერება) მატარებელი, ამჯერად უკვე უკვამლო, ელმავალჩაბმული, მარცხენა ვვერდით უზარმაზარი მთის კედელს გაეკრა, ხოლო მარჯვენა გვერდს ზღვის ნაპირის გასწვრივ მიაქანებდა. გამოჩნდნენ სუბტროპიკების პირველი მახარობელი კიპარისები. მაღალ-მაღალი, ტანწვრილი ხეები, ხავერდოვანი მომწვანო ფერისა, წვერწამახული ტოტებით მიწას ეხებოდნენ. ვგრძნობდი, რომ ჩემს წინაშე უკვე საქართველო იყო და მოუთმენლობის ცეცხ-ცხელებამ, რომელიც გამომგზავრების წინ შემეყარა, ხელახლა ამაძაგძაგა.

სოჭი უკან დარჩა და მე უკვე საქართველოს ცისქვეშ ვიყავი.

საშუადღეოზე ასული უზარმაზარი მზის შუქი ანათებდა პირველ ქართულ წარწერებს, რომელთა თვითეული ასო მრგვალად გამოეყვანა მხატვრის ხელს, რაც უსათუოდ სამყაროს სფეროსებური წარმოდგენის ნიშანი უნდა იყოს. მარცვალ-მარცვალ კითხვას შევუდექი. ჯერ კიდევ უცნობი ენის ბგერების ჟღე-

რადობას ვარკვევდი და გულს სიხარული მიფრთხიალებდა, რომ შემეძლო ამომეკითხა დედამიწის ყველა სხვა ხალხის დამწერლობისაგან ესოდენ განსხვავებული ქართული ანბანი.

ერთ-ერთი სადგურის ბაქანზე, კვირადღეს, რამდენიმე ტანშოლტილი ყმაწვილი კაცი დავინახე. ყველას ხუჭუჭი თმა და მზით განათებული თეთრ-ყირმიზა სახეები ჰქონდა.

მაშ მე არკადიაშიც მივსულვარ! ჩემს წინაპართაგან კიდევ ვინ იყო აქ? იქნებ არც არავინ. კიმერიელები ევქსინის პონტოს ნაპირ-ნაპირ დაიარებოდნენ დაკიიდან კავკასიამდე და შეიძლება მეც მათგან დამრჩა მემკვიდრეობად ეს ფაქიზი კმაყოფილება, რომელიც ყოველთვის მიპყრობს ბალღობიდანვე ნაოცნებარი ადგილების ხილვისას.

აქ ხშირად მოდიოდნენ ბერძნები. ქსენოფონტე „ანაბაზისში“ ამბობდა, რომ მისმა ბერძნებმა კოლხელთა სოფლებში ოცდაათი დღე და ღამე გაატარეს. მაგრამ იქამდე ჯერ შორია!

ჰეროდოტე თავს ნებას აძლევს ისეთი დეტალები მოიხსენიოს, რომელთა გამოყენება ისტორიკოსის საქმეში ჩახედულებაზე მიუთითებს. „ფალუს-მეტისიდან ფაზისამდე, კოლხეთის მდინარემდე, — ამბობს ისტორიის მამა,— კარგი მოსიარულისათვის სამი დღის სავალი გზა თუ იქნება“. იგივე ჰეროდოტე მოგვითხრობს კოლხელთა ქვეყნებში ელინელების რამდენიმე ადრეული მოგზაურობის ამბავს.

ბევრ ვინმეს მოუვლია ეს ადგილები იაზონიდან ვიდრე ჩემამდე, მაგრამ მე ის ისე სასწაულებრივი მეჩვენება, რომ ასე მგონია, თითქოს კოლხეთი პირველს მე აღმომეჩინოს.

მგონი რიონის ხიდს გადავდიოდით, როდესაც ვაგონში მგზავრი გავიცანი. თუმცა აქამდე კითხვით არაფერი მკითხავს, მე მას გულში ქართველად ვთვლიდი. გულღია, მეგობრული კაცი ჩანდა. როცა გაიგო, რუმინელიაო, სიხარულისგან სახე გაუბრწყინდა.

— ჩვენთან თავს ისე იგრძნობთ, როგორც საკუთარ ჭერქვეშ. რუმინელებს და ქართველებს რაღაც საერთო ნიშნები გვაქვს. იცით, ლომი რომ ჩვენც გვიყვარს?

თქვა ეს მან და მხიარულად გაიცინა. მერე ნათქვამს ისიც დასძინა, ომამდე სხვა ქართველებთან ერთად, ბუქარესტის რადიოს ვუსმენდი ხოლმეო. თურმე ნუ იტყვით, ქართველებს უყვართ ჩვენებური სიმღერები. როგორც ჩანს, ფანიკა ლუკის სალამურმა, გრიგორაშ დინიკუს ვიოლინომ, მარია ტენასეს სიმღერამ ჩემი სამშობლოს ხმები შემოიტანა კავკასიაში!

ახლადშეძენილ ქართველ მეგობარს ჯორჯ ემინესკუს სახელიც გაგონილი ჰქონოდა. იცოდა მიხაილე ემინესკუც, აკადემიკოსი კონსტანტინე პარხონიც, რასაკვირველია, ანთიმოზიც. მკითხა, ვის სტუმრად მობრძანდებით საქართველოშიო. რუსთაველის სტუმრად-მეთქი, ვუპასუხე.

თვალი ფანჯრისაკენ გავაპარე. თუმცა ივნისი იყო, სიმწვანე ისე ხასხასებდა გარეთ, გეგონებოდა, გაზაფხული შემოგვიბრუნდა, მაისის დამდეგიაო.

მეგობარს ანთიმოზ ივერიელი ვუხსენე. ვუთხარი, თუ როგორ სათუთად ვინახავთ რუმინელები მის წმინდა ხსოვნას, თან სიამოვნებით გავიფიქრე იმ დიდ ურთიერთგაცვლაზე, რომელიც ჩვენმა ორმა ხალხმა ორნახევარი საუკუნის წინათ მოახდინა.

— თქვენ ანთიმოზი მოგვეცით, ჩვენ კი მიხეილ შტეფანოვიჩი გამოგიგზავნეთ, პირველი თქვენი მბეჭდავი, რომელიც აქ მიხეილ უნგროვლახელად არის მონათლული.

შტეფანოვიჩი უნგროვლახელი მიტროპოლიტის მოწაფე იყო, თვით სახელი „უნგროვლახეთი“ კი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ პატარა კუთხეს ერქვა. ვიდრე ქართველთა პირველ მბეჭდავს ჯერ ისევ შტეფანოვიჩად იხსენიებდნენ, აი, რას სწერდა ის თავის მასწავლებელსა და მოძღვარზე ანთიმოზ ივერიელზე: „ვითარცა ძვირფასი თვალი პატიოსანი, თავისი ქვეყნიდან წამოღებული

და ჩვენს მხარეში მოხვედრილი, გასასყიდად ოქროს ძეწკვით დაკიდებული, ისე ელვარებ შენ, სხივო მბრწყინავო“.

მე არა მგონია, თითქოს ხეირიანი რუსულით მეთარგმნოს შტეფანოვიჩის ფაქიზი რიტორიკული ფრაზა მატარებელში გაცნობილ ქართველისათვის. ისიც დიდი ბედნიერებაა, მიახლოებითი თარგმნა და აზრის გადმოტანა თუ მაინც მოვახერხე. ასე იყო თუ ისე, ქართველმა მაინც იგრძნო იგი. კმაყოფილი იყო და თავშეკავებულად იღიმებოდა. მერე მკითხა:

— შოთა რუსთაველმა თუ იცოდა ნეტა რუმინული?

უხერხულობას ვძლიე და ვუპასუხე:

— განსაზღვრული გაგებით კი.

წიგნი ამოვიღე და ვაჩვენე. ქართველმა წიგნი გამომართვა და დაიაზებით გადაფურცლა. გამიკვირდა:

— თითები რატომ გიკანკალებთ, მეგობარო, თქვენი პოეტის წიგნის გადაფურცვლისას?

— თვითონაც არ ვიცი... — მან დამნაშავესავით გაიღიმა. შემდეგ, ცოტა არ იყოს, სიამაყით მითხრა. რომ შარშან თბილისში ემინესკუს ლექსების ქართული თარგმანები გამოვიდა. ეს ამბავი ვიცოდი, მაგრამ მაინც გამეხარდა, რადგან ამას მეუბნებოდა ადამიანი, რომელიც არც მწერალი იყო, არც კრიტიკოსი და არც ბიბლიოგრაფი.

კიდევ რამდენიმე საათიღა დაგვრჩა თბილისამდე. ახლა ორივეს ვიწროდ გვეჩვენებოდა ჩვენი კუპე. გული ფართო სივრცეებს ესწრაფვოდა.

ვაგონ-რესტორანში ქართული ღვინის ჭაშნიკი გავსინჯე. ამბობენ, ღვინო მეგობრობის წამალიაო. გურჯაანის ზვრებში მოყვანილმა ამ ღვინომ, რომლის სახელი აქამდე ამბად გამეგონა, ელვარება შემატა დიდი ხნის წინათ ჩასახულ მეგობრობას. პირველი ჭიქა ღვინო უკვე დალეულია. განმტკიცებულია პირველი მეგობრობა...

შუაღამისას თბილისში შევედით. მომდევნო დილას ახდენილი ოცნების სამყაროში ნამდვილი მოგზაურობა დაიწყება.

— რამდენ ხანს დარჩებით? — მკითხა განშორებისას მეგობარმა იმ ქალაქის უხვად განათებულ სადგურში, სადაც მიხეილ შტეფანოვიჩი მაშინ ჩამოვიდა, როცა მატარებლები ჯერ კიდევ არ იყო.

— ვერ გეტყვით. შეიძლება, რამდენიმე კვირას დავრჩე.

სტუმრობამ შვიდ კვირას გასტანა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში მომუშავე მეგობრების დახმარებით მე იმაზე ბევრად მეტი რამ ვნახე და გავიცანი, ვიდრე აქ ჩამოსვლამდე მოველოდი. თითქმის ყველაფერი ვინახულე ამ ბედნიერ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, ისიც, რაც თვით ქართველი ხალხიდან მომდინარეობს და ისიც, რაც საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობითა და ერთობით შექმნილა. სულგანაბული ყურს ვუგდებდი საუკუნეების განმავლობაში ომით დაქანცულ ციხე-სიმაგრეთა ქვების ღაღადისს და, ამავე დროს, ჩაქუჩ-ნამგლითა და წითელი ვარსკვლავით დამშვენებული ალისფერი ალმების ტკაცუნიც მესმოდა.

შინ დაბრუნებულს იმგვარი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჯადოსნური სიზმრის შემდეგ გამომღვიძებოდეს. საკუთარი თვალით ნანახი და ყურით გაგონილი ოჯახის წევრებსა და ნაცნობ-მეგობრებს წვრილად მოვუყევი, მაგრამ მოგონებათა ამ წვრილ-წვრილმა ნაკადულებმა ვერ დაიტიეს ნანახ-განცდილის მღელვარე ზვირთები. ანთიმოზიც ასე ამბობდა: „ნუ გამოხვალ ეკლესიიდან ხელცარიელი. ვენახში შესულ ზღარბივით მოიქეცი. ზღარბი ჯერ თვითონ გაძღება ყურძნით, მერე ვაზს მოეჯაჯგურება, მარცვალს გააყრევინებს, ბოლოს ზედ მარცვლებზე გადაგორდ-გადმოგორდება, ეკლებზე დაისხამს და თავის შვილებს წაუღებს“.

როგორ შემეძლო ყურად არ მეღო ანთიმოზის რჩევა-დარიგება და ისიც ახლა, როცა მისი სამშობლო მოვიარე?

წინათ ჩვენი მოგზაურები ჩანაწერებს არ აქვეყნებდნენ. შთაბეჭდილებების ჩაწერას ხშირად სხვებისაგან სწავლობდნენ ხოლმე. ასე მოიქცა, მაგალითად, დანიკუ გოლესკუ. ყველაზე უფრო ცხად და ნათელ აზრად, რომელიც კი მოგზაურს აღძვრია, ისიც იმას, ვინც ძირფესვიანად გასცნობია ქვეყანას, სადაც უმოგზაურია და არამარტო ქეიფებსა და ნადიმებში დაუხარჯავს მთელი დრო, უეჭველად მიიჩნევთ გოლესკუს აზრს. ხსენებული აზრი გამოთქმულია მოგზაურობის შთაბეჭდილებათა წინასიტყვაობაში და მე მას მთლიანად ვიზიარებ.

„როგორ შემეძლო, — ამბობს გოლესკუ, — თვალები მქონოდა და არ დამენახა, ხოლო ის, რაც დავინახე, არ დამემახსოვრებინა, არ მომეხდინა შედარება და შედარების დროს ერთმანეთისაგან არ გამერჩია ავი და კარგი და ეს სიკეთე თანამემამულეებისათვის არ გამეზიარებინა“.

მშვენიერება ნახე? თანაც ისეთი, რაც შენი წრის ადამიანებს ძილშიც კი არ დასიზმრებიათ? მერე მალავ ამ მშვენიერებას? ჩემი აზრით, ეს ქურდობაზე უარესია. ქურდისა და ქურდობის დამფარველი ქურდთან ერთად ისჯება. ჩემი მეხსიერების მორალური სამსჯავრო, დარწმუნებული ვარ, უფრო მკაცრ განაჩენსაც გამომიტანდა. მე არ ვიცი, როგორ შეხვდებიან ამ ჩემს წიგნს მკითხველები, მაგრამ, დამერწმუნეთ, მისი დაწერით სულს რაღაც ტვირთი მაინც მოაკლდა.

რა არ ვნახე, რა არ გავიგონე ორგანივით ბგერებით სავსე და ცისარტყელასავით ფერებით მდიდარ ქვეყანაში, საქართველოში, რომელსაც ანთიმოზი ივერიას უწოდებდა, დღეს კი „გეორგიას“ ანუ „გრუზიას“ უწოდებენ.

საქართველოში გამგზავრებამდე რამდენიმე კაცს ვესაუბრე. ესენი უფრო კულტურული ადამიანები იყვნენ, ვიდრე პირიქით, მაგრამ საკმაოდ თავშეკავებული და, ცოტა არ იყოს, ურწმუნონიც—თითით თუ არ აჩვენე, რის დანახვებაც გინდა, ვერ დაინახავენ. ეჭვი მეპარება, ღირს კი ასეთი ადამიანებისათვის ანგარიშის გაწევა, თუკი ვერ ხედავენ იმას, რის გარშემოც სჯა-ბაასი გაუმართავთ? ამათ აზროვნება მოდუნებული აქვთ, მე მგონია, მორალური დასტაქარის დახმარება სჭირდებათ და ძალიან გვანან იმ ორ ბუზს ინგლისური ანეკდოტიდან, რომელსაც აქვე მოგითხრობთ, რადგან საქმეს ასე უფრო მოუხდება.

— მე ძალიან ცუდი აზრისა ვარ სპილოებზე, — უთხრა ერთმა ბუზმა მეორეს.

— რატომ?

—- თუნდაც იმიტომ, რომ სპილოებს ჭერზე სიარული უყვართ...

მე გულწრფელად ველოდი იმას, რაც უნდა მენახა და, თუმცა ასე თუ ისე მაინც ვიცოდი, რა უნდა მენახა, ნანახმა და განცდილმა მაინც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, თუნდაც სპილოებს სულაც არ ევლოთ ჭერზე.

მე იაზონის კვალს მივყევი მეორე ოქროს საწმისის მოსაძებნად. ვეძებე იგი და ვიპოვნე კიდევაც. ის ბევრად უფრო წარმტაცი სანახავი აღმოჩნდა. ყინვარებისა და ნარინჯების ქვეყანას სიყრმის წყურვილის მოსაკლავად მივაშურე. წყურვილი დავიცხრე, მაგრამ შემდეგ და შემდეგ ის კიდევ უფრო გამიცხოველდა.

ამ წიგნში მხოლოდ იმასა ვწერ, რაც ვნახე, ხოლო რაკი მე ვნახე, ვიმედოვნებ, სხვასაც დავანახო.

## ბუნების ანთოლოგია

ვის წინაშე არ წამოჭრილა კითხვა ესქილეს გაცნობის დროს: რატომ აირჩია დიდმა ელინელმა დრამატურგმა კავკასია თავისი ყველაზე უფრო კეთილშობილი გმირის განდევნის ადგილად? როგორ მოხდა, რომ ძველი ბერძნების ლე-

გენდები, სადაც პრომეთეოსის მიჯაჭვის ადგილად კავკასიონი გვევლინება, იქვე ეძებდნენ ოქროს საწმისსაც? რატომ იყო, რომ ახალი დროის მწერლებმა კავკასიაში, სიჭაბუკის ამ ამოულეველ ბინულში, რასაც წარმოადგენდნენ ეპაური პეიზაჟები, იპოვნეს ის მაგიური ნივთიერება, რომელმაც ღვთიური ცეცხლით აღანთო მათი სული და ხელს სიმტკიცე შემატა? მოვიგონოთ თომას მური ან ალექსანდრე პუშკინი, ალექსანდრე დიუმა—მამა ან მიხეილ ლერმონტოვი, კნუტ ჰამსუნი ან მაქსიმ გორკი, ან სხვა რომელიმე თვითმპყრობელი სიტყვისა, იმათგანი, ვინც საქართველოს ზღაპრულ ბუნებას მიუზიდია. მოვიგონოთ თუნდაც შოთა რუსთაველი, განსაცვიფრებელი მოვლენა ამ ადგილებისა, სადაც ზეგარდმო ნიჭით ცხებული პოეტის ჩანგი უძღერებიათ უბირ გლეხებსაც და მეფეებსაც. თუ ყოველივე ამას გავიხსენებთ, უკვე აღარ გავიძნელდება წამოჭრილ კითხვაზე პასუხის გაცემა.

ბევრჯერ წამიკითხავს, რა ლამაზია საქართველო და კითხვის დროს ყოველთვის მიპყრობდა ხოლმე უცნაური ნაღველი, მაგრამ ერთადერთი საშუალება იმის გასაგებად, რის გაგებაც მწადდა, იყო გეოგრაფიული რუკა, შესაძლოა მეგზური გეოგრაფის ხელში. დიდებული, ჩემთვის კი სავსებით მშრალი გზამკვლევი, რომელიც ყოველთვის მპასუხობდა და, ამავე დროს, კითხვას მაინც უპასუხოდ სტოვებდა. მაშინ აზრადაც არ მებადებოდა, თუ ოდესმე მთელ საქართველოს, კიდიდან კიდემდე, შევიდი კვირის განმავლობაში დავივლიდი. მაგრამ როგორი წარმოსახვის უნარით დაჯილდოებულიც არ უნდა იყოს კაცი, როგორი განსწავლულიც არ უნდა იყოს კავკასიის ქართული ნაწილის გეოგრაფიაში, მოულოდნელობებს თავს მაინც ვერ დააღწევს, თუკი ბათუმიდან დარიალისაკენ ან გაგრიდან წინანდლისაკენ მიემგზავრება.

მას შემდეგ, რაც საქართველო ვნახე, მივხვდი, რომ არსებობს ამგვარი რამ, ნამდვილად არსებობს: ბუნების ანთოლოგია! მართალია, ანთოლოგია სხვადასხვანაირია ხოლმე, ზოგი უკეთესი, ზოგიც — უარესი, მაგრამ ეს ანთოლოგია თითქოს დედამიწის ფლორისა და გეოგრაფიის უშესანიშნავეს მცოდნეს შეუქმნია, რომელიც, ამავე დროს, დახვეწილი გემოვნების მქონე ადამიანი ყოფილა.

მკითხველს აქვე ისიც უნდა შევახსენო, რომ თავადაც არა ვარ მოსული იმ უდაბნოდან, რომელსაც არც ფორმა აქვს და არც ფერი. მე შინ კარპატები და შავი ზღვა დამიტოვებია. ან ბიკოზას წყაროები დაიწუნება დუნაის დელტაში? რკინის ჭიშკრიდან ვიდრე ბარაგანამდე და დასავლეთის მთების გრეხილებიდან ტურნუ მაგურელამდე, ისევე, როგორც პრახოვის დაბლობიდან სირეტას საძოვრებამდე, მე შემოვლილი მაქვს ჩემი სამშობლოს მიწა-წყალი და ვიცი, რომ სიამაყის სრული უფლება გამაჩნია. დედამიწაზე არცთუ ისე ბევრია ერთმანეთის მსგავსი ადგილები. მაგრამ საქართველო მაინც სულ სხვანაირია, თითქოს აქამდე ნანახ არცერთ ქვეყანას არა ჰგავს.

შესაძლოა, იქ ბუნება თავისი ნამდვილი ფორმით არის წარმოსახული, შესაძლოა, მისი წარმოქმნის პროცესს თვით დიადი შთაგონება კარნახობდა, რათა ამის შემდეგ ჩვეულებრივი მიწიერი ხელოვნებით შექმნა დედამიწის დანარჩენი კუთხეები. ის, რაც საქართველოში შეუქმნია ბუნების დიდ მხატვარს, ის, რაც უნიკალურ მოდელებადაა განხორციელებული, განუმეორებელია და შემოქმედს აღარ ძალუძს მათი მსგავსის ხელახლა შექმნა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კავკასიის მთები ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალი მთებია მსოფლიოში. მთებს იქვე ეკვრის ზღვაც თავისი თვალწარმტაცი სუბტროპიკული ზონითურთ. ჰავისა და ფერთა აურაცხელი კონტრასტები აქ სიმაღლეთა განსხვავების მიხედვით იცვლება და არა სიბრტყეზე, რაც საქართველოს ბუნებას ყოვლად მოუ-

ლოდნელი ვარიაციებით ამდიდრებს და ამშვენებს, ქმნის საკვირველ მშვენიერებათ, რომლებიც, — მოდი და ნუ გაოცდები! — რაღაცით მაინც ერთიმეორეს გაგონებენ.

როდესაც ჩემს თვალწინ საქართველოს პირველი ლანდშაფტი გადაიშალა, მივხვდი, რომ გეოგრაფების ცნობები შეიძლება სხვა თვალსაზრისით გამოგადგეს კაცს, ბუნების მოყვარულს კი ეს ციფრები უფრო შიშს მოჰგვრიან, ვიდრე რაიმე დახმარებას გაუწევენ. მაგალითად, გეოგრაფიის სახელმძღვანელოს შეუძლია შეგვატყობინოს, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მდებარეობს ჩრდილოეთ განედის 41 07—43 35 და 40 01 — 46 44 სიგრძედს შორის, რომ მას კავკასიის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილი უკავია. ზედაპირი 72 ათასი კვადრატული კილომეტრი, საზღვრების საერთო სიგრძე — 1916 კილომეტრია. აქედან 308 კილომეტრი ზღვის ნაპირს გასდევს; რომ ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტი ზღვის დონიდან ათასი მეტრის ზევითაა. ვაკე მხოლოდ ცამეტი პროცენტია...

მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, რას გვეუბნებიან ეს ციფრები? ნურავინ გამიგებს ისე, თითქოს ციფრები და საერთოდ ანგარიში მეზიზღებოდეს. უანგარიშოდ აბა როგორ უნდა აღვვერიცხა დრო საათების მიხედვით, ანდა როგორ შეგვეძლო გვეოცნება, ოდესმე მეზობელ პლანეტებზე გავფრინდებითო. მაგრამ ხანდახან კაცი მოხვდები იმგვარ ვითარებაში, როცა ციფრებში კირკიტს საკუთარი თვალით დანახვას ამჯობინებ, როგორი არასრულყოფილიც არ უნდა იყოს თვალი ადამიანისა საერთოდ, და როცა ყოველ ციფრზე უფრო მეტაფორა გამოგადგება. თუ ეს ასეა, ერთი მიბრძანეთ, რა უნდა ეთქვა ჩემთვის ზემოთ მოხსენებულ ციფრებს? ნუთუ ამ ცამეტ პროცენტს შეეძლო დაენახვებინა ჩემთვის შავი ზღვის ნაპირების სილამაზე, მთელი მისი სხვადასხვაობა და მრავალფეროვნება ბათუმსა და სოხუმს შუა? ანდა განა დანარჩენი ციფრები დამანახვებდნენ დარიალის ხეობას, თბილისის ბორცვებს, მთათა მწვერვალებზე აგებული ციხე-სიმაგრეების განლაგებას, ანდა მარადიული თოვლის ბრწყინვას ყაზბეგსა და თეთნულდზე? განა შეეძლოთ ციფრებს თქმა, რას ნიშნავს, დაეშვა ქვემოთ თოვლიანი მწვერვალის კალთაზე, ჩაჰყვე ჰიუხებსა და ქარაფებს, სადაც ედელვეისის გარდა სხვა მცენარე არ იზრდება, ღრუბლების ზემოთ იმოგზაურო სახედარზე ამხედრებულმა, დაისვენო ნაძვის ან სოჭის ძირში მწყემსის ტყაპუჭზე წამოწოლილმა, მერე კი ჩაჰდე ავტომანქანაში და მოჰკურცხლო მთებში დაკლაკნილი გზით, რათა შემდეგ, მთის ძირას, კოლმეურნის ყმაწვილმა ქალმა კალათით მოგართვას ახლადდაკრეფილი მწიფე ლეღვი.

ყველა გეოგრაფზე უკეთესი გეოგრაფები, მე მგონია, პოეტები არიან. თუნდაც იმიტომ, რომ ისინი გრძნობენ ბუნების სიმშვენიერეს და შეუძლიათ დაგვიხატონ იმგვარი განზოგადების მქონე დეტალები, რომლებიც ისევე დაგვატყვევებენ, როგორც მშვენიერ ასულს შეუძლია ვაჟკაცის გულის დატყვევება. ნუ გამიწყრებიან საქართველოს გეოგრაფიის ძალიან სერიოზული სახელმძღვანელოების მეცნიერი ავტორები, რომელთაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ მათს სახელმძღვანელოებში ჩაწერილი მთელი რიგი ფრიად სასარგებლო ცნობების გამო, თუ ვიტყვი, რომ ამჯერად ყველა ამ ცნობას ლექსის ერთ სტროფს ვარჩევდი. იგი გასული საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწერა. ავტორი ალექსანდრე ჭავჭავაძე გახლავთ. აი, ის სტროფიც:

კავკასი გოლიათი წევს შორის ორთა ზღვათა,
შემოკრებით შემცველი დიდ საკვირველებათა.

მართლაცდა საკვირველებაა! ჩადიხარ მთიდან, რომლის მწვერვალზე სიცივე კბილს კბილზე გაცემინებდა, ქვემოთ კი ზღვის თბილ წყალში ბანაობ ან ნაპირზე ისვენებ და მაგნოლიებისა და

ფორთოხლის ხეების ცქერით ტკბები. საქართველოს ბუნების სადიდებლად უნდა ვთქვა, რომ თვით პოეტებსაც კი, ვინც ათასი თვალითა და ათასი ყურით არიან დაჯილდოებულნი, არ ძალუძთ, გამოთქვან თუნდაც მეოთხედი იმისა, რასაც იქ ადამიანი ყოველგვარი შუამავლის დაუხმარებლად ხედავს, როგორი გონებამახვილი და სიტყვამჭევრიც არ უნდა იყოს ის შუამავალი. სხვათაშორის, ჯობს ყოველივე საკუთარი თვალით ნახო, რადგან საქართველოში ახალ-ახალი სურპრიზები მიწის ყოველ კვადრატულ სანტიმეტრზე იჩენენ თავს. მე, მაგალითად, წარმოდგენილი მქონდა, რომ შავი ზღვა ვერაფრით განმაცვიფრებდა. პირველად ხომ არ ვხედავდი, შინაც ხომ მენახა, მაგრამ, როდესაც მისი აღმოსავლეთი ნაპირი ვნახე, უმალვე დამავიწყდა, რომ იმ ზღვის წინაშე ვიდექი, რომელშიც, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ მებანავა. აქეთა ნაპირიდან მე ის გაცილებით უფრო მომეწონა. აქ შავი ზღვა უფრო მშვიდი და თვინიერია. თითქოს თავზე წამომდგარ გოლიათ მთებს დაუშინებიათ. მოგწევიათ სადმე, თუნდ კონსტანცასთან, ჩრდილო-აღმოსავლეთის შმაგი ქარბუქი? აქ კი, ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ადგილობრივ მკვიდრთაგან შევიტყე, რომ ზამთარში ძალზე იშვიათად მოდის თოვლი.

რუმინელებს, როდესაც ზაფხულის შვებულების დროს დასასვენებლად მიემგზავრებიან, სინაში მანგალია ენატრებათ, ხოლო მანგალიაში სინანული იპყრობთ, რატომ სინაში არ გაატარეს ეს ზაფხული. მე რამდენიმე დღე დავყავი გაგრაში. ნომერი მთის მკერდში შეჭრილ დიდ სანატორიუმში მეჭირა. სიმწვანეში ჩაფლული თეთრი სანატორიუმი საყელოზე დაბნეულ ედელვეისის ყვავილს ჰგავდა. სანატორიუმის უკან მთა იყო აღმართული, ციცაბო მთა. ფანჯრიდან ხელით ვწვდებოდი ნაძვებს, ხოლო სამი მხრიდან, ფართო აივნის ქვეშ, ზღვა ტორტმანებდა.

სინადან მანგალიაში ან პრედიალოდან ვასილე როაიტში მიმავალი კაცი მატარებლიდან მატარებელში უნდა გადაჯდეს. თუ საზაფხულო [illegible] ჭიკავ-ჭიკავის დროს იყოჩაღე და „დროის სატარებელი მატარებლით" იმგზავრე, როგორც ეძახის ი. ლ. კარაჯალე, დიდი რუმინელი კლასიკოსი მწერალი, ქაშაყის ამ კოლოფებს, რომელსაც შვებულების ხალხი გადაჰყავს და გადმოჰყავს, სიხარულს ნუ ელი. ამბობენ, არ შეიძლება ცალი ხელით ორი საზამთრო დაიკავოო, საქართველოში შეიძლება. გაგრაში მთიდან ვეშვებოდი და ზღვასთან ჩავდიოდი... ლიფტით. ოზონით სავსე სასტუმროდან პირდაპირ პლაჟის პაპანაქებაში!

ეს პაწაწინა ქვეყანა თავისთავში ყველაფერს იტევს. თუნდაც სხვა არაფერი ყოფილიყო, გარდა ზღვისა და მთებისა, აგრე მგონია, თვალმშვენიერი საქართველოს მიწა-წყალს ანთოლოგიიდან მაინც არ ამოიღებდნენ. მაგრამ საქართველოს სხვა სურპრიზებიც მოეპოება. აქ ბევრი მდინარეა, წყნარიც და დაუდეგარიც. ისინი სხვადასხვა მხარეს სერავენ ქვეყანას და ანკარა ტბებთან ერთად მზის სხივებზე ბრწყინავენ. ბუნებას მოსჩვენებია, ეს ცოტააო და კიდევ და კიდევ, ახალ და ახალ მდინარეებსა და ტბებს ქმნის, ქმნის თვითონ, ადამიანის დაუხმარებლად, ისევე, როგორც ადამიანი გადააკეთებს ხოლმე ბუნებას თავისი ნება-სურვილის მიხედვით და ნებართვას არავისაგან ღებულობს.

საქართველოს მშვენიერი ბუნება თვით იღწვის საკუთარ სრულყოფილებისათვის. ის ძალიან დიდ მოთხოვნილებას უყენებს თავისთავს. ასე მოუვიდა, მაგალითად, რიწის ტბას, რომელიც გაგრის მახლობლად მდებარეობს და, მგონი, ერთი ულამაზესი ტბაა დედამიწის ზურგზე. ის შედარებით ცოტა ხნის წინათ გაჩნდა. მხოლოდ რამდენიმე საუკუნეა მას აქეთ გასული. ბუნებამ, ეტყობა, მოიწადინა გაესწორებინა თავისი ერთ-ერთი ნაკლი, რომლის შემჩნევა მხოლოდ კავკასიის ბუნების შემო-

ქმედი ტემპერამენტით აღსავსე მხატვრის თვალს შეუძლია.

იქ, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები მოგვითხრობენ (რიწის ტბის წარმომავლობის დასადგენად გეოლოგთა ჩარევა როდია საჭირო. რამდენიმე თაობის მეხსიერებაც თავსა გდის), იყო მაღალ მთებს შუა მოქცეული და ნაპირებ მიჭეჭყილ-მოჭეჭყილი ვიწრო ტაფობი. მთების კალთებზე ათობით ცივი წყარო და ნაკადული გადმოსჩქეფდა. ზოგი თავდაღმა მორბოდა მთის კალთაზე, ზოგიც ჩანჩქერად გადმოჰქუხდა კლდიდან და კლდისძირა კამკამა მორევში ქაფდებოდა. ოდესღაც მიწისძვრამ თუ დროის ეროზიამ მოჰგლიჯა მთას უზარმაზარი კლდე და გადასტყორცნა იგი ხეობის ერთადერთ კარში, საიდანაც იმ ათეულობით ნაკადულის წყალი გზას იკვლევდა დაბლობისაკენ. წყალი დაგუბდა. ტაფობმა ავსება იწყო. ღრუბლებმა ჩაიხედეს ტბის სარკეში, ტყეებმაც დაჰხარეს თავი და გაკვირვებულნი დააცქერდნენ წყალში ატივტივებულ თავიანთ გამოსახულებას. ახლა აქ მოდიან ადამიანები, რათა თვალი შეავლონ ირგვლივ შემოჯარულ მთებს და თავისი ელფერით ოფლმოდენილ კობალტთან მიმსგავსებულ რიწის ტბას.

მაგრამ მარტოოდენ მშვენიერების ჭვრეტით ქვეყნად თავი ვის გაუტანია! თუნდაც ამ ბუნებრივ მშვენიერებას, საუკუნიდან საუკუნეში, ადამიანმა თავისი ხელით შექმნილი მშვენიერებაც დაუმატოს. ბუნება ახალი და ახალი მშვენიერების მოწმედ გაქცევს. ახალი და ახალი მოულოდნელობის წინაშე გაყენებს, მიუხედავად იმისა, გაგივლია აქ წინათ თუ არა. რამდენჯერ უნდა წაიკითხო ჰომეროსი, რომ შეიგრძნო მისი ხელოვნების მთელი სიფაქიზე? მე ერთხელ გავიარე საქართველოს სამხედრო გზაზე, ფასანაურის მიმართულებით და ვერ შევნიშნე წარმტაცი დასანახავი, მთლად ხშირი ტყით დაფარული პირამიდისებური მთა. როდესაც ეს მთა მეორედ გავლისას დავინახე, თანამგზავრებს ვკითხე, რა ქვია-მეთქი. შოფერმა უბრალოდ მომიგო: ჩვენში მაგისთანა მთა იმდენია, ყველას სახელს როგორ დაარქმევო. მერელა მივხვდი, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც ერთსა და იმავე ადგილებს ხშირ-ხშირად ხედავენ, გემოვნება ბუნების მშვენიერების შეგრძნებისა ძალიან უფაქიზდებათ და მღელვარებას მხოლოდ მაშინ განიცდიან, თუ მართლა ძალზე დიდი მშვენიერება დაინახეს. და მართლაც, არჩევანის მოსახდენად შორს როდი წავლენ...

მაგრამ ბუნებას გამოყენების თვალსაზრისითაც უნდა შევხედოთ. ეს ამბავი, მერწმუნეთ, სულაც არ ჩაგიქრობს ემოციას. ტრაგიკული განწყობის ადამიანები გარე სამყაროს, შესაძლოა, მხოლოდ სულიერად აღიქვამენ, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ბულბულის გალობას მაშინ უფრო დიდი სიამოვნებით უსმენ, როდესაც მაძღარი ხარ, ვიდრე მაშინ, როდესაც მუცელში კატები გიჭყავიან. ალბათ, სწორედ ამიტომ საქართველოს მშვენიერ ბუნებას თავისი მჭვრეტელების ფიზიკურ კეთილდღეობაზეც უზრუნია. საქართველოს ტბები და მდინარეები სავსეა თევზით. თუ აღარაფერს ვიტყვით შავ ზღვაზე, რომელიც რუმინელებისათვის დიდი ხანია ნაცნობია მოპირდაპირე მხრიდან. ასპინძასა და ვარძიას შუა, სამხრეთ საქართველოში, სადილი მწვანე მოლზე გავშალეთ, იქ გეახელით ბობოქარი მდინარის — მტკვრის პირზე შემწვარი კალმახი. კალმახი მტკვარშივე დაეჭირათ ანკესით და პირდაპირ ნაკვერცხლებზე შეეწვათ.

საქართველოს ბუნება მდიდარია და თავისი მთების წიაღში ბლომად მოეპოვება ანტრაციტი და ტორფი, რკინა და მსოფლიოში ყველაზე უფრო მაღალი ხარისხის მარგანეცი, ნავთობი, სპილენძი, დეკორატიული ქვა (ვულკანური ტუფი და მარმარილო). მთისა და ბარის ტყეებში შეიძლება კაცმა ინადიროს ბევრნაირ სასარგებლო ნადირზე: მელაზე, ფოცხვერზე, გარეულ კატაზე, კურდღელზე, გარეულ

ლორზე, ირემზე, პანტერაზე, დათვზე, ციყვზე. მთათა მწვერვალებს შორის და დაბლობებში ათასნაირი ფრთოსანი დაფრინავს. ამათგან მე, რასაკვირველია, ყველაზე უფრო ხოხობით ვარ აღტაცებული. მდინარეებსა და ზღვაში მეთევზეები იჭერენ კეფალს, ქაშაყს, თართს, კობრს, კალმახს და სხვა თევზებს, რომელთა სახელები მე ვერ დავიმახსოვრე, მაგრამ რომელთა გემო, თუკი ბედნიერება გწვევია და ერთხელ მაინც გაგისინჯია, ძნელია, კაცს დაგავიწყდეს.

საქართველოს ნოყიერი ნიადაგიდან ათასზე მეტი მინერალური წყარო ამოჩუხჩუხებს. ამათგან ზოგი ცხელია. წყაროები სასწაულებს ახდენენ, მაგრამ ორი მაინც განსაკუთრებული თვისებების მატარებელია. წყალტუბოში, ქუთაისის მახლობლად, მიწის გულიდან ამოჰქუხს სამკურნალო თბილი წყლები, რომლის აბაზანების მიღების შემდეგ ყავარჯენით მოსული ან თუნდაც საკაცით მოყვანილი ავადმყოფი შინ თავისი ფეხით ბრუნდება და, ასე გასინჯეთ, ცეკვაც კი შეუძლია.

ო, ნეტავი დაგენახათ ქართველი ვაჟკაცების ცეკვა! ამ ცეკვების შესწავლა თვით ყველაზე უფრო ღონიერ ჩვენებურ ჭაბუკსაც კი გაუჭირდებოდა. მაშინ მიხვდებოდით, თუ ამით რის თქმა მინდა.

წყალტუბოს წყაროებს რადიაქტიური თვისებები და ძალიან მდიდარი მინერალური კომპოზიცია აქვთ. სასმელი მინერალური წყლების დედოფალი ბორჯომის წყალია. იგი ბორჯომში ამოჰქუხს მიწის წიაღიდან. ცივი და კამკამა ბორჯომის წყალი ძალიან სასიამოვნოა დასალევად. ვინ მოსთვლის, კუჭის, ღვიძლის და თირკმელების რამდენ დაავადებას უხდება. მე რომ ექიმი ვიყო, მოთმინების ფიალა ამევსებოდა, სანამ ყველას არ ჩამოვთვლიდი. რაც ჩამოვთვალე, ზღვაში წვეთია იმ ურიცხვ სნეულებებთან შედარებით, რომელთა დაძლევა თოთხმეტი მარილისაგან შემდგარ ბორჯომის წყალს შეუძლია.

ჭიქა ბორჯომის წყალი ღვინის დიდი რაოდენობის ჩანთქმის შემდეგ ამნაირ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ჯერ წვეთიც არაფერი დაგელიოთ. ამ ადგილებში, სადაც ვენახები ხალხს ეკუთვნის, ხოლო ღვინო ღირსეულ მეტოქეობას უწევს და ძალიან ხშირად ჯობნის კიდევაც მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო ღვინოებს, ასეთი წყალი ჩემი აზრით, სწორედ რომ მისწრებაა. მე თვითონ გამისინჯია...

ჲაბლობები და შემაღლებები მთების წინ საქართველოში, განსაკუთრებით კი კახეთში, სადაც დიდებული ვაშლი მოდის, ვენახებითაა დამშვენებული. ქართველები საქარხნო წესით სამ ათეულამდე ღვინოს უშვებენ და ყველა ამ ღვინოს თავ-თავისი ნომრები აქვს. გარდა ნომრებისა ღვინოები სახელწოდებებსაც ატარებენ. აქ შეხვდები სხვა ღვინოებსაც, რომლებიც თავიანთი ხარისხით სამარკო ღვინოებს როდი ჩამოუვარდებიან. მათ ნომრებს არ უსვამენ.

ქართული ღვინოების გვირგვინოსანი მეფე პირველ ნომერს ატარებს და წინანდლის მკვიდრია. ფერით ის მზესუმზირის ზეთს ჩამოჰგავს, მშრალია და მაგარი, მაგრამ სმა თავისუფლად შეიძლება ისე, რომ არავითარი თავლაფის დასხმა არ მოგელის.

ბოლოსდაბოლოს, რა არ არის ამ ქვეყანაში! ბიბლია და სხვა ლეგენდები მოგვითხრობენ, თანაც სიმბოლოებისა და მეტაფორების სიუხვით, როგორ დაიბადა პირველი კაცისა და პირველი ქალის პირველი სიყვარული ახლადგაჩენილ დედამიწაზე. მე იქ, საქართველოში, ვნახე ფიჭვები, ნაძვები და მუხები, ვნახე ცაცხვები და აკაციები, აგრეთვე ვარდები, კიპარისებისა, ჭადრებისა და პალმების გვერდით... მე იქ მინახავს ქინაქინის ხე, ევკალიპტი და, წარმოიდგინეთ, ქაფურის ხეც კი. თვალს ვერა ვწყვეტდი ხორბლის ჯეჯილებს. ფეხით დავეხეტებოდი სიმინდის ყანებში, ბლის, ალუბლის, თუთის ბაღებში, თვალუწვდენელ ვენახებსა და ბამბუკის ტყეებში დასასვენებლად ჩამოვჯდე-

ბოდი ხოლმე. თამბაქოსა და ჩაის ძალიან ბევრი პლანტაცია ქვეითად შემოვიარე. ამ ქვეყანაში უზომოდ ბევრი მოდის ყველაფერი ზაფხულობითაც და შემოდგომაზეც. მწიფდება ვაშლი და მანდარინი, მსხალი და ლეღვი, ნესვი და ბანანი, ლიმონი და ბროწეული, გარგარი და კაკალი, ნუში, ფორთოხალი და ყურძენი. მაგნოლიები საქართველოში ისე ბარაქიანად ხარობენ, როგორც რუმინეთში აკაციები. მათ მოყვითალო ფაიფურისებრ ფოთლებს დინჯად არწევს მაცოცხლებელი სიო.

წყლების სიუხვე, ნაყოფიერი ნიადაგი და მუდამ თბილი მზე საქართველოში ყველაზე უფრო მრავალფეროვან მცენარეულ საფარს ქმნიან. ამ რესპუბლიკაში, სადაც ადამიანები ისევე მუყაითნი და შრომისმოყვარენი არიან, როგორც ბუნება მათი სამშობლოსი, ბოტანიკა შეიძლება კარდაკარ სიარულში შეისწავლო. არც ჰერბარიუმები დაგჭირდება და არც სამეცნიერო სადგურები, რომლებიც, მიუხედავად ამისა, მაინც არსებობენ. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ქართველები საერთოდ ძალიან გონებამახვილი და მეცადინი ხალხია. ისინი როდი კმაყოფილდებიან ბუნების მიერ მორთმეული ძღვნით. მათააგეს ავტომატიზებული ქარხნები და ფაბრიკები, გააშენეს თვალუწვდენი პლანტაციები, მდინარე იორი თბილისის ზღვად აქციეს, მოაწყეს მრავალი ბოტანიკური და სამეცნიერო ბაღი, რომელთაგან ერთი — ბათუმისა — ჩვენი პლანეტის ყველა მცენარეს უყრის თავს. ნატურალურმა ნიადაგმა რაიმე განსაკუთრებული ძალდატანების გარეშე შეისისხლხორცა და შეითვისა მსოფლიოს ყველა მცენარე. ბევრი ამათგანი ნორმალურ პირობებში ნაყოფსაც კი იძლევა, იმდენად მადლიანი და სტუმართმოყვარეა ქართული მიწა.

კავკასიიდან კარგა ხანია დავბრუნდი, მაგრამ ჩემი თავი აუარებელი მიმზიდველი ამბით სავსე კიდობნად არის გადაქცეული. გულში ილვიძებს საყვედური ჰორაციუსისადმი, რომელმაც არისტიუ ფუსკუსის ქებაში გაგვიმჟღავნა თავისი ფანტასმაგორიული და მცდარი შენიშვნა, თითქოს „ეს ქვეყანა არ სტუმართმოყვარე იყოს. ისღა მამშვიდებს, რომ რომაელ პოეტს არ უნახავს ის ადგილები, რომლებსაც ღვთაებასავით შეჰყურებდა ქვეყნად იმაზე ადრე მოსული პინდარი...

მაგრამ მაიაკოვსკი, რომელიც ბაღდადში, ქუთაისის მახლობლად, დაიბადა, და ბავშვობაც იქვე გაატარა, კარგად იცნობდა ამ ქვეყანას და ისევე უყვარდა იგი, როგორც ნამდვილ ქართველს.

ბუნებამ საქართველოში გულუხვობა გამოიჩინა და არამარტო რელიეფისა და მცენარეების მიმართ, ფაუნისა და სასარგებლო წიაღისეულის მიმართ, არამედ ადამიანების მიმართაც და დააჯილდოვა ისინი, უპირველეს ყოვლისა, სილამაზით. ამ მრავალფეროვან დედამიწის ზურგზე იშვიათად თუ შეიძლება მოიძებნონ მამაკაცები, რომლებიც თავიანთი სილამაზით მეტოქეობას გაუწევდნენ ქართველ მამაკაცებს, ანდა ქალები, რომლებიც განუმეორებელი სიტურფითა და მომხიბვლელობით შეედრებოდნენ ქართველ ქალებს. მათი სილამაზე კიდევ უფრო წარმტაცი ხდება უძველესი დროიდან მომდინარე დიდებული ყოფაქცევითა და თავისთავად ლამაზი ადათ-ჩვეულებებით.

მე დავბრუნდი საქართველოდან. თუნდ იქიდან დაბრუნებულხარ და თუნდ სამოთხიდან. ბიბლიაში სამოთხე ხშირად ბაღის სინონიმად იხმარება. ასეც იტყვიან ხოლმე: სამოთხისებური ბაღიაო. რომელიმე პეიზაჟში ყვავილების მშვენიერებით ზედმეტად აღელვებული პოეტები გულწრფელად წამოიძახებენ ხოლმე: „ო, ეს სამოთხეა!".

საქართველოში ყვავილები ყველგანაა. აჭარაში მითხრეს, რომ არის ყვავილები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ჰყვავიან. მაშ ისე გამოდის, რომ საქართველოს სრული უფლება აქვს თავი მარად მოყვავილე ქვეყანად მიიჩნიოს. განა ეს ასე არ არის?

ქართველი ქალების სილამაზე ნამდ-

ვილად ანგელოზურია. მივჩერებოდი და თვალს ვერ ვაშორებდი ტანკენარ, ჯანსაღ, ძლიერ ქართველ ვაჟებსა და ქალიშვილებს, მივჩერებოდი და ვფიქრობდი, რომ, როდესაც ადამიანმა შექმნა ღმერთი, იგი უთუოდ თავისი ქართული სახისა და მოდელის მიხედვით გამოძერწა.

ხილის, საერთოდ სურსათის და სილამაზის სიუხვე, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, სამოთხისებურია და მაიძულებს ავხსნა იოანე დამასკელის დოგმატიკა, წიგნი მეორე, თავი მეთერთმეტე, რათა ჩავიხედო ამ გეოგრაფიაში და გავიგო, ვცდები თუ არა. წმინდა მამა იოანე დამასკელი კატეგორიულად გვიქადაგებს, რომ ედემი „დედამიწის ზემოთ არის, აღმოსავლეთ ნაწილში. ჰავა იქ ზომიერია. იგი უფრო განაზებულია ძალიან ფაქიზი და სუფთა ჰაერით. ედემში დღენიადაგ, წელიწადის ყოველ დროს ყვავის მცენარეულობა. ირგვლივ დღის სინათლით შეჯერებული სურნელება სუფევს, რაიც სიმშვენიერითა და გრძნობადი სამკაულით ყოველივე ამქვეყნიურს აღემატება. ედემი ჭეშმარიტად ღვთიური მხარეა და ღირსი იმისა, ვინც ღმერთს თავის მსგავსად და ხატად შეუქმნია“. მხოლოდ უნდა დავუმატოთ, რომ იოანე დამასკელს, რომელსაც არასოდეს არ უნახავს საქართველო, ეს კავკასიური ედემი (მას ხომ სივრძეები და განედები არ დაუდგენია. ან გეოგრაფიაში მოიკოჭლებდა, ანდა ეკლესიის მამათა მიერ ტრადიციად მიჩნეულ თანმიმდევრულ უზუსტობას მიმართავდა), მიაჩნია, რომ იქ არცერთი ირაციონალური არსება არ ბუდობს (გველი, როგორც გვარწმუნებს „ძველი აღთქმა“, ცბიერი და ე. ი. ირაციონალური იყო. — ვ. კ.). მხოლოდ ადამიანია ღმერთის მიერ შექმნილი...“

წმინდა მამა იოანე დამასკელს კავკასიაში არ უმოგზაურია და არც უსიამოვნო ამბები შეხვედრია. მისთვის არ უკბენია, მაგალითად, მორიელს ამ ირაციონალურ არსებას, რომლის დაკბენილი ადამიანის განსაკურნებლად, ვიდრე ჩვენს დროში გავრცელებულ შხამსაწინააღმდეგო პრეპარატებს გამოიგონებდნენ, [illegible] იყო თვით ღვთის წყალობაც კი. წმინდა მამას არც საიდანღაც შემოღწეული ლეკი ან მონღოლი მხედარი დასხმია თავს, როგორც ხშირად ხდებოდა საქართველოში ძველ დროს. ისინი ყოვლად რაციონალური არსებები იყვნენ, მაგრამ მშვიდობიან ქვეყანას თავს ესხმოდნენ განსაკუთრებით ირაციონალურად და ყოველგვარი ეთიკური ნორმების დაცვის გარეშე. „დოგმატიკის“ ავტორს არა სწვევია ბედნიერება თუნდაც სხვა ირაციონალურ არსებებს შეხვედროდა, მაგალითად, ვეფხვებს, რომელთაგან ერთს ოთხი საუკუნის მოგვიანებით ვეფხისტყაოსანი ტარიელი შეებრძოლა, ხოლო მეორე — მონადირემ მოჰკლა ჩვენს დროში. ისე კი, თუ ყველა ამ შენიშვნას გავითვალისწინებთ, მე მიმაჩნია, რომ წმინდა იოანე დამასკელი, უკუთუ ედემის პლასტიკური აღწერის დროს საქართველოს გულისხმობდა, მართალი იყო.

მე დავბრუნდი სამოთხიდან, სადაც ადამისა და ევას გაძევების რამდენიმე მილიონი წლის შემდეგ ვიყავი. ძნელია ბიბლიას დაუჯერო, მაგრამ სოციალისტური რესპუბლიკის თანამედროვე ცივილიზაცია, რომელსაც ბუნების სიმშვენიერეც ერწყმის, რწმენას მინერგავს, რომ მიწიერი ედემი (ერთადერთი, რომლის წარმოდგენაც კი შეიძლება, ვიდრე ადამიანი სხვა პლანეტებზე გაემგზავრებოდეს) აქ იყო და, რასაკვირველია, აქვეა ჩვენს დროშიც.

სხვათაშორის ფრიად საგულისხმო ამბავია, რომ ინდოეთის ზოგიერთ ენაში, ძველთაგანვე, ცნება „ლამაზი“ და „საქართველო“ ურთიერთ სინონიმებად იხმარება. ეს გარემოება შესაძლოა ბევრად უფრო სარწმუნო და სანდო იყოს, ვიდრე სხვა რომელიმე მოსაზრება.

აზიელებს ლეგენდები უყვართ, მაგრამ არა იმდენად, რომ ცრუმორწმუნის

გულუბრყვილობით ირწმუნონ მათი ჭეშმარიტება. ლეგენდას იქ იყენებენ, სადაც თვით ყოვლად ნათელი არითმეტიკული ტერმინი ან ჩვეულებრივი მეტაფორა უძლურია გადმოსცეს სათქმელი. ლეგენდა ჭეშმარიტებას ღაღადებს ენის ერთი მობრუნებით, შთამაგონებლად და დამატყვევებლად.

მე ძალიან ბევრი, ბევრზე ბევრი ლეგენდა გავიგონე საქართველოში. ერთად თავმოყრილი ეს ლეგენდები ლიტერატურას თავისებურ ჟანრს ჰმატებენ, რომელიც იდეურად უფრო საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებზეა დამოკიდებული.

ერთ საღამოს მე არხეინად შევექცეოდი — როგორც საერთოდ შეექცევიან ხოლმე საქართველოში — ძელგ და ალოეს წვენივით გამჭვირვალე ღვინოს, თანაც მასპინძლებს ვუყვებოდი, რა ვნახე მათ ქვეყანაში და ყველაფერი როგორ მომეწონა. მოკლედ, აღტაცებას გამოვთქვამდი ამ სამოთხისებური კუთხის ბუნებრივი სიმდიდრის წინაშე. სუფრის ერთ-ერთმა წევრმა ლეგენდით მიპასუხა. თქვა კიდევაც, ძველი ლეგენდა არისო. მაგრამ ლეგენდა ყველა ძველია, ისე, როგორც ცა და დედამიწა, თხრობის მოთხოვნილება და შენივე მონათხრობით მიღებული სიამოვნება...

მე სიტყვასიტყვით მომყავს ეს ლეგენდა, როგორც ერთგვარი შემაერთებელი ხიდი ყოველივე იმის შორის, რის გადმოცემასაც შევეცადე ამ ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი ქვეყნის შესახებ და რომელსაც სიამოვნებითა და გულის აღტაცებული თრთოლვით „ბუნების ანთოლოგია“ ვუწოდე. მომყავს ლეგენდა იმის გამოც, რათა მკითხველი ეზიაროს მის გონებამახვილურ იუმორს და აგრეთვე მის ღრმა აზრს.

როდესაც ღმერთი ხალხებს შორის ქვეყნებს ანაწილებდა, ქართველები სუფრას უსხდნენ და ქეიფობდნენ (ქართული სუფრა, შეიძლება ითქვას, ორგანიზებულად მიმდინარეობს. ამ წიგნში სუფრას კიდევ დავუბრუნდები, ისევე, როგორც ხშირ-ხშირად ვუბრუნდებოდი ჩას მოგზაურობის დროს). სიყვარულით ადღეგრძელებდნენ სუფრაზე მყოფ მეგობრებს, აგრეთვე იმათაც ვისაც რაღაც მიზეზის გამო ნადიმზე მოსვლა ვერ მოეხერხებინა (თუ სადღეგრძელოები დროზე ადრე შემოილია, ამით ჩრდილი მიადგება მასპინძელსაც და ყველა იმათაც, ვინც უდღეგრძელებელი დარჩა). ამიტომ ქართველებს ქვეყნების განაწილებაზე გამოცხადება ძალიან დაუგვიანდათ. ღმერთს უკვე გაენაწილებინა ყველა ქვეყანა. — ცოტაც კიდევ, — დაუმატა ლეგენდის მთხრობელმა, — და ქართველები უმიწაწყლოდ დარჩებოდნენ. შეეხვეწნენ ღმერთს, შენი ჭირიმე, ნუ გვიზამ მაგ საქმესო. იმასაც რაღა ექნა (ვინ იცის, მოეწონა კიდეც ეს ლამაზი პატიოსანი და დიდსულოვანი ადამიანები!). ბოლოს მოწყალება მოიღო და ქართველებს უბოძა შესანიშნავი მხარე, რომელიც თავისთვის, დასვენებისა და გართობის ალაგად ჰქონდა გადანახული.

მე არ ვიცი, ვისი ფანტაზიის ნაყოფია ეს ლეგენდა. შესაძლებელია, თვით ქართველებმა შეთხზეს, ან რომელიმე მეზობელმა ერმა შექმნა იგი. მაგრამ საქართველოს ყოველი სტუმარი სტუმრობის პირველსავე დღეებში ამჩნევს ამნაირ ლეგენდაში ჩაქსოვილი სიმბოლოს რეალურობას.

ქართველები ოდითგანვე ღირსნი იყვნენ ბუნების დიადი საჩუქრისა. ამის მოწმეა ყოველი მოგზაური, ვინც კი ყურადღებით დაჰკვირვებია ქართველთა ცივილიზაციას და ხელოვნებას, რაც ქვეყნის პატრონმა ადამიანებმა ბუნების წიაღში ნაპოვნ ქვეყანას მიუმატეს.

## ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘ ᲗᲣ ᲞᲠᲝᲛᲔᲗᲔᲝᲡᲘ?

ძველი ბერძნული ლეგენდების მიხედვით, რამდენადაც კი მიხვედრა შეიძლება, მესამე ტრაგედია პრომეთეოსზე (დაკარგულად ითვლება) ესქილეს ტრილოგიიდან, თავდება იმით, რომ ტიტანი ბოლოს მაინც ურიგდება ზევსს. ამნაირი დაბოლოება ძნელია კაცს მოგეწონოს, ანდა როგორ შეიძლება მოგეწონოს მჩაგვრელისა და ჩაგრულის შეხმატკბილება! ამას გარდა, ყოველივე იმის შემდეგ, რაც ვნახე, მიმაჩნია, რომ კავკასიაში იგივე ამბავი სულ სხვანაირად უნდა დაბოლოებულიყო.

პრომეთეოსი ყველაზე უფრო საყვარელი გმირია, რომელიც ადამიანის ფანტაზიამ შექმნა და ძნელია დაიჯერო, რომ ამისთანა გმირს, ვინც უდიდესი მსხვერპლი გაიღო, ვინც ზურგი შეაქცია საკუთარ კეთილდღეობას, შეეძლოს შერიგება იმასთან, ვის წინააღმდეგაც ერთხელ და სამუდამოდ ხმა აღიმაღლა.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ პრომეთეოსი, რომელიც ზევსს შეურიგდა მას შემდეგ, რაც თავისი სხეულის მსხვერპლად შეწირვის ფასად ადამიანებს ცეცხლი მოუტანა, დიპლომატიურ თამაშს შეუდგა, რათა მეორე აჯანყება მოემზადებინა. სწორედ ამას იფიქრებ კაცი, მაგალითად, როდესაც შელის დრამის პერსონაჟის დემორგენის შეგონებას წაიკითხავ პრომეთეოსისადმი:

წინ აღუდექი, ტიტანო, ძალას მრისხანეს.
ენდე სიყვარულს!
იმედი თავად შექმნის მიზანს
თვის ნანგრევებზე.
წარბს ნუ შეიხრი, ყოყმანს სძლიე
და ეს იქნება დიდება შენი.
იყავ ლამაზი, კეთილი და პატიოსანი.
ეს ხომ ნამდვილი გამარჯვება და სიცოცხლეა!

მაგრამ, ასეა თუ ისე, გმირი, რომელიც თავის მჩაგვრელს თუნდაც დროებით და დიპლომატიური მოსაზრებით ურიგდება, სავსებით ჰკარგავს მორალურ ავტორიტეტს. ამგვარი კრიზისი არ გადაუტანია ამირანს, კავკასიის ქედზე მიჯაჭვულ გმირს, ვისი სახელიც ყოველ ნაბიჯზე მეორდება ქართულ ლეგენდებში. ჩემი აზრით, ამირანი ამოსავალი წყაროა, რომელსაც შემდეგ ელინთა ფანტაზია დაეწაფა. ლეგენდა ამირანზე თან გაიყოლეს მოგზაურებმა, ვინც ამ ქვეყანაში ოდესღაც ჩემებრ მოვიდა.

ამირანის ლეგენდა რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტით არსებობს. მოგვიანებით ყოველივე ეს ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ სამოსელში გაეხვია, მაგრამ ორიგინალები ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე გაჩნდა. ვინ იცის, ის იქნებ ქართველ ხალხთან ერთად დაიბადა. ვისაც სურს ოდნავ მაინც ჩაუფიქრდეს საქართველოს, ქართველების ისტორიას, ესე იგი ვისაც სურს შეიტყოს, თუ როგორ გაუძლო ერთმა მუჭა ხალხმა ამდენ რბევასა და შემოსევას რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში, ვიდრე, ბოლოსდაბოლოს, თავს ოქტომბრის დროშის ქვეშ შეაფარებდა, მან უსათუოდ ამ ლეგენდებით უნდა დაიწყოს.

ერთ-ერთი ლეგენდა, რომელიც ყველა სხვა ვარიანტის უკეთესი დეტალებით არის შევსებული, გალექსილია და სწორედ ეს არის ქართული ეპოსი „ამირანი“. მას ყველა სხვა ლეგენდაზე უფრო გამოკვეთილი ეპიურობა და ტრაგიკული რიტმი ახასიათებს, განსაკუთრებით ბოლოში.

საქართველოს ისტორიის ყოველი მეცნიერული წიგნი რაღაცით ენათესავება ამირანის ლეგენდას. რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში ხალხი ამ ქვეყნისა, რომელიც დიდხანს სამთავროებად იყო დაქუცმაცებული, განუწყვეტლივ იმეორებდა ამირანის ცდასა და ჭიდილს ბედთან. ის ამოთხრიდა ხოლმე ბოძს, რომელზედაც მიჯაჭვული იყო, ჯაჭვიც დაწვრილდებოდა და ამირანი თავს დაიხსნიდა, მაგრამ ახალი ბარბაროსული შემოსევა მას წუთის

წინ მიტოვებულ ადგილზე აბრუნებდა. ომი გადაიქცა ზრუნვის უმთავრეს საგნად. იგი თავის სამსახურში აყენებდა შემოქმედების სხვადასხვა დარგს, მაგალითად, ციხე-სიმაგრეების არქიტექტურას. ეს ციხე-სიმაგრეები შემდეგ ინგრეოდა და არქიტექტურა გზას უთმობდა ადამიანის გონების სხვა სასარგებლო საქმიანობას, რომელიც ახალ დროსა და ვითარებას მოუხდებოდა.

უმშვენიერესი ქვეყანა, საქართველო, თავისი ანთოლოგიური ბუნებით და ნოყიერი მიწით, ტურფა ასულებითა და ჯანიანი ბავშვებით, ათას გადამთიელს ულვიძებდა მადას: მონღოლებს, სპარსელებს თუ თურქებს. მტაცებელი ურდოები, სულერთია — გააჩნდათ თუ არ გააჩნდათ შემოქმედებითი უნარი, ერთი ჟინით იყვნენ ყელამდე აღვსილი: როგორმე უშრომლად და პატიოსანი ოფლის დაუღვრელად მიეთვისებინათ სხვისი შრომითა და გარჯით მოპოებული დოვლათი და სიმდიდრე. ისინი დაძრწოდნენ და ფეხით თელავდნენ საქართველოს მთებსა და ველებს, მიჰქონდათ სარჩო-საბადებელი, იტაცებდნენ ქალებს თავიანთი ჰარამხანებისათვის და ბავშვებს — შეთხელებული მხედრობის შესავსებად, ძარცვავდნენ ქვეყანას გაუმაძღარი კაცის სიშმაგით და ყოვლად უსირცხვილოდ. ერთ სპარსელ მონარქს ამგვარი აზრიც კი დაებადა: დედაბუდიანად ამოეწყვიტა მთელი ქართველი ერი, მისი მდიდარი მიწა-წყალი მიეთვისებინა და ამით საბოლოოდ გასწორებოდა ქართველობას.

ყაჩაღური თავდასხმების კრიალოსანი მხოლოდ გასული საუკუნის დამდეგს გაწყდა და დაიბნა, როდესაც საქართველომ ნებაყოფლობით თავი რუსეთის ქვეშევრდომად გამოაცხადა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამირანის ჯაჭვი ერთხელ და სამუდამოდ გაწყდა და განთავისუფლებულ ამირანს საშუალება მიეცა შეერთებოდა ხალხს, ვისთვისაც ოდესღაც უსისხლო პურის მოპოება განიზრახა. მაგრამ ეს კეთილშობილური მიზანი ცხრა მთას იქით იყო და იქამდე მიღწევა ყველაზე უფრო ღონივრად ნატყორცნ ისარსაც არ შეეძლო. მოისარს ნაბიჯი უნდა წაედგა წინ და [illegible] ფიანდაზად დაგებულ შარაგზაზე! ქართველთა ნაფეხურებზე, რომელიც სილაში რჩებოდა და ზედ ია და ვარდი ამოდიოდა.

აი, რას ამბობდა ერთი რომაელი ისტორიკოსი, რომელმაც თითქმის ორიათასი წლის წინათ შეადარა ქართველები სხვა ერს (არ დაგავიწყდეთ: ორი ათასი წლის წინათ!) და უწოდა მათ დიდი ხნის ბრძოლაში გამობრძმედილი. „იმიტომ, რომ მთიან ქვეყანაში ცხოვრობენ. — ამბობდა ტაციტი თავის „ანალებში“, — იბერიელები და ალბანელები ომის სიმკაცრეს სხვებზე უკეთ არიან შეჩვეული“.

მედეას მამას აეტი ერქვა და ტაციტი ამბობს, რომ იაზონი, მას შემდეგ, **რაც შვილების მკვლელი ცოლი მიატოვა, დაბრუნდა თავისი სიმამრის ქვეყანა**ში, რათა იქ ტახტის მემკვიდრეობა ეძია. რიონის ხიდზე გადავლისას, როდესაც პირველი ქართველი კაცი გავიცანი, ძველი კოლხები გამახსენდა. ისინი ამ მდინარის დაბლობზე და შავი ზღვის ნაპირებზე მოსახლეობდნენ. იბერებს აღმოსავლეთ საქართველო ეკავათ, მდინარე მტკვრის შუაწელი, და დედაქალაქად ჰქონდათ მცხეთა. ამ ადგილების მკვიდრი იყო ოდესღაც თურქების მიერ ტყვედ მოტაცებული ანთიმოზ ივერიელი, რომელიც კონსტანტინე ბრაკოვიანუმ დუნაის ჩრდილო ნაპირზე მოიყვანა და რუმინული ლიტერატურისათვის სიკეთით შთაგონებული საქმე გააკეთა. ჯერ კიდევ ძველ დროში, ძალიან ადრე, მას შემდეგ, რაც იაზონი ლეგენდის მღვრიე მორევში ჩაიძირა, აქ, იბერიაში, ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, რაიც ისტორიკოსების მიერ რეგისტრირებულია ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელ საუკუნეებში. ამ სახელმწიფოს დიდხანს არ უარსებია. ხარბი რომაელები ამისთანა გემრიელ ლუკმას — მდიდარსა და მშვენიერ ადგილებს — ხელიდან აბა როგორ გაუშვებ-

დნენ! რომაელების გამარჯვების შემდეგ, რამაც მიწასთან გაასწორა ზვიადი მითრიდატე, კოლხეთი რომის იმპერიას დაექვემდებარა, ხოლო იბერია სპარსეთის პოლიტიკურ გავლენაში მოხვდა.

ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნიდან იბერიას ქართლს უძახიან. სწორედ ამ დროს შემოაღწია საქართველოში ქრისტიანობამ, ჯერ, რასაკვირველია, გაუბედავად, მაგრამ სულ მალე აუარებელი მომხრე შეიძინა, ასე რომ, 337 წელს უკვე სახელმწიფო რელიგიად იქცა. ახლა რომის იმპერიის დედაქალაქი ბიზანტია გახდა და, ალბათ, ამით უნდა აიხსნას ეკლესიის ქართული მართლმადიდებლური მიმართულება.

აი, რა ძველი ხალხია ის ხალხი, ვისაც სტუმრად ვეწვიე 1957 წლის ზაფხულში. როდესაც ახალი ნაცნობობის კავშირურთიერთობა იბმება, ადამიანები კლასიფიკაციის რაღაც ინსტინქტს გამოამჟღავნებენ ხოლმე. მაინცდამაინც გინდა შეიტყო, ვისი შვილი ან ნათესავია კაცი, რომელიც ეს არის გაიცანი. ეს უფრო ინსტინქტის ინსტინქტია, რომელიც, ალბათ, საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანის სოციალური ინსტინქტიდან, წონასწორობის გრძნობიდან მომდინარეობს. როდესაც აქამდე უნახავ ქვეყანაში მიემგზავრები, მის კლასიფიკაციას მანამ ახდენ, ვიდრე საზღვარს გადააბიჯებდე. ყველაფერი ადრევეა გამორკვეული და მეგზური მხოლოდ ნაცნობ და სასურველ ცნობებს გაწვდის.

მაგრამ ვინ უნდა იყოს ქართველების ნათესავი, გარდა რამდენიმე მიკროსკოპიული, თითქმის გამქრალი დასავლეთკავკასიელი ერისა? მე, ცოტა არ იყოს, უხერხულად ვიგრძენი თავი, როდესაც საქმეში ჩახედული ევროპელი კლასიფიკატორები, რომლებითაც სავსეა უნივერსიტეტები, უმწეოდ აბლუკუნდნენ. ქართველებს არა ჰყავთ მონათესავე ერები იმ აზრით, რა აზრითაც ისინი ჰყავთ, მაგალითად, ევროპის ხალხებს. და ამ მშვენიერი ქვეყნის ხალხს მაინც მოეპოება ნათესავი. ალარ იკითხავთ, სად? მეზობელი კონტინენტის მოპირდაპირე კუთხეში. ვინ არის ნათესავი? ბასკები... ისინი პირინეის მთებში ცხოვრობენ. ეს მტკიცება, [illegible] სარწმუნოსა ჰგავს, ისტორიკოსებს ფრიად უცნაურად ეჩვენებათ. მე ისტორიკოსი არ გახლავართ და ვიმედოვნებ, მკითხველები შემინდობენ, თუ მეტისმეტად შორს შევტოპე. მაინც ლეგენდას გავყვები, ლეგენდებს ყოველთვის გააჩნია რაღაც თავისებური აზრი...

შემორჩენილია გადმოცემა, რომ ერთი ქართველი ბერი უხსოვარ დროს ჩამავალი მზის ქვეყანაში წასულა სამოგზაუროდ. ეს გახლავთ მამა იოანე. ბერი კავკასიის იბერიიდან წავიდა ქართველი ხალხის ძმების გასაცნობად, რომლებიც ძალიან შორს, ქვეყნის კიდეზე, დიდ იბერიაში ცხოვრობდნენ.

ძალიან ვწუხვარ, რომ აქამდე ვერ მოვახერხე ბასკების გაცნობა. ერთხელ მაინც რომ დამატარა მათი ადგილები, რატომღაც მგონია, რომ მივხვდები, მიაგნო თუ არა ისინი ბერმა იოანემ. ისე, მგზავრობაში, მე მგონია, არ მოეწყინებოდა. გზად მიმავალ ქართველს ახლაც ჰყავს შესანიშნავი თანამგზავრი: სიმღერა! ქართველები ბევრსა და კარგად მღერიან. სიმღერებიც მშვენიერი და სხვადასხვანაირი აქვთ. ბასკებს რომაელები კანტაბრებს უძახდნენ. ორი ბასკური ფუძისაგან მიღებული ეს ლათინიზებული სიტყვა „კხანტა“ და „ბერი“ ბასკურად შესანიშნავ მომღერლებს ნიშნავს. ბასკები ამტკიცებენ, რომ მსოფლიო თავდაპირველად, გაჩენის პირველ ხანს, ერთ ენაზე — ბასკურ ენაზე ლაპარაკობდა. კიდევ უნდა გავიმეორო: მე ისტორიისაგან შორს მდგომი კაცი ვარ, მაგრამ მაინც მებადება ვარაუდი, რომ ბასკების ეს ლეგენდა ბუნდოვანი ხსოვნის ანარეკლს ჰგავს. ხალხის მეხსიერებას თითქოს ბუნდოვნად შემორჩა, როგორ აიყარნენ და წამოვიდნენ კავკასიიდან...

განა არაფერს გვეუბნება თუნდ ის ფაქტიც, რომ ბასკურ ენაში, ისევე როგორც ქართულში, გრამატიკული სქესი

არ არსებობს? ბასკური სიტყვა შეუძლებელია რ-თი იწყებოდეს. ასევე შეუძლებელია ქართულ სიტყვაში ერთმანეთის გვერდით იხმარებოდეს ორი რ. მეორე რ უსათუოდ ლ-დ გადაიქცევა. ეს ორი გარემოება მსგავსების შესახებ მეცნიერმა ლინგვისტებმა რომ დაადასტურონ, არა მგონია, მხოლოდ ამით ქართული და ბასკური ენების უეჭველი ნათესაობის საკითხი გადაწყდეს. უფრო სარწმუნოდ და დამაფიქრებლად მე ისევ მამა იოანეს შორეული მოგზაურობა მეჩვენება. ვერსად შევიტყვე, დაბრუნდა თუ არა ბერი იოანე დიდი იბერიიდან. მაგრამ ახლა ჯობს ისევ ქართველებს დავუბრუნდე, რათა ამ ვარაუდებით ძალიან არ დავღალო მკითხველი, თუმცა უსაგნოდ და ზედმეტად, თუ გნებავთ გულახდილად გითხრათ, არც ეს ეჭვები და ვარაუდები მეჩვენება.

ამირანის წლითი-წლობით გაწვრილებული ჯაჭვი თვალის დახამხამებაში ისევ მსხვილდებოდა. ვფურცლავ საქართველოს ისტორიას, რომელიც აგრერიგად მაგონებს დაკიელი ხალხების წარსულს და სათვალავს ვეღარ ვპოულობ გამანადგურებელი შემოსევების აღსანუსხავად. მეხუთე საუკუნეში ჩვენს ერამდე — სპარსელები, ერთი საუკუნის მოგვიანებით — ქსენოფონტეს ბერძნები, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში — მითრიდატე. 368 წელს ქვეყანას შუაზე გლეჯენ და იყოფენ რომი და სპარსეთი. შემდეგ რომაელები იტალიაში ბრუნდებიან, რომის იმპერია ინგრევა და ქართველთა ქვეყნის ერთადერთ მბრძანებლად და ბატონპატრონად რჩებიან სპარსელები. მეშვიდე საუკუნეში თავს წამოჰყოფენ არაბები და განუწყვეტლივ ესხმიან ქართლს. მეორე ათასწლეული. თითქმის ოცი წლის განმავლობაში 1386-დან 1403 წლამდე საქართველო თემურ ლენგის კვერის ქვეშ ილეწებოდა. მეთხუთმეტე საუკუნის დამდეგს საქართველოს ეცემა ოტომანური ნახევარმთვარის ჩრდილი. საქართველოს მიწა-წყლის დასასაკუთრებლად ახლა უკვე ერთმანეთს ებრძვის აღმოსავლეთის ორი ვეშაპი — სპარსეთი და თურქეთი.

ბიბლიოთეკა

და აი, დგება მეჩვიდმეტე საუკუნე, რომელიც ქართველებისათვის შესაძლოა უკანასკნელიც გამხდარიყო. სპარსეთის შაჰს აბას პირველს გონება უფრო უჭრიდა, ვიდრე მის წინამორბედებს. მძვინვარე შაჰს ჰარამხანისათვის ტურფა ასულები სჭირდებოდა. სჭირდებოდა აგრეთვე ბიჭუნები, რომლებიც შემდეგ ჯარისკაცთა რაზმებს შეჰქმნიდნენ. შაჰის შემოსევის მთავარი მიზეზი საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია იყო. ქართველები მზად იყვნენ უკანასკნელ კაცამდე შეკვდომოდნენ მტერს ოღონდ როგორმე თავიანთი ქვეყანა დაეცვათ. საქართველოს დაპყრობა სულაც არ იყო ადვილი საქმე. შევიწროებული ხალხის ძარღვებში ცხელი სისხლი ჩუხჩუხებდა და აჯანყებებს ბოლო არ უჩანდა. შაჰ აბასს გენიალური იდეა დაებადა. ეს იდეა თავისთავად მეტყველებს, თუ რაოდენ სათნო და კაცთმოყვარე ბრძანდებოდა „ირანის ლომი“. აბასმა გადაწყვიტა ქართველები მთლიანად ამოეწყვიტა და მათს ნაფუძარსა და ნასახლარზე სპარსელები დაესახლებინა.

ომმა უამრავი სიცოცხლე შეიწირა. შაჰ აბასის შემოსევის წინააღმდეგ აღსდგა ყველა, ვისაც კი იარაღის ხმარება შეეძლო. შაჰის უკანასკნელ ძალებთან ბრძოლამ ,რომელსაც სათავეში სახალხო გმირი გიორგი სააკაძე ჩაუდგა, ომის ბედი გადაწყვიტა. რამდენიმე წუთით ადრე ის ჯერ კიდევ საჭოჭმანო ჩანდა. შაჰ აბას პირველი იძულებული გახდა თავისი გეგმის განხორციელებაზე უარი ეთქვა და უზარმაზარი ლაშქრის დალეწილ-დაჩეხილი ნაშთებით უკან დაეხია. დამპყრობელი შაჰის ღირსება შელახული იყო.

ახლა კი ოტომანთა იმპერიის ჯერი დადგა. ისინი საქართველოში 1723 წელს მოვიდნენ და სისხლისაგან დაცლილ ქვეყანას 10 წლის განმავლობაში ძარცვავდნენ. შაჰ აბასი უკვე კარგა

ხნის მკვდარი იყო, მაგრამ სპარსელები მაინც ოხვრით ნატრობდნენ ყინვარებსა და ნარინჯებს შუა მოქცეულ ქვეყანას და პირზე ნერწყვი მოსდიოდათ.

1783 წელი. ქართველები მფარველობას თხოვენ რუსეთს. ეკატერინე მეორის არმია დახმარებას უწევს ქართველებს, მაგრამ ვერც ამ დახმარებამ იხსნა ისინი აღა მაჰმად-ხანის შემოსევისაგან. ძირფესვიანად მოითხარა და დაინგრა თბილისი, ეს ფენიქსი, უთვალავჯერ დამწვარ-დაქცეული და ამდენჯერვე მკვდრეთით აღმდგარი, ხელახლა აშენებული და მშვენიერი.

მაგრამ მალე ეს შაჰიც უკუგდებულ იქნა, ქართველებს ყოველთვის სჩვეოდა ტარიელური შემოძახება. ეს ვეფხისტყაოსანი რაინდი ცეცხლს ჰყრიდა. ინდოთ სასიძოს მოკვლის შემდეგ ფარსადანთან ეკრძალებოდა მისი ქალის სიყვარულის გამჟღავნება და თავს ისე იჭერდა, თითქოს ტახტის დაკავებით იყო დაინტერესებული და ის გრგვინავდა:

ხვარაზმშა დავსვა ხელმწიფედ, დამრჩების
რა ნაცვალია?
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე
ჩემი ხრმალია?!

ასე იყო თუ ისე, ხალხი მაინც დაასუსტა განუწყვეტელმა ომებმა. მარტო ოტომანებმა რამდენი გამოასალმეს წუთისოფელს, რამდენი რამ დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს! უკანასკნელი იმათი შემოსევა, როდესაც „Sublimei Porti“-ის უსირცხვილო დიდების ლამპარი უკვე ჩამქრალი იყო, ჯერ კიდევ ცოცხლად ახსოვთ ჩვენი საუკუნის ადამიანებს.

მე ერთხელ სამხრეთ საქართველოში ვიმოგზაურე, ვარძიის მახლობლად. გამაკვირვა მზით გატრუსულმა უდაბურმა ტერასებმა, რომლებიც ოდესღაც ყორით ყოფილიყო შემოღობილი. ნეტავი ვის და რისთვის სჭირდებოდა ეს ტერასები? ოხვრით მიპასუხეს, რომ აქ ოდესღაც ვენახები იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში თვითეული ძირი ვაზი თურქებმა ფესვებიანა მოთხარეს. მერე იცით, რა იყო ვენახების აჩეხვისა და გადათხრის მიზეზი? სულელური რელიგიური ადათი, რომელიც მათ ღვინის დალევას უკრძალავს. ეს კიდევ ცოტაა. ჭაში, რომლის წყალი უკვე აღარ სჭირდებოდათ, გველებსა და მორიელებს ჰყრიდნენ...

ახლა სურვილი დამებადა მკითხველთან ერთად მოვიგონო კარგად ნაცნობი სტრიქონები, რომლებიც პოეტს არცთუ ისე შორეულმა ისტორიულმა წარსულმა შთააგონა. ემინესკუ თავის „მესამე წერილში“ სულთან ბაიაზედის ჰალუცინაციებს გვიხატავს. სულთანს ეჩვენება, რომ მის გულში უზარმაზარი ხე იზრდება და იგი, გულში ამოსული ხე,

ტოტებით თვისით გადასწვდა ზღვასა და
ხმელეთს.
ვეება ჩრდილი ამა ხისა თვით ცისკიდურსა,
მთელ სამყაროს ჩამოაბნელებს.
გამოჩნდებიან თავდახრილი მთები კავკასის.
აგერ ატლასი, ტავრის მთები და ბალკანები!
მიწას განრთხმია ევფრატი და ზვირთი
ტიგროსის.
დიდებულ ჩრდილში თვლემს ნილოსი,
ოხრავს დუნაი...

პოეტი ბევრ ჩრდილს აღგვიდგენს მეხსიერებაში, მარტო სულთან ბაიაზედისეულ ჩრდილს კი არა. აქ სიმბოლურად წარმოგვიდგება მრავალი ჩრდილი, რომლებსაც ამდენჯერ გაეცნენ რუმინელებიც და ქართველებიც.

ამდენი ისტორიული ავბედობის შემდეგ საქართველოს მოსახლეობისაგან მეოთხედიც კი აღარ დარჩა. საქართველო გაიზარდა, გამდიდრდა შენობებით, მაგრამ მოსახლეობის რიცხვი კი გულსაკლავად დაეცა. ეს იმიტომ მოხდა, რომ მარტოოდენ რუსული ხიშტის დახმარებამ ვერ დაიცვა იგი შემდგომი შემოსევებისაგან. მეფე ერეკლემ გადაწყვიტა ის მაინც გადაერჩინა, რასაც ჯერ კიდევ სული ედგა და ქვეყანა შეუერთებინა იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც სხვა სახელმწიფოებზე ძლიერი იყო და, ამავე დროს, მის ხელში ქართ-

ველობას განადგურება ყველაზე ნაკლებ დაემუქრებოდა. ეს სახელმწიფო გახლდათ რუსეთი. შეერთება მოხდა 1801 წლის 12 სექტემბერს. დამოუკიდებლობა და თავისუფლება ქართველებმა, რასაკვირველია, მხოლოდ მოგვიანებით მიიღეს, როდესაც ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მაგრამ ქართველებმა, თუმცა პოლიციური რუსეთი ყოველნაირად ხელს უშლიდა ეროვნული კულტურების განვითარებას, იცოდნენ, რომ, როგორც ინგლისური ანდაზა ამბობს, უმჯობესია დაჰკარგო ღუზა, ვიდრე მთელი ხომალდი. ამას გარდა კულტურული ურთიერთობა რუსეთთან ორივე ხალხისათვის სასარგებლო აღმოჩნდა. მეფის ოხრანკა აქ ბევრად უფრო თვალებახვეული იყო, ვიდრე საკუთრივ რუსეთის გუბერნიებში. მას უჭირდა კავკასიურ საიდუმლოებათა გამოაშკარავება. საქართველოში და მთელ კავკასიაში რევოლუციური მოძრაობა ფრთებს ისხამდა, თუმცა ოხრანკის თვალს მაინც არაფერი ემალებოდა. იწერებოდა წიგნები, თუმცა მეფის ცენზურა კრძალავდა მათს ბეჭდვას. ქართული დამწერლობის გამოყენებას ყოველნაირად წინ ეღობებოდნენ და ახშობდნენ. ეს სიმკაცრე და ძალმომრეობა ისტორიული ფაქტია და მის უარყოფას არც არავინ ფიქრობს. ლერმონტოვმა თავი შეაფარა კავკასიას. მას რომანტიკულად სჯეროდა, მეფის ოხრანკის მიკრობებით მოწამლულ ჰაერს თავს დავაღწევ და კავკასიას შევეფარებიო.

პოეტის დუელი და სიკვდილი გვეუბნება, რომ ამ აღშფოთებულ ჭაბუკს, ბოლოსდაბოლოს, გულგატეხილობის საკმაო საფუძველი ჰქონდა.

ბგერა გაცილებით უფრო ნაკლები სიჩქარით ვრცელდება, ვიდრე სინათლის სხივი. ფიზიკა უარს არ ამბობს თავის კანონებზე თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც კი. რევოლუციური მზადების ლენინურმა ნაპერწკალმა საქართველოში ადრევე გაიპწკიალა, ხოლო „ავრორაზე“ გასროლილი ზარბაზნის გრიალი, რამაც კაცობრიობის ახალი ერის დაწყება აუწყა, კავკასიის მთებში 1921 წლის 25 თებერვალს გაისმა. სერგო ორჯონიკიძემ პათეტიკური დეპეშა აფრინა: „მოსკოვი, კრემლი, ლენინს. თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

ამირანის ლეგენდა დასასრულს უახლოვდებოდა. ფრთებშესხმულ ძაღლ გოშიას უკვე აღარ სჭირდებოდა მისი ჯაჭვის ლოკვა. ამირანმა ღონე მოიკრიბა და მიწიდან ამოთხარა ბოძი, რომელზედაც, ლეგენდის მიხედვით, ამდენ ხანს მიჯაჭვული იყო.

მთელი საქართველო შვიდი კვირის განმავლობაში შემოვიარე და ვნახე: ადამიანები სუფთა, უსისხლო პურსა სჭამენ, როგორც ოდესღაც ნატრობდა ამირანი. ბოროტი სულები, თუკი სადმე შემორჩნენ, უკვე ველარ ბედავენ წინ გადაეღობონ ამჯერად უკვე თავისუფალი ხალხის კეთილდღეობას. ამირანს ხელთ უპყრია თავისი მახვილი, ის მახვილი, რომელიც ოდესღაც მტვერში ეგდო, და სიცილით იგონებს ღმერთის ფანტასმაგორიულ მსახურებს, რომლებიც უკვე აღარ არსებობენ და აღარც შეუძლიათ ციურ გრდემლზე ჩაქუჩი დაარაკუნონ. გმირთა-გმირის ჯაჭვი გადამდნარია და იმისაგან რუსთავის მილებსა და ქუთათურ ავტომობილებს ასხამენ. მე არ ვიცი, რასა ჰგავდა ის ყორანი, რომელსაც ღმერთი მიჯაჭვული მეამბოხის გულის საკორტნად აგზავნიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, საკუთარი თვალით ვიხილე თეთრი მტრედი, რომელსაც ნისკარტით პალმის რტო ეჭირა.

მოვიარე სამხრეთი, სადაც ზეთისხილი ჰყვავის. შინისაკენ მიმავალი ერთხელ კიდევ აქეთ-იქით ვიხედებოდი. მზე მათბობდა. მარცხნივ ხელი-ხელჩაკიდებული ლურჯი ზღვა მომდევდა, მარჯვნივ კი ცადაზიდული მთების ნიავი. თვალებს სიხარულისა დაშვების ცრემლი მოაწვა: ამირანმა გაუსწორო თავის ლეგენდას...

ეროვნული

## ციხე-სიმაგრეები, მონასტრები, ციხე-დარბაზები

ყოველი ქვეყნის ისტორია, უპირველეს ყოვლისა, ქვაზეა დაფუძნებული. ქვა ყველაზე უფრო საიმედო და მტკიცე ისტორიული დოკუმენტია. სიტყვიერება, არქიტექტურა, სარწმუნოება და სული ყოველი ხალხისა პირველად ქვაში ამოიკითხება. ნურავინ გაიკვირვებს, თუ ვიტყვი, რომ ქვებს ხანდახან სიმღერაც შეუძლიათ. ციხე-დარბაზის სილუეტი ჰიმნს გალობს, ხოლო ციხე-სიმაგრის მასიური და მძიმე სხეული ორგანის გუგუნს ეთანაბრება.

საქართველო, კავკასიური ქვეყანა, რომელსაც თურქი მოხელეები და ოფიცრები გურჯისტანად იხსენიებდნენ, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მდიდარი ქვეყანაა წარსულის რელიქვიებით. ეს იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ მშენებელმა, ქართველმა ხალხმა, იცოდა, რა როგორ აეშენებინა და მშენებლობის დროს ყოველთვის პოულობდა.

მე მუდამ აღფრთოვანებას მგვრიდა მხატვარი-კალატოზის ხელით მიწაში სხვადასხვანაირად ჩადგმული ქვები, საქართველოში კი საშუალება მომეცა გული მომეჯერებინა მიწისა და ქვების მშვენიერების ჭვრეტით.

ვინ მოსთვლის, რამდენი ათეული ციხე-სიმაგრე ვნახე, ეს კი მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც საქართველოში უხსოვარ დროს იყო და დღემდე არ შემორჩენილა. ეს ციხე-სიმაგრეები რომ არ მენახა, გარდა უშესანიშნავესი არქიტექტურის ხილვით გამოწვეული სიამოვნებისა, მომაკლდებოდა ამ ძველი და საინტერესო ხალხის ხასიათის გაგებისათვის საჭირო და აუცილებელი დამხმარე საშუალებაც. ვერ გავიგებდი მისი სასწაულებრივი თვითმყოფობის დიდ საიდუმლოს, ვერ შევიტყობდი, თუ როგორ უძლებდა იგი ასობითა და ათასობით ისტორიულ სიძნელეს, რომელიც სავალ გზაზე გაჩენის პირველსავე დღიდან ელობებოდა...

ის, რაც ერთბაშად თვალში ეცემა საქართველოს სტუმარს, არის ქართველი ხალხის განსაკუთრებული გრძნობა და მიდრეკილება მშვენიერებისადმი. ქვეყანა, რომელშიაც თვით ბუნებამ საარაკო მშვენებანი შეჰქმნა, რასაკვირველია, ადამიანის ხელითაც ისე იყო აშენებულ-დამშვენებული, რომ ღმერთების წილხვედრი კავკასიის არქიტექტურული გეგმა და სახე არ შეერყვნა. საქართველოს თვითეული ციხე, მონასტერი და ძველი კოშკი თვალს გტაცებენ სიმშვენიერით. ეს ნაგებობანი თავისთავადაც ლამაზნი არიან. ციხეებს, მონასტრებს და ციხე-დარბაზებს საქართველოში, როგორც ჩანს, მეტ წილად მთას თავზე ახურავდნენ.

აი, მაგალითად, ძველთაძველი მონასტერი ყაზბეგზე, რომელსაც ფეხით ვერ ავაღწიე, მაგრამ ქვემოდან და ჰაერიდან კი კარგად დავათვალიერე. პუშკინმა ის ახლო მანძილიდან ნახა.

გერმანელის ციხე, დღეს თითქმის მივიწყებული ნანგრევი, ყველასათვის მისაწვდომ ადგილზეა და მას ისევე სენტიმენტალურად აღიქვამ, როგორც შენი სახლის დაძველებულ ფლიგელს. მაგრამ აქ, ყაზბეგზე, ეს მონასტერი, უფრო სწორად კი წყვდიადში მოცახცახე წერტილი, რაღაც განუხორციელებელ მირაჟად გეჩვენება. შეიძლება ადამიანმა ისიც კი იფიქრო, რომ დედამიწა, რომელზედაც შენ დგახარ, სხვა პლანეტას მიუახლოვდა. მე არასოდეს არა ვყოფილვარ ჩინეთში, არ მინახავს იქაური ცაში გამოკიდებული ციხეები, თორემ მეც გაკვირვებული წამოვიძახებდი: ო, რა მაღალი რამ ყოფილხარ, ციხევ ტინისა, შენს ჭიშკარში ღრუბლები გამოდიან-მეთქი. სწორედ ეს სიტყვები წამოიძახა, მგონი 766 წელს განმარტოების მოტრფიალე პოეტმა დუ ფუმ, როდესაც ციხე ბოდის შეჰყურებდა.

საქართველოში ციხეები მთებს ეკუთვნით. ციხის კედლებზე არწივები ბუდეებს იკეთებენ. ღრუბლები დაბორია-

ლებენ კოშკებსა და ქონგურებზე. მაგრამ ამ ურთიერთთანამშრომლობას ბუნებასა და ადამიანს შორის მარტო მხატვრული მიზანი როდი ჰქონდა. ხანდახან, ქარაფებზე ციხე-სიმაგრეების აშენების დროს, კალატოზები საშენ მასალად ადგილობრივ ქვას იყენებდნენ. მტერს არ შეეძლო ციხე შორიდანვე შეემჩნია, რადგან ციხის ფერი და მოხაზულობა კლდის ფერისა და მოხაზულობის გაგრძელებას წარმოადგენდა. როდესაც იგივე მტერი ციხესთან ახლოს მოვიდოდა, მას სავსებით მოულოდნელად დაატყდებოდა თავს ისრებისა და შურდულების სეტყვა.

მეორე მხრივ, ამგვარ სტრატეგიულ პოზიციებზე აგებული ციხეები ზემოდან დაჰყურებდნენ ახლომახლო დაბლობებსა და მთების კალთებს. კოშკზე გადმომდგარ ფხიზელ მეთვალთვალეს არაფერი გამოეპარებოდა. მტერი ვერც კი გაიგებდა, როგორ ატყობინებდნენ მისი მოახლოების ამბავს ციხეში ჩასაფრებულ მოისრებსა და შურდულის მტყორცნელებს. ციხე-სიმაგრეებს წინდახედულად მდინარეების ახლოს აშენებდნენ. დიდი ალყის დროს, როდესაც ხახაგამშრალი ირანელი ან თურქი მეომრები, მოქანცულნი და მშიერ-მწყურვალნი, სიცხეში სულს ძლივსღა იბრუნებდნენ და თან იმედოვნებდნენ, ციხეში გამომწყვდეული ქართველები, ალბათ, უკვე ამოწყდნენ ან ჩვენზე უარეს დღეში იქნებიანო, ხდებოდა გასაოცარი რამ: ალყაშემორტყმულნი ციხის კედლებიდან გარეთ ისროდნენ მსუქან-მსუქან ცოცხალ თევზებს, რომლებიც მახლობელ მდინარეში იყო დაჭერილი, და მტერს მასხარად იგდებდნენ.

პლასტიკური ტრადიციებით ბუნებასთან შერწყმული და ბუნებისაგან გამომდინარე ქართული არქიტექტურა მარტო მთებს როდი ჰმასავდა. საშენ მასალას — ქვას — მთების მწვერვალებიდან ძირს, დაბლობებში, ქალაქების ასაშენებლად უშვებდნენ. სწორედ ასე აშენდა სიონის დიდი ტაძარი თბილისში. მეხუთე საუკუნეში, შემდეგ რამდენჯერმე გადაკეთ-გადმოკეთებული, რომელიც თავდაპირველად მოყვითალო-მოყავისფრო ვულკანური ტუფით აგებული. ეს ტუფი ხის ძალიან სუფთა მასალას წააგავს. როდესაც სიონში პირველად შევედი, ჩემი ყურადღება მიიქცია ვინმე მივიწყებული სკულპტორის მიერ ამოკვეთილმა ნაყშმა. გულუბრყვილოდ ვიკითხე, რა ხეზე იყო ამოჭრილი ეს მშვენიერი ნაყში. თანამგზავრმა ღიმილით მიპასუხა, რომ ეს ხე ქვის ჯიშისაა. ყველაფერი სუფთაა და ცინცხალი. გულგრილი დროთა მსვლელობისადმი. ქვა არ უფრთხის ჟამთასვლას, რომელსაც ხე ვერ გაუმკლავდებოდა. გაოცებული ვაკვირდები ტუფის ფერებს, მის გლუვ ზედაპირს, ძარღვებს და ოსტატის ნახელავის სიფაქიზეს. განა ადვილია სამართებელივით მახვილი დანით გაირო მაგარი ჯიშის ქვაზე. ეს ხომ ცაცხვის ფიცარი არ არის! მაგრამ ქართველებმა, ისევე, როგორც მთელმა აღმოსავლეთმა, ჩინებულად იცოდნენ, რომ იმას, რასაც აკეთებდნენ, მემკვიდრეობად უტოვებდნენ მომავალ ათასწლეულებს. ტაძარში შესავალი კარის წინ ვდგავარ და ვერ ვამჩნევ, თუ დღიდან ამ ქმნილების აშენებისა რამდენმა საუკუნემ გაიარა.

აგერ, ახლა, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ერთმა გეოლოგმა, რომელიც სიონის საშენ მასალას სწავლობდა, შეამჩნია, რომ იგი ვულკანური ტუფისაგან არის აგებული. ასეთივე ხარისხის ტუფი აღმოაჩინეს დაახლოებით 1935 წელს და, თითქმის ათასი წლის შესვენების შემდეგ, ის ხელახლა გამოიყენეს საქართველოს ქალაქების დასამშვენებლად. ტუფი თურმე მაგარი ქვაა. ამაში თვითონვე დავრწმუნდი. ტუფის ბუნებრივ სილამაზეს ზედმეტი შექება არა სჭირდება. კაცს თვალები გაქვს და დაინახავ. ბოლოს ისიც შევიტყე, რომ ეს მშვენიერი საშენი ქვა ძალიან იაფია. რა შესანიშნავია მთავრობის სასახლე და მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი, ორივე თბილისში, რომლებიც სწორედ ამნაირი ტუფითაა აშენებული!

საქართველოში ძალიან ბევრი ციხე-სიმაგრე, გამაგრებული მონასტრები, ძველი ეკლესიები და ციხე-დარბაზები ვნახე. ყველა ამათი აღწერა მკითხველის ყურადღების ბოროტად გამოყენება იქნებოდა. როდესაც მათ თვითონ უყურებ, სურვილი გებადება კიდევ მეტი ნახო. მაგრამ ჩემი სიტყვა მაინც ვერ გეტყვით იმდენ რასმე და იმას, რაც მე ქვამ მითხრა. დიდებულია ქვათა ღაღადი!

და აი, უკვე დავიბენი. აღარ ვიცი, რით დავიწყო. იქნებ უძველესი შენობით ჯობდეს დაწყება?

თბილისიდან საქართველოს სამხედრო გზით დარიალისაკენ მიმავალი, მაშინვე, როგორც კი დედაქალაქის კარიბჭეს გამოსცდები, მარჯვნივ დაინახავ კონუსისებურ მთას, რომლის მწვერვალსაც მზე განსაკუთრებული სიცხადით დაჰნათის. რუხი ქვა თეთრად გამოიყურება. იქ, კონუსის წვერზე, ჯვარის მონასტერი დგას.

ჯვარი! შემდეგ, როდესაც მონასტერს სხვა გზით უახლოვდები, იგი რამდენჯერმე იკარგება და ჩნდება, იკარგება და ჩნდება. თითქოსდა მირაჟია. სულ ბოლოს ჯვარი თვალს ეფარება და შენ გგონია, რომ გველივით დაკლაკნილმა მოუკირწყლავმა გზამ სადღაც სულ სხვა ადგილას აგიყვანა, მაგრამ მალე ისევ ჩნდება მონასტერი, ჩნდება სულ ახლო და მთელი თავისი დიდებულებით.

ჯვარს როცა ავაღწიე, სიამოვნებით გამახსენდა, რომ თბილისში პაპანაქება სიცხე დავტოვეთ, აქ კი, მონასტრის ჩრდილში, გრილოდა. მონასტრის მცველი, რომელიც რელიქვიებსა და სულებს შორის ცხოვრობს, ხანშიშესული კაცი, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგი, გვერდით მომყვება და თან მიხსნის.. .

მონასტერი ორი ეკლესიისაგან შედგება. ისინი ერთმანეთს მიჰკვრიან. ერთი ძალიან პატარაა, მეორე კი ძალიან დიდი. ირგვლივ გალავნისა და კოშკების ნანგრევები მოჩანს. ბერების სენაკებსა და ფორტიფიკაციულ ნაგებობებს ჩვენამდე ვერ მოუღწევიათ. თვით ეკლესიები უვნებლად დგანან, თუმცა არცერთი მათგანის ძირფესვიანი რესტავრირება არ მოუხდენიათ.

აქ, კონუსისებური მთის წვერზე, უძველესი დროიდან ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნემდე წარმართული სამსხვერპლო მდგარა. 337 წელს, როდესაც ქრისტიანული რელიგია სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა, სამსხვერპლო დაანგრიეს და ნანგრევზე ხის ჯვარი დაასვეს. ცოტა მოგვიანებით ჯვრის ადგილზე (ხის ჯვარი, ალბათ, ქარ-წვიმამ იმსხვერპლა) პატარა ეკლესია ააშენეს, აი, ეს პატარა ეკლესია, რომელიც ჩემს წინაშეა, ზედ ხრამის პირას, დიდი საყდრის მარცხენა მხარეს. პატარა ეკლესიის ქვეშ რაღაც ხელოვნური გამოქვაბულებია. ამ გამოქვაბულებს, ალბათ, თავშესაფრად იყენებდნენ. პატარა ჯვარი მეხუთე საუკუნეში აუშენებიათ. ის მართლაც პატარაა. ეკლესიის ოვალური იატაკი ოც კვადრატულ მეტრს არ აღემატება. საკურთხეველში მაინც დაუტოვებიათ სამალავები, სადაც ძნელბედობის ჟამს ძვირფასეულობას და ოქროს ინახავდნენ. ასი წლის შემდეგ პატარა ეკლესიას მხარი დაუმშვენა დიდმა ტაძარმა. იგი სადა ორნამენტებით შემკული მონუმენტური შენობაა და თავბრუდამხვევი სიმაღლის კამარები და მასიური კედლები აქვს.

პირველი, რამაც ამ ტაძარში ჩემი აღტაცება გამოიწვია, სინათლე იყო. სარკმლები ცოტაა და, რაც არის, ყველა ზემო ნაწილშია მოქცეული. შორიდან მაცქერალს კედლები ყრუდ ეჩვენება. ეს შთაბეჭდილება სარკმლების სივიწროვის გამო იქმნება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმ საუკუნის შესანიშნავ ხუროთმოძღვრებს ტაძარი ისე დაუპროექტებიათ და აუშენებიათ, რომ მისი ინტერიერი იმდენსავე სინათლეს იღებს, რამდენიც თანამედროვე მხატვრის სახელოსნოს სჭირდება. გარედან ვიწრო სარკმლები შიგნით ფართოვდება და ტაძარში მზის სხივების კონა იჭრება. ეკლესიის ყოველ კუთხეში თავისუფ-

ლად ამოიკითხავ უწვრილესი შრიფტით გაკეთებულ წარწერებს. ეს სარკმლები, რომელთაგან თვითეული ვერტიკალურად გაბრტყელებულ ძაბრებს მოგვაგონებს, ხელს უწყობენ ტაძრის აკუსტიკას. მე რომ შიგ შევედი, ერთ-ერთი სარკმლის თაროზე ჩიტი იჯდა და გალობდა. იმისი მოკრძალებული სტვენა ტაძრის უზარმაზარ თაღებქვეშ ორკესტრის გუგუნივით ისმოდა.

მე ეზოში გამოვედი და იმ ფანჯრის ქვეშ დავდექი, სადაც ჩიტუნია ისე თავისუფლად და ლაღად უსტვენდა. აქ მისი ხმა უკვე ველარ გავიგონე. გარეთ ხეები შრიალებდნენ და სივრცე სავსე იყო სხვა ფრთოსნების სტვენა-გალობით. მაგრამ როდესაც ტაძრის თაღების ქვეშ ისევ შევედი, ხელახლა შემომესმა კედლების ძაბრებში გაფილტრული დიდებული მელოდია, სწორედ იმ ძაბრებში, რომლებიც აქაურობას მზის სინათლეს აწვდიდნენ. ჯერ ისევ ტაძარში ვიყავი, როდესაც გარედან უზარმაზარი, სწორედ რომ თავზარდამცემი ხმა შემოიჭრა. ეს თითქოს რკინის გადანაჭრების ღრჭიალი თუ გიგანტური მოტორების გუგუნი იყო. ხმაური აპოკალიპსური ძალით ვრცელდებოდა ტაძარში. ტაძრის მცველმა ხმას ყურადღება მაშინღა მიაქცია, როდესაც თვალი შეასწრო ჩემს განცვიფრებულ სახეს. „ოჰ, — წამოიძახა მან, — ეს ხომ თვითმფრინავია!“ მე ხელახლა გარეთ გამოვედი და ცას გავხედე. თვითმფრინავის ძრავების გუგუნი ახლა უკვე სუსტად ისმოდა, როგორც საერთოდ ისმის ხოლმე თვითმფრინავის ხმა, როცა იგი ბუნების უთვალავ ხმაში იკარგება. ვინ იცის, შორეულ წარსულში, მომხვდურთა ცხენების თქარათქური და იარაღის ჟღრიალი თავზარსა სცემდა იმათ, ვინც საკურთხევლის წინ მუხლებზე იყო დამხობილი და პირჯვარს იწერდა. ეს სწორედ იმიტომ ხდებოდა, რომ ქვას გალობაც შეეძლო და ყვირილიც. საქმე ის იყო, რა და როგორ დასჭირდებოდა.

რამდენიმე წუთით ქვაზე ჩამოვჯექი. ეს უძველესი ქვა წარმართული სამსხვერპლოს ნაშთი გახლდათ. იგი მოძულებული ღუმელივით ეკლესიის კედლის ძირას. შემდეგ პატარა ტერასზე გავედი. ეს ხელისდადება გადასახედი ორი ეკლესიის შუაა მოქცეული. მინდოდა დამენახა პანორამა, რომელიც ადამიანის თვალს აქედან ეშლება, დამენახა ორი გიჟმაჟი მდინარის შესართავი — მტკვრისა, რომელსაც რუსები „კურას“ ეძახიან და არაგვისა. შორს გავყურებდი მთების ჯაჭვს. ფერები თანდათან იცვლებოდა, ბაცი მწვანიდან მუქ მწვანეში გადადიოდა, შემდეგ კიდევ უფრო მუქდებოდა და სულ ბოლოს ლურჯად იქცეოდა. ჰორიზონტთან მთები მოციმციმე მტრედისფრად ნათდებოდნენ და იქვე უერთდებოდნენ უღრუბლო ცას. მე იმ ქვაზე ვიჯექი, რომელზედაც თორმეტი ათეული წლის წინათ მიხეილ ლერმონტოვი იჯდა, და გულში პოემა „მწირის“ სტრიქონებს ვიგონებდი.

თვალი მთის ძირისაკენ ჩავადევნე. სხვაგან ქარივით სწრაფი მტკვარი აქ გზის გასწვრივ ნელა მიიზლაზნებოდა და მოპირდაპირე მთის კლდოვან ფუძეს ლოკავდა. ის აქ ძალიან წყნარი და ყვითელი იყო. არაგვი კი, რომელიც ცოტა მოგვიანებით გვერდი-გვერდ მოგვდევდა და ავი და ქაფმორეული თითქოს ლამობდა ავტომობილისათვის გაესწრო, აქ მტკვარს ნაზად და მოკრძალებულად უახლოვდებოდა. არაგვის მომწვანო კამკამა წყალი კაცს ერთ ადგილზე გაჩერებული ეგონებოდა. ის მთელი არსებით ეხუტებოდა გულში ღვიძლ დას და ერთხანს კიდევ, ვიდრე მთლად შეერეოდა, მწვანე მელნისფერ კონცხად იკვეთებოდა მზის სხივებზე მოელვარე მორევში.

რატომღაც მომეჩვენა, რომ ეს ორი მდინარე ერთმანეთს კი არ ერთვოდა, არამედ პირიქით: ერთი მდინარე ორად იყოფოდა და თავის განშტოებებში ფერს იცვლიდა.

შემდეგ ძირს დაშვება დავიწყე. მალი-მალ უკან ვიხედებოდი და ვუყურებდი დაბალ, კონუსისებურ კოშკებს, რომლებიც მასიურ მთასა და კედლებს

აგვირგვინებდნენ. ბოლოს ყველა თვალთაგან დავკარგე, რათა წუთის შემდეგ, გზის გადაღმიდან, ხელახლა დამენახა შუქთა არაამქვეყნიურ არილში გახვეული.

ბევრზე ბევრი მონასტერი, ციხე-დარბაზი და სიმაგრე ვნახე სამხედრო გზის გაყოლებით და ქვეყნის სხვა კუთხეებში, მაგრამ უკვე ნანახს არცერთი მათგანი არა ჰგავდა, თუმცა ყველას მკაცრად გამოკვეთილი ქართული იერი ჰქონდა. ყველა ნაგებობა წარმტაცი სანახავია, ყველას გააჩნია სილუეტის ხაზების თავისებური ვიბრაცია. ბევრი ციხე-სიმაგრე თუ მონასტერი თქვენს ყურადღებას იქცევს უნაზესი ხაზებით, რომლებსაც თითქოს ოქრომჭედლის მაგიდაზე ხედავ გამადიდებელი შუშის ქვეშ. მაგრამ ასეა თუ ისე, ამ ტაძრებისა და ციხე-დარბაზების მნახველი ქმნილებათა დიდებულების წინაშე ბალახის ღეროვით იკარგები. გრძნობ, როგორ დაგყურებს თავზე უზარმაზარი შენობა და საკვირველი გულისტკივილით განიცდი საკუთარ სიპატარავეს. და ყოველივე ეს მეფობს ამ უსასრულო პერსპექტივაში, ამ უმშვენიერეს ლანდშაფტებში. მრავალი მათგანი, როგორც ჩვეულებრივ ყველაფერი ამ ანთოლოგიურ ქვეყანაში, სინთეტურია. მე ბევრი შესანიშნავი ბუნების სურათი მინახავს ჩემს კარპატებშიც და კავკასიაშიც, ისე რომ, ახლა ვაგლახად ველარაფერი გამაკვირვებს. მაგრამ მაინც გაოგნებული შევჩერდი იმ პანორამის წინაშე, რომელიც გამაგრებული დიდი მონასტრის — ანანურის ბჭეებიდან იხსნება. ამ სანახაობის მჭვრეტელი მე თითქოს პრახოვის დაბლობსაც ვხედავდი, ვხედავდი მთებსაც, რომლებიც ბისტრიცის სათავეს მფარველობენ ბიკაზთან. მაგრამ აქ იყო რაღაც მთლად ახალი და, რასაკვირველია, არა მხოლოდ ისტორიული ქვები, რომლებზედაც მოგზაურს უდგას ფეხი.

გზა მთისძირებს მისდევდა და თანდათანობით, თითქმის შეუმჩნევლად, მწვერვალებისაკენ მიიკლაკნებოდა. ხან გადაჰკვეთდა არაგვს, ხან კიდევ ამ გადარეულ მდინარეს გვერდიგვერდ მიჰყვებოდა. მე მეგონა, რომ ყველაფერს ვხედავდი და მიკვირდა, თურმე რამოდენა არეს ხედავს და კრებს ერთ ფოკუსში ადამიანის თვალი, ისიც იმ ადამიანისა, ვინც თავისი დღე და მოსწრება ქალაქის ვიწრო ქუჩებს ხედავს ამ კუთხიდან იმ კუთხემდე, სადაც ორვაგონიანი წითელი ტრამვაი თვლების ღრჭიალით უხვევს ხოლმე. მაგრამ ანანურის ზღუდეზე შემდგარი, მე თვით გეოგრაფიას გავყურებდი.

საქართველოში მრავლად შეხვდები ზღუდეშემოვლებულ მონასტრებს. ესენი მარტო ღვთისმსახურებისა და სამხედრო მიზნით როდი შენდებოდა. მე გახლდით იყალთოში, წინანდლის მახლობლად, სადაც ოდესღაც აკადემიის სიცოცხლე ჩქეფდა. იქ სწავლობდა შოთა რუსთაველი. უძველესი კედლები დროის ულმობლობას დაუფქვავს და დაუფშვნია. სტუდენტთა ერთ-ერთ ყოფილ აუდიტორიაში, სადაც, შესაძლოა, პოეტი რიტორიკის ლექციებს ისმენდა, მე ხის ძირას ქვაზე ჩამოვჯექი, ხოლო მეორე აუდიტორიაში მარწყვი დავკრიფე...

მაგრამ გელათში, რომელიც შესანიშნავად არის შენახული, აკადემიის ნაშთები უფრო საცნაურია. გელათის მონასტერი მეთერთმეტე საუკუნეში ააშენეს. ასე გადმომცა ნიკოლოზ ჯანგავაძემ. ის აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გელათის დარაჯად მსახურობს.

გელათის მიდამოებში ოდესღაც მგონი პატარა დაბა თუ ქალაქიც იყო. იგი შეუვალი იქნებოდა საერო მოსახლეობისათვის. შიგ მარტო ხელოსანი ბერები იცხოვრებდნენ, რომლებსაც თავიანთი სასოფლო-სამეურნეო ჭირნახულითა და მოხელეობით გაჰქონდათ თავი.

გელათი დავით აღმაშენებელმა დააარსა და სახელიც მანვე უბოძა. დავით აღმაშენებელი საქართველოს ყველაზე უფრო ბრძენი და ძლიერი მეფე, ქვეყნის პირველი უნიფიკატორი იყო. დიდი მეფე აქვე, გალავნის ჭიშკარშია დაკ-

რძალული. ეს ყოფილი ჭიშკარი ამჟამად მავზოლეუმად გადაუკეთებიათ. მეფე დავითს აღმაშენებელი თვით ხალხმა შეარქვა. თავისი ქვეყნის აღმაშენებელმა ანდერძად დაიბარა მისი ნეშტი გელათის მიწისათვის მიებარებინათ, უსათუოდ ალაყაფის ჭიშკარში, ვეება ლოდის ქვეშ, რათა ამგვარად დავიწყებას არ მისცემოდა ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის გარჯილი მეფის სახელი.

დავით აღმაშენებლის სახელი საქართველოში არავის დავიწყებია. არავის დავიწყებია სახელი ადამიანისა, ვინც პირველმა გააერთიანა და შემოიმტკიცა ქართველ ტომთა სამთავროები განუყოფელ საქართველოდ და ვინც აამაღლა მისი პოლიტიკური ავტორიტეტი მოსაზღვრე ქვეყნების თვალში, სახელი კაცისა, ვინც სკოლები, ციხე-სიმაგრეები და მონასტრები ააშენა და სახაზინო შემოსავლის უზარმაზარი თანხები მშობლიური კულტურისა და ხელოვნების აყვავებას მოახმარა.

მე ვნახე ის, ფრესკაზე გამოსახული. მემატიანეები იუწყებიან, რომ დავითი ძალიან მაღალი მამაკაცი იყო, ორ მეტრზე მეტი სიმაღლისა, ღონიერი და იმნაირი გამომეტყველება ჰქონდა, თვალებით კედელზე მიგალურსმავდა.

ფრესკა მშვენიერია. კარგადაც შენახულა. ჰაერი აქ მშრალია, რადგან დიდი სიცხე იცის. სწორედ ჰავის სიმშრალეს უნდა ვუმადლოდეთ, რომ გელათის ფრესკები თითქმის პირვანდელი სახით შემოგვრჩა. დროის აბლაბუდა მათ მხოლოდ თავისებურ მომხიბლველობას ჰმატებთ.

დავით აღმაშენებლის შემოხედვას მე ახლაც ვგრძნობ, როცა ამ წიგნსა ვწერ ევქსინის პონტის გადაღმა მდებარე ქვეყნის მოსაგონრად და სადიდებლად. მხატვარმა კედელზე არამარტო თვალები დაგვიტოვა მეფისა, არამარტო სული მისი, იქვე დასტოვა ნიჭით გასხივოსნებული გზნება ფერების ოსტატისა. აი, ასეთია ყველა ფრესკა გელათში...

ქართველებს ყოველთვის იტაცებდა ფრესკული მხატვრობა. უძველეს დროიდან მოკიდებული მხატვრები [illegible] მოდელებს უბრალო ხალხში მოძებნიდნენ ხოლმე. წმინდანებს, თუნდაც ისინი ბიზანტიური ან რომაული წარმოშობისა იყვნენ, აქ, საქართველოში, კედლებსა და ხატებზე, ქართული იერი დაჰკრავთ. ეს სრულებითაც არ მოასწავებს ფანტაზიის ან ინფორმაციის უქონლობას. მე ვნახე წმინდანები რომაული ფორმისა, რომლებიც ფორუმზე დადგმულ ქანდაკებებს მიაგავდნენ.

გელათში საკურთხევლის მთელ თაღს, საკვირველ სივრცეს, დიდებული ფრესკა ავსებს (ეს ასე ჩანს ქვემოდან). ლიცლიცებს შუქ-ჩრდილი და ცისარტყელის ცინცხალ ფერებში იგი დაუსრულებლივ სხვადასხვანაირ ელფერს იძენს (როგორიც, მაგალითად, ღვთისმშობლის ყელ-კისერი და სახე). მაგრამ მე ცოტა ზემოთ ავიწიე და განცვიფრებული მაშინღა მივხვდი, რომ მთელი ეს მშვენიერება ფუნჯისა და საღებავის მადლით შექმნილი ნაწარმოები კი არა, მოზაიკა ყოფილა, რომლის მოჭედვას მილიონ ხუთასიათასი ნატურალური ფერის კენჭი დასჭირდა...

ვნახე ყოფილი აკადემიის შენობა, სადაც განვლილ საუკუნეებში ქართველი ჭაბუკები მუსიკას, გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას, პოეტიკას, ხატების წერას და მეღვინეობას ეწაფებოდნენ. ირგვლივ ქვის გამწვდომი სკამებია, კედლებში კი თაროები მოჩანს. აქ, ალბათ, წიგნებს ალაგებდნენ. შუაში ქვის კვარცხლბეკია: კათედრა! სვეტებიანი ვესტიბიული დაბლობისაკენ არის პირით მიქცეული. სტუდენტები აქედან შემოდიოდნენ. ვესტიბიულის თავზე ასტრონომიული ობსერვატორიის ნაშთი დარჩენილა. ტაძრის ერთ კედელზე მზის საათია დახატული ნახევარწრის სახით და თანაც ძალიან სადა: დაჟანგული ლურსმანი და ნახევარწრის რადიუსად გავლებული ხაზი. საათს უნდობლად ვუცქერი. დარაჯი მამჩნევს უნდობლობას და უცებ მეუბნება, რომ

ახლა თორმეტს ათი წუთი უკლია. ვიღებ ჩემს საათს და —დახე საკვირველებას! — მართლა ასე არ ყოფილა?!

ამ აკადემიაში ლექციებს კითხულობდა ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, ქართულ ენაზე მთარგმნელი არისტოტელესა და სხვა ბერძენი ფილოსოფოსების ნაწარმოებებისა. პეტრიწი თვით დავით აღმაშენებელმა მოიწვია გელათში აკადემიის ხელმძღვანელად...

მეთოთხმეტე თუ მეთხუთმეტე საუკუნეში აკადემიის დიდი დარბაზი ბერების სასადილოდ გადაკეთდა, აკადემია კი სხვა შენობაში გადავიდა. წიგნების თაროები, ქვის გამწვდომი სკამები და კათედრა ხელუხლებლად დარჩა, მხოლოდ დარბაზის ცენტრში ჩაფლეს უზარმაზარი ჩასავალი ქვევრი ღვინის მოსაკავებლად.

ქვევრები, რომლებიც რომაულ ჭურჭელს მოგაგონებენ, მთლიანად მიწაში იფლობოდა და ზემოდან, საიდანაც ღვინოს ასხამენ და შემდეგ იღებენ, ხის ბადიმებით იხურებოდა. მე მომითხრეს, რომ ერთ ამნაირ ქვევრში ჩაიხრჩო მომხვდური მაჰმადიანი, რომელმაც თავისი ღმერთის მოტყუება სცადა და ის კი დაავიწყდა, რომ აკრძალული სასმელის დალევა არ შეეძლო.

გელათის აკადემიის დარბაზში ჩაფლული ქვევრი უზარმაზარი ზომისაა. ის ორიათას ხუთას ლიტრ ღვინოს იტევს. ეს გახლდათ ამ ერთი მონასტრის ბერების დღიური ულუფა.

ერთ დროს გელათში სოფლის მეურნეობასაც მისდევდნენ. იქ ვნახე ხორბლის შესანახი ვეება კოდი, თუ ვარცლი, რომელიც ძირეული კაკლისაგან იყო გამოთლილი. ჭურჭელი თითქმის უვნებლადაა შენახული. მე მაინც მგონია, რომ ახლა ის უფრო გეოლოგიას განეკუთვნება. სამმა კაცმა სცადა ხელები შემოეწვდინათ, მაგრამ ამაოდ.

ვტოვებ გელათს და მონასტრები უწესრიგო გროვად მერევიან მეხსიერებაში. მე ვხედავ, მაგალითად, ბაგრატ მესამის მიერ აღმართულ გრანდიოზულ კედლებს ქუთაისში. ტაძარი მეთერთმეტე საუკუნის დამდეგიდან შენდებოდა. ორჯერ დააქციეს ოტომანმა დამპყრობელებმა. მან მაინც არ დაკარგა თავისი მონუმენტურობა და მნახველზე ზემოქმედების ძალა. შემდეგ ხელახლა ააშენეს. ამჟამად ამ დიდებული მონუმენტური ტაძრის რესტავრაცია ხდება აკადემიკოს ჩუბინაშვილის პროექტის მიხედვით. აკადემიკოსი ხნოვანებითაც და თოვლივით გათეთრებული თმა-წვერითაც ღრმა მოხუცებულად გამოიყურება, მაგრამ მას მაინც შერჩენია იმდენი ძალა და ღონე, რომ კედლებზე მიდგმულ ხარაჩოებს თავბრუდამხვევ სიმაღლემდე აჰყვეს და ზედ ისე თავისუფლად გაიარ-გამოიაროს, თითქოს ქალაქის პროსპექტზე მისეირნობსო. აკადემიკოსი ჩუბინაშვილი ტაძარს ისეთად ხედავს, როგორიც ის თავის დროზე იყო. მაგრამ იმ ადამიანისათვის, რომელიც არც ხუროთმოძღვარია და არც არქეოლოგი, ძნელია მიწასთან გასწორებული გუშინდელი მშვენიერების, მისი ოდესღაც ჰარმონიული ხაზების წარმოდგენა, ახლა რომ დამტვრეულ-დამსხვრეულ ხეებს შორის ბალახებში ყრია. სხვათა დახმარებით მე მაინც ნელ-ნელა დავიწყე ფრაგმენტების გარჩევა და თითქოს კიდევაც მოვახერხე ნათლად წარმომედგინა მოხდენილი ორნამენტების სიუხვე, რითაც ეს კედლები ოდესღაც დიდებული ტაძრისა იყო შემკული.

რეკონსტრუქცია ფანტაზიის გზით! კედლის სიმაღლისა და სვეტების სისქის მიხედვით ვგრძნობ ტაძრის გრანდიოზულ მოყვანილობას. მეგზურმა მითხრა, რომ თაღი რვა ვეებერთელა სვეტზე იყო დაყრდნობილი. იატაკი ადრე მოზაიკისა ყოფილა, მაგრამ მოზაიკის ახლანდელი კვალი ფრიად უმნიშვნელოა. გამაკვირვა ფიგურული ორნამენტებით შემკულმა სვეტებმა, რომელთაც ქრისტიანული არქიტექტურისათვის ზედმეტად ამქვეყნიური იერი დაჰკრავთ. სვეტებზე ამოყვანილია ყურძნის მტევანი, ცხენი, რომელიღაც კენტავრი, არწივები, ფანტასტიკური

სცენები, მაგრამ აპოკალიპსიდან კი არა, ვეფხვებისა და ლომების ბრძოლა... განმეორებით არცერთი სახე არ მეორდება. მხატვარი ყოველ სახეში რაღაც ახალს ეძებდა.

მაგრამ აი, განთიადის ფერებში გადნა ბაგრატის ტაძარი და მე უკვე ხერთვისის ციხე-სიმაგრეს ვხედავ. იგი ორი მდინარის — თავფარავნისა და მტკვრის შესართავში აღმართულა. სწორედ აქ მოვისმინე ოსტატ მანოლეს ლეგენდის ქართული ვარიანტი, ანუ თქმულება ხერთვისის ციხის აშენების შესახებ. ადგილობრივი გადმოცემის მიხედვით, ციხის ერთი ნაწილი ოსტატს აუშენებია, ხოლო მეორე —მის შეგირდს. შეგირდის მიერ აშენებული ნაწილი უკეთესი გამოსულა. შურისაგან გაცოფებულ ოსტატს ხარაჩოები მოუხსნია და თავისი შეგირდი მარტოდმარტო მიუტოვებია თვალშეუდგამ სიმაღლეზე, საიდანაც ერთადერთი გზა უფსკრულისაკენ მიემართებოდა.

ამ ლეგენდის ვარიანტები მე ბევრ ადგილას გამიგონია.

უმშვენიერეს ტაძარში —სვეტიცხოველში —საქართველოს რამდენიმე მეფეა დამარხული. სვეტიცხოველი სწორი, ჰარმონიული ხაზებისა და დიდებული ორნამენტების იდეალურ შერწყმას წარმოადგენს. იგი სახელგანთქმულ ხუროთმოძღვარს —არსაკიძეს აუგია. ზემოთ, ლავგარდნის ქვეშ, სავსებით სუფთა და გლუვ ქვაზე ხელია ამოკვეთილი. თქმულება გადმოგვცემს, რომ ხელი თვით არსაკიძისაა. ამ ხუროთმოძღვარს —არსაკიძეს —ჯიბრში ჩაუდგა მეზობელი ტაძრის —სამთავროს მშენებელი ხუროთმოძღვარი. შურით აღვსილი, რომ მისი ტაძარი უფრო პატარა და ნაკლებად მშვენიერი გამოვიდა, ვიდრე სვეტიცხოველი, დამარცხებული ოსტატი შურისძიების გრძნობამ შეიპყრო. მან მოახერხა და მეფეს მარჯვენა მოაკვეთინა არსაკიძისათვის, რათა ამით შემდგომი მეტოქეობის შესაძლებლობა მოესპო მისთვის.

საქართველოში რამდენიმე ციხე-დარბაზი ვნახე. ერთ-ერთი ციხე-დარბაზი —მეტეხი, რომელიც თბილისის შუაგულში, მტკვრის მარცხენა ნაპირზეა აშენებული, რუსეთის მეფის ხელისუფლებას პოლიტიკურ პატიმართა საპყრობილედ გამოუყენებია. ამ საპყრობილეში იჯდა ჭაბუკი მაქსიმ გორკი.

მეტეხს კიდევ შეუნარჩუნებია თავისი ადრინდელი პეწი და სილამაზე. მის სახელთან კავკასიის რევოლუციური მოძრაობის მრავალი საყურადღებო მოგონებაა დაკავშირებული .

ციხე-დარბაზებიდან ყველაზე პატარა და სადა თელავის სასახლეა. იგი მეფე ერეკლე მეორეს ეკუთვნოდა. სხვებს მე მაინც თელავის სასახლე მირჩევნია, თუმცა მას დიდი არქიტექტურული პრეტენზიები არა აქვს. სასახლე პატარა კახის წმინდა ხსოვნას ინახავს. თელავის სასახლე პოეტ მეფეს, არჩილს, აუშენებია. მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში ეს სასახლე კახელი მონარქების რეზიდენცია ყოფილა. თავისი პატარა, მაგრამ ნათელი და ელეგანტური ოთახებით ციხე-დარბაზი საკმაოდ კომფორტაბელური იყო. ადრეულ საუკუნეებში აქ წყალსადენიც კი ჰქონიათ. ამას ადასტურებს თიხის მილების გაყვანილობანი, რომელთა ნაშთების დათვალიერება დღესაც შეიძლება.

მღელვარებამ შემიპყრო, როდესაც მეფე ერეკლეს ოთახში შევაბიჯე. ამ მეფემ ბევრი ომი გადაიხადა. მას იშვიათად თუ ნახავდი სასახლის ნადიმებზე თავის ციხე-დარბაზში. გარდაიცვალა ამ თაღიან ოთახში, ოთახის იმავე კუთხეში, სადაც ქვეყანას მოევლინა.

ირგვლივ ყოველივე თანამედროვეობით სუნთქავს, მაგრამ მთები და დაბლობები აწ უკვე გარდასული დროების ხსოვნას ინახავენ. მე უკვე შევეჩვიე და აღარ მიკვირს, როდესაც დაღლილდაქანცულს ჭადრის ჩრდილში მიწვევენ მოსასვენებლად და თან მეუბნებიან, რომ ამ ხის ძირას ოდესღაც თვით დი-

დი რუსთაველი მჯდარა. ჭადარი, რომლის ასაკსაც ბოტანიკოსები რვაასი წლით განსაზღვრავენ და რომლის დიამეტრი 360 სანტიმეტრია, ხე კი არა, ნამდვილი ტყეა. ალაზნის ველი და მთები აღარ მეშვებიან, გულში მიხუტებენ, რათა სამუდამოდ აღმიბეჭდონ მეხსიერებაში...

ჯერ ისევ სამხრეთში ვარ და შევყურებ კლდოვან მთას, რომლის ქედზე თითქოს თვით ბუნებას და არა ვინმე სხვას აუგია თმოგვის თვალწარმტაცი ციხე. იგი ფრიალო კლდის წვერში დგას, ყოველივეს ზემოდან დაჰყურებს და ხეობაში მდგომმა შეიძლება ვერც კი გაარჩიო ციხის სილუეტი. ციხე ადგილობრივი ქვით არის აშენებული და იგი თითქოს კლდის ბუნებრივი ხაზების გაგრძელებას წარმოადგენს.

თუ თმოგვის ციხეს ძალიან შორიდან უყურებ, იტყვი, რომ შენს წინაშე ერთი მთლიანი კლდოვანი მთაა და მეტი არაფერი. ციხეს ფერიც კლდისა დაჰკრავს და კლდისაგან არც არქიტექტურული სტილით განირჩევა. უკვე მოთხრობილ ლეგენდებს კიდევ ერთი ლეგენდა ემატება. მე მგონია, რომ ამ უძველესი ქვეყნის ყოველ ადგილს თავისი ლეგენდა აქვს.

ერთხელ, როდესაც ურჯულოთა ლაშქარმა ციხეს ალყა შემოარტყა, ციხისთავის ცოლმა ქმარს უღალატა და მტრის სარდალზე თავდავიწყებით შეყვარებულმა (ამგვარი რამ ძალზე იშვიათად ხდებოდა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში!) მოწინააღმდეგეს ციხის ალაყაფის გასაღები გადაუგდო. მაგრამ ურჯულოთა სარდალი ბევრად უფრო ბრძენი და წინდახედული აღმოჩნდა, ვიდრე ციხისთავის ვნებააშლილი ცოლი. მან არც გასაღები მიიღო, არც ქალს გაუწია თანაგრძნობა. გასაღები წყალში გადააგდო, ქალი კი დავიწყებას მისცა. ქმრისა და საკუთარი ქვეყნის მოღალატე ქალი მას, უცხო ტომის შვილს, აბა რა ხეირს დააყრიდა!

მთაზე არ ავსულვარ. იქ ასვლას ციხის ქვემოდან თვალიერება ვარჩიე. თმოგვი ქაჯეთის ციხეს ჰგავდა, სადაც გრძნეულებმა ნესტან-დარეჯანი დაატყვევეს. ლეგენდასა და პოემას ერთმანეთს ვადარებ და ვფიქრობ: თუ ეს მართლა ქაჯეთის ციხე იქნებოდა, როგორღა უნდა წარმართულიყო ბრძოლა? ამის პასუხს თვით „ვეფხისტყაოსანი“ მაძლევს ნესტანის წერილის სახით, რომელიც დატყვევებულმა მეფის ასულმა თავის მიჯნურს გაუგზავნა:

ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ
გადასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა
დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ
დასცდებიან,
მათთა შემბმულთა დახოცენ, მართ ცეცხლად
მოედებიან.

უეჭველია, სიყმაწვილეში რუსთაველი მრავალ ასეთ ციხეს ნახავდა, ბევრ მათგანს კი ფეხდაფეხ შემოივლიდა. იმ ციხეთაგან ზოგი უთუოდ აღარ არსებობს. ჟამთა სიავემ ბევრი რამ მოსპო და გააცამტვერა; განსაკუთრებით აქ, სამხრეთ საქართველოში, სადაც მისი აკვანი დაირწა და სადაც დამპყრობთა შემოსევებს სათვალავი არ ჰქონდა.

მე კიდევ უფრო სამხრეთისაკენ მივიწევ და შემოსევების კვალსაც ვხედავ. აი, აქ უხსოვარ დროს თვალუწვდენელი ვენახები ყოფილა, რაიც შემდეგ ოტომანმა იანიჩარებმა აჩეხეს. სხვა ადგილზე ჯარისკაცებს ციხე აუშენებიათ, მაგრამ ესენი სხვა ჯარისკაცები იყვნენ. მათს მწვანე ალამზე ნახევარმთვარე იყო გამოსახული.

ქართული ავტომობილი თავდაღმა მიჰქრის და მე, ამ უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის გზებზე მოხეტიალეს, ერთი თურქული ანდაზა მაგონდება: „მეცნიერად გახდომა იმას ნიშნავს, რომ ჭა ნემსით ამოთხარო“. ვიგონებ ამას და მეცინება. ალბათ, ამ დამქანცველმა შრომამ დააშინა ოტომანთა იმპერიის მესვეურები. ისინი არცა ცდილან რაიმე მეცნიერებას ზიარებოდნენ და შემდეგ პრაქტიკაში ეცადათ, გამოვიდოდა აქედან რამე თუ არა. მათ

დიდად გაიხარეს, მაგალითად, მაშინ, როდესაც რუმინელმა თავადმა დიმიტრი კანტემირმა ოტომანთა იმპერიის პირველი ისტორია დაწერა (სხვათაშორის, ოტომანების მეორე ისტორიაც რუმინელის დაწერილია. იგი ნიკოლოზ იორგის კალამს ეკუთვნის). თურქები ამაყობდნენ, რომ შეეძლოთ თავი მოეწონებინათ ბიზანტიის საერო შენობებითა და ბაზილიკებით, რომელთა დანგრევა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს...

გონებაში თანდათან მწიფდება აზრი, რომ ყოველნაირი სახელმწიფოს ისტორიაში, თუნდაც ამ სახელმწიფოს მოსახლეობას უმთავრეს საქმიანობად ომი ჰქონდეს გადაქცეული, აღმოჩნდებიან სიკეთის მთესველ ადამიანთა სახელები, რომლებთანაც რაღაცნაირად მაინც დაკავშირებულია კაცობრიობის შემოქმედების ისტორია. მაგრამ როგორ ფხიზლად და მოთმინებითაც არ უნდა იფიქრო, იმ სახელებიდან, რომლებმაც ოტომანთა საუკუნეები აავსეს, ბაიაზედაზე უფრო კეთილ სახელს ვერ იპოვნი.

აბა რა საჭირო იყო ნემსით ჭის ამოთხრა! განა ამას რომელიმე ჭკუათმყოფელი კაცი მოიმოქმედებს? ისინი წამლავდნენ სხვისი ხელით ამოთხრილ ჭებს და ანგრევდნენ სხვისი ხელით აშენებულ ძეგლებს. ეს საქმე ბევრად უფრო იოლი იყო. თუნდაც ჩვენს მატიანეებსაც დავეკითხოთ: მათ იმდენი რამ იციან, რომ რისამე დამალვის ცდა მხოლოდ ამაო გარჯა იქნებოდა. ოტომანთა იმპერიის ფაშებს რომ ცოტა მეტი დრო ჰქონოდათ და ელადის ისტორია გადაეკითხათ, ვინ იცის, შესაძლოა, იგივე სურვილი დაჰბადებოდათ, რაც ჰეროსტრატეს დაებადა. მაგრამ ელინელი ორიგინალი, რომლის გიჟური იდეა მისივე სურვილისა და მისწრაფებისამებრ, ისტორიას დარჩა, პირველი იყო. დანარჩენ ჰეროსტრატეებს, რომლებმაც არამარტო დიანას ტაძარი, არამედ სხვაც ბევრი რამ დაანგრიეს, წილად არა ხვდათ ბედნიერება შთამომავლობისთვის თავიანთი სახელები დაეტოვებინათ. თუ მაინც შევიდნენ ისტორიაში, მხოლოდ იმით, რომ სულთანის აჰმედ-ფაშის კარავში საწამლავის შუშა შეაპარეს და ტირანის მოკვდინებით კაციჭამია პატრონის სახელი უკვდავყვეს.

მაგრამ მე მოგონებიდან გადავუხვიე. ავტომობილი ვაკე ადგილას გაჩერდა. აქ მზე ისე დამაბრმავებლად ანათებდა მიდამოს, რომ მე უკვე აღარ შემეძლო ოტომანთა იმპერიაზე მეფიქრა. ამჯერად მეორე კლდოვანი მთის ძირას ვიდექი. ზემოთ რაღაცნაირი შავი ხვრელები თუ გამოქვაბულები მოჩანდა, რაც იმის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, რომ კლდეში გამოკვეთილ ციხე-ქალაქს, ვარძიას, მივაღწიე.

ვარძია რომ ბერძნებს ენახათ, მას უსათუოდ სასწაულად მიიჩნევდნენ და მსოფლიოს შვიდ საკვირველებას რვამდე გაზრდიდნენ.

ვარძია საქართველოს სამხრეთ პროვინციაში, მესხეთში, მდებარეობს. გადმოცემის მიხედვით, შოთა რუსთაველი მესხეთის მკვიდრია. ოდესღაც აქ ვიღაც ბერები მოვიდნენ — ქვისმთლელები, მოქანდაკეები, კალატოზები, გაბედული და ძლიერი ადამიანები. ფრიალო კლდეს მუშტრის თვალით აჰხედდაჰხედეს და ადგილი მოეწონათ. წერაქვითა და ძალაყინებით, სოლებითა და უროებით მათ გამოჰკვეთეს მთა, გამოსჭრეს, გაასწორეს. იმ ადგილას, სადაც დღიდან სამყაროს შექმნისა, როდესაც ჯერ კიდევ არცერთი ცოცხალი არსება არ სუნთქავდა მინერალთა სამეფოს ცხელ ჰაერს, ეს ამორფული კლდე იდგა, შრომისმოყვარე და მშვენიერების მოტრფიალე ქართველებმა ათობით ფართო დარბაზი, დერეფნები, აივნები და ქუჩები, დიახ, სწორედ ქუჩები გამოჰკვეთეს! ქუჩები წინ უვლიდნენ დარბაზებს, სპირალურად ან ირიბად ქვემოთ ეშვებოდნენ კიბის საფეხურებით და ხელახლა მოემართებოდნენ ჰორიზონტალურად, ახლა კი უკვე სხვა იარუსის გასწვრივ. ციხე-ქალაქში მოეწყო მარნები და ხორბლის საწყობები. ფორტები—მომხვდურ მტრისაგან

თავდასაცავად, სათვალთვალო კოშკები, სამრეკლოები, საიდანაც კეთილშობილი ბრინჯაო მთებსა და დაბლობებს გასძახოდა და ყველას წირვაზე იწვევდა ტაძარში, რომელიც აქვე, ქართველი ადამიანის იმავე სასწაულმოქმედი ხელებით, კლდეში იყო გამოკვეთილი.

მე ტაძარში ვდგავარ, თამარ მეფის ფრესკის ქვეშ. თამარი პირმშვენიერი და ბრძენი ქალი იყო. იგი ოდესღაც შოთა რუსთაველს უყვარდა და, უნდა ითქვას, არცთუ ისე ფარულად. თამარის მეფობის ხანას ოქროს ხანად თვლიან. კლდე, რომელზედაც მხატვარს მისი მომხიბლავი ფიგურა დაუხატავს, ოქროსი არ არის, მაგრამ ხელები კი, რომლებმაც კლდე გამოაქანდაკეს, ოქროზე ძვირად ფასობს. სულის ამოსათქმელად ერთ-ერთ სვეტს ვეყრდნობი, ვაკვირდები ელეგანტურ სვეტისთავს, შემდეგ უფრო ზემოთ, ტაძრის თაღს ვავლებ მზერას და ბოლოს ქუჩის ბაქანზე გამოვდივარ. მთას მარადისობა დაუმორჩილებია და მე არა მჯერა, რომ ამ მთიდან გამოვედი, სადაც კაცის ხელმა ყველაფერი გამოჰკვეთა, რაც კი მოისურვა. მას ვერაფერი დააკლო ვერც დრომ, ვერც ქარმა და წვიმამ, ვერც მიწისძვრებმა აქ ყველაფერი ხელით გაკეთდა, პნევმატური ჩაქუჩის, ელექტრომწეების და დინამიტის დაუხმარებლად.

ვარძიის ტაძარი ფართოა და მიმზიდველი სანახავი, ოთახები კი ნამდვილ ლაბირინთებს წარმოადგენს. თვითეული ოთახი ისეა განლაგებული, რომ მზის სხივები მთელი დღის განმავლობაში არ მოაკლდეს, მზე კი, ყველას მოეხსენება, სინათლის წყაროც არის და სითბოსიც. ერთ-ერთ ასეთ ოთახში, რომელიც კლდეში ღრმადაა შეჭრილი, სასიამოვნო სიგრილეს იგრძნობ და სრულ სიჩუმეში წყაროს ჩუხჩუხსაც გაიგონებ. დიახ, ეს წყაროა! წყალი გემრიელია და ქვის ღარზე მსხვილ ნაკადად გადმოჩქეფს. ეჭვი არაა, ეს წყალი დიდი ალყის დროს ხალხით სავსე მთელ ქალაქს თავისუფლად ეყოფოდა.

ჩადიხარ ქვემოთ და არაფერს ხედავ, გარდა პირდაპირ [illegible] გამოქვაბულებისა, რომლებსაც მხოლოდ დათვი თუ ამოირჩევდა ბუნაგად. მაგრამ ზემოთ, მიუხედავად მრავალზე უმრავლესი ისტორიული უბედურებისა, რაც ვარძიის ციხე-ქალაქს თავს გადაჰხდენია, მაინც თვალს გტაცებს ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრების განუმეორებელი ფორმები და ორნამენტაცია.

სასოებით ვათვალიერებ დარბაზებს და ამ ცაში გამოკიდებული ქუჩების ნანგრევებს. ხეს საუკუნეებისათვის ვერ გაუძლია და დამპალა, ხალხი გადაშენებულა, უვნებლად მხოლოდ ქვა და ფრესკის საღებავი გადარჩენილა. ეს რაღაა? ორმო! ფსკერზე ვეება ქვევრის ნატეხები ყრია. აი, კიდევ თაროები კედლებში. აქ წიგნებს კითხულობდნენ და წერდნენ. ადამიანები ღვინოს სვამდნენ, ღმერთს ადიდებდნენ და, შესაძლოა, უფრო ხშირად მეფე თამარის სადღეგრძელო წარმოითქმებოდა. აქვე იდებოდა ტრაქტატები და ხელშეკრულებები, როდესაც საქართველო აზიის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო.

დავდივარ, დავეხეტები ვარძიაში. ერთხელ და ორჯერ უკვე ნანახს მესამედ და მეოთხედ ხარბად ვათვალიერებ და მაინც ვერ ვძღები მისი ცქერით.

ვარძია უკანასკნელი იყო ამ ათობით ციხე-დარბაზებსა, ციხე-კოშკებსა და ციხე-სიმაგრეებს შორის, რომლებიც მე საქართველოში ვნახე. ახლა ამ კონსტრუქციათა ისტორიულ როლსა და დანიშნულებაზე ვფიქრობდი. რამდენჯერ იხსნეს მათ ევროპის ცივილიზაცია აზიელთა თავდასხმებისაგან! კავკასია გახლდათ პირველი ჭიშკარი, რომელიც ევროპის დასამონებლად წამოსულ ურდოებს უნდა გამოევლოთ ძველ დროში. ძალზე იშვიათად, და ისიც დიდი მსხვერპლის გაღების შემდეგ, ისინი ხანდახან ახერხებდნენ ჭიშ-

კარში გასხლტომას, მაგრამ ამ დროს მათი ძალა უკვე საგრძნობლად შეკვეცილ-შემცირებული იყო. მეორე ჭიშკარი—დაკია — სისხლისმსმელ მომხვდურს კიდევ უფრო ასუსტებდა.

სპარსელები და მონღოლები, თურქები და ყველა ტომი თუ ხალხი, რომლებიც კი საქართველოს მადლისა და ბარაქის მითვისებას ლამობდნენ, ერთთავად ომში იყვნენ, უზომო სიავეს ჩადიოდნენ, მაგრამ ყველა ხელცარიელი დაუბრუნდა თავის ბუნაგს, საიდანაც ლაშქრად წამოვიდა, ხოლო საქართველო მისსავე ადგილზე დარჩა. სასწაულია ეს თუ არასასწაული, მისი საიდუმლო ამ უძველესი და უნიჭიერესი, მრავალჭირნახული ხალხის გონებასა, ტემპერამენტსა და, საერთოდ, ხასიათში უნდა ვეძიოთ. დამპყრობლებმა არ იცოდნენ და არც მათს წინასწარმეტყველებს შეეძლოთ ბრძნული რჩევის მიცემა სხვათა ასაკლებად დაძრული ურდოებისათვის, რჩევისა, რომელიც რამდენიმე საუკუნის მოგვიანებით [illegible] მიანებს მისცა მწუხარე სახის [illegible] როვე რაინდმა, იოსებ შვეიკმა, ჰაშეკის სახელგანთქმულმა გმირმა: „შესვლა, უნდა მოგახსენოთ, ყველას შეუძლია, მაგრამ მთელი სადავიდარაბო საქმე ის გახლავთ, უკან როგორღა გამოხვიდე. აი, ჭეშმარიტი სამხედრო მეცნიერება!“

დამპყრობლები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მაგრამ ქართველმა ხალხმა, რომელმაც ჩინებულად ისწავლა, თუ როგორ დაეცვა თავი და, ამგვარად, მთელი განათლებული მსოფლიოც, ეს ციხე-სიმაგრეები ააშენა. ამავე ციხე-სიმაგრეებმა, ტაძრებმა და ციხე-დარბაზებმა გააფაქიზეს მისი გემოვნება, ლტოლვა მშვენიერებისადმი და განუვითარეს ხალხს არამარტო მეომრული სიმამაცე და შემართება, არამედ უნარი შემოქმედებისა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ბაკურაძე

# ლენინი, როგორც ფილოსოფოსი

ფილოსოფია მარქსიზმ-ლენინიზმის განუყრელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამ ფილოსოფიას დიალექტიკური მატერიალიზმი წარმოადგენს. მისი შექმნა მოასწავებდა სრულიად ახალი ეპოქის დასაწყისს ფილოსოფიური აზრის განვითარებაში, როდესაც ფილოსოფია ნამდვილად მეცნიერული გახდა და სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის საშუალებად გადაიქცა. როგორც ყოველი მეცნიერული თეორია, დიალექტიკური მატერიალიზმიც არ არის დოგმების სისტემა, არამედ მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებას უფარდებს თავისი შინაარსის შეცვლასა და განვითარებას. ამ მოთხოვნას ყოველთვის აყენებდნენ და ახორციელებდნენ მისი კლასიკოსები, რომლებიც დიალექტიკური მატერიალიზმის კავშირს მეცნიერებასა და პრაქტიკასთან მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად თვლიდნენ.

მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ლენინს, რომლის ფილოსოფიური მემკვიდრეობაც ამ განვითარების განსაკუთრებულ ეტაპს შეადგენს. ამოცანა, რომელიც ლენინის, როგორც ფილოსოფოსის წინაშე იდგა, ძირითადად ორმხრივი იყო: მარქსიზმის ფილოსოფიის დაცვა მისი მტრების თავდასხმებისაგან და, მეორე მხრივ, მისი განვითარება ახალი ისტორიული გარემოებისა და მეცნიერების, განსაკუთრებით ბუნებისმეცნიერების, ახალი აღმოჩენების გათვალისწინებით.

მარქსიზმის ფილოსოფიის მტრები თუ ყალბი მეგობრები სადავოდ ხდიდნენ არა მარტო მის ჭეშმარიტებას, არამედ თვით არსებობასაც კი. მარქსიზმს არა აქვს საკუთარი ფილოსოფია—ეს იდეა ფართოდ იყო გავრცელებული რევიზიონიზმის წარმომადგენლებს შორის.

პირველი რევიზიონისტული მიმართულება, რომლის მამამთავარიც ე. ბერნშტეინი იყო, აყენებდა ლოზუნგს „უკან კანტისაკენ!“ და აშკარად მოითხოვდა, რომ მარქსიზმის ფილოსოფიად კანტის თეორია გამხდარიყო. რევიზიონისტები სავსებით უარყოფდნენ დიალექტიკას, ხოლო ბერნშტეინი პირდაპირ ამბობდა, რომ ჰეგელის დიალექტიკამ მარქსსა და ენგელსზე დამღუპველი გავლენა მოახდინაო.

მარქსიზმის მახისტური რევიზია (ა. ბოგდანოვი, ვ. ბაზაროვი და სხვ.) მიზნად ისახავდა მარქსიზმის „შევსებას“— „უახლესი ფილოსოფიით“ — მახიზმით. მარქსიზმის ფილოსოფიის განვითარების ამოცანა მათ მიერ წარმოდგენილი იქნა, როგორც მისი პრინციპების უარყოფა და დიალექტიკური მატერიალიზმის შეცვლა სუბიექტური იდეალიზმით.

რევიზიის, ე. ი. არსებითად უარყო-

ფის საგნად იყო გამხდარი მარქსისტული სოციოლოგიაც — ისტორიული მატერიალიზმი. ბერნშტეინელები, მახისტები, კაუცკიანელები და სხვ. ამახინჯებდნენ და აყალბებდნენ ისტორიული მატერიალიზმის პრინციპულ დებულებებს და მარქსიზმისათვის უცხო, იდეალისტური შინაარსი შეჰქონდათ მასში.

თავისთავად გასაგებია, რომ მარქსიზმის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა მთელი ბურჟუაზიული ფილოსოფია, რომლის სხვადასხვანაირი „იზმები“ ერთიანდებოდნენ მარქსისტული ფილოსოფიის გაბათილების მცდელობაში.

მარქსისტული ფილოსოფიის დაცვისა და ყოველმხრივი შემოქმედებითი განვითარების მისია ლენინმა შეასრულა.

დიდია ლენინის დამსახურება მარქსისტული დიალექტიკის განვითარებაში. არ დარჩენილა მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ლენინი არ შეხებოდეს და თავისი მოსაზრება არ გამოეთქვას.

ლენინს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მწვავე კამათის საგნად დახვდა მარქსის დიალექტიკისა და ჰეგელის დიალექტიკის ურთიერთობის პრობლემა. მისი სიმწვავე განაპირობა არა მარტო იმან, რომ ეხებოდა მარქსიზმის ურთიერთობას ფილოსოფიურ წყაროსთან. აქ უფრო მნიშვნელოვანს ის წარმოადგენდა, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტაში ვლინდებოდა თვითონ მარქსისტული დიალექტიკის გაგება. მარქსიზმის აშკარა კრიტიკოსებიც და რევიზიონისტებიც მარქსისტული დიალექტიკის კრიტიკას წინ უმძღვარებდნენ იმის მტკიცებას, რომ მარქსის დიალექტიკა და ჰეგელის დიალექტიკა არსებითად ერთი და იგივეა.

მარქსისა და ენგელსის შემდეგ ლენინი იყო პირველი მარქსისტი, ვინც ზუსტად განსაზღვრა მარქსის დიალექტიკისა და ჰეგელის დიალექტიკის ურთიერთობა, აჩვენა, როგორც მათი პრინციპული დაპირისპირებულობა, ისე ჰეგელის დიალექტიკის „რაციონალური მარცვალი“, რომელიც კრიტიკულ-მატერიალისტურად არის გადამუშავებული მარქსისტულ დიალექტიკაში.

ლენინმა შემდგომ დაამუშავა მატერიალისტური დიალექტიკის კანონები და კატეგორიები, გამოთქვა მთელი რიგი ფილოსოფიური დებულებებისა, რომლებიც ახალ სიტყვას წარმოადგენენ დიალექტიკის ისტორიაში.

დიალექტიკის უძირითადეს კანონად ლენინი განიხილავს დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონს, რომელიც გასაგებად ხდის საგანთა არსებას, მათ თვითმოძრაობას. შესაბამისად, ლენინი ახასიათებს განვითარების ორ კონცეფციას. აღსანიშნავია, რომ ლენინი მეტაფიზიკისა და დიალექტიკის დაპირისპირებას უბრალოდ იმის მიხედვით კი არ ახდენს, რომ განვითარებას უარყოფს ერთი და აღიარებს მეორე. მე-20 საუკუნეში, აღნიშნავდა ლენინი, „განვითარების პრინციპს“ ყველა ეთანხმება. მაგრამ მთავარი ის არის, თუ ვის როგორ ესმის განვითარება. მეტაფიზიკური კონცეფციის მიხედვით, განვითარება არის შემცირება ან ზრდა, განვლილის გამეორება. პირიქით, დიალექტიკა განვითარებაში ხედავს ერთიანის გაორებას, რომლის საფუძველზედაც ხდება უწყვეტობის გაწყვეტა, ნახტომები, ძველის მოსპობა და ახლის წარმოშობა.

ლენინი აკრიტიკებს პლეხანოვს იმისათვის, რომ მან დაპირისპირებულთა ერთიანობა მაგალითების ჯამის სახით წარმოადგინა და ვერ გახსნა მისი ნამდვილი შინაარსი, ვერ გაიგო იგი, როგორც ობიექტური სამყაროსა და ამავე დროს შემეცნების კანონიც. დიალექტიკა, ამბობს ლენინი, არის შემეცნების თეორია. მაშასადამე, დიალექტიკური განვითარებით ხასიათდება არა მარტო ბუნებისა და საზოგადოების ისტორია, არამედ თვითონ შემეცნებაც. რადგანაც აზროვნება, მისი კატეგორიები არსის ასახვას წარმოადგენენ, ამიტომ დიალექტიკური კანონზომიერება, მათი კანონზომიერებაც არის. უამისოდ შემეც-

ნების დიალექტიკას ობიექტური მნიშვნელობა არ ექნებოდა. რომელიც გინდა წინადადებაში, მიუთითებს ლენინი, შეიძლება აღმოვაჩინოთ დიალექტიკის ყველა ელემენტი და, ამრიგად ვაჩვენოთ, რომ ადამიანის შემეცნებას საერთოდ ახასიათებს დიალექტიკა. უკვე ასეთ მსჯელობაში „ცუგა არის ძაღლი“ მოცემულია ცალკეულისა და ზოგადის დიალექტიკური კავშირი. ცალკეული და ზოგადი საპირისპიროებია, მაგრამ მსჯელობაში ისინი დიალექტიკურ კავშირში იმყოფებიან. მაშასადამე, დაასკვნის ლენინი, „დაპირისპირებულობანი (ცალკეული დაპირისპირებულია ზოგადისადმი) იგივურნი არიან: ცალკეული არ არსებობს სხვანაირად, თუ არა იმ კავშირში, რომელსაც ზოგადისაკენ მივყავართ. ზოგადი არსებობს მხოლოდ ცალკეულში, ცალკეულის მეშვეობით. ყოველი ცალკეული არის (ასე თუ ისე) ზოგადი. ყოველი ზოგადი არის ცალკეულის (ნაწილაკი ან მხარე, ანდა არსება). ყოველი ზოგადი მხოლოდ დაახლოებით მოიცავს ყველა ცალკეულ საგანს. ყოველი ცალკეული არასრულად შედის ზოგადში და ა. შ. და ა. შ. ყოველი ცალკეული ათასობით გადასასვლელითაა დაკავშირებული სხვაგვარ ცალკეულებთან (ნივთებთან, მოვლენებთან, პროცესებთან) და ა. შ. *უკვე* აქ არის ელემენტები, ჩანასახები, ცნებები *აუცილებლობისა*, ბუნების ობიექტური კავშირისა etc“ (თხზ., ტ. 38, გვ. 373-374).

როგორც ვხედავთ, ზოგადისა და ცალკეულის დიალექტიკური ერთიანობა იმას გულისხმობს, რომ რეალურად არც წმინდა ცალკეული არსებობს და არც წმინდა ზოგადი. ერთიცა და მეორეც აბსტრაქციის შედეგია. რეალურად ჩვენ საქმე გვაქვს კონკრეტულ საგანთან, რომელიც ზოგადიც არის და ერთეულიც ერთსა და იმავე დროს: ზოგადია, რამდენადაც მას აქვს სხვა საგნებთან იგივური ნიშნები, და ცალკეულია თავისი ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით. მეცნიერება სწვდება საგანთა კანონს, ე. ი. იმ ზოგადს, რომელიც არსებითია მათთვის.

დაპირისპირებულთა ერთიანობის, მათი შინაგანი კავშირის ლენინური გაგება მიმართულია ყველა იმ მეტაფიზიკური და იდეალისტური თეორიების წინააღმდეგ, რომლებიც ერთმანეთისაგან წყვეტენ ზოგადსა და ცალკეულს, აქედან გამოსვლით უარყოფენ ობიექტურ კანონზომიერებას და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ზოგად ცნებებს ობიექტური შინაარსი არა აქვთ. ცნობილია, რომ მთელი თანამედროვე პოზიტივიზმი ნომინალიზმის პოზიციაზე დგას, ზოგადის ობიექტურობის აღიარებას მეტაფიზიკად აცხადებს და ა. შ. მეორე მხრივ, ისტორიულ მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული ნეოკანტიანური შეხედულება ზოგადს ისტორიაში შეუძლებლად მიიჩნევს და შესაბამისად მის ობიექტურ კანონებს უარყოფს.

ლენინი მეცნიერული ფილოსოფიისათვის არსებითად მნიშვნელოვნად თვლიდა მის განუყრელ კავშირს სპეციალურ მეცნიერებებთან. ლენინის აზრი ამ საკითხზე სრულიად ნათელია: სპეციალური მეცნიერებებისაგან, კონკრეტული ცოდნისაგან მოწყვეტილი და თავის თავში ჩაკეტილი ფილოსოფია უნაყოფო თეორიაა, რომელიც არაფერს არ მატებს სინამდვილის გაგებას. ასეთ თეორიებზე ლენინი ამბობდა, რომ „უვარგისი არიან უკვე იმიტომ, რომ ისინი არსებობენ, უვარგისი არიან თავიანთი ძირითადი მეთოდების, თავიანთი სრული და გამოუვალი მეტაფიზიკურობის გამო“ (თხზ., ტ. 1, გვ. 155). ლენინი ჰგმობს მეტაფიზიკას, როგორც ისეთ მოძღვრებას, რომელიც ცდილობს ფაქტების შესახებ კითხვებს პასუხი გასცეს აპრიორული მსჯელობებით. აკრიტიკებდა რა მიხაილოვსკის, რომელიც აპრიორულად, ე. ი. ფაქტებისაგან დამოუკიდებლად მსჯელობდა საზოგადოებასა თუ პროგრესზე, ლენინი წერდა: „ეს ყველაზე თვალსაჩინო ნიშანია

მეტაფიზიკისა, რომლითაც ყოველი მეცნიერება იწყებდა: სანამ არ იცოდნენ, თუ როგორ შესდგომოდნენ ფაქტების შესწავლას, ყოველთვის თხზავდნენ a priori ზოგად თეორიებს, რომლებიც ყოველთვის უნაყოფო რჩებოდნენ. მეტაფიზიკოსი-ქიმიკოსი, რომელმაც ჯერ არ იცოდა ფაქტიურად ქიმიური პროცესების გამოკვლევა, თხზავდა თეორიას იმის შესახებ, თუ რა ძალაა ქიმიური თვისობა? მეტაფიზიკოსი-ბიოლოგი მსჯელობდა იმაზე თუ რა არის სიცოცხლე და სასიცოცხლო ძალა? მეტაფიზიკოსი-ფსიქოლოგი მსჯელობდა იმაზე, თუ რა არის სული? აქ უკვე თვით მეთოდი იყო უაზრო" (იქვე, გვ. 155-156). ეს „უაზრო მეთოდი" იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოსაკვლევ საკითხს აპრიორულ მსჯელობებს უქვემდებარებს და სინამდვილის ფაქტიურ შესწავლას უგულებელყოფს. ლენინი, პირიქით, იმას მოითხოვს, რომ მეცნიერული გამოკვლევა ფაქტების ანალიზით იწყებოდეს და არა ზოგადი თეორიებით იმის შესახებ, თუ მაგალითად, რა არის სული ან საზოგადოება საერთოდ. მეცნიერული ფილოსოფიის მეთოდი თავის გამართლებასა და დადასტურებას საგანთა ფაქტიურ შესწავლაში უნდა ნახულობდეს. ლენინი მიუთითებს მარქსის „კაპიტალზე", როგორც ისეთ ნაწარმოებზე, რომელიც საპირისპიროა მეტაფიზიკური სოციოლოგიისა. მარქსმა, ამბობს ლენინი, მოგვცა მეცნიერული ანალიზი ერთი საზოგადოებისა და ერთი პროგრესისა-კაპიტალისტურისა, ფაქტების ანალიზით დაიწყო და არა საბოლოო დასკვნებით. „თუ მატერიალიზმის გამოყენებამ ერთი საზოგადოებრივი ფორმაციის ანალიზისა და ახსნისათვის ასეთი ბრწყინვალე შედეგები მოგვცა, სრულიად ბუნებრივია, რომ მატერიალიზმი ისტორიაში იქცევა უკვე არა ჰიპოთეზად, არამედ მეცნიერულად შემოწმებულ თეორიად; სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთი მეთოდის აუცილებლობა ვრცელდება დანარჩენ საზოგადოებრივ ფორმაციებზეც, რომელნიც შეიძლება არც ყოფილან სპეციალური ფაქტიური შესწავლისა და დეტალური ანალიზის საგანი" (თხზ., ტ. 1, გვ. 158).

ლენინის ამ იდეებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ისეთი სოციოლოგიური კატეგორიების გამოკვლევისათვის, როგორიცაა „საზოგადოება" ან „პროგრესი", არამედ ფილოსოფიური კატეგორიების გამოკვლევისათვის საერთოდ. ფილოსოფია, როგორც მეცნიერება სინამდვილის განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ, ან სპეციალურ მეცნიერებებთან მჭიდრო კავშირში განავითარებს თავის დასკვნებსა და განზოგადებებს, ან ის დარჩება წმინდა ლოგიცისტურ მოძღვრებად, რომელსაც შეუძლებელია ეწოდოს ცოდნა სინამდვილის შესახებ.

ლენინის ბრძოლა მეტაფიზიკის წინააღმდეგ არსებითად უნდა განვასხვავოთ მეტაფიზიკის იმ უარყოფისაგან, რომელიც თანამედროვე პოზიტივიზმის პრინციპულ ნიშანს შეადგენს.

ლოგიკური პოზიტივიზმი მეტაფიზიკად თვლის ისეთ მოძღვრებას, რომელიც მსჯელობს საგანთა არსებისა და ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი რეალობის შესახებ. ასეთი მსჯელობები, ამბობენ მ. შლიკი, რ. კარნაპი, ა. აიერი და სხვ. უაზრო მსჯელობებია, რომლებსაც ვერც ჭეშმარიტს ვუწოდებთ და ვერც მცდარს. საკითხი, მაგალითად, ცნობიერებისა და ყოფიერების ურთიერთობის შესახებ. რომელია პირველადი და რომელია მეორადი, მათ მიხედვით, მეტაფიზიკური საკითხია, რომელიც მეცნიერების ფარგლებში არ შეიძლება გადაწყდეს. ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი საგანი არის ცარიელი აბსტრაქცია და შემეცნების საგნად არასოდეს არ გახდება. მეცნიერება ემპირიულ რეალობას, მოვლენებს სწავლობს და არა რაღაც ტრანსცენდენტურს, მიღმურ სინამდვილეს. მატერიალიზმიცა და იდეალიზმიც, ამბობენ პოზიტივისტები, მეტაფიზიკაა, ერთსაცა და მეორესაც ცრუ

პრობლემებთან აქვს საქმე. ნამდვილი, მეცნიერული ფილოსოფია არც მატერიალიზმია და არც იდეალიზმი. „ფილოსოფიის ბუნებაში,—წერს ა. აიერი,—არ არის არაფერი ისეთი, რაც საფუძველს იძლეოდეს საპირისპირო პარტიების ან „სკოლების“ არსებობისათვის“ (A. Ayer. Language, Truth and Logik 1948, გვ. 133). პარტიები ფილოსოფიაში სულისა და მატერიის ურთიერთობის საკითხმა წარმოშვა, ეს საკითხი კი უაზრო საკითხად არის გამოცხადებული.

ლენინმა ნახევარი საუკუნის წინათ გამოააშკარავა ამგვარი „მეტაფიზიკის“ უარყოფის ნამდვილი აზრი. ჯერ კიდევ მახისტები აცხადებდნენ პრეტენზიას იდეალიზმსა და მატერიალიზმზე „მაღლა“ დგომისას, სინამდვილეში კი სუბიექტურ იდეალიზმს ქადაგებდნენ. მახისტებიც ისევე, როგორც თანამედროვე პოზიტივისტები, მეტაფიზიკად ნათლავდნენ მატერიის პირველადობის, ჭეშმარიტების ობიექტურობის და სხვ. აღიარებას და თავი მოჰქონდათ უპარტიულობით ფილოსოფიაში. ლენინმა ცხადყო, რომ არაპარტიული ფილოსოფია არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ეხებოდა რა მახისტების ცდებს დაეფარათ თავიანთი იდეალიზმი, ლენინი წერდა: „ყ ვ ე ლ ა მახისტის ყ ვ ე ლ ა ნაწერში წითელი ზოლივით ჩანს გონებაჩლუნგი პრეტენზია მატერიალიზმსა და იდეალიზმზე „მაღლა დადგომისა“, ამ „მოძველებული“ დაპირისპირების დაძლევისა, ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ კი მთელი ეს კომპანია ყ ო ვ ე ლ წუთს იდეალიზმში ვარდება, მუდმივ და შეუდრეკელ ბრძოლას აწარმოებს მატერიალიზმის წინააღმდეგ“ (თხზ., ტ. 14, გვ. 435).

ლენინმა მახიზმისა და სხვ. ფილოსოფიური თეორიების კრიტიკის დროს დაასაბუთა, რომ ფილოსოფია ყოველთვის იყო პარტიული, ხოლო ფილოსოფიის ძირითადი საკითხის თანამიმდევრული გადაწყვეტა ან მატერიალიზმს შეიძლება ნიშნავდეს ან იდეალიზმს. ახალი ფილოსოფია, ამბობდა ლენინი, ისევე პარტიულია, როგორც ორი ათასი წლის წინათ იყო. შებრძოლი პარტიები არსებითად მატერიალიზმი და იდეალიზმია.

ემპირიოკრიტიციზმის პარტიულობის ლენინური შეფასება სავსებით ძალას ინარჩუნებს თანამედროვე პოზიტივიზმის მიმართაც. ლოგიკური პოზიტივისტები, მეტაფიზიკას რომ უარყოფენ, ემპირიულ რეალობას ერთადერთ სინამდვილედ თვლიან, ხოლო ემპირიული საგნები ესმით, როგორც შეგრძნებათა კომბინაციები. მათი ბრძოლა მეტაფიზიკის წინააღმდეგ სინამდვილეში მოასწავებს ბრძოლას მატერიალიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან ლოგიკური პოზიტივიზმის ძირითადი პრინციპი წმინდა წყლის სუბიექტურ იდეალიზმს წარმოადგენს. თანამედროვე პოზიტივიზმი ისევე პარტიული თეორიაა, როგორც წარსულის იდეალისტური სისტემები.

ლენინის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის ნაშრომს „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომელიც 1909 წ. გამოვიდა. ამ წიგნში ლენინმა არამარტო დაიცვა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი რუსი მახისტებისა და მათი უცხოელი მასწავლებლების თავდასხმებისაგან, არამედ ამავე დროს განავითარა მარქსისტული ფილოსოფია, ფილოსოფიურად განაზოგადა რა ბუნებისმეტყველების ყველა უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი მე-19 საუკ. ბოლოსა და მე-20 საუკ. პირველ ათწლედში.

ემპირიოკრიტიციზმი, რომლის ამომწურავ კრიტიკასაც ლენინი იძლევა, წარმოადგენდა სუბიექტურ იდეალიზმს, რომლის ძირითადი იდეაც იმაში მდგომარეობდა, რომ საგნები შეგრძნებათა კომპლექსებია და არ არსებობენ ობიექტურად, ე. ი. ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. ეს გნოსეოლოგიური თეორია საგნის აღქმისა და აღქმის საგნის იგივეობას ამტკიცებდა და ცდილობდა თავის მოკავში-

რედ წარმოედგინა იმდროინდელი ბუნებისმეტყველება, რომელმაც თითქოს დაადასტურა იდეალიზმის ჭეშმარიტება. ისტორიულად ემპირიოკრიტიციზმი ბერკლისა და ჰიუმის იდეალიზმს აღადგენდა, მაგრამ მატერიალიზმის გაბათილებას უფრო ფართო საფუძვლით ცდილობდა, ვიდრე მისი წინამორბედები.

ლენინი დიალექტიკური მატერიალიზმის ასახვის თეორიას იცავს, როდესაც მახისტების წინააღმდეგ ამტკიცებს, რომ ჩვენი შეგრძნებები მხოლოდ ცნობიერი ასახვაა ობიექტური სინამდვილისა. ასახვა არ არსებობს ასახულისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ასახული არ არის დამოკიდებული ასახვაზე. მაშასადამე, ობიექტისა და ადამიანის შეგრძნებათა კავშირი იმას კი არ ნიშნავს, თითქოს პირველი მეორის გარეშე არ არსებობდეს, არამედ მხოლოდ იმას, რომ შეგრძნებები ადამიანს უშუალოდ აკავშირებენ გარეშე სინამდვილესთან და მის სურათს წარმოადგენენ. ამავე დროს ლენინი ხაზს უსვამს იმას, რომ შეგრძნება არის საგნის სურათი, გამოხატულება და არა სიმბოლო. სიმბოლოსა და საგანს შორის შესაბამისობა შეიძლება იყოს და მეტი არაფერი, და არსებობს მრავალი სიმბოლო, რომელიც არარსებულ, მოჩვენებით საგანს შეეხება. შეგრძნება, აღქმა არა უბრალოდ შეესაბამება საგანს, არამედ არის მისი გამოხატულება, ასახვა.

შემეცნების თეორიის ცენტრალურ პრობლემას ჭეშმარიტების პრობლემა წარმოადგენს. ლენინმა ღრმად და ყოველმხრივ დაამუშავა დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრება ჭეშმარიტების შესახებ და პრინციპულად გამიჯნა იგი *ყოველგვარი* იდეალიზმისაგან.

მეცნიერული შემეცნების დროს შემეცნების საგანი სუბიექტისაგან დამოუკიდებელია. ამიტომ შემეცნების შინაარსი, რაკი ის საგნის გაცნობიერებას წარმოადგენს, სუბიექტისაგან განსაზღვრული ვერ იქნება. როგორ გავიგებთ ცნობიერების ამ შინაარსს, ე. ი. ცოდნას, ეს, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გვესმის შემეცნების საგანი. მატერიალიზმისათვის შემეცნება ობიექტური სინამდვილის ასახვას წარმოადგენს. ცხადია, რომ მატერიალიზმისათვის შემეცნების შინაარსი ამ საგნით არის განსაზღვრული და ამაშივე მდგომარეობს მისი დამოუკიდებლობა სუბიექტისაგან. ასე ესმის მატერიალიზმს ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება ცნობიერების ისეთი შინაარსია, რომელიც საგნის ასე თუ ისე ადეკვატურ ასახვას წარმოადგენს და დამოუკიდებელია სუბიექტისაგან. სხვანაირად რომ ვთქვათ, მატერიალიზმი სცნობს ჭეშმარიტების ობიექტურობას. მატერიალიზმისათვის, ამბობს ლენინი, არსებითია ობიექტური ჭეშმარიტების აღიარება. მართლაც, დაეჭვება ჩვენი ცოდნის შინაარსის ობიექტურობაში საბოლოოდ იმ სინამდვილის არსებობაში დაეჭვებას ნიშნავს, რომელსაც შეიძლება ეს ობიექტურობა ემყარებოდეს.

როდესაც ვლაპარაკობთ ობიექტური ჭეშმარიტების სუბიექტისაგან დამოუკიდებლობის შესახებ, იგულისხმება არა მხოლოდ ესა თუ ის სუბიექტი, ესა თუ ის ადამიანი, არამედ სუბიექტი საერთოდ, მთელი კაცობრიობა. თუნდაც რაიმე აზრი მთელი კაცობრიობის ცნობიერების შინაარსი იყოს, ამის გამო მაინც არ იქნებოდა ჭეშმარიტი, ვინაიდან კაცობრიობაც ისევე შეიძლება ცდებოდეს, როგორც ერთი ადამიანი. ჭეშმარიტების გარანტიას ამიტომ სუბიექტისაგან მისი დამოუკიდებლობა, ობიექტური საგნის გაცნობიერება წარმოადგენს. მეორეს მხრივ, ჭეშმარიტების ობიექტურობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჭეშმარიტება სუბიექტის, მისი ცნობიერების *გარეშე არსებობს*, როგორც მაგ., მაგიდა ან ცხენი. ჭეშმარიტება აზრის ნიშანია, ჭეშმარიტი ან მცდარი მხოლოდ აზრი შეიძლება იყოს; საგანი არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, ის საგანია და მეტი არაფერი. ჭეშ-

მარიტების ობიექტურობა მისი ადამიანის გარეშე არსებობის აზრით ობიექტურ იდეალიზმს ნიშნავს. ჭეშმარიტება ცნობიერების შინაარსია, ამიტომ ის სუბიექტის გარეშე ვერ იქნება; მაგრამ ეს შინაარსი საგნით არის განსაზღვრული, მის ასახვას წარმოადგენს, ამიტომ ის სუბიექტზე არ არის დამოკიდებული, ობიექტურია.

საკითხს ობიექტური ჭეშმარიტების არსებობის შესახებ ლენინი ანსხვავებს აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების ურთიერთობის საკითხისაგან. ეს მეორე საკითხი შეეხება იმას, შეუძლიათ თუ არა ადამიანის წარმოდგენებს აბსოლუტურად გამოხატონ ობიექტური ჭეშმარიტება, თუ მხოლოდ მიახლოებით, შეფარდებითად? მეტაფიზიკისათვის ჭეშმარიტება ან მხოლოდ აბსოლუტურია, ან მხოლოდ შეფარდებითი. ლენინი, რომელსაც შემეცნების თეორია ესმის როგორც დიალექტიკა, ასაბუთებს, რომ აბსოლუტურობა და შეფარდებითობა ერთი და იგივე ჭეშმარიტების დახასიათებაა, რომელიც იმას გამოხატავს,რომ ყოველი მეცნიერული დებულების ჭეშმარიტების ფარგლები შეფარდებითია, მაგრამ ის აუცილებლად შეიცავს აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვლებს. ამ უკანასკნელის სავსებით უარყოფა რელატივიზმს ნიშნავს და ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფამდე მივყავართ. „დიალექტიკური მატერიალიზმისათვის, — წერს ლენინი, — არ არსებობს გადაულახავი ზღუდე შეფარდებითსა და აბსოლუტურ ჭეშმარიტებას შორის.. თანამედროვე მატერიალიზმის, ე. ი. მარქსიზმის, თვალსაზრისით ისტორიულად პირობითია ფ ა რ გ ლ ე ბ ი ჩვენი ცოდნის მიახლოებისა ობიექტურ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან, მაგრამ უ ც ი ლ ო ბ ე ლ ი ა ამ ჭეშმარიტების არსებობა, უცილობელია ის, რომ ჩვენ ვუახლოვდებით მას“ (თხზ., ტ. 14, გვ. 163).

ჭეშმარიტების კრიტერიუმად ლენინი განიხილავს პრაქტიკას და ამტკიცებს, რომ პრაქტიკის კრიტერიუმი შემეცნების თეორიის საფუძველი უნდა იყოს. ეს იდეა, რომელიც პირველად მარქსმა გამოთქვა, სრულიად ახლებურ შემეცნების თეორიას მოასწავებს და ბოლოს უღებს თეორიისა და პრაქტიკის ისტორიულად ცნობილ აბსტრაქტულ დაპირისპირებას.

ჭეშმარიტების პრობლემის ლენინისეულ გადაწყვეტას პრინციპული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკისათვის. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისეთი გავლენიანი მიმართულება, როგორიცაა ლოგიკური პოზიტივიზმი, რელატივიზმის პრინციპს იცავს, როდესაც ამტკიცებს, რომ ბუნების შესახებ ჩვენი ცოდნა მხოლოდ ალბათური შეიძლება იყოს. ეს შეხედულება ლოგიკურად გამომდინარეობს პოზიტივიზმის მიერ ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფიდან, რაც თავის მხრივ, აბსოლუტური ჭეშმარიტების უარყოფას გულისხმობს. ეს ფილოსოფიური გამართლებაა რელატივიზმისა, ცოდნის შეფარდებითობის მომენტის გაზვიადებაა, რამაც არ შეიძლება სუბიექტივიზმამდე და აგნოსტიციზმამდე არ მიგვიყვანოს. აქაც სავსებით დასტურდება ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ვინც რელატივიზმს საფუძვლად უდებს შემეცნების თეორიას, იგი თავისთავს გარდუვალად სწირავს ან აბსოლუტურ სკეპტიციზმს, აგნოსტიციზმს და სოფისტიკას, ან სუბიექტივიზმს. რელატივიზმი, როგორც შემეცნების თეორიის საფუძველი, არის არა მარტო ჩვენი ცოდნის შეფარდებითობის აღიარება, არამედ უარყოფა ყოველგვარი ობიექტური, კაცობრიობისაგან დამოუკიდებლად არსებული, საზომისა ანუ მოდელისა, რომელსაც ჩვენი შეფარდებითი შემეცნება უახლოვდება“ (თხზ. ტ. 14, გვ. 164).

ადამიანის მიერ ბუნების შემეცნება არ შეიძლება მხოლოდ შეფარდებითი იყოს იმიტომ, რომ იგი არის ასახვა ბუნების კანონზომიერებისა, რომელიც

ობიექტური აუცილებლობით ხასიათდება. სუბიექტური იდეალიზმი ასეთ აუცილებლობას უარყოფს და იცავს ფორმულას: „ბუნებას ადამიანი უკარნახებს კანონებს“. ლენინი ამ შეხედულებას მთელი მახიზმის ფუძემდებელ დებულებად განიხილავს და დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან აკრიტიკებს.

უნდა ითქვას, რომ ბუნების კანონზომიერების გაგებაში თანამედროვე სუბიექტური იდეალიზმი არსებითად იმავე ხაზს მიჰყვება, რასაც ასე კატეგორიულად უარყოფდა ლენინი. მართლაც, სხვა რა არის თანამედროვე პოზიტივიზმის შეხედულება აუცილებლობაზე, თუ არა აღდგენა მახის ცნობილი ფორმულისა იმის შესახებ, რომ გარდა ლოგიკური აუცილებლობისა, სხვა რომელიმე აუცილებლობა, მაგალითად, ფიზიკური, არ არსებობს. თანამედროვე პოზიტივიზმის წარმომადგენლები აუცილებლობას მხოლოდ მათემატიკურისა და ლოგიკურის ნიშნად აცხადებენ, ემპირიული კავშირების ცოდნას კი ალბათობით ფარგლავენ. მათი აზრით, მათემატიკასა და ლოგიკას საქმე აქვს ტავტოლოგიებთან, და ეს არის, რომ მათი მსჯელობების აუცილებლობას უზრუნველყოფს. რაც შეეხება ბუნების კანონებს, ისინი მხოლოდ ალბათური ჰიპოთეზებია, რომელთა აუცილებლობის მტკიცებისათვის ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს.

ლენინმა აჩვენა, რომ ობიექტური კანონზომიერების, აუცილებლობის აღიარება განუყრელია იმ რეალობის აღიარებისაგან, რომელიც არსებობს ყოველგვარი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და ჩვენს ცოდნად აისახება. და პირიქით, ასეთი რეალობის უარყოფა იმთავითვე განსაზღვრავს იმ შეხედულებას, რომ აუცილებლობა ობიექტურად არ არსებობს.

ლენინის ისტორიულ დამსახურებას შეადგენს მატერიისა და მოძრაობის შესახებ დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრების განვითარება იმდროინდელი ბუნებისმეტყველების ახალ დიდ აღმოჩენებთან კავშირში. ლენინი აქ პირდაპირ მიჰყვება ენგელსის იმ დებულებას, რომ საბუნებისმეტყველო სფეროში ყოველ ეპოქალურ აღმოჩენასთან ერთად მატერიალიზმმა თავისი ფორმა უნდა შესცვალოს. ცხადია, მატერიალიზმის „ფორმის შეცვლა“ მის განვითარებას გულისხმობს და არა მის იდეალიზმით შეცვლას, როგორც ამას მახისტები აკეთებდნენ. „ენგელსის მატერიალიზმის „ფორმის“ რევიზია, მისი ნატურფილოსოფიური დებულებების რევიზია, — წერდა ლენინი, — არათუ არაფერს შეიცავს „რევიზიონისტულს“ ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არამედ, პირიქით, ამას აუცილებლად მოითხოვს თვით მარქსიზმი. მახისტებს ჩვენ ვუსაყვედურებთ სრულიადაც არა ასეთ გადასინჯვას, არამედ მათს წმინდა რ ე ვ ი ზ ი ო ნ ი ს ტ უ ლ მეთოდს — მატერიალიზმის ფ ო რ მ ი ს კრიტიკის სახით მისი დ ე დ ა ა რ ს ი ს შეცვლას“. (თხზ. ტ. 14, გვ. 318).

ბუნებისმეტყველების ახალმა აღმოჩენებმა შეცვალეს ძველი წარმოდგენები მატერიის აღნაგობის შესახებ. გამოირკვა, რომ ატომი არ არის უცვლელი და უყოფადი რამ. აღმოჩენილი იქნა ელექტრონი, ატომის უმცირესი ნაწილაკი, რომელიც თავისი თვისებებით განსხვავდება ატომისაგან და ა. შ. დაინგრა ძველი, მეტაფიზიკური წარმოდგენა ატომის, როგორც „აბსოლუტური სუბსტანციის“ შესახებ. იდეალისტებმა ამ და ასეთ ფაქტებზე მითითებით დაიწყეს იმის მტკიცება, რომ მატერიალიზმს საფუძველი გამოეცალა. ფიზიკოსები სიძნელის წინაშე აღმოჩნდნენ: ძველი პრინციპები, რომლებთანაც მათი გაგებით დაკავშირებული იყო მატერიალიზმი, დაიმსხვრა, ხოლო იდეალისტების მიერ ეს განმარტებული იყო, როგორც „მატერიის გაქრობა“. სხვანაირად რომ ვთქვათ, მატერიის აღნაგობის შესახებ ცოდნის, ძველი პრინციპების შეცვლა წარმოდგენილ იქნა, როგორც ობიექტური რეალობის უარ-

ყოფა, და შედეგი იყო ფიზიკის კრიზისი.

ლენინმა, როგორც ბუნებისმეტყველთა, ისე ფილოსოფოსთა შორის პირველმა, განმარტა ფიზიკის კრიზისის დედაარსი და მიზეზები. „თანამედროვე ფიზიკის კრიზისის დედაარსი,— წერდა ლენინი,—მდგომარეობს ძველი კანონების და ძირითადი პრინციპების მსხვრევაში, ცნობიერების გარეშე არსებული ობიექტური რეალობის უკუგდებაში, ე. ი. მატერიალიზმის შეცვლაში იდეალიზმით და აგნოსტიციზმით. „მატერია გაქრა“—ასე შეიძლება გამოვხატოთ ის ძირითადი და მრავალი კერძო საკითხის მიმართ ტიპიური სიძნელე, რომელმაც ეს კრიზისი შექმნა“ (თხზ., ტ. 14, გვ. 326).

ლენინმა ცხადყო, რომ მატერიის ფილოსოფიური კატეგორიის შინაარსს შეადგენს არა შეხედულება მისი ასეთი თუ ისეთი სტრუქტურის შესახებ, არამედ აღიარება მატერიისა, როგორც ობიექტური რეალობისა. მატერიის განსაზღვრება ნიშნავს პასუხს ფილოსოფიის ძირითად კითხვაზე, მაშინ როდესაც მაგ. ელექტრონის ფიზიკური თვისებების ცოდნა ასეთ პასუხად არ ჩაითვლება. ფილოსოფიურად მნიშვნელოვანი სწორედ ის არის, რომ ატომი, ელექტრონი და სხვ. ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ, თუ ისინი ცნობიერების პროდუქტია; ამიტომ ამბობს ლენინი, რომ „მატერიის ე რ თ ა დ ე რ თ ი თვისება“, რომლის აღიარებასთან დაკავშირებულია ფილოსოფიური მატერიალიზმი, არის მისი თვისება ობიექტურ რ ე ა ლ ო ბ ა დ ყ ო ფ ნ ი ს ა, ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებობისა“ (იქვე, გვ. 330).

მატერიას ლენინი განსაზღვრავს, როგორც ფილოსოფიურ კატეგორიას იმ ობიექტური რეალობის აღსანიშნავად, რომელიც ადამიანს მოცემული აქვს მის შეგრძნებებში, რომლის ასლს, ფოტოგრაფიას, ანარეკლს ჩვენი შეგრძნებანი იძლევა და რომელიც მათ დამოუკიდებლად არსებობს. მატერიის ეს ცნება მიმართულია როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის წინააღმდეგ და ამავე დროს თავიდან გვაცილებს იმ შეზღუდულობას, რომლითაც მეტაფიზიკური მატერიალიზმი ხასიათდებოდა.

მატერიის ლენინური გაგებიდან გამომდინარეობს, რომ მატერიის აღნაგობის შესახებ ცოდნის გაღრმავებამ,—ეს პროგრესი კი დაუსრულებელია,—არ შეიძლება რაიმე დაადასტუროს იდეალიზმის სასარგებლოდ. დიალექტიკური მატერიალიზმი არ სცნობს არც უცვლელ არსს და არც ცოდნის უცვლელობას მის შესახებ. ბუნების შეცნობის არცერთი საფეხური არ არის მისი ცოდნის ზღვარი. ელექტრონი, წერდა ლენინი, ისევე ამოუწურავია, როგორც ატომი.

ლენინი ფიზიკური იდეალიზმის ორ მიზეზს ასახელებს. ჯერ ერთი, მეცნიერების პროგრესმა შესაძლებლად გახადა მატერიის მარტივი ელემენტების მოძრაობის კანონების მათემატიკური დამუშავება, მათი განტოლებებში გამოსახვა. ეს იდეალისტებმა წარმოადგინეს, როგორც „მატერიის გაქრობა“, გამართლება, კანტიანური იდეისა, რომ ბუნებას კანონებს გონება უკარნახებს. მეორე მიზეზია ჩვენი ცოდნის შეფარდებითობის გაუგებრობა. რელატივიზმის პრინციპს, წერდა ლენინი, დიალექტიკის უცოდინარობის დროს იდეალიზმისაკენ მივყავართ. ფიზიკის განვითარებამ აჩვენა, რომ ძველი, ურყევად ჩათვლილი ჭეშმარიტებანი შეფარდებითი ყოფილა. ფილოსოფოსმა იდეალისტებმა და ზოგიერთმა ფიზიკოსმა აქედან გააკეთეს დასკვნა, რომ ობიექტური ჭეშმარიტება შეუძლებელია. ლენინმა დაამტკიცა, რომ აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების ურთიერთობის დიალექტიკა ისეთი დასკვნის საფუძველს გამორიცხავს. „ფიზიკური“ იდეალიზმის გადალახვა და ბუნებისმეტყველების განვითარება დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ლენინს ფიზიკის „კრი-

ხისის დაძლევის ერთადერთ გზად მიაჩნდა

კანონზომიერების, მიზეზობრიობის ობიექტურობის პრობლემასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემა, რომელსაც ლენინის ფილოსოფიურ შრომებში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა. ლენინი გადაჭრით იცავს დიალექტიკურად გაგებულ მატერიალისტურ დეტერმინიზმს და უპირისპირდება როგორც იმათ, ვინც მიზეზობრიობაზე მითითებით ნებისყოფის თავისუფლებას უარყოფს, ისე იმათ, ვინც თავისუფლების „გადარჩენისათვის“ არ ცნობს ობიექტურ აუცილებლობას, მიზეზობრიობას. ლენინისათვის მიზეზობრიობა კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, შესაძლებლად ხდის ადამიანის თავისუფლებას, რომელიც აუცილებლობის შეცნობასა და მის პრაქტიკულ გამოყენებაში მდგომარეობს.

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფოსებიდან დეტერმინიზმის წინააღმდეგ ენერგიულად იბრძვიან ეკზისტენციალისტები, რომელთა გავლენაც ბურჟუაზიულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში განსაკუთრებით დიდია. ეკზისტენციალისტები (ჟ. სარტრი და სხვ). ადამიანის ნებისყოფის თავისუფლების ლოზუნგით გამოდიან და ამტკიცებენ, რომ ადამიანი თვითონ ქმნის თავის არსებას. ამ გამოთქმაში ის იგულისხმება, რომ არ არსებობს რაიმე ობიექტური კანონზომიერება, რომელიც ადამიანის ადგილს განსაზღვრავდეს სამყაროში და მის ქცევებს აუცილებლობას დაუქვემდებარებდეს. ადამიანი, ამბობენ ეკზისტენციალისტები, ჩიტოვებულია სამყაროში, მან თვითონ უნდა აირჩიოს თავისი არსება. ადამიანი, როგორც ჟ. სარტრი წერს, არსებობს, ადის, გამოჩნდება სცენაზე და მხოლოდ შემდეგ განსაზღვრავს თავის თავს. ის თავისუფლად გადაწყვეტს თავისი არსების შექმნას. ადამიანს მისჯილი აქვს თავისუფლება, წერს სარტრი (Sartre. Existentialism, 1947, გვ. 27). ეკზისტენციალისტები აკრიტიკებენ მატერიალიზმს იმისათვის, რომ თითქოს მან დაკარგა ადამიანი, გააიგივა იგი ობიექტთან. წაართვა მას თავისუფლება. სარტრი წერს, რომ ეკზისტენციალიზმი წარმოადგენს ერთადერთ მოძღვრებას, რომელიც ადამიანს ღირსებას ანიჭებს და არ დაჰყავს იგი ობიექტამდე. ეკზისტენციალისტები მარქსიზმს ბრალად სდებენ, თითქოს მას მივყავდეთ პიროვნების პასუხისმგებლობის, სინდისის უარყოფამდე.

ლენინმა ჯერ კიდევ ნაროდნიკების და სხვ. შეხედულებათა კრიტიკის დროს დაასაბუთა, რომ დეტერმინიზმის ამგვარად წარმოდგენას საერთო არაფერი აქვს მატერიალიზმთან, მით უმეტეს—დიალექტიკურ მატერიალიზმთან. „დეტერმინიზმის იდეა, — წერდა ლენინი, — ამტკიცებს ადამიანის მოქმედების აუცილებლობას, უარყოფს უაზრო ზღაპარს ნებისყოფის თავისუფლების შესახებ, მაგრამ სრულიადაც არ სპობს არც ადამიანის გონებას, არც სინდისს, არც მისი მოქმედების შეფასებას. სრულიად პირიქით, მხოლოდ დეტერმინისტული შეხედულების დროსაა შესაძლებელი მკაცრი და სწორი შეფასება, და არა ყველაფრის თავზე მოხვევა თავისუფალი ნებისყოფისათვის“ (თხზ. ტ. 1, გვ. 176). ლენინმა ნათლად აჩვენა, რომ მატერიალიზმი კი არ ამდაბლებს ადამიანს, არამედ მისი ცხოვრების მეცნიერულ გაგებას იძლევა. ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში პირველად დიალექტიკურმა მატერიალიზმმა გაარკვია ადამიანის ნამდვილი ადგილი სამყაროში. ადამიანი უბრალოდ კი არ განისაზღვრება ობიექტური აუცილებლობისაგან, არამედ ამავე დროს არის კულტურულ ღირებულებათა შემოქმედი. ის ნამდვილ სუბიექტს წარმოადგენს, რომელიც თეორიულ, მორალურ, ესთეტიკურ და სხვ. ღირებულებათა შექმნით თავის უმაღლეს ადგილს ადგენს სამყაროში.

ყოველი ფილოსოფიური თეორიის შინაარსისაგან განუყრელია მისი დამო-

კიდებულება წარსულის ფილოსოფიურ ნააზრევთან. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შექმნისთანავე მარქსმა და ენგელსმა ჩამოაყალიბეს თავიანთი პოზიცია ფილოსოფიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მიმართ. რაკი ესა თუ ის ისტორია, როგორც მეცნიერება, გარკვეული თეორიით არის განსაზღვრული, ბუნებრივია, რომ მარქსისტული ფილოსოფიის შექმნა ამავე დროს ფილოსოფიის ისტორიის ახლებურ გაგებასაც აძლევდა საწყისს.

ლენინმა მრავალმხრივ გაამდიდრა მარქსისტული კონცეფცია ფილოსოფიის ისტორიის შესახებ. ლენინი, როგორც ფილოსოფიის ისტორიკოსი, ამუშავებს პრინციპულ დებულებათა მთელ სისტემას, რომელიც კლასიკურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს ფილოსოფიის ისტორიის მარქსისტული გამოკვლევებისათვის.

ფილოსოფიის ისტორიას ლენინი განიხილავდა როგორც მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის ისტორიას. ლენინი მატერიალისტია და მისი სიმპათია, რა თქმა უნდა, მატერიალისტების მხარეზეა. მაგრამ ეს ფილოსოფიის ისტორიის ლენინისეულ განხილვას სრულიადაც არ ხდის სუბიექტურად. პირიქით, ლენინი ყოველთვის ზუსტად გადმოსცემს ამა თუ იმ ფილოსოფიის ნააზრევს და საპირისპირო ბანაკის წარმომადგენლის თეორიაშიც აღასტურებს დადებით მომენტებს, თუ ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი

წარსულის დიდ ფილოსოფიურ სისტემებს ლენინი უყურებდა, როგორც აზროვნების განვითარების ისტორიულ საფეხურებს, მისთვის ფილოსოფიის ისტორია სხვადასხვა თეორიების ჯამი კი არ იყო, არამედ განვითარების პროცესი, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებისა და მეცნიერების ისტორიასთან.

ლენინი თანაბრად დიდი იყო, როგორც დადასტურებისა და მტკიცების, ისე უარყოფის დროსაც. ლენინის მიერ იდეალისტური თეორიების კრიტიკა გამოირჩევა დიდი სიღრმითა და კონკრეტულობით. არა აბსტრაქტული უარყოფა, ხელაღებით უკუგდება ყოველივე იმისა, რაც იდეალისტებს შეუქმნიათ, არამედ მხოლოდ მისი კონკრეტული ანალიზი და დასაბუთებული კრიტიკა შეიძლება ნიშნავდეს საპირისპირო თვალსაზრისის დაძლევას. ამასთან, ლენინი გადაჭრით წინააღმდეგი იყო იდეალიზმის არასერიოზული კრიტიკისა, საქმის ვითარების იმგვარად წარმოდგენისა, თითქოს იდეალიზმი სისულელე იყოს და მეტი არაფერი.

დაწყებული ანტიკური საბერძნეთის ფილოსოფიიდან, ლენინი მთელი ფილოსოფიის გასწვრივ ხედავს მატერიალიზმის წინსვლას, რომელმაც ფილოსოფიური აზრი დიალექტიკურ მატერიალიზმამდე მიიყვანა. ამავე დროს ლენინი ნათლად აყალიბებს დიალექტიკისა და მეტაფიზიკის დაპირისპირებას და ხაზს უსვამს ზოგიერთი იდეალისტის დამსახურებას დიალექტიკის დამუშავებაში.

ძველ ბერძნულ ფილოსოფიას ლენინი განიხილავს როგორც დემოკრიტეს ხაზისა და პლატონის ხაზის წინააღმდეგობის განვითარებას. დიალექტიკოსებიდან ლენინი დიდად აფასებს ჰერაკლიტეს, რომელიც შინაგანად დაპირისპირებულთა ბრძოლას მოძრაობის წყაროდ თვლიდა. ჰერაკლიტე, დიალექტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ჰეგელისა და მისი მოწაფეების · მიერ იდეალისტად იყო წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ლენინი მას განიხილავს მატერიალისტად, ხოლო მისი ერთ-ერთი ძირითადი დებულების შესახებ შენიშნავს, რომ „ეს დიალექტიკური მატერიალიზმის საწყისების ძალიან კარგი გადმოცემაა“.

დიდ ინტერესს წარმოადგენს არისტოტელის ფილოსოფიის ლენინისეული ინტერპრეტაცია. ძველი ბერძნული კულტურის გვირგვინს, არისტოტელის ფილოსოფიას, განუწყვეტლივ აყალბებდნენ და ამახინჯებდნენ თეოლოგები და იდეალისტები. ლენინი, იძლევა რა

არისტოტელის ფილოსოფიის ობიექტურ ანალიზს, აჩვენებს არისტოტელის მერყეობას იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის, პლატონის იდეალიზმის წინააღმდეგ მის მოსაზრებათა მნიშვნელობას და დიალექტიკური აზროვნების ნიმუშებს მის ფილოსოფიაში.

თავის ფილოსოფიურ ნაშრომებში ლენინს გამოთქმული აქვს უაღრესად საყურადღებო მოსაზრებები ლოკის, ბერკლის, ჰიუმის, მე-18 საუკ. ფრანგი მატერიალისტების, კანტის, ჰეგელის, ფოიერბახის და სხვ. შესახებ, რაც ისტორიულ-ფილოსოფიური დახასიათების ნიმუშს წარმოადგენს.

გარდა ყოველივე ამისა, ლენინის, როგორც ფილოსოფიის ისტორიკოსის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული მარქსისტული ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული გაშუქება და იმ ძირითადი იდეების ჩამოყალიბება, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა რუსული ფილოსოფიის მარქსისტული ისტორია. ა. გერცენის, ნ. ჩერნიშევსკის და მე-19 საუკ. სხვა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ფილოსოფიური შეხედულებების ლენინური ანალიზი და შეფასება განსაზღვრავს მათ ადგილს ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში.

ლენინი ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მარქსისტული სოციოლოგიის — ისტორიული მატერიალიზმის დაცვასა და განვითარებას. ისევე როგორც მარქსი, ლენინიც სოციოლოგიის უძირითადეს საკითხად საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთობის საკითხს თვლიდა. მასზეა დამოკიდებული დანარჩენი პრინციპული საკითხების გადაწყვეტა, ვინაიდან თუ საზოგადოებრივი ყოფიერება საზოგადოებრივი ცნობიერებით განისაზღვრება, მაშინ არსებითად ისიც იგულისხმება, რომ ადამიანის ისტორია მოკლებულია ობიექტურ კანონზომიერებას და ა. შ. და პირიქით, თუ საზოგადოებრივი ცნობიერების განმსაზღვრელად საზოგადოებრივი ყოფიერება ვიგულვეთ, მაშინ იდეალისტურ სოციოლოგიას საფუძველი ეცლება და საზოგადოების განვითარება ობიექტური კანონზომიერების მქონედ წარმოგვიდგება.

საზოგადოებრივი მოვლენების ობიექტური კანონების დადგენას ისიც აძნელებს, რომ ადამიანთა მოღვაწეობა იდეალურ მოტივებს გულისხმობს და შეგნებულ აქტებში იშლება. იდეალისტური სოციოლოგია, როგორც ძველი, ისე თანამედროვე, ამ ფაქტიდან დაასკვნის სოციალურ სფეროში ყოფიერებისა და ცნობიერების იგივეობის შესახებ. მაგრამ აღნიშნული ფაქტი ასეთი დასკვნის საფუძველს სრულიადაც არ იძლევა. „იმ ფაქტიდან, — წერდა ლენინი, — რომ როცა ადამიანები ურთიერთობაში შედიან, შედიან მასში, როგორც შეგნებული არსებანი, სრულიადაც ის არ გა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს, რომ საზოგადოებრივი ცნობიერება და საზოგადოებრივი ყოფიერება ერთი და იგივე იყოს" (თხზ. ტ. 14, გვ. 411). საზოგადოებრივი ყოფიერება—ეს ადამიანთა მატერიალური ცხოვრებაა, რომელიც განსაზღვრავს მთელ სულიერ ცხოვრებას. იდეალისტური სოციოლოგია საზოგადოებრივ ურთიერთობებს იდეოლოგიური ურთიერთობებით ფარგლავს და, ბუნებრივია, საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალურ საფუძველს ვერ ნახულობს. ლენინის თქმით, მარქსისა და ენგელსის მატერიალიზმის ძირითადი იდეა „იმაში მდგომარეობდა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობანი ორნაირია — მატერიალური და იდეოლოგიური. უკანასკნელნი მხოლოდ პირველთა ზედნაშენს წარმოადგენენ, პირველნი კი ადამიანის ნებისყოფისა და ცნობიერების გარეშე იქმნებიან. როგორც (შედეგი) ფორმა ადამიანის საქმიანობისა, რომელიც მისი არსებობის შინარჩუნებისაკენ არის მიმართული" (თხზ. ტ. 1, გვ. 165).

ისტორიული მატერიალიზმის ამ პრინციპული დებულების განვითარებას წარმოადგენს აზრი იმის შესახებ, რომ საზოგადოების ისტორიაში გადამწყვეტ

როლს მშრომელი მასები ასრულებენ და არა დიდი პიროვნებანი. ნაროდნიკების და სხვ. იდეალიზმის კრიტიკის დროს ლენინმა დაიცვა და ახალი დებულებებით გაამდიდრა მარქსისტული მოძღვრება ისტორიაში ხალხის მასებისა და პიროვნების როლის შესახებ.

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი ლენინის მიერ ორგანულ ერთიანობაში არის განხილული. ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დღეს, როდესაც მარქსიზმ-ლენინიზმის ბურჟუაზიული კრიტიკოსები არც თუ ისე იშვიათად ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს ისტორიული მატერიალიზმი არ ეყრდნობა და არ გამომდინარეობს დიალექტიკური მატერიალიზმიდან. ასე მსჯელობს მაგ., ბ. რასელი, რომელიც პირდაპირ აცხადებს, რომ ისტორიული მატერიალიზმის ჭეშმარიტება ან სიმცდარე არ არის დამოკიდებული დიალექტიკური მატერიალიზმის (რომელსაც რასელი მეტაფიზიკას უწოდებს) ჭეშმარიტებაზე ან სიმცდარეზე (Russell. Freedom and Organization, 1952, გვ. 225). ლენინის მიერ ნათლად არის გარკვეული და დასაბუთებული, რომ ისტორიული მატერიალიზმის ზოგად-ფილოსოფიური საფუძველი მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმი შეიძლება იყოს. დიალექტიკური მატერიალიზმი არის თეორია სინამდვილის, როგორც მთელის, განვითარების უზოგადესი კანონზომიერების შესახებ. თუ ის ჭეშმარიტია, მაშინ შეუძლებელია არაჭეშმარიტი იყოს ისტორიული მატერიალიზმი, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერების დიალექტიკურ გაგებას წარმოადგენს. ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ და უშუალოდ დამოკიდებულია დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი საკითხის გადაწყვეტაზე. ლენინი ამის შესახებ წერდა: „მატერიალიზმი საერთოდ ცნობს ობიექტურად რეალურ ყოფიერებას (მატერიას), დამოუკიდებელს კაცობრიობის ცნობიერებისა, შეგრძნებისა და ცდისაგან და სხვ. ისტორიული მატერიალიზმი ცნობს, რომ საზოგადოებრივი ყოფიერება დამოუკიდებელია კაცობრიობის საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან. ცნობიერება იქაც და აქაც არის მხოლოდ ყოფიერების ასახვა, უკეთეს შემთხვევაში მისი დაახლოებით სწორი (ადექვატური, იდეალურად-ზუსტი) ასახვა. მარქსიზმის ამ ფილოსოფიიდან, რომელიც ფოლადის ერთი ზოდიდან არის ჩამოსხმული, არც ერთი ძირითადი დებულების, არც ერთი არსებითი ნაწილის ამოღება არ შეიძლება ისე, რომ ობიექტურ ჭეშმარიტებას არ დაშორდე და ბურჟუაზიულ-რეაქციულ სიყალბეში არ გადავარდე“ (თხზ. ტ. 14, გვ. 415).

ფართო და ამოუწურავია იმ საკითხთა სფერო, რომელიც შემოქმედებითად არის დამუშავებული ლენინის მიერ. კლასებისა და სახელმწიფოს, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალი პერიოდის, კომუნისტური პარტიის როლისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის და სხვ. უმნიშვნელოვანესმა საკითხებმა ჰპოვეს თავისი მეცნიერული გაშუქება ლენინის შრომებში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა არცერთი ფილოსოფიური დისციპლინა, რომლის ძირითად საკითხებზეც ლენინს თავისი სიტყვა არ ეთქვას. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, ლოგიკის, ეთიკის, ესთეტიკის საკვანძო პრობლემები ლენინის მიერ ღრმად და მკაფიოდ არის გაშუქებული, რაც დღესაც სავსებით ინარჩუნებს მნიშვნელობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

# შენიშვნები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე

საბჭოთა ლიტერატურის განვითარების თანამედროვე ეტაპი მეტად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი გამოდგა. მთელი რიგი სიახლეები, იქნება ეს პრობლემური თუ თემატური ხასიათისა, ან გამომსახველობით ხერხებსა თუ სტილურ მრავალფეროვნებაში გამოხატული, უთუოდ შესამჩნევია ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, ისევე როგორც, საერთოდ, მთელს მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში. ამასთან, ისიც აშკარაა, რომ ახალი ტენდენციები საბჭოთა მწერლობაში ყოველთვის მკაფიოდ გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული არ არის. თანამედროვე ქართული ლიტერატურა შემოქმედებითი ძიების გზაზეა. ცხადია, ლიტერატურული ცხოვრება უფრო შინაარსიანი, საინტერესო, დაძაბული გახდა, ვიდრე განვითარების წინა პერიოდში. თავის მხრივ კი, ეს გამოწვეულია დიდი სიახლეებით ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქართულ ლიტერატურას მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განვლილ პერიოდებთან შედარებით, ყველაზე ხელსაყრელი პირობები აქვს იმისათვის, რომ უფრო უკეთ, სრულად, მხატვრულად საინტერესოდ გამოხატოს და გაგვიხსნას საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყარო, უფრო ფართოდ და რეალისტურად წარმოგვისახოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სურათები. ოციანი და ოცდაათიანი წლების ლიტერატურისაგან განსხვავებით, თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურას მდიდარი და საინტერესო ტრადიციები აქვს, რაც განვითარების ერთი აუცილებელი და საიმედო პირობათაგანია. ქართულ ლიტერატურას ოციან წლებში მოუხდა რთული, ყოყმანითა და შეცდომებით სავსე გზის გავლა, ვიდრე იგი სოციალისტური რეალიზმის მეთოდის სრულ და ერთსულოვან აღიარებამდე მივიდოდა. ოცდაათიანი წლები საკუთრივ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის (თუ ოციანი წლების კრიტიკულ რეალიზმსა და მოდერნისტულ მწერლობას არ მივიღებთ მხედველობაში), გაცილებით უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა. ხოლო საბჭოთა ადამიანის სულიერი ფორმირების პროცესის, ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების მხატვრული გახსნის და გააზრების თვალსაზრისით, ეს იყო ჭეშმარიტი აღზევება ქართული საბჭოთა მწერლობისა. მომდევნო ეტაპებზე თანდათან სულ უფრო მკვეთრი გამოხატულება მიიღო პიროვნების კულტის უარყოფითმა ზემოქმედებამ როგორც საერთოდ, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, ასევე ლიტერატურის განვითარებაზეც. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ლიტერატურას ძირითადად არ დაუკარგავს თავისი განვითარების მთავარი ტენდენცია. ამ წლებშიც არაერთი საინტერესო, მართალი, მხატვრულად ძლიერი ნაწარმოები შეიქმნა ლიტერატურის რომელ ჟანრშიც გნებავთ. ასე რომ, თანამედროვე ლიტერატურას განვლილმა ორმოცმა წელმა შესანიშნავი გაკვეთილი მისცა იმისათვის, რომ ერთხელ ნაგემი შეცდომები აღარ გაიმეოროს და, ამასთან, ტრადიციის სახით საკმაოდ ძლიერი და მყარი საფუძველი მოუმზადა ახალი განვითარებისათვის.

თანამედროვე მწერლობას სხვა მრა-

ვალმხრივ ხელსაყრელი პირობებიც შეექმნა. ყველა ამ პირობას თანაბარი ძალა და მნიშვნელობა, რაღა თქმა უნდა, არა აქვს, მაგრამ თავისი მეტ-ნაკლები წვლილი ამ პროგრესში უთუოდ შეაქვს. თანამედროვე ქართული ლიტერატურის მიღწევები იმითაც არის შეპირობებული, რომ გაიზარდა და გაფართოვდა ჩვენი თვალთახედვა, უფრო საფუძვლიანად იქნა დამუშავებული და შესწავლილი კლასიკური მემკვიდრეობა. მნიშვნელოვნად გაიზარდა კონტაქტები მსოფლიო მწერლობასთან, საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების ლიტერატურულ-კულტურულმა თანამშრომლობამ ფართო და ნაყოფიერი ხასიათი მიიღო, რაც მთავარია, მოიხსნა ის უსაფუძვლო, ცალკეულ პიროვნებათა ჭირვეულობით გამოწვეული შეზღუდვები, რის გამოც მწერლის შემოქმედებითი თავისუფლება ბევრწილად შელახული იყო. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას, ახალი სტიმული, შრომის ხალისი მისცა ქართველ მწერლებს.

სწორედ ჩვენი საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოხდა ოცდაათიან წლებში უსაფუძვლოდ და უსამართლოდ რეპრესირებულ მწერალთა სრული რეაბილიტაცია. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ქართული მწერლობისათვის, რადგან ამ მწერალთა შემოქმედების იგნორირება აღარიბებდა ქართულ ლიტერატურას. მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის შემოქმედების გარეშე ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე მსჯელობა მეტად ცალმხრივი ჩანდა. XX საუკუნის ქართული პროზის საფუძვლები ნიკო ლორთქიფანიძესთან, პოლა ლომთათიძესთან, შიო არაგვისპირელთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, ლეო ქიაჩელთან და სხვა გამოჩენილ ქართველ ბელეტრისტებთან ერთად მიხეილ ჯავახიშვილმაც შექმნა თავისი შესანიშნავი მოთხრობებითა და რომანებით. ოციანი წლების ქართული პროზა მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“, „თეთრი საყელოს“, „არსენა მარაბდელისა“ და სხვა ნაწარმოებების გარეშე უბრალოდ წარმოუდგენელია. ასევე წარმოუდგენელია ქართული საბჭოთა პოეზიის ჩასახვა და განვითარება ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის შემოქმედების გარეშე, რომელთაც განვლეს გზა სიმბოლიზმიდან სოციალისტურ რეალიზმამდე და თავისი შემოქმედებით აქტიურად შეუწყეს ხელი ქართული ლიტერატურის დამკვიდრებას ახალ პოზიციებზე. დღეს მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილისა და სხვათა შემოქმედება კვლავ ხალხის კუთვნილებად იქცა და ამით საგრძნობლად გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა ქართული საბჭოთა ლიტერატურა, თუ ერთ-ორ გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ფაქტის შემდეგ, შეიქმნა სრული და რეალური სურათი ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისა.

ერთგვარი ვულგარიზატორული, მემარცხენული დამოკიდებულება ქართული კლასიკური მემკვიდრეობისადმი, რაც ასე დამახასიათებელი იყო ოციანი წლებისა და ოცდაათიანი წლების დასაწყისისათვის, როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასაც კი უარყოფდნენ გამარჯვებული პროლეტარიატის სახელით, უკვე ოცდაათიანი წლების მიწურულისათვის თანდათანობით იქნა უარყოფილი. მას შემდეგ კლასიკური მემკვიდრეობის შეფასება მტკიცედ დადგა ერთადერთ სწორ მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე. ქართული კლასიკური მწერლობის შესწავლა მას შემდეგ დიდი ინტენსივობით გრძელდება და ამ მხრივაც მნიშვნელოვანია უკანასკნელი ათი წელი. დღეს უფრო ნათელი გახდა თანამედროვე ქართული მწერლობის მიმართება და დამოკიდებულება კლასიკურ მემკვიდ-

რეობასთან, რომლის ლოგიკურ და ორგანულ გაგრძელებასა და განვითარებასაც წარმოადგენს თავად.

ქართული ლიტერატურა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არასოდეს იყო იზოლირებული და ჩაკეტილი, მას ყოველთვის ფართო და ნაყოფიერი ურთიერთობა ჰქონდა მეზობელი თუ შორეული ხალხების ლიტერატურასთან. XX საუკუნეში ეს კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნების მწერალთა შორის კიდევ უფრო გაფართოვდა. საბჭოთა ლიტერატურაც არ იყო მთლიანად იზოლირებული, თუმცა 30-იანი წლების დამლევსა და 40-იან წლებში მნიშვნელოვნად შეფერხდა ლიტერატურული კონტაქტები. თანამედროვე ეტაპზე ქართული ლიტერატურის კონტაქტები მსოფლიო მწერლობასთან თანდათანობით სულ უფრო ფართო და ნაყოფიერი ხდება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მწერალთა მრავალრიცხოვანი ვიზიტები საქართველოში, ქართველი მწერლების ხანგრძლივი მოგზაურობა საზღვარგარეთ, მონაწილეობა საერთაშორისო ფორუმებსა და კონგრესებზე უთუოდ აფართოებს მათ ჰორიზონტს. რაც მთავარია, ქართულ, განსაკუთრებით კი, რუსულ ენაზე უხვად ითარგმნება თანამედროვე მსოფლიოს გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებები, ასევე ქართველ მწერალთა საუკეთესო წიგნები მსოფლიოს ბევრ ენაზე იქნა გადატანილი. საყურადღებოა ქართველი პოეტების მიერ საზღვარგარეთ მიღებული შთაბეჭდილებებით შექმნილი ლექსთა ციკლები, რომლებიც წარმოადგენენ ლირიზმისა და პუბლიცისტური გზნების საინტერესო შერწყმას, გამოირჩევიან პოლიტიკური ვნებიანობითა და ჰუმანისტური სულისკვეთებით. მათ შორის უნდა აღინიშნოს ირ. აბაშიძის ლექსები, სიმონ ჩიქოვანის ლექსების ციკლები „პოლონეთის გზაზე“ და „გოეთეს ცაცხვებთან“, გრიგოლ აბაშიძის „თუნდ დავიარო მთელი სამყარო“, ანა კალანდაძის, რევაზ მარგიანის, იოსებ ნონეშვილის, ოთარ ჭილაძის, ჯანსულ ჩარკვიანისა და სხვათა ლირიკული ლექსები.

ეროვნული

კიდევ უფრო მჭიდრო, [illegible] გულწრფელი გახდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურების ურთიერთკავშირი და ურთიერთზემოქმედება. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში 1958 წელს ამ ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის ყველაზე მეტყველი გამოხატულება იყო. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ლიტერატურების ურთიერთობის თვალსაზრისით ქართული პოეზიის საღამოებს მოსკოვში, რუსული და უკრაინული პოეზიის დეკადებს საქართველოში, რომლებიც ძმური სიყვარულის და საქმიანი თანამშრომლობის გამოხატულებად იქცა.

ქართველი მწერლების ურთიერთობა მოძმე ხალხებთან მხოლოდ ასეთ საზეიმო და ფართო შეხვედრებით არ ამოიწურება. უფრო მეტიც, ეს დეკადები და საღამოები შედეგია იმ დიდი, ჩუმი, საქმიანი ურთიერთთანამშრომლობისა, რომელიც წინ უსწრებს მათ. მას შემდეგ, რაც ოცდაათიან წლებში რუსი პოეტების მთელი ბრიგადა ჩამოვიდა საქართველოში ქართული პოეზიის ახლო გასაცნობად და სათარგმნად, ასეთ კონტაქტებს ყოველთვის დიდი შედეგი მოჰქონდათ. ამ კონტაქტების წყალობით ქართული პოეზია და საერთოდ მწერლობა რუსი, უკრაინელი, სომეხი და სხვა მკითხველისათვის ხელმისაწვდომი და ახლობელი გახდა. თავი რომ დავანებოთ ქართული კლასიკური მწერლობის თარგმნას რუსულ ენაზე, თუნდაც ისეთ ბრწყინვალე თარგმანებზეც რომ არაფერი ვთქვათ, როგორიცაა ნიკოლოზ ზაბოლოცკის მიერ თარგმნილი ვაჟა-ფშაველას პოემები ან ბორის პასტერნაკის თარგმანები ბარათაშვილის ლირიკისა, რუსმა პოეტებმა ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნაწარმოებები რუსული მწერლობის კუთვნილებად აქციეს თარგმანების მეშვეობით. ეს შემოქმედებითი თანამშრომლობა და ურთიერთთარგმნა განსაკუთრებით სა-

გრძნობი და ნაყოფიერია თანამედროვე ეტაპზე.

თანამედროვე ქართული პოეზია განთავისუფლდა სახოტბო მოტივებისაგან, დეკლარაციული ტონისაგან და კვლავ დადგა თავის ჭეშმარიტ, მყარ საფუძველზე. ქართველი პოეტები თავის ახალ ლექსებში დიდი უშუალობითა და გულწრფელობით გვიხატავენ თანამედროვე საბჭოთა ადამიანის სულიერ სილამაზეს, მის ღრმა პატრიოტიზმს, ადამიანურ განცდებს, სიყვარულსა და სიძულვილს. ქართული პოეზიის ლირიკული გმირისათვის აღარ არის უცხო ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე ღრმად ჩაფიქრება, სინამდვილესთან საკუთარი დამოკიდებულების ძიება, რთული ფილოსოფიური საკითხებით გატაცება, ჭეშმარიტი ადამიანური ვნებების გამომჟღავნება. ასეთი მრავალმხრივობის შედეგად კიდევ უფრო დამაჯერებელი და მხატვრულად მართალი გახდა ლირიკული გმირის ღრმა რწმენა მომავლისა, მისი ერთგულება კომუნიზმის იდეებისადმი. თუ ადრე ყოველივე ეს ჩანდა მხოლოდ ცალკეულ პოეტთა შემოქმედებაში, ახლა იგი წამყვან, ძირითად ტენდენციად იქცა მთელ ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

ამ განახლებამ, გაჯანსაღებამ ახლებურადააჟღერა, ახალი გზნება მისცა ქართული პოეზიის უფროსი თაობის შემოქმედებას. თანამედროვე ეტაპზე დიდი შემოქმედებითი ნაყოფიერებით გამოირჩეოდნენ და გამოირჩევიან გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, უფროსი თაობის პოეტები ირაკლი აბაშიძე, კარლო კალაძე, ალექსანდრე გომიაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, ო. ჭელიძე, მურმან ლებანიძე, ხუტა ბერულავა და სხვები. მათთან ერთად ქართული პოეზიის განახლებაში დიდი წვლილი შეაქვთ პოეტებს, რომლებიც ომისშემდგომ ხანაში მოვიდნენ — ანა კალანდაძეს, მუხრან მაჭავარიანს, არჩილ სულაკაურს, ოთარ ჭილაძეს, შოთა ნიშნიანიძეს, ჯანსუღ ჩარკვიანს, თამაზ ჭილაძეს და სხვებს.

თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ და საინტერესო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ქართული მხატვრული პროზის აქტივიზაცია და გაძლიერება, ის ფაქტი, რომ პროზა, შეიძლება ითქვას, ქართული ლიტერატურის მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე პირველად იქცა ქართული ლიტერატურის წამყვან, მთავარ ჟანრად. თვით გამოჩენილი ქართველი პოეტებიც კი მიუბრუნდნენ პროზას და არა ერთი საყურადღებო ნაწარმოები შექმნეს. დამახასიათებელია ამ მხრივ გიორგი ლეონიძის ღრმა ლირიზმით სავსე კოლორიტული მოთხრობების კრებული „ნატვრის ხე“. გრიგოლ აბაშიძემ უკანასკნელ ხანს გამოაქვეყნა ორი დიდტანიანი ისტორიული რომანი „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“, რაც უთუოდ დიდი მნიშვნელობის მოვლენაა ქართულ პროზაში. ბევრმა ახალგაზრდა პოეტმა მიჰყო ხელი მოთხრობებისა და რომანების წერას. მათ შორის აღსანიშნავია ნოდარ დუმბაძე, რომელიც უკვე სამი რომანის („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“) ავტორია, არჩილ სულაკაური და თამაზ ჭილაძე, რომელთაც რამდენიმე კრებული გამოაქვეყნეს ვრცელი და მცირე მოთხრობებისა, სულ ახლახან კი დაამთავრეს მუშაობა თავის პირველ რომანებზე და გამოაქვეყნეს „მნათობის“ ფურცლებზე.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ქართველმა პროზაიკოსებმა შექმნეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებები, რომანები და მოთხრობები, ნოველები და ნარკვევები, რომლებშიც აშკარად ჩანს ავტორთა მაღალი მოქალაქეობრივი სული. ცხოვრების მოვლენებზე დაკვირვებული მკვლევარის თვალი, თანამედროვე პრობლემატიკით დაინტერესება. ამასთან, აშკარად ჩანს ახალი ფორმის, ახალი გამომსახველობითი ხერხების ძიება. ყველაფერ ამაზე ნათლად მეტყველებს კონსტანტი-

ნე ლორთქიფანიძის „ნატვრისთვალი“ და დემნა შენგელაიას „განძი“, რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“ და „ხმა იდუმალი“, ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“ და გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე“, სერგო კლდიაშვილის „მყუდრო სავანე“ და კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, გურამ რჩეულიშვილის, რევაზ ინანიშვილის, ედიშერ ყიფიანის, მერაბ ელიოზიშვილის, რეზო ჭეიშვილის და სხვების მოთხრობები.

თანამედროვე ქართული ლიტერატურისათვის მხოლოდ ცხოვრებასთან აქტიური დამოკიდებულება როდია დამახასიათებელი, იგი მთელი რიგი ახალი ნიშანთვისებებითაც არის აღბეჭდილი. მართალია, იგი თავისი განვითარების ძირითად ხაზს ადგა ყოველთვის და ახლაც ამ მთავარი მიმართულების ერთგულია; მართალია, იგი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა იყო და არის ახლაც, მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ ამავე დროს თანამედროვე ლიტერატურის განმასხვავებელი ნიშნები. თანამედროვე მწერლობის თავისებურების, მისი განვითარების გზების, ამოცანების შესახებ დიდი და სერიოზული მსჯელობა იყო მწერალთა ყრილობებზე. საბჭოთა მწერლების II და III ყრილობები, ქართველი მწერლების IV დაV ყრილობები იყო ის დიდი ფორუმები, სადაც განსაზღვრავდნენ საბჭოთა მწერლობის მიღწევებსაც და იმ სიახლეთა ავ-კარგიანობასაც, რომლებიც შეიმჩნეოდა და შეიმჩნევა თანამედროვე ლიტერატურაში. ამ ყრილობებზე ერთხელ კიდევ იქნა განმტკიცებული ის აზრი, რომ საბჭოთა ლიტერატურის ერთადერთი შემოქმედებითი მეთოდი — ესაა სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, რომ საბჭოთა ლიტერატურისათვის უცხოა ყოველგვარი დეკადენტური განწყობილებები, რომ კომუნიზმის მშენებელი ხალხის ლიტერატურა უნდა იყოს გამსჭვალული მაღალი იდეებითა და დიდი ჰუმანისტური სულისკვეთებით. ამასთან, ამ ყრილობებზე ისიც იქნა ხაზგასმით აღნიშნული, რომ საბჭოთა ლიტერატურა არ არის ერთფეროვანი და ერთსახოვანი, რამ, რომ სოციალისტური რეალიზმის მეთოდი სულაც არ ნიშნავს მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობის შეზღუდვას, მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ნიველირებას, ახალი გამომსახველობითი ხერხების ძიების უარყოფას. ყველაფერი ეს ყრილობების რეზოლუციებში განცხადებული ზოგადი ფრაზები კი არ არის, არამედ საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ცოცხალი პროცესით ნაკარნახევი დასკვნებია.

საბჭოთა ლიტერატურას ომისშემდგომ წლებში თავისი განვითარების გზაზე სერიოზული სიძნელეებისა და დაბრკოლებების დაძლევა მოუხდა. მთელი რიგი თეორიული მოსაზრებანი საბჭოთა დრამატურგიის (ზოგადად კი საბჭოთა ლიტერატურის) უკონფლიქტობის შესახებ, ტიპიურის, როგორც გარკვეული სოციალური ძალის არსის გამოხატვის შესახებ და კიდევ ბევრი სხვა მცდარი გადაწყვეტა ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი საკითხებისა, თავის უარყოფით დაღს ასვამდა ომისშემდგომი პერიოდის საბჭოთა ლიტერატურას. სინამდვილის ერთგვარი უგულებელყოფის ტენდენციამ, ცხოვრების შეფერადებულმა ასახვამ ლიტერატურა ნაწილობრივ ააცდინა თავის ძირითად მიზანსა და დანიშნულებას— მოეცა ცხოვრების მხატვრული სურათები მისთვის დამახასიათებელი პათოსითა თუ წინააღმდეგობებით და სიძნელეებით. ჩვენს ცხოვრებაში დამკვიდრებულმა ერთგვარმა საზეიმო განწყობილებამ ლიტერატურაშიც იჩინა თავი და ხშირ შემთხვევაში იგი უფრო სასურველს გამოხატავდა, ვიდრე რეალურს. ამის შედეგად ლიტერატურას სქემატურობის იერი მიეცა და მთელი რიგი ლიტერატურული სახეები ხელოვნურობის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ამის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითი რუსულ ლიტერატურაში გა-

ხლდათ. ს. ბაბაევსკის რომანი „ოქროს ვარსკვლავის კავალერი“, რომელსაც საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებად მიიჩნევდნენ იმ დროს, სინამდვილეში კი ეს იყო რეალიზმის უგულვებელყოფის, ცხოვრების შელამაზების ერთი მკაფიო ნიმუში. თანამედროვე ბურჟუაზიული და რევიზიონისტული ლიტერატურისმცოდნეობა, საბჭოთა ლიტერატურის წინააღმდეგ შეტევას სწორედ ამ მისი სუსტი ადგილებიდან იწყებს და მსგავსი შემლამაზებლური ნაწარმოებების წყალობით ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს იგი ცხოვრებას მოწყვეტილი ლიტერატურაა, რომლისთვისაც უფრო დამახასიათებელია განყენებული იდეების პროპაგანდა, ვიდრე სინამდვილის მხატვრული წარმოსახვა.

რად ღირდა თუნდაც საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირის ადრინდელი ინტერპრეტაცია. იმ წლებში მოიკიდა ფეხი მცდარმა თეორიულმა მოსაზრებამ, რომლის მიხედვითაც ლიტერატურას უპირატესად იდეალური გმირების სახეები უნდა შეექმნა. ამით საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირი დაჰყავდათ იდეალური გმირის კატეგორიამდე, თანაც ამ უკანასკნელის აშკარად არასწორი გაგებით. დადებითსა და იდეალურ გმირებში იგულისხმებოდა ის მხატვრული სახეები, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს ვვიხატავდნენ ყოველგვარი ნაკლისა თუ შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე. ასეთი გმირები უფრო მაღალფარდოვანი ფრაზების რუპორები იყვნენ, ვიდრე ომისშემდგომი პერიოდის უდიდესი და უძნელესი აღმშენებლობითი პროცესის მონაწილე საბჭოთა ადამიანების განზოგადოებული მხატვრული სახეები.

ამ ტენდენციამ ქართულ ლიტერატურაშიც იჩინა თავი და ხელი შეუწყო უფერული, მოსაწყენი, ნაკლებად დამაჯერებელი ნაწარმოებების შექმნას.

საბჭოთა მწერლობის II საკავშირო ყრილობამ, რომელიც იწყებს საბჭოთა ლიტერატურაში თანამედროვე ეტაპს, უარყო ასეთი გაგება დადებითი გმირისა და ლიტერატურას მოუწოდა, უფრო ახლო მისულიყო ხალხის ცხოვრებასთან, მხატვრული ნაწარმოებების გმირებად ექცია თანამედროვე ადამიანი მთელი თავისი რეალური განცდებითა და ცხოვრებით, მთელი თავისი რთული და საინტერესო შინაგანი სამყაროთი თუ საზოგადოებრივი საქმიანობით.

თანამედროვე მწერლობის ერთ-ერთ ნიშანდობლივ და გამოსაჯანსაღებლად აუცილებელ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ უფერულობის, ზერელობის, მხატვრული უსუსურობის წინააღმდეგ ბრძოლა.

საბჭოთა ლიტერატურა თავისი მაღალი იდეებითა და ღრმა ჰუმანიზმით მხოლოდ იმ შემთხვევაში მისწვდება მკითხველთა გულებს და გაამართლებს თავის აღმზრდელობით ფუნქციას, როდესაც სათქმელს მხატვრულად საინტერესოდ იტყვის, როდესაც შეძლებს მკითხველებზე ემოციური ზემოქმედების მოხდენას. დღეს საბჭოთა მწერლობა ძლიერია და მონოლითური, მისთვის ძირითადად უცხოა იდეოლოგიური მერყეობა, იგი კომუნიზმისათვის ბრძოლის ავანგარდშია, ამიტომ აღარ შეიძლება შეღავათი გაეწიოს მწერალს მხოლოდ იმის გამო, რომ იგი აქტუალურ თემაზე წერს ნაწარმოებებს. დღეს მხატვრულობის კრიტერიუმი ისევე აუცილებელი და მკაცრი პირობაა ნაწარმოების შეფასების დროს, როგორც მისი იდეურ-მსოფლმხედველობრივი სიწმინდე.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დაძლეული ეს ტენდენცია მხატვრული უფერულობისა, უსუსურობისა, პრიმიტიულობისა, ემოციური სიღარიბისა. ეს უკანასკნელი მაინც საკმაოდ ენერგიულად და გულმოდგინედ ეტმასნება მწერლობის განვითარების ძირითად გზას, მაგრამ მან უკვე დაკარგა თავისი პრივილეგირებული მდგომარეობა.

ქართულ პოეზიას, რომელსაც მდიდარი ტრადიციები აქვს, არ დაუკარგავს თავისი მაღალი მოქალაქეობრივი მო-

ვალეობის გრძნობა, პოლიტიკური სიმძაფრე, იგი კვლავ ღრმად პატრიოტულია და ამაღლებული, მაგრამ მან ჩამოიშორა შიშველი დეკლარაციულობა, რაც ზოგჯერ ასე დამახასიათებელი იყო მისთვის და ამით იპოვა გასაღები ადამიანების გულებისაკენ.

თანამედროვე ლიტერატურაში ჰუმანიზმი მთელი თავისი უფლებებით აღსდგა, და ეს უთუოდ განსაზღვრავს მწერლობის სიძლიერესაც. ჰუმანიზმი ახლა ნამდვილად ერთეულ და მილიონობით ადამიანთა სიყვარულს ნიშნავს. საბჭოთა ლიტერატურაში კვლავ გამოჩნდნენ რიგითი მუშაკები, ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანები, რომლებიც არიან ჭეშმარიტი შემქმნელნი ყველა ჩვენი გამარჯვებისა. თანამედროვე ლიტერატურა უპირატესად ამ უბრალო ადამიანების ხასიათისა და შეგნების მხატვრულ გახსნას ისახავს მიზნად, და მისი ეს სულისკვეთება, მიზანდასახულება მკითხველისათვის უფრო საინტერესოა, ვიდრე რაღაც ხელოვნურად გამონაგონი ბიოგრაფიები განსაკუთრებულობის იერით აღბეჭდილი გმირებისა.

თანამედროვე მწერლობის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ იგი ცდილობს ადამიანის სულის სილამაზე გვიჩვენოს უპირატესად მისი შინაგანი ანალიზით და არა მხოლოდ გარე სამყაროსთან ურთიერთდამოკიდებულებით. საბჭოთა ლიტერატურისათვის მისი განვითარების მანძილზე დამახასიათებელი იყო ჩვენი ცხოვრების დიადი მოვლენების მთელი გრანდიოზულობით წარმოსახვა და გმირების ხასიათების გახსნა ამ მოვლენებთან უშუალო დამოკიდებულებაში. საბჭოთა ლიტერატურას ასეთი სახის მაღალმხატვრული ნაწარმოებები გააჩნია, რომელთაც სამართლიანად დაიმსახურეს საყოველთაო აღიარება (კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, ა. ქუთათელის „პირისპირ“ და სხვა). ამ ნაწარმოებებში გმირების ხასიათის ძლიერი და სუსტი მხარეები დიდ ცხოვრებისეულ ძვრებთან დაკავშირებით მჟღავნდებოდა, იქნებოდა ეს კოლექტივიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, კულტურული რევოლუცია, თუ სხვა ეპოქალური მოვლენები. ეს ჯანსაღი ტენდენცია თანდათან ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაში პირდაპირ მახინჯ ფორმებში გადაიზარდა. მთელ რიგ შემთხვევებში ცხოვრებისეულმა მოვლენებმა (ხშირად გაზვიადებულმა) თავისთავადი მნიშვნელობა მიიღო, ლიტერატურა იქცა მათი ილუსტრაციის საშუალებად და მან ერთგვარად დაკარგა ადამიანის შინაგანი სამყაროს მხატვრული გახსნის ძირითადი ფუნქცია. ამ ტენდენციის საწინააღმდეგოდ მიმართულ ლოგიკურ რეაქციად უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე მწერლობის ასეთი უპირატესი ყურადღება ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი, მწერალთა სწრაფვა ლიტერატურაში პრიმატი მიანიჭონ არა ემპირიულ წარმოსახვას, არამედ ფსიქოლოგიურ ანალიზს (დ. შენგელაიას „განძი“, რ. ჯაფარიძის „ხმა იდუმალი“, ა. სულაკაურის „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფვიან“ და სხვა). ზოგ შემთხვევაში, ამ ტენდენციას მეორე უკიდურესობამდე მივყავართ და ცალკეულ ნაწარმოებებში ფსიქოლოგიზმიც თვითმიზნობამდე მიდის, რის შედეგადაც იჩქმალება ტიპიური გარემო, გმირი ცხოვრებისაგან ერთგვარად იზოლირებულად არის წარმოდგენილი და ამდენად თვითონ სახეც კარგავს რეალისტურ ძალას. მაგრამ ამ ცალკეულ უკიდურესობათა გამო როდი უნდა უარვყოთ მწერლობის სწრაფვა გმირების მოქმედებისა და განცდების ღრმა ფსიქოლოგიური მოტივირებისაკენ.

თანამედროვე მწერლობას მიეცა სრული შემოქმედებითი თავისუფლება იმისათვის, რომ მან კიდევ უფრო ღრმად, საინტერესო კუთხით, მხატვრული ეფექტით გაგვიხსნას კომუნიზმის მშენებელი ადამიანის შინაგანი სამყარო, წარმოგვისახოს ჩვენი თანამედროვეობა თავისი ამაღელვებელი ყოფით. საბჭოთა მწერლობამ სამართლიანად

უარყო ვიწრო სოციალური თუ უწყებრივი დაკვეთები, როდესაც მისგან მოითხოვდნენ აუცილებლად მიეძღვნა ფართო ეპიური ტილოები ყველა პროფესიის ადამიანის ცხოვრებისათვის. ხშირად ისმოდა საყვედურები მწერლობის მიმართ, რომ ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი რომანები, მაგალითად, შრომითი რეზერვების სკოლების მოსწავლეთა ცხოვრებაზე, ან მაინცდამაინც არტილერისტებზე თუ სხვებზე. ასეთი უწყებრივი დაკვეთები, რომლებიც ამ 10-15 წლის წინ მეტად სერიოზულ ხასიათს ატარებდნენ, და მწერლობაც იძულებული იყო ანგარიში გაეწია მათთვის, საბჭოთა ლიტერატურას პრიმიტიულობისაკენ, უბრალო ილუსტრირებისაკენ უბიძგებდა. თანამედროვე მწერლობა განთავისუფლდა მსგავსი შეზღუდვებისაგან, ახლა მას თავისუფალი არჩევანი აქვს იმისა, თუ როგორ, რა მასალაზე დაყრდნობით ან რა კუთხით წარმოსახოს მხატვრულად ცხოვრების მართალი სურათები.

ნიჭიერი შემოქმედებითი ახალგაზრდობის მოსვლა მწერლობაში, რაღა თქმა უნდა, მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების წესით არ არის გაპირობებული, თუმცა ამ უკანასკნელს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იმ გარემოებამ, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ლიტერატურული ცხოვრება ჭეშმარიტად საინტერესო, შემოქმედებითი, აქტიური გახდა, დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდობის მოზიდვას მწერლობაში. ახლა ლიტერატურის განახლებისა და განვითარებისათვის ქართული მწერლობის ვეტერანებთან თუ საშუალო თაობასთან ერთად აქტიურად იღწვიან ის ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც 50-იან წლებში, ან სულ უკანასკნელ ხანს გამოვიდნენ სარბიელზე.

ახალგაზრდა ქართველი მწერლები პირველ რიგში ეროვნული მწერლობის ტრადიციებზე არიან აღზრდილნი და დავაჟკაცებულნი. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ მათი შემოქმედება საყურადღებოა არა მარტო თავისი ორგანული კავშირით ეროვნულ ლიტერატურასთან, არამედ იმ სიახლეებთან, რაც მას ახასიათებს. ამ სიახლეების ძიებაში კი, მხატვრული გამომსახველობის თვალსაზრისით, მათ საკმაოდ ბევრს ეხმარება ფართო თვალთახედვა, მსოფლიოს თანამედროვე გამოჩენილი მწერლების დიდი, უაღრესად ნაყოფიერი გამოცდილება.

თანამედროვე ქართული მწერლობის პათოსი, აშკარად არის ეს გამოხატული თუ შეფარვით, მიმართულია ყოველივე იმის უარყოფისაკენ, რაც პიროვნების კულტის დროს ხელოვნურად ინერგებოდა ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაში. მწერლები ისეთ ნაწარმოებებშიც კი, რომლებშიც არ სვამენ ამ საკითხს, თავისი ახალი თვალთახედვით, თავისუფალი მხატვრული აზროვნებით, მოქალაქეობრივი სითამამით, დიდი პრობლემებისადმი საკუთარი, ღრმად ინდივიდუალური დამოკიდებულებით, ფაქტიურად უპირისპირდებიან და უარყოფენ პიროვნების კულტით გამოწვეულ შედეგებს, როდესაც ყველაფერი ეს აკრძალული თუ არა, ძლიერ შეზღუდული მაინც იყო. ყოველი თანამედროვე ნიჭიერი მწერლის ახალი ნაწარმობი ამ ჭეშმარიტი მხატვრულ-შემოქმედებითი თავისუფლებით არის აღბეჭდილი. ამასთან ერთად, ქართულ მწერლობაში შეიქმნა მთელი რიგი ეპიური ტილოები, რომლებიც აშკარად და უშუალოდ ამ საკითხს მიეძღვნა. მათ შორის აღსანიშნავია სერგო კლდიაშვილის რომანის „ფერფლის" მეორე წიგნი, თინა დონჟაშვილის რომანი „ალაზანზე", არჩილ სულაკაურის მოთხრობა „აბელის დაბრუნება" და სხვა.

ამ თვალსაზრისით ქართულ ლიტერატურაში პირველი საინტერესო მოვლენა იყო თინა დონჟაშვილის რომანი „ალაზანზე", რომელიც 1955 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში", ცალკე წიგნად კი 1965 წელს გამოვიდა.

თინა დონჟაშვილის რომანი „ალაზან-

ზე“ არ არის თანაბარი სიძლიერით დაწერილი ნაწარმოები. ხშირად ავტორისეული აზრი საკმაოდ შიშვლად, მხატვრულად არადამაჯერებლად არის გადმოცემული, მაგრამ იგი, უპირველეს ყოვლისა, ძლიერია სწორედ თავისი ცხოვრებისეული სიმართლით.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ცნობილი ქართველი პროზაიკოსი სერგო კლდიაშვილი მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაუბრუნდა თავის რომანს „ფერფლს“, რომლის პირველი წიგნი ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაიწერა. „ფერფლის“ მეორე წიგნი გამოქვეყნდა 1963 წელს და ამით უფრო დასრულებული სახე მიეცა რომანს. ახლა ეს რომანი რამდენიმე თაობის ცხოვრების მხატვრულ მატიანეს წარმოადგენს. თუ „ფერფლის“ პირველ ნაწილში პირველი იმპერიალისტური ომისა და სამოქალაქო ომის წლების ქართული სოფლის ცხოვრებაა წარმოსახული, მეორე ნაწილში მოქმედება სოციალისტური ყოფის დამკვიდრებისა და კოლექტივიზაციის ეპოქაში ვითარდება. როგორც ჩანს, მწერალმა მხოლოდ ახლა იმიტომ მოკიდა ხელი ამ რომანის გაგრძელებას, რომ ადრე ასე გულწრფელად საუბარი ამ ეპოქაზე და მის მტკივნეულ პრობლემებზე უბრალოდ შეუძლებელი იყო.

რომანის ამ ნაწილში ყურადღების ცენტრშია მეორე თაობის წარმომადგენლების ანანია არბელაძისა და გიგა ყანჩაველის ბედი. ორთავე გმირს მკითხველი რომანის პირველი წიგნიდან იცნობდა. ანანიამ ომის ყველა განსაცდელი გამოიარა, და უკვე გამოტირებული ყავდათ მშობლებს, როდესაც დაუბრუნდა თავის სახლ-კარს. გიგა მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლით მოვიდა ახალ ცხოვრებაში და მისი მშენებლობის ერთ-ერთი უპრეტენზიო მონაწილეა. ამ განსხვავებულმა ცხოვრების გზამ განაპირობა მათი ხასიათიც.

სერგო კლდიაშვილს საერთოდ არ ახასიათებს სიტყვა-მრავლობა. არც ეს რომანია ვრცელი, თუმცა მეტად რთულ და დრამატიზმით სავსე ეპოქას წარმოსახავს. მწერალი აშკარად ცდილობს მალე მივიდეს რომანის მოულოდნელობით სავსე ეფექტურ ფინალამდე, როდესაც უნდა გადაწყდეს რომანის გმირების მეორე თაობის ბედი. გიგა ყანჩაველს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩევენ. ეს სრულიად კანონზომიერი ამბავია, რადგან ჩვენ ვიცით გიგას რევოლუციური წარსულიც, მისი ხასიათის სიმტკიცეც და ის ავტორიტეტიც, რომელიც მას თანასოფლელებში აქვს. გიგას მოღვაწეობის ეს პერიოდი, თუმცა მეტად ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი გმირის ხასიათის განვითარების თვალსაზრისით, შედარებით მკრთალადაა გახსნილი. სამაგიეროდ სავსებით ნათელია მკითხველისათვის ანანიას სახე, რომელიც გულდასმით და სრულად აქვს მწერალს გამოკვეთილი. ანანია პატიოსანი ქართველი გლეხის განსახიერებაა. იგი გამრჯე და შეძლებული გლეხია. ანანია თავისი ნებით შეუერთდება საკოლმეურნეო მოძრაობას. თუმცა მას გულს უკლავს ის გარემოება, რომ მისი სანაქებოდ მოვლილი ვენახი ნელნელა პარტახდება მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობას გადაეცემა. ეს საკითხი თავისთავად საინტერესოა, და მკითხველიც ელის მასზე პასუხის გაცემას. სერგო კლდიაშვილი მთელის გულწრფელობით მოეკიდა ამ პრობლემის გადაჭრას. თუ რატომ მიდის უკან კოლმეურნეობის საქმეები, ამაზე პასუხს რომანის ფინალში ვიპოვით, როდესაც ასამართლებენ ანანიას.

სასამართლოს სცენა და ბრალმდებლის საქციელი ბევრ რამეს ნათელს ხდის მკითხველისათვის. გიგაც იმიტომ მოუხსნიათ თავმჯდომარეობიდან და კოლმეურნეობის საქმეც იმიტომ ბრკოლდება, რომ არ არის ნდობა ადამიანისა. ჩვეულებრივ გამრჯე გლეხში, ანანიაში, ბრალმდებელი ხედავს პოლიტიკურ დამნაშავეს, რომელიც ძირს უთხრის ახალ წესწყობილებას, ამიტომაც ასე მკაცრ განაჩენს გამოიტანს სასამართლო. გიგა, ეს თავდადებული

კომუნისტი და პატიოსანი მოქალაქე, გულწრფელად ცდილობს დააჯეროს სასამართლო, რომ ანანიას საქციელს არაფერი აქვს საერთო პოლიტიკასთან, მაგრამ ისიც კი შემდეგ იძულებულია დაეთანხმოს ამ მძიმე ბრალდებას, რადგან მასაც ეჭვის თვალით დაუწყებენ ცქერას. კიდევ უფრო შემაძრწუნებელი რომანის ფინალში ის არის, რომ კაკო, ანანიას უფროსი დავაჟკაცებული შვილი არ ეკარება მამას. ამაოდ ეძებს თვალებით ანანია თავის შვილს სასამართლოს დარბაზში. იგი არ ამტყუნებს და არც ემდურის შვილს ამის გამო. მას შესანიშნავად ესმის, თუ როგორ დააშინეს ხალხი ამ სასამართლო პროცესით. ასეთია მეორე თაობის წარმომადგენლების გიგასა და ანანიას ბედი ამ რომანში. როგორი იქნება არბელაძეებისა და ყანჩაველების მესამე თაობის ცხოვრება, ეს ინტერესი მკითხველს უთუოდ რჩება. ამაზე პასუხს, როგორც ჩანს, რომანის მესამე წიგნში ვიპოვით.

ახალგაზრდა ქართველმა მწერალმა არჩილ სულაკაურმა ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა ქართულ პროზაში ჩვენი ცხოვრების ყველაზე მძიმე, ტრაგიზმით სავსე მოვლენის მხატვრული გახსნა და გააზრება. მართალია, იგი არ იყო, და არც შეეძლო ყოფილიყო, 30-იანი წლების მეორე ნახევრის ცხოვრების უშუალო და ჩაკვირვებული მოწმე, მაგრამ სწორედ ახლა გახდა ნათელი მთელი სისრულით უსამართლობა იმდროინდელი რეპრესიებისა, და ახალგაზრდა მწერალმაც ღრმად განიცადა ეს ტრაგიკული მოვლენა. ამ განცდითაა დაწერილი მისი მოთხრობები „აბელის დაბრუნება“ და „ძველი ამბავი“.

აბელის ხვედრი ბევრი პატიოსანი ადამიანის ხვედრს გვახსენებს. თვრამეტი წელიწადი ატარა აბელმა სამშობლოს მოღალატის სახელი, მაგრამ იგი მაინც შეესწრო სიმართლის ზეიმს და ახლა უბრუნდება თავის ოჯახს, უბრუნდება იმისათვის, რომ გაუბედურებული და გაპარტახებული, კვლავ ფეხზე დააყენოს. აბელის ცხოვრების ისტორია თავისთავადაც მრავლისმეტყველია და შემაძრწუნებელი. ამასთან, მწერალი ღრმად გვიხსნის აბელის სულიერი მღელვარებისა და განცდების მთელ სიმძაფრეს, და ყოველივე ეს მოთხრობას დიდი ემოციური ზემოქმედების ძალას ანიჭებს. არჩილ სულაკაური ამ მოთხრობაშიც თავისი შემოქმედებითი თავისებურების ერთგული რჩება, მას იმდენად არ აინტერესებს ამბის თხრობა, რამდენადაც გმირის სულის სიღრმეში ჩახედვა. ამიტომ მწერალი არ გვიყვება, თუ რა გადახდა აბელს ტყვეობაში გატარებული თვრამეტი წლის მანძილზე და ყოველივე ამას გვაგრძნობინებს გმირის განცდების გახსნითა და გადმოცემით. დიდი მხატვრული მიგნებითაა დაწერილი აბელისა და მისი სულის კუნჭულში დაბუდებული რაღაც უსახოსა და უპიროს ხმამაღლა წარმოუთქმელი დიალოგი, რომლითაც მკითხველი შესანიშნავად გრძნობს, თუ რა დიდხანს და დაბეჯითებით ცდილობდნენ მართალი აბელის არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერად გატეხვასა და დაძაბუნებას. აბელს ფიქრის თავისუფლებაც კი წაართვეს, ყველა მისი ადამიანური ღირსება გასთელეს. დიდხანს ამაო იყო აბელის ბრძოლა თავისი შეურცხვენელი სახელისათვის. მაგრამ საბოლოოდ სიმართლემ გაიმარჯვა. და აბელი უბრუნდება ოჯახს, საზოგადოებას.

უსამართლო რეპრესიებით დაობლებული ბავშვის მძიმე განცდებზეა დაწერილი ჭაბუა ამირეჯიბის მოთხრობა „ბიძაჩემი მეჯლანა“. ახალგაზრდა პროზაიკოსი მსუბუქი იუმორით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ იხსნის პატარა ბიჭს გასაჭირიდან უბრალო ხელოსანი. იუმორი მწერალს იმისთვის სჭირდება, რომ ერთგვარად გაანელოს ის მძიმე განცდები, რომელსაც ობოლი ბავშვის ბედი იწვევს მკითხველში. ეს მოთხრობა გვარწმუნებს, რომ ხალხს არაფერი შეეშლება, მან კარგად იცის სიყვარულიც და სიძულვილიც, მისი გული გამთბარია კაცთმო-

ეროვნული

ყვარეობის გრძნობით. ბავშვისა და „მეჯლანას“ გარეგნულად უცნაური და სასაცილო მეგობრობა, დიდი ადამიანური გრძნობებისა და კეთილშობილების მხატვრული გამოხატულებაა.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი ნაკლოვანი მხარის პრინციპული კრიტიკა არ ნიშნავს იმას, თითქოს საბჭოთა ადამიანების ცხოვრება სინამდვილეში არ ყოფილიყო იმ ჰეროიკითა და თავდადებით გამსჭვალული, როგორც ამას წარმოგვისახავდა მწერლობა თავის საუკეთესო ნაწარმოებებში. ამ ისტორიული მნიშვნელობის გარდატეხის შემდეგ, ზოგიერთმა მწერალმა თავისი შემოქმედების ძირითად მიზნად დაისახა სინამდვილის გულგრილი, „მიუდგომელი“ ასახვა, რაც შემდეგ თავისთავად გადაიზარდა ცხოვრებისეული მოვლენებისა და ფაქტებისადმი ობიექტივისტურ მიდგომაში. ეს მწერლები არსებითად ცხოვრების ყოფითი მხარეების ნატურალისტურ სურათებს ქმნიდნენ და ივიწყებდნენ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისათვის მხატვრული განზოგადების, ტიპიური სახეებისა და ტიპიური გარემოს მნიშვნელობას. თავის რომანებში თუ მოთხრობებში ისინი ერთნაირად გულგრილად ასახავდნენ როგორც ამაღლებულს, ასევე ბიწიერს, მოწინავესა და ჩამორჩენილს, კეთილშობილურსა და ბოროტს. სინამდვილისადმი ასეთი ინდიფერენტული მიდგომის დროს შეუძლებელია მხატვრული სიმართლითა და დამაჯერებლობით წარმოსახო ჩვენი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი პათოსი საბჭოთა ადამიანების გმირული ყოფა და მოქმედება, მათი შემოქმედებითი სული. ლიტერატურაში სინამდვილის შელამაზების ტენდენციის წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში ზოგიერთი მწერალი სხვა უკიდურესობამდე მიდიოდა და თავის ნაწარმოებში ხელოვნურად აღარიბებდა ცხოვრებას, ერიდებოდა საბჭოთა ადამიანების გმირული სულის გამოხატვას. ამ ტენდენციამ თავისი აშკარა გამოხატულება ჰპოვა აკაკი ბელიაშვილის რომანში „უღელტეხილი“.

ოთარ ჩხეიძე თავის რომანებში „ბურუსი“ და „მეჩეჩი“ კიდევ უფრო შორს წავიდა თანამედროვე ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეების კრიტიკის თვალსაზრისით. რეალისტური მწერლობა ცხოვრების მართლად წარმოსახვას გულისხმობს პირველ რიგში. მართალია, მას მხატვრული გაზვიადების სრული უფლება აქვს, მაგრამ ამან თანამედროვე ცხოვრების მძაფრად გაგებას უნდა შეუწყოს ხელი მხოლოდ. ზოგჯერ კი ასეთ ტენდენციურ ნაწარმოებში ცხოვრება იმდენად მუქ ფერებშია დახატული, რომ თანამედროვეობა ცალმხრივადაა წარმოსახული და მისი განვითარების პერსპექტივაც მიჩქმალულია. ასეთ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, მხატვრული ნაწარმოები მეტნაკლებად სცილდება სოციალისტური რეალიზმის ფარგლებს. თუ თანამედროვე ცხოვრებაზე გულგატეხილობის ტენდენციას მხოლოდ იმის გამო დავუჭერთ მხარს, რომ იგი ლიტერატურაში ძველ უსაფუძვლოდ გაზვიადებულ, აღფრთოვანებულ ტენდენციას უპირისპირდება, მაშინ საბჭოთა მწერლობა მეორე უკიდურესობაში გადავარდება და კვლავ უღალატებს ცხოვრების მართლად ასახვის პრინციპს, დაჰკარგავს თანამედროვეობის სულს. ეს საშიშროება დაჰკრავდა ოთარ ჩხეიძის ზემოხსენებულ რომანებს, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ თავისი გაბედული კრიტიკული პოზიციით მწერალმა ფართო მკითხველის სიმპათია დაიმსახურა. ბოლო ხანს გამოქვეყნებულ რომანში „კვერნაქი“ ოთარ ჩხეიძე კვლავ იმავე კრიტიკული პოზიციიდან გვიხატავს თანამედროვე ცხოვრებას, მაგრამ ამჯერად მისი მამხილებელი პათოსი ადამიანის მეშჩანური, ეგოისტური ბუნების წინააღმდეგ არის მიმართული და მწერლის გულწრფელი ბრძოლა თანამედროვეთა მორალური საფუძვლების სიწმინდისათვის არ შეიძლება ჩვენს უბრალო თა-

ნაგრძნობას კი არა, აქტიურ მხარდაჭერასაც არ ჰპოვებდეს.

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ ამ ბოლო წლებში, როდესაც ბევრი საზოგადოებრივი თუ მხატვრული ფაქტის კრიტიკული განსჯა და გადაფასება ხდებოდა, ძირითადად შეძლო შეენარჩუნებინა სწორი პოზიცია და არ გადავარდნილიყო იმ მეორე უკიდურესობაში, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკე. ამიტომაცაა, რომ იგი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ცხოვრების მართალ მხატვრულ მატიანედ.

თანამედროვეობის გრძნობა, ცხოვრების მიმდინარე პროცესისადმი ცხოველი ინტერესი ქართულ მწერლობას დღეს ყველაზე მეტად აქვს გამჯდარი. თანამედროვე ცხოვრება გამოირჩევა თავისი სირთულითა და პრობლემათა სიუხვით. ქართული მწერლობა ცდილობს თავი დააღწიოს ადრე დამახასიათებელ ერთგვარ ცალმხრივობას და თანამედროვე ცხოვრება მრავალი კუთხით დაანახოს და აუხსნას მკითხველს. მიუხედავად ამ მრავალპრობლემიანობისა და ინტერესთა მრავალმხრივობისა, რომელთაგან თითქოს ძნელი უნდა იყოს მთავარის დასახელება, რადგან ადამიანის სულის მოძრაობის მხატვრული გამოხატვისათვის ყველაფერი თანაბრად საინტერესო და მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს (ეს უკვე თვით მწერალზეა დამოკიდებული), მაინც, პირობითად შეიძლება შედარებით აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების გამორჩევა. ეს ის ნაწარმოებებია, რომლებშიც თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება ფართოდ და თავისი განვითარების ძირითადი ტენდენციითაა წარმოსახული. მათ შორის აღსანიშნავია კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ნატვრის თვალი“, კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, ლადო მრელაშვილის „ყაბახი“, აკაკი ბელიაშვილის „შვიდკაცა“, „ვეფხია ხალიბაური“ და სხვა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე თავისი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებებით ორგანულად არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა ლიტერატურის, კერძოდ, პროზის განვითარების პროცესთან. მისი ინტერესი ძირითადად თანამედროვე ქართული სოფლის მწვავე პრობლემებისკენაა მიმართული. ამ დაუცხრომელი ინტერესის ნაყოფია ოცდაათიან წლებში დაწერილი „კოლხეთის ცისკარი“ და უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული რომანი „ნატვრის თვალი“. ეს ორი რომანი, სხვა, შედარებით მცირე ნაწარმოებებზე რომ არაფერი ვთქვათ, ვფიქრობ, სრულ საფუძველს გვაძლევს კონსტანტინე ლორთქიფანიძე ქართველ მწერალთა შორის სოფლური ყოფის წარმოსახვის საუკეთესო ოსტატად ვაღიაროთ. „კოლხეთის ცისკარი“, მთელ თავის მხატვრულ ღირსებებთან ერთად, 30-იანი წლების ქართული სოფლის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მწვავე კონფლიქტებით იქცევს მკითხველის ყურადღებას. მწერალი არ მოერიდა ამ კონფლიქტებს, რადგან მას ღრმად სჯეროდა სოფლად ახალი ცხოვრების დამკვიდრების გარდუვალობაცა და მისი დიდი მნიშვნელობაც. სწორედ ამ რწმენით ავსებს მკითხველს ეს რომანი და ამაშია მწერლის გამარჯვებაცა და „კოლხეთის ცისკრის“ ღირსებაც.

„ნატვრის თვალი“ ერთგვარად აგრძელებს „კოლხეთის ცისკარს“. ამ ახალ რომანში მოქმედება 30-იანი წლების მიწურულს იწყება, მაგრამ ძირითადად იგი ომისშემდგომი პერიოდის სოფელში ვითარდება. თუ „კოლხეთის ცისკარში“ კოლექტიური მეურნეობის დაბადების ტკივილები იყო მწერლის ყურადღების ცენტრში, ახლა იგი უკვე სოციალისტური სოფლის მკვიდრთა შრომის ჰეროიკითა და სიძნელეებით სავსე ცხოვრებას მოგვითხრობს და გვიხსნის. კონსტანტინე ლორთქიფანიძე აქაც მისი რომანებისათვის დამახასიათებელი მრავალპლანიანობით წარმოგვისახავს ცხოვრების განვითარების სურათებს, სხვადასხვა თაობების ბედიღბალს გვიხსნის, და ეს რამდენიმე სი-

უქეტური ხაზი, ერთმთლიან კომპოზიციურ ყალიბში მოქცეული, თანამედროვე სოფლის ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ნათელ სურათს ქმნის. ზაქარია ნადიბაიძე და მანუჩარ უგრეხელიძე, ანუკა და დუბოვი ქართველი გლეხების იმ თაობის ხასიათს გვიხსნიან, რომლებმაც თავის მხრებზე გადაიტანეს სოფლად სოციალისტური ყოფის დამკვიდრება, და თავისი ბიოგრაფიის ყოველი დეტალით ამ ახალ ცხოვრებასთან არიან დაკავშირებულნი. ლევან და გიორგი ნადიბაიძეები, გოგოლა უგრეხელიძე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები არიან, რომელთაც უშუალო წვლილი არ უდევთ სოფლად ახალი ცხოვრების შემოტანასა და დამკვიდრებაში, მაგრამ ეს ახალი ყოფა მათთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არავის მისცემენ მისი ხელყოფის უფლებას. ამ ახალი ცხოვრების წრფელ სიყვარულსა და პატრიოტულ შემართებას ეწირება ლევან ნადიბაიძისა და გოგოლა უგრეხელიძის დიდი, ადამიანური გრძნობა. ეს მსხვერპლი მძიმე განსაცდელია ნადიბაიძეებისა და უგრეხელიძეების ოჯახებისათვის, სოფლისათვის, განსაკუთრებით კი გოგოლასათვის, მაგრამ იგი სამშობლოს, ახალი ცხოვრების სამსხვერპლოზე იქნა მიტანილი და, ამიტომაც, სასაყვედურო ამაში არაფერია მათთვის. კონსტანტინე ლორთქიფანიძე მისთვის ჩვეული ოსტატობით გვიხატავს ამ სახეებს და რომანის გმირები თითქოს ცოცხლად წარმოუდგებიან მკითხველს. ისინი ჩვენს თვალწინ ცხოვრობენ, მოქმედებენ, შრომობენ, განიცდიან და მკითხველიც ნელ-ნელა, შეუმჩნევლად გადადის მათ სამყაროში, მათთან ერთად განიცდის სიხარულსაც და ტკივილსაც.

„ნატვრის თვალი“ საინტერესო პროლოგით იწყება, რომელიც მწერლის მიზანდასახულებას გვიხსნის. შირაქის ველზე 1918 წლის ერთ უმთვარო ღამეს, ცეცხლთან მიმსხდარი მეხრეები ზღაპარს ისმენენ ნატვრის თვალზე. „...ზღაპარი კარგახანია დასრულდა, ღამის მეხრეები კი ისევ ჩაფიქრებულნი მისჩერებიან ცეცხლს, თითქოს იმ ცეცხლის ალში ზღაპრებიდან გადმოსულ ლანდებს ხედავენ.

ბოლოს ერთმა ამოიოხრა და თქვა: ნეტავ ის ნატვრის თვალი მაპოვნინა.

რას ინატრებდი? — ჰკითხა მეორემ.

რასა და... იმდენი ხარ-კამეჩი მოგვცა, რომ შირაქის ყამირები ყველა მოგვახნევინა და დაგვათესინაო“.

ამ გლეხური ოცნების ახდენაზეა დაწერილი რომანი „ნატვრის თვალი“. დადგა დრო, როდესაც ეს მიუწვდომელი ოცნება მისაწვდომი გახდა ქართველი გლეხისათვის. სწორედ ამ ახალ ცხოვრებას წარმოგვისახავს კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როდესაც ხარ-კამეჩებით კი არა, ტრაქტორებითა და კომბაინებით დაიფარა შირაქის ველი. მაგრამ ამ ოცნების ახდენას ნატვრის თვალის ნაცვლად, დიდი მსხვერპლი და ჯაფა დასჭირდა. ეს იყო მშრომელი გლეხობის დიდი, თავდადებული შრომისა და ბრძოლის შედეგი, რასაც თან სდევდა ათასი სიძნელე, ტკივილი, ეჭვები, მძიმე განცდები. მაგრამ, რაც მთავარია, ეს ბრძოლაც და შრომაც დიდი იმედებითა და რწმენით იყო შთაგონებული. ამან განაპირობა გამარჯვება, ოცნების ახდენა. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ არც ახლაა ყველაფერი რიგზე, როდესაც მიმდინარეობს მოქმედება „ნატვრის თვალში“. მართალია, ყამირები აღარ არის, მაგრამ სოფლის ცხოვრებას თავისი სიძნელეები და ტკივილები სდევს თან და მწერალიც, შრომის ჰეროიკის წარმოსახვასთან ერთად, არც ამაზე ხუჭავს თვალს. კონსტანტინე ლორთქიფანიძე არ არის ისეთი მწერალი, რომელსაც ლაღი და იოლი ცხოვრება იტაცებდეს. მან კარგად იცის გამარჯვების სიხარულიცა და ფასიც; კარგად იცის, თუ ცხოვრების პროგრესს რა სიძნელეები ახლავს თან, და ისიც თავისი ნაწარმოებებით ებრძვის ამ სიძნელეებს. რომანის გმირებს ურთიერთობა და ბრძოლა უხდებათ წითელ დათასთან, ლეკიშვილთან, მათ მოდგ-

მასა და გარემოსთან, ყოველივე იმასთან, რაც აბრკოლებს, ამუხრუჭებს ცხოვრების განვითარებას. მართალია, ამ რომანის მეორე ნაწილიც დაიბეჭდა უკვე, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს არ დაუმთავრებია „ნატვრის თვალზე“ მუშაობა. ამ რომანს კიდევ ექნება გაგრძელება, სადაც უფრო ფართოდ გაიშლება ბრძოლა ახალი ცხოვრების სიწმინდისათვის და, ბოლოს, „ნატვრის თვალის“ სახით ჩვენ მივიღებთ ისეთივე მნიშვნელოვან ნაწარმოებს თანამედროვე სოფლის ცხოვრებაზე, როგორიცაა 30-იან წლებზე დაწერილი „კოლხეთის ცისკარი“.

ფართოპლანიანი ნაწარმოები უძღვნა ქართული სოფლის მკვიდრთა ცხოვრებას კონსტანტინე გამსახურდიამ. რომანი „ვაზის ყვავილობა“ თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. კონსტანტინე გამსახურდია მისთვის დამახასიათებელი ფართო თვალთახედვით უყურებს ცხოვრებას და, თუმცა ერთი ქართული სოფლისა და მის ცხოვრებათა ბედიღბალზეა ეს რომანი დაწერილი, მწერალი არ იფარგლება ვიწროდ ერთი კონკრეტული ეპოქით, ან თუნდაც ამ ძირითადი მასალით. იგი თავისუფლად მიმართავს ისტორიულ ექსკურსებს და რომანში წარმოდგენილი გმირების ხასიათებს ისტორიულ ასპექტში იხილავს. ან კიდევ მწერალს მოგონებების საშუალებით, ან სრულიად უშუალოდ გადააქვს მოქმედება სულ სხვა, შორეულ ადგილებში, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, საფრანგეთსა თუ გერმანიაში და მრავალ რთულ საკითხს სვამს, არაერთ პრობლემას ხსნის თავისებურად. ამ ფართოპლანიანობის, ათასგვარ პრობლემებზე მსჯელობის გამო რომანი, ერთი მხრივ, მეტ ინტერესს იწვევს მკითხველში, ხოლო მეორე მხრივ, ერთგვარი ამორფულობის შთაბეჭდილებასაც სტოვებს. არაფერს წააგებდა რომანი, რომ მთელი რიგი ვრცელი ეპიზოდები სულაც არ ყოფილიყო მასში, თუნდაც გოდერძი ელანიძის ფრონტული ცხოვრების და ტყვეობის სურათება რომ არ მოეცა მწერალს. ხასიათები უამისოდაც საკმაოდ ნათელია მკითხველისათვის, და ეს გადატვირთვა უამრავი სიუჟეტური ხაზებითა და ათასი ნაკლებ საჭირო ეპიზოდებით, არ არის ნაკარნახევი მოქმედების და ხასიათების განვითარების შინაგანი მხატვრული ლოგიკით.

მთავარი გმირები ამ რომანისა არიან ერთი მხრივ ვახტანგ კორინთელი, მედიკო ვაჩნაძე, სუსქია მინდელი, მეორე მხრივ კი — გოდერძი ელანიძე და ნუნუ უჯირაული. თუმცა, ამათ გარდა, „კნეინა“ ვარა და მთელი მისი სამყარო თუ გარემოცვა, აბრია უჯირაული, სტეფანე და მრავალი სხვა თავისი ფსიქიკითა და საერთოდ შინაგანი სამყაროთი უაღრესად საინტერესო გმირები არიან, რომლებიც ქართული სოფლის მთელი სოციალური ფენების განზოგადებულ მხატვრულ სახეებს წარმოადგენენ, მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი ამ რომანში ზემოთდასახელებულ მთავარ გმირთა ხასიათის გახსნაა, რადგან იმათ უნდა გაგვაგებინონ მწერლის ძირითადი სათქმელი. „ვაზის ყვავილობით“ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მკვიდრდება კახეთის სოფელ ბერმუხაში ახალი ყოფა, როგორი თავგანწირვით იღწვიან მოხუცები თუ ახალგაზრდები ჟამთა სიავისაგან გაპარტახებული ადგილების ასაღორძინებლად, როგორ ახარებს ვაზს „გველეთში“ გლეხკაცის გამრჯე მარჯვენა. გოდერძი ელანიძე და ნუნუ უჯირაული ამ ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლთა ავანგარდში არიან და თავიანთი ახალგაზრდული შემართებით, ენერგიით, მონდომებით სოფლის თავკაცობასაც კი სწევენ.

უფრო რთულია სამყარო გმირების მეორე ჯგუფისა —ვახტანგ კორინთელი, მედიკო ვაჩნაძე, სუსქია მინდელი. კონსტანტინე გამსახურდიას ყოველთვის აწუხებდა ინტელიგენციის ბედი

რევოლუციის შემდეგდროინდელ ეპოქაში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მწერალს ევროპულად განსწავლული ინტელიგენტების ბედი აწუხებს, თუ როგორ შეეგებებიან ისინი რევოლუციასა და რევოლუციით გამოწვეულ ცვლილებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ან, პირიქით, როგორ მოექცევა, რა პირობებში ჩააყენებს თვით ახალი ცხოვრება ასეთი ყაიდის ადამიანებს. მწერლის ეს ინტერესი თანამედროვეობაზე დაწერილ მის თითქმის ყველა რომანში სჭვივის, სჭვივის კი არა, შეიძლება ითქვას, პირველ პლანზე დგას. მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება პარალელის გავლება თარაშ ემხვარსა და ვახტანგ კორინთელს შორის. ევროპაში ბევრმა ქართველმა მიიღო განათლება, მაგრამ ამათგან ბევრმაც დაკარგა თავისი ეროვნული სახე. ევროპის ფეშენებელურმა ქალაქებმა, ცივილიზაციამ, კულტურამ, განათლებამ არა ერთ ქართველს დაუბნია გონება, დაუკარგა მოვალეობის გრძნობა ერის, სამშობლოს წინაშე, რომელიც რევოლუციის ქარ-ცეცხლით იყო მოცული, ან უკვე ამ რევოლუციის შედეგად ახალი ცხოვრების გზაზე იდგა. ევროპეიზებულ ქართველობას მეტწილად თავიანთი სოციალური მდგომარეობაც უშლიდა ხელს დაახლოვებოდა ახალ ცხოვრებას და ამიტომ ბევრმა მათგანმა დაჰკარგა თავისი ადგილი სამშობლოში. მაგრამ მეტმა ნაწილმა მოახერხა ისევ და ისევ თავისი სამშობლოსადმი მოვალეობის ძლიერი გრძნობით გადაელახა ყოველგვარი, თუნდაც სოციალური ბარიერი და სოციალიზმის მშენებელთა რიგებში ჩამდგარიყო; ამასთან, თავისი განათლების წყალობით დიდი სამსახურიც გაეწია ახალი ცხოვრებისათვის. სწორედ ამ კატეგორიის ადამიანებს ეკუთვნის ვახტანგ კორინთელი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მიზანს მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს კეთილდღეობისათვის სამსახურში ხედავს. მას ევროპისკენ სწორედ საქართველოს სიყვარული იზიდავდა და არა თვით ევროპული წესი ცხოვრებისა. თუ მედიკო ვაჩნაძისათვის და კნეინა ვარასათვის ევროპაში ცხოვრება მხოლოდ მათი ვიწრო ეგოისტური, მეშჩანური ბუნების დაკმაყოფილებაა, ვახტანგ კორინთელისათვის იგი სამშობლოსათვის სამსახურის გაწევის აუცილებელი დროებითი პირობაა. ამიტომაც იზრდება კონფლიქტი ვახტანგ კორინთელსა და მის მეუღლეს მედიკო ვაჩნაძეს შორის. ამ ნიადაგზე ეუფლება უკვე ხანდაზმულ ვახტანგ კორინთელს დიდი და წრფელი გრძნობა სუსქია მინდელისადმი, რომელშიც მაღალი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი პრინციპების მქონე ქართველ ინტელიგენტ ქალს ხედავს. „ვაზის ყვავილობაში“ ბევრი დრამატული ეპიზოდის მოწმე ხდება მკითხველი; იღუპებიან ვახტანგ კორინთელიცა და სუსქია მინდელიც, მრავალ განსაცდელს ებრძვიან გოდერძი ელანიძეცა და ნუნუ უჯირაულიც, მაგრამ ვაზის ყვავილობა გველეთში, სოფელ ბერმუხას აღორძინება, სიდიადე იმ მიზნებისა, რომელთაც ეწირებიან ვახტანგიცა და სუსქიაც, რისთვისაც თავგანწირვით იბრძოდა გოდერძი, ნაწარმოებს დიდ ოპტიმისტურ ჟღერადობას აძლევს.

თანამედროვე ცხოვრებაზე უკანასკნელ წლებში, ამ ნაწარმოებებს გარდა, ბევრი სხვა რომანიც დაიწერა, მაგრამ ყველა როდი იმსახურებს თანაბარ ყურადღებას. ყოველ მათგანს მეტ-ნაკლებად თან სდევს ერთი დიდი ნაკლი — მწვავე პრობლემებისადმი ერთგვარი ზერელე დამოკიდებულება. თანამედროვე მკითხველი მწერლისაგან ცხოვრების მართალი სურათების წარმოსახვას მოითხოვს.

თანამედროვე ქართულ პროზას მეორე საშიშროებაც გაუჩნდა. არა ერთი მხატვრულად საინტერესო ნაწარმოები დაიწერა, რომლებზეც ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ მათ ცხოვრების სიმართლე აკლდეთ, ან მათში მიჩქმალული იყოს ჩვენი დღევანდელი ყოფის სიძნელეები და ნაკლოვანებები,

რომ ისინი ცალმხრივ, მაშასადამე, არასრულ წარმოდგენას გვაძლევდნენ თანამედროვეობაზე. მაგრამ სამაგიეროდ და სამწუხაროდ, ეს ნაწარმოებები მეტწილად ილუსტრაციული ხასიათისაა და მათში მხატვრულ ანალიზს ნაკლებად შეხვდება მკითხველი. მწერალი, მართლაც, საინტერესოდ ხატავს ცხოვრების სურათებს, მაგრამ სულაც არ ცდილობს ახსნას ეს სურათები, იკვლიოს ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის მიზეზი. მწერალმა თავის ნაწარმოებში არა მარტო უნდა აჩვენოს ცხოვრება, არამედ უნდა ახსნას კიდეც იგი. ეს კი ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრ ნაწარმოებს აკლია. სანიმუშოდ დავასახელებ უკანასკნელი წლების ისეთ საყურადღებო ნაწარმოებს, როგორიცაა ლადო მრელაშვილის „ყაბახი".

ლადო მრელაშვილი ერთი იმ ახალგაზრდა ქართველ პროზაიკოსთაგანია, რომელიც შესანიშნავად იცნობს სოფლის ცხოვრებას და აქვს კიდეც უნარი მსუყე ფერებით, საინტერესოდ, კოლორიტულად წარმოგვისახოს იგი. „ყაბახი" მწერლის ამ ნიჭის საუკეთესო გამოხატულებაა. მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ეს რომანი. მით უმეტეს, რომ მწერალს არა მარტო თვალი აქვს გამჭრიახი, არამედ მეტყველებაც კარგი აქვს, და რომანი ცოცხლად არის დაწერილი. მართალია, „ყაბახი" კომპოზიციურად არ არის მტკიცედ შეკრული ნაწარმოები, მასში მრავლადაა თავისთავად საინტერესო ეპიზოდები, რომლებიც ზედმეტად ტვირთავენ რომანს, მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ მწერალმა შეძლო ცოცხლად და საინტერესოდ დაეხატა ჩვენი თანამედროვე სოფელი, მისი ადამიანები, მათი შრომა და ყოფა, ამასთან შეემჩნია და ჩვენთვისაც დაენახვებინა ის სიძნელეები, რომელთაც სოფელი დღეს განიცდის. მათ შორის მწერალი ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემად სახავს იმას, რომ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გაურბის კოლექტივში მუშაობას, ან სულ სტოვებს სოფელს და ქალაქს ეშურება, ან კიდევ იქვე სოფელში ეძებს [illegible], და კოლექტივს არ ე[illegible]. მაგრამ, რატომ ხდება ეს? რა არის ამის მიზეზი? ეს კითხვები ბუნებრივად ებადება მკითხველს. მწერალი ამ კითხვებს უპასუხოდ სტოვებს, ხოლო ზოგჯერ კი ისე ზერელედ ხსნის მათ, რომ ამას ისევ უპასუხობა სჯობია.

მწერალს უნდა ჰყოს არა მარტო განსჯის და გარკვევის უნარი, არამედ მოქალაქეობრივი სითამამეც. იგი ბოლომდე გულახდილი უნდა იყოს მკითხველთან და, თუ კი რაიმე საკითხს წამოჭრის, უნდა ახსნას კიდეც იგი. რაღა თქმა უნდა, ეს ახსნა მხატვრული ხერხებით უნდა მოხდეს და არა ლოგიკური მსჯელობით. მკითხველი უნდა გრძნობდეს, თუ რაში ხედავს მწერალი ამა თუ იმ მანკიერი საზოგადოებრივი მოვლენის მიზეზს ან საფუძველს. სხვაგვარად, თუ მწერალმა რაიმე მოვლენის ძირების მიკვლევა დაიზარა, ან თავი აარიდა მას, ჩვენ მივიღებთ მხოლოდ ილუსტრაციული ხასიათის ნაწარმოებს, რომელსაც უკეთეს შემთხვევაში მხატვრულად საინტერესო თხრობამ შეიძლება მკითხველი შესძინოს, მაგრამ მას მთავარი, საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ ექნება.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ქართულ ლიტერატურას აშკარად ეტყობა ეთიკური პრობლემატიკით გატაცება. ეს ტენდენცია თანაბრად არის დამახასიათებელი ყველა ჟანრისათვის, თუმცა უფრო თვალნათლივ მხატვრულ პროზაში ჩანს. ზოგადად ეს ღრმა ინტერესი ეთიკური პრობლემებისადმი ყველა მხატვრულ ნაწარმოებშია გამოკვეთილი, რადგან თანამედროვე ქართული მწერლობა უფრო მეტად ცდილობს გასცეს პასუხი კითხვას: როგორია საბჭოთა ადამიანი, რა რწმენისა და რა მიზნის? როგორია ის მორალურ-ეთიკური საფუძვლები, რომელთაც საბჭოთა ადამიანი ეყრდნობა? ამ ორი ათეული წლის წინ კი ახალი, ანუ საბჭოთა ადამიანის მხატვრული სახის შე-

ქმნისას, მწერალი მეტ ყურადღებას აქცევდა იმას, თუ რას საქმიანობდა ეს ახალი ადამიანი, როგორ ცხოვრობდა, რა კონკრეტული მიზანდასახულებისათვის იღწვოდა. ასე რომ, უკანასკნელი წლების მწერლობა უფრო მეტ ყურადღებას აქცევს თანამედროვე ადამიანის შეგნების, ბუნების, მორალურ-ეთიკური სახის გარკვევას. ამ ზოგად დამახასიათებელ ნიშანთვისებას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ის გარემოება, რომ მთელი რიგი საყურადღებო ნაწარმოებები უშუალოდ ეთიკური პრობლემატიკის მხატვრულ დამუშავებასა და გახსნას ეძღვნება.

საბჭოთა ადამიანის ეთიკურ-მორალური საფუძვლების მხატვრული რკვევა მეტ ფსიქოლოგიურ ანალიზს მოითხოვს მწერლისაგან. რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიზმი არ არის მხოლოდ თანამედროვე ლიტერატურის დამახასიათებელი თვისება, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ დღევანდელ საბჭოთა მწერლობას უფრო აქეთ აქვს გამახვილებული ინტერესი, ვიდრე ცხოვრების ემპირიული წარმოსახვისაკენ. ამასთან, რა სახისა და პრობლემატიკისაც არ უნდა იყოს ეპიური ნაწარმოები, თუ სოციალური ურთიერთობა, ცხოვრების რეალური სურათები არ ექნა ფონად, გმირის განცდის, ან საერთოდ ხასიათის ამხსნელ საშუალებად, მასში არ გამოიკვეთება სრულად და დამაჯერებლად არც ზოგადი და არც კონკრეტული საკითხები ასეთ შემთხვევაში ფსიქოლოგიზმი თვითმიზნური ხასიათისა იქნება. მაშასადამე, ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ უფრო კონკრეტულ-გრძნობად ასპექტში სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე, ცხოვრებისეული მოვლენების მხატვრულ გახსნაზე მათდამი გმირის შინაგანი დამოკიდებულების საშუალებით, ან ადამიანის შეგნებისა და ფსიქიკის, მისი ეთიკური თუ ფსიქოლოგიური საფუძვლების, საერთოდ, მისი სულიერი სამყაროს რკვევაზე სოციალურ მოვლენებზე და გარემოზე მტკიცე დაყრდნობით.

ამის ერთ-ერთი მკაფიო, მხატვრულად საინტერესო ნიმუში გახლავთ დემნა შენგელაიას მოთხრობა „განძი". დემნა შენგელაია ქართული პროზის ცნობილი ოსტატია, რომლის რომანებმა და მოთხრობებმა უკვე ოციან წლებში მოუპოვეს ავტორს პოპულარობა. დ. შენგელაიამ არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებით გაამდიდრა ქართული საბჭოთა პროზა. მართალია, დემნა შენგელაიას ადრინდელი ნაწარმოებებიც ღრმად არის აღბეჭდილი ადამიანის სულის საღრმეების რკვევით, მაგრამ მოთხრობა „განძი" ამ თვალსაზრისით უთუოდ გამოირჩევა მწერლის სხვა ნაწარმოებთაგან. თუ მისი რომანები „სანავარდო". „ბათა-ქექია", „წითელი ყაყაჩო" და სხვა ვრცელი ეპიური ტილოები მეოცე საუკუნის ქართული ცხოვრების ეპოქალურ მოვლენებს წარმოგვისახავს და დიდი სოციალური გარდატეხებისა და გარდაქმნების მოწმედ გვხდის, „განძი" უშუალოდ საბჭოთა ადამიანის ეთიკური საფუძვლების რკვევას ეძღვნება. ამიტომაც მწერლისათვის ფსიქოლოგიური ანალიზი ამ ნაწარმოებში ერთადერთი საშუალებაა გმირის დიდი დრამატული განცდების ასახსნელად.

შეიძლება თავდაპირველად ერთგვარი დაეჭვება გამოიწვიოს იმ გარემოებამ, რომ მოთხრობას თითქოს ხელოვნური, ან უფრო სწორად, იშვიათი შემთხვევა აქვს დადებული საფუძვლად, კერძოდ, ის, რომ საულია, ერთი უბრალო ქართველი გამრჯე კოლმეურნე გლეხი უდიდეს სიმდიდრეს, ოქროს განძს იპოვნის ყანაში მუშაობის დროს, მაგრამ მთავარი ასეთ ხასიათის ნაწარმოებში განცდის სიმართლეა და არა ფაქტის. ამ თვალსაზრისით კი „განძი" უაღრესად მართალი ნაწარმოებია. „განძი" უთუოდ გაახსენებს მკითხველს სტეინბეკის ცნობილ მოთხრობას „მარგალიტს", და ამ ორი ნაწარმოების შედარება თვალნათლივსა ხდის ორი სამყაროს სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესს, ორი სამყაროს ადამიანთა

სრულიად განსხვავებულ განცდებსა და ეთიკურ საფუძვლებს.

სტეინბეკის მოთხრობაში მარგალიტის ღარიბ-ღატაკი მაძიებლისათვის, რომელსაც ავადმყოფი ბავშვის წამლისა და ექიმის ფულიც არა აქვს, ძვირფასი განძის პოვნა ტრაგიკული შეიქნება, რადგან იგი მონის მდგომარეობაშია ჩაყენებული და თავისი უჩვეულოდ დიდი და ძვირფასი მარგალიტი უნდა დაუთმოს ცხოვრების განმგებლებს, მარგალიტით მოვაჭრე ბნელ საქმოსნებს. გმირის პროტესტი აქ საბედისწერო აღმოჩნდება და მარგალიტთან ერთად იღუპება მისი ოჯახიც. სტეინბეკის მოთხრობა მკვეთრი პროტესტია სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. დემნა შენგელაიას მოთხრობის გმირი სულ სხვა სოციალურ გარემოში ცხოვრობს, სადაც ოქროს ფეტიში არ არსებობს, და მისთვის განძის პოვნა მხოლოდ საკუთარი ფსიქოლოგიური განცდის, ეთიკური საფუძვლების რღვევის გამო ხდება ტრაგიკული.

საულია და ფუნდუ, ჯანღონითა და ახალგაზრდული ენერგიით სავსე ორი ადამიანი, რომელთაც სულ ახლა დაიწყეს ოჯახის შენება, სიყვარულითა და იმედით არიან სავსენი. ისინი ნელა და თანდათანობით ქმნიან ახალ ოჯახს, რაშიც ყველა ხელს უწყობს მათ. მათი ცხოვრება ამ უბრალო და ნათელი პერსპექტივითაა სავსე, როდესაც მოულოდნელი უბედურება დაატყდებათ თავს, — საულია ოქროს განძს იპოვნის ყანაში და ცდუნება უზრუნველი, უშრომელი ცხოვრებისა მას კალაპოტიდან ამოაგდებს. საულია ღალატობს თავისთავს, იგი მშრომელი ადამიანია და არა ფუქსავატი მფლანგველი ცხოვრებისა. ეს გაორება მძიმეა მისთვის, იგი კარგავს კონტაქტს მიწასთან, მეზობლებთან, ახლობლებთან, საკუთარ ცოლთანაც კი, რომელიც გაგიჟებით უყვარს. ნაპოვნი ყალბი განძი მას დააკარგვინებს ჭეშმარიტ განძს, რომელიც გააჩნდა პატიოსანი შრომითა და სიხარულით სავსე ცხოვრების სახით. სწორედ ეს არის მისი ტრაგიზმის საფუძველი.

დემნა შენგელაია ძირითადად თავისი გმირის საულიას დრამატული განცდების მოწმედ გვხდის, რომელიც ჩვენთვის უფრო გასაგები ხდება იმ ნათელი გარემოს ფონზე, რომელიც სოფლის მყუდრო და შრომის სუფევით სავსე ცხოვრების სახით მწერალს ჭეშმარიტი მხატვრის თვალით აქვს დანახული და დახატული. დემნა შენგელაიასათვის ადამიანები არ არიან ორ პოლუსზე განლაგებულნი, რომელნიც ერთმანეთს უპირისპირდებიან თავისი აბსოლუტური სიკეთითა და აბსოლუტური ბოროტებით. თვით საულიაც, მიუხედავად ამ ავადმყოფური განცდისა, ამ გაორებისა და საკუთარი სინდისის ღალატისა, მკითხველში უფრო თანაგრძნობას იწვევს, ვიდრე სიძულვილს.

დემნა შენგელაია მხოლოდ იმ სულიერი ყოყმანის ხანმოკლე მომენტს გვიხსნის, როდესაც უნდა გადაწყდეს, თუ რომელი საწყისი გაიმარჯვებს საულიაში. ამიტომ მოთხრობა უფრო ფსიქოლოგიური ანალიზით არის აღბეჭდილი, ვიდრე ამბის განვითარების უბრალო თვალნათლივი გამოხატულებით. საულიაში იმარჯვებს უშუალობა და სიწრფელე, მისი სულიერი წონასწორობა ბოლოს აღსდგება, და მშრომელი კაცის ბუნება უკუაგდებს მოძალებულ ცდუნებებს, მაგრამ საულიას ძვირად უჯდება ყოველივე ეს — იღუპება მისი მეუღლე, ნაზი და ფაქიზი სულის მქონე ფუნდუ, რომლისთვისაც ერთადერთ განძს წარმოადგენს ქმრის სიყვარული და პატიოსანი მშრომელი კაცის ცხოვრება. ეს ტრაგიკული ფინალი კიდევ უფრო მძაფრად განგვაცდევინებს იმას, თუ რამდენად მიუტევებელია ადამიანისათვის ზნეობრივი საფუძვლების ღალატი. დემნა შენგელაია უაღრესად ამძაფრებს თავისი გმირების განცდებს, თვითონ კი სასტიკ მსაჯულად ევლინება მათ, მაგრამ ყოველივე ამას აკეთებს ერთადერთი განზრახვით, რომ მოთხრობის მიზანდასახულება ემოციურად

ძლიერი და შთამბეჭდავი იყოს მკითხველისათვის.

გმირის განცდების სიმძაფრითა და ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმით თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში გამოირჩევა გიორგი შატბერაშვილის მოთხრობა „მკვდრის მზე“. მოთხრობის მთავარი გმირის გიორგის განცდებს აქ ღრმა სოციალური საფუძველი აქვს. გიორგისა და მის შვილს თენგოს შორის კონფლიქტს სწორედ ის განსაზღვრავს, რომ თუ მამა სკეპტიკურად არის განწყობილი ახალი, სოციალისტური ცხოვრების წესის მიმართ, მისი შვილი ერთი უბრალო, მაგრამ აქტიური წევრი და შემოქმედია ამ ცხოვრებისა. ეს ღრმა სულიერი წინააღმდეგობა და ჯიბრი მამა-შვილს შორის აქ უფრო სიმბოლიურ გამოსახულებას პოულობს და ოსტატურად არის დაკავშირებული ხალხურ ლეგენდასთან ხიზამბარელის ლოდის შესახებ. გიორგი წააქეზებს თავის შვილს, რომ ახლანდელი ახალგაზრდობა ვერ შეედრება წარსული წლების ვაჟკაცებს, რომ მხოლოდ ხიზამბარელს შეეძლო იმ უზარმაზარი ლოდის აწევა, რომელმაც მისი სახელი ლეგენდარულად აქცია. ხალხური სპორტის ეს სახე მოთხრობაში ცხოვრების დიდი სიძნელეების დაძლევის სიმბოლოდ იქცევა, და თენგომაც უნდა დაუმტკიცოს მამას ახალი თაობის სიძლიერე. თენგო ასწევს ხიზამბარელის ლოდს, მაგრამ შეეწირება კიდეც ამ გატაცებას. მოთხრობა ძირითადად ამ ამბით გამოწვეული გიორგის მძიმე განცდების მხატვრული გამოხატულებაა. მწერალი თავის გმირში ხედავს არა უბრალოდ გაორებულ ადამიანს, არამედ ორ განსხვავებულ საწყისს, ბოროტისა და კეთილის განსახიერებას, გიორგისა და ავ-გიორგის სახით. ვრცელი შინაგანი დიალოგები გიორგისა და ავ-გიორგის შორის არის ის საშუალება, რომლითაც მწერალი მხატვრულად ეფექტურად გვიხსნის თავისი გმირის რთულ სულიერ სამყაროსა და ხასიათს. გიორგი ამხელს თავის თავშივე დაბუდებულ მეორე ავ-გიორგის, რომ მას არ სურდა თენგოს გამარჯვება, რომ მან ავი თვალით შეხედა შვილს, რომელმაც ლოდი დასძრა და ნელ-ნელა ზევით ასწია. გიორგი შვილის მკვლელად თვლის თავისთავს, და ეს განცდა მძიმეა მისთვის. მაგრამ არა მარტო გიორგი დამარცხდა. რაკილა შვილი დაკარგა, არამედ ავ-გიორგიც, რადგან თენგომ მორალურად გაიმარჯვა და მისი სახელი ისეთივე შარავანდედითაა მოსილი, როგორც ხიზამბარელისა. იგი ახალი თაობის შეუდრეკელი ნებისყოფის და გმირული სულის განსახიერებაა. ამ გამარჯვების რწმენას ისიც ამტკიცებს, რომ ახლა უკვე თენგოს ასაკისა გამხდარა მისი შვილი, რომელიც არ ენახა გიორგის და ისიც მამის კვალზე მიდის.

მოთხრობა რთული და საინტერესო კომპოზიციური აღნაგობისაა. ეს უეცარი პარალელები და გადასვლები ლეგენდებიდან თანამედროვე ცხოვრებაზე, რთული ფსიქოლოგიური განცდების გამოხატვის ორიგინალური ხერხი გაორებული გმირის შინაგანი დიალოგების საშუალებით, რთული არქიტექტონიკა ნაწარმოებისა, რომელიც მწერალს ძლიერი აქცენტირებისათვის აქვს მოშველებული, მსუყე და დარბაისლური ენა, მეტყველი და სხარტი დიალოგები, — ყველაფერი ეს გიორგი შატბერაშვილის მოთხრობას „მკვდრის მზე“ მხატვრულ ღირსებას მატებს და ნაწარმოების მიზანდასახულებას, მასში დასმულ პრობლემატიკას მეტი ემოციური ზემოქმედების ძალას აძლევს.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო ყიასაშვილი

# „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურა ინგლისში

ადამიანის შინაგანი ბუნების, მისი ფსიქიკის, სულიერი სამყაროს ღრმად წვდომისა და წარმოსახვის ამოცანა ყველა დროისა და მიმართულების მწერლობის ძირითად ამოცანას შეადგენდა. ამ მხრივ „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურა თითქოს არც აყენებს ახალ ამოცანებს.

მაგრამ ეს ძირითადი ჰუმანისტური ამოცანა სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა მიმართულების მწერლობაში ერთნაირად არ წყდებოდა. მწერლები ამ მხრივ ერთსა და იმავე მხატვრულ მიზნებს არ ისახავდნენ. ადამიანის სულიერ სამყაროს წვდომის მხატვრული საშუალებანი მათ ერთნაირი არ ჰქონდათ. შექსპირისა და სერვანტესისათვის ეს ამოცანა ადამიანის ხასიათის, მისი სულიერი სამყაროს სისხლსავსე რენესანსული საღებავებით სრულად წარმოდგენასა და ხატვაში მდგომარეობდა. მოგვიანო ხანის ევროპულმა რომანმა ადამიანის ფსიქიკისადმი, ცნობიერებისადმი მეტი მხატვრული ინტერესი გამოიჩინა, მაგრამ ფსიქოლოგიური ნიუანსირება კვლავინდებურად ადამიანის ხასიათის, მისი ქცევის, თავგადასავლის დეტალური აღწერის ფონზე ხდება.

„ცნობიერების ნაკადის“ მწერლებს უკვე აღარ აინტერესებთ სიუჟეტი, ამბავი, აღარც ტრადიციულად გაგებული ხასიათის მთლიანობა. ისინი აღარ ხატავენ სისხლსავსე, ცხოვრებისეულ ტიპაჟს, ადვილად საცნაურს თავისი ქცევით, საყოფაცხოვრებო აქსესუარებითა და ანტურაჟით, რაც, სხვათა შორის, იმას არ ნიშნავს, თითქოს ყოველთვის ადვილი იყოს მათ ანტირეალისტური მანერა და მით უფრო რეაქციული მსოფლაღქმა დავწამოთ. ისინი ზოგჯერ საკმაოდ საფუძვლიანად ასაბუთებენ, რომ ადამიანის ფსიქიკაში ჩაღრმავებით, მისი ცნობიერების დეტალური აღწერით, უფრო ახლოს მიდიან ადამიანთან, მის არსებასთან, ვიდრე ეს შესაძლებელია გაკეთდეს ლიტერატურული გმირის ემპირიული არსებობის, მისი განცდებისა და თავგადასავლის ტრადიციული აღწერით.

ერთ-ერთი ძირითადი ბრალდება, რომელიც გაისმის ხოლმე „ცნობიერების ნაკადის“ პროზის მიმართ, ის არის, რომ იგი არ წარმოადგენს, ან უფრო სწორედ, არ დევს მხატვრული ლიტერატურის განვითარების მაგისტრალზე და ამდენად წარმავალი და დროებითი მოდური გატაცებაა, რომელიც არც არის სერიოზული შესწავლის ღირსი.

ამ მსჯელობაში ერთი სწორი დებულება მეორე მცდარი დებულებითაა გაუფასურებული: რა თქმა უნდა, „ცნობიერების ნაკადის“ მწერლობას არ უნდა გააჩნდეს იმის პრეტენზია, რომ იგი თანამედროვე ლიტერატურას გზას უჩვენებს, მის მომავალს გამოხატავს. მაგრამ ერთი რამ უდავოა: ყოველი სერიოზული ლიტერატურული სკოლა გარკვეულ მხატვრულ პროდუქციას სტოვებს და ამ მემკვიდრეობის უგულებელყოფასა და შეუსწავლელობას მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია.

ამ მხრივ აღსანიშნავია და მისასალმებელი ის აშკარა გამოცოცხლება, რაც საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში და ხელოვნებისმცოდნეობაში შეიმჩნევა იმ კულტურული მემკვიდრეობის ათვისებისა და შესწავლის საქმეში, რომელიც დაუდევრად და უყაირათოდ, ხელის ერთი მოსმით ბურჟუაზიული სამყაროს ერთპიროვნულ სარგებლობაში კინაღამ აღმოჩნდა.

რას წარმოადგენს კონკრეტულად „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდი და რა წვლილი შეაქვს მას ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საერთო საქმეში?

თავიდანვე უნდა აღინიშნოს: მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ცნობიერების ნაკადი“ აღებულია ფსიქოლოგიიდან, მისი, როგორც ლიტერატურული მოვლენის, გასაგებად, მისი სპეციფიკის დასადგენად სრულიადაც არ არის აუცილებელი ფსიქოლოგიის შესატყვისი დარგის მოშველიება. როგორც ბევრი სხვა ტერმინი, „ცნობიერების ნაკადიც“ მეტად პირობითი ტერმინია და ფსიქოლოგიის სფეროდან აღებული მეცნიერული დეფინიციები მხოლოდ და მხოლოდ აბუნდოვანებენ და ართულებენ მისი ლიტერატურული შინაარსის გაგებას.

ძირითადი შეცდომა, რომელსაც ხშირად უშვებენ ხოლმე ის არის, რომ „ცნობიერების ნაკადს“ აიგივებენ „შინაგან მონოლოგთან“ იმ დროს, როდესაც შინაგანი მონოლოგი წარმოადგენს კონკრეტულ მხატვრულ ხერხს, რო-

მელიც მხოლოდ ერთი საშუალებათაგანია, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ცნობიერების ნაკადის“ ეფექტის მისაღწევად.

ამ შეცდომას იმეორებს, სხვათა შორის, საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში „ცნობიერების ნაკადის“ შესახებ დაწერილი პირველი სტატიის ავტორი მოტილიოვა (წერილში „Внутренний монолог и поток сознания“ ჟურნალი „ვოპროსი ლიტერატური“, № 1, 1965 წ.) მისი მტკიცებით შინაგანი მონოლოგი დიდი წარმატებით გამოიყენება როგორც კლასიკურ ლიტერატურაში, ისე თანამედროვე სოციალისტურ მწერლობაშიც, ხოლო „შინაგანი მონოლოგის“ ის ნაირსახეობა, რომელსაც „ცნობიერების ნაკადი ეწოდება“ დეკადენტური, რეაქციული, ბურჟუაზიული ლიტერატურის სამსახურშია ჩაყენებული. ამ სქემის მიხედვით ყველაფერი ადვილად მილაგ-მოლაგდება წინასწარ გამზადებულ უჯრებში: ტოლსტოი, ჩეხოვი, ნაზიმ ჰიქმეთი, ანა ზეგერსი და სხვები შინაგანი მონოლოგის კლასიკური ტრადიციის განვითარების ხაზზე აღმოჩნდებიან, ხოლო ჯეიმს ჯოისი, ვირჯინია ვულფი და სხვები კი შინაგანი მონოლოგის ნაირსახეობის „ცნობიერების ნაკადის“ დამნერგავები და პოპულარიზატორები არიან.

ჩამოთვლილი მწერლები რომ სხვადასხვა ბანაკში აღმოჩნდნენ, ეს, რა თქმა უნდა, გასაკვირი არ არის, მაგრამ ამ ნიშნით მათი ურთიერთდაპირისპირებას არავითარი სიცხადე არ შეაქვს „ცნობიერების ნაკადის“ სპეციფიკის დადგენაში.

შინაგანი მონოლოგის ფუნქციას ტოლსტოისა და, ვთქვათ, ვირჯინია ვულფის რომანებში არაფერი აქვთ საერთო. რაც არ უნდა ღრმად ჩასწვდეს ტოლსტოი თუ ბალზაკი ადამიანის ფსიქიკას, რაც არ უნდა დიდი ოსტატობით აღწერონ მათ ადამიანის სულიერი სამყაროს სიღრმენი, მათ რომანებში შინაგან მონოლოგს არასოდეს არ ექნება მინიჭებული ქვეცნობიერი სამყაროს მხატვრული ჩვენების ფუნქცია, რაც მხოლოდ დაახლოებით 1915 წლის შემდეგ დაწერილ ნაწარმოებებში შეიძლება შეგვხვდეს. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ბალზაკის ან ტოლსტოის თაყვანისმცემელსა თუ მკვლევარს უნდა ეწყინოს, როგორ თუ ვიღაც ვირჯინია ვულფს ისეთი რამ აქვს, რაც ჯერ კიდევ კლასიკოსებს არ ჰქონდათო.

პირველად შინაგანი მონოლოგი გამოიყენა ედუარდ დიუჟარდენმა 1887 წელს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურა. ეს მხოლოდ ამ მეთოდისათვის ყველაზე საჭირო და ეფექტური მხატვრული ხერხის გამოძებნას ნიშნავდა. ფრანგი ვალერი ლარბო 1920 წელს შეხვდა ჯეიმს ჯოისს და ესაუბრა მას „ულისის“ ახლად გამოქვეყნებულ ნაწყვეტების შესახებ. ჯოისმა საუბარში აღნიშნა, რომ შინაგანი მონოლოგი უკვე იქნა გამოყენებული მხატვრულ ლიტერატურაში ედუარდ დიუჟარდენის მიერ. სწორედ ჯოისის წყალობით გამოსცა ლარბომ დიუჟარდენის ნაწარმოები „ულისის“ გამოქვეყნებიდან ორი წლის შემდეგ, 1924 წელს.

ჯოისი ასე ახასიათებდა დიუჟარდენის მიერ გამოყენებულ მხატვრულ ხერხს:

„მკითხველი პირველივე სტრიქონიდან თითქოს ჩასახლდება ნაწარმოების გმირის გონებაში (ცნობიერებაში) და სწორედ მისი აზრების თანდათანი გამომჟღავნების წყალობით, რაც ნორმალურ ობიექტურ თხრობას ცვლის, საშუალება გვეძლევა გავეცნოთ მის მოქმედებებსა და განცდებს“.

მაგრამ „ცნობიერების ნაკადის“ გადმოსაცემად შინაგანი მონოლოგი, თუ შეიძლება ითქვას—შეგნებულად, როგორც ახალი მხატვრული ხერხი, პირველად გამოიყენა დოროთი რიჩარდსონმა, რომანისტმა, რომელიც განსაკუთრებული ნიჭით არ გამოირჩეოდა. ამ მეთოდის გამოყენების კლასიკური ნიმუში კი ჯეიმს ჯოისისა და ვირჯინია ვულფის რომანებში გვხვდება. ვირჯინია ვულფი წერილში „თანამედროვე პროზა“ თავისი დროის მწერლებს, ახალი ლიტერატურული მიმდინარეობების წარმომადგენლებს ურჩევდა: „მოდით, აღვწეროთ ატომები, რომლებიც გონებას აწვიმს იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ცვივა ისინი, თვალი გავაყოლოთ ყოველ ნანახსა და განცდილს, რაც კი ცნობიერებაში დაილექება, გარეგნულად რაგინდ დაუკავშირებელ და გაუგებარ ქარგას არ ქმნიდნენ ისინი“.

როგორც მოტანილი ციტატებიდან ჩანს, ამ ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენლები ძირითად ყურადღებას მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებზე, მხატვრულ ფორმაზე ამახვილებდნენ. ეს ბუნებრივიც არის.

ჯერ ერთი სწორედ მხატვრული ფორმის სფეროში შეიმჩნევა ის ძირითადი ნოვატორული როლი, რაც ამ ახალმა მიმართულებამ შეასრულა მეოცე საუკუნის რომანის განვითარების საქმეში, ხოლო მეორეც, თვით ამ მწერლებს ფრიად გაუჭირდებოდათ საკუთარ მსოფლმხედველობაზე და საკუთარ იდეურ პოზიციებზე სჯა-ბაასი, რადგან ეს მსოფლმხედველობა და ეს იდეები მათ მეტად ბუნდოვან ფერებში წარმოესახებოდათ.

ჰამლეტის ტრაგიკული რეფლექსია ჯერ კიდევ მტკიცე ჰუმანისტურ საფუძველს არა წყდებოდა, ჯერ კიდევ ადამიანის ბედისადმი შიშისა და ძრწოლვის განწყობილებას არ გამოხატავდა, მასში მხოლოდ სკეპსისის მარცვლებია, რომელიც ევროპული ცივილიზაციის განვითარების მოგვიანო პერიოდში დაიწყებს გაღვივებას.

თანდათან ევროპული ცივილიზაცია ჰუმანისტური მსოფლმხედველობის კრიზისს ბადებს.

თუ ჰამლეტის იმედგაცრუებას მაინც ძლიერი რწმენა ენაცვლებოდა, მეოცე საუკუნის ლიტერატურის ზოგიერთ წარმომადგენელთა ნაწარმოების გმირებს უკვე ჩიხის, კედლის შეგრძნება ახასიათებთ: მათი პესიმიზმი ულიმღამო და უსაშველოა.

თვით ოსკარ უაილდის პარადოქსებით აღსავსე შემოქმედებაც ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი ჰუმანისტური სულისკვეთებითაა აღბეჭდილი. ლორენსის გმირები წამდაუწუმ ჯებირებს აწყდებიან. ვირჯინია ვულფის რომანების პერსონაჟები სომნაბულებივით დაფათურობენ და ამ ცხოვრების აზრს ველარ პოულობენ. ჯეიმს ჯოისის „ულისის“ გმირები სტივენ დედალუსი და ლეოპოლდ ბლუმი ავტორის თვალებით დანახული სამყაროს თეზა და ანტითეზაა, სამყაროსი, რომლის ერთიანობას, სიმყარეს, სიცოცხლისუნარიანობას, გონივრულობას ახალი მაჯლაჯუნა — ცივილიზაცია ემუქრება.

„ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურაზე დიდი გავლენა მოახდინა მეოცე საუკუნის დასაწყისის ახალმა ფსიქოლოგიურმა მოძღვრებებმა და განსაკუთრებით კი ფროიდისტულ-ფსიქოანალიზურმა კონცეფციამ. მაგრამ ხშირად აჭარბებენ, როცა „ცნობიერების ნაკადის“ რომანებში მაინც და მაინც ფროიდისტული კომპლექსების ილუსტრაციას ეძებენ. შეიძლება პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ჯოისის მიმართ, მაგალითად, ფროიდის ასეთ პირდაპირ, უშუალო გავლენაზე ლაპარაკი მხოლოდ მის უკანასკნელ რომანთან „ფინეგანს უეიკთან“ დაკავშირებით შეიძლება.

ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ ფროიდის თეორია ადამიანის ქვეცნობიერი სამყაროს, ქვეცნობიერი მეხსიერების შესახებ, ოციან წლებში დიდად გასცდა ფსიქოლოგიისა და ფსიქოთერაპიის ფარგლებს, და იმდროინდელი მწერლებისათვის ხშირად უდავო ჭეშმარიტებად იყო აღიარებული ამ მოძღვრების ძირითადი დებულებები. ამიტომ ზოგჯერ აზრი არც აქვს კამათს იმის თაობაზე — ფროიდის პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა ეტყობა თუ არა მეოცე საუკუნის ამა თუ იმ მწერალს. პირიქით, ლიტერატურის ისტორიაში ამ მხრივ შეიძლება კურიოზებიც შევნიშნოთ.

მაგალითისათვის ავიღოთ შტეფან ცვაიგი. იგი ფროიდის მოძღვრების შესანიშნავი მცოდნე და თაყვანისმცემელია. მას კარგად აქვს შესწავლილი ფროიდის შეხედულებანი ადამიანის ქვეცნობიერი მეხსიერების შესახებ და ცდილობს თავისი ნოველები ამ პრინციპების მიხედვით გამართოს. მაგრამ საინტერესოა ის, რომ ცვაიგი გაცილებით ნაკლებადაა ფროიდისტი მწერალი, ვიდრე ბევრი სხვა, ვინც ნაკლებად იცნობს ფროიდის თეორიას და არც თუ დიდის ხალისით აღიარებს თავის შემოქმედებაზე ფროიდის გავლენის ფაქტს (მაგალითად, დევიდ ლორენსი).

სწორედ ცვაიგი არ მიმართავს ახალ „ცნობიერების ნაკადს“. მაგალითისათვის ავიღოთ ორი ნოველა „ქალი და ლანდშაფტი“ და „უცნობი ქალის წერილი“.

„ქალი და ლანდშაფტი“ მთლიანად აგებულია ფროიდისტული ქვეცნობიერი ინსტინქტების თეორიაზე. მაგრამ ცვაიგს ამ მოძღვრების საფუძველზე არ გამოუმუშავებია ადამიანის ქვეცნობიერი სამყაროს ხატვის ახალი მანერა, მეთოდი. იგი ფსიქოლოგიური ნოველის ოსტატია, მაგრამ მისი ხატვის მეთოდი, მანერა მთლიანად ტრადიციულ-რეალისტურია. ამ ნოველის წასაკითხად მკითხველს არ ჭირდება სპეციალური მომზადება, ყველაფერი ადვილად არის ახსნილი იმით, რომ დიდი ხნის გვალვის შედეგად ჰაერი დამძიმებულია და სიცხით დახუთული ჰაერისაგან გაოგნებული ადამიანები სომნაბულებივით დადიან და მოქმედებენ. მხოლოდ კარგი შხაპუნა წვიმა გაწმენდს ჰაერს და გამოაფხიზლებს ნოველის გმირებს. „ცნობიერების ნაკადის“ მწერალს ასეთი გამართლება, ასეთი ახსნა არ დასჭირდებოდა. იგი გმირთა სურვილებსა და ქვეცნობიერ ინსტინქტებს მათ დიალოგებში და შინაგან მონოლოგებში გამოავლენდა.

იგივე ითქმის მეორე ნოველის მიმართაც. „უცნობი ქალის წერილი“ მთლიანად ფსიქოლოგიური ნოველის რეალისტური ტრადიციის მიხედვითაა შექმნილი. ტრადიციულ რეალისტურ პროზას მიჩვეული მკითხველი არავითარ უხერხულობას არ გრძნობს ცვაიგის ამ ნოველის წაკითხვისას. ფაქტიურად, წერის მანერის მხრივ იგი მთლიანად ტრადიციას მისდევს. და მხოლოდ დაკვირვებული ანალიზის შედეგად შეიძლება დავინახოთ ფროიდის მოძღვრების მიხედვით ნაქსოვი ქარგა, რომელზეც ნოველისტი შლის თავისი ნაწარმოების სიუჟეტსა და ხასიათების ურთიერთობას.

მაგრამ ცვაიგი ქვეცნობიერის კონცეფციის მხოლოდ გარეგნულ ილუსტრირებას ახდენს, და ამიტომ არის, რომ იგი მთელ ნოველას კვლავ ტრადიციული ნოველისტიკიდან ნასესხები ხერხებით კრავს და აერთიანებს: მწერალი თავის გმირს მისი ცნობიერი სამყაროს გარეთ მდებარე ფაქტებს ქალის წერილის მეშვეობითატყობინებს. ეპისტოლარული ჟანრი ამ ნოველაში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც „ქალსა და ლანდშაფტში“ წვიმა ასრულებდა — ამართლებს ცვაიგის ფროიდისტულ ექსპერიმენტს.

„ცნობიერების ნაკადის“ მწერალს კი (თუნდაც ჯეიმს ჯოისს, რომელიც, როგორც ვთქვით, ნაკლებად განიცდის ფროიდის უშუალო გავლენას) ასეთი გარეგნული გამართლება არ დასჭირდებოდა.

ქვეცნობიერის არსი იმაში მდგომარეობს,

რომ ის არ არის ცნობიერი, გაცნობიერებული, გააზრებული, ე. ი. თვით პიროვნებამ (ანდა ნაწარმოების პერსონაჟმა) არ იცის, რომ მის ამა თუ იმ საქციელს სწორედ ეს დაფარული მოტივი ამოძრავებს. როგორც კი ეს ფაქტი გაცნობიერდება და ამოტივტივდება ქვეცნობიერი სფეროდან ცნობიერში, იგი უკვე აღარ არის ქვეცნობიერი.

ამდენად, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ სხვის ქვეცნობიერ ინსტინქტებზე და მოტივებზე და ისიც მიახლოებით. ჩვენს საკუთარ ქვეცნობიერ სამყაროზე კი წარმოდგენაც არ გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, წარმოდგენა არ გვაქვს იქამდე, სანამ ეს ქვეცნობიერი ძალები მოქმედებენ. მათი გააზრება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ განვლილი მოქმედების ანალიზის შედეგად.

მწერალი, რომელიც აღწერს ქვეცნობიერ სამყაროს, ძირითადად მიმართავს „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდს. მცდარია ის შეხედულება, თითქოს ასეთი მწერალი იმ აბდაუბდას წერდეს, რაც თვითონ მოუვა თავში. მწერალი, რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე ახდენს დაკვირვებას და ეყრდნობა თვითანალიზს. მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც რეალისტი მწერალი იყენებს თვითდაკვირვებას შეთხზული ხასიათის, შეთხზული ფსიქოლოგიური მდგომარეობის გადმოსაცემად. ისევე, როგორც რეალისტი მწერალი თხზავს ცხოვრებასთან, სინამდვილესთან მიმსგავსებულ სიტუაციებსა და პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, ასევე „ცნობიერების ნაკადის“ მწერალი თხზავს თავისი გმირის ქვეცნობიერ სამყაროს, ეძებს ქვეცნობიერი ძალების, მოტივების, იმპულსების ურთიერთზემოქმედების კანონზომიერებას.

„ცნობიერების ნაკადის“ მწერლისათვის ძირითადია არა ადამიანის სულიერი მდგომარეობის, მისი ფსიქიკური სამყაროს, მისი აზრებისა და განცდების შესახებ წერა, არა გმირის ფსიქოლოგიური დახასიათება, არამედ თვით ცნობიერების აქტივობის ჩვენება, თვით აზრის გამონასკვის პროცესის გადმოცემა, თანაც ისეთი მხატვრული საშუალებებით, რომ წინა პლანზე წამოიწევა ცნობიერების მეტყველებამდელი დონე, რომელიც არც სამეტყველო და არც დამწერლობით კომუნიკაციურ საფუძველს არ გულისხმობს. ამიტომაა სწორედ, რომ ასეთი პროზის ენა ხშირად დაწყვეტილი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი და ბუნდოვანი გამოთქმების და სიტყვებისაგან შედგება.

მწერალი, რომელიც მიმართავს „ცნობიერების ნაკადს“ თავისი გმირის სულიერი მდგომარეობის დასახატად, ცდილობს ისეთ ფსიქოლოგიურ გარემოში ჩააყენოს იგი, როცა მსჯელობა, ფიქრი ქვეცნობიერის საზღვარზე იწყება. ქვეცნობიერის საზღვარზე, მიჯნაზეო იმიტომ ვამბობთ, რომ მთლიანად ქვეცნობიერ სფეროს გამოვლენის სამეტყველო დონე არ გააჩნია. ლიტერატურულ გმირს შეუძლია მხოლოდ გაიაზროს ის, რაც უკვე საზღვარზე, ქვეცნობიერისა და ცნობიერის მიჯნაზე მდებარეობს. ამ ხაზზე, ამ ზღვარზე იმდენად ახლოს არის მოქმედება თუ ფიქრი მის გამომწვევ უშუალო ქვეცნობიერ იმპულსთან, რომ მწერალს საშუალება ეძლევა შედარებით უფრო გასაგები მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირი ამხილოს ცნობიერის ზედა და ქვედა, სამეტყველო და მეტყველებამდელი დონის შორის.

ევროპული ცივილიზაციის კრიზისთან ერთად განსაკუთრებულ პესიმისტურ ჟღერადობას იძენს მეოცე საუკუნის მოდერნისტული ლიტერატურაც, ხოლო ჯეიმს ჯოისი, როგორც ამ ლიტერატურის ყველაზე უფრო ნიჭიერი და ორიგინალური, თავისთავადი მხატვრული ხედვისა და მანერის მქონე მწერალი, ბუნებრივია, ყველაზე ნათლად, ყველაზე სრულად გამოხატავს თავის შემოქმედებაში ამ კრიზისსა და იმედგაცრუებას.

დევიდ ლორენსმა გაილაშქრა ვიქტორიანული ინგლისის მორალური ნორმების წინააღმდეგ, რადგან მიაჩნდა, რომ ვიქტორიანული შეხედულებანი ადამიანთა (და კერძოდ, ქალისა და კაცის) ურთიერთობაზე სიყალბისა და პირმოთნეობის კლასიკურ მაგალითად იქცა. ლორენსმა სცადა ადამიანის ახლებური, მისი აზრით, მეოცე საუკუნისათვის, ახალი დროისათვის შესაფერისი რეაბილიტაცია, ემანსიპაცია მოეხდინა: მან საქვეყნოდ აღიმაღლა ხმა ადამიანთა ურთიერთობაში დაკანონებული სიყალბისა და პირმოთნეობის წინააღმდეგ. ადამიანები, ლორენსის მიხედვით, მუდამ მიისწრაფიან ჰარმონიისაკენ, ერთიანობისაკენ, ბუნებასთან და საზოგადოებასთან გონივრული სინთეზისაკენ („ცისარტყელით“ შეკვრისაკენ), მაგრამ მეოცე საუკუნის ცივილიზაცია ახალ, დაძაბულ ატმოსფეროს უქმნის ადამიანებს, სადაც ეს ჰარმონია ასე იოლად მისაღწევი არ არის. ამავე დროს ლორენსის შემოქმედება ჯერ კიდევ ულიმღამო პესიმიზმს არ გამოხატავს, მის რომანებში ჯერ კიდევ ცისარტყელის სიმბოლოები გვხვდება, მისი რომანის გმირები ჯერ კიდევ შინაგანად ებრძვიან, უჯანყდებიან უიმედობასა და დისჰარმონიას.

ჯეიმს ჯოისი ადამიანის „შიგნეულობას“ ჩასწვდა, მან მზის სინათლეზე გამოიტანა ადამიანის ის ქვეცნობიერი, ანდა ნაკლებად ცნობილი სამყარო, რაზეც ისევე არ წერდნენ ძველი მწერლები, როგორც ლორენსამდე არ წერდნენ ასე თამამად და პირდაპირ იმ ადამიანურ ურთიერთობებზე, რაც დიდიხანია ცხოვრებისეულ ნორმად იქცა ინგლისსა და მთელ ევროპაში.

და რადგან მსოფლმხედველობრივად ჯოისი

ჩიხში მომწყვდეული კულტურის პირმშოა, იგი, ბუნებრივია, საშინელი დაცემისაგან ხსნის ვერავითარ გამოსავალს ვერ უკარნახებს ადამიანს. ამის გამოა სწორედ, რომ ზოგიერთი სულსწრაფი ლიტერატორი წარსულში მას ბნელეთის მოციქულსაც კი უწოდებდა.

ჯეიმს ჯოისი ადამიანის დაცემას იმიტომ კი არ აღწერს, რომ მას მოსწონს ადამიანის ასეთი ყოფა, რომ იგი მოუწოდებს ადამიანებს წუმპეში იცხოვრონ და ბედნიერებაზე ფიქრს მოეშვან. დიდი მხატვრის შემოქმედების ასეთი პრიმიტიული გაგება, რა თქმა უნდა, ვერაფერ სამსახურს გაგვიწევს. ჯოისი აღმოაჩენს ადამიანურ სიბინძურეს და მთელი ხმით კივის, ყვირის ამის შესახებ. და თუ იგი პოზიტიურ იდეალს არ სახავს, ეს იმიტომ, რომ იგი მას *ვერ ხედავს*. ჯოისის, როგორც მხატვრისა და მოქალაქის, სუბიექტურ პატიოსნებაში ეჭვის მისატანად კი არც მის ცხოვრებაში და არც მის შემოქმედებაში საფუძველი არ მოიძებნება. ჯოისის შემოქმედება კრიზისის შემოქმედებაა, იგი კრიზისის აპოლოგია კი არ არის, არამედ მისი გამოხატულებაა და ამდენად მეტად ძვირფასი მასალის შემცველია ამ კრიზისის შესასწავლად.

ადამიანის უმწეობის, მისი შინაგანი გამოფიტვისა და ეგზისტენციალისტური შეჭირვების გამოსახატავად კი ის მეთოდი, რომელსაც ჯოისმა მიმართა, „ცნობიერების ნაკადის" მხატვრული მეთოდი, მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა.

ჯოისის რომანის თავისებურებებთან დაკავშირებით, ამიტომ, აუცილებელია კვლავ „ცნობიერების ნაკადის" მხატვრული მეთოდის სპეციფიკის გარკვევას დავუბრუნდეთ.

„ცნობიერების ნაკადის" მწერალი ძირითადად მიმართავს ე. წ. თავისუფალ ფსიქოლოგიურ ასოციაციებს, რაც მას სჭირდება როგორც ნაკადის, ცნობიერების დინების მთავარი მაორგანიზებელი ფაქტორი, თანაც ისეთი, რაც საშუალებას იძლევა ცნობიერების შინაგან დინებაში გარე სამყაროს იმპულსები შეიტანოს და მოახდინოს ერთგვარი რეგულირება ცნობიერების სხვადასხვა დონეს შორის.

ყველაზე დიდი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ მწერალმა გამოძებნოს მასალის მოწოდების, მასალის ხატვის ისეთი ფორმა, რომ, მიუხედავად მეტად თავისუფალი და რთული ასოციაციებისა, მიუხედავად ერთმანეთთან მეტად სუსტად დაკავშირებული სიტყვებისა და გამოთქმების ხმარებისა, მაინც შესძლოს საერთო ენა გამოძებნოს თავის მკითხველთან. ამ ამოცანას ის გარემოება ართულებს, რომ ყოველი ცალკეული ადამიანის ცნობიერება თავისებურ, განუმეორებელ, სხვა ინდივიდისათვის უცნობ და გამოუცნობ სიმბოლოებისაგან, კოდებისაგან შედგება (იგულისხმება ცნობიერების მეტყველებამდელი დონე). ამიტომ რეალისტური ნაწარმოების ავტორისაგან განსხვავებით, რომელიც ხშირად ადამიანის გამოცდილებას ანზოგადებს და ამით თავისი ნაწარმოების სიუჟეტურ ქარგას ქსოვს და თავისი პერსონაჟების ხასიათებს მოხაზავს, ცნობიერების ნაკადის რომანის ავტორს უჭირს ადამიანთა ცნობიერების დინებაში საერთო ენის, საერთო მოვლენების გამოყოფა, დაჯგუფება, განზოგადება. ამიტომ მწერალი იძულებულია ერთ კერძო მაგალითზე, ერთი ადამიანის, ინდივიდის ცნობიერების მაგალითზე გაშალოს და დაანახოს მკითხველს თავისი სათქმელი.

მწერლის ამოცანას ისიც ართულებს, რომ თვით ცნობიერების დინება არასოდეს არ წარმოადგენს ერთ მთლიან ხაზს, იგი მრავალპლანიანი და რთულია. ჩვენ არასოდეს არ ვფიქრობთ მხოლოდ ერთ რამეზე, და მით უმეტეს ჩვენი ფიქრები არასოდეს არ ენაცვლებიან ერთმანეთს სწორხაზოვანად. შინაგანი მონოლოგი კი (რომლის მეშვეობითაც მწერლები გადმოსცემენ ძირითადად თავისი პერსონაჟის ფიქრთა დინებას) რაც არ უნდა ოსტატურად იყოს იგი დატეხილი, რაც უნდა დაძაბულად გადმოსცემდეს თავისუფალი ასოციაციებისა და წარმოდგენების მეშვეობით გმირის სულიერ მდგომარეობას, მაინც მეტ-ნაკლებად სწორხაზოვანი და ერთიანია.

ცნობიერების ნაკადს ახასიათებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, დროის საკუთარი შეგრძნება. ყველაფერი, რაც ცნობიერების ფარგალში ხვდება, რაც ცნობიერებაში დაილექება მოცემულ მომენტში, ერთნაირად *აწმყოშია*. ცნობიერებაში არეკლილი ფაქტები, მოვლენები, განცდები არ ექვემდებარებიან კალენდარის დროს, მათ არც ჩვეულებრივი თანმიმდევრობა ახასიათებს. ისინი ადამიანის ქცევაზე, განწყობაზე მოქმედებენ ნებისმიერი თანმიმდევრობით, ან ზოგჯერ ერთად, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა თანმიმდევრობით დაილექნენ ისინი ქვეცნობიერ ნაწილში, ან აირეკლნენ ცნობიერში.

ამიტომ არის, რომ ცნობიერების ნაკადის გამომხატველი შინაგანი მონოლოგი გაცილებით უფრო თავისუფლად ეპყრობა აწმყო, წარსულ და მომავალ დროებს, ვიდრე ეს მიღებულია ტრადიციულ შინაგან მონოლოგში. ოლდოს ჰაქსლი წერს მთელ წიგნს პიკადილი სერკუს და ჩეირინგ კროსს შორის სიარულის შესახებ. კონრადი, ჯოისი, ფოლკნერი, ელიოტი დროის ტრადიციულ წარმოდგენას მხატვრულ ნაწარმოებში თავისუფლად ექცევიან. ასევე ვირჯინია ვულფიც. რომანში „ქალბატონი დალოუეი" დროს უესტმინსტერის კურანტები აღნიშნავს, რომელიც ჩვიდმეტჯერ ჩამორეკავს რომანის მანძილზე. აქაც ისეთივე პირობითი ჩვიდმეტი საათია მონიშნებული ინგლისელი ქალის ცხოვრებაში, როგორც ჯოისის „ულისში", სადაც ლეოპოლდ ბლუმის ცხოვრების ოცდაოთხი საა-

თი მთელი კაცობრიობის ისტორიას გამოხატავდა.

ცნობიერების ნაკადის ლიტერატურისათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს სიუჟეტს, ამბავს, რაც იმას როდი ნიშნავს, თითქოს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდეს ფორმას. პირიქით, რაც უფრო დაქუცმაცდება და დაიშლება დიალოგი და შინაგანი მონოლოგები, რაც უფრო გარეგნულად დაუკავშირებელი იქნება ერთმანეთთან ასოციაციები და წარმოდგენები, მით უფრო მკვეთრად იგრძნობა აუცილებლობა ნაწარმოებს მიეცეს რაიმე ფორმა, რაიმე ღვედი, ღერძი, რომელზედაც დალაგდება, აიწყობა მწერლის სათქმელი და საჩვენებელი. მკითხველს, რაც უნდა გათვითცნობიერებული იყოს იგი ამ ტიპის ნაწარმოების კითხვაში, მუდამ აქვს ლოგიკური და ბუნებრივი მოთხოვნილება ნაწარმოები მთლიანობაში აღიქვას, გაიგოს ის, რაც მასში მთავარია და მნიშვნელოვანი, რაც საბოლოოდ თავს უყრის მთელ იმ ლიტერატურულ მასალას, რომელმაც სწორედ ამ საბოლოო ერთიანობის წყალობით უნდა მოახდინოს გარკვეული ესთეტიკური შთაბეჭდილება მკითხველზე.

ამ რთული პრობლემის გადასაჭრელად რამდენიმე გზა არსებობს:

1. ცნობიერების ნაკადის მწერლები მიმართავენ დროის, ადგილის, მოქმედების ერთიანობას. ე. ი. ნაწარმოების გმირები და მოვლენები დროის მონაკვეთითაა შეკრული, ანდა ასეთ შემაკავშირებელ და გამაერთიანებელ ფაქტორად ადგილი გვევლინება.

2. მიმართავენ ლაიტმოტივს, რაც განსაკუთრებით თავისუფალი ასოციაციების ასაკინძად, მთლიანობაში მათ მოსაყვანადაა მოსახერხებელი.

3. იყენებენ სხვა ტრადიციულ ლიტერატურულ ფორმებს (პაროდიას, ანალოგიას და სხვ.).

4. გამოიყენება სიმბოლიური სტრუქტურები.

5. მიმართავენ ე. წ. ბუნებრივ ციკლებს: წელიწადის დროები, ზღვის მიმოქცევა და სხვ.

6. სიუჟეტისა და ამბის შესაკრავად შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე თეორიული ციკლები, როგორიცაა მუსიკალური სტრუქტურები, ისტორიული მოვლენების ციკლური განვითარება და ა. შ. (მაგალითად, ვირჯინია ვულფის „კლარისა დალოუეის“ ფორმით მუსიკალურ სონატას ადარებენ. მასში ხედავენ ექსპოზიციას, თემის დამუშავებასა და რეპრიზას).

მიუხედავად გარეგნული ქაოტიურობისა და უსისტემურობისა, ჯეიმს ჯოისის „ულისი“ თავიდან ბოლომდე ზედმიწევნით ზუსტად დაგეგმილი და დეტალურად გააზრებული ნაწარმოებია. ჯოისი დიდხანს მუშაობდა ამ რომანზე და საგულდაგულოდ აკინძა თავისუფალი ასოციაციით აღწერილი ამბები და მოვლენები თავისი ნაწარმოების დედააზრის მატარებელ ძაფზე.

ჯოისი თითქოსდა ცხოვრების ფოტოგრაფიულ სურათებს ხატავს, თითქოსდა ცხოვრების ქაოტიურობას გვაჩვენებს, გვიხატავს დიდი ქალაქის მოულოდნელობებით ხალხსავსე ქუჩებს, რომელსაც არაფერი კრავს სიუჟეტად, ერთიან ამბად არ აერთიანებს. მაგრამ ერთი მკვლევარის მოსწრებული თქმისა არ იყოს, ეს მხოლოდ გარეგნული ქაოტიურობაა, გარეგნული, მოჩვენებითი ალოგიკურობა; სინამდვილეში კი „ულისი“ ისეთივე მკაცრ მხატვრულ პრინციპებს ექვემდებარება, როგორც, მაგალითად, სტრავინსკის მუსიკა, რომელიც ბალეტ „პეტრუშკას“, ერთის შეხედვით, ალოგიკურ ზღაპრულ სიუჟეტზეა დაწერილი.

ცნობიერების ნაკადის აღქმის გასაადვილებელი ერთ-ერთი კონკრეტული, კერძო საშუალებაა პუნქტუაციისა და ტიპოგრაფიული ნიშნების განსაკუთრებული გამოყენება. „ულისის“ ბოლო გვერდები დაწერილია ყოველგვარი პუნქტუაციის გარეშე. ეს ჯოისს იმისათვის ჰირდება, რათა უფრო გამოკვეთოს ქალბატონი ბლუმის ცნობიერების ნაკადი. გადაბმული, ყოველგვარი სასვენი ნიშნების გარეშე, დაბეჭდილი შინაგანი მონოლოგი უკეთ გადმოსცემს ძილის პირს მყოფი ადამიანის ფიქრებსა და ქვეცნობიერის ზღვარზე მდებარე ემოციების ზეგავლენას მის განწყობასა და ფსიქიკაზე. და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯოისი საგანგებო ყურადღებას აქცევს იმას, რომ, მიუხედავად პუნქტუაციის სრული იგნორირებისა, თვით ფრაზები, ტექსტი გრამატიკულად და, თუ გნებავთ, სტილისტურადაც გასაგები იყოს მკითხველისათვის.

უილიამ ფოლკნერი (რომელიც აგრეთვე ცნობიერების ნაკადის ოსტატად ითვლება) თავის „ხმასა და სიშმაგეში“ შემდეგ ხერხს მიმართავს: იგი განსაკუთრებული შრიფტით აწყობინებს და ბეჭდავს „პირდაპირ შინაგან მონოლოგს“, რითაც მკითხველს უადვილებს გმირის ცნობიერების ნაკადის აღქმას.

მართალია, შინაგანი მონოლოგი ყველაზე გავრცელებულ და მოსახერხებელ მხატვრულ საშუალებას წარმოადგენს ცნობიერების ნაკადის გამოსახატავად, იგი მაინც არ არის ამ ტიპის ნაწარმოებების ერთადერთი მხატვრული ხერხი.

ცნობიერების ნაკადის ლიტერატურის მამამთავრის (ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი შემქმნელის მაინც) დოროთი რიჩარდსონის რომანი „პილიგრიმობა“ თორმეტი წიგნისაგან შედგება. ავტორი ჰყვება თავისი გმირის მირიამ ჰენდერსონის თავგადასავალს მ ე ს ა მ ე პ ი რ ი თ. მაგრამ მწერალი აღწევს იმ ეფექტს, რომ მთელი რომანის მანძილზე მხოლოდ და მხოლოდ გმირის თვალთახედვა ჩანს, ყველაფერი გმირის თვალით არის დანახული. ეს, რა თქმა უნდა, ძველის-ძველი ხერხია (ჯერ კიდევ „რობინზონ კრუზოში“ გამოყენებული). მაგრამ, დოროთი რიჩარდსონი მხოლოდ თავისი გმირის შინაგან სამყაროს კი არ აგვიწერს, მას ხაზგასმით, საგანგებოდ, მირიამ ჰენდერსონის ცნობიერების

მაორგანიზებელი, მამოძრავებელი, ამა თუ იმ მიმართულებით წამმართველი ქვეცნობიერი ფაქტორები აინტერესებს.

სწორედ ცნობიერების ნაკადის მთელი ზემოჩამოთვლილი სპეციფიკური ნიშნების უგულებელყოფის შედეგად ეშლებათ ერთმანეთში შინაგანი მონოლოგის მეშვეობით გამოხატული ცნობიერების ნაკადი და ის ტრადიციული ფსიქოლოგიური დახასიათება, რაც სხვა მწერლების ნაწარმოებებში გვხვდება (და რაც ხშირად აგრეთვე შინაგანი მონოლოგით არის გამოხატული).

ყოველგვარი დაწყვეტილი, ხერვიული თუ ალოგიკური მსჯელობა რომანში — აუცილებლად არ ნიშნავს „ცნობიერების ნაკადს“. ისევე, როგორც ხელოვნურად დაწყვეტილი ტრადიციული პწკარი ლექსისა არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ნოვატორობას.

საქმე ის არის, რომ პერსონაჟის ამ წყვეტილმა, ქაოტიურმა მეტყველებამ უნდა გამოხატოს მის ცნობიერებაში დალექილი ცხოვრებისეული გამოცდილება, გმირის დაფარული სურვილები და მისწრაფებანი, მისი ხასიათის წამმართველი (თუმც კი, შესაძლოა, თვით ამ გმირისთვის უცნობი, გაუთვითცნობიერებელი) სტიმულები, ფსიქოლოგიური განწყობა.

ცნობიერების ნაკადის გამოხატვისათვის გამოყენებული შინაგანი მონოლოგი იმით განსხვავდება დრამატული მონოლოგისაგან, რომ იგი თითქმის მთლიანად გამოუთქმელი რჩება.

მაგრამ „ცნობიერების ნაკადის“ შინაგანი მონოლოგი მხოლოდ და მხოლოდ ამ ერთი ნიშნით (ე .ი. რომ ის გამოუთქმელია) არ გამოიცნობა. მეოცე საუკუნის ბევრ რეალისტურ რომანშიც დაიწყეს გამოყენება ისეთი დ რ ა მ ა ტ უ ლ ი მონოლოგისა, რომელიც აგრეთვე არ წარმოითქმის.

ცნობიერების ნაკადის შინაგანი მონოლოგი გულისხმობს თვით ცნობიერების ერთგვარ ქაოტიურ, მოუწესრიგებელ თანმიმდევრობის, დინების არსებობას და არა გარკვეული მიზანსწრაფვის, გარკვეული აზრის ქაოტიური, წყვეტილი სიტყვებითა და ფრაზებით გამოთქმას.

არც ჯეიმს ჯოისი იქნებოდა დიდი მწერალი და არც ცნობიერების ნაკადის ლიტერატურის შესწავლას ექნებოდა რაიმე მნიშვნელობა საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობისათვის, ამ მწერლებს გარკვეული წვლილი რომ არ შეეტანათ ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საერთო საქმეში.

ცნობილია, მაგალითად, რომ ჰემინგუეი დიდის სერიოზულობით სწავლობდა ჯოისს და ცნობიერების ნაკადის მეთოდის რაციონალური ნაწილი გაიზიარა და შეისისხლხორცა.

რაც შეეხება ჯოისის „დამღუპველ გავლენას“ ევროპის ლიტერატურაზე (რაზეც ზოგიერთ კრიტიკოსს უყვარს ლაპარაკი), აქ აჩქარებული დასკვნების გაკეთებას უნდა მოვერიდოთ. ჯოისს, რა თქმა უნდა, ბევრმა რეაქციონერმა და აშკარა პორნოგრაფისტმა მწერალმა მიბაძა, მაგრამ განა ამაში ჯოისს უნდა დავდოთ ბრალი? (ისევე, როგორც ანალოგიურ შემთხვევაში, ვერც დევიდ ლორენსს დავადანაშაულებთ). ასე ხომ ტრადიციული, რეალისტური, კლასიკური მწერლობის მიბაძვითა და სახელით ბევრად უფრო მეტი უხამსობა და ბოროტება კეთდება (თანაც გაცილებით უფრო მარჯვედ და მოხერხებულად, რადგან ტრადიციული, რეალისტური მანერა ბულვარული ლიტერატურის მოყვარულთათვის უფრო ადვილად ხელმისაწვდომია, ვიდრე ჯოისის ნოვატორული მხატვრული ხერხები).

ცნობიერების ნაკადის მონაპოვარს ბევრი თანამედროვე მწერალი იყენებს ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ ოდენობით. ზოგჯერ ეს გამოყენება გამოიხატება უფრო გარეგნულ სტილისტურ ფორმებში (მაგალითად, ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებაში), ზოგჯერ ცნობიერების ნაკადის მეთოდი მწერლის სრულიად თავისებურ, მეტად ორიგინალურ შემოქმედებით მიზნებსა და ამოცანებს ემსახურება (მაგალითად, ჰემინგუეი გარკვეული რიტმული მეტყველებით გმირის შინაგან დაძაბულობას გადმოსცემს), ზოგჯერ კი იგი უფრო წმინდა ტექნიკის სახით წარმოგვიდგება (მაგალითად, ვირჯინია ვულფი, ფოლკნერი).

საინტერესოა თუ ხელოვნების რა სფეროში შეიჭრა ცნობიერების ნაკადის მეთოდი, რა კვალი დააჩნია ამა თუ იმ დარგს და რა შეჰმატა მას.

აშკარაა, მაგალითად „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურის გავლენა სახვით ხელოვნებაზე. რა თქმა უნდა, სახვითი ხელოვნების სტატიკურ ბუნებას პირდაპირ არ მიესადაგება, არ შეუდგება ცნობიერების ნაკადის მეთოდი, რომელიც თავისი ბუნებით მოძრაობას, დინამიკურობას გულისხმობს, მაგრამ პარალელი მაინც აშკარაა (სურეალიზმი, აბსტრაქტული ხელოვნება და სხვ.)

ასევე საინტერესოა „ცნობიერების ნაკადის“ კვალის დანახვა.ახალ მუსიკალურ მიმართულებებში (კონკრეტული მუსიკა და სხვ.)

მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც თანდათან სულ უფრო და უფრო დიდი საზოგადოებრივ-კულტურული რეზონანსი უჩნდება, — არის ლიტერატურისა (ძირითადად რომანის) და თანამედროვე კინოხელოვნების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგავლენის საკითხი. ეს საკითხი ხელოვნებისმცოდნის გვერდით ლიტერატურისმცოდნესაც იმდენად უნდა აინტერესებდეს, რამდენადაც სრულიად აშკარა ხდება, რომ მეოცე საუკუნის რომანი (რომელმაც თავის დროზე ასეთი დიდი გავლენა მოახდინა კინოდრამატურგიაზე) თანდათან თავად განიცდის კინო-

ხელოვნების ზოგიერთი სპეციფიკის გამანაყოფიერებელ გავლენას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე კინოხელოვნების ზოგიერთი მიმართულების საწყისები სწორედ „ცნობიერების ნაკადის“ ინგლისურ რომანშია საძიებელი.

როცა ვლაპარაკობთ კინემატოგრაფიულ ხერხების გამოყენებაზე რომანში, ანდა რომანისტის კინემატოგრაფიულ ხედვაზე, — მხედველობაში უნდა გვქონდეს არა მხოლოდ გარეგნული მსგავსება ხელოვნების ორ სხვადასხვა დარგში გამოყენებულ მხატვრულ საშუალებისა, არამედ გაცილებით უფრო ღრმა და ორგანული კავშირი, რაც ჯერ კიდევ სრულიად შეუსწავლელია ლიტერატურისმცოდნეობაში (და შესატყვისად, ხელოვნებისმცოდნეობაშიც).

დ. ურნოვს საინტერესო მაგალითი მოაქვს ინგლისელ რეჟისორ ჰერბერტ მარშალის საუბრიდან: როცა მარშალს ჰკითხეს, რით აიხსნება, მისი აზრით, ჯოისის დაინტერესება ეიზენშტეინის ფილმებით, ხოლო ეიზენშტეინისა კი — „ულისით“, მან ერთი სიტყვით უპასუხა — „მონტაჟი“.

ეს მეტად საინტერესო დაკვირვებაა ინგლისელი რეჟისორისა, რომელიც, სხვათა შორის, თვითონაც კარგად გრძნობს მონტაჟის გამოყენების აუცილებლობას და თავის თეატრალურ დადგმებშიც ზოგჯერ მიმართავს ჯოისისეულ ხერხებს.

ცნობიერების ნაკადის მწერლები არა მარტო მონტაჟს მიმართავენ. მაგალითად, ვირჯინია ვულფის რომანებში შეგვიძლია დავინახოთ სხვა წმინდა კინემატოგრაფიული ხერხებიც, როგორიცაა „მსხვილი პლანი“, „წაფენა“, „პანორამა“, „კადრის შენელება-აჩქარება“, „კადრის თანდათანი გაფერმკრთალება-გაქრობა“, „უეცარი განათება“ და სხვ.

კინემატოგრაფიისა და რომანის ეს საერთო ხერხები უბრალო ანალოგიის გზით არ წარმოშობილა. თვით ცნობიერების ნაკადის სპეციფიკა, მისი დინება, თავისებური, ჩვეულებრივ დროსა და სივრცეს დაუქვემდებარებელი დინამიკა მოითხოვს და გულისხმობს მოვლენათა კინემატოგრაფიულ ხედვას: კადრები სწრაფად ცვლიან ერთმანეთს, ერთ პლანზე იხატება აწმყო, წარსული და მომავალი სურათები.

ვირჯინია ვულფის რომანში „ქალბატონი დალოუეი“ არის ერთი ადგილი, რომელიც მეტად კონდენსირებული სახით იძლევა წარმოდგენას ავტორის მიერ გამოყენებულ კინემატოგრაფიული ხერხის შესახებ:

ადამიანების პატარა ჯგუფი ბუკინგამის სასახლესთან თვითმფრინავის საშინელმა ხმაურმა შეაშფოთა. ყველა ზევით იხედება. თვითმფრინავი ჰაერში რაღაც სიტყვებს წერს. ლონდონის სხვადასხვა ადგილას რომანის სხვადასხვა პერსონაჟი აიხედავს ცაში, და ეს გარეგანი ფაქტორი (თვითმფრინავი ლონდონის ცაზე) ერთი წამით თითქოს შეჰკრავს, ერთი საგნისაკენ, ერთი მიზნისაკენ მიმართავს ადამიანებს, რომელთა შორის მწერალი ცდილობს რაღაც პარალელი, რაღაც კავშირი, რაღაც საერთო თუ განსხვავებული დაგვანახოს.

გავიხსენოთ ქართული ფილმი „ალავერდობა“, რომელშიც, რა თქმა უნდა, ვირჯინია ვულფისაგან სრულიად დამოუკიდებლად იგივე ხერხია გამოყენებული: ალავერდის ტაძრის გუმბათზე გასული ახალგაზრდა კაცი წამით მიიპყრობს ტაძრის ეზოში დაქსაქსულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელი და ინტერესდაკარგული ხალხის ყურადღებას და ყველა ამ უმიზნოდ მოტანტალე თუ უსაქმურობისაგან გამოყეყეჩებულ ადამიანებს წამით რაღაც საერთო წერტილი, ჰვრეტის საერთო კუთხე გაუჩნდებათ.

ის, რაც ვირჯინია ვულფის რომანში ცნობიერების ნაკადის გამოხატვას ემსახურებოდა, ქართულ რეალისტურ ფილმში სულ სხვა მიზნით არის გამოყენებული. თანაც აქ არა თუ პირდაპირ, არამედ არაპირდაპირ გავლენაზეც გაძნელდებოდა ლაპარაკი. ძალიან გაძნელდებოდა მთელი იმ ძეწკვისათვის თვალის გადევნება, რომელიც მსგავსი ხერხის გენეზისს დაგვანახვებდა.

თუ ვირჯინია ვულფის ადრეულ ნაწერებში იგრძნობა ახალგაზრდა რომანისტის საინტერესო მანერა, ხედვის კუთხე, რომელსაც შეიძლება კინემატოგრაფიული ვუწოდოთ, და ვიგულისხმოთ, რომ ვირჯინია ვულფი ამ კინემატოგრაფიული ხედვის ერთ-ერთი პიონერთაგანია, რომანის „მოქმედებათა შორის“ შესახებ მსჯელობისას უკვე შეიძლება თვით ვულფის შემოქმედებაზე კინოდრამატურგიის პროფესიული ხერხების გარკვეულ გავლენაზე ლაპარაკი. „მოქმედებათა შორის“ მზამზარეული კინოსცენარის შთაბეჭდილებას სტოვებს.

კინოს არა ნაკლები გავლენა ეტყობა სხვა მწერლებსაც, მაგრამ ჩვენ ამჟამად ვირჯინია ვულფის უკანასკნელი რომანი იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც ეს არის არა უბრალოდ კინოსცენარის ყაიდაზე დაწერილი რომანი, არამედ ისეთ კინოსცენარის ყაიდაზე დაწერილი რომანი, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით 1960-იანი წლების კინოხელოვნებაში ჩატარებული ზოგიერთი ექსპერიმენტის წინამორბედად გვევლინება (როგორიცაა ფელინის ზოგიერთი ფილმი, რენეს „ჰიროსიმა მონ ამურ“ და განსაკუთრებით კი მისივე „უკანასკნელი წელი მარიენბადში“).

## წარსულიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო ქავთარაძე

# დღეები პარიზში

პარიზის საზავო კონფერენცია ჩატარდა 1946 წლის ივლის — ოქტომბერში. ამ კონფერენციის მთავარი მიზანი და დანიშნულება იყო საზავო ხელშეკრულებათა დადება ბულგარეთთან, რუმინეთთან, უნგრეთთან, ფინეთთან და იტალიასთან. მე იმ დროს რუმინეთში ვიმყოფებოდი ელჩად, ამიტომ რუმინეთის საკითხთან დაკავშირებით გამიწვიეს კონფერენციაზე დასასწრებლად, ამ საკითხის დამუშავებასა და მომზადებაში მონაწილეობის მისაღებად. აქ ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს მრავალ პასუხისმგებელ თანამშრომელს მოეყარა თავი; ისინიც აგრეთვე თავის მუშაობით დაკავშირებული იყვნენ ამათუიმ ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოებთან. სხდომები (თვით კონფერენციისა და სპეციალური კომისიებისა) ერთი მეორეს მისდევდა, მაგრამ თავისუფალი დრო მაინც გვრჩებოდა, და მას ჩვენი სურვილის და ნების მიხედვით ვიყენებდით. პარიზში მე მეორედ მოვხვდი, პირველად პარტიის საპასუხისმგებლო დავალებით ვიყავი გაგზავნილი და დავყავი ათიოდე თვე, რასაკვირველია, იმ დროის გამოკლებით, რაც საქმის გამო სხვა მეზობელ ქვეყნებში წასვლა-წამოსვლას სჭირდებოდა. უნებლიედ წარმოიშალნენ ჩემს მეხსიერებაში პირველად ნახული პარიზის მოგონებანი და შთაბეჭდილებანი და დაუპირდაპირდნენ იმ საერთო სანახაობას, რომელიც ჩემ თვალწინ გადმოიშალა. ეს აღარ იყო ის პარიზი, მუდამ ბობოქარი, აღსავსე მღელვარე გრძნობებით და აზრებით, მშფოთავი, მყვირალა და მხიარული, დაუცხრომელი და დღე-ღამე გასწორებელი. არა! ახლა სიწყნარე და სიჩუმე სუფევდა ქუჩებში, ბულვარებში, მოედნებზე. ყველაფერს თითქოს ნაცრის ფერი გადაკროდა და ქალაქის მუდმივი მრავალფეროვანი სიჭრელე მოესპო. თითქოს გამვლელ-გამომვლელნიც საავადმყოფოდან იყვნენ გამოსულნი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. ყველას რაღაც დაღლილობა, ჩაფიქრება და ნაღვლიანობა ეხატა სახეზე. ეს იყო დაღი სულ ახლო წარსულისა. ეს იყო შედეგი განვლილი მსოფლიო ომის ქარცეცხლისა და მძვინვარებისა, ულმობელი ხოცვა-ჟლეტისა და ტანჯვა-ვაებისა, ცხოვრების აწიოკებისა და განადგურებისა, როგორც ეტყობოდა, პარიზი ჯერ კიდევ სავსებით გონზე ვერ მოსულიყო, ჯერ კიდევ ჯეროვნად წელში ვერ გამართულიყო და, რა თქმა უნდა, მას „მოდების“ ამ მსოფლიო ცენტრს, ჩაცმა-დახურვის დარდი მაინც და მაინც არ ემჩნეოდა. პარიზელი მცხოვრები, მტრის მიმართ ზიზღით და შურისძიების გრძნობით გამსჭვალული, ჯერ კიდევ ამჩნევდა თავის საყვარელ მშობლიურ მიწაზე გაცოფებულ ფაშისტთა ქუსლების კვალს. მაგრამ პარიზი მაინც პარიზი იყო. კაცობრიობის ეს დიდი წიგნი—მატიანე, რომლის ფურცლებზე ასახულია თითქმის ყველა გადამტეხი და გადამწყვეტი ისტორიული მოვლენა, ფაქტები, ომები და რევოლუციები, მებრძოლი ხალხის ხელით და სისხლით ჩაწერილი და აღბეჭდილი. განა შესაძლებელი იყო პარიზელი პროლეტარიატის დამონება, მისი სულიერი ცეცხლის ჩაქრობა, ჩაფერფვლა? არა, ეს შეუძლებელი იყო.

— ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი — მეუბნებოდა ჩვენი ელჩი საფრანგეთში ამხ. ბ.-ვი. ეს რამდენიმედ თქვენც გეხებათ...

ჩემს გაკვირვებაზე მან მიამბო:

— დიდი სახელი და მოწონება მოიპოვა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის მიხედვით დაწერილმა ახალმა ბალეტმა. ბალეტი უკვე დაიდგა მონტე-კარლოში, ნიცაში, ახალგაზრდა ქართველი ბალერინის ფაღავას მონაწილეობით. ამ „პრინცესამ“, როგორც მას უწოდებდნენ აფიშებში, აღტაცება გამოიწვია და სახელიც გაითქვა. მე მომმართეს, რომ აქ, პარიზში ამ ბალეტის დადგმაში დახმარება გამეწია. მეც სიამოვნებით დავთანხმდი. იმპრესარიომ უკვე ექვსასი ათასი ფრანკი დახარჯა რეკლამებზე და სხვა საჭიროებებზე. ახლა მთელი ეს საქმე ჩაიფუშა და, ვფიქრობ, სავსებით და საბოლოოდ.

— რა მიზეზია? აკრძალეს? — შევეკითხე მე.

— აკრძალეს... მაგრამ არა მთავრობის ორგანოებმა, არამედ მუშებმა... მათ შემოთვალეს, თუ ბალეტი დაიდგა, მოვალთ და სულ ავაფორიაქებთ იქაურობასო. მიზეზი ამისი ის ყოფილა, რომ ბალეტის დამდგმელი საფრანგეთ-

ში და ევროპაში დიდად ცნობილი ბალეტმეისტერი ლიფარი, წარმოშობით უკრაინელი, სიხარულით შეეგებება გერმანელების მიერ მისი სამშობლოს სატახტო ქალაქის — კიევის აღებას. ამის გამო მისალოცი დეპეშაც გაუგზავნია თვით ჰიტლერისთვის. ეს საზიზღრობა პარიზის მუშების ყურამდე მისულა, და მუქარაც მათი დიდი აღშფოთების შედეგია... საკვირველია, წინააღმდეგ ვერავინ ვერ გაბედა გამოსვლა, ზომების მიღება, და ბალეტიც ჩაიშალა...

* * *

ერთ-ერთ თავისუფალ დღეს ძველმა, ორმოცწლოვანმა მოგონებებმა მიმიყვანა ლათინურ კვარტალში, ბერტოლეს ქუჩაზე № 3, სადაც მე ვცხოვრობდი 1906 წელს m — me რენოს პანსიონში. ჩემი დიასახლისი ცნობილი კორესისტი იყო და პარიზის სოციალისტურ წრეებში ფართო ნაცნობობა ჰქონდა. ეს საქმე, პანსიონატი როგორც ჩანდა, მას ძალიან განსაზღვრულ შემოსავალს აძლევდა. მე, მაგალითად, მახდევინებდა თვეში სამოც ფრანკს, რაშიც შედიოდა ცალკე ოთახი, ჭამა-სმა და ყოველგვარი მომსახურება. ცხადია, ასეთი შემოსავალი მას დიდ მატერიალურ კმაყოფილებას ვერ მიანიჭებდა. რენოს პანსიონში მე დამხვდა მრავალრიცხოვანი საზოგადოება, რომელიც მეტწილად ინგლისელი ახალგაზრდა ტურისტი ქალებისაგან შედგებოდა. ჩემმა მისვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია: ზოგს ყრუდ ჰქონდა გაგონილი საქართველო, ზოგმა მხოლოდ კავკასია იცოდა და ზოგმა სრულებით არაფერი. დაიწყეს ლექსიკონებში ჩხრეკა, რაც მალე დამთავრდა დამსწრეთა ცნობისმოყვარეობით, გაფართოებული თვალებით და მოულოდნელად გაკვირვებული სახეებით. ამის მიზეზი ის იყო, რომ ლექსიკონში ამოიკითხეს ცნობა საქართველოს შესახებ: „საქართველო დასახლებულია მთელ მსოფლიოში ულამაზესი ხალხით". ამ უმაღლესი შეფასების თვალსაზრისით შემათვალიერეს მეც და, როგორც ჩანდა, გამოცდა დამაკმაყოფილებელი ნიშნით დაგვირგვინდა. ყოველ შემთხვევაში მოყვანილ ფრანგულ დახასიათების სრულ წინააღმდეგობას არ წარმოვადგენდი მაყურებელთა თვალში.

— თქვენ ქვეყანაში, ალბათ, ძალიან ლამაზი ქალები არიან... ყველა შავთვალწარბა იქნება?

— არა! ვუპასუხე მე, ყველა შავთვალწარბა არ არის... საქართველოს ერთ ნაწილში (მხედველობაში მქონდა სამეგრელო) ხშირია ქერათმიანები (blondes), რომელნიც ბოტიჩელის ქალის ტიპებს ემსგავსებიან...

— ჰო, რა საინტერესო და სასიამოვნოა ასეთ ქვეყანაში ყოფნა, სადაც ყველანი ლამაზნი არიან, თქვა ერთმა ინგლისელმა ქალიშვილმა.

ამ კურიოზული ამბის შემდეგ, არ გასულა ორი დღე, რომ შემატყობინეს, ვიღაც ქართველი ქალი გკითხულობთო. ეს იყო პირველი საუზმის დროს, ყველანი სასადილო ოთახში იყვნენ თავმოყრილნი. რაღაც წინათგრძნობამ ელვასავით გამირბინა ტანში. ქვემო სართულში ქუჩიდან შემოსასვლელი კარების გვერდით სასადილოს ღია კარები იყო. აქ განვიცადე საოცარი უიღბლობა, ბედის სიმუხთლე. ჩემ წინ იდგა ქალი, რომელიც ბოტიჩელის მადონას მსგავსებას კი არა, დარვინის თეორიის განხორციელებულ, დამამტკიცებელ ნიმუშს წარმოადგენდა. ბედს არასოდეს არ გავქცევივარ, მაგრამ ახლა აქ დგომას პარიზიდან გარდახვეწა მერჩია.

— მე გრ. ს-ლის და ვარ... მუდამ აქ ვცხოვრობ. მინდოდა თქვენი გაცნობა... ჩვენი სამშობლოს ამბების გაგება.

— ძალიან სასიამოვნოა, წავილუღლუღე მე. გრ-ც ხომ აქ არის? ის არ მოგიყვათ საქართველოს ამბებს?... ყოველ შემთხვევაში, მაპატიეთ... სხვა დროს... ახლა ძალიან დაკავებული ვარ...

ადვილი წარმოსადგენია, როგორ ათვალიერებდნენ ამ „ქართველ მადონას", გაწეწილს და უშნოდ ჩაცმულს. მე ვერ მოვითმინე ის ირონიული ღიმილი, რომელიც გამოიხატა დამსწრეთა სახეებზე და მაშინვე გადავწყვიტე ეს მდგომარეობა რამენაირად გამომესწორებია, ჩემი ნათქვამი დამემტკიცებია, განსაკუთრებით, მანდილოსნების წინაშე. მალე ბედმა გამიღიმა. მე შევხვდი ერთ ქართველ ქალიშვილს, რომელიც პარიზის რომელიღაც ინსტიტუტში სწავლობდა, ზ. ქ-ას. ის თუმცა ბოტიჩელის მადონას სრულებით არ გავდა, შავთვალწარბა იყო, მაგრამ ლამაზი, სიმპათიით და ეშხით აღსავსე. მე ვუთხარი:

— ზ-ა, ძალიან გთხოვ... შუა დღეზე შემოიარე ჩემთან... პირდაპირ გეტყვი: მე პანსიონში ვცხოვრობ. იქ უცხოელები არიან... აინტერესებთ ქართველი ქალის ხილვა... დამპირდი...

— მოვალ, მოვალ, სიცილით მიპასუხა ზ-მ და შემეკითხა: — შენ რა ქენი?

— მე ეგზამენი, მგონი, დავიჭირე. ვუპასუხე და ორივემ გადავიხარხარეთ. ჩემი ანგარიში გამართლდა. გამარჯვება აშკარა იყო. ზ-ა სიცილით მეუბნებოდა: როგორ დამაშტერდნენ... როგორ მათვალიერებდნენ?

— იმიტომ რომ კარგი ხარ...

ზ-ა ჩაფიქრდა.

ამ იუმორისტულ ეპიზოდს გაგრძელება ჰქონდა, მაგრამ არა იუმორისტული.

განვლო წლებმა, და ერთ ზაფხულზე პეტერ-

ბურგიდან ქუთაისში ჩამოვედი. ქალაქის ბაღში, ბულვარში, სეირნობის დროს შორიდან დავინახე ზ-ა, მას ვიღაც უზარმაზარი, კასრის მსგავსი, წვერიანი ჩოხოსანი მოჰყვებოდა. თავის თანამგზავრის გვერდით ის სულ პატარა ჩანდა.

— ვინ არის ის ქალი? — შევეკითხე ნაცნობს. მან ზუსტად დამისახელა.

— კაცი?

— მისი ქმარია. ვ. ა-ა... მდიდარია... პრინც მიურატის მოურავია...

მოულოდნელად რაღაც ნაღვლის ტალღამ გადამირბინა გულზე.

კიდევ განვლო მრავალმა წელმა, და ერთ შემთხვევით წრეში ყური მოვკარი, ზ. ჟ-ა გარდაიცვალაო.

* * *

ჩემი დიასახლისი m-me რენო ძალიან კეთილგანწყობილი იყო ჩემდამი. შესაძლებელია ამასაც ის აინტერესებდა, რომ მე მისთვის სრულებით უცხო ქვეყნიდან ვიყავი მოსული. — და ამასთან, ახალგაზრდა სოციალისტი. იმ დროს საფრანგეთი დიდ მღელვარებას მოეცვა. ასპარეზზე იყო გამოსული საფრანგეთის ყველა პოლიტიკური პარტია და მათ შორის გააფთრებული ბრძოლა სწარმოებდა. ხალხი ირჩევდა თავის წარმომადგენლებს ახალ პარლამენტში. გარეშე მაყურებელი ისეთ შთაბეჭდილებას ღებულობდა, თითქოს მოსახლეობას, ხალხს ყველაფერი დავიწყებოდა, ყველაფრისთვის თავი მიენებებია და მხოლოდ არჩევნების მღელვარებით და მისი შედეგებით არის შეპყრობილი და გატაცებულიო. „დიდ ბულვარებში" საღამოობით გვიანობამდი ხალხის ტევა არ იყო. აქ რედაქციები და სააგენტოები აცხადებდნენ ცნობებს არჩევნების მიმდინარეობის შესახებ სხვადასხვა რაიონებში, პარტიების მიერ მიღებულ საარჩევნო ხმების რაოდენობას. მეც მაყურებელთა შორის გაფაციცებით თვალყურს ვადევნებდი ამ საუცხოო, ჩემთვის უცნობ სანახაობას. განსაკუთრებული ქუხილით და ტაშისცემით ეგებებოდნენ სოციალისტების გამარჯვებას, მათ არჩევას. განუწყვეტლივ წვიმდა და ურიცხვი ქოლგები თითქმის მთლიანად ფარავდნენ ქუჩებს. მაგრამ უმრავლესობა თავგანწირულად და უძრავად იდგა ერთ ადგილზე, გატაცებული არჩევნების მსვლელობით, და ყურადღებასაც არ აქცევდა წვიმას. მე გაწუწული და ცრემლმორეული დავბრუნდი ჩემს ბინაზე. ვფიქრობდი:

— ჩვენს რევოლუციას რომ გაემარჯვნა შარშან, ჩვენშიც ხომ ასეთი ამბები იქნებოდა... რა სიხარული, რა ბედნიერება... არაფერია... უეჭველად მოვესწრებით... აი, წავიღებ სამშობლოში ამ შესანიშნავ იარაღს. მით ჩვენი ბიჭები ათ იმდენს ჩაიგდებენ ხელში. მაგრამ ჯერ რა ჯოჯოხეთი ტრიალებს ხალხის თავზე!...

მე მაღელვებდა ჩვენი (რუსეთის და, კერძოდ, საქართველოს) ემიგრაცია. არა თუ პარიზში, ევროპის მრავალ ქალაქში თავმოყრილნი იყვნენ ემიგრანტები. მათ თითქოს მთლიანად მოეხადათ ვალი ხალხის, რევოლუციის, პარტიის წინაშე და ახლა სრულებით კანონიერად, ბუნებრივად და აუცილებლად სთვლიდნენ საზღვარგარეთ უსაქმოდ და უსარგებლოდ არსებობას. სრულებით არ ფიქრობდნენ, თუ რა გაჭირვებას განიცდიდა მოძრაობა კადრების ნაკლებობის გამო, მძიმე არალეგალურ პირობებში. თუ რა ვეებერთელა საკითხები იყო ჩვენ წინაშე დაყენებული ცხოვრების მიერ; მთავარი კი: რევოლუციის დამარცხების მიზეზების ანალიზი და მისი გამოყენება ახალი რევოლუციის სამზადისში. როგორ უნდა შეხვედროდენ ისინი იმათ, ვინც თავგანწირულად და შეუდრეკელად განაგრძობდა ბრძოლას? — მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობდა, თუმცა რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ყველანი გამოცხადდნენ და რიხიანი ხმით საპატიო ადგილები მოითხოვეს ხალხის სადღესასწაულო ზეიმზე... მოითხოვეს უსაქმობაში, ლაყბობაში და წყლის ნაყვაში დაკარგული დრო რევოლუციურ სტაჟად ჩაეთვალათ. რასაკვირველია, ეს არ შეეხება იმათ, ვისაც სიკვდილით სასჯელი მოელოდა, ანდა ჩვენს ორგანიზაციებში (რედაქციაში, სტამბაში და სხვაგან) მუშაობდა... მაგრამ აქ ამაზე არ შევჩერდები.

ჩემი დიასახლისის დახმარებით მე რამდენიმე შეკრებულებას დავესწარი. პირველი იყო საარჩევნო მიტინგი ლათინური კვარტალის ერთ-ერთ რაიონში, სადაც პოლ ლაფარგი გამოვიდა. ერთ რაიონში წამოყენებული იყო მილიერანის კანდიდატურა პარლამენტში, და ლაფარგიც უმთავრესად მის პოლიტიკურ ფიზიონომიას აშუქებდა. მე პირველ რიგში ვიჯექი და სასოებით შევცქეროდი ამ შესანიშნავ ადამიანს. ზოგიერთი მისი თხზულება, რუსულად თარგმნილი, წაკითხული მქონდა, მაგრამ ახლა მე მიპყრობდა მისი სიახლოვე, ხმა, მისი ბრინჯაოსფერი სახე და საუცხოო თეთრი ფაფარი. ის დაუზოგველად შოლტავდა თავისი სუსხიანი ენით მილიერანს და მის მომხრეებს — ბრიანს და ვივიანის, როგორც რენეგატებს, მოღალატეებს. მრავალრიცხოვანი, მეტ წილად მუშებისაგან შემდგარი აუდიტორია, სულგანაბული უსმენდა ბერადს. ის ამბობდა:

— ჩვენგან წასულის წინაშე მხოლოდ ორი გზაა — ან მტრის ბანაკი, ან არარაობა, მილიერანმა აირჩია პირველი, ის შევიდა ვალდეკ რუსოს რეაქციულ მთავრობაში და სოციალისტური პარტიიდან გარიცხულმა შექმნა თავის მსგავსთაგან „დამოუკიდებელი სოციალისტთა პარტია". პროლეტარიატს სჭირია დიდი სიფრ-

თხილე, დიდი გამჭრიახობა ასეთი შენიღბული რენეგატის წინააღმდეგო... მას ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას მქუხარე ტაშისცემით და, როცა დაამთავრა, გაისმა მთელი კრების რიტმული შეძახილი განმეორებით — „ფურთხი მილიერანს, ფურთხი“ („conspuer Millerand, conspuer“). შემდეგში, რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს ჩვენთვის კარგად არის ცნობილი მილიერანის (მთავრობის თავმჯდომარის, პრეზიდენტის), როლი, როგორც იმპერიალისტური რეაქციის პირწავარდნილი მქადაგებლისა და მებაირახტრისა, საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტრისა და ინტერვენციის ორგანიზატორისა. ლაფარგის თანმხლები მუშების ჯგუფიდან გამოვიდა ორი ორატორი რომლებმაც თავისი მჭევრი სიტყვით, ალსავსე ბრძოლის მღელვარე პათოსით, მკაფიო აზროვნებით, სწორი და მკვეთრი ლოზუნგებით, განცვიფრებასა და აღტაცებაში მოიყვანეს მიტინგი. ამ ხალხს, ვფიქრობდი, უეჭველად განსაკუთრებულ ნაციონალურ თვისებად აქვს თანდაყოლილი მჭევრმეტყველება, სიტყვის, ფრაზის რიტმი, მუსიკა და გემოვნება ენისა. ჩემი ცოტა ხნის ყოფნაც პარიზში საკმარისი შეიქნა იმისათვის, რომ ამაში დავრწმუნებულიყავი.

სოციალისტური პარტიის მიერ არჩევნებში მიღწეული წარმატების გამო გამართულ ბანკეტზე დასასწრებლად მოსაწვევი ბარათი მიშოვნა ჩემმა დიასახლისმა. აქ ერთ-ერთ ვეებერთელა საკრებულო Salle-ში თავმოყრილი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები, რომელნიც ულოცავდნენ ფრანგ ამხანაგებს გამარჯვებას. აქ იყვნენ გერმანელები, ბელგიელები, ინგლისელები, იტალიელები და სხვ. ცენტრში ისხდნენ გედი და ჟორესი. აქ იყვნენ აგრეთვე მოხუცი ვალიანი, პარიზის კომუნის წევრი. პოლ ლაფარგი ცოლით (მარქსის ქალიშვილით). გედი და ჟორესი — ორი ბელადი, ორი ყოფილი მოწინააღმდეგე. ახლა სათავეში უდგნენ საფრანგეთის ახლად გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიას. გედის შეგნებაში მაშინ რევოლუციური მარქსიზმის მკრთალი კვალი ოდნავ თუ იყო კიდევ დარჩენილი. მისი ადგილი უკვე დაკავებული ჰქონდა ჟორესისტულ ოპორტუნიზმს. ამ მოლიპული გზით დაქანებული ის შემდეგში სულ დაბლა ეშვებოდა, სანამ სავსებით არ ჩაეფლო სოციალ-შოვინიზმის ჭაობში. ჟორესი მგზნებარე და მქუხარე მსოფლიო ტრიბუნი, უეჭველად. ყველაზე უფრო პოპულარული პიროვნება იყო იმდროინდელ საფრანგეთში და ყველაზე უფრო საყვარელი ხალხში. ის არასდროს არ ყოფილა მარქსისტი, პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის მომხრე, ის აღიარებდა პაციფიზმს, პარლამენტარიზმს, რეფორმიზმს, კლასობრივ შემრიგებლობას, მაგრამ ის იყო თავდადებული და მრისხანე მტერი მილიტარიზმისა, კოლონიალიზმისა, ომისა. ეს პოლიტიკური პოზიცია უხვეჭდა მას ხალხში [illegible] სახელს, ნდობას, ავტორიტეტს და სიყვარულს. მაგრამ ამავე დროს გაბატონებული მილიტარისტული რეაქცია, რომელიც პირველი ომის სამზადისში იყო, ეძებდა ხელსაყრელ მომენტს, რომ თავის მოსისხლე, შეუპოვარი, საშიში მტრისათვის გულში სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა და ეს საზიზღარი მტარვალობა მან განახორციელა 31 ივლისს 1914 წელს. ხალხის ცრემლით მოირწყა მისი სიცოცხლის უკანასკნელი გზა. ბანკეტზე ჟორესი საპროგრამო სიტყვით არ გამოსულა. ამას, როგორც ამბობდნენ, ხელი შეუშალა მოულოდნელმა გარემოებამ, მისი მოწმეც მთელი შეკრებილება იყო. პირველი სიტყვა, თანახმად წესრიგისა, უნდა წარმოეთქვა ჟიულ გედს. მე ახლაც ნათლად მაქვს წარმოდგენილი მისი მაღალი, გამხდარი ოდნავ მოხრილი ფიგურა, სახემიფერფლილი, ჭაღარამორეული თმა და წვერი, ჩაფიქრებული, ნაღვლიანი, კეთილი თვალები. მან მოიძრო ბეჭებზე წამოხურული პლედი, მძიმედ აიმართა და ორი სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, ისე წაბარბაცდა და, რომ ჟორესის მძლავრი მკლავები არ შეგებებოდა, უეჭველად წაიქცეოდა. მას გული წაუვიდა და სახეზე ნაცრისფერი დაედო. ამ ამბავმა დიდი მღელვარება და წუხილი გამოიწვია მთელ დარბაზში. გედის მობრუნების შემდეგ, დიდხანს აღარ გაგრძელებულა ბანკეტი. მე კიდევ მქონდა ორი შემთხვევა მენახა ჟორესი და დავსწრებოდი მის გამოსვლას. მიუხედავად მას შემდეგ გასული ათეული წლებისა, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნისა, ეს ორი შემთხვევა აქამდე ცოცხლად მაქვს დარჩენილი მეხსიერებაში. ეს იყო დიდი მიტინგი Cirque d'hiver-ში, რომელიც იტევდა ექვსი ათას მაყურებელს. რამდენადაც მახსოვს, მიტინგი ესერების მიერ იყო მოწყობილი და მიძღვნილი რუსეთში მომხდარი რევოლუციისადმი. მიტინგი იმ ბანკეტზე ადრე იყო, რომელიც ზემოთ მოვიხსენიე და ჟორესი ჯერ სინამდვილეში ნახული და მოსმენილი არ მყავდა. ამიტომ ჟორესი, რომ გამოვიდა და დაიწყო ლაპარაკი დაბალი ხმით, უმოძრაოდ, მშვიდად, მე გავკვირდი და უნებლიედ რუსულად წამოვიძახე:

-- ეს ჟორესია?!

ამ დროს ჩემ გვერდით მჯდომმა ხანში შესულმა მუშამ ღიმილით ხელი ბეჭზე დამადო და ფრანგულად მითხრა:

— ცოტა დაიცა, ჩემო ბიჭო (mon garson)... შენ მალე დაინახავ...

მართლაც, არ გასულა რამდენიმე წუთი და სურათი სავსებით შეიცვალა, მე მომეჩვენა, თითქოს ჟორესი, ისედაც მკვრივი, სქელი, მხარბეჭიანი, უეცრად გაიზარდა, გადიდდა და ძლი-

ერად ჩაბერა ბუკში. მთელი უზარმაზარი აუდიტორია დაძაბული ყურადღებით უსმენდა ტრიბუნს. როცა ზევით ქანდარაზე მსხდარმა ანარქისტებმა ასტეხეს ხმაური ორატორისთვის ხელის შესაშლელად, ისინი ხალხმა, ჩუმად, ხელში აყვანილი ქუჩაში გაიყვანა. ჟორესი სჭექდა და ქუხდა. ცირკი გრიალებდა ტაშის ცემით და შეძახილებით. დამაფიქრებელი და გულის დამწყვეტი იყო ის, რომ ასეთი ნამდვილი სახალხო ტრიბუნი, უებარი ენამეტყველი, ბრძოლის ენერგიით აღსავსე, დიდი ცოდნით და ნიჭით უხვად დაჯილდოებული, ხალხის სიყვარულით აღსავსე, მილიტარისტული და კოლონიზატორული პოლიტიკის მგმობელი და მკიცხავი, რაოდენ სისუსტეს, გაუგებრობას და გულუბრყვილობას იჩენდა თავის პოლიტიკურ საქმიანობაში. ის მოუწოდებდა: „ძირს მილიტარიზმი! ძირს ომი!... ძირს კოლონიალური ექსპანსია!...“ მაგრამ არ იცოდა რანაირად უნდა განხორციელებულიყო ეს, რა გზით, რა საშუალებით, რანაირი ტაქტიკური და ორგანიზაციული ზომებით. რუსულად ასეთ მდგომარეობის შესახებ იტყვიან: „Гора родила мышь“.

მარქსისტული ანალიზის არცოდნა, მისი უარყოფა, ყოველ საშუალებას უსპობდა მას სწორად გარკვეულიყო სინამდვილეში, ნამდვილი გზა ეპოვა და ურყევი მიმართულება მიეღო სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებში და მოვლენებში. ის ლამობდა სოციალიზმის მიღწევას რეფორმების, კლასობრივი შემრიგებლობის, პარლამენტარიზმის, კოოპერაციის და საყოველთაო გაფიცვების საშუალებით. რუსეთის რევოლუციაში მან მხოლოდ საყოველთაო გაფიცვებს მიაპყრო ყურადღება და აღიარა გაფიცვა, როგორც ძლიერი იარაღი სოციალიზმის დასამყარებლად. მაგრამ აქაც, ამ ერთ-ერთ ბრძოლის საშუალებას, დაუკარგა რევოლუციური შინაარსი და ხასიათი და გამოაცხადა ის მხოლოდ როგორც დამხმარე და გავლენიანი საშუალება რეფორმების განსახორციელებლად. 1906 წელს კი პარტიის ყრილობაზე ლიმოჟში მან აღიარა პროგრამულ დებულებად პროფესიული კავშირების და მოძრაობის პოლიტიკური ნეიტრალობა და მათ ფარგლებში ყოველგვარი კლასობრივი, პოლიტიკური ბრძოლის უარყოფა და აღმოფხვრა. ამით მან სრული შესაძლებლობა მისცა ანარქისტებს სავსებით დაპატრონებოდნენ პროფესიულ კავშირებს. მიუხედავად ყველა ამისა, ჟორესის გააფთრებულ ბრძოლას მილიტარიზმის და ომის წინააღმდეგ დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და დიდად სასარგებლო იყო ხალხისთვის. ამით აიხსნება ის, რომ საფრანგეთის მილიტარისტულმა რეაქციამ, პირველ ყოვლისა, ჟორესი ამოიღო ნიშანში და სიცოცხლე მოუსპო.

მეორედ და მესამედ მოვუსმინე ჟორესს თვით ახლად არჩეულ პარლამენტში, რომლის გახსნას მთელი საფრანგეთი მოუთმენლად, გაფაციცებით და მღელვარებით ელოდა. პირველსავე სხდომაზე ასპარეზზე უნდა გამოსულიყვნენ და ერთმანეთს დატაკებოდნენ ორი შესანიშნავი, მსოფლიო მნიშვნელობის, პოლიტიკური ფალავანი — ჟორესი და კლემანსო. მომენტი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს მთელი საფრანგეთი, მთელი ხალხი ფეხზე იდგა და სულგანაბული წუთობით ითვლიდა დროს. აქ, ამ ასპარეზზე, შეეტაკნენ საფრანგეთის იმპერიალიზმი და სოციალიზმი, ან, როგორც ჟორესი უწოდებდა, „პოლიტიკა სოციალური კონსერვატიზმისა“ და სოციალ-დემოკრატიული პროგრესისა. ორი შესანიშნავი ორატორი, მაგრამ სულ სხვადასხვა გვარის, ხასიათის, ტემპერამენტის. ერთი — ცივი, მშრალი, მაგარი, როგორც რკინა, უხვად დაჯილდოებული ნიჭით, სიტყვიერი მასალით, მეორე კი მგზნებარე, გულღია, შესანიშნავი ხმის მქონე. კლემანსო იყო ფრანგული იმპერიალიზმის გაშიშვლებული მქადაგებელი, ორგანიზატორი, მებაირახტრე. მისი პოლიტიკა მუდამ გამსჭვალული იყო ომის და აგრესიის სულით და აზრით. მთელი თავის 88 წლის სიცოცხლის მანძილზე მას არ შენელებია თავისი ცოფიანი წადილი ხალხთა ჟლეტისა და წყურვილი მათი სისხლისა. სწორედ იმ დროს, რომელსაც ეხება ეს მოგონება, კლემანსო შევიდა სარიენის კაბინეტში შინაგან საქმეთა მინისტრად და შემდეგ მალე თვითონ შეადგინა მთავრობა და სათავეში ჩაუდგა მას. რევანში გერმანიის მიმართ და კონტრრევოლუცია, აგრესია და ინტერვენცია,—აი, რა ეწერა მის საომარ დროშაზე. მან თავისი პოლიტიკური „კრედო“ მოკლე ფორმულით გამოთქვა: „შინაური ჩემი პოლიტიკა? — ომია. საგარეო პოლიტიკა? — ომი. ყოველთვის და მუდამ ომი. არა არის რა გარეშე ომისა“. გერმანელების შესახებ ის უტიფრად აცხადებდა: გერმანელები ძალიან ბევრნი არიან. საჭიროა, მათ ოციოდე მილიონი მოაკლდეს. ერთი სიტყვით, ასეთი მძვინვარე, მისი ხალხის მტრის წინაშე მედგრად და შეუპოვრად აღმართა ჟორესმა ბრძოლის დროშა და გმირულადაც დაიცვა ის. მათი დუელი, მართლაც, მთელი ხალხის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. სარიენის მთავრობის დეკლარაციის შემდეგ დაიწყო დებატები. ეს იყო 1906 წლის ივნისის შუა რიცხვებში. უმრავლესობას პარლამენტში შეადგენდა მთავრობის პარტია — რესპუბლიკელების, მემარჯვენე რადიკალების. საზოგადოდ ძალთა განწყობილების დაზუსტება შეუძლებელი იყო. ეგრედწოდებული „მემარცხენე ბლოკი“, რომელიც შედგებოდა სოციალისტების — ჟორესისტების და გედისტებისაგან და მემარცხენე რადიკალებისაგან (რადიკალ-სოციალისტებისაგან) ძალიან ცვალებად და მერყევ რაოდენობას წარმოადგენდა და-

მოკიდებულად იმისა, თუ რა საკითხი იქნებოდა დაყენებული სათათბიროდ და კენჭის საყრელად. აი მაგალითად, როცა შინაგან საქმეთა მინისტრმა კლემანსომ დაამთავრა თავისი საპროგრამო სიტყვა, მისმა მომხრეებმა, მოითხოვეს სიტყვის დაბეჭდვა და გავრცელება. „დაე, ჩვენი ქვეყანა გაეცნოს მას. ის ჩვენ გაგვიგებს და დაგვეთანხმებაო“. ეს მოწოდება ხანგრძლივი ტაშისცემით და მოწონებით იქმნა დაჯილდოებული. კენჭის ყრამ გამოარკვია შემდეგი: მომხრეთა რიცხვი — 355, წინააღმდეგთა — 78 (ხმის მიმცემთა საერთო რიცხვი —443).

როდესაც დეპუტატმა სოციალისტმა ალემანმა მოითხოვა, ჟორესის საპასუხო სიტყვაც დაბეჭდილი და გაკრული ყოფილიყო მთელ საფრანგეთში, ამ წინადადებას მხარი დაუჭირა 139 დეპუტატმა და 288-მა უარყო (ხმის მიმცემთა საერთო რიცხვი — 427). სტაბილურ ჯგუფს შეადგენდნენ მხოლოდ სოციალისტები რიცხვით — 74. ეს მათ დიდ გამარჯვებას გამოხატავდა, რადგან მათი რიცხვი ყოფილ პარლამენტში იყო 55. იმ დროს მომენტი და მდგომარეობა ითხოვდა მემარცხენე, დემოკრატიული ძალების დაახლოებას, ერთი ფრონტის, ერთი ბლოკის შექმნას გაძლიერებული რეაქციის, ახალ ფეხადგმული იმპერიალიზმის და ომის საშიშროების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომ ეს პოლიტიკური პლატფორმა არსებითად ერთადერთი სწორი გზის მაჩვენებელი იყო. მაგრამ მის უცდომ გამოყენებას და განხორციელებას მშრომელი მასების, ხალხის ინტერესების მიხედვით ესაჭიროებოდა ღრმა მარქსისტული შეგნება და მარქსისტული ანალიზის უნარი, რაც მაშინდელ ფრანგულ სოციალისტურ პარტიას არ მოეპოებოდა. ასეთმა გზაკვალდაბნეულობამ შექმნა მთელი მიმდინარეობა ეგრეთ წოდებულ „მინისტერიაბელურ სოციალისტებისა“, რომელმაც მილიერანი, ბრიანი და ზოგი სხვა ბურჟუაზიულ მთავრობებში შეიყვანა. როგორც ცნობილია, ამსტერდამის სოციალისტურმა კონგრესმა (1904 წ). მიიღო ზომები ასეთი მერყეობის წინააღმდეგ და პარტიის მთლიანობის დასაცავად. მაგრამ ბურჟუაზიულ მთავრობაში შესვლის აკრძალვა სრულებით არ იყო საკმარისი კლასობრივი ბრძოლის სახელმძღვანელოდ, და ამიტომ ჟორესის პოზიცია — სოციალისტური რევოლუცია ურევოლუციოდ, მშვიდობიანი სოციალიზმი, ყოველგვარი ძალმომრეობის უარყოფა, ბურჟუაზიული და ფეოდალური საკუთრების ხელუხლებლობა და მხოლოდ მათი გამოსყიდვა და სხვ., — სასტიკ კრიტიკას ითხოვდა მარცხნიდან. ჟორესი, მიუხედავად მისი იდეოლოგიური, პოლიტიკური და ტაქტიკური შეცდომებისა, გულით და სულით თავდადებული იყო პროლეტარიატისათვის, მშრომელი ხალხისათვის, და მათი კეთილდღეობა და ბედნიერება მის წმინდათაწმინდას შეადგენდა. ვფიქრობ, მას მილიტარიზმის და იმპერიალიზმის მძაფრ მოწინააღმდეგეს, პირველი საერთაშორისო ომის საშინელება სწორ რევოლუციურ გზაზე დააყენებდა, მის უკბილო ჰუმანიზმს გააფთრებული ბრძოლა შეცვლიდა. განა შესაძლებელია რაიმე ეჭვის შეტანა ჟორესის სიტყვებში, როცა მან თავის გამოსვლაში განაცხადა: „პირადად მე არ ვარ შეპყრობილი ისეთი პატივმოყვარეობით, რომ ჩემ თავზე ავიღო უფლება ვუკარნახო მშრომელ ხალხს რაიმე პირობები. მე ვაღიარებ და საჯაროდ ვაცხადებ, რომ მხოლოდ შრომას ეკუთვნის სუვერენული უფლება და რანაირი ფორმაც არ უნდა მიანიჭოს მშრომელმა ხალხმა ახალ საზოგადოებას, მე მთელი ჩემი სულით და გულით, მთელი ჩემი შეგნებით და აზროვნებით ხელს შევუწყობ იმ ახალ საზოგადოების დამყარებას“.

* * *

სარიენის მთავრობის დეკლარაცია ახალ პარლამენტში, რასაკვირველია, არ შეიცავდა წარსული მისი მოქმედებისა და საქმიანობის არავითარ კრიტიკას. ის აცხადებდა: წესრიგი სავსებით აღდგენილია და თავისუფლად შეიძლება იმავე გზით მსვლელობა, რა გზასაც ადგა აქამდე მთავრობა. არჩევნებმა ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი სრულ ნდობას გვიცხადებს და ამართლებს იმ გეზს, რომელიც ჩვენ გვქონდა აღებულიო. ამასთან, მთავრობა იმუქრებოდა, რომ ის არ დაუშვებს წესიერების არავითარ დარღვევას და არეულობას. მას ამისთვის საკმარისი ძალა შესწევს. შემდეგ მთავრობა იუწყებოდა ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკევების კანონის გატარებას, ლაპარაკობდა სკოლის სეკულიარიზაციაზე და დემოკრატიზაციაზე, პროფესიული კავშირების უფლებების გაფართოებაზე და ამავე დროს მოსამსახურეთათვის გაფიცვის უფლების აღკვეთაზე. როგორც ყოველი ბურჟუაზიული მთავრობის საპროგრამო დეკლარაციაში, აქაც მთავრობა ცდილობდა თავი მუშათა კლასის მოამაგედ და მზრუნველად მოეჩვენებია, მაგრამ ეს იაფფასიანი და გამჭვირვალე ქაოინაურები, რასაკვირველია, მხოლოდ შეუგნებელი და გულუბრყვილო მშრომელთა მასისთვის იყო განზრახული. კაპიტალის და შრომის ურთიერთშორის ბრძოლა, წერდნენ დეკლარაციის ავტორები, — ძალიან მავნებელია ვაჭრობა — მრეწველობისთვის და ამიტომ უნდა შემუშავდეს კანონი და ხელშეკრულება დამქირავებელთა (და დაქირავებულთა) შორის, რომელიც მათ მოარიგებს და შეათანხმებს მათ ინტერესებსო. უმთავრეს პირობად კანონიერებისა, წესიერებისა, მშვიდობიანობისა, წინსვლისა, ხალხის კმაყოფილებისა და კეთილ-

დღეობისა გამოცხადებული იყო რესპუბლიკური უმრავლესობის და მთავრობის მჭიდრო კავშირი და ერთსულოვნობა.

ჟორესმა გამოსვლისთანავე ჩასჭიდა ხელი მთავარ ძარღვს, როგორც რუსულად იტყვიან „Сразу взял быка за рога“ მე კარგად დამამახსოვრდა მისი სიტყვები, რადგან ჩემი ფრანგულის მასწავლებლის დახმარებით გულდასმით ვთარგმნე და რამდენიმეჯერ წავიკითხე.

— ბოლოს და ბოლოს სავსებით და დაზუსტებით უნდა გამოვარკვიოთ.—მიმართა ჟორესმა პარლამენტს, რა იგულისხმება სიტყვებში „სოციალური პროგრესი“ და „სოციალური რეფორმები“. რა არის მათი ნამდვილი შინაარსი? ეს სიტყვები ყველას ენაზე აკერია და ყველას თავისებურად ესმის მათი აზრი და მნიშვნელობა. ცხადია, ამ სიტყვების გაგება მთავრობისა და მუშათა კლასის მიერ სულ სხვადასხვანაირია: მე აქ მხოლოდ მოკლედ მოვიყვან რამდენიმე მის მიერ გამოთქმულ აზრს და აღნიშნულ ფაქტს.

როცა თქვენამდე მყოფი შინაგან საქმეთა მინისტრები, — მიმართა მან კლემანსოს, — პადეკალეს მუშების გაფიცვების და მღელვარების დროს მათ წინააღმდეგ აგზავნიდენ არა უმეტეს ათი ათასი ჯარისკაცისა, თქვენ იქ გაგზავნეთ ოცდახუთი ათასი, რომლებმაც ააწიოკეს მუშათა სახლკარი, ააფორიაქეს მათი ყოფაცხოვრება, მოუსპეს მათ ყოველგვარი დემოკრატიული და სინდიკალური უფლება და თავისი ინტერესების დასაცავი საშუალება. თქვენ იქ სიტყვის თავისუფლება მიანიჭეთ მხოლოდ გენერლებს, ხოლო მუშებს, რომელნიც უმთავრესად მოითხოვდნენ აუტანელ სამუშაო დღის შემცირებას, დაუპირდაპირეთ ხიშტი და ტყვია. თქვენი შინაგანი პოლიტიკა არის მხოლოდ რეპრესიების პოლიტიკა მუშათა კლასის მიმართ. პოლიტიკური სისტემა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული შემუსროს და გაანადგუროს მუშათა მოძრაობა, მოუსპოს მუშებს გაფიცვის უფლება და საშუალება, გზა შეუკრას და გადაეღობოს მათ, რომ განცალკევებული ავტონომიური სინდიკატებისაგან ვერ შექმნან თავისი კლასის მძლავრი ორგანიზაცია, შრომის გაერთიანებული ფედერაცია...

მუშათა მოძრაობის ბელადები თქვენ ციხეებში გყავთ ჩაკეტილი... ასე ექცევით თქვენ მუშათა კლასს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არ ურიგდება არსებულ სოციალ-ეკონომიურ წესწყობილებას, ყოველთვის, როცა ბურჟუაზიულ რესპუბლიკას რაიმე გარე საშიშროება მოელოდა, იკავებდა მოწინავე პოზიციას და თავდადებით იცავდა მას... პროლეტარიატი იბრძვის თავის არსებობისათვის, თავისი ცხოვრების არაადამიანური პირობების გაუმჯობესებისათვის, და ამიტომ მისი ბრძოლა, მისი პროფესიული გაფიცვა, მისი დემონსტრაცია სოციალურ მანიფესტაციად იქცევა. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა, აი, რა არის მთავარი შინაარსი სოციალური პრობლემის, სოციალური რეფორმისა.

როცა ერთმა დეპუტატმა მარჯვნიდან დაუძახა ჟორესს, თქვენ თვითონ არ იცით, რით უნდა შესცვალოთ თანამედროვე საზოგადოებაო, ჟორესმა მოიყვანა აღმაშფოთებელი ციფრები კაპიტალის, სიმდიდრის, საკუთრების განაწილების შესახებ საფრანგეთში: ერთი მუჭა მილიონერებს დაუპირდაპირა მრავალმილიონიანი მშრომელი ხალხი, რომელსაც ჯიბე და კუჭი მუდამ ცარიელი აქვს... თანაც დააყოლა: ჩვენ გვინდა, რომ აქ მოხდეს ძირითადი გადაჯგუფება. გაბატონებული კლასის, ექსპლუატატორების სიმდიდრე, მთელი მათი კაპიტალი, მუშის ხელით შექმნილი, უნდა გადაეცეს მშრომელ ხალხს. ასეთ განაწილებას მოვითხოვთ ჩვენ. ამ დროს დეპუტატმა მარკიზ-დე-ბრიონმა დაიძახა: ეგ განაწილება კი არა, ექსპროპრიაციაა, რაზედაც ჟორესმა უპასუხა:

— დიახ, ბატონო დე-ბრიონ, ეს არის ექსპროპრიაცია, რომელსაც მოვითხოვთ ჩვენ, სოციალისტებიო. ამას მოჰყვა დიდი ხმაური პალატაში, ირონიული, დამცინავი რეპლიკები, პროვოკაციული შეკითხვები. მემარჯვენეები ცდილობდნენ ყვირილით ჟორესისათვის ხელი შეეშალათ. მარცხენა მხრიდან ისმოდა ტაშისცემა და „ბრავოს“ ძახილი.

— ბატონებო, მიმართა ჟორესმა მარჯვენა მხარეს, გაფრთხილებთ... მე ცოტად თუ ბევრად გამოცდილი ვარ გამოსვლებში, დისპუტებში და ჩემ დაბნევას თქვენ ვერ შეძლებთ... ამასთან, გაცნობებთ, რომ იდეის გამარჯვებას ვერ შეაფერხებს თქვენი ირონია, სარკაზმი და გულისწყრომა.

მიუხედავად ხმაურისა, მან განაგრძო.

— ახლა შეუძლებელია დეტალურად და ზუსტად აღვნიშნო, თუ რანაირ ორგანიზაციულ ფორმას მიიღებს სოციალისტური საზოგადოება. არც იმის თქმა შეიძლება ჯერ-ჯერობით, მიიღებენ თუ არა რაიმე ჯილდოს ექსპროპრირებული კაპიტალისტები... ამის შესახებ სოციალისტურ პარტიაში დებატები გრძელდება...

ხმაური არ ცხრებოდა. მარჯვენა მხრიდან გაისმა: — იმ ჯილდოსაც ექსპროპრიაცია მოელის. ჟორესმა განაცხადა, რადგან სიტყვის გაგრძელება ახლა ფიზიკურად შეუძლებელი გახდა. ამიტომ წინადადებას ვიძლევი ჩემი სიტყვა გადატანილ იქნას პარლამენტის შემდეგ სხდომაზეო.

სიტყვის მეორე ნახევარი ჟორესმა თითქმის მთლიანად მოანდომა თავისი სოციალისტური იდეალის, სოციალისტური კონცეფციის განმარტებას, დახასიათებას და დაფუძნებას. ჩემს გაკვირვებას, რომელიც გაუგებრობას

უაჩლოვდებოდა, იწვევდა ის, რომ ასეთი მგზნებარე ბრძოლის ენერგიით აღსავსე და უეჭველად თავდადებული მომამგე მუშათა კლასისა, ასე არარეალურად და გულუბრყვილოდ ოცნებობდა და აზროვნებდა სოციალიზმის გამარჯვების და განხორციელების შესახებ: სოციალიზმი ევოლუციის, კანონიერების, სოციალური რეფორმების, ჰუმანიზმის და მშვიდობიანობის გზით. ის არ უარყოფდა აგრეთვე დარწმუნების საშუალებასაც. ისტორია ურიცხვი ფაქტებით და მაგალითებით არის სავსე, რომელნიც ღაღადებენ იმაზე, რომ ეს პროლეტარიატის განთავისუფლების გზა არ არის, რომ ეს გზა საბოლოოდ მიდის მტერთა ბანაკში.

ჟორესი პრინციპულად წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ძალადობისა მუშათა მოძრაობაში. მისი პოლიტიკური პროგრამა და პოზიცია სავსებით უარყოფდა აქტიურ კლასობრივ ბრძოლას, რევოლუციურ შეტევას და თავდაცვას, მეთოდს და საშუალებას. მისი სოციალიზმი რეფორმისტული მოძრაობის და მოქმედების შედეგად ისახებოდა, და თუ რაიმე ფიზიკურ შეტაკებას და მსხვერპლს ჰქონდა ადგილი, ის ასეთ ფაქტებს არა ბუნებრივად და შემთხვევითად სთვლიდა და იყენებდა მათ მხოლოდ საპროტესტო მასალად მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალს სდებდა უკანონო და უწესო მოქმედებაში, კაპიტალისტური კლასის ეგოიზმის მომხრეობაში და დაცვაში, ის არ ფიქრობდა, რომ ასეთი ბრძოლა, ასეთი ძალთა შეხლაშემოხლა სრულებით ბუნებრივი და აუცილებელი იყო, ამას ღაღადებდა მსოფლიო მუშათა მოძრაობის ისტორია და განსაკუთრებით საფრანგეთის მუშათა კლასის განთავისუფლება მას არ ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც რევოლუციური ძალადობის აქტი...

როცა ჟორესს ვუსმენდი, ჩემთვის სრულებით აშკარა იყო, რომ ჟორესიზმი ფრანგული მენშევიზმია და მენშევიზმი არსებითად იგივე ჟორესიზმია, საკვირველი იყო, მხოლოდ ის, რომ ჟორესი ასე აშკარად უვლიდა გარს გაშლილი გადამწყვეტი ბრძოლის ასპარეზს და რაღაც პოლიტიკურ ნამცეცობაში ხარჯავდა თავის დაუცხრომელ ენერგიას.

კლემანსოს გამოსვლა უეჭველად ორატორული და პოლემიკური ნიჭით იყო აღბეჭდილი, მაგრამ მისი იერიშები სოციალისტური პარტიისა და განსაკუთრებით, ჟორესის წინააღმდეგ დემაგოგიით აღსავსე და ყოველგვარ ობიექტურობას მოკლებული, ხშირად უტიფრობამდეც კი მიდიოდა. მაგალითად, ის წარბშეუხრელად მიმართავდა ჟორესს და მის ამხანაგებს: — მე ბურჟუაზიული მინისტრი თქვენგან, სოციალისტებისაგან ვიცავ და ვშველი მუშათა კლასსო, ან პირდაპირ ჟორესის მიმართ: — თქვენ ძალა არ შეგწევთ პასუხი გამცეთ, მაგრამ მე თქვენ გზოგავთ და ლმობიერად გიპასუხებთო. მაგრამ მიუხედავად ასეთი თავხედური ყოყოჩობისა, მის გამოსვლებში [illegible] მაინც კრთოდა შიში და მორიდება ჟორესის წინაშე. მისი „აბსოლუტური ინდივიდუალიზმი", ან როგორც თვითონ უწოდა, „ინდივიდუალიზმის სილამაზე", პოლიტიკურ მოქმედებაში გამოსახული, არავითარ ახალს და ორიგინალურს არ წარმოადგენდა. ეს იყო ხელოვნურად შენილბული და ყალბი ჰუმანიზმით გაფერადებული, მუშათა კლასის და მშრომელი ხალხის მძულვარებით გამსჭვალული ბურჟუაზიულ-სოციალური კონსერვატიზმი, როგორც მას ახასიათებდა ჟორესი.

მიუხედავად ამისა, კლემანსო მაინც იწვევდა ჟორესს, ერთად დავიცვათ რესპუბლიკა შესაძლებელი საფრთხისაგანო. ეს არ იყო მოკლებული ლოგიკას, თუ აქ იგულისხმებოდა რეაქციის თავდასხმა რესპუბლიკაზე. მაგრამ ეს მოწოდება დემაგოგიური მოტივით იყო გამოწვეული, რადგან ჩრდილში რჩებოდა კლემანსოს უფრო რეალური განზრახვა: რეაქციასთან კავშირი სოციალისტების წინააღმდეგ. განა მოსალოდნელი იყო, რომ კლემანსო სოციალისტებთან ხელიხელჩაკიდებული იერიშს მიიტანდა ანტირესპუბლიკურ ბანაკზე? განა მოსალოდნელი იყო ასეთი მოქმედება კლემანსოსგან, რომელმაც მთავრობაში თავის შეყოფისთანავე რუსეთის მეფეს ნდობა და სიმპათია გამოუცხადა; რომელმაც ხელები გაისვარა პანამის არხის მშენებლობის ბინძურ საქმეებში, რასაც შედეგად მისი გაშავება მოჰყვა ადრინდელ არჩევნებში? მისი მორალური ფიზიონომია სიფაქიზეს მოკლებული იყო. მაგრამ მან, დიდად მოხერხებულმა პოლიტიკოსმა, აღიდგინა თავისი პოპულარობა დრეიფუსის საქმეში ჩარევით და სამართლიანობის მხარის დაჭერით. ეს ახლა გამოდიოდა ამაყად, კისერმოღერებული, რადგან კარგად იცოდა, რომ მის ბანაკში, მის პარტიაში მისი შეცვლა არავის არ შეეძლო. ის მირონცხებული ბელადი იყო რესპუბლიკური ბურჟუაზიისა.— მე არ მწამს თქვენი კოლექტივიზმი (სოციალიზმი), რადგან იგი აბსოლუტურ ილუზიას წარმოადგენს. თანამედროვე სინამდვილესა და თქვენი სოციალისტური მომავლის შუა უთვალავი სოციალური სიტუაცია, ფორმა და კონცეპცია არსებობს. თქვენ ჯერ უნდა აღზარდოთ მორალურად და ინტელექტუალურად უზენაესი პიროვნება და როცა ასეთი პიროვნებებისაგან შედგება მუშათა კლასი, მაშინ შეგიძლიათ ილაპარაკოთ კოლექტივიზმზე. თქვენ პირდაპირ ცდილობთ შექმნათ მომავალი. ჩვენ კი ვქმნით ჯერ ადამიანს, რომელიც შექმნის მომავალს... მიმართავდა კლემანსო სოციალისტებს. სოციალისტური პროგრამის მეორე ნახევარზე, ე. ი. პროგრამა მინიმუმზე მან თქვა, რომ ის სრუ-

ლებით ბურჟუაზიულიაო. — ჩემი პროგრამა თქვენ კარგად იცით, — მიმართა მან ჟორესს. — ის თქვენ ჯიბეში გაქვთ, განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ჩემი პროგრამა უფრო სოციალისტურია, ვიდრე თქვენი.

ö.ს ამით იმის დამტკიცება სურდა, რომ სოციალური რეფორმების ნიადაგზე შესაძლებელია და სასურველი სოციალისტების და რესპუბლიკელების შეთანხმება, და ვინც ასეთ შეთანხმებას მხარს არ დაუჭერს, მას დაედება ბრალი, როგორც განხეთქილების ჩამდენ დამნაშავესო. თავისი მთავარი დებულების — კაპიტალისტური კლასის და პროლეტარიატის, კაპიტალისა და შრომის წინააღმდეგობის ლიკვიდაციის ბურჟუაზიის სასარგებლოდ, დასაფუძნებლად მან მოიყვანა იქვე მჯდომი დეპუტატ— სოციალისტის ვარენის სტატიიდან („Lanterne“) ციტატები, სადაც ვარენი უარყოფდა ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას და მოქმედებას და მხოლოდ ხანგრძლივი ევოლუციის გზით და საყოველთაო არჩევნების საშუალებით ლამობდა სოციალიზმის განხორციელებას. მას აგრეთვე არ დავიწყნია ასეთი ავტორიტეტი სოციალ-ოპორტუნისტული წრეებში, როგორიც იყო ედუარდ ბერნშტეინი და წაიკითხა მისი წიგნიდან „სოციალიზმის თეორია და სოციალ-დემოკრატია“ ერთი დიდი ციტატა, რომელიც მთავრდება ავტორის ცნობილი ფრაზით: „მოძრაობა ჩემთვის ყველაფერია, ის კი, რასაც უწოდებენ საბოლოო მიზანს, სოციალიზმი, არაფერი“. რა თქმა უნდა, ჟორესი შესანიშნავი ნიჭით, ცოდნით, ორატორული ხელოვნებით დაჯილდოებული სავსებით გათელავდა და გაანადგურებდა რადიკალების პარტიის და მისი ბელადის პოლიტიკას, მაგრამ თვითონ მას ხელთ არ ეპყრა მარქსიზმის მკვეთრი მახვილი და ფეხს ვერ იმაგრებდა რეფორმიზმის ფხვიერ ნიადაგზე. მისი რეფორმიზმი და ევოლუციონიზმი, რევოლუციური კლასიკ.რივი ბრძოლის განზე დატოვება და პარლამენტარული ტაქტიკა ასუსტებდა მის იერიშებს და ათავხედებდა მოწინააღმდეგეს. ამიტომ კლემანსო მოუწოდებდა ჟორესს: ჩვენ უნდა შევრიგდეთ, შევერთდეთ, შევთანხმდეთ, რადგან ჩვენი პოლიტიკური პოზიციები, ჩვენი იდეალები — სოციალური რეფორმიზმის პროგრამა — ერთი და იგივეაო.

* * *

მაშინ მე, როგორც უკვე ავღნიშნე, გულდასმით ვკითხულობდი და ვთარგმნიდი ამ პარლამენტარულ პოლემიკის ანგარიშებს ჩემი ფრანგულის მასწავლებლის, დიასახლისის ქალიშვილის, მშვენიერი სუზანა ბადუელის დახმარებით. მე აღარ მახსოვს, რატომ ატარებდნენ დედა და შვილი სხვადასხვა გვარს. სუზანას ძმა, არმიის ოფიცერი, მადაგასკარზე მსახურობდა და ისიც გვარად ბადუელი იყო. სუზანა პარიზში იყო დაბადებული და გაზრდილი და მის გარე არსად არ ყოფილა. მან სრულებით არ იცოდა სოფლის ცხოვრება. ფრინველები და შინაური ცხოველები მხოლოდ სურათებზე ჰქონდა ნახული და ძალიან უკვირდა, რომ მე სახელმძღვანელოში უცბად ვცნობდი და ვარჩევდი იხვს, ბატს, თხას, ცხვარს, ღორს, ვირს და სხვ. კავკასიაზე და საქართველოზე წარმოდგენა არ ჰქონდა. ქართველებზე იცოდა მხოლოდ ის რაც La Rousse-ის ლექსიკონში ეწერა: ქართველები ულამაზესი ერია მთელ დედამიწაზეო. მას აინტერესებდა ქართველი ქალების სილამაზე.

— ქალებიც ისე ლამაზებია, როგორც მამაკაცები? მე დავუდასტურე და თანაც ვუთხარი:

— თქვენ ძალიან გავხართ ქართველ ქალს... საქართველოში რომ ჩამოხვიდეთ, ვერავინ ვერ იტყვის, რომ თქვენ უცხოელი ხართ...

მას მანამდი ოდნავ ნაღვლიანი თვალები გაუბრწყინდა სიხარულით.

— მართალს მეუბნებით?... თუ კომპლიმენტია?...

— არა, სრული სიმართლეა... მე კომპლიმენტები არ ვიცი...

ერთხელ ქუჩიდან გამოსავალ კარებში პირდაპირ შევეჩეხე ვიღაც მაღალ, გამხდარს წვერიანს და არამიმზიდველი გარეგნობის ახალგაზრდას. ის, როგორც ჩანდა, დიასახლისის და სუზანას ახლო ნაცნობი იყო, და პირდაპირ შევიდა მათთან. მეორე დღეს გაკვეთილის დროს შევეკითხე სუზანას:

— ვინ იყო გუშინ ის მაღალი, წვერიანი, სათვალეებიანი ახალგაზრდა?

— ის ჟიულ გედის ვაჟია... ინჟინერი... ჩვენი ახლო ნაცნობი...

— როგორ ჰგავს მამას...

— ძალიან, ულამაზოა? არა?....

— სილამაზე ქალებისთვის არის საჭირო.. ვაჟკაცს ვაჟკაცობა ალამაზებს.

მან ჩაფიქრებული დაჰყო რამდენიმე ხანი და შემდეგ მომიბრუნდა და მშრალი ხმით მითხრა:

— ის ჩემი საქმროა!...

მე მივულოცე და ვუსურვე ბედნიერება. მან მოასწრო ერთი სამადლობელი სიტყვის თქმა, სწრაფად ადგა და გავიდა ოთახიდან.

ამ დროს მივიღე ცნობა, რომ ჩვენი შეკვეთილი იარაღის მზადება ცოტა ხანში უნდა დამთავრებულიყო. ფაბრიკანტი (ბეკერი) გვატყობინებდა, რომ მას შეუძლია ჩაგვაბაროს ყველაფერი მთლიანად დაახლოებით ერთი თვის ან თვენახევრის განმავლობაში, და ჩვენ მოვმზადებულიყავით მისაღებად. მე საჩქაროდ უნდა წავსულიყავი ლიეჟში და იქ დავლოდებოდი

ლიტვინოვს, რომელსაც ტრანსპორტის საქმე ევალებოდა. მე გამოვეთხოვე დიასახლისს, სუზანას და ჩემი ჩემოდნით გავემართე ფიაკრისაკენ, რომელიც მიცდიდა. სუზანა გამომყვა ქუჩაში.

— თქვენ აღარ დაბრუნდებით? შემეკითხა.

— აღარ, ვუპასუხე მე და ხელმეორედ გამოვეთხოვე. მას ოდნავ ტუჩები უთრთოდა და წამწამებზე ცრემლი ეკიდა...

— მაშ, სამუდამოთ?...

— ალბათ...

სანამ ფიაკრი სხვა ქუჩაზე მოუხვევდა, უკან მოვიხედე, სუზანა იქვე იდგა...

ლიეჟში ჩასვლისთანავე ბორის სტომონიკოვმა, რომელიც მაშინ იქ სწავლობდა პოლიტექნიკუმში, გამაფრთხილა:

— აქაურ გაზეთებში გაირბინა ცნობამ, რომ ინკოგნიტოდ ჩამოსული წარმომადგენლები დიდძალ იარაღს ყიდულობენ მაკედონელებისათვისო. ეს ვერსია კონსპირაციის მხრით თუმცა ხელსაყრელი იყო, მაგრამ ვარჩიე კვალი მომესპო და ჟენევაში გადავწყვიტე წასვლა.

* * *

მას შემდეგ განვლო მრავალმა წელმა და ერთმა ჩემმა ახლო ამხანაგმა, ქართველმა, რომელიც ვაჭრობის წარმომადგენლად იყო დანიშნული პარიზში, შემდეგი მიამბო: — ჩემთან წარმომადგენლობაში მოვიდა ვიღაც უცნობი ფრანგი ქალი, კარგი გარეგნობის, ჯერ კიდევ ახალგაზრდული შეხედულების, მიუხედავად იმისა, რომ მის თმაში აქა-იქ თეთრი გამოკიაფობდა. მან ბოდიში მოიხადა და მკითხა:

— თქვენ ქართველი ბრძანდებით?

ჩემი დასტურის შემდეგ მან განაგრძო:

— მე თქვენ არ მიცნობთ... გავიგე, რომ თქვენ ქართველი ხართ... გაგონილი მაქვს აგრეთვე, რომ თქვენ თქვენს ქვეყანაში ყველა ერთმანეთს იცნობთ და ამიტომ გავბედე თქვენი შეწუხება. რუსეთის რევოლუციის შემდეგ პარიზში ჩამოვიდა ერთი ქართველი ახალგაზრდა და ჩვენთან, დედაჩემის პანსიონში, ცხოვრობდა თითქმის ხუთი თვე. ის ემიგრანტი არ ყოფილა, რაღაც საქმე ჰქონდა...

— მან დაგასახელა შენ.. . ეშმაკური ღიმილით მითხრა ჩემმა მეგობარმა და განაგრძო უცნობი ქალის ნაამბობი:

— მაინტერესებს მისი ამბავი... როგორ არის? მე შეიძლება არც ვახსოვარ... ხომ არ ჩამოვა პარიზში? თუ ნახოთ, გადაეცით ჩემი გულითადი მოკითხვა... უთხარით, რომ მე ის მუდამ მახსოვს. მე სუზანა ბადუელი ვარ. ქმარშვილი მყავს. ჩემი ქმარი ჟიულ გედის შვილია.

მე ვუთხარი, — თქვა მეგობარმა, — რომ მე შენ კარგად გიცნობ. ვყოფილვარ შენს ბინაზე პარიზში... რომ შენ ცოლშვილის პატრონი ხარ... ამ სიტყვაზე ის უცბად შემეკითხა: — როგორია მისი ცოლი? — მე დაწვრილებით მოვუყევი თქვენი ამბავი. ის გულდასმით მისმენდა და ბოლოს ადგა, მადლობა გადამიხადა და მითხრა: თუ თქვენ ჩემი ნახვა დაგჭირდეთ, აი, ჩემი მისამართი... ის ჩაფიქრებული გავიდა ოთახიდან.

რამდენი ხანი ვიდექი ბერტოლეს ქუჩაზე ნაცნობი სახლის წინ, აღარ მახსოვს ყველა ამ ამბებმა ელვის სისწრაფით გაიარა ჩემს მეხსიერებაში.

— ორმოცმა წელმა განვლო მას შემდეგ... ჩავილაპარაკე და გავიხედე შორეულ წარსულისაკენ.

— წავიდე?... ვნახო?.. — შევეკითხე ჩემს თავს...

— არა... რად მინდა? ვუპასუხე მე თვითონ და გავეშურე ჩვენი საელჩოსკენ გრენელის ქუჩაზე, რაღაც გამოურკვეველი გრძნობით შეპყრობილი.

* * *

**ლუქსემბურგის სასახლე** თავის პარკით ფრანგული არქიტექტურის საუცხოო ნიმუშია. ის ააშენა უნიჰიერესმა სოლომონ დე-ბროსმა. ამ სასახლის კედლებში გაიარა საფრანგეთის დიდმა ამბებმა. შეიძლება ითქვას, რომ ლუქსემბურგის სასახლე დიდად მნიშვნელოვანი ნაწილია საფრანგეთის და მისი ხალხის ისტორისა. ის ხელიდან ხელში გადადიოდა. მარია მედიჩიმ იგი თავის შვილს გასტონ ორლეანელს უანდერძა და შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ორლეანელები ფლობდნენ მას. მათ მოჰყვა ლუი XVI და ბოლოს ლუი XVIII, რომელიც საფრანგეთის რევოლუციამ გამოცოცხა იქიდან. რევოლუციის შემდეგ აქ იყო მოთავსებული ჯერ დირექტორია, შემდეგ კონსულატი და ბონაპარტე, როგორც საფრანგეთის პირველი კონსული, და ეს ისტორიული ეტაპი დამთავრდა მით, რომ ნაპოლეონმა აქ დაიდგა თავის საიმპერატორო ტახტი. არც ამ ტახტს ჰქონია ხანგრძლივი არსებობა. ერთხელ კიდევ აღადგინეს აქ ნაპოლეონის ტახტი, მაგრამ ეს ნაპოლეონი იყო მესამე და უკანასკნელი. დარჩა მხოლოდ მისი სახელი: Salle du Trône á Napoleon III. სასახლეში არის მოთავსებული შესანიშნავი ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავს თითქმის ოთხას ათას ტომს და იშვიათი მანუსკრიპტების კოლექციას. აღსანიშნავია, აგრეთვე, ის საინტერესო ფაქტი, რომ ბიბლიოთეკარებად ამ წიგნსაცავში ყოფილან საფრანგეთის გამოჩენილი მწერლები: ფრანსუა კოპე, ლეკონტ დე-ლილი, ანატოლ ფრანსი. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ბიბლიოთეკა შემკულია სახელგანთქმული მხატვრის დელაკრუას დეკორატიული ნახატებით. მაგრამ

ადამიანის გენიის ეს ბრწყინვალე ქმნილება, ლუქსემბურგის სასახლე შეიცავს აგრეთვე საფრანგეთის შორეული რევოლუციური წარსულის საშინელ ნაშთსაც. ეს არის საპყრობილე, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი წუთები დალიეს რევოლუციის ისეთმა დიდმა მონაწილეებმა და მოღვაწეებმა, როგორიც იყვნენ დანტონი, კამილ დემულენი, ფაბრ დეგლანტინი, გამოჩენილი მხატვარი, რობესპიერის მეგობარი დავიდი, ჟირონდისტებმა ვერნიოს მეთაურობით და სხვა მრავალმა ხალხის მტერმა და მოყვარემ. აქედან გაჰყავდათ დღისით გრევის მოედანზე ტუსაღები საჯაროდ თავის მოსაკვეთად. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ისტორიაში აღნიშნული ერთი ფაქტი. როცა დანტონი დააყენეს გილოტინის დანის ქვეშ, მან მიმართა ჯალათს და უთხრა:

— როცა ჩემი მოკვეთილი თავი ჩავარდება კალათში, გთხოვთ ამოიღოთ და აჩვენოთ ხალხს, რადგან ის ღირსია, რომ მას ხალხმა შეხედოსო.

უკანასკნელი იმპერიალისტური ომის დროს ლუქსემბურგის სასახლე გერმანელების სამხედრო ავიაციის შტაბმა დაიკავა და ასაფეთქებლად მოამზადა, როცა შტაბი აფეთქებას საჭიროდ ჩათვლიდა. მაგრამ ის ორმა გმირმა ფრანგმა პატრიოტმა გადაარჩინა დანგრევას და განადგურებას.

* * *

კონფერენციის გახსნისთანავე გამომჟღავნდა მისი პოლიტიკური ფიზიონომია, თავმოყრილ ძალთა განლაგება, განწყობილება და დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, თავიდანვე ცხადი იყო ჩვენი უმცირესობაში ყოფნა და მოწინააღმდეგეთა უმრავლესობა. მაგრამ მექანიკური, რიცხვობრივი უმცირესობა ანუ უმრავლესობა არ სწყვეტს საბოლოოდ საკითხს პირველის ან მეორეს გავლენის და მნიშვნელობის შესახებ. გუშინდელი ჩვენი მოკავშირენი, რომელნიც თითქმის მუხლმოდრეკილი ევედრებოდნენ ჩვენ მთავრობას დახმარებას, ხსნას და შველას, განსაკუთრებით არდენებში ბრძოლის დროს (1944 წლის დეკემბერში) და, მართლაც, ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა მაშინ ისინი იხსნა განადგურებისა და დაღუპვისაგან, ახლა, ეს ჩვენ მიერ გადარჩენილნი, ჩვენ წინააღმდეგ დაირაზმნენ და შექმნეს ანტისაბჭოთა ბლოკი. მოკლედ რომ ვთქვათ, კონფერენციაზე შედგა ორი ბანაკი: ანტიიმპერიალისტური და ანტიდემოკრატიული. დემოკრატიულ ბანაკში იყვნენ: ბელორუსია, უკრაინა, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ჩინეთი, იუგოსლავია. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 21 სახელმწიფო. ჩვენი ჯგუფის უზრუნველყოფილი და სტაბილური შემადგენლობა ექვსი წარმომადგენლისაგან შედგებოდა. ადვილი შესაძლებელი იყო, გზადაგზა რაიმე საკითხის გარჩევის და გადაწყვეტის დროს რომელიმე ქვეყნის წარმომადგენელი მოგვმხრობოდა, მხარი დაეჭირა ჩვენი პოზიციას და რევოლუციისათვის. ამიტომ პროცედურის საკითხი: ორი მესამედის ხმით, თუ უბრალო უმრავლესობით უნდა გადაჭრილიყო საკითხები, მწვავე დებატების საგანი შეიქნა. ანტიდემოკრატიულ ბანაკს ეშინოდა ორი მესამედის, რადგან ერთ მესამედს ორი ხმაც რომ მიმატებოდა, რაც ადვილი შესაძლებელი იყო, უმრავლესობას დამარცხება მოელოდა. ამიტომ იქნა მიღებული უმრავლესობის ბლოკისათვის გარანტირებული დადგენილება: საბოლოოდ საკითხს სწყვეტდა საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო.

მთავარი და ძირითადი საკითხი მდგომარეობდა იმაში, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ომში მიღწეული გამარჯვება. ჩვენთვის ეს სრულებით აშკარა და ნათელი იყო. მხოლოდ ზავის, სიმშვიდის, ხალხთა თანასწორობის და შრომის თავისუფლების მიზნით. ამერიკის შეერთებული შტატებისა, ინგლის-საფრანგეთის და მათ ამყოლთათვის მხოლოდ იმპერიალისტური ძალადობის და ბატონობის მიზნით. აი, ამ რკალში სწარმოებდა ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა წარმომადგენლობა უმცირესობაში იმყოფებოდა, მისი რეალური და პოტენციური ძალა და მნიშვნელობა არ აძლევდა საშუალებას იმპერიალისტებს სავსებით ჩაეგდოთ ხელში კონფერენცია და თავისუფლად ეფარფაშათ და ებატონათ. აი, მაგალითად, საბერძნეთის ფაშისტურმა წარმომადგენლობამ მოიწადინა წაერთმია ალბანეთისათვის და დაესაკუთრებია 1/3 და ბულგარეთისათვის კი 1/10 მათი ნაციონალური ტერიტორიისა. მაგრამ ეს ჩრდილო ამერიკის და ინგლისის მიერ ინსპირირებული ფაშისტურ-იმპერიალისტური იერიში ბულგარეთის და ალბანეთის მიწა-წყალზე და მათ სუვერენიტეტზე მიტანილი, ჩვენი დელეგაციის მედგარი გამოსვლით უკუგდებულ იქნა. სამაგიეროდ ბულგარეთის კანონიერი მოთხოვნა მისი ღვიძლი ნაციონალური, ბულგარელებით დასახლებული, ტერიტორიის — დასავლეთ ფრაკიის — დაბრუნების შესახებ კონფერენციის უმრავლესობამ უარყო. ასეთივე ბედი ეწვია ტრიესტის საკითხს, როცა იუგოსლავიის წარმომადგენელმა განაცხადა, ტრიესტი იუგოსლავიასთან არის დაკავშირებული ეკონომიურად და ნაციონალურად, იტალიას მასთან არაფერი საერთო არა აქვს და ამიტომ ის უნდა იუგოსლავიას შეუერთდესო. იმპერიალისტებს კი ტრიესტის ხელიდან გაშვება არ უნდოდათ, რადგან ის, როგორც ბალკანეთისაკენ მიმართული, სამხედრო ბაზა მათთვის დიდად საჭირო და მნიშვნელოვანი იყო. იმპერიალისტური დელეგაციები პარიზის საზავო კონფერენციაზე ისეთ ცინიზმამდისაც კი მივიდნენ, რომ მოიწადინეს თავის დიქტატის პოლიტიკუ-

რად და ორგანიზაციულად დამყარება ევროპაში. ასეთი პროექტის ავტორები იყვნენ ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ორი თავის წარმომადგენელის სახით: ინგლისელი — ბევინის და ამერიკელი ბირნსის. აღმაშფოთებელი იყო ბევინის მოქმედება. ბევინი — ლეიბორისტი და ლეიბორისტული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი, წარმოშობით პროლეტარი, უღატაკესი წრიდან გამოსული, ყოველნაირ გაჭირვებას, უმწეობას შეჩვეული და გამოვლილი, უსწავლელი, დიდი ხნის წვალებისა და ტანჯვის შემდეგ პროფკავშირში შეხიზნული და იქ დაწინაურებული, აქ კონფერენციაზე მოგვევლინა, როგორც ფაშისტურ-იმპერიალისტურად განწყობილი მოწინააღმდეგე. ის თვითონ აღიარებდა თავის ბავშვობის და სიყმაწვილის ტანჯვა-წვალებას: — ჩემი ბინა და ღამის სათევი ლონდონის ხიდებქვეშ იყო. ხანდახან შიმშილისაგან ღონემიხდილი წვრილ ქურდობასაც მივმართავდიო. ადგილიდან ვიშინსკიმ მიაძახა:

— მე და თქვენ მსგავს მდგომარეობაში ვყოფილვართ: ჩვენ ორთავემ ვუღალატეთ ჩვენ მშობლიურ კლასებს, თქვენ პროლეტარიატს და მე ბურჟუაზიასო. ამ რეპლიკამ სიცილ-ხარხარი გამოიწვია დარბაზში. აი, ეს წმინდა წყლის პროლეტარი იმპერიალისტურ აპოლოგეტად და ფაშისტად გადაქცეული, გამგრძელებელი ჩერჩილის კონსერვატულ მთავრობის აგრესიული პოლიტიკისა, საბჭოთა კავშირის მტერი და ფრანკოსადმი კეთილგანწყობილი, იყო ავტორი იმ პროექტისა, რომელსაც ეწოდებოდა „ევროპის საერთაშორისო სასამართლო ადამიანის უფლებათა შესახებ“. ამ ორგანიზაციის დანიშნულება და მიზანი ყველასათვის აშკარა იყო. ის წარმოადგენდა იმპერიალისტურ მთავრობათა საკონტროლო აპარატს, რომელიც მათ იურიდიულ საშუალებას მისცემდა ჩარეულიყვნენ ყველა ომში მონაწილე სახელმწიფოთა შინაგან ცხოვრებაში, ვითომც დადებულ საზავო ხელშეკრულებათა ზუსტ და სწორ შესრულებისათვის თვალყურის სადევნელად და ადამიანის უფლებების დასაცავად. აქ, რასაკვირველია, იგულისხმებოდა დემოკრატიული ბანაკი საბჭოთა კავშირის მეთაურობით. ჩვენი დელეგაცია ეკითხებოდა: რით აიხსნება ის, რომ თქვენ ასეთ მზრუნველობას იჩენთ, მაგალითად, ბულგარელთა ადამიანურ უფლებათა დაცვაში და სრულებით არ ზრუნავთ ჩრდილო ამერიკაში ზანგების, ჰოლანდიის კოლონიებში ინდონეზიელების მიმართო. ეს პროექტი, ავსტრალიელი დელეგატის სახელით შენიღბული, უარყოფილ იქნა. რაზე ამყარებდნენ იმპერიალისტური დელეგაციები იმედებს, როცა ისინი ცდილობდნენ მათი დიქტატურის და კონტროლის გავრცელებას ომში მონაწილე ქვეყნებზე? სამ მთავარ გარემოებაზე: რეაქციურ ელემენტებზე თვით დემოკრატიულ ქვეყნებში, განხეთქილების ჩამოგდებაზე მათ ბანაკში და ევროპიელი ქვეყნების ამხედრებაზე მათ წინააღმდეგ. აღსანიშნავია ის, რომ ხელშეკრულებათა პროექტები გამომუშავებული იყო საგარეო მინისტრთა საბჭოებზე — ლონდონში, პარიზში და მოსკოვში. მიუხედავად ამისა ინგლის—ჩრდილო ამერიკის წარმომადგენლები ყოველ ღონეს ხმარობდენ დაერღვიათ მათ მიერ დადასტურებული მუხლები და შეექმნათ კონფლიქტური მდგომარეობა კონფერენციაზე. შეექმნათ საბჭოთა კავშირისათვის რთული და კრიტიკული პირობები. როგორც იტყვიან, მღვრიე წყალში თევზის ჭერაო, ეს ხომ მათი ნაცადი ტაქტიკა იყო მუდამჟამს. მაგალითად, რეპარაციები ფინეთისაგან გათვალისწინებული იყო — 300 მილიონი დოლარი. კონფერენციაზე ფინელებმა აღძრეს (ინგლის-ჩრდილო ამერიკის ფარული ინსპირაციით) საკითხი ამ თანხის შემცირებაზე 100 მილიონ დოლარამდე. მაგრამ ამ ცდამ ამაოდ ჩაიარა. ასეთივე დავა და კამათი შეიქმნა იტალიის რეპარაციების შესახებ საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ, რომელნიც მხოლოდ 100 მილიონი დოლარით — განისაზღვრებოდა. ჩვენი დელეგაცია ამხელდა და აქარწყლებდა ამ ავანტურისტულ, ყოველგვარ მორალურ და იურდიულ საფუძვლიანობას მოკლებულ ხრიკებს. მთელმა მსოფლიომ იცოდა, რომ 100 მილიონიანი რეპარაცია ფაშისტურ იტალიისაგან უმცირეს ნაწილს შეადგენდა იმ დიდი ზარალისა, რაც იტალიის ჯარებმა მიაყენა საბჭოთა კავშირს. ამის უარყოფა აშკარა ცინიზმი, უტიფრობა და უპკუობა იყო. ამავე დროს ინგლისი მოითხოვდა იტალიისაგან 11 მილიარდ დოლარს რეპარაციის სახით, საბერძნეთი — 2 მილიარდს და 877 მილიონ დოლარს, ეთიოპია — 779 მილიონ დოლარს, ეგვიპტე — 545 მილიონ დოლარს და მექსიკა — 50 მილიონ დოლარს. ჩვენი მხრით ასი მილიონი დოლარის მოთხოვნა იტალიისაგან უდიდესი შეღავათი და დაზოგვა იყო, თუ შევადარებთ მის მიერ მოყენებულ ზარალს და სხვა სახელმწიფოების გაუმაძღარ მოთხოვნას, რომელნიც ამ არა მდიდარ სახელმწიფოს უკანასკნელ ტყავს აძრობდნენ. ამ საკითხის გარშემო გაუთავებელი ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენ მოწინააღმდეგეთა სიტყვებში და გამოსვლებში არავითარი ობიექტური პრინციპულობის, სიმართლის და სამართლიანობის ნიშანწყალი არ ემჩნეოდა ისინი ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ და მხოლოდ ძარცვა-გლეჯის „კანონით“, რაც გულისხმობდა ზოგიერთის გაძარცვით ზოგიერთის დაჯილდოებას და მოსყიდვას თანახმად ინგლის-ჩრდილო ამერიკის იმპერიალისტების ინტერესებისა. მათ დასახული ჰქონდათ მიზნად მაქსიმალურად გამოეყენებიათ კონფერენცია თავისი მტაცებლური პოლიტიკის იარაღად. ამით

აიხსნება ის ფაქტი ,რომ საბჭოთა კავშირის მეგობრული ქვეყნები თავიდანვე ამოიღეს ნიშანში და დაუშინეს მათ მთელი თავისი დიპლომატიური არტილერია. აი, მაგალითად, ფაშისტურმა საბერძნეთმა იმპერიალისტური ბლოკის წაქეზებით და მხარდაჭერით მოითხოვა ბულგარეთისაგან 985 მილიონი დოლარი. ეს ნიშნავდა ბულგარეთის სრულ განადგურებას და საბჭოთა კავშირის ამ საყრდენის ძირის გამოთხრას. დიდი ვაივაგლახის და ბრძოლის შემდეგ ეს სარეპარაციო თანხა მექანიკურად დაიყვანეს 125 მილ. დოლარამდის. მეორე ჩვენი კავშირის მეგობარი სახელმწიფო — იუგოსლავია ასეთივე მდგომარეობაში ჩავარდა. იმპერიალისტურმა ბლოკმა იერიში იერიშზე მიიტანა მის წინააღმდეგ. მას მისცეს მხოლოდ 1/4 იმ მატერიალური ზარალისა, რაც მას ერგებოდა იტალიისაგან. ინგლისმა კი მოითხოვა იტალიისაგან თერთმეტჯერ მეტი ვიდრე ფასობდა ნამდვილი ზარალი იტალიის მიერ მიყენებული, და ასე სხვა. მსგავსად ამისა დაყენებული იყო აგრეთვე საკითხი კერძო მესაკუთრეთა, გაერთიანებულ მოკავშირე ერების მოქალაქეთა, ზარალის შესახებ მტრულ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე. ჩვენი დელეგაციის წინადადებით კერძო მესაკუთრეთა ზარალის ანაზღაურება არ აღემატებოდა 25%. მადაგახსნილმა იმპერიალისტთა ბლოკმა დაამტკიცა 75%. ამ ანგარიშის მიხედვით იტალიას უნდა გადაეხადა ინგლისელების, ჩრდილო-ამერიკელების და ფრანგების საკომპენსაციოდ 500 მილიონი დოლარი. უნდა ითქვას, რომ ჩვენი დელეგაცია ღირსეულად და მედგრად იცავდა თავის პრინციპიალურ პოზიციებს და სარბიელს უზღუდავდა იმპერიალისტთა ფარფაშს და თვითნებობას. მან ნიღაბი ჩამოგლიჯა იმპერიალიზმის წარმომადგენლებს, რომელნიც „თანასწორობის“, „ეკონომიური თავისუფლების“, „ერთნაირი შესაძლებლობის“ და „დოლარის დემოკრატიის“ ლოზუნგებით ცდილობდნენ თვალები აეხვიათ მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის და განეხორციელებიათ თავისი მტაცებლური, ექსპანსიური ზრახვები: შეემუსრათ დემოკრატიული ბანაკი და დაემყარებინათ, განსაკუთრებით აღმოსავლეთის და დემოკრატიის ქვეყნებში, თავის ბატონობა და დიქტატურა. ამ პოლიტიკამ კონფერენციაზე ვერ გაიმარჯვა. საერთოდ, როგორც ჩვენმა დელეგაციამ აღნიშნა, კონფერენციის შედეგები არ იყო დამაკმაყოფილებელი, მაგრამ კონფერენციის მუშაობას სულ ამაოდ არ ჩაუვლია. საზავო ხელშეკრულებათა დებულებანი გერმანიის ყოფილ ხუთ მოკავშირესთან (რუმინეთთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან, იტალიასთან და ფინეთთან) უმეტეს ნაწილად დამტკიცებული და მიღებული იქნა. გარდა ამისა ამ კონფერენციის დიდი მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ საბჭოთა კავშირი აქ მოევლინა მთელ მსოფლიოს, როგორც მძლავრი და შეუპოვარი დამცველი საერთაშორისო ზავისა, ხალხთა თანასწორობისა და მათი სუვერენიტეტისა, რაც აგრეთვე ნიშნავდა ევროპა-ამერიკის იმპერიალიზმის გაშიშვლებას და მხილებას, როგორც კაცობრიობის მტრისა და ხალხთა მჩაგვრელისა. ეს სინამდვილე კონფერენციის დამთავრებისას უკვე კარგად იგრძნო იმპერიალისტურმა ბანაკმა და მნიშვნელოვნად მოუკლო თავხედობას და აგრესიულობას, რადგან დარწმუნდა, რომ მისი ტლანქი აგრესიული პოლიტიკა სავსებით ვერ ამართლებს მის განზრახვებს და იმედებს. ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ უბედურებას დაატეხდა თავზე ხალხებს იმპერიალისტთა ბლოკი, რომ მის წინ არ აღმართულიყო საბჭოთა კავშირის სიმაგრე, მისი ძალა და ავტორიტეტი, და მის მოურიდებელ ფარფაშისა და მახინაციებისათვის ფრთები არ შეეკვეცა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დელეგაცია გამარჯვებული დაბრუნდა კონფერენციიდან.

• • •

კონფერენციის მსვლელობის დროს მე შევხვდი პარიზში მცხოვრებ ქართველ ემიგრაციის რამდენიმე წარმომადგენელს. პირველ ყოვლისა, მენშევიკების ლიდერს ცნობილ ნოე ჟორდანიას. უკანასკნელად მე ის ნანახი მყავდა 25 წლის წინათ (17. III. 1921 წ.), სწორედ იმ ღამეს, რომელიც მისთვის უკანასკნელი იყო საქართველოში, რადგან ვაგონიდან, სადაც ჩვენ შეხვედრას და ლაპარაკს ჰქონდა ადგილი, ის პირდაპირ გემზე უნდა გადაბარგებულიყო და გამგზავრებულიყო საზღვარგარეთ დაკარგული ბედის საძებნელად. საუკუნის მეოთხედმა განვლო მას შემდეგ და თან წარიტანა მისი ბევრი გაცრუებული იმედი, განზრახვა, ოცნება. როგორც პისარევი ამბობს: „Мечты и иллюзии гибнут, лишь факты остаются“. ფაქტი კი იყო — ცხოვრების საშინელი განაჩენი: პოლიტიკური არარაობა. ახლა უნდა მენახა ეს ადამიანი, რომელსაც კარგა ხანს ვყავდი დამწყვდეული საპყრობილეში და ჩემი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ხელთ ეპყრა. ის თავის პარტიაში გაცილებით ყველაზე მაღლა იდგა ჭკუით, ნიჭით, ცოდნით და სამართლიანად ითვლებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) ერთ-ერთ ბელადად და ბურჯად. ასე აფასებდენ მას ჩვენი პარტიის ბელადებიც, რაც მე პირადად გაგონილი მაქვს. შეხვედრა დანიშნული იყო ამხ. ილია თ-ძის ბინაზე, და მან მანქანა და გამომყოლიც გაუგზავნა. ცოტა ხნის შემდეგ ისიც მოვიდა. მე გამაკვირვა მისმა გარეგნობამ. ის მაღალი, მოსული და წარმოსადეგი კაცი, ახლა დაპატარავებულად მომეჩვენა, ძალზე გამხდარად, ფერნაკლულად, ბამბასავით თეთრი თმით და წვერით.

ჩვენ მივესალმეთ ერთმანეთს.

— სწორედ 25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გნახე... დროს ცოტა შენზედაც დაუჩენია კვალი.

— დრო თავისას შვება... მასთან ვერაფერს გააწყობ — ვუპასუხე მე.

რამდენიმე კითხვა-პასუხის შემდეგ, მე გადავედი შეხვედრის მთავარ საგანზე.

— ჩვენ გვაინტერესებს თქვენი აზრი ემიგრაციაში მყოფი ქართველების სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც მათ სამშობლო დასტოვეს. მათ არაფერი არ აკავშირებს საფრანგეთთან. იმაშიაც დარწმუნებული ვართ, რომ ყველას ენატრება უკან დაბრუნება და საქართველოში ცხოვრება. გარდა ამისა, ბევრი მათგანი ბავშვობაშია წამოყვანილი, ან აქ დაბადებული. ჩვენი აზრით, არავის არა აქვს უფლება მათ სამშობლო დაუკარგოს და მოუსპოს საშუალება უკან დაბრუნებისა. ბევრ მათგანს, რამდენადაც ვიცით, უკვე უმაღლესი სწავლა დამთავრებული აქვს, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებია, რომელნიც ჩვენში სასარგებლო და გამოსადეგი იქნებიან, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ჩვენ კავშირში საერთოდ და, კერძოდ, საქართველოში დიდი მშენებლობა სწარმოებს. მათთვის უეჭველად სანატრელი და სასიხარულო უნდა იყოს საქართველოში დაბრუნება, თავისი შრომით, ცოდნით და ნიჭით სამშობლოსათვის თავის ხალხისათვის სარგებლობის მოტანა. სამუშაო მრავალზე უმრავლესია ცხოვრების ყველა დარგში. მე არ მესმის ქართველმა რათ უნდა დალიოს თავის სიცოცხლის დღენი უცხოეთში, თუ კი მას სამშობლო მოუწოდებს და ელის... უცხოეთში, სადაც მისთვის შეუძლებელია გზის გაკაფვა, სადაც ის უფლებებს მოკლებულია, სულიერად და მატერიალურად შევიწროებული, მომავლის უნუგეშოდ და უიმედოდ შემყურე... თქვენ თუ იზიარებთ ამ აზრს, მაშინ, მე მგონია, საქმე სწრაფად დადგება რეალურ ნიადაგზე. თქვენი მოწოდება საკმარისი იქნება ამისათვის...

მან მწარედ გაიღიმა და თქვა:

— შენ მე ის ჟორდანია ნუ გგონივარ, საქართველოში რომ ვიყავი... აქ ხუთიოდე კაცი რომ შეიკრიბება, იმათ თავის ბელადი ჰყავთ. ჩემს გარშემო თითქმის აღარავინ აღარ არის... გარდა რამდენიმე ძველი ახლობელისა. შენ ნათქვამს და აზრს მე ვიზიარებ... მეც ასეთ დასკვნამდე მივედი. მე წერილობით მივმართე ქართველ ემიგრაციას აქ, მოვუწოდე დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და დახმარებოდნენ ჩვენს ხალხს, რითაც შეუძლიათ... მაგრამ ჩემი მოწოდება დარჩა მხოლოდ ხმად... გარდა ამისა კრება მოვიწვიეთ, სადაც თავი მოიყარეს აქაურმა ქართველებმა. კრება მრავალრიცხოვანი იყო. მე გამოვედი ამ კრებაზე და იგივე ვთქვი, რაც წერილში. ლაპარაკი რომ გავათავე, ადგა ერთი, ჩვენი პარტიის წევრი, რომელსაც არსად წასვლა აღარ უნდა, რადგანაც სადღაც ქალაქის განაპირას დუქანი აქვს და თავს კარგად გრძნობს... ადგა და დამიძახა: შენ, ნოე ჟორდანია, ჯვარზე უნდა გაცვათ, როგორც მოღალატე და გამცემელიო... რა უნდა მეპასუხა ამ უჭკუოსათვის. მე ვუთხარი მხოლოდ: ერთი თხოვნა მექნება, ძმაო, უკანასკნელად შენთან: ჯვარზე რომ მაცვამ, მერე იმ ჯვარიდან ჩამომიღე და მიწაში დამმარხე. მოიღე ამდენი მოწყალება ჩემზეთქო. ის არავის გაუჩერებია და არც არავის გაუკიცხავს... აი, ჩემი ავტორიტეტი და აი, ქართველი ემიგრანტების კრება.

— მაგ ვაჭრუკანას, როგორც ჩანს, დუქანი ურჩევნია სამშობლოს, — შევნიშნე მე.

— ამიტომ, განაგრძო ნ. ჟორდანიამ, ჩემს საქართველოში დაბრუნებას ისეთი მნიშვნელობა აღარ აქვს, როგორც თქვენ გგონიათ. მე ვფიქრობ, არც ისინი დამიჭერენ მხარს, ვინც ჩემს ახლოს არის... რაც შეეხება, კერძოდ, პირადად ჩემ დაბრუნებას... ის ჩაფიქრდა და შემდეგ თქვა,—ეს ჩემთვის ძალიან ძნელი იქნება. მე ერთი ფეხით უკვე სამარეში ვდგავარ... რა უნდა გავაკეთო იქ? სხვის ბარგად ყოფნა ძნელია...

— თუ გაიხსენებთ, 25 წლის წინათ, თქვენ საზღვარგარეთ წასვლისას, მე მაშინ ჯერ კიდევ თქვენი ტუსაღი ვიყავი, ჩვენ ასეთივე ლაპარაკი გვქონდა.. .მე მინდა ახლა იგივე ჩემი ნათქვამი გაგიმეოროთ. თქვენი ფიქრი იმის შესახებ, რომ თქვენ მეტ ბარგად იქნებით საქართველოში, უსაფუძვლოა. არის მეცნიერების დარგები, სადაც თქვენ სასარგებლო სამუშაო მოგელით. მე არ მესმის რად უნდა იყოს ასეთი შესაძლებლობა უარსაყოფი. ნუთუ უცხოეთში ცხოვრებას მეტი აზრი აქვს?

— რაც შეეხება აზრს, მე ამ მხრივ არსებითად არაფერი მელობება წინ. წარსულმა ომმა დამარწმუნა, რომ თქვენ სწორ გზაზე დგახართ... აქ არჩევანი აღარ არის: ან იქით, ან აქეთ... შუაში ყოფნა შეუძლებელია. ფეხის მოსაკიდებელი ნიადაგი აღარ არის... ორი ძალა ებრძვის ერთიმეორეს და ეს სწყვეტს საკითხს...

ის ჩაფიქრდა. ასეთი პირდაპირი, ურყევი აღიარება სრულებით მოულოდნელი და განსაცვიფრებელი იყო ჩემთვის. ის ფიქრში იყო წასული. ეს სიტყვები წარმოსთქვა მენშევიკურ პარტიის ცნობილმა და უდავო ლიდერმა არამც თუ საქართველოს, არამედ რუსეთის ფარგლებში. რა თქმა უნდა, მის სიმართლეში და გულწრფელობაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა. სრულებით ცხადი იყო, რომ ეს სიტყვები გულის ნადები იყო, ადრე გააზრებული და ნაფიქრი. ისინი გამოხატავდნენ დიდ სულიერ და აზროვნულ გარდატეხას, მთელი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე ნატარები პოლიტიკური მრწამსის უარყოფას, მცდარად

ცნობას და დაგმობას. ეს უეჭველად ტრაგიკული ალსარება იყო სიცოცხლის მიწურულში, როგორც თვითონ ამბობდა, სამარის კარზე მისული ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა. მის სიტყვების სიმართლეს და დამაჯერებელ გულწრფელობას ამტკიცებდნენ ფაქტები: სამშობლოში დაბრუნების შესახებ მისი წერილობითი მიმართვა ემიგრაციისადმი, მისი გამოსვლა ამავე მიზნით ემიგრანტთა მიტინგზე. ამას ამბობდა ადამიანი, რომელიც ადრე ჩვენ, კომუნისტებს „აღმოსავლეთის ბარბაროსებს“ გვიწოდებდა და დასავლეთის იმპერიალისტებს უწვდიდა ხელს. გასაკვირველია, რომ ბელადის ასეთმა პოლიტიკურმა მეტამორფოზამ ვერ იქონია გამაჯანსაღებელი გავლენა მის მიმდევართა რიგებზე, და დიდი უმრავლესობა დარჩა იმ მენშევიკურ მედუქნის პოზიციებზე, რომელმაც ჟორდანიას საჯაროდ მოღალატე უწოდა. ახლა, როცა ევროპელი „მენშევიკები“, დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატები, ინგლისელი ლეიბორისტები, მშრომელთა ხალხის ინტერესებს ფეხქვეშ თელავენ და სავსებით უერთდებიან და ხელს უწყობენ ჩრდილოეთ ამერიკის მთავრობის ალვირახსნილ ბანდიტურ პოლიტიკას, შეიძლება გავახსენოთ მათ, რომ ერთ-ერთმა მათმა თვალსაჩინო თანამოაზრემ თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის ბოლო წლებში უარყო და დაგმო ის, რასაც თაყვანს სცემდა, და მუხლი მოდრიკა იმის წინაშე, რასაც გმობდა, ებრძოდა და შეურიგებელ მტრობას უცხადებდა. ეს ფაქტი არ არის მოკლებული ისტორიულ ინტერესს და საგულისხმოა მის ყოფილ მიმდევრებისათვის, ვინც აქამდის გულში ისევ ბოღმას და შხამს ატარებს კომუნიზმის წინააღმდეგ და ხარობს ამერიკელი ინტერვენტების ყოველი „გამარჯვების“ გამო.

ფიქრში წასულმა ჩვენმა მოსაუბრემ დაარღვია სიჩუმე.

„ვინ იფიქრებდა, — თქვა მან, — რომ ის ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც საკავშირო კომიტეტში არაერთხელ მინახავს, ასეთი ბუმბერაზი, მთელ მსოფლიოში განთქმული პიროვნება შეიქმნებოდა...

მთავარ საკითხზე, საქართველოში დაბრუნების შესახებ, ჩემთვის აშკარა იყო ჟორდანიას უარყოფითი პასუხი. აქ, რასაკვირველია, მთავარი მიზეზი ის კი არ იყო, რასაც ის ამბობდა — „მოხუცებულობა“, „მეტ ბარგად ყოფნა“ და სხვა, არამედ ის, რომ მას, ერთხანს საქართველოში პირველ პიროვნებას, მთავრობის თავმჯდომარეს, ძალაუფლებით და ავტორიტეტით აღჭურვილს, ასე გაკოტრებული, გასაწყლებული გამოჩენა თავის სამშობლოში სასირცხოდ მიაჩნდა. მე აღარ გამიგრძელებია მტკიცება და რწმუნება, რადგან ასეთი გრძნობის შერყევა ლოგიკური მოსაზრებებით და დასაბუთებით თითქმის შეუძლებლად მეჩვენებოდა. გარდა ამისა, მისი ნათქვამის შემდეგ, მის დაბრუნებას საქართველოში ის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რასაც ვგულისხმობდი და მოველოდი. მის მაგალითს სხვებისათვის მისაბაძი და დამაჯერებელი ძალა აღარ ჰქონდა..

ნასადილევს, წასვლისას, ნ. ჟორდანია გამომემშვიდობა და მითხრა:

— შენ იცი, სად მივდივარ ახლა?..

— ალბათ, თქვენ ბინაზე, — ვუპასუხე მე.

— ჰო, ბინაზე..—ნაღვლიანად გაიღიმა და განაგრძო:

— პარიზის ახლოს... ასე, დაახლოებით 25 კილომეტრზე პატარა ნაკვეთი მიწა გვაქვს. ჩვენ ამ მიწაზე კარტოფილი მოვიყვანეთ... მოვთხარეთ და ტომრებში ჩავყარეთ.. .ახლა უნდა დავდგე შარაგზაზე და, თუ ცარიელმა საბარგო მანქანამ გაიარა, უნდა შევეხვეწო ქალაქში წამიღოს...

პატარა პაუზის შემდეგ დაუმატა:

— ეს იქნება ჩვენი ზამთრის სარჩო...

მისი სახის გამომეტყველება და ნათქვამი სიბრალულს იწვევდა...

— შენ საით? შემეკითხა.

— ბუქარესტში...

— მეტად ველარ შევხვდებით... მშვიდობით...

* * *

ემიგრაციის დანარჩენ წარმომადგენლებთან შეხვედრა არავითარ ინტერესს არ შეიცავდა, მაგრამ გასათვალისწინებლად იმისა, თუ რამდენად მათზე მაღლა იდგა ნ. ჟორდანია, მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ ფაქტის მოხსენიებაც. ჩემს წინადადებაზე საქართველოში დაბრუნების შესახებ ევ. გეგეჭკორმა მიპასუხა: — მე პარიზს ვერ დავტოვებ: აქ დასაფლავებულია ჩემი ვაჟი... ნაციონალ-დემოკრატმა ალექსანდრე ასათიანმა განაცხადა:

— საქართველოში ჩემი ჩამოსვლა ყოვლად შეუძლებელია, თქვენ იქ ხეირს არ დამაყრით, რადგან მე ნალჩიკამდი ჩამოვყევი ჰიტლერის ჯარებსო. ამ ფაშისტთან ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

იმავე პარტიის წარმომადგენელმა სპირიდონ კედიამ, რომელსაც მე თვითონ ვეწვიე, რადგან გულის მძიმე ავადმყოფობის გამო მას გამოსვლა არ შეეძლო, მიპასუხა:

— საქართველოში თავისუფლება არ არსებობს და ამიტომ იქ ცხოვრება ჩემთვის შეუძლებელიაო..

ს. კედია ჩემი მოწაფეობის დროის ამხანაგი იყო. ერთად ვიჯექით ქუთაისის გიმნაზიაში. ნიჭიერი, მაცადინი და პატიოსანი ახალგაზრდა.

როგორც ჩანს, ის დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ცხოვრობდა სადღაც, ქალაქის განაპირას უმწეო და ავადმყოფი. როცა მის პირად ცხოვრებაზე შევეკითხე, მომიყვა, რომ მისმა ერთადერთმა ქალიშვილმა წარმატებით დაამთავრა პარიზის მუსიკალური კონსერვატორია, მაგრამ ამდენი ხნის განმავლობაში შესაფერისი სამუშაო ვერ იშოვა... ამ ბოლო დროს შესთავაზეს მას ერთ დაბალხარისხოვან ტავერნაში პარიზის გარეთ ტაპიორობა... ახლა ის მისმა ახლობელმა ინგლისელმა ამხანაგმა წაიყვანა ლონდონში.

ეს მოთხრობა ლაპარაკობდა მის უილაჯო და უნუგეშო ცხოვრებაზე. მიუხედავად ამისა, მას სჯეროდა რომ ქვეყანაში, სადაც უმაღლესი სწავლით აღჭურვილი ნიჭიერი ახალგაზრდა ადამიანი ვერ პოულობს სამუშაოს და თითქმის სამოწყალოდ დადის, სადაც სწავლა და ნიჭი არ ფასობს და პირველხარისხოვანი დიპლომის მქონე შეიძლება შიმშილით ქუჩაში მოკვდეს, ასეთ სახელმწიფოში, მისი აზრით, მეტი თავისუფლება სუფევდა, ვიდრე საბჭოთა ქვეყანაში სადაც უმუშევრობა არ არსებობს და ნიჭს და სწავლას ფართო ასპარეზი აქვს გადაშლილი. ფანატიკური სიძულვილი სოციალისტური წესწყობილებისა მას ისე უბრმავებდა თვალებს, რომ უცხოეთში „თავისუფლება“, უუფლებობა, დამცირება და სიკვდილი ურჩევნოდა თავის სამშობლოში შრომას და ცხოვრებას, თავის ქვეყნის და ხალხისათვის სარგებლობის მოტანას. აქ, ჩემი აზრით, იდეოლოგიური თითქმის აღარაფერი იყო. აქ უკვე პათოლოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

კონფერენცია დამთავრდა ოქტომბრის შუა რიცხვებში და მეც გავემართე ჩემი სამსახურის ადგილს — ბუქარესტში.

## წიგნის თაროსთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლია სტურუას ლექსები

ლია სტურუას ლექსები კარგა ხანია, რაც იბეჭდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. თავდაპირველად ისინი იმ მდინარის ზედაპირზე ტივტივებდნენ, რომელიც დიდი ან მნიშვნელოვანი ქართველი პოეტების მიღწევების უკვე მიტოვებულ კალაპოტში მიედინებოდა. მაგრამ შემდეგ მათში გაჩნდა რაღაცნაირი, გულისძგერის მსგავსი თვითმდგომი სიცოცხლე. ლექსებში პიროვნული განცდის უშუალობამ იძალა, ხოლო პოეტური შემოქმედების ამ ოქროს მარცვალმა, ორ-სამ წელიწადში თავისებური ფერისა და აღნაგობის მცენარე აღმოაცენა. ეს არ არის მხოლოდ ალეგორია. მე მინდა ვთქვა, რომ ახალგაზრდა პოეტი ქალის წიგნში უკვე ძალუმად იგრძნობა მისი პოეზიის პოტენციური სახე.

წიგნის გარეკანზე გამოსახული შიშველი ხეები (მხატვარი ელგუჯა ამაშუკელი) ადამიანთა კუნთოვან, მოქნილ ტორსებსა და გადახლართულ კიდურებს მოგვაგონებს, რითაც მინიშნებულია, რომ წიგნის სათაური გარკვეული აზრობრივი ქვეტექსტით არის დატვირთული. ლია სტურუას პოეტური მსოფლშეგრძნების საერთო სურათში მათ ბუნების, დედამიწის პოხიერების, სიცოცხლის პირველყოფილი საწყისის მნიშვნელობა მიერწყვება. ქალაქი — ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების თანადროული ფორმაა. ქალაქში ბუნება ორგანულად აღარ განიცდება ადამიანის მიერ, არამედ როგორც მის გარეშე არსებული ლანდშაფტი:

მე გამიხარდა, რომ ასფალტიც სადღაც მიწაა
და რომ ქუჩებში შემოვიდა სული ტყეების.

მაგრამ პოეტმა იცის:

რომ სიცრუეს ჰგავს ყვავილები თიხის
ქოთნებში
და რომ ხეებში ერთადერთი არის სიმართლე.

წიგნის თავფურცელზე წარმოდგენილ ანოტაციაში ზოგადად არის მოხაზული „პოეტის სურვილი — ერთმანეთს შეუხამოს ბუნებისა და თანადროული ქალაქის სილამაზე“, და თუმცა წიგნში გამჟღავნებული მსოფლშეგრძნება უფრო მეტი აზრობრივი სიღრმის შემცველ განცდებს აღძრავს და ისინი მათ დაპირისპირებაზე უფრო მეტს მეტყველებენ, ვიდრე მათ უბრალო შეხამებაზე, ეს არაზუსტი დეფინიცია მაინც გამოხატავს ლექსების ძირითად ტენდენციას. წიგნის სათაურის „ხეები“ და „ქალაქი“ თუ ბუნებისა და თანადროული ცივილიზაციის პირდაპირ ნაგულისხმევ მიკროხატებს არ წარმოადგენენ, ყოველ შემთხვევაში, ამ გზით წარმართული გრძნობებისა და აზრების ასოციაციებს აღძრავენ და უფრო რთული და მტკივნეული ურთიერთმიმართების მაუწყებელნი არიან, ვიდრე ეს, ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს. პოეტის განწყობილებათა ამგვარი მდინარება უნდა გამოსჭვიოდეს ლექსის ქვეტექსტში, რომლის სათაურია „მგელი“:

ზის გალიაში ბებერი მგელი
და ყოველ დილით წითელ მზეს ეძებს.
მზე ასე უყვართ ათასი წელი
მხოლოდ ველურებს, ბავშვებს და მხეცებს.
ზის გალიაში მრავალი წელი
და ესიზმრება ხმელი ხეები,
და როცა სცემენ, ბებერი მგელი
ხედავს მშიშარა და სასტიკ ხელებს...
. . . . . . .
სადღაც ირმები მდინარეს სვამენ,
ის კი ქალაქის მზისგან ბერდება,
და გალიაში, მთვარიან ღამეს
სწამს ოჩოპინტრე — კეთილი ღმერთი.

ეს მშვენიერი ლექსი, რომელიც სრულად არა მაქვს ციტირებული, კარგად გადმოსცემს პირველყოფილი ბუნებისაგან მოწყვეტილი და უცხო გარემოში დატყვევებული არსებობის ტკივილს. მგელი აქ თავის არსს მოწყვეტილი „ტყეების სულია“ თითქოს, რომელიც პირვანდელ ყოფიერებასთან შერთვას მიელტვის ისევ. ეს ლექსი თავისი საერთო განწყობილებით ამერიკელი პოეტის იზაბელა გარდნერის ერთ პოეტურ ნაწარმოებს ეხმაურება: ზოოპარკში სეირ-

---

**ლია სტურუა, „ხეები ქალაქში“, „ნაკადული“, 1965.**

ნობისას ბრადუპუსის (ცხოველია) დანახვაზე მას ახსენდება კარ ლინეის ფრაზა — „მყვირალაა, დაუცხრომელი, გონჯი და ცრემლებამდე საბრალო“ და პოეტი დაასკვნის:

და ჰკიდია თავქვე სიცოცხლეს ჩაჭიდებული
ხელფეხით
ტოტებქვეშ ზოოპარკში, ქალაქში —
მიწისქვეშა ვაგონში.

ერთი ფილოსოფოსი წერს: „ადამიანი მიჩვეულია იცხოვროს მიწასთან, მცენარეებთან და ცხოველებთან ორგანულ კავშირში... ადამიანი მიწიდან იშვა და მიწადვე მიიქცევა. ამასთან ღრმა რელიგიური სიმბოლიკაა დაკავშირებული. ტექნიკა ადამიანს სწყვეტს მიწისაგან. მას ადამიანი სამყაროს სივრცეებში გადაჰყავს, დედამიწის პლანეტარობის გრძნობას აძლევს და სივრცისა და დროისადმი დამოკიდებულებას უცვლის“.

სხვა ლექსში ლია სტურუა ლაპარაკობს მოაზროვნის მიერ მანქანაში ჩამწყვდეული ცხენების რემის შესახებ. მას ეჩვენება, რომ „მანქანიდან ბეცი თვალებით უყურებს ცხენი — მისი ტოტემი“. პოეტს სჯერა, რომ მათი „გახედნილი სული“ ვერ მოერევა მას. სავსებით გასაგებია ლია სტურუას მისწრაფება ინტიმურ მასშტაბში წარმოსახოს ადამიანი და ხაზგასმით აღნიშნოს აბსტრაქციებისაგან შევიწროებული მისი „თბილი და ხორციელი“ არსებობის ღირებულება. პირველი კოსმონავტისადმი მიძღვნილ ლექსში იგი წერს:

და ერთი წუთით, ამ უფორმო სილამაზეში,
შენ მოგინდება მიწიერ ტანით
იგრძნო სიცივე, წვიმა, ხაზები,
საგანი მრგვალი ან კუთხოვანი,
იგრძნო სიმძიმე პატარა მარცვლის,
რომელსაც მიწა თავთავით შეცვლის...

ადამიანური მასშტაბის „ფორმების, წონისა და ხაზების“ გარეშე დგას კოსმოსური. მის „აბსტრაქტულ ველებზე“ ვარსკვლავები მოლუსკებივით იძინებენ. დედამიწაზე მოფენილი მზე — „კეთილი ცეცხლი“ კოსმოსში რადიაციას ასხივებს. ამიტომ კოსმონავტს ენატრება „როგორც არავის მდინარის გრილი და სუფთა წყალი, მიწა, რომელსაც ბალახი ფარავს“... ლია სტურუას ლექსებში ამ ბალახებს, დაცვენილ ფოთლებს, მარცვალს, რომელსაც მიწა თავთავად აქცევს, ზოგჯერ მითოსისა და ანიმისტური მსოფლშეგრძნებისათვის დამახასიათებელი ელფერი ახლავს. გეჩვენება, თითქოს იდუმალებით მოცული მისტერია სრულდება, თუმცა პოეტი მხოლოდ მიწაზე ან სიკვდილზე მოგვითხრობს:

არა წყევლით და არა ლოცვებით
ის შეგაჩერებს უსიტყვოდ გზაში
შენ, ადამიანს, თბილს და ხორციელს,
და დაგაყენებს მიწის წინაშე.
მას უნდა შეხვდე სველი თვალებით
და ავადმყოფი ჭირკვლებით იგრძნო
ჰკვიანი ღმერთი ფერისცვალების —
ჩემი ფხვიერი და შავი მიწა...

მაგრამ მე მინდა ავტორის ყურადღება მივაქციო ლექსზე „შენ ხარ ვენახი“, რომელშიც მშვენიერი პოეტური ხილვები, მათთვის შეუფერებელი ელემენტებით არის შებღალული. ნაყოფიერებისა და სისავსის იმ ფონზე, რაც ამ ლექსშია გამოხატული, ვაზის ჯვარი ამ ნაყოფიერების ბუნებრივი სიმბოლო უნდა ყოფილიყო. „ქრისტიანობის წარმართობაზე გამარჯვების იდეა ქართულმა ეკლესიამ წარმტაცად გამოჰხატა... წმინდა ნინოს მან ხელში დიონისური ჯვარი მისცა და ზედ ეთერის (იგივე ფასკუნჯის, იშთარის. თ. ჩ.) ოქროს თმები შემოახვია“ (დემნა შენგელაია). ოციანი წლების ქართულ პროზასა და პოეზიაშიც არაერთხელ გვხვდება ამ ღრმადმნიშვნელოვანი სიმბოლოს ასეთნაირი ინტერპრეტაცია. ამიტომ გაუმართლებელია ლია სტურუას სტრიქონები: „მე არ მესმოდა, ღვთისმშობლის თმებით რად შეკრეს ჯვარი და არა სურა“. სურა ამ შემთხვევაში ბევრად ნაკლები სიღრმისა და პოეტური სისავსის შემცველი სახეა, ვიდრე ჯვარი. მე ვფიქრობ, ეს გამოიწვია ამ ლექსში გამჟღავნებული დედააზრის ერთგვარმა სეკულარიზაციამ, რაც უპირატესად დეკლარაციულობით აღბეჭდილ სტრიქონებში იჩენს თავს:

მე გადავყევი ლოცვებს და ზარებს,
მაგრამ როდესაც ღმერთი მომბეზრდა,
მე შევიყვარე ვაზი-მცენარე
ურელიგიოდ და უმიზეზოდ.

ეს ტენდენცია, ამგვარივე ხასიათის სხვა ლექსებშიაც ვლინდება (მაგ. „ქაშვეთი“, „ჩვენ“) და დაზღვეული არ არის პრიმიტივიზმისა და ტრივიალობისაგან. ამ ლექსებში ხსენებული ღმერთების სახელები მოკლებული არიან შინაგან ღირებულებას და ვერ ამართლებენ პოეტის მიერ მათთვის დაკისრებულ მნიშვნელობას. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ლია სტურუას მითოსური ხილვების სპეციფიკური მიდრეკილება თუ ალღო გააჩნია, რომლის მეშვეობით იგი ზოგჯერ შეუმცდარ, მნიშვნელობით დატვირთულ სახეებს ძერწავს. პოეტმა უნდა გააღრმავოს ამ გეზით მეცადინეობა, ვინაიდან ქართული მითოსის თანადროულობის პრობლემატიკის ნიშნით პოეტურ პლანში გაამოყენება ჩვენი პოეზიის ის მიტოვებული უბანია, რომელმაც თავის დროზე შესანიშნავი მიღწევებით გაამდიდრა იგი და რომელსაც დღეს უხვად იყენებენ მითოლოგიური ტრადიციების მქონე ხალხები.

ლია სტურუას ამ კრებულში რამდენიმე ისეთი ლექსია მოთავსებული, რომელთა განხილვა არა მარტო საჭიროა, არამედ აუცილებელიც პოეტზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად. ლექსები „ძველი ეპიტაფია“, „იცინიან კაცები“, „მოხუცი კაცი“, „სხედან კაცები“ ლია სტურუას უეჭველ პოეტურ ტალანტზე მეტყველებენ. თა-

ვისი პირველი კრებულით იგი ამჟღავნებს ლიტერატურული ტრადიციისაგან დამოუკიდებელ პოეტურ აზროვნებას, რომელიც სათავეს, ჩემის აზრით, ქართულ ფოლკლორულ-მითოსურ მსოფლშეგრძნებაში იღებს, რაც მისი მხატვრული სახეების ორიგინალობასა და ფერადოვნებას განაპირობებს. იგი არ იცავს ზუსტად დასაზღვრულ მეტრულ სქემას, რითაც მეტრულ საზომში ფრაზის თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობას ინარჩუნებს. მისი რითმები გარკვეულ ბგერწერულ პრინციპზე აგებულ დისონანსებად იკითხება. ლია სტურუა უხვად იყენებს თანადროულ ტერმინებს, მაგრამ ისე, რომ უმრავლეს შემთხვევაში, არა თუ არღვევს პოეტური ფრაზის მთლიანობას, არამედ პირიქით, ამღერებს მის ემოციურ დატვირთულობას. ახალგაზრდა პოეტის ვალია „ჩენჩო და ფოთოლი“ გააცილოს იმას, რაც არსებითია მის შემოქმედებაში და უფრო წმინდად დიფერენცირებული, მკაფიო სტრუქტურის მქონე სიღრმისეული ხილვებით გამოაჩინოს თავისი პოეზიის მთლიანობაში ჯერ კიდევ დაფარული სახე.

თამაზ ჩხენკელი

# ქართული კულტურის ისტორიის მასალები

მე-19 საუკუნის ქართული პერიოდული გამოცემები ყოველთვის იპყრობდნენ სწავლულმეცნიერთა ყურადღებას. პირველი ქართული გაზეთებიდან დაწყებული (1819 წლიდან) საუკუნის დასასრულამდე პრესამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

ქართული პრესა კარგად არის დამუშავებულბიბლიოგრაფირებული. როგორც ბევრ დარგს ქართული კულტურისა, ისე ქართული პერიოდული ორგანოების მეცნიერულ ბიბლიოგრაფიას საფუძველი ჩაუყარა ივანე ჯავახიშვილმა, მისი მეთაურობით პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტების ჯგუფმა (ვუკოლ ბერიძე, კარპეზ დონდუა, სიმონ ყაუხჩიშვილი, იოსებ ყიფშიძე, ვლადიმერ ფუთურიძე, გიორგი ჩიტაია, აკაკი შანიძე, შოთა დადიანი, ნინო ლომოური და სხვ.) გამოსცა „ქართული ბიბლიოგრაფია“ (წიგნი გამოვიდა 1916 წელს პეტროგრადში); მასში აღრიცხული იყო 1852-1910 წლების ქართულ ერთდროულ გამოცემებში მოთავსებული სტატიები ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, არქეოლოგიის, ისტორიის, ხალხური სიტყვიერებისა და ძველი მწერლობის შესახებ.

ქართული პერიოდული ორგანოების სრული ბიბლიოგრაფია ჩვენი დროის მიღწევაა. ახლა უკვე გვაქვს ყველა ქართული ჟურნალისა და გაზეთის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (დაწყებული 1852 წლიდან).

საქართველოში მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან რუსულ ენაზე იბეჭდებოდა გაზეთი; იგი ბევრ მიმზიდველ მასალას შეიცავს,ურომლისოდაც ძნელი იქნებოდა ზემოთჩამოთვლილ მეცნიერებათა სრული ისტორიის გათვალისწინება. მეტსაც ვიტყვით, მე-19 საუკუნის რუსული ჟურნალ-გაზეთების (რომლებიც საქართველოში იბეჭდებოდა) გარეშე, შეუძლებელია გასული საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების სხვადასხვა დარგის ამომწურავად შესწავლა.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში გრიგოლ ყიფშიძემ რუსულ ენაზე გამოსცა პატარა წიგნაკი, სადაც ჩამოთვლილია რუსული პერიოდული გამოცემები მოკლე დახასიათებებით. 1964 წელს კი საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატამ გამოაქვეყნა გ. ზერცალოვის წიგნი „საქართველოს რუსული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, ნაწ. I, 1928-1920“, სადაც აღნუსხულია საქართველოში გამოცემული ყველა რუსული პერიოდული ორგანო (550-მდე დასახელება). ისეთი რუსული გაზეთები, როგორც „ტფილისკიე ვედომოსტი“ (1828-1833 წ.წ.) „ზაკავკაზსკი ვესტნიკ“ (1836-1864 წწ.), „კავკაზ“ (1845-1918 წწ.) და სხვა ჟურნალები და გაზეთები ბრწყინვალე მასალას შეიცავენ გასული საუკუნის ცხოვრების მრავალმხრივი დახასიათებისათვის. სამწუხაროდ, საქართველოს რუსული პრესა ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ობიექტად ჯერ არ ქცეულა.

ცხადია, ამ მხრივ ეს პრესა სრულიად ხელუხლებელი არ არის, აქა-იქ საძიებლები და მითითებანი გაკეთებული და დაბეჭდილია (მაგ., „კავკაზისა“ დ. პაგირევის მიერ), მაგრამ ეს ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მაგიერობას, ვერ გასწევს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მ. ჩიქოვანის რედაქტორობით გამოსცა ეთერ არჯევანიძის წიგნი — „ანოტირებული ბიბლიოგრაფია გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული ქართული სიტყვიერების მასალისა“.

გაზეთი — „კავკაზი“ ვორონცოვის დროს და-

---

**ეთერ არჯევანიძე, „ანოტირებული ბიბლიოგრაფია გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული სიტყვიერების მასალისა“. „მეცნიერება“, 1965.**

არსდა, როგორც რუსეთის ცარიზმის ოფიციოზი, კერძო გამოცემის უფლებით. გაზეთს სურდა „ჭეშმარიტების მართალი ანარეკლი ყოფილიყო და თანამემამულეთათვის (გულისხმობდა რუს მკითხველებს, ს. ხ.) გაეცნო ჯერ კიდევ „უსუსურ მდგომარეობაში მყოფი თავისებური კუთხე" (ე. ი. „საქართველო", ს. ხ.) გაზეთი ზოგჯერ პირნათლად ასრულებდა მოვალეობას, და ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტიც გამოქვეყნდა მის ფურცლებზე. აღსანიშნავია, რომ „კავკაზის" თანამშრომლებად სხვადასხვა დროს იყვნენ: ნიკო ბერძენიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, პლატონ იოსელიანი, დავით ჩუბინაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, რაფიელ ერისთავი, მოსე ჯანაშვილი, აკაკი და გიორგი წერეთლები, ალ. ხახანაშვილი, ხოლო 80-იანი წლების დამდეგს გაზეთის რედაქცია დავით ერისთავის ხელში იყო.

სარეცენზიო წიგნს უძღვის ვრცელი წინასიტყვაობა, რომლის ავტორი (ეთერ არჯევანიძე) საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შემადგენელ ნაწილებს.

წიგნში მოხვედრილ თითეულ მასალას ანოტაცია აქვს გაკეთებული, ხოლო ზოგიერთი ისე დაწვრილებითაა ანოტირებული, რომ საკითხის მკვლევარს აღარ დასჭირდება პირველწყაროში ე. ი. „კავკაზში" ჩახედვა. ეს ანოტაციები გვაცნობს ქართველი ხალხის შემოქმედების მეტად საინტერესო ნიმუშებს, მათ შემქმნელთ და, საერთოდ, ყველაფერს, რაც ამ დარგში „კავკაზს" დაუბეჭდავს 1846 წ. მესამე ნომრიდან 1916 წლის 98-ე ნომრამდე.

ამ მასალის პუბლიკაციამ დიდი როლი ითამაშა ქართული ხალხური სიტყვიერების პოპულარიზაციისა და შესწავლის საქმეში და დღევანდელისათვის შემოგვინახა ძვირფასი ფაქტები ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიისათვისო, — წერია წინასიტყვაობაში.

ხალხური სიტყვიერებიდან წარმოდგენილია შრომის სიმღერები, საწესჩვეულებო პოეზიის ნიმუშები, შელოცვები, ხალხური დრამის განყოფილებაში მოცემულია ცნობები ლაზარეობის, ახალი წლის, ყეენობის, ყველიერის, ბოსლობის, კუდიანობის, ცეცხლის თაყვანისცემის და სხვა ჩვეულებების შესახებ. აქ არის ქართველი ხალხის პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიური ცხოვრების ანარეკლი, მისი ისტორიული ყოფის, თანამედროვე მდგომარეობის და შეგნების ამსახველი მასალის აღწერილობა და ანალიზი. ცხადია, „კავკაზის" ავტორებს, უპირველეს ყოვლისა, ფაქტების რეგისტრაცია და აღწერა აინტერესებდათ, ვიდრე განზოგადებანი და მეცნიერული დასკვნები. გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის მითოლოგიური და რელიგიური გადმოცემების შესახებ „კავკაზში" დაბეჭდილ წერილებსაც, რადგან, ჯერ ერთი, ფიქსირებულია ეს გადმოცემები ასზე მეტი წლის წინ, თანაც ისინი გვაცნობენ ქართველი ხალხის შეხედულებებს ბუნების სხვადასხვა მოვლენებზე. მნიშვნელოვანია, რასაკვირველია, სახელმოხვეჭილი რუსი მეცნიერის ა. ვესელოვსკის წერილი ორი ქართული ლეგენდის შესახებ. მეცნიერის აზრით, ქართული მასალა ავსებს ცარიელ ადგილს და ფოლკლორულ მეცნიერებას საფუძველს უქმნის გაითვალისწინოს სიუჟეტური განვითარებისა და მოძრაობის მთლიანი სურათი.

ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შემდგენს გარკვეული მიზანი ამოქმედებდა, — ეს არის ქართული ხალხური სიტყვიერების მასალის ამოკრეფა გაზეთიდან, მაგრამ „ზოგ შემთხვევაში ჩვენი მეზობელი ერების — სომხების, ოსების, აზერბაიჯანელების, აფხაზებისა და სხვა ფოლკლორული მასალა აქ ანოტირებულია უმეტესად იმ შემთხვევაში, როცა ხსენებული მასალები ქართული ფოლკლორის ამა თუ იმ საკითხის ან სიუჟეტის კვლევის დროს განსაკუთრებით საჭირო შეიძლება გამოდგეს" (გვ. 12) ეს „ზოგი შემთხვევა" შეიძლება დამაჯერებელი აღმოჩნდეს ბიბლიოგრაფიული ნაშრომის შედგენისას. ის „ზოგი შემთხვევა", რომელიც დღეს ქართულ ფოლკლორისტიკას არ გამოუყენებია ქართულთან დაკავშირებით, იქნება მეცნიერების შემდეგ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობისა შეიქმნეს? „შორს წაგვიყვანდა და ჩვენი ნაშრომის ფარგლებს გააფართოვებდაო სხვა ერთა ფოლკლორის შესახებ არსებული მასალის ამომწურავად წარმოდგენაო", — აცხადებს წიგნის შემდგენელი და ერთხელ გაკეთებულ დიდ საქმეს — „კავკაზის" ზღვა მასალის გადაფურცვლა — გადასინჯვას სხვების სამუშაოდ ხდის. საკითხის სისრულისათვის დაინტერესებულმა პირმა თავიდან უნდა ფურცლოს გაზეთის რამდენიმე ათეული წლის კომპლექტები. რა დაუფასებელი საქმე გაკეთდებოდა, რომ „კავკაზის" ფოლკლორული მასალაც, ქართული ლიტერატურის ფაქტებიც და კიდევ სხვა აუცილებელი ცნობებიც მთლიანად რომ ამოკრეფილიყო.

„კავკაზში" ბევრი წერილი ანონიმურად, ინიციალებით ან ფსევდონიმებით იბეჭდებოდა. საერთოდ, სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის ამბავი, რომ ჯერჯერობით ქართულად არ გვაქვს ფსევდონიმთა ლექსიკონი, რომელიც დიდ დახმარებას აღმოუჩენდა ბიბლიოგრაფოსს. ვერც მასანოვის ცნობილი ლექსიკონი ეხმარება დაინტერესებულს რუსული მასალის ფსევდონიმების ამოხსნაში. მიუხედავად ამისა „კავკაზის" ზოგიერთი ავტორის ფსევდონიმი, ამოხსნილია.

„ანოტირებული ბიბლიოგრაფია" კარგ ცნობებს იძლევა არსენას ლექსის გავრცელების ქრონოლოგიის თაობაზე. 1846 წ. უცნობი ავ-

ტორი არსენას ლექსის საკმაო ხნის პოპულარობაზე ლაპარაკობს. წიგნში ანოტირებულია აკაკი წერეთლის ისეთი თხზულებები, რომლებიც მისი ნაწერების თხუთმეტ ტომიან გამოცემაში არ აღნიშნულა. სხვა ბევრად მნიშვნელოვანი მინიშნებაცაა მოცემული ბიბლიოგრაფიაში. საერთოდ კარგად შედგენილ წიგნში აქა-იქ შეინიშნება ნაკლი, მაგ. ქართველ ავტორთა გვარები რუსული ფორმითაა გადმოცემული; (დადაევ-მაგარსკი, გამრეკლოვი, ცისკაროვი და სხვ.). „ქართველ მდაბიოთა მასკარადის" ნაცვლად ემჯობინებოდა ყოფილიყო „ქართველ მდაბიოთა ყეენობა", უნდა იყოს „ჭობისხევი"; ყველგან უნდა იყოს „ლუდა". 158-ე ანოტაციაში დასახელებული დადაევ-მაგარსკი არის სოლომონ დოდაშვილის ვაჟი ივანე.

სამწუხაროა, რომ მრავალი თაობის მოსახმარ წიგნს მხოლოდ ერთი საძიებელი ერთვის, ისიც ქრონოლოგიური (ანოტაციებში უამისოდაც არის თარიღები ნაჩვენები). ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას ნაირნაირი საძიებლები უნდა ახლდეს თან. მიუხედავად ამისა, უდავოა ე. არჯევანიძის დიდი დამსახურება ამ ფრიად საჭირო მასალის შესწავლის საქმეში.

**სოლომონ ხუციშვილი**

# „ქართული წიგნი"

ილია ჭავჭავაძე, 1889 წელს, წერილში — „საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი" მიმართავდა ქართველ მწიგნობრებს, ბერმონაზვნებს, რომელთაც მაშინ ხელთ ეპყრათ ერის საგანძურის სალაროთა გასაღები, თხოვნით: — კარგი იქნებოდა და დიდ ღვაწლს გაუწევდნენ ჩვენს ძველს ლიტერატურის ისტორიას ცალკე, და ცხოვრებისას საერთოდ, რომ ამ ძვირფასი განძის (სხვადასხვა ადგილას დაცული წიგნები) სიები, კატალოგები შედგეს, თვითეულად აღნუსხული იქნას, რა წიგნია, ვისგან არის შედგენილი, რა დროს ეკუთვნის, რა ზედ წარწერანი აქვს... გვერწმუნონ, ეს დიდი და სასახელო საქმეა, დიდს და სასახელო სამსახურს გაუწევენ ამით ჩვენს ქვეყანას და თვით მეცნიერებასაც: ამ სიების შემდგენელთა სახელი ყოველთვის მადლობით მოიხსენება შთამომავლობის მიერო.

გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების დიდი მეცნიერი და მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი გადაუდებელ ამოცანად სთვლიდა ქართული ბეჭდვური და ხელნაწერი წიგნების ბიბლიოგრაფიის შედგენა-გამოქვეყნებას. მას თავი იმითაც მოჰქონდა. რომ შეადგინა რეესტრი — „ქართულის წიგნებისა რიცხვით ექვსასამდე, ვისგან, სად და ოდეს და რას იპყრობს თვის შორის".

მესტამბენი თავიანთ გამოცემულ წიგნების გარეკანზე მიაბეჭდავდნენ ხოლმე იმ წიგნების თავისებურ ბიბლიოგრაფიას, რომლებიც მათ დასტამბეს. ასევე იქცეოდნენ წიგნის მაღაზიების მფლობელები. ისინი ადგენდნენ კატალოგებ'ს, რეესტრებს, ბიბლიოგრაფიულ სიებს და აქვეყნებდნენ მათ იმისათვის, რომ ხალხს წაეკითხა და შეეძინა წიგნი. ამ ბოლო დრომდე, გამრავლების ცხრილის პარალელურად, რვეულის ყდებზე, ხშირად იბეჭდებოდა ახლად გამოცემული, ან მაღაზიაში შემორჩენილი ძველი ქართული წიგნის სია. თუმცა ასეთ სიებს, კატალოგებს, რეესტრებს ზოგჯერ ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის პრეტენზია ჰქონდა, მაგრამ პრეტენზია პრეტენზიად რჩებოდა და ჭეშმარიტად მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებული ნაციონალური წიგნის რეპერტუარის შედგენის ცდაც კი არ ყოფილა ჩვენს დრომდე.

**ახლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა,** ქართული ნაბეჭდი წიგნის შეგროვება-დაცვისათვის, ბიბლიოგრაფიების შედგენა-გამოცემისათვის, ბეჭდვითი სიტყვის სტატისტიკის წარმოებისათვის და სხვ., შეიქმნა სპეციალური დაწესებულება — საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა. დღეს ყველა აღიარებს იმ დიდ მუშაობას, რაც საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატამ გასწია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ბიბლიოგრაფიას საქართველოში და დიდად წასწია იგი წინ.

მოგვარებულია სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის ორგანოების — მატიანეების სისტემატური გამოცემა, შედგენილ და გამოცემულ იქნა ისეთი მონუმენტური ბიბლიოგრაფიული ნაშრომი, როგორიც არის, ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია. ტ. I, 1629—1920, II ტომი (სამ ნაკვეთად) — 1921—1945 წ. წ., ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, საქართველოში გამოცემული რუსული ბიბლიოგრაფია, მონოგრაფიები ბეჭდვითი სიტყვის სტატისტიკის შესახებ და სხვა მრავალი.

როგორც მკითხველს მოეხსენება, ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის I ტომი გამოვიდა 1941 წელს.

ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის I ტომს მოჰყვა თავისი მნიშვნელობითა და დახიშნუ-

**ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია ტ. III, 1946-1950, საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის გამოცემა, 1964.**

ლებით კიდევ უფრო ძვირფასი მორიგი II ტომი, რომელიც სამ ნაკვეთად გამოიცა 1950—1954 წლებში და მოიცავს 1921—1945 წლებში გამოცემულ 17.000-მდე ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიას.

ამ ნაშრომებმა უდიდესი სამსახური გაუწიეს მკვლევარებს ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიიდან გამოჩენილ წიგნის დაძებნა-აღმოჩენის საქმეში, რომელიც ამჟამადაც წარმატებით მიმდინარეობს. ერთი ნაწილი ახლად აღმოჩენილი ქართული წიგნის აღწერილობისა, 1948 წელს გამოქვეყნდა, „ბიბლიოგრაფიის მოამბის“ № 4—5-ში, ხოლო ერთგვარი ანალიზის გაკეთება ვცადეთ ჩვენ 1963 წლის ბოლოს ჩვენი ავტორობით გამოცემულ წიგნში — „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან“.

ამ რამდენიმე თვის წინ, მკითხველმა მიიღო ბიბლიოგრაფიის მორიგი III ტომი, რომელშიც აღწერილია 1946—1950 წლებში გამოცემული 4.704 ქართული წიგნი.

საჭიროებას არ წარმოადგენს ვამტკიცოთ სარეცენზიო ნაშრომის, ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის III ტომის გამოცემის აუცილებლობა. მართალია, სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის ორგანოში — წიგნის მატიანეში წარმოდგენილია არამხოლოდ ქართული წიგნის, არამედ საქართველოში ყველა ენაზე გამოცემული წიგნის სრული ბიბლიოგრაფია, მაგრამ მკვლევართ მით სარგებლობა გაუჭირდებათ, თუნდაც იმის გამო, რომ 60 ნომერი, რომლებიც მოცემულ 5 წლის (1946—1950) მანძილზე გამოიცა, ძნელი საპოვნია და მოსახმარადაც მოუხერხებელი.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული არ გვზღუდავს გამომცემლის მისამართით გამოვთქვათ შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება საჭიროა და სასურველი შემდგომ ტომების გამოცემის განხორციელებისას.

ცნობილია, რომ ასეთი წიგნები მეტწილად სპეციალისტებისათვის იბეჭდება, რომლებიც მუშაობენ ამა თუ იმ პრობლემაზე. ბიბლიოგრაფიული საძიებელი ყოველთვის იყო, არის და იქნება დამხმარე საალმშენებლო მასალა, რომლის გამოყენებით სპეციალისტი გაიადვილებს შრომას მისთვის სასურველ შენობის ასაგებად, პრობლემების სისრულით დამუშავებისას.

ბუნებრივია, ბიბლიოგრაფიული ნაშრომის პირველი და მთავარი გასაღებია მისი შესავალი — წინასიტყვაობა, რომელშიც გადმოცემულ უნდა იქნას დაწვრილებითი ისტორია თვით ამ ტომის შედგენა-გამოცემისა, ახსნილ უნდა იქნას ყოველივე გადახვევანი, რომელიც შეიძლება იყოს წინა ტომებთან შედარებით და ა. შ.

„ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია, ტ. III, 1946—1950“ რატომღაც გამოიცა ამ ელემენტარულ მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად. ამის გამო, მკითხველი ვერ გაიგებს — რატომ უღალატა გამომცემელმა შესანიშნავ ტრადიციას, — წარმოედგინა ნაციონალური წიგნის რეპერტუარი შეერთებული კატალოგის პრინციპებზე. I და II ტომებმა ხომ დიდი სამსახური გაუწია მკითხველსაც და ბიბლიოთეკებსაც, რომელთა ფონდებში ხარვეზები ზედმიწევნით იქნა დადგენილი ტომების შედგენა-გამოცემის პროცესში.

ტომში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ — ფიქრობს თუ არა პალატა ცალკე, დამატების სახით, გამოსცეს იმ წიგნების ბიბლიოგრაფია, რომლებიც არ შესულა I და III ტომებში, იმის გამო, რომ, ან არ იყო მიკვლეული, ან გარკვეული მოსაზრებით არ იქნა ბიბლიოგრაფიაში შეტანილი. სპეციალისტებსა და ბიბლიოთეკარებს მოხსენდებათ, რომ პალატამ შეაგროვა და მოამზადა გამოსაცემად დამატების სახით ამ წიგნების აღწერილობანი.

საჭირო იყო აგრეთვე ორიოდე სიტყვა თქმულიყო IV და შემდგომ ტომების შესახებ (IV ტომიც შედგენილია), ვიდრე მოგვარდებოდეს წიგნის გამოქვეყნების საკითხი.

გადაწყვეტილი იყო, გვესარგებლა შემთხვევით და მკითხველისათვის მიგვეწოდებია ქართული წიგნის სტატისტიკური მასალა 1629—1950 წ.წ. აგრეთვე, ორიოდე სიტყვა გვეთქვა იმ სტატისტიკურ მონაცემებზე, რომლებიც დამახასიათებელია საქართველოს წიგნის პროდუქციისათვის 1961—1962 წლებში, რადგან 1921—1960 წლების სტატისტიკური მასალები გამოქვეყნებულია მონოგრაფიებში, რომელთა ავტორებია პლ. ხუნდაძე (ორის) და ნ. ჩიქოვანი (ერთის).

არას ვამბობთ იმის გამოც, რომ გამომცემელს არ დაუცავს ერთიანი წესი. ზოგი წიგნი განგებ გამოურიცხავს ბიბლიოგრაფიიდან, თუმცა იმავე შინაარსის სხვა წიგნის შეტანაზე თავი არ შეუკავებია და სხვა მრავალი, რომელთა აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა.

ნაშრომის კორექტურა დაუდევრად არის შესრულებული. ამ თვალსაზრისით სარეცენზიო წიგნი ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. გამომცემელი იმასაც არ ცდილა, რომ „შეცდომების გასწორება“ (და არა შემჩნეული შეცდომების), რომელიც 4 გვერდზეა გადაჭიმული, მიებეჭდათ მაინც წიგნისათვის. ახლა ეს „დამოუკიდებელი ნაწარმოები — „შეცდომების გასწორება“ ჩადებულია წიგნის ბოლოში და მისი ამოვარდნის შემთხვევაში ტომის ეგზემპლარი ვერ გამოიყენება.

ვ. გოგოლაძე.

ეროვნული

# „თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე"

პროფ. კონსტანტინე მეძველიას მეტად საინტერესო გამოკვლევა „თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე" ავტორის მიერ 1959 წელს გამოქვეყნებული შრომის — „თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეების" — ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს.

თერგდალეულების ცხოვრება და ლიტერატურული მემკვიდრეობა იმდენად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ჩვენს მრავალსაუკუნოვან ეროვნულ საგანძურში, რომ ყოველი ახალი გამოკვლევა ამ საკითხზე მკითხველის დიდ ინტერესსა და ყურადღებას იწვევს. მითუმეტეს ძალზე საინტერესოა დღემდის შეუსწავლელი, მაგრამ დიდი დამსახურების მქონე თერგდალეულის კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის მონოგრაფიული შესწავლა.

კ. ლორთქიფანიძე ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში მეტად თავისებური და საინტერესო პიროვნებაა, რომელიც ჩერნიშევსკისა და მისი თანამებრძოლების უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა, ქართველ სამოციანელებთან ერთად ეზიარა რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ამ იდეების დანერგვისა და განვითარებისათვის.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ პროფ. კ. მეძველიას კ. ლორთქიფანიძის ცხოვრება და ლიტერატურული მემკვიდრეობა შეუსწავლია მეცნიერული სიღრმითა და კეთილსინდისიერებით, საქმისადმი დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით, მდიდარი და დღემდე თითქმის უცნობი და ხელუხლებელი პირველწყაროების საფუძველზე. ამ გამოკვლევით ავტორმა არა მხოლოდ კირილე ლორთქიფანიძე გააცოცხლა, როგორც სამოციანი წლების მწერალი და საზოგადო მოღვაწე, არამედ კიდევ უფრო მეტი შუქი მოჰფინა სხვა თერგდალეულების ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს.

სარეცენზიო წიგნის პირველი თავი შეეხება კ. ლორთქიფანიძის ბიოგრაფიის საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნში პირველად არის გამოქვეყნებული სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში კ. ლორთქიფანიძის მონაწილეობის ამსახველი მასალები — დაპატიმრების აქტი, დაკითხვის ოქმები და სხვა მეტად საყურადღებო დოკუმენტები. წიგნში კარგად ჩანს აგრეთვე იმ პერიოდის პეტერბურგის რევოლუციური აღტყინება და სტუდენტობის ბრძოლა ცარიზმის სულშემხუთავი რეჟიმის წინააღმდეგ.

ნაშრომში სრულყოფილად არის წარმოდგენილი კ. ლორთქიფანიძის საქმიანობა არა მხოლოდ პეტერბურგში ცხოვრების ათი წლის მანძილზე, არამედ მისი ნაყოფიერი მოღვაწეობაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. სარეცენზიო წიგნის პირველი თავი კ. ლორთქიფანიძის საკმაოდ ვრცელი ბიოგრაფიაა, რომელიც მრავალ საინტერესო მასალას აწვდის მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკვლევარს.

შემდეგ თავში განხილულია კ. ლორთქიფანიძის პოეტური მემკვიდრეობა, რომელიც შეიცავს თარგმნილ და ორიგინალურ ლექსებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ეს დიდი დემოკრატი და რევოლუციონერი მოღვაწე თარგმნიდა მხოლოდ რუსი და უცხოელი რევოლუციონერი პოეტების ნაწარმოებებს და ცენზურული სიმკაცრის მიუხედავად ახერხებდა მათ გამოქვეყნებას ქართულ პრესაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1863 წელს კ. ლორთქიფანიძეს პირველს უთარგმნია ქართულად „ბიძია თომას ქოხი", მაგრამ საცენზურო პირობების სიმკაცრის გამო მისი დაბეჭდვა ვერ მოუხერხებია.

გარდა თარგმანებისა, საინტერესოა მკვლევარის მიერ გამოვლინებული კ. ლორთქიფანიძის ორიგინალური ლექსებიც. ამ ლექსების საფუძვლიანი მიმოხილვა კიდევ ერთ დამატებით საბუთს წარმოადგენს კ. ლორთქიფანიძის პროგრესული თვალსაზრისის დასადასტურებლად.

განსაკუთრებული ინტერესით იკითხება წიგნის მესამე თავი: — კ. ლორთქიფანიძე — პუბლიცისტი და მოაზროვნე. ამ თავში ავტორს საკმაოდ მდიდარი საარქივო მასალების საფუძველზე განხილული აქვს, თუ როგორ ესმოდა კ. ლორთქიფანიძეს ესთეტიკის, ეთიკის, ზანგების დისკრიმინაციის, მალთუსის რეაქციული თეორია და სხვა პრობლემატური საკითხები.

როგორც წიგნის ამ ნაწილიდან ჩანს, კ. ლორთქიფანიძე კარგად იყენებდა ჩერნიშევსკისა და მისი თანამებრძოლების თეორიებს. იცნობდა მარქსის „კაპიტალს", რომლის სახელმძღვანელო დებულებებსაც მოხერხებულად იმარჯვებდა ყოველგვარი ჩაგვრა-მონობისა და მცირე ერების დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნაშრომიდან ისიც ნათლად ჩანს, თუ როგორ იბრძოდა კ. ლორთქიფანიძე დარვინის მოძღვრების პოპულარიზაციისათვის, რა გაბედულად ეკამათებოდა ანტონოვიჩს დედუქცია — ინდუქციაში მხოლოდ „ლოგიკურად

კონსტანტინე მეძველია, „თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე", განათლება, 1965.

დაწყობის ფორმის“ ძიების გამო, როგორ ეწინააღმდეგებოდა ზოგიერთ საკითხში ვულგარული მატერიალიზმის წარმომადგენელს იაკობ მოლეშოტს და ღრმა მეცნიერული დებულებების საფუძველზე რა სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა მალთუსის რეაქციული თეორიის წინააღმდეგ.

სხვა საკითხთა შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კ. ლორთქიფანიძის პრინციპული ბრძოლა ზანგების მოქალაქეობრივი უფლებების შეზღუდვის წინააღმდეგ.

წიგნში ასევე კარგადაა გამოკვლეული კ. ლორთქიფანიძის მატერიალისტური ესთეტიკური შეხედულებები. მკვლევარი აქვე გვიჩვენებს კ. ლორთქიფანიძის მიერ ამ თეორიული დებულებების პრაქტიკულად გამოყენების მაგალითებს. კ. ლორთქიფანიძის ესთეტიკური და ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებანი საინტერესო მასალას წარმოადგენენ ქართული ესთეტიკური და ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების ისტორიისათვის. სარეცენზიო წიგნის მეოთხე თავში ვრცლად არის განხილული კ. ლორთქიფანიძის დამსახურება ქართული ჟურნალ-გაზეთების აღორძინებისა და ქართული წიგნის გამოცემის საქმეში.

როგორც ნაშრომიდან ირკვევა, კ. ლორთქიფანიძე სტუდენტობის პერიოდში იწყებს აქტიურ თანამშრომლობას ჯერ „საქართველოს მოამბეში“, შემდეგ კი „დროებაში“. მას პეტერბურგშივე გამოუცია ქართველი პოეტების ლექსთა კრებული „ჩონგური“ და ილიას „კაცია ადამიანი?!“ შეუმუშავებია ქართული საბეჭდი შრიფტი და პეტერბურგსა და ქუთაისში ქართული წიგნის გამომცემელი ამხანაგობაც შეუდგენია. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიკოსი ვერ დაივიწყებს იმ უანგარო და თავდადებულ შრომას, რაც კ. ლორთქიფანიძემ გასწია გაზეთ „დროებისა“ და ჟურნალ „კრებულის“ გამოცემისა და რედაქტირების საქმეში.

როგორც დღემდის სხვადასხვა წყაროებში გაფანტული ცნობები იუწყებიან, კ. ლორთქიფანიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის სალიტერატურო ქართულის განვითარების საქმეში. ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის ბრძოლის დროს იგი გვერდში ამოუდგა ილ. ჭავჭავაძეს და ილიას მსგავსად სალიტერატურო ენის საფუძვლად ხალხური მეტყველება მიიჩნია.

პროფ. კ. მეძველია ნაშრომის მეხუთე თავში დეტალურად არკვევს კ. ლორთქიფანიძის ამ დიდ დამსახურებას ახალი სალიტერატურო ენის განვითარების საკითხში. აქ იგი ნაჩვენებია, როგორც ქართული ენის თავდადებული მეცნატი, თეორეტიკოსი-მკვლევარი, გრამატიკოსი, ლექსიკოგრაფი და სტილისტი.

ნაშრომის მეექვსე თავი არსებითად კ. ლორთქიფანიძის პედაგოგიურ შეხედულებათა განხილვას ეთმობა. მართალია, კ. ლორთქიფანიძე პროფესიით პედაგოგი არ ყოფილა, მაგრამ თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ბევრ-რამ გააკეთა ახალგაზრდობის აღზრდისათვის. იგი რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორია, რომელთა შორის გამოირჩევა „კითხვა-წერის სასწავლებელი წიგნი“. იგი, გარდა სასწავლო მასალისა, შეიცავს მეტად საყურადღებო მეთოდურ მითითებებს მასწავლებლებისათვის.

ასევე ყურადღების ღირსია კ. ლორთქიფანიძის პედაგოგიური ხასიათის წერილები, რომლებშიც ავტორი მოწინავე პედაგოგიურ შეხედულებებს ავითარებს. იაკობ გოგებაშვილი დიდად იყო დავალებული კ. ლორთქიფანიძისაგან, რომელმაც საფუძვლიანად განიხილა მისი „ქართული ანბანი და პირველსაკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ და საკმაოდ გონივრული შენიშვნები მისცა მის ავტორს. ზემოხსენებულ სახელმძღვანელოზე დაწერილ რეცენზიის თაობაზე სერგეი მესხი სწერდა კ. ლორთქიფანიძეს: „შენი სტატია ჩემს გარდა სხვებსაც ბევრს მოეწონა, გოგებაშვილმა მიიღო ცნობაში ზოგიერთი შენი შენიშვნა და დარიგება“.

სარეცენზიო წიგნში კარგად არის ნაჩვენები კ. ლორთქიფანიძის თავდადებული ბრძოლა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ განათლების დარგში და ის სალი თვალსაზრისი, რომელსაც იგი ამჟღავნებდა პედაგოგიკის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტის დროს.

განსაკუთრებული ინტერესით იკითხება მეშვიდე თავი, სადაც გაშუქებულია კ. ლორთქიფანიძის პირადი და ლიტერატურული ურთიერთობა ქართველ მწერლებთან — ილ. ჭავჭავაძესთან, აკ. წერეთელთან, გ. წერეთელთან, ნ. ნიკოლაძესთან და ს. მესხთან. მდიდარი საარქივო მასალების საფუძველზე კარგად არის ნაჩვენები კ. ლორთქიფანიძის როლი ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და ნ. ნიკოლაძის ნაწარმოებთა შეფასებისა და გამოცემის საქმეში. მას ისეთი დიდი ცოდნა და ავტორიტეტი ჰქონია ქართველ მწერლებს შორის, რომ თვით ბუმბერაზი მწერალი და მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე ზოგჯერ კირილეს ეკითხებოდა თავისი ნაწარმოებების ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ და, თუ მისი ლექსი ან მოთხრობა მოეწონებოდა, ილია უყოყმანოდ დაბეჭდავდა. „გლახის ნაამბობის“ შესახებ ილია კირილეს სწერს: „ძმაო კირილე, გიგზავნი ჩემს გლახის ნაამბობს, ჯერ ვიდრე დაჰბეჭდავდე, შენებურად გადაიკითხე და შენი პირმოუფერებელი აზრი მაცნობე“ .

ასეთივე თხოვნით მიმართავდნენ კირილეს ს. მესხი და სხვები. ასეთი დოკუმენტები წიგნში ვრცლად არის წარმოდგენილი და ნათელს ჰფენს ამ უანგარო მოღვაწის დამსახურებას

ქართული მწერლობის წინაშე. აქვე ვრცლად არის განხილული კ. ლორთქიფანიძის სარედაქციო მუშაობა აკ. წერეთლის გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის და ს. მესხის ნაწერებზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა კ. ლორთქიფანიძის პირადი და ლიტერატურული ურთიერთობა აკაკი წერეთელთან. წიგნში წარმოდგენილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ კირილე ხშირად აკაკის პოეტური შთაგონების წყარო და მისი პირუთვნელი შემფასებელიც ყოფილა. ნაშრომიდან ისიც ირკვევა, რომ კ. ლორთქიფანიძე ჩვენი მწერლის პოეტურ ლაბორატორიაში შინაურ კაცად ითვლებოდა.

როგორც ცნობილია, სათავადაზნაურო სააღგილმამულო ბანკი მეცხრამეტე საუკუნის ქართველი პროგრესული ინტელიგენციისათვის უბრალო საკრედიტო დაწესებულებას კი არ წარმოადგენდა, არამედ იგი ისეთი ორგანიზაცია იყო, რომელიც ეროვნული კულტურის აღორძინების საქმესაც ემსახურებოდა.

თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო სააღგილმამულო ბანკების ისტორია თითქმის სავსებით შეუსწავლელია. პროფ. კ. მეძველიას ნაშრომის მერვე თავს ერთგვარი წვლილი შეაქვს ამ საინტერესო საკითხის შესწავლის საქმეში და თუმცა ეს თავი არსებითად ეხება კ. ლორთქიფანიძის მოღვაწეობას ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკში იგი გზა და გზა საინტერესო მასალებსაც გვაწვდის ამ დაწესებულებათა საქმიანობის შესახებ.

ეს საინტერესო წიგნი ავტორის ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომის შედეგს წარმოადგენს. მას ვრცლად გამოუყენებია ლენინგრადის ცენტრალურ და საოლქო არქივებში, თბილისის მუზეუმში, საჯარო ბიბლიოთეკაში და განსაკუთრებით ქუთაისის მუზეუმში დაცული საარქივო მასალები. ყველა ეს მასალა ღრმა მეცნიერული ანალიზის საგანი გამხდარა და ამის საფუძველზე წიგნის ავტორს ბევრი საინტერესო საკითხი გადაუჭრია.

სარეცენზიო წიგნის სახით ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ და განსაკუთრებით უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობამ კარგი მონოგრაფია მიიღო, ხოლო კ. ლორთქიფანიძემ საპატიო ადგილი მოიპოვა სამოციანი წლების ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რაც მას თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობით სამართლიანად ეკუთვნოდა.

**იოსებ ბოცვაძე**

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ"

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА"